მ. ახობაძე

გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1970

9(ს41)
9(47.922)„18"
ა 933

1 — 6 — 1
97—70 ადგ.

-ამრომში გამოქვეყნებულია კლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობა საქართველოს სოფელში (განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინურ ეტაპზე). ნაჩვენებია სოციალური ანტაგონიზმის გაღრმავება და რევოლუციური სიტუაციის შექმნა XIX საუკუნის 70-იან წლებში. დახასიათებულია გლეხთა მოძრაობის ფორმები, დროებითვალდებულ გლეხთა და მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ. განხილულია ქართველი ხალხოსნების დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი, რეაქციის თარეში 80-იან წლებში და გლეხთა მოძრაობის ფორმების ცვლა.

რედაქტორი ი. ანთელავა

Михаил Варламович Ахобадзе

Крестьянское движение в Грузии в 60-90-ых годах XIX века

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1970

შესავალი

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით, ისტორიის ძირითად შემოქმედ ძალას, მუშათა კლასთან ერთად, მეორე მწარმოებელი კლასი — მშრომელი გლეხობა წარმოადგენს. ამიტომაა, რომ მისი წარსულის მეცნიერულ შესწავლას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი.

XIX საუკუნეში საქართველო ითვლებოდა აგრარულ ქვეყნად, რომლის მატერიალური დოვლათის მწარმოებელ ძალას ძირითადად მშრომელი გლეხობა წარმოადგენდა. ბუნებრივია, თუ გვსურს სწორად გავიგოთ და. გავიაზროთ რეფორმამდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, საზოგადოებრივი აზროვნების შინაარსი, განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი და მთელი რიგი სხვა მოვლენები, ამისათვის აუცილებელია, ამ კლასის რევოლუციური წარსულის, ბრძოლის ფორმების, მეთოდებისა. და სხვა საკითხების ღრმა მეცნიერული შესწავლა.

„რა არის კლასობრივი ბრძოლა? — სვამდა კითხვას ვ. ი. ლენინი და იქვე უპასუხებდა, — ეს არის ხალხის ერთი ნაწილის ბრძოლა მეორის წინააღმდეგ, უუფლებო, ჩაგრულთა და მშრომელთა მასის ბრძოლა პრივილეგიური ადამიანების, მჩაგვრელთა და მუქთახორების წინააღმდეგ...“[1].

საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში მჩაგვრელებისა და მუქთახორების, პრივილეგიური წოდების წინააღმდეგ მოწყობილი დიდი და გრანდიოზული აჯანყებების გვერდით სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა მშრომელთა მასობრივი ხასიათის გამოსვლებს.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს სოფელში შექმნილ მწვავე სოციალურ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა დღესაც აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თითქმის უკანასკნელ დრომდე გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ცნებაში მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებებს გულისხმობდნენ, რის გამოც სოციალური ანტაგონიზმის სხვა ფორმების შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. აღნი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 526.

შნული გარემოება ხელს გვიშლიდა მეცნიერული სიღრმითა და სისრულით გაგვეშუქებინა დიდი სახალხო აჯანყებათა წანამძღვრები, ნათლად წარმოგვედგინა კლასობრივი ბრძოლის, როგორც უწყვეტი პროცესის, შედარებით სრული სურათი სოფლად. იმისათვის, რომ ობიექტური შეხედულება შეგვექმნას გლეხთა მოძრაობის მნიშვნელობაზე, მის ზემოქმედებაზე ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში, ერთი ფორმაციის მეორე ფორმაციით შეცვლაზე, საჭიროა დიდი აჯანყებების, ომებისა და მღელვარებათა გვერდით საგრძნობი ადგილი დავუთმოთ მასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმის მეცნიერულ შესწავლა-გაანალიზებას.

აღნიშნულ პერიოდში მშრომელი გლეხობის შეურიგებელი ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენდა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ დავა-საჩივრები, მემამულეთა მიწების მიტაცება, ნატურალურ და ფულად გადასახადებზე უარის თქმა, მემამულეთა მკვლელობა, მათი სახლ-კარის გადაწვა, გაქცევა-გახიზვნა, ყაჩაღად გავარდნა და ბოლოს მასობრივი აჯანყებები.

ვ. ი. ლენინი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხების მეცნიერულ შესწავლა-გაანალიზებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ღრმად შეისწავლა არსებული წყობილებისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ რუსეთის ხალხთა ბრძოლების მდიდარი ისტორია, მოგვცა XIX საუკუნის განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინური ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე[2].

განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინური პერიოდიზაცია სავსებით ასახავს XIX საუკუნის საქართველოს ვითარებასაც[3], ჩვენშიაც ადგილი ჰქონდა თავადაზნაურულ, რაზნოჩინურ და პროლეტარულ პერიოდებს.

თავადაზნაურული პერიოდი 30-იანი წლებიდან იწყება და 60-იანი წლების რეფორმებით მთავრდება. ამ ეტაპის დამდეგს თავადაზნაუ-

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 292.

[3] პ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასების თეორიის გადასინჯვისათვის, „ლიტერატურული გაზეთი" №№ 3, 4, 1956.

რობის ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ვიწრო შეთქმულების ხასიათს ატარებდა. იგი მოწყვეტილი იყო მასას. მეორე ეტაპზე კი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. პროგრესულმა ინტელიგენციამ გააჩაღა ფართო აგიტაცია და შეუდგა მზადებას სახალხო აჯანყების მოსაწყობად.

თუ განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული ეტაპის დასაწყისში ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო პრივილეგიური კლასები საქართველოში დამკვიდრებული ახალი მმართველობის წინააღმდეგ აშკარად თუ ფარულად გამოდიოდნენ, მეორე ეტაპზე მათ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ცარიზმის მიერ განხორციელებული რეპრესიებით დაშინებულმა ქართველ თავადაზნაურთა ძირითადმა ნაწილმა აშკარა ბრძოლაზე ხელი აიღო, მეფის სამსახურში შევიდა და მომავალ კარიერაზე ზრუნვას შეუდგა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებიდან, ცარიზმი და ქართველი თავადაზნაურობა მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელიხელჩაკიდებული გამოვიდნენ. თავის მხრივ, გლეხობამ, პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად, შეჰქმნა დემოკრატიული ფრონტი. გაბატონებულ კლასსა და მის დამცველ მეფის მოხელეებს დაუპირისპირა ერთობლივი ძალა, ჩაება უკომპრომისო ბრძოლაში.

ამრიგად, სრულიად გარკვევით ჩამოყალიბდა ორი ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკი: ერთი მხრივ, ქართველი თავადაზნაურობა და მეფის მოხელეები, რომელთა ხელში იყო იარაღი, ხოლო მეორე მხრივ, გლეხობა და მისი ინტერესების გამომხატველი ინტელიგენცია, რომელთა მხარეს იყო სიმართლე და რევოლუციური შემართება.

XIX საუკუნის 60—90-იანი წლები აღსავსეა ამ ორი ბანაკის შეურიგებელი, გააფთრებული შეტაკებებით.

თუ განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურულ ეტაპზე გლეხთა კლასობრივ ბრძოლას ადგილი ჰქონდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, რაზნოჩინურ ეტაპზე იგი განვითარდა მაშინ, როცა ძველმა, დრომოჭმულმა ცხოვრებამ ძირითადად დაასრულა თავისი ისტორია და მის ნანგრევებზე დამკვიდრდა წარმოების ახალი — კაპიტალისტური წესი. ეს პროცესი ჩვენში მიმდინარეობდა ბატონყმობის გადმონაშთების არსებობის პირობებში შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ განსაზღვრა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი.

გლეხთა მოძრაობა ამ ეტაპზე განვითარდა და გაიშალა სამი მიმართულებით:

1. შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის. პირველნი მოითხოვდნენ დროებითვალდებულებისაგან განთავისუფლებას. მეორენი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ არსებული მდგომარეობა, უზრუნველეყოთ თავიანთი მეურნეობა იაფი მუშახელითა და შემოსავლით. ამ საფუძველზე აღმოცენებულ ანტაგონიზმს ხშირად შეიარაღებული შეტაკება და სისხლისღვრა მოსდევდა. ეს იყო ქართველი გლეხების ბრძოლა კაპიტალიზმის პრუსიული გზით განვითარების წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს სოფელში უხვად დატოვა ფეოდალიზმის გადმონაშთები.

2. გლეხობა გმობდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, რომელიც თან მოჰყვა ახალი ცხოვრების დამკვიდრებას. იგი ენერგიულად ჩაება მოიჯარადრეების, ვაჭარ-მევახშეების, კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში. კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად ბრძოლამ მის წინააღმდეგ თანდათან უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და ახალ საფეხურზე ავიდა. გლეხთა გამოსვლებმა ამჯერად მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერა პოვა. მან ერთ ორბიტაში მოაქცია როგორც ხიზნები, ისე დროებითვალდებული და სახელმწიფო გლეხები.

3. თავადაზნაურობა და მეფის მოხელეები ერთიან რეაქციულ ძალას წარმოადგენდნენ. ქართველი ხალხი სოციალურთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდა. ბუნებრივია, ამ გარემოებამ განსაზღვრა ბრძოლა მეფის ხელისულების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამრიგად, განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინურ ეტაპზე გლეხთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, გაფართოვდა საერთო დემოკრატიული მოძრაობა.

თუ განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდის დასასრულს გამწვავებულმა სოციალურმა ანტაგონიზმმა, სხვა მომენტებთან ერთად, ხელი შეუწყო რევოლუციური სიტუაციის შექმნას და აიძულა ხელისუფლება ბატონყმობის გაუქმებაზე ეფიქრა, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს გამძაფრებულმა აგრარულ-გლეხურმა მოძრაობამ, იმპერიის ცენტრალური გუბერნიების მსგავსად, საქართველოშიც რევოლუციური სიტუაცია შექმნა. მართალია, ამჯერად მას რუსეთში დროებითვალდებული გლეხების განთავისუფლება მოჰყვა, მაგრამ ჩვენში ხელისუფლება ასეთი ღონისძიების განხორციელებას ერიდებოდა. ეს გარემოება ცარიზმის იმ პოლიტიკას ემსახურებოდა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი თავადაზნაურობის გულის მოგებას. ცარიზმი რუსეთის განაპირა ქვეყნებში თავისი კოლონიური

პოლიტიკის გასატარებლად ადგილობრივ პრივილეგიურ წოდებას პირად დასაყრდენად მიიჩნევდა და ამიტომ ერიდებოდა მასთან ურთიერთობის გამწვავებას.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე — პროლეტარული პერიოდი 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება და ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გრძელდება. ამ ეტაპზე მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ერთიან შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ. მათი ყოველი მოქმედება ამჯერად უკვე მიზანსწრაფულ, შეგნებულ ხასიათს ატარებდა.

წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიური და თემატური ჩარჩოები ვრცელია. იგი 1864 — 1895 წლებს, ანუ განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ რაზნოჩინურ ეტაპს მოიცავს. ამიტომ, ნაშრომს ყველა საკითხის ამომწურავი გაშუქების პრეტენზია არა ქვს. მისი უმთავრესი მიზანია, რამდენადაც შესაძლებელია, შეავსოს პრობლემის შესწავლაში არსებული ხარვეზი. გამოკვლევაში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შუქზეა განხილული დიდძალი და მრავალფეროვანი წყაროების, მეტწილად დღემდე უცნობი საარქივო მასალების შესაფერისი მონაცემები, ასახულია საქართველოს მშრომელი გლეხობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინურ ეტაპზე, ნაჩვენებია XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრის საქართველოს სოფელში საგლეხო რეფორმის 1864 წლის 13 ოქტომბრის ადგილობრივი დებულების საწინააღმდეგო აგიტაციის გაძლიერება, გლეხთა მოძრაობის მასშტაბი და დინამიკა, ახსნილია კლასთა ბრძოლის აღმავლობისა და დაღმავლობის განმაპირობებელი მიზეზები, გაშუქებულია მშრომელი გლეხობის ბრძოლა სახნავ-სათესი მიწებისათვის, ტყეებისათვის, საძოვრებისათვის, რაც სხვადასხვა ფორმით (დავა-საჩივრები, ურჩობა, მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა, ტყეში გახიზვნა, მასობრივი შეიარაღებული აჯანყებები) ვლინდებოდა. გადმოცემულია აგრეთვე მეფის ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ ქართველი გლეხობის ბრძოლის ისტორია, დადგენილია რევოლუციური სიტუაციის არსებობა XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში, კლასთა ბრძოლის ფორმების ცვლა 80—90-იანი წლების რეაქციის პერიოდში, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ასახვა იდეოლოგიაში, გლეხობის დასაცავად მოწინავე ქართველ მოღვაწეთა გამოსვლა და სხვ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინური პერიოდის გლეხთა მოძრაობა თავისი გაქანების და შინაარსის მიხედვით შეიძლება სამ ძირითად ეტაპად დაიყოს: 1. 1864 — 1873 წლები, 2. 1874 — 1881 წლები, 1882 — 1895 წლები.

პირველი ეტაპის შემოფარგვლა ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩოებით განპირობებულია იმით, რომ ამ წლებში დასრულდა საგლეხო რეფორმის გატარება. ამავე პერიოდს დაემთხვა აგრეთვე ბატონყმობის ვაუქმებიდან ე. წ. „9 წლიანი ვადის“ გასვლა, რასაც გლეხობა ნადელების პირად საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღებას უკავშირებდა.

იმ დროის გლეხთა მოძრაობა უმთავრესად აღმოცენებული იყო რეფორმამდელი ურთიერთობიდან. მემამულეები სადავოდ ხდიდნენ საგლეხო მიწებს, მოითხოვდნენ ბატონყმობის დროიდან დარჩენილ გადასახადებს, იბრძოდნენ ტყეებისა და საძოვრებისათვის. ბევრ დავას ჰქონდა ადგილი საწესდებო სიგელების შედგენის ირგვლივ. ფართო ხასიათს ატარებდა გლეხ აგიტატორთა მოღვაწეობა. მემამულეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მიეღოთ, გლეხები კი, პირიქით, ებრძოდნენ მემამულეთა მძარცველურ პოლიტიკას. ამ პერიოდში თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის კლასობრივი ბრძოლა ძირითადად დავა-საჩივრებით იფარგლებოდა.

მეორე პერიოდის (1874 — 1881 წლები) გლეხთა მოძრაობას წითელ ზოლად გასდევს ბრძოლა საწესდებო სიგელებში დაცული მძარცველური პირობების ცხოვრებაში განხორციელების წინააღმდეგ.

1873 — 1874 წლებში გავრცელდა ხმები, თითქოს გლეხებს სანადელო მიწები უსასყიდლოდ გადაეცემოდათ და საცხოვრებელი ადგილიდან აყრა-გადასახლება თავისუფლად შეეძლებოდათ. მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა. ამ გარემოებამ ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგრძნობა დავა-საჩივრების ერთგვარი შენელება, ძლიერდება ბრძოლის აქტიური ფორმები, პირველ რიგში, შეიარაღებული აჯანყებანი. გლეხებს გამოუჩნდნენ იდეოლოგები ხალხოსნების სახით. მათ ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს სოფლად და გლეხები არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად აამხედრეს. რაზნოჩინური ეტაპის მეორე პერიოდის გლეხთა მოძრაობა მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს 70-იანი წლების ბოლოს რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბების საქმეში.

მესამე პერიოდში (1881 — 1895 წლები) იწყება რეაქცია, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას მოჰყვა. აპატიმრებენ და შორეულ მხარეში ასახლებენ ურჩობაში შემჩნეულ გლეხებს. მკაცრი ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო მზარდი რევოლუციური ბრძოლების შეჩერება. მართალია, ამ პერიოდში შეიარაღებულ აჯანყებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ მშრომელი გლეხობის საპროტესტო მოძრაობა მაინც

გრძელდებოდა. ამას მოწმობს 80-იან წლებში საჩივრების ზრდა, გლეხების „ყაჩაღად“ გასვლა, მემამულეებზე ტერორისტული თავდასხმები: მათი სახლ-კარის განადგურება და სხვ.

აღნიშნულ პერიოდში დროებითვალდებულ გლეხებთან ერთად აქტიურად იბრძვიან ხიზნებიც. პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის მუშათა კლასი, რომელიც თანდათან გარკვეულ გავლენას ახდენს გლეხთა მოძრაობაზე. წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობა მთელი შესასწავლი პერიოდის მანძილზე ძირითადად თითქმის ერთნაირ ფორმებში ვლინდებოდა, განსხვავება მხოლოდ მის სიძლიერეში გამოიხატებოდა: ზოგჯერ მინელდებოდა, უფრო ხშირად კი ახალი ძალით იფეთქებდა, მაგრამ, არსებითად მისი შინაარსი ერთი და იგივე რჩებოდა. ეს იყო ბრძოლა ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ სოფლად.

თუ გლეხთა მოძრაობის განხილვას ზემოაღნიშნული პერიოდიზაციის მიხედვით შევეცდებოდით. ცხადია, მაშინ თავს ვერ დავაღწევდით ანალოგიური ხასიათის მასალების განმეორებას. ამგვარი სირთულის თავიდან აცილების მიზნით უმჯობესად მივიჩნიეთ კლასთა ბრძოლის საკითხები გადმოგვეცა მისი ფორმების მიხედვით, გვეჩვენებინა ბრძოლის ამა თუ იმ სახის მეტ-ნაკლები სიმძაფრის მომენტები.

აგრარული მოძრაობის ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებისას ჩვენ ვემყარებოდით ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებებს. გავითვალისწინეთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევები — ნ. დრუჟინინის, ნ. ლეშენკოს, ვ. იაცუნსკის; ი. კოვალჩენოს, პ. ზაიონჩკოვსკის, ა. ნიფონტოვის და სხვათა ნაშრომები[4]. რუსეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ მკვლევარები: მ. ნეჩკინა. ა. პაშკოვი, ნ. ცაგალოვი, და სხვ. მათი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ფუნდამენტური შრომები, რომლებშიც მეცნიერულადაა გაშუქებული რუსეთის გლეხთა მოძრაობის საკითხები.

XIX საუკუნის 60 — 90-იანი წლების საქართველოს სოფელში გაჩაღებული გლეხთა მოძრაობის ზოგიერთი ეპიზოდი გაშუქებულია რევოლუციამდელი და, მეტადრე, საბჭოთა მკვლევარების ნაშრომებში.

რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა უმრავლესობა ჩვენთვის საინტერესო ხანის კლასთა ბრძოლის საკითხებს ცარიზმის პოლიტიკის თვალსაზრისით უდგებოდა და ცდილობდა რამდენადაც შეიძლებოდა მიეჩქმალა გლეხთა მოძრაობის ფაქტები.

---

[4] Ежегодник по аграрной истории Восточной Европы, 1960. Киев, АН УССР, 1962 г.

ამგვარი მიმართულების მკვლევარები, ბუნებრივია, არ იძლეოდნენ სახალხო აჯანყებათა ობიექტურ შესწავლა-შეფასებას, გლეხთა მასობრივ მლელვარებებს და სახალხო აჯანყებებს უმნიშვნელო მოვლენად მიიჩნევდნენ და ტენდენციურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ისტორია ზედაპირულადაა მიმოხილული ს. ესაძის[5], გ. ზერცალოვის[6], გ. თუმანოვის[7] და სხვათა ნარკვევებში.

რევოლუციამდელ ავტორთა შორის ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე შედარებით ანგარიშგასაწევია ს. ავალიანის გამოკვლევები[8], ავტორი XIX საუკუნის 60 — 90-იანი წლების გლეხთა მოძრაობის გამომწვევ ფაქტორად რეფორმის შედეგებს მიიჩნევდა.

XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის საკითხებისადმი რევოლუციამდელ ხანაში გამოცემული ნაშრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გამოჩენილი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა „Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке“ (СПб, 1908 г.). ავტორი გასული საუკუნის 60—70-იანი წლების გლეხთა მოძრაობის გამომწვევ მიზეზებს იმჟამინდელი სოციალური ურთიერთობით ხსნიდა.

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ სპეციალური კვლევის საგნად აქცია XIX საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობა, მაგრამ მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში, სამწუხაროდ, მარტო მასობრივი შეიარაღებული აჯანყებები მოექცა. გლეხთა კლასობრივი ბრძოლის სხვა, შედარებით დაბალი ფორმები კი უყურადღებოდ იქნა მიტოვებული.

ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყებების გაშუქებას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, სახელდობრ. ე. გაბლიანი იკვლევს 1875 — 1876 წლების სვანეთის გლეხთა აჯანყებას, ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ცდილობს გადმოგვცეს აჯანყების ისტორია[9].

XIX საუკუნის გლეხთა მოძრაობის საკითხებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გ. ხაჭაპურიძემ, რომელმაც სხვა საკითხებ-

---

[5] С. Эсадзе, Историческая записка объ управленіи Кавказомъ, 1907, т. I, стр. 34.

[6] Г. Зерцалов, Юбилей Крестьянской реформы в Тифлисской губернии, Что дало помещичьим крестьянамъ Тифлисской губернии, Полож. 13 окт. 1864 г., 1914, стр. 17.

[7] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказье, С/Пет., 1900.

[8] С. Авалиани, Крестьянской вопрось в Закавказье, Одесса, т. I. 1912; т. II, 1913; т. III, 1914; т. IV, Тб., 1920 г.

[9] ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1925.

თან ერთად მოკლედ მიმოიხილა გასული საუკუნის 70-იანი წლების გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. გ. ხაჭაპურიძე იმავე პრობლემას კვლავ დაუბრუნდა ფ. მახარაძესთან თანაავტორობით გამოცემულ ნაშრომში[10]. გამოკვლევები ბევრ საყურადღებო ცნობებსა და დაკვირვებებს შეიცავს.

ვ. ონიანმა და ი. ავაზაშვილმა საკანდიდატო დისერტაციები მიუძღვნეს სვანეთის 1875 — 1876 წლებისა და კახეთის 1878 წლის აჯანყებებს[11].

აგრარული ბრძოლის ზოგიერთი საკითხი განხილულია პ. გუგუშვილის გამოკვლევაში[12], სადაც გაშუქებულია ადგილ-მამულთა გამიჯვნის გარშემო მემამულეებსა და გლეხებს შორის ფართოდ გაშლილი დავა და ბრძოლა, რომელიც ხშირად შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა. ავტორი სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით მიმოიხილავს საქართველოს სოფელში შექმნილ მდგომარეობას, ადგილ-მამულთა საზღვრების გაურკვევლობის გავლენას ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაზე, მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს და სხვ. აღნიშნულის მიუხედავად ზემოდასახელებული ნაშრომი მაინც ვერ ასახავს XIX საუკუნის 60—90-იანი წლების გლეხთა მოძრაობის საერთო სურათს, მის მრავალმხრივობას და სიმძაფრეს. ეს საკითხი ავტორის კვლევის ძირითად თემას არ წარმოადგენდა.

გლეხთა მოძრაობას რეფორმის მომდევნო პერიოდის საქართველოში ეხება ი. ანთელავა. იგი იკვლევს გლეხთა მოძრაობის მიზეზებს და მათ სავსებით სამართლიანად რეფორმის შედეგებს უკავშირებს[13]. ავტორი განიხილავს ზოგიერთ აგიტატორ გლეხის საქმიანობას, ბრძოლას 1864 წლის 13 ოქტომბრის ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ[14]. აღსანიშნავია ი. ანთელავას და ვ. გუჩუას

---

[10] გ. ხ ა ჭ ა პ ურ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, თბ., 1932; Ф. Э. М а х а р а д з е , Г. В. Х а ч а п у р и д з е , Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932.

[11] ვ. ო ნ ი ა ნ ი , სვანეთის აჯანყება 1875—1876 წწ. საკანდიდატო დისერტაცია თსუ, 1942; ი. ა ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ი , კახეთი XIX საუკუნის 30—70-იან წლებში და გლეხთა აჯანყება ქიზიყში 1878 წელს, საკანდიდატო დისერტაცია, თსუ, 1952.

[12] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბ., 1956.

[13] И. Г. А н т е л а в а , Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955.

[14] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა , საგლეხო რეფორმის პირველი დღეების შთაბეჭდილებანი და მომდევნო დღეების სინამდვილე (იხ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966, გვ. 432—437). იხ. აგრეთვე, ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა , რეფორმის შემდეგ დროინდელ აფხაზეთში აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (1870—1883 წლებში), საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. X, № 4, გვ. 251—257; მისივე, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, Тб. 1962 г.

ის ნაშრომი, რომელშიც განხილულია რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს სოციალური ურთიერთობის საკითხები[15]. შრომის ის ნაწილი, რომელიც ი. ანთელავას მიერაა შესრულებული ეხება დროებითვალდებულ და სახელმწიფო გლეხთა მოძრაობას, სათანადო მასალებზე დაყრდნობით განხილულია ქართველი გლეხობის ბრძოლის სხვადასხვა ფორმა (ბრძოლა სახნავ-სათესი მიწებისათვის, ტყეებისათვის, საძოვრებისათვის და ა. შ.), სამეგრელოს 1876 წლისა და კახეთის 1873 წლის აჯანყებები, მათი წარმოშობის, მსვლელობის და დამარცხების მიზეზები. ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც გუჩუა მიერაა შესრულებული ეხება ხიზანთა მდგომარეობას რეფორმის შემდგომ პერიოდში, ასევე ხიზანთა ბრძოლას მემამულეთა წინააღმდეგ.

ა. კიკვიძის ნაშრომებში გაშუქებულია XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს სოფელში გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმი[16]. ავტორი სოფლად მიმდინარე ბრძოლას აგრარულ საფუძველზე აღმოცენებულ მოძრაობად მიიჩნევს. იგი საგანგებოდ იხილავს ხალხოსნების დამოკიდებულებას 70-იანი წლების გლეხთა მოძრაობისადმი, მიუთითებს ხალხოსნური აგიტაციის მნიშვნელობაზე საერთო სახალხო აჯანყების მომზადების საქმეში[17].

ბ. რატიანის ნაშრომში განხილულია რეფორმის მომდევნო პერიოდის საქართველოს სოფელში ფართოდ გაშლილი გლეხთა მოძრაობა. იგი ეხება ბრძოლის სხვადასხვა ფორმას, იძლევა 70-იანი წლების საქართველოში არსებული ვითარების ანალიზს და სავსებით მართებულად მიუთითებს ამ დროს ჩვენში შექმნილ რევოლუციურ სიტუაციაზე[18].

გ. მეგრელიშვილის ნაშრომში ვრცლადაა დახასიათებული XIX საუკუნის რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს გლეხთა მოძრაობა, მისი ეტაპები და თავისებურებანი[19].

---

[15] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967.

[16] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში, ტ. I, 1951, გვ. 338, ტ. II, 1959, გვ. 93.

[17] ი ბ ე ვ ე.

[18] საქართველოს ისტორია, ტ. II, 1962, დამხმარე სახელმძღვანელო აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 128—139.

[19] Г. М е г р е л и ш в и л и, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века. тт. I, II, Тб., 1958, 1961.

ი. მირცხულავას გამოკვლევაში მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს გლეხთა მოძრაობის მოკლე დახასიათება[20].

ასევე საყურადღებოა ზ. შველიძის ნაშრომი, სადაც განხილულია 70-იანი წლების საქართველოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყების საკითხები. ეს გამოკვლევა არა ერთ ახალ ფაქტს და დებულებას შეიცავს საკუთრივ გლეხთა მოძრაობის შესახებ[21].

ზემოდასახელებული ავტორები სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დასაწყისად 1874 წელს მიიჩნევენ, ჩვენ მიერ ახლადგამოვლინებული წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს აჯანყება სინამდვილეში 1873 წელს დაიწყო.

ნ. ვანეევის ნაშრომში გაშუქებულია სამხრეთ ოსეთის გლეხთა ბრძოლა XIX საუკუნეში[22]. ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროები საფუძველსაარ იძლევიან დავეთანხმოთ ავტორისეულ დასკვნას, რომ თითქოს რეფორმის მომდევნო პერიოდის საქართველოს სოფელში აგრარული ბრძოლა შენელდა. მართალია, აღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებისმაგვარ გრანდიოზულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ საქართველოს გლეხობა არ შერიგებია არსებულ მდგომარეობას და ბრძოლაზე ხელი არ აუღია, პირიქით, სოციალური ანტაგონიზმის გამწვავების საფუძველზე გლეხობის კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გაღრმავდა. მან უფრო, სისტემატური, მასობრივი და მძაფრი ხასიათი მიიღო.

აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმის გატარებისას გაშლილი აგრარული მოძრაობის ზოგიერთ საკითხს გაკვრით ეხება ე. კვასნიკოვა[23]. მაგრამ იგი მხოლოდ საწესდებო სიგელების შედგენის ირგვლივ წარმოშობილ კონფლიქტებზე ლაპარაკობს, რაც რა თქმა უნდა, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის საერთო სურათს ვერ იძლევა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს სოფელში გამწვავებულ კლასობრივი ბრძოლისადმი იმ დროის მოწინავე ინტელიგენ-

---

[20] ი. მ ი რ ც ხ ულ ა ვ ა, აგრარულ-ეროვნული საკითხი საქართველოში, 1900—1917 წწ., თბ., 1965, გვ. 104—105.

[21] ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

[22] Н. В а н е е в, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-осетии в XIX веке, Сталинири, 1956.

[23] Э. К в а с н и к о в а, Изменение крестьянского надельного землепользования в Восточной Грузии в результате реформы 1864 г. Научные доклады высшей школы «Исторические науки», № 4, 1964., стр. 75—88.

ციის დამოკიდებულება გაზეთ „თბილისის მოამბის“ მასალების მიხედვით კარგადაა გაშუქებული ლ. ჩიქოვანის გამოკვლევაში[24].

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ გამოკვლევებიდან აღსანიშნავია გ. გულბანის ნაშრომი. მასში მიმოხილულია სვანეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, გადმოცემულია აჯანყების მსვლელობა და შედეგი[25].

1875 — 1876 წლების სვანეთის გლეხთა აჯანყების საკითხები გადმოცემულია ა.ჩარკვიანის ნაშრომში, სადაც ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით მართებულადაა ახსნილი აჯანყების გამომწვევი მიზეზი, მსვლელობა, ხასიათი და დამარცხების მიზეზები[26].

საკვლევი თემის ამა თუ იმ მხარეს ეხებიან: შ. ჩხეტია, ა. სურგულაძე, ი. კაჭარავა, ზ. ანჩაბაძე, ალ. ბენდიანიშვილი, გ. ფურცელაძე, ი. უთურაშვილი, შ. მეგრელიძე, გ. ძიძარია და სხვები.

ამრიგად, XIX საუკუნის 60 — 90-იანი წლების გლეხთა მოძრაობის საკითხებს აშუქებს რევოლუციამდელი და მეტადრე საბჭოთა პერიოდის მრავალი ავტორი. მართალია, მათი შრომები საგულისხმო ფაქტებს და ზოგჯერ გასათვალისწინებელ დასკვნებსაც შეიცავს, მაგრამ გამოქვეყნებული გამოკვლევები მხოლოდ ზოგიერთ შეიარაღებულ აჯანყებას ეხება. გლეხთა მოძრაობის სხვა ფორმები, სხვა მასობრივი მღელვარებანი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში სავსებით შეუსწავლელია, ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი უცნობი და გაუთვალისწინებელია.

წინამდებარე ნაშრომის ძირითად დოკუმენტურ ბაზას წარმოადგენს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო არქივებში დაცული პირველადი საისტორიო წყაროები[27].

თემის დამუშავებისათვის პირველხარისხოვანი, მდიდარი მასალა აღმოჩნდა საქართველოს საისტორიო არქივში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გორის მაზრის უფროსის ფონდი (48). აქ დაცული მასალები ასახავს მემამულე მაჩაბლების, ციციშვილების, ერისთავების, ამილახვრების და სხვა ქართველ მემამულეთა მიწებზე მცხოვ-

---

[24] ლ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ (1873—1882 წწ.) სოციალ-პოლიტიკური პროფილი, თბ., 1965.

[25] გ. გ უ ლ ბ ა ნ ი, ეს იყო მთაში, თბ., 1965.

[26] ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი, თბ. 1967.

[27] XIX საუკუნის რეფორმის მომდევნო პერიოდის გლეხთა მოძრაობის საკითხებზე საარქივო მასალების ძალზე მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. იხ. ა. კ ო ბ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში, დოკუმენტების პუბლიკაცია, საისტორიო მოამბე № 1. 1945; Документы по истории Грузии (1862—1917). том I, часть I, под редакцией проф. Ш. К. Ч х е т и я, Тб., 1954.

რებ დროებითვალდებულ გლეხთა მოძრაობას. მიკვლეული დოკუმენ-ტები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გლეხთა ამ გამოსვლების მიზეზები, ხასიათი, მასშტაბი, ხელისუფლების მიერ გატარებული კონტრღონისძიებანი და სხვ.

მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს თბილისის გუბერ-ნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს ფონდი (31), სადაც დაცულია მაზრის უფროსებისა და მომრიგებელ შუამავალთა ანგარიშები, გლეხ-თა და მემამულეთა ათასობით საჩივარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალებს იძლევა საწესდებო სიგელები და გამოსყიდვითი ხელშეკრუ-ლებანი, რომლებიც შუქს ჰფენენ აგიტატორ გლეხთა საქმიანობას რე-ფორმის გატარების პროცესში, ნადელების შესყიდვის ირგვლივ მიმ-დინარე ბრძოლას და სხვ.

მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები აღმოჩნდა კავკასიის მთავარმართებლობასთან არსებულ საგლეხო საქმეების მომწყობი კო-მისიის (220), მეფისნაცვლის (5), თბილისის გუბერნატორის (17) კანცე-ლარიების ფონდებში. აქ დაცული მასალები ძირითადად ეხება გლეხ-თა ბრძოლის ისეთ ფორმებს როგორიც იყო გადასახადებზე უარის თქმა, მემამულეებზე თავდასხმები და სხვ.

საინტერესო მასალები აღმოჩნდა თბილისის სასამართლო პალატის (113), კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის კანცელარი-ის (12), თბილისის საგუბერნიო მმართველობის (26), კავკასიის სახალ-ხო-სამხედრო მმართველობის (545), მთავარმართებლობის სამოქა-ლაქო ნაწილის დეპარტამენტის (7), თბილისის სისხლისა და სამოქა-ლაქო სამართლის პალატის (112), თბილისის საოლქო სასამართლოს (116), ამავე სასამართლოს პროკურორის (115) ფონდებში. დასახელე-ბულ ფონდებში დაცული საარქივო მასალები ასახავენ საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორ-მას.

საინტერესო მასალებს მივაკვლიეთ ქუთაისის სახელმწიფო არქი-ვის: გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს (32), გუბერნიის სა-მმართველოს (18), გუბერნატორის კანცელარიის (130), სამხედრო გუ-ბერნატორის (196) და სხვა ფონდებში. ეს დოკუმენტები მოგვითხრო-ბენ დასავლეთ საქართველოში გაშლილ აგრარულ ბრძოლაზე.

გლეხთა მოძრაობის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდებში დაცულ მასალებს, რომელიც სამეგ-რელოს 1873 — 1876 წლებისა და სვანეთის 1875 — 1876 წლების აჯანყებებს შეეხება. ეს დოკუმენტები ინახება იმპერატორის კანცე-

ლარიის მესამე განყოფილების ფონდში (109), რომელიც ამჟამად გადატანილია ლენინგრადში[28].

გლეხთა მოძრაობის საკითხებზე ბევრი საყურადღებო დოკუმენტია დაცული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში (ლენინგრადი). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იუსტიციის მინისტრის ფონდი (1405), სადაც ინახება პროკურორის მოხსენებები, მისი განკარგულებანი რევოლუციონერთა ადმინისტრაციული წესით დასჯაზე და სხვ. მდიდარ ცნობებს გვაწვდის „კავკასიის კომიტეტის" ფონდი (1268). ეს მასალები უპირატესად წარმოადგენს მეფისნაცვლის, თბილისის და ქუთაისის გუბერნატორების კავკასიის კომიტეტთან მიწერ-მოწერას და სხვა საქმიან დოკუმენტებს. წარმოჩენილი მასალა საშუალებას გვაძლევს შედარებით დაწვრილებით შევისწავლოთ საქართველოს გლეხთა აჯანყებების დაწყებისა და მსვლელობის ისტორია, ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ აჯანყების მამოძრავებელ ძალებზე, მის გავრცელების არეზე და სხვ.

საარქივო დოკუმენტებით სარგებლობისას ჩვენ ვცდილობდით ჯეროვანი სიფრთხილე გამოგვეჩინა. კრიტიკულად ვუდგებოდით გამოვლენილ მასალებს, ვითვალისწინებდით იმას, რომ მეფის მოხელეები წინაზრახულად, არაობიექტურად, მუქ ფერებში ხატავდნენ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას; მაგალითად მთავრობის მოხელეთა მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში გლეხთა მღელვარება, მოძრაობა, გამოსვლები, შეიარაღებული აჯანყებები, წარმოდგენილია ეპიტეტებით: „გაუგებრობა", „ურჩობა", „უწესრიგობა", „ამბოხება", „ყაჩაღობა", „ძარცვა" და სხვ., ხოლო მებრძოლი გლეხები მონათლულნი არიან „მკელელებად", „ავანტურისტებად", „ყაჩაღებად" და სხვ. შედგენილი საბუთები მემამულეთა მიმართ აპოლოგეტურია, ხოლო გლეხთა მიმართ პირიქით — დასმენითი ხასიათისაა.

ცარიზმის მოხელეები გლეხთა მოძრაობის სხვადასხვა ფაქტების აღწერისას რიგ შემთხვევებში აზვიადებდნენ იმ გამოსვლების მასშტაბს, რომელთა ჩახშობასაც ახერხებდნენ. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ თავის დამსახურებას და ჩინ-მედლების მიღებასაც აღწევდნენ, ხოლო სხვა შემთხვევებში ასევე წინაზრახულად ჩქმალავდნენ გლეხთა გამოსვლების ფაქტებს, მათ მასშტაბს და საქმეს ისე სახავდნენ, რომ თითქოსდა სოფლად ყველაფერი რიგზე იყო.

---

[28] იმ დროს როდესაც ჩვენ ამ ფონდზე გვიხდებოდა მუშაობა და მასალების გამოვლინება, იგი მოსკოვში იყო დაცული. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში აქ გამოვლენილი მასალები მითითებულია ძველი სახელწოდებით ЦГИАМ (მოსკოვის ცენტრალური სახ. ისტორიული არქივი).

პრობლემის ახეადასხეა ასპექტის გასაშუქებლად ფრიად საყურადღებო მასალებს შეიცავენ საკვლევი ხანის თანადროული ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები: „კოლოკოლი“, „ვპერიოდი“, „დროება“, „ივერია“, „თბილისის მოამბე“, „შრომა“, „გუთნის დედა“, „კვალი“, „სასოფლო გაზეთი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ. პერიოდული პრესის ორგანოები მეტ-ნაკლები აქტიურობით ეხმაურებოდნენ მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, მათ შორის გლეხთა მოძრაობებს და სხვ. ბუნებრივია, პრესის მონაცემები ფართოდაა გამოყენებული ჩვენი გამოკვლევის საშენ მასალად.

მრავალფეროვანი საარქივო და სხვა წყაროების მონაცემებით სარგებლობისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ზოგადი და კონკრეტული დებულებებით. ვცდილობდით ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განმაპირობებელი სოციალ-ეკონომიური ფაქტორების და მიზეზების დადგენას, გლეხთა მოძრაობის ერთიანი პროცესის წარმოდგენას მისი ფორმებისა და მასშტაბის მიხედვით. ვესწრაფოდით აგრარული მოძრაობის დინამიკის ჩვენებას, გლეხთა მოძრაობის აღმავლობისა თუ დაღმავლობის საერთო სურათის, ასევე ბრძოლის მეთოდების, ფორმებისა და შინაარსის დადგენას.

თ ა ვ ი I

საგლეხო რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმისშემდგომი პერიოდის საქართველოს სოფელში აგრარულ-კლასობრივი ბრძოლა სწორად რომ ვავიგოთ, ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები, 70-იან წლებში შექმნილი რევოლუციური სიტუაცია და გლეხთა მოძრაობის მთელი რიგი საკითხები, ამისათვის საჭიროა შეეხოთ საგლეხო რეფორმას და მის შედეგებს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ახალ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ მეურნეობაში თავი იჩინა რღვევის პროცესმა, ფეოდალური ფორმაციის შიგნით ჩასახულმა ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ — კაპიტალიზმმა სწრაფად იწყო განვითარება, რამაც დააჩქარა მემამულურ-ბატონყმური წყობილების ნგრევა, ძირი გამოუთხარა საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ფეოდალურ ურთიერთობას. აშკარად იგრძნობოდა, რომ ძველი წარმოებითი ურთიერთობა აბრკოლებდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა XIX საუკუნის 50-იან წლებში. ქვეყნის ეკონომიური განვითარების ინტერესები მოითხოვდა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრას.

კონსერვატიულად განწყობილი რუსი მემამულე-მებატონეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ბატონყმობის გაუქმებისათვის, მაგრამ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერება მათ სურვილზე არ იყო დამოკიდებული, „მემამულე-მებატონეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ შეეძლოთ... შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლის პროცესში მყოფი ფორმები"[1].

1861 წლის 19 თებერვლის დებულების შედეგად რუსეთში საგ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი , თხზ., ტ. 17, გვ. 127.

ლეხო რეფორმის განხორციელება მრავალმა ობიექტურმა მიზეზმა გაანაპირობა, რომელთა შორის უმთავრესს მაინც ეკონომიური განვითარების საკითხი წარმოადგენდა.

რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ღრმა კრიზისსა და მისი დაძლევის აუცილებლობაზე დამაჯერებლად მეტყველებს გლეხთა მოძრაობის სწრაფი ზრდა, რომელმაც XIX საუკუნის 50-იან წლებიდან, განსაკუთრებით კი ყირიმის ომის შემდეგ, მწვავე და მასობრივი ხასიათი მიიღო. გლეხთა მოძრაობა იზრდებოდა, როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1855 — 1860 წლების რუსეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარების 774 შემთხვევას[2]. ამქედან მარტო 1860 წელს 100-ზე მეტი მღელვარება მოხდა. გლეხთა მოძრაობის ასეთი ზრდა სერიოზულად აშინებდა მეფის ხელისუფლებას და აიძულებდა მას შექმნილი ვითარების განმუხტვის გზები ეძია.

ყირიმის ომმა კიდევ უფრო გააღრმავა კლასობრივი ანტაგონიზმი, გამოააშკარავა ბატონყმური რუსეთის ჩამორჩენილობა და სიდამპლე. გამოჩენილმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა — ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლიუბოვმა, ა. გერცენმა, ნ. ოგარევმა და სხვებმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასახეს ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, მთელი პირდაპირობით ამხილეს ბატონყმური სისტემის არსი და მოითხოვეს მისი გაუქმება.

ვ. ი. ლენინი 1859—1861 წლებში შექმნილ ვითარებას რევოლუციურ სიტუაციად თვლიდა[3] და კონკრეტული მაგალითებით ახასიათებდა მას: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიანხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა — ასეთ პირო-

---

[2] Е. Мороховец, Крестьянская реформа 1861 г., м., 1937; стр. 93: იხ. აგრეთვე, С. В. Токарев, О численности крестьянских выступлении в России в годы первой революценной ситуации, 1960, стр. 129.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 249.

ბებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა[4].

მეფის ხელისუფლებას ეშინოდა, რომ რევოლუციური სიტუაცია რევოლუციაში არ გადაზრდილიყო, რასაც შეიძლება არა მარტო ბატონყმობის გაუქმება, არამედ მთლიანად ცარიზმის დამხობაც ნოჰყოლოდა[5]. აღნიშნული ვითარება ხელისუფლებას აიძულებდა ისეთი ღონისძიებები გაეტარებინა, რომლებიც თავიდან ააცილებდა ქვეყანას რევოლუციას და თვითმპყრობელური პოლიტიკური წყობილების საფუძველზე დამყარებულ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებს შექმნიდა. 1856 წლის 30 მარტს ალექსანდრე II იძულებული გახდა განეცხადებინა: „სჯობს გავათავისუფლოთ ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ქ ვ ე ვ ი დ ა ნ დაგვამხობდნენო“[6].

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიური განვითარება, ყირიმის ომი, საწარჩოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის წინააღმდეგობათა გამწვავება, რევოლუციონერ-დემოკრატთა თავდადებული ბრძოლა იყო ის ძირითადი მომენტები, რომლებმაც განაპირობეს საგლეხო რეფორმის გატარება რუსეთში.

ბატონყმობის გაუქმების წინ საქართველოშიც რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა; აქაც იგივე ფაქტორები მოქმედებდნენ, რომლებმაც განაპირობეს ბატონყმობის გაუქმება რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

მართალია, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ქუთაისის თავადაზნაურობას განუცხადა, საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას ჯერ არ ვაპირებო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დაპირება. მოვლენათა მსვლელობა ჩვენშიც გარდაუვალს ხდიდა ბატონყმობის გაუქმებას.

რეფორმის წინ საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა-აღებმიცემობა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საქონლიანობა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადიოდა არა მარტო ადგილობრივ ბაზრებზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოდან რუსეთში გაჰქონდათ თამბაქო, ღვინო, სიმინდი და სხვა საქონელი. 1863 წელს თამბაქოს წარმოებით და ვაჭრობით ცნობილი გახდა

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 34—35.

[5] Революционная ситуация в России в 1859—1861 гг., сборник статей; Редакционная к[illegible]ия, В. И. Дячков, Я. И. Липков, И. С. Миллер, академик М. В. Нечкина (ответственный редактор), А. Смирнов. Изд. АН СССР, М., 1960, 1962; История русской экономической мысли, т. I, часть первая, 1955.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

თორნიკე ერისთავი.) „მისმა წარმატებამ იმდენად წაახალისა კახელები, რომ შემდეგ წელს 200-ზე მეტი მემამულე და გლეხი გაჰყვა მის მაგალითს.... 1864 წელს კახეთში მოიწიეს 10.000 ფუთზე მეტი თამბაქო, რომლის ნაწილი გაიყიდა თბილისში ფუთი 9 მანეთად. ამ საქონლით რომ არ გადაეტვირთათ ადგილობრივი ბაზრები, სიღნაღის ზოგიერთმა მემამულემ თამბაქო დიდი ტრანსპორტით გაგზავნა მოსკოვში, სადაც მათ იმედი ჰქონდათ ამ საქონლისათვის ეპოვათ ახალი და ხელსაყრელი ბაზარი“[7].

რეფორმამდელ საქართველოს ბაზრებზე გამოჩნდა ევროპის ფაბრიკების ნაწარმი. 1851 წელთან შედარებით 1864 წელს შემოტანილი საქონლის ღირებულება 4.193.433-დან 7.476.000 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო ქართული საქონლის ექსპორტი—1.104.800 მანეთიდან 3.665.000 მანეთამდე[8]. აღებმიცემობის ცენტრად თბილისი ითვლებოდა. შემოტანილი საქონელი თბილისიდან მთელი ამიერკავკასიის ბაზრებზე იგზავნებოდა.

ვ. ი. ლენინი რუსეთის მაგალითზე წერდა: „მემამულეთაგან პურის გასაყიდად წარმოება, რაც განსაკუთრებით განვითარდა ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის მაუწყებელი იყო“[9]. ბუნებრივია, თამბაქოს, სიმინდის, ღვინის სარეალიზაციოდ დამზადება ჩვენშიც ანალოგიური მოვლენის ნიშანი იყო.

ბაზრისათვის პროდუქტების წარმოებამ, ანუ სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ დააყენა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საკითხი.

ქართველი მემამულეები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მეურნეობის ძველებურად წარმართვა რაციონალური და ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ მათ თავიანთი მეურნეობები მთავრობის დახმარებით ხშირად გადაჰყავდათ კაპიტალისტურ რელსებზე. ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების გავლენით ისინი მიმართავდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანსაც სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია და გაუმჯობესება წარმოადგენდა. საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან იწერდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, შემოჰქონდათ ახალ-ახალი კულტურები, იწვევდნენ აგრონომებსა და სხვა სპეციალისტებს[10], ქირაობდნენ მუშებს, აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენებში. ცალკეული მემამულეები —

---

[7] გაზ. „კავკაზი“, 1861, № 5.

[8] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. 8, გვ. 9.

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3. გვ. 207—208.

[10] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, 1948, № 4. გვ. X LI—XXLI.

მუხრანბატონი, დიასამიძე, ფურცელაძე, ამილახვარი, ჭავჭავაძე, გურგენიძე, მარი, დადიანი, ქორქაშვილი, ანდრონიკაშვილი, ერისთავი, ბარონ ნიკოლაი, ანანოეი და სხვები[11] ცდილობდნენ თავიანთი მეურნეობების გარდაქმნა-გაუმჯობესებას. „თავის დღეში არ ყოფილა ამთენი ესსურველი ახალი მაშინების, ანუ ახალი თესლების დაბარებისა, — წერდა ჟურნ. „გუთნის დედა", — არც მომხმარებელი მამულზედ ამთენის ფულისა... გამოჩნდნენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც. საცაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერსა და ანგარიშიან წესზედ"[12].

რეფორმამდელ საქართველოში განვითარებული იყო მანუფაქტურული წარმოება[13]. მან თავდაპირველად ფეხი მოიკიდა წარმოების ისეთ დარგებში, როგორიც იყო მეკასრეობა, მინის წარმოება და სხვ. მართალია, იმხანად ჩვენში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა მცირე რაოდენობა იყო გაერთიანებული, მაგრამ ისინი თავიანთი ბუნებით მაინც კაპიტალისტურ საფუძველზე იდგნენ.

1869 წლისათვის თბილისის გუბერნიაში წერილი და მსხვილი საწარმოების საერთო რიცხვი, საარქივო მასალების თანახმად, საკმაოდ დიდი იყო — 420[14]. ცხადია, ჩვენ სრულიადაც არ ვცდილობთ დავამტკიცოთ თითქოს ყველა ეს საწარმო მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა ყოფილიყოს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებშია მოხსენიებული, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი მარტივი ტიპის კაპიტალისტურ მანუფაქტურებს წარმოადგენდნენ[15].

---

[11] შ. ჩხეტია საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", 1948, № 4, გვ. XLI—XXLI.

[12] ჟურნ. „გუთნის დედა", 1863, № 1.

[13] პ. გუგუშვილი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1938, ნაკვ.III, გვ. 5—44.

[14] Центр. гос. ист. Архив СССР в Ленинграде (შემდეგ იხილეთ შემოკლებით ЦГИАЛ) ф. 1266, оп. 10, дел. 127, лл. 270—280.

[15] საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორიის ცარიზმის აგრარული პოლიტიკისა და გლეხთა მოძრაობის საკითხების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შესწავლაში დიდი მუშაობა ჩაატარეს: პ. გუგუშვილმა (П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, 1950, მისივე, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში, ჟურნ. „ბოლშევიკი", 1939, № 9—10); შ. ჩხეტიამ (Ш. Чхетия, Буржуазные реформы в Грузии, იხ. Документы по истории Грузии, т. I, часть I (1862—1917), 1954, стр. IX—LIV; მისივე, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, იხ. „საისტორიო მოამბე", 4, 1948, გვ.V—48, და სხვ.); ი. ანთელავამ (И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, 1967); ა. კიკვიძემ (საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1954, ტ. 2, 1959); ზ. ანჩაბაძემ (Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, 1966, მისივე, К вопросу и роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии (მასალები საქ. და კავკასიის ისტო-

იმ დროის პერიოდულ პრესაში გახშირდა საუბარი ყმა გლეხთა შრომის დაბალნაყოფიერებასა და დაქირავებულთა შრომის უპირატესობაზე. „ყმები ძველინდელი სამსახურის მეტს არ ასრულებენ, რომელ ბატონს ძველად არ უთესია ხორბალი, ის ეხლაც ვერ დათესავს. — წერდა ჟურნალი „გუთნის დედა", — რაც უნდა დარწმუნებული იყოს ხორბლის სარფიანობაზე, ახალ გუთანს, ახალ მაშინას ხელს არავინ მოჰკიდებს ყმებთაგან, თუ ბატონმა ფულით არ დ ა ი ჭ ი რ ა მ უ შ ე ბი"[16]. (ხაზი ჩვენია, — მ. ა.). ქართველი მემამულეები თანდათან დარწმუნდნენ, თუ რა უპირატესობა ჰქონდა ყმა გლეხთან შედარებით დაქირავებული, თავისუფალი მუშახელის შრომას. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1857 წლითაა დათარიღებული ვკითხულობთ: საბატონო სამუშაოზე ყმა გლეხების შრომა დაქირავებულ მუშახელზე უფრო ძვირია, არიან ისეთი მემამულეებიც რომლებიც ცდილობენ ბეგარა ფულადი გადასახადით შეცვალონო[17] დოკუმენტში, რომელშიც გამოთქმულია თელავის თავადაზნაურობის აზრი ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით და აღწერილია ყმა გლეხების შრომა, ნათქვამია: „ჩვენი გლეხები ისე გაზარმაცებულები არიან მებატონის სამსახურზე, რომ მანამ დღე კარგად არ გატყდება და საუზმის დრო არ მოატანს, არ მივლენ სამუშაოდ"[18].

თუ რამდენად ფართოდ გავრცელდა რეფორმისწინადროინდელი პერიოდის საქართველოში დაქირავებული შრომა, ამაზედ ნათლად მეტყველებს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელიც კახელი თავადის ანდრონიკაშვილის თამბაქოს პლანტაციების გაფართოებას ეხება. ასეთ გამსხვილებულ მეურნეობებში აუცილებელი გამხდარა დაქირავებული მუშების მოყვანა „მათ (მემამულეებს, — მ. ა.), — წერდა „კავკაზი", — არ გაჭირვებიათ მუშების ძებნა, საჭირო აღარ შეიქნა მათი მოყვანა ტრაპეზუნდიდან. ისინი თვითონ მოდიოდნენ სამუშაოდ მემამულეებისათვის ხელსაყრელი პირობებით"[19].

რიისათვის, 1954, გვ. 50—60); ვ. მ ო ჩ ა ლ ო ვ მ ა (В. Д. Мочалов, Крестьянская реформа в закавказье, „Доклады и сообщения института истории", вып. 3, 1954); ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა მ (მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, 1969); დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე მ (კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, 1959); ამავე საკითხს სპეციალური დისერტაციები მიუძღვნეს აგრეთვე გ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე მ (საგლეხო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში), დ. ა ხ ა ლ ა ი ა მ (საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, 1958) და სხვ.

[16] ჟურნ. „გუთნის დედა", 1864, № 11.

[17] Записка кавказского общества, 1857, стр. 13—15.

[18] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 406—407.

[19] გაზ. „კავკაზი", 1965, № 41.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ გლეხებთან, რომლებიც მოკლებული იყვნენ წარმოების საშუალებას და იძულებული გახდნენ გაეყიდათ თავიანთი სამუშაო ძალა, როგორც საქონელი.

ვაჭრობა-აღებმიცემობისა და სასაქონლო წარმოების განვითარების შედეგად საბატონო ვალდებულებებში გარკვეული ცვლილებები მოხდა. გაიზარდა ფულადი რენტა. უმიწაწყლო და ხელმოკლე გლეხები ფულს სესხულობდნენ მევახშისაგან, აგირავებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, გადიოდნენ ქირაზე და სხვ.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება აღრმავებდა დიფერენციაციას სოფლად, ქმნიდა შედარებით მდიდარ გლეხთა ფენას, დღის წესრიგში აყენებდა ნატურალური რენტის ფულადით შეცვლის აუცილებლობას. ეს ფაქტი თავისთავად ახალი ცხოვრების შემოჭრის მაუწყებელი იყო: „პირველად სპორადულად, ხოლო შემდეგ კი მეტნაკლებად ეროვნული მასშტაბით, — წერდა კ. მარქსი, — მიმდინარე გადაქცევა პროდუქტებით გამოხატული რენტისა ფულად რენტად გულისხმობს ვაჭრობის, საქალაქო მრეწველობის, საერთოდ საქონელწარმოების და ამასთან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას“[20]. XIX საუკუნის 30—40-იან წლებში ფულზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად მემამულეები აძლიერებდნენ ყმა გლეხთა ექსპლოატაციას, აწესებდნენ ახალ-ახალ ფულად გადასახადებს. თუ რეფორმამდელ საქართველოში გლეხთა მოძრაობის მიზეზებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ იგი გამოწვეული იყო მემამულე-მებატონეთა მიერ თვითნებურად გადიდებული ფულადი გადასახადებით.

ამრიგად, რეფორმის წინადროინდელ პერიოდის საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, გაიზარდა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების რაოდენობა, გაჩნდა წვრილ-წვრილი ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები და კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურული წამოწყებანი. ახალი ეკონომიური ურთიერთობის განვითარება თავისუფალი მუშახელის მოთხოვნას აყენებდა, მეურნეობის ბატონყმური წესი კი აბრკოლებდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობაში ახალ თაოსნობას; რეფორმამდელ საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად გლეხობის ერთმა ნაწილმა შეძლო დაეგროვებინა ფული, რათა იგი თავის გამოხსნისათვის გამოეყენებინა. ამ პროცესმა შედარებით მასობრივი ხასიათი მიიღო 50—

---

[20] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 419.

რ0-იან წლებში, რაც აგრეთვე ბატონყმური ურთიერთობის კრიზისს ადასტურებდა. „ძველი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი, მის წიაღში წარმოშობილი ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება აქაც, ისე როგორც რუსეთში, შესამჩნევია ცხოვრების ყველა უბანზე. საქართველოში, ტერიტორიულად პატარა და ხანგრძლივი ომებით გაპარტახებულ ქვეყანაში, ეს პროცესი, ცხადია, რუსეთთან შედარებით ვიწრო მასშტაბითა და მინიატურულ ფორმებში გვევლინება მხოლოდ, მაგრამ აქ მნიშვნელობა ენიჭება არა რაოდენობას, არამედ პროცესის თვისებრივ მხარეს, თავისთავად კი რუსეთის ერთიანი ბაზრის ორბიტაში მოქცეული საქართველო ძველი და ახალი ურთიერთობის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების სიმწვავეს განიცდის. ჩვენშიც კვდება ძველი და იბადება ახალი, რომელიც ნელა და მტკივნეულად მიიწევს წინ დრომოჭმული ურთიერთობით ჩახერგილ გზაზე"[21].

XIX საუკუნის 50 — 60-იან წლებში შექმნილი ვითარების შესწავლა საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქართველო საგლეხო რეფორმის გატარებისათვის ეკონომიურად მომზადებული იყო და როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, გაბატონებული კლასი უცველელი სახით თავის ბატონობას ვერ შეინარჩუნებდა.

რეფორმის აუცილებლობა განაპირობა როგორც ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ, ისე გლეხთა მოძრაობამ.

რეფორმამდე მემამულეები იძულებული იყვნენ ერთგვარი ანგარიში გაეწიათ ყმა გლეხების ეკონომიური შესაძლებლობისათვის, რადგანაც მათი შემოსავალი გლეხის დოვლათზე იყო დამოკიდებული, ხოლო როდესაც ცნობილი გახდა ბატონყმობის გაუქმების მოახლოვება, ისინი შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ გლეხებისათვის. რეფორმის წინ საბატონო ყმები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგანაც საქართველოში ყმა გლეხების ბეგარა-გადასახადების ოდენობა წერილობითი აქტებით არ იყო განსაზღვრული, ამიტომ ყოველი მებატონე თვითნებურად აწესებდა სხვადასხვა სახის გადასახადს.

გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა კოლონიური ჩაგვრა, მეფის მოხელეების, პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატის მექრთამეობა და სხვა ბოროტმოქმედებანი.

ამრიგად, რეფორმის წინადროინდელ პერიოდში საქართველოს სოფელში მდგომარეობა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვე-

---

[21] ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, 1968, გვ. 110—111.

ულებრივზე მეტად გამწვავდა“. XIX საუკუნის 50-იან წლებში — დიდი სოციალური ძვრების ხანაში, როდესაც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ხოლო მეორე პირველის ნანგრევებზე მტკიცდებოდა, იცვლებოდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებაც. ნატურალური მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას. თავადაზნაურობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა — ისინი ვალებში ეფლობოდნენ და მამულებიც ხელიდან ეცლებოდათ. აღნიშნულ პერიოდში გლეხთა ექსპლოატაცია იმდენად გაძლიერდა, რომ მეტის ატანა უკვე შეუძლებელი იყო.

XIX საუკუნის 50 — 60-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი რევოლუციური სიტუაცია ძირითადად გლეხთა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობით გამოიხატა. რუსეთში საგლეხო რეფორმის განხორციელებისათვის მზადება საქართველოში იმთავითვე გახდა ცნობილი, ხოლო 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით ბატონყმობის გაუქმებამ საქართველოს სოფლის გლეხობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. „კაცი, რომელიც მაძლევდა კრესტიანსკი ეოპროსის წინათ ათას ხუთას თუმანს თეთრს ფულს თავისუფლებისათვის, — წერდა ივ. მაჩაბელი გორის მაზრის უფროსს, — არა ზოგავს არაფერს ცდას მე გამამტყუნოს და თავისუფლადაც არის სრულებით 1861 წლიდან ყოველ ჩემს სამსახურში... ბატონყმობის გაუქმების ხმის გამო ჩემნი ყმანი გადასდგნენ ჩემს ჩვეულებრივს სამსახურიდან, დაიწყეს ჩემზე საჩივრები და პირად-პირადი მძლავრობა... არ მომცეს ფულით სამსახური, მომიხტნენ პირუტყვი, საქონელი წამართვეს, მსახურობიდან გამექცნენ, შვილი ხმლით დამიჭრეს და ამოწყვეტას მიპირებენ სახლეულობით“[22].

ყმა გლეხების მნიშვნელოვან მღვლვარებას ადგილი ჰქონდა სოფ. ქალაში (1857), აბისში, ნოსტეში (1858), ქსნის ხეობის სოფლებში: ელტურაში. დისილინაში, დვილულში, სხლითში, ვანურში, საკანაფოში, ქარელში, კეხიჯვარში, ხვედურეთში, ყინწვისში, წრომში, კეხვში და ა. შ. ბრძოლის გზას დაადგნენ სიღნაღის მაზრაში ანდრონიკაშვილის, თელავის მაზრაში — ჩოლოყაშვილის ყმები; სამეგრელოში ჩიჩუების, ჩიქოვანების. გამსახურდიების, კორძაიების და სხვათა წინააღმდეგ გამოვიდნენ: შელიები, კუპრავები, გამყრელიძეები, გაბისონიები, ფირცხალავები, რუხაძეები, ლაშხიები და სხვ.[23].

მასობრივი ხასიათი. მიიღო გლეხების გაქცევა-გახიზვნამ. მებატონეთა თვითნებობით თავმოძულებული გლეხები ტოვებდნენ მშობლი-

---

[22] სსსა, ფ. 9, ანაწ. 1, საქ. 1152, ფურც. 3.

[23] სსსა, ფ. 416, ანაწ. 6, საქ. 4, ფურც. 523.

ურ კუთხეს, ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი ჯგუფურად იხიზნებოდნენ სხვა სოფლებში ან ქალაქებს აფარებდნენ თავს. გორის მაზრიდან გაიქცნენ მუხრან ბატონის ყმები: „მე მყვანდა ჩემს სახლში მოსამსახურე სოლომონ გაბოძე, — წერდა ლუარსაბ თარხნიშვილი გორის მაზრის უფროსს, — რომელმაც დამპარა სამნი სხვანი მოსამსახურენი და მეოთხე თვით გამექცნენ"[24]. ასევე მოიქცნენ სხლითელი, ლაილაშელი, ყარაბულახელი, ნოსტელი და სხვა გლეხები.

გლეხობა თავის პროტესტს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ხშირად მებატონეთა მკვლელობით გამოხატავდა. 1857 წელს სოფ. კარდანახში (სიღნაღის მაზრა) გლეხებმა მოკლეს გიორგი ეაჩნაძე, გორში — ამილახვარი; 1858 წელს საბუეში (თელავის მაზრა) — იოსებ ჯორჯაძე, ყვარელში — ალექსანდრე არღუთინსკი, გორში — ერისთავი, წროშაშვილი, ნათიშვილი, გიორგი თარხნიშვილი; 1863 წელს ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა) — ლორთქიფანიძე, ოზურგეთში — ბოქოიძე, გიორგი გურიელი, გორის მაზრაში — ციცაგი, ციციშვილი, სამეგრელოში — გაბუნია[25], მოუხტნენ ოზურგეთის მაზრის უფროსს და ა. შ. უამრავი ასეთი ფაქტის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რეფორმის წინადროინდელი საქართველოს სოფელში გლეხთა ამ სახის ბრძოლის მასობრიობის დასამტკიცებლად ესეც საკმარისია.

ყმა გლეხების ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ მარტო ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმით, გაქცევა-გახიზვნით თუ მებატონეებზე ცალკეული თავდასხმებით როდი შემოიფარგლებოდა. ისინი ხშირად იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ მებატონეებს.

ურჩობა, ტერორისტული აქტები თუ ბრძოლის სხვა ფორმები უფრო ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. შეიარაღებული აჯანყებები კი დასავლეთ საქართველოში. 1857 წელს

---

[24] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 828, ფურც. 1.

[25] სსსა, ფ. 214, ანაწ. 1, საქ. 1429, ფურც. 1; ფ. 9, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 1—3; ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 161, ფურც. 2—4; ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 1616, ფურც. 1—12; ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1062, ფურც. 5; ფ. 42,ანაწ. 1, საქ. 367, ფურც. 10—12; ფ. 214, ანაწ. 1, საქ. 1706, ფურც. 1; ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1003, ფურც. 2; ფ. 9, ანაწ. 1, საქ. 53 ფურც. 4; ფ. 63, საქ. 3, ფურც. 3.

აჯანყდნენ სამეგრელოსა[26] და იმერეთში[27], 1862 წელს — კვლავ სამეგრელოსა (გეჯეთში) და გურიაში (სამჯერ)[28], 1862 წელს — ქობულეთში, 1863 წელს — ისევ სამეგრელოში (სამჯერ)[29], 1864 წელს — ბონის უბანში[30]. 1865 წელს — თამაკონში, ჯვარში, წყემში (სამეგრელოში)[31], 1866 წელს — აფხაზეთში[32]., სულ დასავლეთ საქართველოში 1857 — 1866 წლებში, ე. ი. 9 წლის განმავლობაში, გლეხთა შეიარაღებული აჯანყების 15 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ცხადია, სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი გლეხთა ეს გამოსვლები მიმართული იყო მეურნეობის ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. გლეხები სრულებითაც არ მალავდნენ, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რომ

---

[26] მ. კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი , გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქაია, 1929; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე. გლეხთა გამოსვლა სამეგრელოში 1857 წ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, 1953; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1957; ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954; ი. გ ო გ ი ა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ.,—ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები (ზსიემ) ტ. 1, 1957; დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წწ., 1957; Д. Лемонджава, Из истории крестьянского движения в Менгрелии в 40—50-х годах XIX века, Труды Сухумского пединститута им. М. Горького; т. VII, 1954; გ. თ ო დ უ ა, ქართველ სამოციანელთა ეკონომიური მოძღვრების სათავეებთან, 1968.

[27] მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე , საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 1857 წ., „საისტორიო მოამბე" № 1, 1946.

[28] შ. ჩ ხ ე ტ ი ა , გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს, „საისტორიო მოამბე", № 7, 1953, გვ. 169—228.

[29] შ. ჩ ხ ე ტ ი ა , გლეხების აჯანყება 1863 წ. სამეგრელოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. I, 1937, გვ. 73—124.

[30] 1864 წელს გლეხთა მოძრაობა მოედო ხონის უბანს. იგი მიმართული ყოფილა ღოღობერიძეების წინააღმდეგ (გლეხთა ეს მღელვარება დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ იყო). მებატონეებს რეფორმის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაუწყვეტიათ გლეხებისათვის წარეთმიათ სახნავ-სათესი მიწები. მემამულეთა თვითნებობით აღშფოთებული გლეხები—ცაგარეიშვილები—კეტებით შეიარაღებული დასხმიან თავს სოფლის მოხელეებს. ამ ბრძოლაში ქალებსაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალებში ვკითხულობთ: „ცაგარეიშვილების სახლებიდან გამოცვივდა 6 ქალი და კეტებით დაუწყეს ცემა უბნის უფროსს" (ქსსა, ფ. 8, საქ. 374). ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა „ურჩ" გლეხებს. გადამწყვეტი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გლეხთა ეს მღელვარებაც ჩაქრეს.

[31] Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, часть I, под редакции проф. Ш. К. Чхетия, 1954, стр. 17—24.

[32] Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, стр. 208.

ერთადერთი მიზეზი მათი აჯანყებისა არის ბატონყმური ურთიერთობა და ერთადერთი მიზანი ბატონყმური წყობილების განადგურება"[33].

ამრიგად, XIX საუკუნის 50 — 60-იანი წლების მიჯნაზე კლასთა ბრძოლამ საქართველოში მწვავე და მასობრივი ხასიათი მიიღო: არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე, რომ ამ ბრძოლის მონაწილე არ ყოფილიყო. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „...გლეხთა მთელი მასა ებრძოდა თავის მჩაგვრელებს, მემამულეთა კლასს, რომელთაც მეფის მთავრობა სდარაჯობდა, იცავდა და მხარს უჭერდა"[34].

გლეხთა ეს ანტიფეოდალური გამოსვლები მარცხით დამთავრდა. მეფის მთავრობამ მისი აქტიური მონაწილე-ხელმძღვანელები ციმბირს გადაასახლა. მაგრამ ამ გამოსვლებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. გლეხთა აჯანყებებმა (სხვა მომენტებთან ერთად) ჩვენშიაც შექმნა რევოლუციური განწყობილება და ამავე დროს გააძლიერა რუსეთის იმპერიაში შექმნილი ანტიბატონყმური რევოლუციური სიტუაცია.

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, წინააღმდეგობათა გამწვავებამ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის, რამაც ყველაზე მეტად გლეხთა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობაში იჩინა თავი, წარმოშვეს ახალი იდეები, თეორიები და შეხედულებები.

ქართველი ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები წამოაყენა, ისტორიაში თერგდალეულების, ანუ ქართველი სამოციანელების სახელწოდებით არის ცნობილი. ისინი გამოექომაგნენ ჩაგრულ ყმა გლეხობას და ბრძოლა გამოუცხადეს ძირმომპალ ბატონყმურ წყობილებას. საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში არაერთხელ გამოუთქვამს აზრი ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. დ. ჭონქაძემ, რ. ერისთავმა, ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და სხვებმა სათანადოდ შეაფასეს ის მიზეზები, რომლებიც ხალხთა ფართო მასების უკმაყოფილებას იწვევდა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მეურნეობის ბატონყმური სისტემა და გაბედულად გაილაშქრეს ძველი ცხოვრების წესების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გაჩაღებული ბრძოლა ძველი წესების დამცველ „მამებსა" და ახალი ცხოვრების მომხრე „შვილებს" შორის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძვრე-

---

[33] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, 1962, გვ. 261.
[34] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 526.

ბისა და კლასობრივი ბრძოლის სიმწვავის ანარეკლი იყო. დ. ყიფიანის გადმოცემით, ამ დროს ბატონყმური წყობილების დაცემის აუცილებლობას წინასწარმეტყველებდა ყველა მოწინავე ადამიანი[35]. იგივე აზრია გამოთქმული ნიკოლაძის სიტყვებში: თურქეთის ომის (1853—1855 წწ.) შემდეგ გლეხების განთავისუფლების საკითხი აღელვებდა ქართული საზოგადოების ყველა ელემენტს[36].

ამრიგად, რეფორმისწინადროინდელ პერიოდში გლეხთა მასობრივი ანტიფეოდალური მოძრაობის გაძლიერებისა და ქართული მოწინავე ინტელიგენციის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შედეგად შეიქმნა ერთიანი და ძლიერი დემოკრატიული ფრონტი, რომელმაც სერიოზული როლი შეასრულა ბატონყმობის გაუქმების დაჩქარების საქმეში.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საგლეხო რეფორმა ჩვენში ბაინც დაგვიანებით გატარდა. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? მხოლოდ და მხოლოდ მეფის რუსეთის მთავრობის მხრივ ქართველ თავადაზნაურობის მიმართ გამოჩენილი ე. წ. მაამებლობის პოლიტიკით.

როგორც ცნობილია, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენს საქართველოში ადგილობრივი გაბატონებული კლასი წარმოადგენდა. მეფის ხელისუფლება ფრთხილობდა და არც საგლეხო რეფორმის გატარებას ჩქარობდა, რათა ამით არ გაეღიზიანებინა ვორონცოვის მოქნილი პოლიტიკის შედეგად უკვე „მოთვინიერებული" ქართველი ფეოდალები. უფრო მეტიც, იგი ზოგჯერ მათ მიმართ გაძლიერებულ მეურვეობასაც კი იჩენდა[37]. მაგალითად, ყოველი ყმა გლეხის განთავისუფლებისათვის აქაური მებატონე 25 — 50 მანეთს იღებდა, მაშინ როდესაც მებატონეთა მიმართ ასეთი შეღავათები ხელისუფლებას ცენტრალური რუსეთის გუბერნიაშიც კი არ დაუშვია.

საქართველოს ცალკეული კუთხეები თავიანთი ეკონომიური განვითარების დონით, მიწათმფლობელობის ნორმებით, გლეხთა კატეგორიებითა და მათი ვალდებულებებით აშკარად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რაც საადგილმამულო ურთიერთობის წინასწარ სერიოზულ შესწავლას მოითხოვდა. ბატონისა და ყმის ურთიერთობა ყველგან სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. არ არსებობდა ერთიანი კანონი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველასათვის. მართალია, ასეთი ძალა ერთ დროს ჰქონდა ვახტანგის კანონებს, მაგრამ საქართველოს

---

35 დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930, გვ. 53.

36 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, 1962, გვ. 265.

37 В. Д. М о ч а л о в, Крестьянская реформа в Закавказье, „доклады и сообщения института истории", вып. 3, 1954, стр. 49.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც მეფის ხელისუფლება შეეცადა საქართველოში არსებული ბატონყმური ურთიერთობის ნიველირებას რუსეთში არსებულ ამგვარ ურთიერთობასთან, ამ კანონმა ძალა დაკარგა.

ამრიგად, კავკასიის ხელისუფლებას სერიოზული მუშაობა უნდა ჩაეტარებინა ჩვენში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარებისათვის. ამას კი სათანადო დრო სჭირდებოდა. ბატონყმობის გაუქმების მოლოდინში გლეხებიცა და მებატონეებიც ერთნაირად ღელავდნენ. თუმცა ამის საფუძველი სხვადასხვა იყო. გლეხობა ოცნებობდა ბატონყმობის რაც შეიძლება ჩქარა გაუქმებაზე, მემამულენი კი შიშით შესცქეროდნენ მომავალ რეფორმას, რადგანაც პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეულნ ყმა გლეხების გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ.

ქვეყნის ეკონომიური განვითარება, გლეხთა მზარდი მოძრაობა, მოწინავე ინტელიგენციის ზემოქმედება მთავრობის საგლეხო პოლიტიკაზე, ყოველივე ეს ერთად აღებული ჩვენში რევოლუციურ სიტუაციას ქმნიდა.

ქვეყნის შიგნით შექმნილმა ვითარებამ და თვით რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმებამ, აუცილებელი გახადა მსგავსი ღონისძიებათა გატარება საქართველოში. მეფის ხელისუფლება ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადებას შეუდგა.

1861 წლის 29 მარტს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მითითებით კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სპეციალური ინსტრუქცია გაუგზავნა მთავარ სამმართველოს უფროსს — კრუზენშტერნს[38]. ამ ინსტრუქციის თანახმად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში რეფორმის პროექტის მოსამზადებლად შეიქმნა სამაზრო კომიტეტები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ თავადაზნაურთა წარმომადგენლები. სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარეობა ევალებოდათ ამ გაბატონებული კლასის წინამძღოლებს.

სამაზრო კომიტეტების მუშაობაში კონტროლისა და ერთიანი პროექტის შესადგენად თბილისში შეიქმნა „საბატონო გლეხთა მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი". მის შემადგენლობაში შევიდნენ: კრუზენშტერნი (თავმჯდომარე), „ტაინი სოვეტნიკი" — ფადეევი, გენერალ-ლეიტენანტი — ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი — ორლოვსკი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი — ორბელიანი, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი" — სტარიცკი, და „სტატსკი სოვეტნიკი" — თუმანოვი.

სამაზრო კომიტეტებისა და ცენტრალური კომიტეტების მუშაობა-

---

38 სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 9, ფურც. 1—4.

ში იმ კლასის არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა, რომელიც ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული ბატონყმობის მოსპობით. ბუნებრივია, თავადაზნაურობა, რომლის ხელშიც მოექცა ბატონყმობის გაუქმების საქმე, ნაკლებ იქნებოდა დაინტერესებული ამ ღონისძიების დაჩქარებით. ნ. ნიკოლაძის სამართლიანი შენიშვნით, სამაზრო კომიტეტების დაარსებით მხოლოდ ის გაკეთდა, რომ გლეხთა ყოფაცხოვრების მოწესრიგების საკითხი „კანცელარიის სამეფოში" იქნა გადატანილი.

ბატონყმობის გაუქმების საკითხში ქართველი თავადაზნაურობა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ერთნი წინააღმდეგნი იყვნენ მისი გაუქმების, ხოლო მეორენი ლიბერალურ პოზიციაზე იდგნენ. მათგან სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა რევოლუციურად განწყობილმა ინტელიგენციამ (ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე და სხვ.). იგი თავიდანვე რადიკალურ პოზიციაზე დადგა და გლეხების მიწით განთავისუფლება, მათი მესაკუთრეთა კატეგორიაში დაუყოვნებლივ გადაყვანა მოითხოვა.

1864 წლის შემოდგომისათვის ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების პროექტის შედგენა დაასრულა. მას საფუძვლად დაუდო 19 თებერვლის მანიფესტისა და დებულების ძირითადი პრინციპები, მხოლოდ იმ დამატებით, რომ ქართველი მებატონეები გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის საზღაურს ღებულობდნენ. მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა მემამულეთა ინტერესები, მაგრამ იგი ამავე დროს იძულებული იყო, ერთი მხრივ, გლეხთა მზარდი უკმაყოფილებისათვის გაეწია ანგარიში, ხოლო მეორე მხრივ—ხაზინის ინტერესებისათვის. მთავრობამ ქართველ მებატონეთა მიერ გლეხების უმიწოდ განთავისუფლების მოთხოვნა უარყო. მართალია, მან მთელი მიწები მემამულეთა საკუთრებად აღიარა, მაგრამ ამავე დროს გადაწყვიტა გლეხებისათვის მცირე ნადელები მაინც მიეცა, რათა გლეხობას მემამულეებისათვის ღალა-კულუხის გადახდის საშუალება ჰქონოდა. ამასთან, გლეხებს ეძლეოდათ ნადელების გამოსყიდვის უფლება.

1864 წლის 13 ოქტომბერს „საბატონო გლეხთა მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტისა" და გლეხთა საქმეების მთავარი კომიტეტის სხდომაზე, წინასწარი განხილვის შემდეგ, დამტკიცდა დამატებითი წესები თბილისის გუბერნიაში ბატონყმური ურთიერთობიდან გამოსული საბატონო გლეხების შესახებ.

დებულება ბატონყმობის გაუქმების შესახებ თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღში 1864 წლის 8 ნოემბერს გამოცხადდა, ხოლო

რაც შეეხება საქართველოს სხვა კუთხეებს, იქ საქმე კვლავ გაჭიანურდა.

1865 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა დაამტკიცა ქუთაისის გუბერნიის საგლეხო რეფორმის დებულება. სამეგრელოში ბრძანებულებას ბატონყმობის გაუქმებაზე ხელი მოაწერეს 1866 წლის 1 დეკემბერს, ხოლო საჯაროდ გამოცხადდა 1867 წლის 19 თებერვალს. აფხაზეთისა და სამურზაყანოს გლეხებისათვის დებულება დამტკიცდა 1870 წლის ნოემბერში. ყველაზე გვიან საგლეხო რეფორმა სადადეშქელიანო სვანეთში გატარდა. ეს მოხდა 1871 წლის ნოემბერში, რითაც ბოლო მოეღო ბატონყმობის არსებობას საქართველოში.

X რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში 1.751 მებატონე თავადაზნაურის ოჯახი ითვლებოდა, რომელთაც 17.281 კომლი ყმა გლეხი ჰყავდათ. დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) იყო 11.217 თავად-აზნაურის ოჯახი 47.102 კომლი ყმა გლეხით. აფხაზეთში სხვადასხვა კატეგორიის დამოკიდებულ გლეხთა რიცხვი 11.050 კომლს შეადგენდა, სვანეთში — 132 კომლს. /

რეფორმამ აღმოსავლეთ საქართველოში პირადი თავისუფლება მიანიჭა 17.281 კომლ ყმა გლეხს, საწესდებო სიგელები კი შედგენილ იქნა მხოლოდ 14.230 კომლისათვის, უსიგელოდ და აქედან გამომდინარე უნადელოდ დარჩა 3.051 კომლი გლეხი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი უმიწოდ განთავისუფლდა 4 ათასი (ოცი ათასი სული) კომლი გლეხი.

საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან სულ განთავისუფლდა 75.565 კომლი გლეხი[39], აქედან უმიწოდ — 7.051 კომლი.

მართალია, ბატონყმობა გაუქმდა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი ისე გააკეთა, რომ ქართველი თავადაზნაურობის ინტერესები არ შელახულიყო. გლეხობა კი რეფორმის შედეგებით მძიმე ეკონომიურ პირობებში აღმოჩნდა.

ვ. ი. ლენინი სასტიკად კიცხავდა მათ, ვინც რეფორმას ყოველგვარ სიკეთეს მიაწერდა და გლეხთა „გაბედნიერებისათვის“ ხელისუფლებას ხოტბას ასხამდა: „დიადი რეფორმა“, — წერდა ლენინი, — ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები“[40].

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები ძირითადად რუსეთის მიმართაა ნათქვამი, მაგრამ იგი საქართველოში განხორციელებულ საგლეხო რეფორ-

---

[39] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი , აგრარული ურთიერთობა საქართველოში 1890-1917 წწ., 1966, გვ. 6.

[40] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი , თხზ., ტ. 17, გვ. 127.

მასაც ეხება. საქართველოს გლეხობა. იმპერიის ცენტრალური გუბერნიების გლეხობასთან შედარებით, რთულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ ფაქტს კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც კი აღიარებდა. იგი ნიკოლოზ მეორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: „ბატონყმობის გაუქმება ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში მოხდა მემამულეებისათვის მეტისმეტად ხელსაყრელ და გლეხებისათვის არახელსაყრელ პირობებში"[41].

აღნიშნულმა რეფორმამ გლეხებს პირადი თავისუფლება ჰიანიჭა, მაგრამ უმიწოდ დატოვა. დებულების ძალით მთელი მიწები მებატონეთა საკუთრებად აღიარეს. გლეხებს მუდმივ სარგებლობაში, რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით, გაცილებით მცირე სანადელო მიწები მიეცათ.

ადგილობრივი დებულებით თბილისის გუბერნიაში გლეხური კომლის მაქსიმალური ნადელი განსაზღვრული იყო ურწყავ ადგილებში 20 დღიურით (10 დესეტინა), სარწყავში — 10 დღიურით (5 დესეტინა), ხოლო ქუთაისის გუბერნიის თითოეულ გლეხურ კომლზე — 12 ქცევით (ქცევა 900 კვ. საჟენი) ანუ 4,5 დესეტინით. ეს იყო ნადელების ფორმალური განსაზღვრა; ამ რაოდენობით გლეხებს იგი იშვიათ შემთხვევაში ეძლეოდათ.

ქართველმა გლეხებმა რეფორმის შემდეგ დიდი რაოდენობით მიწები დაკარგეს ჩამონაჭრების სახით. ეს კარგად ჩანს გორის მაზრის მაგალითიდან. დროებითვალდებულ გლეხთა 5302 კომლს თუ რეფორმამდე 26.546 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა, რეფორმის შემდეგ მათ მხოლოდ 16.459 დესეტინაღა დარჩათ, ე. ი. გორის მაზრაში ყოფილ საბატონო გლეხებს 9.851 დესეტინა მიწა, ანუ მათ განკარგულებაში არსებული მიწების 37 პროცენტი ჩამოეჭრათ[42]. უფრო მეტიც, ზოგიერთ მაზრაში ჩამონაჭრების რაოდენობა 50 პროცენტსაც კი აღწევდა.

რეფორმამდე თბილისის გუბერნიაში ყმა გლეხთა სარგებლობაში იყო 84.665 დესეტინა მიწა, რაც კომლზე საშუალოდ 5,2 დესეტინას უდრიდა; რეფორმის შემდეგ კი მათ სულ ყოველგვარი სახის 55.679 დესეტინა მიწა დარჩათ, რაც კომლზე 3,4 დესეტინას შეადგენდა[43].

---

[41] Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютантъ графа Воронцова-Дашкова. 1907, გვ. 68.

[42] ი. უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკ. II ნახევარში, 1957, გვ. 34—35.

[43] С. А. А в а л и а н и, Крестьянский вопрос в Зак. т. IV, Тб., 1920, стр. 3—4; А. К и п ш и д з е, Очерки крепостного права и крестьянской реформы в Грузии (Кавказский вестник, 1902, № 8, გვ. 24—25); ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. III, 1926 გვ. 25—36.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიის გლეხობა. შორაპნის მაზრაში 1875 წლის აღწერით 7.729 კომლ დროებითვალდებულ გლეხს ყოფილმა მებატონეებმა რეფორმის გატარების შედეგად ჩამოართვეს 7.256 დესეტინა მიწა, ნადელების სახით კი მხოლოდ 20.198 დესეტინა ანუ კომლზე საშუალოდ 2,7 დესეტინა გამოუყვეს. რაჭის გლეხებმა ჩამონაჭრების სახით რეფორმამდე მათ სარგებლობაში არსებული მიწების მესამედი დაკარგეს, რის შემდეგაც კომლზე საშუალოდ 1,9 დესეტინა დარჩათ. ლეჩხუმში ნადელების ფართობი კომლზე საშუალოდ 2,1 დესეტინას შეადგენდა, გურიაში კი 1,3 დესეტინას[44]. მემამულე-მებატონეთა ასეთი მძარცველური მოქმედება ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც წერდა: „...ის ნადელებს, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ფლობდნენ გლეხები ვეებერთელა ნაკვეთები ჩამოაჭრეს"[45].

ამრიგად, რეფორმის შემდეგ ვარგისი მიწები თითქმის მთლიანად ქართველი თავადაზნაურების ხელში გადავიდა, ხოლო გლეხების უმრავლესობამ თავის განკარგულებაში არსებული ისედაც დაბალნაყოფიერი მიწების საგრძნობი ნაწილი დაკარგა. ბევრი გლეხი უნადელოდ დარჩა. „ყველა ესენი, — აღიარებდა ოფიციალური ორგანო „კავკაზი", — უკლებლივ მათხოვრები არიან[46].

საქართველოს სოფელში უმიწაწყლო და ღარიბი გლეხების რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა. გაღატაკებული სოფლის მშრომელთა მასა თავისუფალ მუშახელს ქმნიდა, რაც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის მეტად საჭირო ძალას წარმოადგენდა.

ადგილობრივი დებულება აწესებდა საკომლო მიწის უმაღლეს ზომას, მინიმუმს კი არ საზღვრავდა. თავისთავად დებულების ძალით საკომლო მიწის უმაღლესი ნორმის დაწესება მემამულეთა ინტერესებს ემსახურებოდა, ეს ნიშნავდა იმას რომ მემამულეს შეეძლო სრულიად უნადელოდ გაენთავისუფლებინა გლეხი. სულ სხვა იქნებოდა დებულებაში რომ სავალდებულო სანადელო მიწის მინიმუმი ყოფილიყო მოცემული. დებულების ამ პუნქტით ფართოდ სარგებლობდნენ მემამულეები და გლეხებს მცირე მიწის ნაკვეთებს აძლევდნენ.

დროებითვალდებულ გლეხებს მიწის იმ მცირე ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც მათ კანონით გამოუყვეს (ნადელები), მებატონის სასარგებლოდ გაცილებით მეტი გადასახადი უნდა გადაეხა-

---

[44] აღ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობა საქართველოში 1890—1917 წწ., 1966, გვ. 7.

[45] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 517.

[46] გაზ. „კავკაზი", 1884, № 74.

დათ, ვიდრე ბატონყმობის დროს იხდიდნენ. ამასთან ერთად, მათ სახელმწიფო ბეგარა-ვალდებულებებიც უნდა მოეხადათ. ერთი სიტყვით, ისინი ორმაგი ჩაგვრის მძიმე უღელში გაებნენ.

რეფორმისშემდგომ პერიოდში ქართველ გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა ის ბეგარა-გადასახადები, რომლებსაც ისინი სახელმწიფოს, ეკლესიის. თუ მემამულეთა სასარგებლოდ იხდიდნენ. გლეხი ვალდებული იყო სახელმწიფო ბეგარაზე გასულიყო თავის ხარ-ურმით, შეენახა სოფლის მამასახლისი, ბოქაული, მღვდელი და სხვა მოხელეები. გარდა ამისა, იგი მიღებული ნადელისათვის მებატონეს უხდიდა ღალას. კულუხს და ფულად გადასახადს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, მეფისნაცვლის კანცელარიის გამოანგარიშებით, საქართველოს დროებითვალდებული გლეხები წლიურად 262.786 დესეტინა სანადელო მიწით სარგებლობისათვის 2.385.074 მანეთს იხდიდნენ[47].

აღმოსავლეთ საქართველოს დროებითვალდებული გლეხები XIX საუკუნის 80-იან წლებში მიწით (ეზოები, ბაღ-ვენახები, სახნავ-სათესი მიწები) სარგებლობისათვის მემამულეებს ფულად 37.061 მანეთს უხდიდნენ, ნატურით ანუ ე. წ. კულუხით ღვინის ან ყურძნის მოსავლის მეოთხედს, რომელიც ფულზე გადაყვანით 271.526 მანეთს შეადგენდა; ღალას — ხორბლეულის მოსავლის მეოთხედს, რომლის ფულადი გამოხატულობა 110.646 მანეთს უდრიდა. აქედან გამომდინარე, წლიური ღალა-გადასახადების ჯამი მთლიანად 419.233 მანეთს შეადგენდა. საქართველოს თითოეულ მაზრაში გადასახადების ოდენობა სხვადასხვა იყო. მაგალითად, თუ თბილისის მაზრაში იგი კომლზე საშუალოდ 39 მანეთით განისაზღვრებოდა, ბორჩალოს მაზრაში 17 მანეთს აღწევდა, მაშინ, როცა გორის მაზრაში 21 მანეთს არ აღემატებოდა, ხილნაღში — 27-ს, ხოლო თელავის მაზრაში კი 66 მანეთს.

განსაკუთრებით მაღალი იყო ღალა-გადასახადების ოდენობა ქუთაისის გუბერნიაში. 1875 წლის კომლობრივი აღწერით შორაპნის მაზრის 7725 კომლი დროებითვალდებული გლეხი მიწით სარგებლობისათვის მემამულეებს ფულად 55.920 მანეთს უხდიდა, ნატურით — 53.524 ფუთ ხორბლეულს, 60.765 ფუთ ღვინოს, 17.743 ფუთ თივას და ჩალას, 2451 ფუთ ლობიოს და ცერცვს, 26 ფუთ თამბაქოს, 812 ფუთ კაკალს და ხილს. ერთი კომლი საშუალოდ ფულად: 7,5 მანეთს, ხოლო ნატურით კი 6,9 ფუთ ხორბლეულს, 7 ფუთ ღვინოს, 2-3

---

[47] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 4, 1955, стр. 128.

ფუთ თივა-ჩალას, აგრეთვე განსაზღვრული რაოდენობით ლობიოს, ცერცვს, კაკალს, ხილს და სხვ. იხდიდა[48].

დებულების ძალით ღალა-კულუხის განაკვეთი ნადელების სიდიდისა და ნაყოფიერების პროპორციული უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეტწილად იგი ირღვეოდა. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმის დროებითვალდებულ გლეხთა ნადელებს სიდიდითა და ნაყოფიერებით სხვა მაზრების გლეხთა სანადელო მიწებთან შედარებით გაცილებით მცირე ფართობები ეკავათ, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად ამ მაზრის გლეხობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო.

სანადელო მიწაზე დაწესებული გადასახადები მიწის კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირად იყოფოდა[49]:

ცხრილი 1

სახმარი მიწის კატეგორიები	დაწესებული გადასახადი
საეზოვე მიწაზე, რაც თბილისის გუბერნიაში არ აღემატებოდა ერთ დღიურს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ერთ ჭცევას	3—6 მან. წელიწადში
ბაღ-ვენახებზე	კულუხი ღვინის მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე
სათიბზე	1/3
სახნავ-სათესზე	ღალა მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე
ტყეზე	ნებაყოფლობითი შეთანხმებით
საძოვარზე	1 დესეტინაზე—1 მანეთი ან თითოეულ პირუტყვზე კაპიკიდან 2 მანეთამდე საშუალოდ.

ადგილობრივი დებულების 144-ე მუხლის თანახმად იმ ადგილებში, სადაც აღებ-მიცემობა იყო განვითარებული და გლეხი ჭირნახულს ხელსაყრელ ფასებში ასაღებდა, მემამულეებს შეეძლოთ საკარმიდამოს გადასახადი 120 მანეთის ოდენობითაც კი დაეწესებინათ.

დროებითვალდებულ გლეხს, თუ დროზე არ გადაუხდიდა მემამულეს გადასახადს, ეწერებოდა ჯარიმა, რაც თვიურად თითო მანეთზე ერთ კაპიკს შეადგენდა (მე-10 მუხლი). ახალი გადასახადების დაწესება

---

[48] Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской Губерниях, под. редакц. Е. Кондратенко, 1893 г. приложение II, стр. 160 — 177; შემდეგ იხილეთ შემოკლებით ССДЗТКГ.

[49] კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე , აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში, 1952, გვ. 21.

მემამულეთა მიერ კელავ თვითნებურად გრძელდებოდა. 1874 წელს ჯორის მაზრის თავადაზნაურობამ გლეხებს შემდეგი სახის გადასახადები გააწერა: 1. თითო ცხვრის საბალახოზე 3 კაპ. და თითოეული ჯოგიდან თითო დიდი მოხაზულობის ყველი, 2. თითო სულ ძროხაზე — 30 კაპ., ხარზე—30 კაპ., კამეჩზე—30 კაპ., ცხენზე—30 კაპ., 3. ოჯახის საჭიროებისათვის ტყით სარგებლობის შემთხვევაში შინწასაღები შეშის $\frac{1}{5}$ გლეხს მემამულისათვის უნდა მიეცა, 4. ერთ ურემ შეშაზე—დიდი ურემი—59 კაპ., პატარა ურემი—23 კაპ., 5. ერთ ურემ წკნელზე — 50 კაპ., 6. ერთ ურემ საღობე წკნელზე—50 კაპ., 7. მუხის ას სარში —1მან., 8. სხვა ჯიშის ას სარში — 25 კაპ., 9. ერთ ურემ შინდის წკნელზე — 50 კაპ., 10. საშინაო იარაღების დასამზადებელ ხე-ტყეზე—ტყის მცველების შეფასებით, 11. ტყეში ნახულ გარეულ სკაზე—1 მან., 12. ნახული სკის დამალვისათვის ჯარიმა — 5 მან., 13. ას ცალ ყავარზე — 40 კაპ., 14. მასალა სახლისათვის — 2 მან., 15. ხე-ტყე ურმისათვის —2 მანეთი, 16. გარდა ამისა თითო კომლი შეძლებული გლეხი იხდიდა წლიურად — 20 მანეთს, საშუალო შეძლების — 15 მან., საშუალოზე დაბალი და ღარიბზე ცოტა შეძლებული — 10 მან., ღარიბი გლეხი — 5 მან., ღატაკი — 2 მან.

ამასთანავე გლეხს ჯონჯოლის კრეფა, თევზის ჭერა და ნადირობა აკრძალული ჰქონდა[50].

მართალია, კანონი არ ავალებდა დროებითვალდებულ გლეხს მებატონისათვის ძღვენი მიეტანა, მაგრამ კარგი ძღვენისა და მომადლიერების გარეშე იგი თავისივე „ჩამონაჭერს“ დასამუშავებლად ვერ მიიღებდა[51]. თუ ამას სხვადასხვა სახის სახელმწიფო ფულად გადასახადებსაც დავუმატებთ, მაშინ ნათელი გახდება რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ დროებითვალდებული გლეხები.

ამრიგად, მიწის საკუთრების შენარჩუნების ბაზაზე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავადაზნაურობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მაინც შეძლო მეტ-ნაკლები ზომით შეენარჩუნებინა გარეეკონომიური იძულების უფლება, რომელსაც უნაყოფო მიწის მფლობელი მემამულეები მაქსიმალურად იყენებდნენ. ფეოდალები ღალის მაღალი განაკვეთის დაწესებით ინაზღაურებდნენ მიწის სიმცირით გამოწვეულ შემოსავლის ნაკლებობას. ღალა-კულუხი კვლავ ატარებდა ფეოდალური ვალდებულების ხასიათს, რამდენადაც მისი ოდენობის განსაზღვრა-

---

[50] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე , საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864—1905 წწ., 1928, გვ. 23—24; სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 359, ფურც. 5—6.

[51] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა , აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წლებში, 1965, გვ. 51.

ზე გავლენას ახდენდა დროებითვალდებული გლეხის ისეთი შემოსავალი, რომელიც მიწით სარგებლობასთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომ, თამამად უნდა ითქვას, რომ რეფორმის შემდეგ ქართველ მშრომელ გლეხობაზე გაწერილი ღალა-კულუხის რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა. იმდროინდელი გლეხი ფაქტიურად არ განსხვავდებოდა წინანდელი ყმისაგან, გარდა პირადი იურიდიული თავისუფლებისა. „გლეხის ცხოვრება დაქვეითდა მათხოვრულ დონემდე: ის პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა, ძონძები ეცვა, ბალახ-ბულახით იკვებებოდა. ...გლეხები ქრონიკულად შიმშილობდნენ და მრავალი ათეული ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და ეპიდემიებისაგან მოუსავლიანობის დროს, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა“[52].

თავისი ჩრდილოვანი მხარეების მიუხედავად, საგლეხო რეფორმა მაინც ბურჟუაზიული ხასიათის ღონისძიებას წარმოადგენდა და ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში. რეფორმამ ყმა გლეხი იურიდიულად დამოუკიდებელი პიროვნება გახადა და საშუალება მისცა მას გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა, როგორც საქონელი. ეს კი ერთი ძირითადი პირობა იყო კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის სწრაფად განვითარებისათვის. კაპიტალისტურმა მრეწველობამ მიიღო თავისუფალი მუშახელის დიდი არმია.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში საფუძველი ეყრება სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას, რაშიც გარკვეული როლი რუსეთის კაპიტალიზმმაც შეასრულა. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „...რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ან

რკინიგზისა და შარაგზების გაყვანამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიური განვითარების საქმეში. გარდა იმისა, რომ ერთმანეთს დაუკავშირდა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, გაიზარდა ადგილობრივი საქონლის გატანის შესაძლებლობა რუსეთსა და უცხოეთის ბაზრებზე.

რეფორმის მომდევნო პერიოდში, რკინიგზა-შარაგზების გაყვანასთან ერთად, დაჩქარდა სავაჭრო მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და სხვ. დარგების განვითარება. საქართველოს სოფელში შექმნილი ვითარების ზოგადი გაცნობა ნათლად გვიჩვენებს ამ მხრივ მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს. სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობის ფართო მასშტაბით განვითარება თავის მხრივ ბიძგს აძლევდა შრომის გეოგრაფიული დანაწილების დაჩქარებას. თანდათანობით გამოიყო რაიონები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიძლიერით ავითარებდნენ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგს. ასე მაგალითად, ახალქალაქის, გორის, სიღნაღის მაზრები უმთავრესად მისდევდნენ ხორბლის, ზუგდიდისა და სენაკის მაზრები — სიმინდის წარმოებას; აფხაზეთი, აჭარა და ოზურგეთის მაზრა კი მეთამბაქოეობას და ა. შ. ქართული თამბაქო დიდი რაოდენობით საღდებოდა როგორც ადგილზე, ისე რუსეთსა და საზღვარგარეთაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა ხორბლეულზე მოდიოდა. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობას. მისი ძირითადი რაიონები იყო კახეთი და ზემო იმერეთი, სადაც იგი მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა; ფართო მასშტაბით ეწეოდნენ მეცხოველეობის პროდუქტების შინამრეწველურ გადამუშავებას, ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილებს: წინდებს, ხურჯინებს და ა. შ.

საქართველოს სოფლის, განსაკუთრებით თიანეთის, დუშეთისა და გორის მაზრის ცთიანი რაიონების ეკონომიურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას ეკავა.

რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში სწრაფად ვითარდება საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. ჩნდება კაპიტალისტური ახალი ტიპის საწარმოები, რომელთა მიერ დამზადებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო არა მარტო ადგილობრივ, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მარგანეცს, ღვინოს და სხვა სახის საქონელს ევროპისა და აზიის ბაზრებზე საპატიო ადგილი ეკავა.

ამრიგად, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში მტკიცედ იკიდებს ფეხს წარმოების კაპიტალისტური წესი.

კაპიტალიზმის განვითარებამ და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდამ მნიშვნელოვნად შეარყია თავადაზნაურულ-წოდებრივი მიწათმფლობელობა. საგლეხო რეფორმის შემდეგ თავადაზნაურობის ნაწილი ყიდის თავის მამულებს, რომლებიც ხელში უვარდებათ შეძლებულ გლეხებს, ვაჭრებს და სხვ.

1879 — 1888 წლებში საქართველოში მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი[54].

ცხრილი 2

გუბერნიის დასახელება	რამდენი ნასყიდობის აქტი შედგა	რამდენ დესეტინა მიწაზე	გაყიდული მიწების ღირებულება მანეთებში	დესეტინა მიწის ფასი
თბილისის გუბ.	2.477	35.123	904.777	23—77
ქუთაისის „	5.685	10.029	1.142.645	49—113
სულ	8.162	45.152	2.047.422	

ცხრილიდან ირკვევა, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვას ყველაზე ფართო გავრცელება ქუთაისის გუბერნიაში მიუღია. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის ფასიც აქ, თბილისის გუბერნიასთან შედარებით, გაცილებით მაღალია. მიწის ღირებულება XIX საუკუნის 80-ანი წლებისათვის განუხრელად იზრდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

წარმოების ახალი წესის შემოჭრის შედეგი და გამოხატულება იყო სოფლის მოსახლეობის კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერება. კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლად წარმოშვა, ერთი მხრივ, მდიდარი ანუ ბობოლა, ხოლო მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვნად გაზარდა უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობა.

იმისათვის, რომ საგლეხო რეფორმის შემდგომდროინდელი პერიოდის საქართველოს გლეხთა დიფერენციაციაზე ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა პირველ რიგში გავარკვიოთ თუ როგორი იყო მიწის განაწილების პრინციპი გლეხებს შორის. ამ შემთხვევაში ვიღებთ მხოლოდ ორი კატეგორიის — დროებითვალდებულ და სახელმწიფო გლეხებს. დროებითვალდებულთა ქონებრივ დიფერენციაციას გვიჩვენებს გამოსყიდულ ნაკელთა რაოდენობა თითოეული კომლის მიხედ-

---

[54] ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 10—11.

ვით. 1878 — 1888 წლებში, ე. ი. ათი წლის განმავლობაში, ქუთაისის გუბერნიაში ნადელი გამოისყიდა 11.615 კომლმა დროებითვალდებულმა გლეხმა. აქედან 3.584 კომლმა 0,25, 2.910 კომლმა — 2-4, 2.194 კომლმა — 4-6, 249 კომლმა — 6-15, 325 კომლმა — 15-30, 51 კომლმა კი 30 დესეტინაზე მეტი და ა. შ.[55].

როგორც ვხედავთ, სანადელო მიწები ქუთაისის გუბერნიაში დროებითვალდებულ გლეხებს შორის უთანაბროდ ყოფილა განაწილებული. სამწუხაროდ, ასეთი ხასიათის მასალები აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ აქაც დაახლოებით ისეთივე თანაფარდობა იქნებოდა როგორსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში.

გლეხთა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის სრულ სურათს კიდევ უფრო კარგად გვიჩვენებს მიწის განაწილება სახელმწიფო გლეხებს შორის. სოფ. მარტყოფში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებიდან 203 კომლი უმიწაწყლო იყო, 105 კომლი ფლობდა 1, 193 კომლი— 1-3, 162 კომლი — 3-6, 95 კომლი — 6-9, 8 კომლი — 9-12, 4 კომლი — 12-15, 2 კომლი — 15—30, ხოლო 1 კომლი კი 30 დესეტინა მიწას[56].

ქუთაისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები მიწის მფლობელობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ: 52 კომლი სრულიად უმიწო იყო, 318 კომლი ფლობდა 1-2, 1049 კომლი — 2-3, 1103 კომლი — 4-5, 595 კომლი — 5-6, 518 კომლი — 6-7, 299 კომლი — 7-8, 170 კომლი—8-9, 163 კომლი — 9-10, 112 კომლი — 10-20, 202 კომლი — 20-30, დესეტინას, 34 კომლი კი 30 დესეტინაზე მეტს[57].

თუ 5 დესეტინამდე მიწის მფლობელ გლეხს ღარიბად ჩავთვლით, 5-დან 10 დესეტინამდე — საშუალოდ, ხოლო 10 დესეტინაზე მეტ მიწის მფლობელს კი მდიდრად, მაშინ გლეხების სოციალურ ფენებად დაყოფის სურათი ასე წარმოგვიდგება:

ცხრილი 3

ქუთაისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები გლეხებიდან

კომლთა საერთო რაოდენობა	ღარიბი გლეხები	საშუალო გლეხები	მდიდარი გლეხები
5672	2522	1745	348

[55] ССДЗТКГ, стр. 13.

[56] Материалы для изучения экономич. быта гос. крест., т. V, часть I, стр. 233.

[57] იქვე, ტ. VII, გვ. 225.

ზემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს იმ ღრმა დიფერენციაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეფორმისშემდგომდროინდელი პერიოდის საქართველოში. როგორც ჩანს, მცირერიცხოვანმა შეძლებულმა გლეხებმა ხელთ იგდეს საერთო მიწების ფართობის 42—54,3%, მაშინ როდესაც დიდ უმრავლესობას, ღარიბებსა და საშუალო გლეხებს, მხოლოდ 45,5 — 58 პროცენტი გააჩნდათ. მსგავსი მდგომარეობა იყო თითქმის ყველა მაზრაში.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ქონებრივი დიფერენციაცია აგრეთვე მეცხოველეობის რაიონებში. გასული საუკუნის 80-იან წლებში თიანეთის მაზრაში 230 ათასზე მეტი ცხვარი ითვლებოდა. ცხვრის ფარა უთანაბროდ იყო განაწილებული ცალკეულ კომლთა შორის. თუშეთში 3 უმდიდრეს კომლს 2 ათას სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა თითოეულს, 8 კომლს — 1000, 25 კომლს — 500, 33 კომლს — 300-500, 137 კომლს — 100-300 და 39 კომლს სულ არ ჰყავდა[58].

დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს დუშეთის მაზრაშიც.

სახელმწიფო გლეხთა ქონებრივი და სოციალ-ეკონომიური დიფერენციაციის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მდიდარ, საშუალო და ღარიბ გლეხთა ოჯახების ბიუჯეტის შედარება. შევეხოთ სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბე-ზურაბიანის მდიდარი, საშუალო და ღარიბი ოჯახების ინვენტარს, შემოსავალს და ბალანსს:

1. ინვენტარი (შენობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, პირუტყვი) მდიდარ ოჯახს გააჩნდა 10.215 მანეთი და 30 კაპ. რაოდენობის, საშუალოს—1.817 მან. 45 კაპ; ღარიბს—21 მან. 84 კაპ.

2. შემოსავალი შედგებოდა: მდიდარი ოჯახისათვის — 60% მემინდვრეობიდან, 39% მეცხოველეობიდან და 1 % მებაღეობიდან. საშუალოსათვის 67 % — მემინდვრეობიდან, 30 % მეცხოველეობიდან და 3%—მებაღეობიდან. ხოლო ღარიბი ოჯახის შემოსავლის 100% მხოლოდ და ჰხოლოდ მემინდვრეობაზე მოდიოდა.

მდიდარი ოჯახის შემოსავლის ჯამი წლიურად შეადგენდა 8.222 მან 50 კაპ.; საშუალოსი — 1.491 მან. 30 კაპ.; ღარიბისა — 136 მან. 50 კაპ.

3. გასავალი შედგებოდა: მდიდარი ოჯახისათვის — 5% ვალდებულების გასტუმრებაზე, 41 % — მეურნეობაზე, 30 % — საზრდოზე. 18% — ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. 6 % — სხვა ხარჯზე; საშუალოსათვის 9% — ვალდებულებაზე. 29% —მეურნეობაზე, 39% — საზრდოზე, 21% — ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. 2 %სხვაზე. ღარი-

---

[58] Материалы... т. I, часть II, стр. 56—58.

ბი ოჯახისათვის კი 8 % ვალდებულებაზე, 6 % — მეურნეობაზე-63% — საზრდოზე, 20% — ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, 3%, — სხვაზე.

მდიდარი ოჯახის გასავლის ჯამი უდრიდა 4.433 მან. 50 კაპ., საშუალოსი—1.250 მან. 80 კაპ., ღარიბი ოჯახისა—167 მან. 44 კაპ.

ბალანსში მდიდარ ოჯახს ჰქონდა პლიუს 3.789 მან. 50 კაპ.; საშუალოს — პლიუს 241 მან. 10 კაპ., ღარიბ ოჯახს — მინუს 30 მან. 99 კაპ.

მდიდარი, საშუალო და ღარიბი გლეხების საოჯახო ბიუჯეტის ეს ზოგადი გაცნობაც კი ნათლად მიგვითითებს კულაკურ, საშუალო და ღარიბ მეურნეობათა მკვეთრ სხვაობაზე[59].

სრულიად უმიწაწყლო და მცირე მიწის მეპატრონე გლეხები, სოფლად შექმნილი მდგომარეობის გამო, იძულებული იყვნენ სამუშაოს საძებრად წასულიყვნენ და ამ გზით ისინი აღმოჩნდნენ სასაქონლოფულად ურთიერთობაში ჩაბმულნი—საბუშაო ძალის გამყიდველნი. სოფლის მუშახელის საჭიროება კი მეტ-ნაკლები რაოდენობით საქართველოს ყველა კუთხეში იგრძნობოდა. უმიწაწყლო და ღარიბი გლეხები გარეშე სარეწებით ცდილობდნენ საარსებო საშუალებათა მოპოვებას.

გორის მაზრის გლეხები ძირითადად ჩაბმული იყვნენ ტყის სარეწებში. ტყის რეწვას უმთავრესად მისდევდნენ ბაკურიანში, ახალდაბაში, ქვიშხეთში და ა. შ. დაქირავებული მუშები ფართოდ იყვნენ გამოყენებული ბორჯომის საუფლისწულო მამულში.

გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამატებითი, ზოგჯერ კი ძირითად შემოსავლის წყაროს ურმებით ტვირთის გადატანა წარმოადგენდა. მეფურგუნე გადამზიდველების შრომა ფართოდ იყო გამოყენებული ახალქალაქის, ქუთაისის, რაჭის, შორაპნის და სხვა მაზრებში: ტვირთს ეზიდებოდნენ თბილისში, ყარსში, არტაანში, ალექსანდროპოლში, ახალციხეში და სხვა. XIX საუკუნის 70-იან წლებში გლეხობა თავისი ხარ-ურმით ფართოდ იყო დასაქმებული მარგანეცის გადაზიდვაში.

დაქირავებული მუშები გამოყენებული იყვნენ ისეთ მსხვილ მეურნეობებში, როგორიც იყო: ანანოვების მამული აჯამეთში, ფურცელაძის, ამირეჯიბის, ავსარქისოვის და სხვების — გორის მაზრაში, მუხრანბატონისა — დუშეთის მაზრაში, ბელგიელთა კომპანიის — „გეზი ეწერი“ — სოხუმის ოლქის სამურზაყანოს უბანში, ბარონ კუ-

---

[59] ი. ხუციშვილი, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 3; იხ. აგრეთვე, Материалы..., ტ. IV, ნაწ. 2, გვ. 333—347.

ჩერბახისა — ბორჩალოს მაზრაში, პოპოვისა — ჩაქვის რაიონში, რომანოვების სამფლობელოებში და სხვ.

მართალია, უმიწაწყლოდ დარჩენილი მშრომელი გლეხების ერთი ნაწილი გარესამუშაოზე ქალაქად მიდიოდა, მაგრამ დიდი უმრავლესობა კი იძულებული იყო კვლავ მემამულესათვის მიემართა და არახელსაყრელ პირობებში აეღო მიწა. შექმნილმა მდგომარეობამ მემამულეები კვლავ უზრუნველყო მუშახელით — ისინი კვლავაც ახერხებდნენ თავიანთი მეურნეობის წარმართვას ძველებური წესებით.

ამრიგად, ერთმანეთში გადაიხლართა ბატონყმობის გადმონაშთებისა და კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი, რაც რეფორმის მომდევნო პერიოდის საქართველოს სოფელში კლასობრივი ბრძოლის უშუალო მიზეზი ხდებოდა.

თავი II

საქართველოს გლეხობა ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ

§ 1. საწესდებო სიგელების შედგენა

რაზნოჩინური პერიოდის გლეხთა მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში 1864 — 1873 წლებს მოიცავს. ამ დროს გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ბრძოლა ძირითადად საგლეხო რეფორმის გატარების, პირველ რიგში, საწესდებო სიგელების შედგენის ირგვლივ მიმდინარეობდა.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულების გამოცხადებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ ყმა გლეხობა აღფრთოვანებული შეხვდა, მაგრამ რეფორმის პირველი დღეებით გამოწვეულ სიხარულს ჩქარა ეჭვები შეეკვეცა.

ცხოვრებაში რეფორმის გატარებისათვის უპირველესი და ძირითადი ამოცანა მომრიგებელ-შუამავალთა ინსტიტუტისა და სასოფლო საზრგადოებათა მმართველობის ორგანიზაცია იყო.

მომრიგებელ-შუამავლებად მოხვდნენ გონებაშეზღუდული, უცოდინარი ადამიანები, რომლებსაც ადგილობრივი ჩვეულებებისა არაფერი არ გაეგებოდათ. სამაგიეროდ, კარგად იყვნენ დაოსტატებული მექრთამეობასა და თვალთმაქცობაში. ამ გარემოებამ თავისებური დაღი დაასვა გლეხების მიერ აღძრული საქმეების გარჩევასა და მის საბოლოო გადაწყვეტას. მომრიგებელ-შუამავლებს „...არ შეეძლოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უარი ეთქვათ მებატონეებისათვის გლეხების მოტყუებაში“[1]...

1864 წლის დებულებით ნადელების გამოსყიდვამდე ყმები დროებითვალდებულნი რჩებოდნენ. მემამულისა და გლეხის ურთიერთობა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 518.

ფორმდებოდა საწესდებო სიგელით. იგი გლეხთა დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენდა.

საწესდებო სიგელების შედგენისა და ცხოვრებაში გატარებისათვის დამტკიცებულ იქნა სპეციალური წესები, რომელიც 47 მუხლისაგან შედგებოდა. სიგელების საბოლოო გაფორმება თბილისის გუბერნიაში უნდა დამთავრებულიყო 1866 წლის 13 ოქტომბრისათვის, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი ერთი წლით გვიან — 1867 წლისათვის.

წესების თანახმად გარიგების სიგელების შედგენა ხდებოდა ცალკეულ, ან რამდენიმე კომლზე ერთად. მასში აღინიშნებოდა კომლთა რაოდენობა, თითოეულ მათგანზე მიცემული საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწის ფართობი და ხარისხი (სარწყავი და ურწყავი). სიგელში უნდა შესულიყო მებატონესა და გლეხს შორის არსებული გარიგების პირობები, ნადელის ზომა, მასზე დაწესებული გადასახადები, შეთანხმება საძოვარი ადგილებით, ტყეებითა და სარწყავი არხებით სარგებლობაზე, აგრეთვე ნატურალურის ფულადი გადასახადით შეცვლის პირობები. საწესდებო სიგელს თან ერთვოდა სასოფლო კრების დადგენილება და სანადელოდ გამოყოფილ მიწებზე შედგენილი უწყისი, გლეხებს შორის სანადელო მიწების განაწილების (როცა სიგელი დგებოდა მთელ სასოფლო საზოგადოებაზე. მაშინ საზოგადოებაში შემავალ გლეხებს ერთად ეზომებოდათ ნადელები, ხოლო თვით გლეხებს შორის მიწის ამ საერთო ფონდის განაწილება შემდეგში ხდებოდა) „განჩინება“ და ყოველგვარი დამატებანი სახნავ-სათესი მიწების, ტყეების თუ საძოვარი ადგილების საკუთრებად შეძენის შესახებ.

წესები ისე იყო დამუშავებული, რომ მისი ყოველი პუნქტი, პირდაპირ თუ შენიღბულად მემამულეთა ინტერესებს იცავდა. მე-14 მუხლში, მაგალითად, აღნიშნული იყო: „მემამულის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მოიწვიოს თუ არა გლეხი საწესდებო სიგელების შედგენის დროს“. ამ პუნქტს მოსდევდა განმარტება — „მემამულეები ვალდებულნი არიან, თუ გლეხები არ მონაწილეობენ სიგელების შედგენაში, ამის თაობაზე წარმოადგინონ ამ უკანასკნელთა თანხმობა დადასტურებული 3 — 6 გლეხის ხელმოწერით“[2]. მართალია, ასე იყო წესებში, მაგრამ შემდეგ ეს პუნქტი მხედველობიდან იქნა გამოტოვებული. მემამულეები სიგელებს ხშირად გლეხებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ადგენდნენ.

წესების იგივე მუხლი მიუთითებდა: „თუ მემამულეს სურს წარა-

---

[2] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 848, ფურც. 7.

დგინოს სიგელი, რომელიც ორივე მხარის (გლეხებისა და მემამულეების) შეთანხმების საფუძველზე არის შედგენილი, უნდა გააცნოს იგი გლეხებს. თუ ამ უკანასკნელთ არაფერი ექნებათ საწინააღმდეგო მასში შეტანილი პირობების მიმართ, იმ შემთხვევაში სიგელს ხელი უნდა მოაწეროს გლეხების წარმომადგენელმა". ყოველივე ამის შემდეგ აღნიშნული მუხლი ძალაში შედიოდა და მისი დარღვევის უფლება უკვე აღარავის ჰქონდა.

მე-14 მუხლი ფორმალურად კარგადაა ჩამოყალიბებული, თითქოს სადავოც არაფერი ჩანს, მაგრამ იგი მაინც მემამულეთა ინტერესებიდან გამოდიოდა. კერძოდ, საწესდებო სიგელების შედგენაში გლეხების მონაწილეობა მთლიანად მემამულეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული[3]. სიგელზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ორივე მხარის როგორც გლეხების, ისე მებატონის ან მათი რწმუნებულის, თავადაზნაურთა წინამძღოლისა და კეთილსინდისიერი მოწმის ხელმოწერა, რომელსაც საბოლოოდ მომრიგებელ-შუამავალი ამტკიცებდა. თუ სიგელი მებატონის ან გლეხის დაუსწრებლად იყო შედგენილ-გაფორმებული ეს გარემოება მასში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია აგრეთვე მეორე მხარე. იმ შემთხვევაში, როცა სიგელის გაფორმება მემამულის მიზეზით ვერ ხერხდებოდა, მაშინ მომრიგებელ-შუამავალს უფლება ჰქონდა მისი დასწრების გარეშე შეედგინა იგი და მთელი ხარჯები ამ უკანასკნელისათვის დაეკისრებინა. თავადაზნაურობა წესების ამ პუნქტის წინააღმდეგ გამოდიოდა.

სათანადოდ გაფორმებული და ხელმოწერილი სიგელი ყოველივე ამის შემდეგ მომრიგებელ-შუამავალს ბარდებოდა. მასში ბევრი რამ გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. მათი მოგვარებისას დიდ როლს ასრულებდა ტრადიციის და ადათ-ჩვეულებების საფუძველზე მხარეების ნებაყოფლობითი შეთანხმება. ასეთები იყო: საძოვრებით და ტყეებით სარგებლობის, გლეხთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მემკვიდრეობითი გადაცემისა და ხიზნების მიერ მემამულეთა მიწებით სარგებლობის საკითხები.

მართალია, ძველ ადათ-წესებს ძალიან დიდი და ვრცელი მოქმედების არე ჰქონდა, მაგრამ მათ შესწავლაზე არავინ ფიქრობდა.ამდენად გასაგებია, თუ რაოდენ დიდ არევ-დარევასა და ქაოსს ჰქონდა ადგილი მებატონეებისა და გლეხების ურთიერთობაში. წესები ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ არ შეიძლებოდა მას გლეხების უკმაყოფილება არ გამოეწვია. მთავრობა წინასწარ შეუდგა ზოგიერთი პროფილაქტიკური

---

[3] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 348, ფურც. 1—8; იხ. აგრეთვე ფ. 416, ანაწ. 1, საქ. 284, ფურც. 8.

ღონისძიებების გატარებას. მომრიგებელ-შუამავლებსა და მაზრის უფროსებს საგანგებო მითითება მიეცათ, რომ მათ ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობა არ გამწვავებულიყო. თუ ეს ზომები სათანადო შედეგს ვერ გამოიღებდა, მაშინ ხელისუფლება წინადადებას იძლეოდა დებულების საწინააღმდეგო აგიტაციაში შემჩნეული გლეხები სოფლიდან სასწრაფოდ გაესახლებინათ.

პირველ ხანებში სიგელების შედგენა თვითონ მებატონეებს ევალებოდათ, მაგრამ ისინი რა თქმა უნდა, არ ჩქარობდნენ და საქმის დროულად მოთავებას განზრახ აჭიანურებდნენ.

საგლეხო რეფორმის ეს ღონისძიება სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. გუბერნიის მმართველობაში გამოიძახეს მომრიგებელ-შუამავლები, რომლებსაც ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი და საგანგებო დავალებით გაიგზავნენ სოფლებში. მათ მოვალეობას წარმოადგენდა არ დალოდებოდნენ მებატონეებს, თვითონ აეღოთ ხელში სიგელების შედგენის საქმე და რაც შეიძლება დაეჩქარებინათ იგი.

1867 წლის 4 ივლისს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სპეციალურმა სხდომამ გუბერნიაში შემავალ მაზრებში სიგელების შედგენის მდგომარეობის შესამოწმებლად და ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად მომრიგებელ-შუამავალთა 12 კანდიდატი მიავლინა.

ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ სიგელების შედგენის ირგვლივ კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა იმ ძირითად მიზეზს, რაც აფერხებდა საქმის წარმატებით დამთავრებას. თუ გლეხებისათვის ნადელების გამოყოფის დროს ადგილი ექნებოდა რაიმე უთანხმოებას, შუამავლებს ევალებოდათ გადაეზომათ როგორც საბატონო, ასევე საგლეხო მიწები და თითოეული მათგანისათვის მიეჩინათ თავისი საზღვრები.

1867 წლის დასასრულისათვის მეფისნაცვლის განკარგულებით დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა მიწისმზომელთა ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით. ანალოგიური ღონისძიება გაატარა ხელისუფლებამ თბილისის გუბერნიაშიც. აქაც ისე, როგორც დასავლეთ საქართველოს სოფლებში, საგანგებო დავალებით მიავლინეს შუამავალთა კანდიდატები, მიწისმზომელები; კიდევ მეტი, იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ სიგელების შედგენასთან დაკავშირებული რაიმე გაურკვეველობა და უსიამოვნება, გუბერნიის მმართველობამ საქმის ოპერატიულად და წარმატებით გადაჭრის მიზნით, საგლეხო საქმეების საკრებულოდან ადგილებზე გაგზავნა საკრებულოს წევრთა ერთი ჯგუფი.

მის მოვალეობას შეადგენდა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა სიგელების შედგენაში და ადგილზე გაერჩია საადგილმამულო სადავო საკითხები.

მართალია, მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეჩქარებინა სიგელების შედგენა, მაგრამ ამაოდ. გატარებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი ამ საქმის წარმატებით დამთავრებისათვის.

1866 წლისათვის თბილისის გუბერნიაში სულ შეადგინეს 127 სიგელი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში (სამეგრელოს გამოკლებით) 1867 წლიდან 1868 წლის 11 ივნისამდე (ე. ი. წლინახევრის განმავლობაში)— 5516 სიგელი.

მთავრობას აშინებდა სოფლად შექმნილი მდგომარეობა, აწუხებდა ის ფაქტი, რომ სიგელების შედგენა გაძნელდა და გაჭიანურდა. ხელისუფლება მოითხოვდა ეს ღონისძიება რაც შეიძლება დროულად დამთავრებულიყო.

1867 წლიდან შუამავლებს, მათ კანდიდატებს თუ საკრებულოდან მივლინებულ ოფიციალურ პირებს, უფლება მიეცათ მემამულეთა მონაწილეობის გარეშე თვითონ შეედგინათ სიგელები. მათაც ფართოდ გამოიყენეს მთავრობის მიერ მინიჭებული ეს უფლებები და როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე თვითნებურად ადგენდნენ ამ დოკუმენტს. სიგელების შედგენამ უკანასკნელ წლებში აშკარად ფორმალური ხასიათი მიიღო და საქმეც სწრაფად წავიდა წინ.

დებულების თანახმად სიგელზე ხელი უნდა მოეწერა ორივე მხარეს. თუ გლეხმა წერა-კითხვა არ იცოდა, მაშინ სიგელს ხელს აწერდა რწმუნებული. ხელმოუწერელ სიგელს კი ძალა არ ჰქონდა. სიგელების შედგენა რომ არ შეფერხებულიყო, აღგილობრივი ხელისუფლება ხელმოწერ ორივე მხარის დაუკითხავად, ფარულად ირჩევდა რწმუნებულად რომელიმე ბობოლა გლეხს ან სოფლის მღვდელს და ასე აფორმებდნენ ამ დოკუმენტებს. ზოგჯერ სიგელები ისე დგებოდა, რომ არც ერთმა მხარემ არ იცოდა შეთანხმების პირობები. ცხადია, ასეთი დოკუმენტები სრულყოფილი არ იყო, მათში ხშირად ადგილი ჰქონდა ფაქტების დამახინჯების უამრავ შემთხვევას.

ეს სიყალბე ცნობილი იყო თვით გუბერნიის მმართველობისთვისაც, მაგრამ იგი ყოველგვარ ბოროტმოქმედებაზე თვალს ხუჭავდა, რათა დროულად ეცნობებინა ზემდგომი ინსტანციებისათვის გუბერნიაში საქმის წარმატებით მიმდინარეობა და მთავრობის მადლობა, ჯილდოები დაემსახურებინა.

§ 2. დებულების საწინააღმდეგო აგიტაციის გაძლიერება სოფლად

საწესდებო სიგელების შედგენის დროს სოფლად ფართო ხასიათი მიიღო დებულების საწინააღმდეგო აგიტაციამ. გაჩნდნენ ადამიანები, რომელნიც გლეხებს რეფორმის შესახებ სწორ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ, უხსნიდნენ მის მძარცველურ ხასიათს, მოუწოდებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ურჩევდნენ არ დამორჩილებოდნენ მებატონეებს, უარი ეთქვათ სიგელების შედგენაზე, ხელმოწერასა და მასში წარმოდგენილი პირობების ცხოვრებაში გატარებაზე, აღვივებდნენ რეფორმისადმი სიძულვილს.

ასეთი აგიტატორები საკმაოდ მრავალად იყვნენ. მათმა ერთმა ნაწილმა იცოდა რუსული ენა, ჰქონდა საფუძვლიანი კრიტიკული შენიშვნები მანიფესტისა და დებულების შესახებ. ისინი მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრებით, პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებულ მებრძოლთა შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ხელისუფლება სიგელების შედგენას ჩქარობდა, აგიტატორები კი ცდილობდნენ გლეხთა ბრძოლის გაძლიერებით შეეჩერებინათ ან დროებით მაინც შეეფერხებინათ დებულების ცხოვრებაში გატარება. რეფორმის პროცესში „საქმეების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო, — ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, — ნახევრადგანათლებულ პირთა საქმიანობა, რომელნიც თავისი განზრახვით და ბოროტმოქმედებით ცდილობდნენ მღელვარება და უკმაყოფილება გამოეწვიათ ხალხთა ფართო მასებში“[4].

„საეჭვო პირთა“ მიერ „გლეხთა აღელვების“ ფაქტზე მიუთითებდა გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი. იგი თბილისის გუბერნატორს მოახსენებდა: „სოფლად მოქმედებენ მოუსვენარი ადამიანები... რომელთა გავლენით გლეხები სხვადასხვა სახით (სიგელების შედგენასთან დაკავშირებით, — მ. ა.) უარს ამბობენ საქმის საბოლოო დამთავრებაზე“[5]. ბოლოს კი დასძენდა: „ისინი (აგიტატორები, — მ. ა.) კიდევ უფრო ართულებენ მდგომარეობას და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ“[6]. იგივე აზრის იყო სოფლად აგიტატორთა მომრავლების შესახებ ოზურგეთის მაზრის უფროსიც. იგი რეფორ-

---

[4] სსსა, ფ. 31, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 28.
[5] იქვე.
[6] იქვე.

მის გატარების პროცესში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზად „ზოგიერთი პიროვნების მოღვაწეობასა და ჩარევას“[7] ასახელებდა.

აგიტატორები სოფლის მკვიდრნი იყვნენ, კარგად ესმოდათ გლეხების ცხოვრება, მათი მდგომარეობა და ერთგულად იცავდნენ მათ ინტერესებს. სოფლად გაწეული აგიტაცია თანდათან დამაჯერებელი ხდებოდა. გლეხობა გრძნობდა, რომ „წამქეზებელთა“ მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე სრული ჭეშმარიტებით იყო ასახული დებულების ნამდვილი არსი, რეფორმის ბატონყმური ბუნება, მემამულეთა თვითნებობა, რომლის შედეგებსაც მწარედ განიცდიდნენ თვითონვე. გლეხებმა ირწმუნეს აგიტატორთა ცოცხალი სიტყვა, გვერდში ამოუდგნენ მათ და ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად.

გლეხების ერთ ნაწილს სოფლად სააგიტაციო მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა; იგი ჯერ კიდევ დებულების გამოცხადებამდე ეწეოდა ბატონყმობის საწინააღმდეგო აგიტაციას. რეფორმის გატარების დროს კი მან არამცთუ ხელი აიღო ამგვარ საქმიანობაზე. არამედ კიდევ უფრო გააძლიერა იგი, მთავრობის მიერ განხორციელებული რეპრესიების მიუხედავად გლეხებში ტრიალებდა და ჩვეული გამბედაობით განაგრძობდა სოფლის მშრომელთა დარაზმვას უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყინწვისელი დროებითვალდებული საკაშვილი ჯერ კიდევ ადრე ბატონყმობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დაუპატიმრებიათ და ერევნის გუბერნიაში გადაუსახლებიათ. არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მას თავისი საქმიანობა. საგლეხო რეფორმის შემდეგ სიგელების შედგენის დროს კვლავ გამოჩენილა თანასოფლელებს შორის. იგი მოუწოდებდა გლეხებს უარი ეთქვათ სიგელების ხელმოწერაზე, ამხელდა მემამულეთა თვითნებობას, თვალთმაქცობას, ხელს უწყობდა სოფლის მშრომელთა თვითშეგნების ამაღლებას. საკაშვილი აღნიშნავდა, რომ მემამულეები გლეხებს ნადელებში უთვლიან იმ მიწებს, რომლებიც მათ საკუთრებას შეადგენს, ხელოვნურად ადიდებენ გადასახადებს და სხვ.[8].

ბატონყმობისდროინდელი აგიტატორი იყო გაბრიელ ნიკოლაიშვილიც. მას დიდი გავლენა მოუხდენია სოფ. ბროწლეთის გლეხებზე. ჯერ კიდევ 1863 წელს დაუწერია მემამულის საწინააღმდეგო „წერილი“. რომელიც ფართო პოპულარობით სარგებლობდა და ხელიდან ხელში

---

[7] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1126, ფურც. 1.

[8] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 7, ფურც. 164.

გადადიოდა. ეს დოკუმენტი[9] საბუთებში „წერილადაა“ მოხსენებული, ნაგრამ. ვფიქრობთ, ამ ტერმინის მნიშვნელობას ბევრად სცილდება.— იგი ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი საბრალმდებლო აქტი იყო.

მმართველობამ ნიკოლაიშვილი „გამოუსწორებელ“ პიროვნებად მიიჩნია და როგორც „გლეხობისათვის ცუდი მაგალითის მიმცემი“ დაპატიმრა. ვერც პატიმრობამ და ვერც მშობლიურ სოფლიდან გასახლებამ ვერ გატეხა მისი საბრძოლო შემართება — საპყრობილედან დაბრუნებული კვლავ ჩაეული ენერგიით განაგრძობდა ბააგიტაციო მუშაობას.

თუ აგიტატორთა ერთ ნაწილს გლეხებს შორის ააგიტაცო მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა, სამაგიეროდ, მეორე ნაწილი ამ საქმიანობას დებულების გამოცხადების პირველ დღეებიდან დაადგა. საკმაო პრაქტიკის უქონლობის მიუხედავად, იგი უკან არ იხევს და თამამად ეწევა ხელისუფლების ღონისძიებათა საწინააღმდეგო აგიტაციას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასლამაზიშვილის საქმიანობა.

1866 წლის 16 იანვარს სოფ. გერანში (თბილისის მაზრა) დებულების შინაარსის გასაცნობად მომრიგებელ-შუამავალი ჩავიდა. მან შეკრიბა გლეხები. ასლამაზიშვილი შეეცადა გამოეყენებინა ეს მომენტი და თანასოფლელთა შორის რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაცია გააჩაღა. იგი აკრიტიკებდა დებულებას; ურჩევდა გლეხებს არ შეთანხმებოდნენ მემამულეებს, უარი ეთქვათ გადასახადებზე, ხელი არ მოეწერათ სიგელებზე. იგი არწმუნებდა მოსახლეობას, რომ მეოთხედი ნაწილი და სხვა მისი მსგავსი გადასახადები მემამულეების მიერაა გამოგონილი და რომ „იმ წიგნში, რომელიც მას სახლში აქვს, სულ სხვა წერია, ვიდრე ამას გლეხებს ეუბნებიან“[10].

ასლამაზიშვილის საბრალმდებლო საქმეში ნათქვამია, რომ გლეხებს შორის რეფორმის შესახებ იგი „თამამად და თავხედურად“ ლაპარაკობდა[11]. მომრიგებელ-შუამავალს მითითება მიუცია მისთვის შეეწყვიტა აგიტაცია, მაგრამ ასლამაზიშვილს ამაზე უარი განუცხადებია[12]. ბოლოს, უკვე დაპატიმრებული ასლამაზიშვილი კვლავ მობრუნებია

---

[9] სსსა, ფ. 220, საქ. 880, ფურც. 3—7.

[10] სსსა, ფ. 5, ანაწ. 3, საქ. 7815, ფურც. 1; სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 227; იხ. აგრეთვე ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა , ვ. გ უ ჩ უ ა , საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, 1967, გვ. 46.

[11] სსსა, ფ. 5, ანაწ. 3, საქ. 7815, ფურც. 3.

[12] ი ქ ვ ე , ფურც. 5.

გლეხებს და მიუმართავს მათთვის, არავითარ შემთხვევაში დათმობაზე არ წასულიყვნენ. აღნიშნული მაგალითებიდან აშკარად ჩანს საგლეხო საქმისათვის ამ თავდადებული კაცის დიდი ნებისყოფა, გლეხთა საქმისადმი ერთგულება.

სააგიტაციო მუშაობაში შემჩნეულ გლეხებს შორის საბუთებში იხსენიებიან ძმები გუჩაშვილები, რომლებსაც მოღვაწეობის ასპარეზად სოფ. ბოლი და გორგაშენი (გორის მაზრა) ჰქონდათ არჩეული: „ისინი ამხედრებდნენ მეზობლებს, ურჩევდნენ მათ უარი ეთქვათ სიგელების ხელმოწერასა და ადგილობრივი დებულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე"[13].

როგორც ოფიციალური დოკუმენტებიდან ირკვევა „წამქეზებელთა" ერთი ნაწილი კარდაკარ დადიოდა, თავისი გასაგები, მგზნებარე საუბრით გლეხებში შეჰქონდა მაღალი შეგნება და ადგილობრივი ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ყორნისის (გორის მაზრა) მამასახლისის მიერ მაზრის უფროსისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. ეხება რა ჯუტაშვილისა და კეხოშვილის მოღვაწეობას იგი აღნიშნავს: „მათ ჩამოუარეს ყველა გლეხს და აქეზებდნენ სხვადასხვა ცრუ ხმებით, არწმუნებდნენ, რომ ისინი ძალიან ბევრს აკეთებენ ხელისუფლების გასამდიდრებლად და არა საზოგადოების საჭიროებისათვის (ხაზგასმა ჩვენია, — მ. ა.). ურჩევენ გლეხებს არ დაემორჩილონ სოფლის ხელისუფალთა მოთხოვნებს, როგორც უკანონოსა და შემაწუხებელს"[14]. მეორე ადგილას კი ნათქვამია: „ჯუტაშვილი და კეხოშვილი აღაგზნებენ გლეხებს საბრძოლველად, თესენ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი უნდობლობას... რაც ხშირად იწვევს ურჩობასო"[15].

აგიტატორთა ერთი ნაწილი არ ჯერდებოდა მარტო სიტყვიერ აგიტაციას: გლეხების სახელით წერდა საჩივრებს, თხოვნებს და გზავნიდა მმართველობის სხვადასხვა ინსტანციებში.

გორის მაზრაში, კერძოდ. ოსეთის უბანში ასეთ მოღვაწეობას ეწეოდა იოსებ ელიოზიშვილი. მას ბრალად ედებოდა ურთიერთობის გამწვავება მემამულეებსა და გლეხებს შორის, უთანხმოებისა და შუღლის ჩაბოგდება, უსაფუძვლო საჩივრების შეთხზვა და „ცილისმწამებლური" წერილების წერა[16].

---

[13] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 7, ფურც. 126.
[14] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 2179, ფურც. 137.
[15] იქვე, ფურც. 136.
[16] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 7, ფურც. 22.

აქტიურად მოქმედებდნენ აგიტატორები აგრეთვე კახეთშიც. ისინი საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ თანასოფლელებს, პირველნი უარს აცხადებდნენ მემამულეთა მორჩილებაზე, დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, მთავრობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, გადიოდნენ სოფლად და ეწეოდნენ დებულების კრიტიკას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ნიკა ჩარექუაშვილი, მათე შათირიშვილი (კურდღელაური), ბალიაშვილი (კარდანახი) და სხვ. ჩარექუაშვილის შესახებ მომრიგებელი შუამავალი წერდა: „იგი თანასოფლელებს შორის დებულების ირგვლივ იძლეოდა ყალბ განმარტებასო"[17]. შათირიშვილის საქმიანობა კი ასეა შეფასებული: „შემჩნეული იყო უხეშ და არასწორ გამოთქმებში, როგორც დებულების, ისე მემამულეთა სამართლიანი მოთხოვნილების მიმართო"[18], ხოლო ბალიაშვილზე კი, რომელმაც კარგად იცოდა რუსული ენა და დებულებაზე საკუთარი, კრიტიკული შენიშვნები ჰქონდა გაკეთებული, ნათქვამია: „ეწეოდა დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებათა ქადაგებას"[19].

აგიტატორ-გლეხთა მოქმედების არე ძირითადად მშობლიური სოფლით ან უბნით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ისინი ზოგჯერ სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ.

1869 წელს სოფ. ურიათუბანში მომუშავე ადგილობრივ მკვიდრთა ანდრია ლაზარიშვილის, შერმაზან მამუკაშვილის, კირილე დათუნაშვილის გვერდით მოქმედებდა სოფ. წინანდლიდან გადმოსული გიორგი ლუარსაბიშვილიც.

ეხედებით აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთიდან გადმოსულ აგიტატორებსაც. ამ მხრივ საინტერესოა ანტონ ქიქოძის პიროვნება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მომზადებით, გამჭრიახობითა და თავისი დიდი გამოცდილებით.

ანტონ ქიქოძე გლეხობის ინტერესებისათვის შეუდრეკელ მებრძოლ, თავდადებულ მოღვაწედ გვევლინება. ციხე-გადასახლებამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა; პოლიციური დევნისა და პატიმრობის მიუხედავად, სასჯელის მოხდისთანავე, როგორც მეფის მოხელეები აღნიშნავდნენ „აგრძელებდა აღმაშფოთებელ პროპაგანდას".

ანტონ ქიქოძე იანეთელი მღვდლის შვილი იყო; თავდაპირველად გურიაში ცხოვრობდა, საიდანაც იგი ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გაუსახლებიათ. 1866 წელს თელავის მაზრის გლეხებს შორის პროპაგანდისათვის კვლავ დაუპატიმრებიათ და საპყრობი-

---

[17] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 7. ფურც. 22.
[18] ი ქ ვ ე , ფურც. 65—66.
[19] ი ქ ვ ე , ფურც. 22.

ლეში ჩაუსვამთ[20]. მას არც ამის შემდეგ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა და კვლავ კახეთის სოფლებს დაბრუნებია[21]. ქიქოძეს ამჯერად უკვე გლეხთა მთელი ჯგუფი შემოუკრებია. მათ შორის იხსენიება ვინმე გოდაბრელიძე, ჩიტაშვილი, ყარალაშვილი, კოსოლაშვილი, ბაქრაძე და სხვ.[22].

ანტონ ქიქოძე დროებითვალდებულ გლეხებს მოუწოდებდა უარი ეთქვათ „გარიგების სიგელებზე", დაერღვიათ ე. წ. „კანონიერი ურთიერთობა მებატონეებთან". ივი ავრცელებდა ხმებს, რომ 9-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით გლეხები სავსებით განთავისუფლდებიან ბატონყმური ურთიერთობისაგან და მათ სარგებლობაში არსებული მიწები საკუთრებაში დარჩებათო. ასეთი აგიტაცია საყურადღებო ფაქტია და, ვფიქრობთ, არ შეიძლება შემთხვევით მოვლენას მიეწეროს. ივი, 9-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების საწინააღმდეგო იმ პროპაგანდისტული საქმიანობის ანალოგიურია, რასაც ნეჩაეველები ეწეოდნენ რუსეთის გლეხობაში.

ძლიერი იყო აგიტატორთა წრე საქართველოს იმ სოფლებში, სადაც სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ. აღსანიშნავია, რომ არაქართულ მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორები ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ.

თელავის მაზრაში (ყვარელი) 60-იანი წლების ბოლოს სოფლის მშრომელებს მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრებდა ვინმე ტერ-გრიქურავი[23], დიმიტრი ორბელიანის დროებითვალდებულ გლეხებს (სოფ. პოლკოვნიკოვში) კი ისმაილ კარასიალოღლი[24]. ბორჩალოს მაზრაში (სოფ. სადახლოში) 1865 წელს მთავრობისა და მემამულეთა საწინააღმდეგო გამოსვლებში ჟანდარმერიის მიერ შემჩნეული იყვნენ დროებითვალდებული კარაპეტ ვართუმოვი, პეტრუსა არაქელოვი და სხვ[25].

სოფლის მოწინავე ადამიანები ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ არა მარტო დროებითვალდებულ გლეხებს, არამედ ხიზნებსაც[26].

შეურიგებელ ხასიათს ატარებდა რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაცია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა შორაპნის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრები.

---

[20] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 152, ფურც. 90.
[21] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 71, ფურც. 9—10.
[22] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 152, ფურც. 7, 76—77.
[23] სსსა, ფ. 5, ანაწ. 2, საქ. 2615, ფურც. 1—2.
[24] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 452, ფურც. 767—768.
[25] ი ქ ვ ე, საქ. 7, ფურც. 56.
[26] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1510, ფურც. 93.

სამეგრელოში, კერძოდ, სენაკის მაზრაში, მთავრობისა და მებატონეების საწინააღმდეგო საქმიანობაში ჩაბმული იყო ნიკო კრიგოლია. იგი გლეხებს შთააგონებდა უარი ეთქვათ გადასახადებზე[27].

შორაპნის მაზრაში დროებითვალდებულ გლეხებს შორის მოქმედებდნენ ლომიძეები[28]. ჩვენ ვერ დავადგინეთ რა აგიტაციას ეწეოდნენ ისინი ან რა შედეგი მოჰყვა მას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — აქ აგიტატორთა მთელი წრე მუშაობდა, რომელიც დროებითვალდებულ გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის განაწყობდა.

ფართო და დიდი იყო აგიტატორთა წრე ოზურგეთის მაზრაში. 1869 წელს სოფ. ნანეიშვილისეულში დებულების საწინააღმდეგო აგიტაციაში ხელისუფლების მიერ შემჩნეული იყვნენ: ბასილა ვაჩეიშვილი, გიორგი გიორგაძე, გაბილა ძნელაძე, ივანე მიქაშავიძე, ოტია და ბიძინა მაღულარიები, მდიდარი ვაჩეიშვილი და ივანე კეშელავა. აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევდნენ გიორგი გიორგაძე და ბასილა ვაჩეიშვილი. ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ საწესდებო სიგელების პირობებს და არ შეესრულებინათ მასში გათვალისწინებული ვალდებულებანი[29].

სოფლად მომუშავე აგიტატორებს შორის ჩვენ ვხედავთ არა მარტო გლეხკაცობას, არამედ თავადაზნაურთა წარმომადგენლებსაც. ეს ფაქტი კი უსათუოდ საინტერესოა და ახსნას მოითხოვს. გლეხ-აგიტატორთა მოღვაწეობა გასაგებია. რეფორმის შედეგებისადმი აშკარა უკმაყოფილების გამოთქმით, ბატონყმობის საძულველი გადმონაშთების წინააღმდეგ გალაშქრებით ისინი თავიანთ თანამოძმეთა სოციალურ ინტერესებს იცავდნენ, მაგრამ თავად-აზნაურთა ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობა კი ამ ბრძოლაში, რომელიც მათი კლასობრივ თანამოძმეთა წინააღმდეგ იყო მიმართული სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა რევოლუციური იდეების თანაგრძნობით. ქართველ გლეხობასთან ერთად რეფორმის მძარცველური ხასიათი და ბუნება კარგად დაინახა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, რომლის წარმომადგენლებიც უპირატესად თავად-აზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსული. მათ მხარი დაუჭირეს გლეხობას ამ სამართლიან ბრძოლაში. ეს მხარდაჭერა და თანაგრძნობა ხშირად იმით გამოიხატებოდა, რომ მათი წარმომადგენლები სოფლად გლეხებს შორის დებულების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ.

---

[27] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1302, ფურც. 3, იხ. აგრეთვე ფ. 220, საქ. 835.
[28] იქვე, ანაწ. 2, საქ. 2551, ფურც. 8; იხ. აგრეთვე საქ. 1122.
[29] იქვე, ანაწ. 1, საქ. 1126, ფურც. 1—6; საქ. 2551.

ოზურგეთის მაზრაში, კერძოდ, ნანეიშვილისეულში, გლეხი აგიტატორების გვერდით იხსენიება თავადი ივლიანე ერისთავი.

საინტერესოა ვინ იყო იგი და რა საერთო ჰქონდა გლეხთა ამ აჯანყებასთან? ვ. გიორგაძე და ბ. ვაჩეიშვილი, რომლებიც გუბერნიის ხელისუფლებამ დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში ჩასვა, თავიანთ ჩვენებებში გვერდს უვლიდნენ ი. ერისთავის დასახელებას. არც სხვა გლეხები იყვნენ ამ მხრივ გულახდილნი. ერისთავზე საბრალმდებლო მასალები ვერ შეგროვდა.

გ. გიორგაძისა და ბ. ვაჩეიშვილის მიერ ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდა გასაგებია, მაგრამ ი. ერისთავის მონაწილეობა კი ამ საქმეში სხვა არაფერზე მიუთითებს, თუ არა ამ უკანასკნელის რევოლუციურ რწმენაზე, რაც მას „ხალხის მეგობრად" ხდიდა. ცნობილია, რომ უფრო მოგვიანებით, 70-იან წლებში ოზურგეთელი ერისთავების გვარიდან საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე გამოვიდა[30].

ოზურგეთის მაზრაში მომუშავე აგიტატორები არა მარტო თავიანთ სოფლებში ეწეოდნენ მოღვაწეობას, არამედ საერთოდ თვალყურს ადევნებდნენ აგრეთვე მოელენათა მსვლელობას სხვა მაზრებშიც. დამახასიათებელია, რომ როდესაც ნანეიშვილისეულის აგიტატორები ამხილეს და დაპატიმრებით დაემუქრნენ, მათ განუცხადებიათ, რომ მსგავს შემთხვევას წერეთლების მამულშიც (შორაპნის მაზრა) ჰქონდა ადგილი, მაგრამ „მაშინ ისინი ამისათვის არავის არ დაუსჯიათო[31]. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გურული აგიტატორი გლეხები დაინტერესებული არიან თანამოაზრეთა მოქმედებით, შედეგებით და მათი ბედით საქართველოს სხვა კუთხეებში.

ისმის კითხვა, საიდან უნდა სცოდნოდათ ოზურგეთის მაზრაში მომუშავე აგიტატორებს შორაპნის მაზრის ამბები? ცნობების მიღება პრესიდან გამორიცხულია, ასეთ საკითხებზე წერა არ შეიძლებოდა. შესაძლებელია საერთო ცენტრი არსებობდა, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები ამ მოსაზრებას ჯერჯერობით დამაჯერებელსა და სარწმუნოს ვერ ხდის.

თუ აგიტატორ-გლეხთა ერთი ნაწილი თანამემამულეთა შორის დებულების კრიტიკით შემოიფარგლებოდა და ურჩევდა გლეხებს არ მოეწერათ ხელი სიგელებზე, მეორე — აქეზებდა გლეხებს უარი ეთქვათ

---

[30] ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, ამიერკავკასიაში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გვ. 84.

[31] სსსა, ფ. 5, ანაწ. 2, საქ. 2551, ფურც. 3.

ომ ნატურალურ თუ ფულად გადასახადებზე, რომელსაც საწესდებო სიგელები ითვალისწინებდა; მესამე—შენიღბულად, ფარულად მოქმედებდა, წერდა საჩივრებს გლეხთა რამდენიმე კომლის. ან მთელი უბნის სახელით და გზავნიდა ზემდგომ ინსტანციებში; მეოთხე — გლეხთა რწმუნებულების უფლებით აღჭურვილი თვითონ მიდიოდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში, თვით მეფისნაცვალთანაც კი გლეხთა ინტერესების დასაცავად.

საერთო საქმისათვის ასეთ თავდადებულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა გიორგი გიორგაძე (ოზურგეთის მაზრა). მის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სხდომაზე, სადაც იხილებოდა სადავო საკითხები, მოვლენილი იყო გლეხების წარმომადგენლად, არ ეპუებოდა არავის: „აშკარად გამოთქვამდა უპატივცემულობას და იყო გამსჭვალული ურჩობის სულისკვეთებით"[32].

განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ვანში მცხოვრები ვინმე ლევან ვაშაყმაძე. იგი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე და, საერთოდ, თანასოფლელებს შორის კარგი ავტორიტეტის მქონე გლეხი ყოფილა, ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას იგი თავის რწმუნებულად აურჩევია.

მაშინ, როდესაც ვანელი გლეხები ბრძოლის გზას დაადგნენ, ლევან ვაშაყმაძე, თანასოფლელთა რწმუნებით, თბილისში გაემგზავრა იმის გასარკვევად და დასაზუსტებლად თუ „რამდენად მართალია ყველაფერი ის, რასაც აცხადებს ადგილობრივი ხელისუფლება რეფორმის შესახებ"[33].

მოტანილი დოკუმენტიდან ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ვაშაყმაძე კარგად ერკვეოდა არსებულ ვითარებაში და გლეხებს შეიარაღებულ ბრძოლისაკენ ჯერ კიდევ არ მოუწოდებდა. მეორე, მას შესანიშნავად ესმის, რომ მემამულეები და ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად თვითნებურად წყვეტენ საკითხს. ამიტომ იგი უნდობლობას უცხადებს მათ და მეფისნაცვალთან მიემგზავრება.

ზემოაღნიშნულ აგიტატორთა ამგვარი მოქმედება, ერთი მხრივ, შიუთითებს მათ მაღალ საბრძოლო თვისებებსა და გამბედაობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, კი იგი ამ აგიტატორების გულუბრყვილობაზეც მეტყველებს. მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ ხელისუფლების დაბალი

---

[32] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1 საქ. 1122, ფურც. 1.

[33] ი ქ ვ ე , ფურც. 5.

და მაღალი ჩინის მოხელეებს ერთი ინტერესი ამოძრავებდათ, ერთ საქმესა და მიზანს ემსახურებოდნენ.

დროთა მსვლელობაში დებულების საწინააღმდეგო აგიტაცია ძლიერდებოდა, მშრომელთა შეგნება თანდათან მაღლდებოდა. 1867 წელს ვანდარმერიის მიერ შედგენილ დოკუმენტში საგანგებოდაა მითითებული, რომ „უკანასკნელ ხანებში გლეხი აგიტატორების მოქმედება ყოველდღიურად იზრდება"[34].

ამრიგად, საწესდებო სიგელების შედგენის დროს აგიტაციის გაძლიერება, ისიც თვით გლეხთა წრიდან გამოსული აგიტატორების მიერ, თავისთავად მეტად საინტერესო მოვლენაა: იგი მიგვითითებს საქართველოს მშრომელთა გათვითცნობიერებასა და მის მაღალ შემართებაგამბედაობაზე. როგორიც არ უნდა ყოფილიყო აგიტატორების მოღვაწეობის შედეგები, ერთი რამ ფაქტია, რომ მთელ ცოდნასა და ენერგიას ისინი საერთო საგლეხო საქმეს სწირავდნენ, ჩაგრულ და უფლებააყრილ სოფლის მშრომელი გლეხობის ინტერესებს ახმარდნენ.

აგიტატორთა სიტყვები სოციალურად უფლებააყრილ და დაბეჩავებულ გლეხებისათვის გასაგები, მისაწვდომი და მათი ინტერესების ამსახველი იყო. ასეთი აგიტაციის გაძლიერება და ისიც დებულების ცხოვრებაში გატარების დროს წარმოადგენდა ერთგვარ ბიძგს, რომ გლეხობა გაბედულად გამოსულიყო მთავრობის ამ ახალი ღონისძიების წინააღმდეგ. თითქმის იშვიათი იყო მაზრა, სადაც ადგილი არ ჰქონოდა დებულების საწინააღმდეგო გამოსვლას, მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა კრიტიკას, გლეხობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას და სხვა შემთხვევებს. აშკარად იგრძნობოდა, რომ „საეჭვო ადამიანები" არ ისვენებდნენ[35].

რეფორმის გატარების პროცესში საქართველოს სოფელში აგიტატორთა ასეთი მოღვაწეობა ხელისუფლებას მხედველობიდან არ გაეპარვია. ეს არც გასაკვირია, რადგანაც მცირეოდენ აგიტაციასაც კი შეიძლებოდა სერიოზული უკმაყოფილება გამოეწვია მძარცველური რეფორმის განხორციელების შედეგად ისედაც აღშფოთებულ გლეხებს შორის, ერთ სოფელში დაწყებული ბრძოლა გაფართოებულიყო, მთელ გუბერნიას ან მაზრას მოსდებოდა. ამასთანავე აშკარად იგრძნობოდა, რომ მთავრობის ღონისძიებათა საწინააღმდეგო აგიტაციას ცალკეული — შემთხვევითი კი არა მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ, რომ XIX საუკუნის 60—70-იან წლებში სა-

---

[34] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 895, ფურც. 19.

[35] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1510, ფურც. 93.

ქართველოს სოფელში ფართო მუშაობას ეწეოდნენ ხალხოსნები, რომ-ლებიც გლეხური იდეოლოგიის მატარებელი იყვნენ და მათ ინტერე-სებს იცავდნენ, მაშინ ცხადი გახდება თუ რაოდენ ფხიზლად უნდა ედევნებინა მთავრობას თვალი სოფლად აგიტატორების მომრაველებ-სათვის.

მთავრობა ვარაუდობდა, რომ სოფლად მომუშავე აგიტატორ-გლეხ-თა მიმართ თავიდანვე თუ არ იქნებოდა მკაცრი ზომები მიღებული, მას შეიძლებოდა სავალალო შედეგები მოჰყოლოდა. ქიქოძეები და ასლა-ნაზიშვილები ერთეულები როდი იყვნენ, მათ ათასობით გლეხი უჭერ-და მხარს. საკმარისი იყო მცირე საბაბი, რომ უკმაყოფილება აჯანყე-ბაში გადაზრდილიყო. მეფის მოხელეები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს სოფლად მიმდინარე ამბებს. აგიტატორ-გლეხთა მოღვაწე-ობა, მათი თითოეული ნაბიჯი, აღრიცხვაზე იყო აყვანილი და სათანა-დო ორგანოების მიერ რეგისტრირებული. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „გაეწმინდა" სოფელი „საეჭვო პირებისა-გან".

მთავრობა თავდაპირველად ფორმალურად თითქოს ერთგვარად ერიდებოდა საქმის გართულებას და მხოლოდ გაფრთხილებებით კმა-ყოფილდებოდა, მისი მიზანი იყო ემოქმედა ე. წ. დაშინების მეთოდით და ამით გაეტეხა გლეხთა წინააღმდეგობა.

გლეხობის მიმართ ასეთი „სულგრძელი" დამოკიდებულება აიხს-ნება არა მათდამი თანაგრძნობით, არამედ ერთგვარი შიშითა და გლეხ-თა მოძრაობისადმი სიფრთხილის გამოჩენით, რადგანაც რაიმე — სულ მცირეოდენ წინდაუხედავ ნაბიჯსაც კი შეიძლებოდა საქმე კიდევ უფრო გაერთულებინა და ქვეყანა რევოლუციური აფეთქების წინაშე დაეყენებინა.

გამწვავებული კლასთა ბრძოლის შესანელებლად მუქარა-დაშინე-ბა საკმარისი არ აღმოჩნდა, იგი მთავრობას კარგს არაფერს უქადდა. ხელისუფლების მიერ აგიტატორ-გლეხთა გაფრთხილებისა თუ რეპრე-სიების მიუხედავად აგიტაციის შეჩერება სოფლად შეუძლებელი გას-და[36].

მომრიგებელ-შუამავლები სულ უფრო ხშირად სთხოვდნენ მაზრის უფროსებსა და გუბერნატორებს აგიტატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „გლეხთა ბოროტმოქმე-დებაში დამნაშავეთა მკაცრად და სანიმუშოდ დასჯას"[37]. გორის მაზრის

---

[36] სსსა, ფ. 5, ანაწ. 2, საქ. 2551, ფურც. 9.

[37] ი ქ ვ ე.

უფროსი დაეინებით მოითხოვდა „ხელისუფლებას რაც შეიძლება საჩქაროდ გაეცა განკარგულება, რომ კანონის მთელი სიმკაცრით დაესაჯათ. თუ ყველა მათგანი არა, უკიდურეს შემთხვევაში, ძირითადი დამნაშავეები მაინც“[38].

ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც ყველაზე ახლოს იდგნენ სოფლად მიმდინარე ამბებთან, აშინებდათ ასეთი აგიტაციის გაძლიერება. ისინი მოითხოვდნენ არც ერთი წუთით არ შენელებულიყო აგიტატორ-გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლა. „მთავრობის ყურადღების ყოველგვარი შესუსტება, — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში, — გათამამებულ გლეხების მიმართ, მით უმეტეს როცა მათი განწყობა უკიდურესად აღგზნებულია, გამოიწვევს მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას და ხელს შეუშლის საქმის მშვიდობიან მოგვარებას“[39]. კავკასიის მთავარმართველობის უფროსი ბარონი ნიკოლაი თავის მხრივ მაზრის უფროსებს და გუბერნატორებს მიუთითებდა: „იმისათვის, რომ აღმოიფხვრას მსგავსი შემთხვევები (ლაპარაკია გლეხებში აგიტატორთა მოღვაწეობაზე, — მ. ა.) საჭიროა სასწრაფო ზომების გატარება“. მას სოფლად სოციალური ანტაგონიზმის აღმოსაფხვრელად „წამქეზებელთა“ მარტო სასამართლოში ფორმალური გადაცემა არ მიაჩნდა საკმარის ღონისძიებად. იგი კატეგორიულად მოითხოვდა „მათ გაძევებას საცხოვრებელი ადგილიდან, დებულების ცხოვრებაში გატარებამდე“[40]. 1869 წლის 23 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო, სპეციალური მითითებით აფრთხილებდა გუბერნატორებს, რომ „განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმ პირთათვის, რომლებიც აქეზებენ გლეხებს ურჩობისა და უწესრიგობისაკენ“[41].

ბარონ ნიკოლაის ასეთი მითითება სამოქალაქო გუბერნატორისადმი, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ საგანგებო ზომების მიღება სოფლად მეტი სიფხიზლის გამოჩენის თაობაზე, შემთხვევითი არ იყო. ეს ფაქტი მიგვითითებს, ჯერ ერთი, საქართველოში გლეხთა კლასობრივი ბრძოლის უკიდურეს გამწვავებაზე. და მეორე — ხელისუფლების მიერ მკაცრი ზომების განხორციელებაზე ცალკეულ წინააღმდეგობათა ძირშივე დაძლევის მიზნით.

რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისათვის ბატონყმობის გაუქმების კანონპროექტის მომზადების დროს მთავრობის წრეებში თავი-

---

[38] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 11.

[39] ი ქ ვ ე, საქ. 7, ფურც. 21.

[40] ი ქ ვ ე, საქ. 186, ფურც. 11.

[41] სსსა, ფ. 5, ანაწ. 3, საქ. 7815, ფურც. 32; ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 119, ფურც. 1.

დანვე ცნობილი გახდა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა საგლეხო რეფორმას. ამიტომ იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1861 წელს გამოსცა სპეციალური ცირკულარი, რომელიც გუბერნატორებს ავალებდა: 1. ყველა ის პირები, რომლებიც გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ გადაეცათ სასამართლოსათვის; 2. მათი სასამართლოს წესით დასჯა თუ ვერ მოხერხდებოდა და ამ პირთა თავისუფლად დატოვება კი საზიანო იქნებოდა, გუბერნატორებს ნება ეძლეოდათ გაესახლებინათ ისინი ადმინისტრაციული წესით არაუმეტეს ორი წლისა, რომელთა უკან დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ გუბერნიის საკრებულოს ნებართვით შეიძლებოდა მომხდარიყო; 3. გუბერნატორები ვალდებული იყვნენ გასახლებულ პირებზე დაეწესებინათ პოლიციის მეთვალყურეობა[42].

მართალია, ეს ცირკულარი 1861 წელს იქნა გამოცემული და მისი მოქმედების ხანგრძლივობაც მხოლოდ ერთი წლით განისაზღვრებოდა, მაგრამ ბარონი ნიკოლაი წერდა: „დებულება გლეხების განთავისუფლების შესახებ ამიერკავკასიის მხარეში რუსეთში ასეთი დებულების გამოქვეყნების შემდეგ გამოვიდა, ამიტომ ჩემის აზრით საესებით დასაშვებია, რომ ეს გარემოება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელო დებულებად და აღნიშნული ბრძანების მოქმედების ვადა ამიერკავკასიაში გაგრძელდეს“[43].

ამრიგად, 1861 წლის ზემოთ აღნიშნული ცირკულარის მოქმედების ვადა საქართველოში უნდა გაგრძელებულიყო შემდგომ წლებშიაც.

იმ მიზნით, რომ „საეკვო პირების“ მიმართ ხელისუფლების ბრძოლა უფრო ოპერატიული და მოქნილი ყოფილიყო, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით გაფართოვდა გუბერნიის და მაზრის უფროსების უფლება-მოვალეობანი. „თუ სოფლის საზოგადოებაში, — ვკითხულობთ მეფისნაცვლის განკარგულებაში, — მისი რომელიმე წევრის ინტრიგების გამო ადგილი ექნება უწესრიგობას ან იმ შემთხვევაში თუ ასეთ პირებს მფარველობას გაუწევენ არაკეთილსაიმედო ადამიანები, გუბერნატორებს უფლება ეძლევათ, მთავარი დამნაშავენი თავისი შეხედულებით გაასახლონ გუბერნიის სხვა რომელიმე კუთხეში, ხოლო თუ მათი გადასახლება საჭიროა გუბერნიის გარეთ, ამისათვის გამოთხოვილ უნდა იქნეს მეფისნაცვლის ნებართვა“[44]. თავის მხრივ თბილისის გუბერნატორი მაზრის უფროსებს მიუთითებდა: განსაკუთრებული

---

[42] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 837, ფურც. 6.

[43] ი ქ ვ ე

[44] ი ქ ვ ე, საქ. 114, ფურც. 4.

შეთვალყურეობა დაეწესებინათ აგიტატორ-გლეხებზე, გამოეაშკარავებინათ მათი საქმიანობა და წარედგინათ ისინი მისთვის დასასჯელად[45].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ხელისუფლება მითითებას მითითებაზე იძლეოდა სოფლად აგიტაციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ყოველმხრივ მხარს უჭერდა ადგილობრივ ორგანოებს აგიტატორ-გლეხთა გამოსავლინებლად და დასასჯელად.

მეფის მოხელეები სოფლებს მოედვნენ. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე დაძრწოდნენ, ეძებდნენ „რევოლუციურ აგიტაციაში" შემჩნეულ გლეხებს. დაიწყო მასობრივი რეპრესიები; „ურჩობაში" შემჩნეულ გლეხთა დაპატიმრება, ფიზიკური შეურაცხყოფა, საპყრობილეში გამოწყვდევა. ან მშობლიურ სოფლებიდან ციმბირის შორეულ მხარეებში გადასახლება, სოფლად ეგზეკუციების ჩაყენება, ალალ-მართალი და სიმართლისათვის მებრძოლ მშრომელ გლეხთა სახლ-კარის აოხრება. ამ მეთოდებით ცდილობდა ხელისუფლება რევოლუციური განწყობის აღმოფხვრას, გლეხთა წინააღმდეგობის გატეხვას და ა. შ.

დააპატიმრეს ასლამაზიშვილი, ნიკოლაიშვილი, ქიქოძე, ლაზარიშვილი, მამუკაშვილი, დათუნაშვილი, ლუარსაბიშვილი, ჩარექუაშვილი, ყარალაშვილი, გოდაბრელიძე, ბაქრაძე, ჩიტაშვილი, ბალიაშვილი, გიორგაძე, ვაჩეიშვილი, გრიგოლია და სხვები. ისინი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის შიდა გუბერნიებში, მაგრამ რეპრესიებმა ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობა სოფლად, ვერ გატეხა საგლეხო საქმისადმი თავდადებულ ადამიანთა საბრძოლო სულისკვეთება. ერთი დაპატიმრებული გლეხის ადგილს ორი იჭერდა, რევოლუციური აგიტაცია კი არ წყდებოდა, არამედ კვლავ გრძელდებოდა და სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. აგიტატორი გლეხები საქმისადმი ერთგულებით, გამბედაობით და ვაჟკაცური შემართებით აღაფრთოვანებდნენ თანასოფლელებს მემამულეებისა და მთავრობის წინააღმდეგ უთანაბრო ბრძოლაში. ამას კარგად ხედავდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, პირველ რიგში კი მომრიგებელ-შუამავლები, რომელთა თვალწინ ვითარდებოდა და ძლიერდებოდა გლეხთა მოძრაობა სოფლად. ისინი ხშირად მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს არ თვლიდნენ საკმარისად „იმ საზოგადოებრივი უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად, რომლის დათესვაც მოასწრეს აგიტატორ-გლეხებმა თავიანთი განმარტებებით" და მეტ სიმკაცრეს მოითხოვდნენ.

---

[45] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 287, ფურც. 100.

* * *

საქართველოს სოფელში რევოლუციურად განწყობილ ადამიანთა მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მან შეაფერხა მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება. თავი იჩინა იმ დროისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო გავრცელებულმა ფორმამ, რაც ახალი ურთიერთობის დამაკანონებელ სიგელის ხელმოწერაზე უარის თქმაში გამოიხატებოდა. ეს ბრძოლის ახალ ფორმას წარმოადგენდა.

თუ რა ფართო მასშტაბით გაიშალა საქართველოს სოფლებში კლასობრივი ბრძოლის ეს თავისებური სახე ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 4

საწესდებო სიგელებზე ხელმოწერის მდგომარეობა თბილისის გუბერნიის ოთხ მაზრაში 1868 წლის მარტისათვის[46]

მაზრის დასახელება	ხელმოწერილ სიგელთა რაოდენობა	სიგელებზე ხელმოწერ კომლთა რაოდენობა	ხელმოუწერელ სიგელთა რაოდენობა	იმ კომლთა რაოდენობა, ვინც უარი თქვა სიგელების ხელმოწერაზე
1. თბილისის მაზრა	331	2.670	1	18
2. გორის	1.043	4.522	162	832
3. სიღნაღის	233	1.692	75	291
4. თელავის	251	2.364	—	—
სულ	1.858	11.248	238	1.141

ხუთი წლის შემდეგ კი (1873 წლისათვის) ბარონ ნიკოლაის ცნობით, თბილისის გუბერნიაში 13.872 კომლზე შედგენილი ყოფილა 2389 სიგელი, მხარეებს ხელი არ მოუწერიათ მხოლოდ 248 სიგელზე[47].

ამრიგად, თბილისის გუბერნიის ოთხ მაზრაში სიგელების ხელმოწერაზე უარი თქვა 1141 კომლმა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში—16.012. აღმოსავლეთ საქართველოში სიგელების შედგენის ირგვლივ კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებული სიმწვავით შიდა ქართლში მიმდინარეობდა. თბილისის გუბერნიაში 1141 კომლი გლეხიდან, რომელმაც ხელი არ მოაწერა სიგელებს, 832 (73%) გორის მაზრაზე მოდიოდა.

---

[46] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 410, ფურც. 7.

[47] А. Н. Николай, Отчет по Главному управлению Наместника Кавказского, 1873, г., стр. 17.

ცხრილი 5

საწესდებო სიგელებზე ხელმოწერის მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში 1805 წლის 8 ნოემბრიდან 1800 წლის თებერვლისათვის[48]

მაზრების დასახელება	ხელმოწერილ სიგელთა რაოდენობა	სიგელზე ხელმომწერ კომლთა რაოდენობა	ხელმოუწერელ სიგელთა რაოდენობა	იმ კომლთა რაოდენობა, ვინც უარი თქვა სიგელების ხელმოწერაზე
1. ქუთაისის მაზრა	946	2894	1135	4131
2. ოზურგეთის	859	4375	29	143
3. რაჭის	1437	2993	75	113
4. შორაპნის	1715	5029	625	2302
5. სენაკის	1004	4120	893	4115
6. ზუგდიდის	682	5586	565	4784
7. ლეჩხუმის „	575'	2307	114	424
სულ	7218	27.304	3436	16.012

დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა ქუთაისის მაზრა, სადაც 7025 კომლიდან სიგელებს ხელი არ მოაწერა — 4131 კომლმა (58,8%), სენაკის მაზრაში — 8235 კომლიდან 4115 კომლმა (50%), ხოლო ზუგდიდის მაზრაში — 10370 კომლიდან 4784 კომლმა (45%).

ქვეყნის ამ მხარეში მწვავე კლასობრივ ბრძოლაზე მიგვითითებს გუბერნატორის მოხსენების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ხელმოუწერელ და ხელმოწერილ სიგელთა შეფარდებაზე. აქ ნათქვამი ქუთაისის მაზრაში ყოველ 2 — 3 სიგელზე, შორაპნის მაზრაში 5-ზე, რაჭის მაზრაში 12-ზე, ხოლო ოზურგეთის მაზრაში კი 60-ზე ერთი სიგელი ხელმოუწერელია. თუ ვერწმუნებით მოხსენების ამ ნაწილს, რასაც სხვა მასალებიც ადასტურებს, მაშინ გამოდის, რომ გლეხთა მოძრაობა დასავლეთ საქართველოს ოთხი მაზრიდან, ყველაზე მეტად ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში ყოფილა გავრცელებული. „ქუთაისის მაზრაში ხელმოწერილ სიგელთა ასეთი დიდი რაოდენობა, — აღნიშნავდა გუბერნატორი, — ძირითადად აიხსნება ქალაქთან დიდი სიახლოვით, რადგანაც აქედან სულ უფრო ხშირად და ხშირად მოდიოდა სხვადასხვა ხმები დებულების შესახებ, რაც აქაური გლეხური მოსახლეობის მომრიგებელ შუამავალთა მოქმედებისადმი უნდობლობას იწვევდა“[49].

---

[48] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 410, ფურც. 7.

[49] იქვე, საქ. 883, ფურც. 15.

ამ გარემოებას, მართლაც, შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა აქაურ მცხოვრებთა განწყობაზე, მაგრამ ძირითადი და მთავარი მაინც ის იყო, რომ შორაპნისა და ქუთაისის მაზრების გლეხები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ; კერძოდ, ამის მთავარ მიზეზს მცირემამულიან მებატონეთა სიმრავლე წარმოადგენდა, რომლებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ მიწის ის მონაკვეთები, რომლებიც მათ გაღატაკებულ გლეხებს გააჩნდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ საქართველოში უფრო მწვავედ და მასობრივად მიმდინარეობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ეს კი თავისთავად საყურადღებო მოვლენაა და გარკვევას საჭიროებს:

ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოში სადავო მამულები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე აღმოსავლეთში. ამიტომ ქუთაისის გუბერნიაში გლეხებმა მიწის ნასყიდობის ორჯერ მეტი ბარათი წარმოადგინეს მომრიგებელ-შუამავლებთან, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. სადავო მიწების რაოდენობის სიმრავლეს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სიგელების შედგენაზე.

მეორე, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, მიწათდაქსაქსულობა უფრო ფართო მასშტაბით იგრძნობოდა. აქ დიდი რაოდენობით იყვნენ წვრილი მიწათმფლობელები, რომლებსაც ერთი ან ორი ყმა ჰყავდათ და მცირე რაოდენობის მიწებს ფლობდნენ. ასეთი მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩამოერთვათ გლეხებისათვის ის მცირე ნაკვეთებიც კი, რომლებიც ამ უკანასკნელთა საკუთრებას შეადგენდნენ. ბუნებრივია, მათი გლეხები სიგელს ხელს არ მოაწერდნენ.

საერთოდ, სიგელების შედგენა დიდხანს გაჭიანურდა. იგი მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში ვერ მოთავდა. ეს ფაქტი შემდეგი მიზეზებით უნდა აიხსნას:

1. ფართო ხასიათი მიიღო იმ აგიტატორ-გლეხთა მოღვაწეობამ, რომლებიც რეფორმისადმი უნდობლობას ქადაგებდნენ და სოფლის მშრომელებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. საქართველოს სოფელი ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა რევოლუციური თესლის გასაღვივებლად. თანასოფლელებმა უმეტეს შემთხვევაში ირწმუნეს აგიტატორთა ქადაგება, ბრძოლა გამოუცხადეს რეფორმას.

2. საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული დავა მნიშვნელოვნად აფერხებდა სიგელების შედგენას. გლეხები სრულ უნდობლობას უცხადებდნენ მემამულეებს, ეჭვი შეჰქონდათ სანადელო მიწების ოდე-

ნობაში, მოითხოვდნენ მამულთა გადაზომვას. ეს კი დროსა და ხარჯებს საჭიროებდა.

3. ქართველ მებატონეთა დიდი ნაწილი თვითონ უშლიდა ხელს ამ საქმეს, ზოგი თავისი უცოდინრობით, ზოგიც კი განგებ — ბატონყმური ურთიერთობის ძველი ნორმების რამდენადმე შენარჩუნების მიზნით.

4. უვიცად და ბოროტად მოქმედებდნენ მომრიგებელ-შუამავლები. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოთ სიგელების შედგენისა და სადავო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრისათვის, თავიანთი ტენდენციურობით კიდევ უფრო აძნელებდნენ და ართულებდნენ საქმეს.

5. სიგელების დროულად შედგენას ხელს უშლიდა აგრეთვე ბატონყმურ ურთიერთობაში არსებული თავისებურებანი და წვრილი მიწათმფლობელობა.

6. გარდა ამისა, გლეხები სიგელებს ხელს არ აწერდნენ იმის გამო, რომ მემამულეებს მათი საკარმიდამო ნაკვეთი გადაჰქონდათ სხვა ადგილებში, ურწყავ მიწებს უთვლიდნენ სარწყავად, საძოვრებზე, ტყეებზე, სარწყავ წყალზე და სხვ. აწესებდნენ მაღალ გადასახადებს და ა. შ

ყოველთვის არ ხერხდებოდა გლეხების მიერ სიგელების ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზების დადგენა. ხშირად მომრიგებელ-შუამავლები ყოველგვარი კომენტარების გარეშე სიგელებს უბრალო შენიშვნას უკეთებდნენ: „გლეხებმა სიგელების ხელმოწერაზე უარი განაცხადეს“.

ხელმოწერილ და ხელმოუწერელ სიგელთა შეფარდება საქართველოს სოფელში რეფორმის ირგვლივ კლასობრივი ბრძოლის სრულ სურათს მაინც ვერ იძლევა. სიგვლზე „ხელმოწერის“ გაგება პირობითია. ადგილი ჰქონდა მოტყუებას, მუქარას და ძალადობას. ამიტომ, აღნიშნული ციფრი ობიექტურად ვერ ასახავს იმ დროისათვის შექმნილ მდგომარეობას. სხვადასხვა მაქინაციებით გაფორმებული სიგელები „ნებაყოფლობით“ აქტად ითვლებოდა. აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართოთ ფაქტებს: მიხეილ, გიორგი, ბიძინა, რევაზ, სოლომონ, გრიგოლ, დავით ერისთავებს (გორის მაზრა), ჯორჯაძეებს, ანდრონიკაშვილებს (თელავის მაზრა), აბაშიძეებს, მიქელაძეებს (ქუთაისის მაზრა) გლეხებმა კატეგორიულად განუცხადეს, რომ სიგელებზე ხელს არ მოაწერდნენ, მაგრამ მებატონეებმა ძალას მიმართეს. „ჯავის უბანში მომრიგებელ-შუამავალმა, — წერდნენ გლეხები, — ჩვენი საზოგადოებიდან დააპატიმრა ორი საპატიო გლეხი, დანარჩენები კი იძულებული გა-

გვხადა სიგელებზე მოგვეწერა ხელი"[50]. ნიკოლოზ ორბელიანის ყმები სოფ. დიციდან (გორის მაზრა) აღნიშნავდნენ: „ნაბატონარმა თავად ნიკოლოზ ორბელიანმა.... მოიყვანა დებულების ოქმი აღსრულებაში ჩვენდა ხელმოუწერლად"[51], ხოლო სოფ. ტირძნისიდან იმავე მემამულის გლეხები კი იწერებოდნენ: „ჩვენ უარი ვთქვით სიგელების ხელმოწერაზე, მაგრამ მემამულემ და მომრიგებელ შუამავალმა დაგვატუსაღეს და დაგვიწყეს ლანძღვა უშვერის ლექსითა და ისე გვაიძულეს მოგვეწერა ხელი"[52]. რასაკვირველია, ასეთი ხელმოწერილი და ხელმოუწერელი სიგელები ტოლფასოვანია გლეხთა მდგომარეობის საკითხის გასარკვევად.

სიგელების შედგენის დროს მემამულეები და გლეხები ვერ აღწევდნენ შეთანხმებას, პირველნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მიეღოთ, მეორენი კი, აგიტატორთა მოღვაწეობით შეგულიანებულნი, სულ უფრო გაბედულად გამოდიოდნენ დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ.

1865 წელს ასლამაზიშვილის აგიტაციით შთაგონებულმა გერანელებმა (თბილისის მაზრა) უარი განაცხადეს სიგელების ხელმოწერაზე, ხოლო ყინწვისელი (გორის მაზრა) გლეხები კი მიუხტნენ მომრიგებელ-შუამავალს და კატეგორიულად მოითხოვეს ხელი აეღო სიგელების შედგენაზე, დალოდებოდნენ სპეციალურ კომისიას. მომრიგებელ-შუამავლის ცდა, რომ საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა, უშედეგოდ დამთავრდა, გლეხები უარს ამბობდნენ მემამულეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და ამით პროტესტს გამოსთქვამდნენ დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ.

გლეხობის საპროტესტო მოძრაობამ თანდათან მწვავე ხასიათი მიიღო. სოფ. ქემერთიდან (გორის მაზრა) გლეხთა ურჩობით შეშინებული მომრიგებელ-შუამავალი მაზრის უფროსს ატყობინებდა: „დროებითვალდებული მაისურაძეები, რომლებსაც აქეზებდა ელიოზიშვილი... უარს აცხადებენ სიგელების ხელმოწერაზე"[53].

აგიტატორთა მოქმედებით შთაგონებული გლეხების გამოსვლებს ქემერთის გარდა ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა სოფლებშიც: ერედვში, ბროწლეთში, ზემო და ქვემო ერმანში, ზემო და ქვემო კაპუსტაში, ხოჯაში, ედისში, აცრისხევში, ბაჯიანთკარში, კვირიკეთში, ოტრევში, ანდარეთში, საკანაფოში და ა. შ.

---

[50] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 302—303.
[51] ЦГИАЛ, ф. 381, оп. 29, дел. 224.
[52] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 212, ფურც. 22—30.
[53] ი ქ ვ ე, საქ. 7, ფურც. 22.

გლეხობის წინააღმდეგობის შედეგად ოსეთის უბნის მთის ზონაში ორი წლის განმავლობაში არც ერთი სიგელი არ შემდგარა. ხელისუფლება აქ გლეხთა მასობრივი ბრძოლის მოლოდინში იყო. მოსალოდნელი მღელვარების თავიდან აცილების მიზნით, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გასატარებლად გაიგზავნენ საკრებულოს წევრები, მაგრამ არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი. მთის ზონის 26 სოფელში გლეხები ისევ მტკიცე უარს აცხადებდნენ სიგელების ხელმოწერაზე. ერთნი წინააღმდეგი იყვნენ ტყეებსა და საძოვრებზე მაღალი ბაჟების დაწესებისა, მეორენი — უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სოფლიდან მოშორებით მწირ და მოუსაელიან ადგილებში ნადელების მიზომვის გამო, ედავებოდნენ მემამულეებს ნადელებად მათი საკუთარი მიწების მითვლის შესახებ და სხვ.

დებულების ცხოვრებაში გატარება კახეთის მთელ რიგ სოფლებშიც კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. 1869 წლის ივლისში ბრძოლის გზას დაადგა ურიათუბნის[54], ნაფარეულის, წინანდლისა[55] და სხვა სოფლების გლეხობა (თელავის მაზრა). ისინი ცალ-ცალკე იწვევდნენ კრებებს, უთანხმდებოდნენ ერთმანეთს. გლეხებმა უარი განაცხადეს არა მარტო სიგელების შედგენასა და სანადელო მიწების მიზომვაზე, არამედ გაანადგურეს საბატონო და საგლეხო მიწების ვამყოფი ნიშნები. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, ხელისუფლება შეშფოთდა. გლეხთა მღელვარების მიზეზების, გასარკვევად და მკაცრი ზომების გასატარებლად სოფ. ნაფარეულში სასწრაფოდ გაეგზავნენ: მაზრის უფროსი, მოვრიგებელ-შუამავალი და მიწისმზომელი. მათი ცდა შეეკრიბათ გლეხები, უშედეგოდ დამთავრდა. გლეხებმა პროტესტის ნიშნად ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს[57].

მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოშიც. აქ ათასობით გლეხი აღსდგა მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომ გლეხთა ამგვარ ურჩობას ადგილი არ ჰქონოდა, სიგელების შედგენის დროს გლეხები გაერთიანებული ძალით ხვდებოდნენ მემამულეებსა და ადგილობრივ მოხელეებს, რათა წინ გადაღობებოდნენ მოძალადეთა ნებასურვილს და ერთიანი ძალით დაეცვათ მამაპაპეული მიწები.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გლეხთა მღელვარება სოფ. ვანში (ქუთაისის მაზრა). 1866 წელს მემამულე ჩიჯავაძეები შეეცადნენ შეედ-

---

[54] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 71, ფურც. 4—5.
[55] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1302, ფურც. 1.
[56] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 71, ფურც. 5.
[57] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 452, ფურც. 64.

გინათ სიგელები. მათ კარგად იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა რეფორმისადმი. ამიტომ გადაწყვიტეს ეს საქმე მაშინ მოეგვარებინათ, როცა მამაკაცები სოფელში არ იქნებოდნენ. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. სოფ. ვანში მცხოვრები აბრამიძეები და ვაშაყმაძეები წინ აღუდგნენ მემამულეების თვითნებობას. მათ კატეგორიული უარი განაცხადეს სიგელების ხელმოწერაზე.

ხელისუფლებამ გლეხთა ეს მოძრაობა საშიშ მოვლენად მიიჩნია. გადაწყდა, სოფ. ვანში სასწრაფოდ ჩაეყენებინათ ეგზეკუცია, დაეპატიმრებინათ მოთავეები, მათ შორის პირველ რიგში ლევან ვაშაყმაძე. შეფის მოხელეთა ცდა პატიმრობაში აეყვანათ ეს გლეხი, უშედეგოდ დამთავრდა.

სოფ. ვანში შექმნილმა მდგომარეობამ ხელისუფლება სერიოზულად ჩააფიქრა. ამას ნათლად მოწმობს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ბარონ ნიკოლაისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიაც ვკითხულობთ: ვანში მცხოვრები ურჩი გლეხების საბრძოლო განწყობა თანდათან ძლიერდება და მან შეიძლება დიდი არეულობა გამოიწვიოსო[58].

თავის მხრივ ხელისუფლება არაფერს არ ზოგავდა გლეხთა ამ მღელვარების ჩასაქრობად და შეიარაღებულ ძალებს მიმართავდა. თუ რით დამთავრდა ეს ბრძოლა, შეძლეს თუ არა მემამულეებმა სიგელების შედგენა, საბუთებიდან არ ჩანს.

სიგელების შედგენის წინააღმდეგ ქართლ-კახეთისა და იმერეთის გლეხობასთან ერთად ხმა აიმაღლეს სამეგრელოს სოფლის მშრომელებმაც. 1867 წელს მწვავე ხასიათს ატარებდა ბრძოლა მემამულე ფაღავებსა და სოფ. ონტოფოში (სენაკის მაზრა) მცხოვრებ დროებითვალდებულ გლეხთა შორის[59]. სენაკის მაზრის უფროსი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: „გრიგოლიას აგიტაციის გამო ადგილი აქვს უწესობას, ირღვევა საერთო მყუდროება არა მარტო თეკლათის, არამედ მეზობელ სოფლებშიც[60]. გრიგოლიას აგიტაციის წარმატება იმით იყო განპირობებული, რომ სამეგრელოში გლეხებსა და მემამულეებს შორის ამ დროს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა იყო. გლეხები ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ, რათა აერიდებინათ თავი ბეგარა-გადასახადებისათვის.

1867 წელს სენაკის მაზრაში მუშაობა დაიწყო უმაღლესი წოდების უფლებათა დადგენის შესახებ სამეგრელოში შექმნილმა სპეციალურმა

---

[58] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 895, ფურც. 10.
[59] ЦГИАЛ, ф. 381, оп. 29, дел. 1882, л. 1—5.
[60] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1302, ფურც. 3.

კომისიამ, რომლის „საქმიანობამაც“ ბრძოლის ახალი აღმავლობა გამოიწვია. იმ მოტივით, რომ თითქოს არ ეკუთვნოდნენ დაბალ წოდებას, გლეხები უარს აცხადებდნენ ყოველგვარ გადასახადებსა და ვალდებულებათა შესრულებაზე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „წელს სენაკის მაზრის უფროსმა მომახსენა, რომ უმაღლესი წოდების უფლებათა დამდგენი სპეციალური კომისიის შექმნის შემდეგ, სამეგრელოში ნატურალური და სახელმწიფო გადასახადების აკრეფის დროს გლეხების მხრივ თავი იჩინა სიძნელეებმა. 1860 წლის კამერალური აღწერით მრავალი გვარი მიწერილია გლეხთა კატეგორიას, ეხლა ვიღაცის შთაგონებით დაიმედებულნი, ისინი პრეტენზიას აცხადებენ აზნაურობის უფლებებზე და მკაცრი ზომების მიუხედავად სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ“[61].

სიგელების შედგენის წინააღმდეგ გლეხობის მიერ დანთებული ბრძოლის ცეცხლი მთელ საქართველოს მოედო. ხანძარმა ოზურგეთის მაზრაშიც იფეთქა, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს გლეხთა მღელვარება სოფ. ნანეიშვილისეულში. 1868 წელს სიგელების შედგენის დროს მემამულე მიხეილ ერისთავსა და დროებითვალდებულ გლეხებს შორის საადგილმამულო დავა ახალი ძალით გაიშალა. „შევიწროვება რომელსაც გვაყენებს ყოფილი მებატონე, მაიორი, თავადი მიხეილ ერისთავი, — წერდნენ გლეხები, — ადგილობრივი მომრიგებელი შუამავლის ყენიას დახმარებით, მდგომარეობს საწესდებო სიგელების თვითნებურად შედგენაში და მიწაზე იმდენი გადასახადების გაწერაში, რომელიც ბევრად აღემატება გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების დებულებით გათვალისწინებულ ყოველგვარ საზღვრებს“[62].

იმის ნაცვლად, რომ სიგელებს მოეწესრიგებინა საადგილმამულო ურთიერთობა და გაერკვია სადავო საკითხები, მან უფრო მეტი არევ-დარევა გამოიწვია. როგორც თბილისის გუბერნატორი აცხადებდა: „სიგელები უმეტეს შემთხვევაში შედგენილი იყო გაურკვევლად და შეცდომით, ისინი არ გამოდგებოდა უბრალო ცნობადაც კი“[63].

სიგელების შედგენის დროს გლეხების წინააღმდეგობა ხშირად იმდენად ძლიერი იყო, რომ საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენება. „დიადი რეფორმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი

---

[61] სსსა, ფ. 5. ანაწ. 1, საქ. 1302, ფურც. 3.

[62] ი ქვე, ანაწ. 2, საქ. 2551, ფურც. 8.

[63] სსსა, ფ. 220 ანაწ. 1, საქ. 392, ფურც. 38; იხ. აგრეთვე ფ. 416, ანაწ. საქ. 375ა, ფურც. 1.

შეიქნა, — წერდა ლენინი, — ისე, რომ არ მიემართათ სამხედრო ეგზეკუციებისათვის და არ დაეხვრიტათ გლეხები, რომლებიც უარს ამბობდნენ საწესდებო სიგელების მიღებაზე"[64].

§ 3. დავა-საჩივრები, როგორც კლასობრივი ბრძოლის ფორმა

მემამულეებსა და გლეხებს შორის გაჩაღებული აგრარული ბრძოლა სხვა ფორმებთან ერთად, მასობრივ საჩივრებში გამოიხატებოდა. მომჩივანი მხარეები იყვნენ როგორც გლეხები, ისე მემამულეები. საჩივრები იწერებოდა ცალკეული გლეხების, ზოგჯერ კი გვარის, ან მთელი სოფლის მიერ.

მემამულეებსა და გლეხებს შორის აღძრული ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრები შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს. პირველი უკავშირდება საადგილმამულო ურთიერთობას, მეორე ურთიერთვალდებულებათა შესრულებას, მესამე სოფლის მოხელეთა თვითნებობას და მეოთხე ძირითადად შინაკლასობრივ (მდიდარსა და ღარიბ გლეხების) ანტაგონიზმს გამოხატავს.

საჩივრების, — კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმის — შესწავლის დროს უპირატესობას ვაძლევდით იმ დოკუმენტებს, რომლებიც შედგენილი იყო გლეხების მიერ. ისინი უშუალო, პირველი წყაროა და შედარებით ობიექტურად გადმოგვცემენ შექმნილ ვითარებას. მემამულეებსა და დროებითვალდებულ გლეხებს შორის აღძრული საჩივრები იწერებოდა მომრიგებელ-შუამავლების, მაზრის უფროსების, გუბერნატორების, საგლეხო საქმეების საკრებულოს და ზოგჯერ თვით მეფისნაცვლის სახელზედაც კი.

საჩივრების გულდასმითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს შედარებით სრულყოფილად წარმოვიდგინოთ ის ღრმა სოციალური უსამართლობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული კლასობრივი ანტაგონიზმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეფორმისშემდგომ პერიოდის საქართველოს სოფელში.

გლეხებისა და მემამულეების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ აღძრულ მრავალრიცხოვან საჩივრებში ლაპარაკია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებზე. გლეხები უჩიოდნენ მემამულეებსა და სოფლის მოხელეებს იმ თვითნებობასა და ძალმომრე-

---

[64] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 518.

ობაზე, რომელსაც სჩადიოდნენ ისინი გადასახადების გაწერისა და მისი აკრეფის დროს (სახნავ-სათესი მიწების, ბაღების, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის, სამეურნეო ინვენტარის, თუ გამწევი ძალის წართმევის გამო). იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როდესაც თვით გლეხებს შორის წარმოშობილა შინაკლასობრივი ანტაგონიზმი. აქ კი ერთიმეორეს უპირისპირდებოდა მდიდარი და ღარიბი გლეხი.

მმართველობის ორგანოებს საჩივრით მიმართავდნენ არა მარტო გლეხები, არამედ მემამულეებიც. ამ საჩივრებში ლაპარაკია ბეგარა-გადასახადებზე, უარისთქმის ან თავის დროზე გადაუხდელობის, საძოვრების და ტყეებით თვითნებურად სარგებლობის, სანადელო ნაკვეთების მოსავლიანობის დაცემასა და სხვა საკითხებზე.

მასობრივი საჩივრები, — ურჩობა ეს ნიშნავდა გლეხთა უკმაყოფილებას არსებული წყობილების წინააღმდეგ. იგი პროტესტის თავისებური ფორმა იყო. საჩივრები, ურჩობა, ძალმომრეობა და ბრძოლის სხვა ფორმები შეიძლება ერთი სახის ბრძოლაში მოვაქციოთ, რომელიც წინ უსწრებს შეიარაღებულ აჯანყებებს და „მღელვარების“ სახელითაა ცნობილი.

ცნება „მღელვარება“ ფართო შინაარსისაა და მოიცავს კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს. იგი გულისხმობს ყრუ უკმაყოფილებას, კლასობრივი ბრძოლის აქტიური ფორმის — შეიარაღებული აჯანყების — ფარულ საწყისს ეტაპს, რომელიც ვრცელდებოდა მნიშვნელოვან ტერიტორიაზე და სხვ. „მღელვარება“ ეს არის კლასობრივი ბრძოლის ისეთი სახე, რომელიც გულისხმობს გაბატონებული კლასის მიერ დამყარებული „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას“. მასში მონაწილეობს მშრომელი მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი.

დებულების გამოცხადების პირველ დღიდანვე საადგილმამულო დავამ ერთობ მწვავე ხასიათი მიიღო. მებატონეებმა სადავოდ გახადეს გლეხების მიერ შესყიდული მიწები. გლეხები უჩიოდნენ მემამულეებს მიწების მიტაცებაზე, მომეტებულ გადასახადებსა და სხვა ათასნაირ თვითნებობაზე.

თუ რაოდენ მასობრივ ხასიათს ატარებდა გლეხთა მოძრაობის ეს ფორმა XIX საუკუნის 60 — 70-იან წლებში, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ ცხრილიდან (იხ. ცხრილი 6).

მართალია, ქუთაისის გუბერნიაში არსებული დავა-საჩივრების ამსახველი ანალოგიური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ხელმოუწერელ სიგელთა და კომლთა რაოდენობის შედარება საშუალებას გვაძლევს ზოგიერთი წარმოდგენა

ცხრილი 6

საჩივრების საერთო რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 1867—1880 წწ.[65]

წლები	საჩივართა რაოდენობა
1867	9983
1869	3219
1871	5468
1872	2668
1873	4192
1874	2661
1875	6967
1876	3676
1877	2739
1878	2856
1879	2508
1880	1325

მაინც ვიქონიოთ ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე. მაგალითად, 1866 წლით დათარიღებული თბილისის გუბერნატორის წერილიდან ჩანს, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის სიგელების შედგენის თაობაზე ჩამოვარდნილი უთანხმოების შედეგად შეტანილი ყოფილა 4509 საჩივარი[66]. თუ აღმოსავლეთ საქართველოს ოთხ მაზრაში 1141 კომლმა არ მოაწერა ხელი სიგელებს და აღიძრა 4509 საჩივარი, ქუთაისის გუბერნიაში, სადაც სიგელებს ხელი არ მოაწერა 16,012 კომლმა, ცხადია, დავა-საჩივრები უფრო მეტი რაოდენობით იქნებოდა შეტანილი.

საქართველოს სოფლებში გლეხთა საჩივრებში გამოხატული კლასობრივი ბრძოლა სხვადასხვა ძალითა და მასშტაბით ვითარდებოდა, როგორც წლების, ისე მაზრების მიხედვით, რაც მთელი რიგი ადგილობრივი პირობებით (მემამულეთა მიერ გლეხების ექსპლოატაციის ხარისხით, ძარცვის მასშტაბით, აგიტატორ გლეხთა უნარით და ა. შ.) იყო განპირობებული.

---

[65] ცნობები წარმოადგენს მხოლოდ გორის მაზრის I, II, III და IV, თბილისის მაზრის I და II, სიღნაღისა და თელავის მაზრების I განყოფილებების ანგარიშებიდან ამოკრებილი ცნობების ჯამს. ვერ მოხერხდა შემაჯამებელი ცნობების დადგენა სიღნაღისა და თელავის მაზრების II განყოფილებებიდან, აგრეთვე გორის მაზრის V განყოფილებიდან; ვერ მივაკვლიეთ ახალციხის, დუშეთის, სართიჭალა-ბორჩალოს მაზრებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ამსახველ მასალებს. 1868 და 1870 წლების ცნობების უქონლობის გამო იგი ცხრილში ვერ შეგვაქვს. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოტანილი ცხრილი მაინც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ბრძოლის ამ ფორმის მასობრიობისა და სიმწვავის შესახებ საქართველოში.

[66] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 112.

ზემომოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ საჩივრების რაოდენობამ 1867 წელს უმაღლეს დონეს (9983) მიაღწია, ხოლო 1880 წლისათვის იგი (1325) დაეცა.

თუ პირველი ექვსი წლის განმავლობაში აღძრული საჩივრების საერთო ჯამს მე-6 ცხრილის მეორე ნახევრის ჯამს შევადარებთ, მაშინ გამოდის, რომ 1867 — 1874 წლებში სულ აღიძრა 28.111 საჩივარი. 1875 — 1880 წლებში კი — 21.426.

ისმის კითხვა, რატომაა რომ რეფორმის გატარების პროცესში დიდი რაოდენობით მოზღვავდა საჩივრები, შემდეგ კი მოიკლო, ეს ხომ არ მიგვითითებს სოფლად აგრარული ბრძოლის შენელებაზე?

ის ფაქტი, რომ რეფორმის დროს საქართველოში გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმი სამომრიგებლო დაწესებულებებში აღძრულ მასობრივ დავა-საჩივრების ფარგლებს არ სცილდება, იმით კი არ აიხსნება, რომ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლებისათვის სათანადო საფუძველი არ არსებობდა, არამედ იმით, რომ სოფლის მოსახლეობა დებულების გამოქვეყნების პირველი დღეებით გამოწვეული სიხარულით იყო შთაგონებული, ამ დროის შთაბეჭდილებებით და ილუზიებით იკვებებოდა და ნამდვილ თავისუფლებას ელოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ საუკუნოვანი ბრძოლა მიწისათვის ბოლოს და ბოლოს წარმატებით დამთავრდებოდა. ამ ეტაპზე გლეხკაცობა ფიქრობდა, რომ მემამულეების მხრივ მიწების ძალმომრეობით დასაკუთრება დროებით მოვლენას წარმოადგენდა და იმედს მეფეზე ამყარებდა, შველას ზემდგომი ორგანოებიდან მოელოდა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს სოფელში კლასობრივი ანტაგონიზმი 60-იანი წლების მეორე ნახევარში, ძირითადად, ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრებით განისაზღვრებოდა.

ჩვენს ხელთ არსებულ მომრიგებელ-შუამავლების მიერ შედგენილ ანგარიშებიდან სამწუხაროდ ყოველთვის არ ჩანს ვინაა მომჩივანი მხარე — მემამულე თუ გლეხი. რაკი ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით სოფლად გაშლილი კლასობრივი ბრძოლის ობიექტური სურათის აღსადგენად, საგანგებოდ შევისწავლეთ არსებული მასალები და შევეცადეთ გადმოგვეცა საქართველოს სოფელში შექმნილი საერთო სიტუაცია. სანიმუშოდ ვიღებთ გორისა და სიღნაღის მაზრების თითო განყოფილებას (იხ. ცხრილი 7).

მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრების შეფარდება უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

1. რეფორმის წლებში ჭარბობს გლეხთა საჩივრები. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არაა, ბევრი რამ

ცხრილი 7

დავა-საჩივრები გლეხებსა და მემამულეებს შორის 1867—1887 წწ.

წლები	გორის მაზრის მეორე განყოფილებაში შემოსული წერილობითი და ზეპირი საჩივრები			სიღნაღის მაზრის მეორე განყოფილებაში შემოსული წერილობითი და ზეპირი საჩივრები			გორის მაზრის პირველ და სიღნაღის მაზრის მეორე განყოფილებაში შემოსული საჩივრები ერთად		
	გლეხების მხრიდან	მემამულეთა მხრიდან	სულ	გლეხების მხრიდან	მემამულეთა მხრიდან	სულ	გლეხების მხრიდან	მემამულეთა მხრიდან	სულ
868	3587	2064	5651	873	655	1528	4460	2719	7179
1872	862	935	1737	347	235	582	1209	1170	2379
1877	741	787	1358	412	357	769	1153	1144	2297
1882	898	722	1620	786	743	1529	1508	1641	3149
1887	1225	950	2175	927	869	1296	2152	1819	3971

ბნელითაა მოცული, გლეხობამ არ იცის რას უმზადებს მას რეფორმა, იარაღს არ ჰკიდებს ხელს და მხოლოდ საჩივრებით იფარგლება.

2. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მემამულეთა საჩივრებთან შედარებით გლეხთა საჩივრებმა უფრო მეტად იკლო. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ როცა სიგელებში დაცული პირობების ცხოვრებაში გატარება დაიწყო, ყველაფერი ნათელი გახდა. გამოირკვა, რომ გლეხობაზე არავინ ფიქრობს და ზრუნავს, გლეხებმა დაინახეს ვის ინტერესებს იცავს არსებული კანონმდებლობა და ხელისუფლების ორგანოები. იმედგაცრუებული გლეხები უკვე კი არ ჩივიან, არამედ იარაღით იცავენ თავიანთ უფლებებს; გლეხთა საჩივრებს ცვლის მემამულეთა მიწების მიტაცება, მათი სახლ-კარის გადაწვა, ყაჩაღად გასვლა, შეიარაღებული ჯანყებანი და სხვ. „...გლეხები განაგრძობდნენ მღელვარებას, განაგრძობდნენ სრული, ნამდვილი თავისუფლების ძებნას“[67]. გლეხობა შემტევ ძალად გვევლინება, რაც კლასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობის მაუწყებელი იყო.

3. იცვლება ვითარება 80-იან წლებში. რეაქციის მიუხედავად 70-იან წლებთან შედარებით ერთგვარად იმატა დავა-საჩივრებმა. ამჯერად მომჩივან მხარედ უპირატესად გლეხობა გვევლინება. ეს გარემოება ნიშანდობლივია და გვაუწყებს მემამულეთა ძალმომრეობის გა-

---

[67] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 527.

ძლიერებას. მართალია, 80-იანი წლებიდან ქვეყანაში გამეფდა რეაქცია, იზრდება პატიმართა რაოდენობა, მაგრამ კლასობრივი ბრძოლა არ შეწყვეტილა. იგი ერთი ფორმიდან მეორეში გადაიზარდა.

• • •

V გლეხთა საჩივრები, რომლებმაც XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო, ძირითადად ეხებოდა მემამულეთა იმ თვითნებობას, რომელსაც ისინი სოფლის მშრომელთა მიმართ იჩენდნენ საწესდებო სიგელების შედგენისა და ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების დროს.

რეფორმის გამოცხადების პირველი დღიდანვე მემამულეები შეეცადნენ გლეხებისათვის წაერთმიათ კუთვნილი მიწები, ნადელებში შეეტანათ იგი და მათზე მაღალი გადასახადები დაეწესებინათ. მემამულეთა ამგვარი მოქმედება მშრომელი გლეხების პროტესტს იწვევდა, რაც ასეთი სიგელების ხელმოწერაზე უარის თქმასა და მასობრივ საჩივრებში გამოიხატებოდა.

მოვიტანთ ვლეხების მიერ აღძრული საჩივრების რამდენიმე ტიპიურ მაგალითს: ქვემო ხვითელი (გორის მაზრა) გლეხები იწერებოდნენ: „მემამულემ, — (ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, — მ. ა.) სანადელოდ გვიბოძა 2 ვენახის ბაღი და სახნავ-სათესი მიწა, რომლებიც ჩვენი მამაპაპის მიერ ნასყიდობითაა შეძენილი“[68]. ბაკურციხელი (სიღნაღის მაზრა) დროებითვალდებული გლეხი ზაქრო სამადაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენმა წინაპრებმა ორი საბუთით შეისყიდეს ვენახები, მაგრამ ელენე ვაჩნაძემ მოგვიზომა იგი ნადელებში“[69]. 1867 წლის 12 თებერვალს, იყალთოდან (თელავის მაზრა) თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს ატყობინებდნენ: „მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მაყაშვილმა წაგვართვა მამული — ორი დღის სახნავი მიწა პურით დათესილი“[70].

ყოველგვარ საზღვრებს გასცდა მემამულეთა თვითნებობა დასავლეთ საქართველოში. სოფ. ბაღდადიდან (ქუთაისის მაზრა) 30 კომლი დროებითვალდებული გლეხი ქუთაისის გუბერნატორს აუწყებდა: „ყოფილმა მებატონეებმა... წერეთლებმა, ნიჟარაძეებმა... სიგელში ჩაგვიწერეს ის მამულები, რომლებსაც დიდი ხანია ვფლობდით“[71]. 1869

---

[68] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 359, ფურც. 13—14.
[69] იქვე, საქ. 374, ფურც. 1.
[70] იქვე, საქ. 31, ფურც. 1.
[71] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 296, ფურც. 5.

წლის 7 იანვარს ქუთაისის მაზრის სოფლებში — ჭაგანში, დიდ ჯიხაიშში, ღანირში, ქვიტირსა და გუბში მცხოვრები 850 კომლი დროებითვალდებულ გლეხთა სახელით ივანე შენგელია, ბიჭია ცაგურია, ქაიხოსრო ქამუშაძე და სხვები კავკასიის მეფისნაცვალს სწერდნენ: „მემამულე მიქელაძეებმა, ჩხეიძეებმა, წულუკიძეებმა და სხვებმა დროებითვალდებულ გლეხებს ნადელები მიუზომეს არა იმ ზომით და წესით, რასაც დებულება ითვალისწინებდა“[72].

ჩვენს ხელთ არის სამეგრელოს დროებითვალდებულ გლეხთა საჩივრები, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ რეფორმის შემდეგ ამ მხარეში შექმნილ მდგომარეობას. მოვიტანთ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც შედგენილია 1871 წლის 9 ივნისს: „ჩვენ ყველანი, 500 კომლი გლეხი, მცხოვრებნი ზუგდიდის სასოფლო საზოგადოებაში,—წერდნენ გლეხები, — ვიყავით თავად მინგრელსკის ყმები, გვქონდა შემოსავალი, რითაც ვუხდიდით გადასახადებს, როგორც სახელმწიფოს, ისე თავად მინგრელსკის, აგრეთვე ვარჩენდით ჩვენს გაჭირვებულ ოჯახებსაც, სიგელების შედგენის შემდეგ მოკლებული ვართ ყოველივე ამ შესაძლებლობას“[73].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საჩივრებიდან აშკარად ჩანს მემამულეთა ძალმომრეობა — საგლეხო მიწების მითვისება-მიტაცება.

გლეხების საჩივრების მეორე წყებაც მებატონეთა თვითნებობაზე მეტყველებს, მაგრამ იგი უპირატესად იმ თვალთმაქცობას ეხება, რომელსაც ისინი ადგილობრივი დებულების სხვადასხვა პუნქტების ცხოვრებაში გატარების დროს მიმართავდნენ.

იქ, სადაც ძალა არ გადიოდა, მემამულეები სიყალბისა და დემაგოგიის გზას ადგებოდნენ: ნადელების გამოყოფის დროს ცდილობდნენ გლეხებისათვის დებულებით გათვალისწინებულ ნორმაზე ნაკლები მიეზომათ, სიგელებში კი ყველაფერი წესიერად გაეფორმებინათ. ამით მათ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა უნდოდათ: ჯერ ერთი, გლეხებისათვის განკუთვნილი ნადელების ხარჯზე გაედიდებინათ მიწის საკუთარი ფონდი; მეორე, ღალა-კულუხი გადაეხდევინებინათ არა მათ მიერ გლეხებისათვის სინამდვილეში მიცემული მიწის ნაკვეთებიდან, არამედ საწესდებო სიგელების მიხედვით.

მართალია, სიგელების შედგენის დროს მემამულეებმა ამ გზით შეძლეს მიწის გარკვეული ნაწილის მითვისება, მაგრამ შემდეგ, როდესაც ყველაფერი გამომჟღავნდა, გლეხობა წინ აღუდგა მათ, უარი განა-

---

[72] სსსა, ფ. 220 , აღწ. 1, საქ. 85, ფურც. 1.

[73] იქვე, საქ. 806, ფურც. 7.

ცხადა არა მარტო ზედმეტ გადასახადებზე, არამედ ნადელების ხელახლა გადაზომვაზე და საწესდებო სიგელების შემოწმებაც კი მოითხოვა.

დროებითვალდებული გლეხი არ ზოგავდა ენერგიას თავისი კუთვნილი ნაკვეთის განაშენიანებისა და გაუმჯობესებისათვის. იგი მას უფრო შემოსავლიანს ხდიდა. ეს მომენტი მხედველობიდან არ გამორჩენიათ მემამულეებს. მათ მიზნად დაისახეს სხვადასხვა მაქინაციებისა და სამომრიგებლო დაწესებულებების მოქრთამვის გზით ასეთი მიწების ხელში ჩაგდება. მემამულეთა ამგვარი მოქმედება სოფლის მწარმოებელი კლასის სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 1871 წელს მარტო სიღნაღის მაზრაში ნადელების ჩამორთმევა 27-ჯერ გახდა გლეხკაცობის საჩივრებისა და მღელვარების მიზეზი, ხოლო სავენახე და საბაღე მიწების ჩამორთმევის 18 შემთხვევას ჰქონდა ადგილი[74].

1872 წელს გორის მაზრის მეორე განყოფილებაში მებატონეების მიერ გლეხებისათვის სანადელო მიწების წართმევის 88 შემთხვევა აღინიშნა[75]. კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო წლების ცნობები. იგივე გორის მაზრის პირველ და მეორე განყოფილებაში 1873 წელს მემამულეებმა სანადელო მიწები წაართვეს 1152[76], ხოლო სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილებაში — 750 კომლს[77]. ამავე წელს გორის მაზრის პირველ და მეორე განყოფილებაში მემამულეებსა და გლეხებს შორის სახნავ-სათესი მიწების შესახებ შეხლა-შემოხლის 721 შემთხვევას ჰქონდა ადგილი და ყველა ეს შემთხვევა მიწების ჩამორთმევით დამთავრდა. მომდევნო 1877 წელს გორის მაზრის პირველ განყოფილებაში მემამულეებმა სხვადასხვა გზით სანადელო მიწები წაართვეს 487, ხოლო მეორე განყოფილებაში კი 605 კომლს[78].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გორისა და სიღნაღის მაზრებში, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სულ შვიდი სამომრიგებლო განყოფილება იყო, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ რაოდენ მასობრივი ხასიათი ჰქონდა ასეთი ხასიათის ბრძოლებს სიღნაღისა და გორის მაზრებში. სამწუხაროდ, მთელი საქართველოს მასშტაბით ამ საფუძველზე აღმოცენებული აგრარული ბრძოლის შემაჯამებელი ხასიათის ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ერთი რამ უსა-

---

[74] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 659, ფურც. 11—12.
[75] ი ქ ვ ე, საქ. 733, ფურც. 8.
[76] ი ქ ვ ე, საქ. 783, ფურც. 11.
[77] ი ქ ვ ე, საქ. 1580, ფურც. 12.
[78] ი ქ ვ ე, საქ. 1084, ფურც. 7.

ეთოდ ეკვმიუტანლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

მემამულეები გლეხებისათვის სახნავ-სათესი თუ საკარმიდამო მიწების ჩამორთმევას სხვადასხვა მიზეზებით ასაბუთებდნენ: ერთ შემთხვევაში ამას ხსნიდნენ სანადელო მიწებსა და ბაღ-ვენახებში მოსავლის დაცემით, მეორე შემთხვევაში, რეფორმიდან 10 — 15 წლის შემდეგ ახსენდებოდათ, რომ ისინი მცირემამულიანი იყვნენ და მოითხოვდნენ გლეხებისათვის ნადელების ჩამორთმევას. უფრო ხშირად კი საბუთებში არავითარი მიზეზი არ ჩანს.

მართალია, დებულება მხოლოდ მცირემამულიან მებატონეებს აძლევდა უფლებას აეყარა გლეხი, მაგრამ იგი ფართოდ გამოიყენეს ესხვილმა მემამულეებმაც, რომლებიც ათასობით დესეტინა მიწას ფლობდნენ და იმ მიზნით, რომ უმიწოდ დაეტოვებინათ გლეხები თავს მცირემამულიან მებატონეებად ასაღებდნენ.

ამგვარად, საქართველოს სოფელი ამ ნიადაგზე მემამულეებსა და გლეხებს შორის გაუთავებელი დავა-საჩივრებისა და ხშირად კი ხელჩართული ბრძოლის მოწმეც გამხდარა. გლეხები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ მამა-პაპის მიერ შეძენილი და განაშენიანებული მიწების შესანარჩუნებლად, მემამულეები კი პირიქით, უტიფრად იყენებდნენ ხელისუფლებას და კანონს, მიმართავდნენ აშკარა ძალმომრეობას თავიანთი ბნელი ზრახვების მისაღწევად.

საქართველოს მშრომელი გლეხობა ერთხმად ჩიოდა ადგილობრივი დებულების 130-ე მუხლის ცხოვრებაში განხორციელების წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა: „თუ მებატონეს საკუთრებაში რჩება მისი ადგილ-მამულის ნახევარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში მას უფლება ეძლევა ნადელებს ჩამოაჭრას და თავის საკუთრებად დაიტოვოს გლეხების მიერ დაკავებული მიწების ნახევარი“. მემამულეები ფართოდ იყენებდნენ დებულების ამ მუხლს, გლეხებს „ჩამონაჭრების“ სახით ართმევდნენ საუკეთესო, ნოყიერ მიწებს.

მიწების ჩამოჭრა იყო ისტორიული უსამართლობა, რომელიც შემდეგ დიდხანს ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და გლეხთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. გლეხები არ თმობდნენ მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებულ საკუთარ მიწებს და ბრძოლას უცხადებდნენ მემამულეებს.

ადგილობრივი დებულების მე-6 მუხლით ის მებატონეები, რომლებიც არაუმეტეს 60 დღიურ (30 დესეტინა) მიწას ფლობდნენ, საესებით თავისუფლდებოდნენ გლეხებისათვის ნადელების მიცემისაგან. ასეთი წვრილი მემამულეები საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო. ისი-

ნი ცდილობდნენ გლეხების უნადელოდ განთავისუფლებას, ანდა ამ უკანასკნელთა მიერ დაკავებული მიწების მითვისებას და მასზე განმტკიცებას. ამიტომ ისინი ყოველგვარ ბოროტმოქმედებასა და სიყალბეზე მიდიოდნენ.

როგორც საისტორიო მასალებიდან ირკვევა, ბრძოლამ მცირემამულიან მებატონეებსა და გლეხებს შორის სიგელების შედგენის პროცესში განსაკუთრებით მწვავე და დაძაბული ხასიათი მიიღო. მემამულეები ცდილობდნენ უნადელოდ გაენთავისუფლებინათ გლეხები, ანდა ჩამოეჭრათ მიწების ნაწილი, გლეხები კი პირიქით ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. რათა ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ მიწის საკუთარი ფონდი ანდა ნადელების სახით მცირეოდენი ნაკვეთები მაინც მიეღოთ.

რეფორმისწინადროინდელ პერიოდში წვრილმიწათმფლობელ მემამულეთა ყმები, რომლებსაც სახნავ-სათესი მიწები არ გააჩნდათ, იძულებული იყვნენ სხვა მემამულეთა ან სხვა უწყების მიწებზე დასახლებულიყვნენ. ისინი მათ (თუ საეკლესიო იყო ეკლესიას, თუ სახელმწიფოსი — სახელმწიფოს) მიწით სარგებლობისათვის ღალა-კულუხს უხდიდნენ. ასე იყო ბატონყმობის გაუქმებამდე. რეფორმის შემდეგ კი წვრილი მემამულეები შეეცადნენ სიგელების შედგენისას თავიანთი ყმების მიერ ჯერ კიდევ ადრე დაკავებული მიწები ნადელებში მიეთვალათ მათთვის. ამას ისინი ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც, რასაც კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა შეჰქონდა ისედაც მოუწესრიგებელ საადგილმამულო ურთიერთობაში. ყოველივე ამან გაამწვავა დამოკიდებულება არა მარტო მებატონეებსა და ნაყმევებს, არამედ თვით მიწისმფლობელ წოდებათა შორისაც: სოფელი სოფელს ედავებოდა, მებატონე გლეხს, გლეხი ამ უკანასკნელს, ზოგჯერ კი ყველა ესენი ერთად სახელმწიფო უწყებას და სხვ. იმარჯვებდა ის, ვინც ძლიერი იყო.

შეურიგებელმა ბრძოლამ იჩინა თავი წესების 23-ე მუხლის წინააღმდეგ, რომელიც მცირემამულიან მებატონეს უფლებას აძლევდა არა მარტო უნადელოდ გაენთავისუფლებინა გლეხი, არამედ მთლიანად დაპატრონებოდა რომელიმე ნაყმევის კარ-მიდამოს, რომელსაც იგი მოისურვებდა: „თუ მემამულე მოითხოვს გლეხის საკარმიდამოს გადატანას, — ვკითხულობთ წესებში, — მომრიგებელი შუამავალი ვალდებულია წესრიგში მოიყვანოს ყველა ის პირობები, რომელიც ეხება გადასახლებას, მიიღოს თანხმობა გლეხებისაგან“[79].

დებულება თავიდან ბოლომდე აგებული იყო ფორმალურ კანონი-

---

[79] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 848, ფურც. 30.

ერებაზე. კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად მომრიგებელ-მუამავალი ვალდებული იყო ეკითხა გლეხისათვის სურდა თუ არა საკუთარ ადგილსამყოფელიდან აყრა და გადასახლება. ცხადია იგი ყოველთვის წინააღმდეგი იქნებოდა მიეტოვებინა მამაპაპური სახლ-კარი; მაშ რისთვის იყო შეტანილი დებულებაში ესოდენ ვაი-დემოკრატიული კითხვა თუ არა დებულების სუბიექტურ-ტენდენციური სულისკვეთების „შესალამაზებლად"? ამით ხელისუფლებას უნდოდა შეექმნა საზოგადოებრივი აზრი თითქოს გლეხის საკარმიდამოდან აყრა-გასახლება ცალმხრივად, მარტო მემამულის სურვილით კი არ ხდებოდა, არამედ ამისათვის კანონი აუცილებლად თვლიდა თვითონ გლეხის ნებართვასაც.

სიგელში უნდა აღნიშნულიყო თუ რის საფუძველზე ხდებოდა გლეხის გასახლება საკუთარი კარმიდამოდან და ნაჩვენები ყოფილიყო ახალი საცხოვრებლის ადგილმდებარეობა თავისი საზღვრებით[80]. გავიდა ხანი და ეს პუნქტი დავიწყებას მიეცა.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლამ დებულების იმ პუნქტის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების წინააღმდეგ, რომელიც მცირემამულიან მებატონეებსა და მათი გლეხების ურთიერთობის საკითხს ეხებოდა. საარქივო მასალების შესწავლა-გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ 1876 წელს მარტო გორის მაზრის მეორე განყოფილებაში გლეხების უნადელოდ განთავისუფლების, მათი მიწების შეცვლისა და მწირ ადგილებში ნადელების მიზომვის გამო მემამულეებსა და გლეხებს შორის მომხდარი შეტაკების 116 შემთხვევაა აღრიცხული.

ერთი სიტყვით, რეფორმის შემდეგ, დებულების სხვადასხვა მუხლის ძალით მებატონეებმა გლეხებს ხელიდან გამოაცალეს მიწების ის ნაწილი, რომელიც მანამდე მათ კუთვნილებაში იყო. ამის შედეგად სოფლად ჩნდება უმიწაწყლო გლეხთა მთელი არმია. უნადელოდ დარჩენილი მშრომელი გლეხობა, რომელიც სოფლის მწარმოებელი კლასის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ისინი მიმართავდნენ სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ინსტანციებს ნადელების სახელმწიფო მიწებიდან გამოსაყოფად, მაგრამ მათი ხვეწნა-მუდარა თუ საჩივრები უშედეგოდ რჩებოდა. შექმნილი ვითარების შედეგად უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხი იძულებული ხდება (ყოველდღიური საარსებო წყაროს გამოსანახად) მოიჯარადრის მიერ შეთავაზებულ კაბალურ პირობებს დათანხმდეს[81].

---

[80] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 331, ფურც. 38.
[81] ЦГИАЛ, ф. 381, оп. 29, дел. 18677, 18767, 18770, 18771 და ა. შ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულო ფართოდ დაინტერესდა მცირემამულიანი მებატონეების გლეხების მდგომარეობით. 1874 წლის 1 დეკემბერს მან დაავალა მომრიგებელ-შუამავლებს ეცნობებინათ სად და როგორ იმყოფებოდნენ აღნიშნული კატეგორიის გლეხები, რით ცხოვრობდნენ? სარგებლობდნენ თუ არა თავიანთი ნაბატონართა მიწებით და რა სახის გადასახადებს იხდიდნენ ამისთვის.

ისმის კითხვა, რამ განაპირობა 70-იან წლებში გუბერნიის მმართველობის მიერ უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხების მდგომარეობით დაინტერესება? ხომ არ ედო ყოველივე ამას საფუძვლად რაიმე სერიოზული მიზეზი?

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში, გლეხთა კლასობრივი ბრძოლა საქართველოში ძლიერდება როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად. ხელისუფლების მიერ უმიწაწყლოდ დარჩენილ გლეხთა ბედ-იღბლით დაინტერესება და ისიც 70-იან წლებში, ე. ი. რეფორმის გამოცხადებიდან 10 — 11 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც აგრარული მოძრაობა სოფლად ახალ აღმავლობას განიცდიდა, მთავრობის შეშფოთებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ გლეხთა მოძრაობას უფრო მწვავე ხასიათი არ მიეღო, ცარიზმი ცდილობდა შეექმნა ილუზია, თითქოს იგი დაინტერესებული იყო უმიწაწყლო გლეხთა მდგომარეობით მთავრობას, მართლაც, ჰქონდა ჩაფიქრების მიზეზი. იგი ჩედავდა, რომ უმამულო და მცირემამულიანი გლეხობა სოფლის მშრომელთა ყველაზე თანმიმდევრულ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც არ გააჩნდა საწარმოო საშუალებები — მიწა, გამწევი ძალა და სხვ. ასეთი გლეხების ერთი ნაწილი, მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, ქალაქად მიდიოდა და იქ გაპროლეტარების გზას ადგებოდა. სოფლად დარჩენილი ამ კატეგორიის გლეხების მეორე ნაწილი კი იძულებული ხდებოდა გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა მემამულისათვის ხელსაყრელ პირობებში, იჯარით აეღო მიწა და ამით უზურნველეყო საბატონო მეურნეობა იაფი მუშახელით. აი სწორედ ეს გლეხობა იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი მებრძოლი, შემტევი ძალა, ისინი ქმნიდნენ სოფლად რევოლუციურ ვითარებას. ეს კარგად ესმოდა ხელისუფლებას. ამიტომ იყო, რომ მან, აგრარული ბრძოლის გამწვავების მიზეზების შესწავლის დაწყებისთანავე, ყურადღება მიაქცია უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების მდგომარეობას. ხელისუფლებამ შეკითხვები დააგზავნა ყველა მაზრაში და მოითხოვა შეეგროვებინათ ცნობები ასეთი გლეხების საცხოვრებელი ადგილისა და პირობების შესახებ. სამწუხაროდ, ეს ღონისძიებაც ფორმალურად ჩატარდა; მას გლეხებისა-

თვის არავითარი სასურველი შედეგი არ მოყოლია და მთავრობაც მხოლოდ (ასეთ გლეხებზე) მასალების შეგროვებით შემოიფარგლა.

დიდი დავა და უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებს შორის აგრეთვე ადგილობრივი დებულების მე-9 მუხლმა, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „თუ ურწყავი მიწა გამოირჩევა განსაკუთრებული სინოყივრით და საშუალოდ ერთ დღიურზე 16 კოდს იძლევა, მემამულის თხოვნით, მომრიგებელ შუამავალს შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, შეამოწმოს ნაკვეთი, აღძრას შუამდგომლობა საგლეხო საქმეების საკრებულოში და დებულების ძალით ურწყავი მიწა მიუთვალოს გლეხს, როგორც სარწყავი,"[82].

ადგილობრივი დებულებით სარწყავ მიწაზე ნადელის ნორმა 10 დღიურს, ანუ 5 დესეტინას შეადგენდა, ხოლო ურწყავზე კი 20 დღიურს ანუ 10 დესეტინას, ასე, რომ ნადელის ნორმა ურწყავზე ორჯერ მეტი იყო, ვიდრე სარწყავზე.

მართალია, დებულება გამონაკლის შემთხვევაში ნებას იძლეოდა ორივე მხარის — მემამულისა და გლეხის — ერთობლივი თანხმობის შედეგად ურწყავი მიწა გლეხისათვის სარწყავის ნორმით მიეზომა, მაგრამ მემამულეებმა ეს გამონაკლისი წესად აქციეს. მარტო თბილისის გუბერნიაში შედგენილ 1858 სიგელიდან 459-ში ურწყავი მიწები გლეხებისათვის სარწყავის სახით იყო მიზომილი.

თბილისის გუბერნიის დროებითვალდებულმა გლეხებმა ნადელებში მიიღეს 103.720 დღიური სახნავ-სათესი მიწა. აქედან 26.025 დღიური (25%-ზე მეტი) შეადგენდა სარწყავს, ხოლო 77.695 დღიური (75%) — ურწყავს. ნიშანდობლივია, რომ იმ 77.695 დღიურ ურწყავ სანადელო მიწებიდან 37.078 დღიური განსაკუთრებული ნოყიერების და მაღალპროდუქტიულობის გამო მემამულეებმა შუამავლების დახმარებით და მხარდაჭერით, გლეხებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ამ უკანასკნელებს მიუზომეს, როგორც სარწყავი. ეს ნაკვეთები გუბერნიაში გლეხებისათვის ურწყავად მიზომილი მიწების 48%-ს შეადგენდა.

ამრიგად გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში გლეხებმა სარწყავ მიწებად მიიღეს 63.103 დღიური, ხოლო 40.617 დღიური კი ურწყავად. მემამულეთა ამგვარი მოქმედება გასაგებია. იგი ყოველმხრივ სასარგებლო იყო მათთვის: ჯერ ერთი, ნადელებში სარწყავის ზომით ნაკლებ მიწას აძლევდნენ გლეხებს, მეორეც, ამ მიწებზე მაღალ გადასახადებს იღებდნენ.

---

[82] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 628, ფურც. 7—8.

სარწყავი და ურწყავი მიწების განსაზღვრის საკითხებზე საწესდებო სიგელების შედგენის დაწყებისთანავე მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაღე იგი იმდენად გამწვავდა, რომ თბილისის გუბერნატორი იძულებული გახდა ამ საკითხისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია და დროებითი განყოფილება შეექმნა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავი და ურწყავი მიწების განსაზღვრისა და მისი ნადელში მიზომვის ირგვლივ ბრძოლა განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში. აქაურმა მემამულეებმა — დიმიტრი, ქაიხოსრო, ივანე ყიფიანებმა, ზაქარია, დავით, დიმიტრი, ათანასე ჯანდიერებმა, აგრეთვე ალექსანდრე ვაჩნაძემ და სხვებმა, მთელი მიწები ყოველგვარი დახარისხების გარეშე (როგორც სარწყავი ნაკვეთები) გლეხებს მიუზომეს[83].

მემამულეთა ამგვარი მოქმედება სოფლად მშრომელი გლეხობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. გუბერნიის მმართველობამ ადგილებზე დაუყოვნებლივ მიავლინა მომრიგებელ-შუამავლები. მათი ცდა, ურწყავი მიწები სარწყავად მიეთვალათ, უშედეგოდ დამთავრდა.

1865 წლის 21 ოქტომბერს ეს საკითხი საგლეხო საქმეების საკრებულომ სპეციალური მსჯელობის საგნადაც კი გაიხადა. საკრებულომ მხარი დაუჭირა მემამულეებს. მაგრამ თავის დადგენილებაში მან მაინც თავშეკავებულად აღინიშნა რომ „წინასწარ არ აღიარებს ყველა ურწყავ მიწებს სარწყავად". თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ „წესების თანახმად მემამულეებს ამის უფლება აქვთ".

დებულების ძალით, ის სიგელები, რომლებითაც ურწყავი მიწები სარწყავად იყო მითვლილი, გლეხების წარმომადგენელთა თანდასწრებით უნდა დამტკიცებულიყო საკრებულოს სხდომაზე. მაგრამ მოსალოდნელი გამწვავების თავიდან ასაცილებლად და ამგვარი საქმეების გადაწყვეტის გამარტივების მიზნით საკრებულომ მიზანშეწონილად მიჩნია: „ისეთი სიგელები, სადაც თვითონ გლეხები ცნობენ ურწყავ მიწას სარწყავად და საქმეს თანდართული ექნება საკრებულოს რომელიმე წევრის დასტური, შეიძლება დამტკიცებულ იქნეს ადგილზე, მომრიგებელ შუამავლის მიერ". რაც შეეხება იმას, რომ თუ ეს საკითხი სადავო იქნებოდა, მაშინ საკრებულოს წევრის წინადადებით ადგილზე უნდა მომხდარიყო შემოწმება, ორივე მხარეს უნდა წარმოედგინა დასაბუთებანი, რათა შედგენილიყო მიწის სარწყავად ჩათვლის საფუძველი. აღნიშნული წესი 1866 წლის 24 მაისს დამტკიცდა.

---

[83] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 198, ფურც. 17.

* *

გლეხები ხედავდნენ, რომ ხელიდან ეცლებოდათ მემკვიდრეობით მიღებული მიწები. მამულების ნასყიდობის წარდგენილ ბარათებს ანგარიშს არავინ უწევდა, კანონი მემამულეთა მხარეზე იყო, მომრიგებელ-შუამავლები და მეფის ხელისუფლების მთელი აპარატი. დაწყებული ადგილობრივი მოხელიდან დამთავრებული იმპერატორამდე, გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდა. ყოველივე ეს გლეხობას აქტიური ბრძოლისაკენ უბიძგებდა. როცა კანონით და სამართლით გლეხები სასურველ შედეგებს ვერ აღწევდნენ, ძალას მიმართავდნენ. არ იყო სოფელი, სადაც გლეხებს იარაღის ძალით არ დაედგათ ფეხი მემამულეთა მიწაზე.

ილაჯგაწყვეტილ, უფლებააყრილ, მშიერ-მწყურვალ სოფლის მშრომელებს სხვა გზა არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ყოველდღიური არსებობისათვის ერთ ხელში გუთნით, ხოლო მეორეში თოფით არ დაეშუშავებინათ მემამულეთა მიწები. ამჯერად მომჩივან მხარეებად გაბატონებული კლასი გვევლინება.

გლეხთა ძალმომრეობით შეშინებული მემამულე მელიქიშვილი (გორის მაზრა) მაზრის უფროსს სწერდა: „...გლეხებმა მიიტაცეს ჩემი მამულები და ამუშავებენ მას"[84]. „ბეკოშვილებმა და ჭონქაძეებმა, — ჩიოდა მომრიგებელ-შუამავალი, — ახალუბანში შემოიფარგლეს მემამულეთა კუთვნილი 20 დღიური მიწა"[85].

კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო, ერთი მხრივ, მემამულე ივანე ამილახვარსა და, მეორე მხრივ, გოჩაშვილებს, ბოჩოშვილებს, კოდალაშვილებს, სოლომონაშვილებს და სხვა 30-მდე კომლ დროებითვალდებულ გლეხს შორის სოფ. ზახაროში (დუშეთის მაზრა) გაჩაღებულმა ბრძოლამ. გლეხები დაუკითხავად შეუდგნენ ამილახვრების მიწების დამუშავებას, ისინი კეტებით შეიარაღებულიყვნენ და მემამულეებს ემუქრებოდნენ; ლანძღვა-გინებით მიმართავდნენ მომრიგებელ-შუამავლებს, რომლებმაც მათი დამშვიდება ვერ შეძლეს[86].

1872 წელს ბულაჩაურიდან, ხოდეკიდან, ჭალიდან და სხვა სოფლებიდან მაჩაბლები იწერებოდნენ: „გლეხები დათარეშობენ ნებართვის გარეშე ჩვენს ბაღებში... ძალმომრეობის თავიდან აცილება უნდა მოახდინოს საპოლიციო ხელისუფლებამ, თუ ეს მამულები ამ გზით

---

[84] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 2271, ფურც. 89.
[85] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 385, ფურც. 7.
[86] სსსა, ფ. 133, საქ. 674, ფურც. 7.

არ იქნება დაცული, იძულებული ვიქნებით, ძალას ძალა დავუპირისპიროთ. შეიძლება ყოველივე ამას მოყვეს შეჯახება და სისხლისღვრა"[87].

ძალმომრეობის გამო უჩიოდნენ დროებითვალდებულ გლეხებს თვაურებს, ინაურებს, ბედოშვილებს, კობიაშვილებს, ოდიშელიძეებს, ჩიხინაშვილებს, მამულაშვილებს სოფ. ხიდის, ქსოვრისის[88], თვალისის, ბრელის ხევის[89] მემამულეები: რატიშვილები, მიქელაშვილები, ზანდუკელები და სხვ[90].

შეიარაღებული გლეხები ხშირად არ უშვებდნენ მემამულეებს მათ მიერ დაკავებულ მიწებზე. ხელჩართული ბრძოლით და სიკვდილით ემუქრებოდნენ მათ. „ამა 1873 წ. აპრილის 3 დღესა, — იწერებოდა მომრიგებელ-შუამავალი, — სოფელ დამპალოში მცხოვრებლებმა არ შეუშვეს მამულის მეპატრონე თავადი იესე მაჩაბელი გუთნით თავის მამულის სახნავად და თურმე უპირებდნენ სიკვდილსა. გუთანიც გამოუცდენია და მაჩაბელმაც ვეღარ ხნა"[91].

გლეხები ზოგჯერ მაცდურ ხერხსაც მიმართავდნენ. ისინი განგებ აცდიდნენ ხოლმე მემამულეების მიწების დამუშავებას და შემოდგომაზე გადამწყვეტ შეტევაზე გადადიოდნენ. თვითნებურად იღებდნენ მოსავალს და ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ. ასე მაგალითად, ალექსანდრე მუხრან ბატონი (1871 წ.) უჩიოდა დროებითვალდებულ გლეხებს „მის მიერ დათესილ მიწებზე პურის მოსავლის თვითნებურად აღების გამო"[92]. ასეთივე შინაარსის იყო იფნარის (გორის მაზრა), კარდანახის (სიღნაღის მაზრა) და სხვა სოფლის მემამულეთა საჩივრები.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღო მემამულეთა საჩივრებმა დასავლეთ საქართველოშიც. საჩივრებში აღწერილი იყო ის თვითნებობა და მოძალეობა, რასაც გლეხები მემამულეებისადმი იჩენდნენ. 1870 — 1872 წლებში ზენში, ჯაპში, შაქარასა და სხვ. სოფლებში (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრები დროებითვალდებული გლეხები: ზარანდიები, ქაჯაიები, ადამიები, წიქვაიები, ნადარაიები, ახალაიები, შამათავები, კვარაცხელიები და სხვ. აშკარა ბრძოლის გზას დაადგნენ, — ძალად შეიჭრნენ მემამულე ჩიჩუების მიწებზე და იწყეს მისი დამუშავება[93]. ჩიჩუებს არ შეეძლოთ საკუთარი ძალით გამკლავებოდნენ გლეხებს და ამიტომ მთავრობას თხოვდნენ შველას.

---

[87] სსსა, ფ. 48, ანაწ. 4, საქ. 11666, ფურც. 78.
[88] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 462, ფურც. 72.
[89] იქვე, საქ. 847, ფურც. 18.
[90] იქვე.
[91] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1387, ფურც. 8.
[92] იქვე, ფურც. 17.
[93] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 74, ფურც. 18

სამეგრელოს გლეხობას არც იმერეთის სოფლების მკვიდრნი ჩამორჩებოდნენ. შეშინებული მემამულეები (შორაპნის მაზრიდან) ხელისუფლებას საჩივრებს-საჩივრებზე უგზავნიდნენ.

სოფ. სვირში (შორაპნის მაზრა) მემამულეებს ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში მიუტაცნიათ 60 ქცევა საგლეხო მიწა. მის შესახებ გლეხებს არაერთხელ აღუძრავთ საჩივარი, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, 1882 წლიდან მომჩივან მხარედ მემამულეები მოგვევლინენ. ამჯერად გლეხებმა ჯერ წარმომადგენლები მიუგზავნეს მემამულეებს და ვოითხოვეს მიტაცებული მიწების დაბრუნება. მთავრობის მხარდაჭერით გათამამებული მემამულეები ტყვიებით გაუმასპინძლდნენ წარგზავნილებს. მაშინ 500-მდე სვირელი გლეხი ძალით შეიჭრა მიტაცებულ მამულებში, ამოავსო სამიჯნაო ორმო და დაეუფლა მას, რასაც შეიარაღებული შეჯახება მოჰყვა. საქმეში ჩაერია მაზრის მმართველობა, დააპატიმრეს და ქუთაისში გადაგზავნეს მღელვარების 6 მოთავე[94].

ამრიგად, საგლეხო რეფორმის გამოცხადების პირველი დღიდანვე საქართველოს სოფლებში მემამულეებსა და გლეხებს შორის საადგილმამულო დავა ახალ სტადიაში შევიდა. რაც დრო გადიოდა ეს ბრძოლა სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. გლეხობა აქტიურად იბრძოდა, უკან არ იხევდა და ათასნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა, ხელთ ეგდო მიწის თუნდაც მცირე ნაკვეთი, რომელიც ესოდენ საჭირო იყო მისი ოჯახის მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის.

§ 4. სადავო-საადგილმამულო საქმეების განხილვის წესები და სხვადასხვა მოსაზრებანი

XIX საუკუნის 60 — 90-იან წლებში, როგორც აღენიშნეთ, საქართველოს სოფლებში კლასობრივი ანტაგონიზმი ბრძოლის სხვა ფორმებთან ერთად მასობრივ საჩივრებში გამოიხატებოდა.

გლეხების მიერ აღძრული საადგილმამულო საჩივრები განმტკიცებული იყო მამულების შეძენის სათანადო ბარათებით. მარტო დასავლეთ საქართველოს გლეხობამ მომრიგებელ-შუამავლებს 60-იანი წლების ბოლოსათვის მიწების ნასყიდობის 63.668 საბუთი წარუდგინა, ხოლო 1876 წლისათვის კიდევ 21 ათასი სიგელი. „აქ ხშირად მომჩივნები (გლეხები, — მ. ა.), — წერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატო-

---

[94] გაზ. „შრომა", 1883, № 1.

რი, — მომრიგებელ შუამავლებთან არდგენენ მთელ დასტა დოკუმენტებს". 1865 წლის ანგარიშში იგი დასავლეთ საქართველოს გლეხებს შორის არსებული მიწის ნასყიდობის საბუთების საერთო-საორიენტაციო რაოდენობას ორას ათასამდე ითვლის[95], ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ სიგელების შედგენის პროცესში მომრიგებელ-შუამავლებთან სახნავ-სათესი მიწების საკუთრების ამსახველი 40 ათასზე მეტი ბარათი წარადგინა.

ამრიგად, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის სამომრიგებლო დაწესებულებებში თავი მოიყარა მიწების ნასყიდობის ათიათასობით ბარათმა. საჭირო იყო ამ დოკუმენტებზე სათანადო რეაგირება. ასეთი მოზღვავებული საჩივრების განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

წამოყენებულ იქნა სხვადასხვა მოსაზრებანი აღძრული საჩივრების მიღებისა და განხილვის წესების შესახებ.

მთავრობა ცდილობდა მხარი დაეჭირა ქართველი მემამულეებისათვის. ამავე დროს მას აშინებდა გლეხთა ყოველდღიურად მზარდი უკმაყოფილებაც. ამიტომ იგი ზოგჯერ დემაგოგიური ხასიათის ღონისძიებებს ატარებდა; ხელოვნურად ქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს სადავო საქმეების გარჩევის დროს იგი ობიექტური იქნებოდა. ხელისუფლების ტენდენციური მოქმედება გლეხობას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

მთავრობა პირდებოდა გლეხებს დავა-საჩივრების საკითხების მოგვარებას. დრო გადიოდა, ერთ ღონისძიებას მეორე ცვლიდა, მაგრამ პრაქტიკულად კი არაფერი კეთდებოდა.

ჯერ კიდევ რეფორმის გამოცხადებისთანავე დაისვა საკითხი იმ წესების შემუშავების შესახებ, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა სადავო-საადგილმამულო საქმეების განხილვა. 1865 წლის 21 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის საკრებულომ მოიწვია საგანგებო სხდომა, სადაც იდგა საკითხი: მიეღოთ თუ არა განსახილველად გლეხთა საჩივრები იმ მიწებზე, რომლებიც მათ მემამულეებმა თბილისის გუბერნიაში დებულების დამტკიცებამდე წაართვეს.

ამ საკითხის გარშემო საკრებულოს წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. გაცხოველებული კამათის შედეგად ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა: „უმრავლესობა" — ყიფიანი, ორბელიანი, ვერბიცკი და „უმცირესობა" — სარქისოვი და ბოროზდინი.

„უმრავლესობა" მოითხოვდა გლეხების მიერ საადგილმამულო საკითხებზე, დავა-საჩივრების აღძვრის უფლება განსაზღვრულიყო სადავო მიწის შესყიდვის „ათწლიანი ხანდაზმულობით".

[95] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 22.

„უმრავლესობის“ პოზიციაზე იდგა კავკასიის კომიტეტიც. მისი აზრით, სადავო მიწებზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების შეუზღუდველი მიღება გამოიწვევდა დიდი რაოდენობით საეჭვო დოკუმენტების დაგროვებას.

თავისი აზრი გამოთქვა თბილისის გუბერნატორმაც. იგი საადგილმამულო საკითხებზე საჩივრების განხილვის წინააღმდეგი იყო. „საშინაო საბუთების მიღება, — წერდა იგი, — რომლებიც გლეხების უფლებებს ადასტურებს უძრავ ქონებაზე და ყველა მათი განხილვა შეაფერხებს საწესდებო სიგელების დროულად შედგენას“[96]. შემდგომში მან თავისი შეხედულება ამ საკითხებზე კიდევ უფრო ნათლად გამოხატა. იგი ამტკიცებდა, რომ მიწაზე საკუთრების ამსახველი ბარათების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიღება და განხილვა გამოიწვევდა ყველა მამულის სადავოდ გადაქცევას. იგი აგრეთვე მიწების ნასყიდობის ყალბი ბარათების შედგენის შიშს გამოთქვამდა[97].

ქუთაისის გუბერნატორიც წინააღმდეგი იყო მიწის ნასყიდობის ბარათების განხილვისა, არა მარტო სიგელების შედგენის პროცესში, არამედ შემდეგაც, რადგანაც, როგორც იგი აღნიშნავდა, ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ნადელების გამოსყიდვის საქმეს.

თავისი მოსაზრება წარმოადგინა აგრეთვე „სტატსკი სოვეტნიკმა“ — დოლინსკიმ. იგი აშკარად თავადაზნაურობის მხარეზე იდგა. დოლინსკის აზრით, რადგანაც ვახტანგ VI-ის კანონების თანახმად „ყველაფერი ყმისა მებატონისაა“, გლეხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაც მემამულეს ეკუთვნოდა. ეს კანონი საქართველოში 1859 წელს გაუქმდა. ამიტომ იგი მოითხოვდა: საჩივრები იმ მიწებზე, რომლებიც გლეხებმა 1859 წლამდე ანუ ქართული კანონების მოქმედების შეწყვეტამდე შეიძინეს, სამომრიგებლო დაწესებულებებს არ განეხილათ. თუ დავა 1859 წლის 20 ოქტომბრიდან გლეხების მიერ შეძენილ უძრავ ქონებას შეეხებოდა, მაშინ მისი გარჩევის დროს საფუძვლად მიღებული უნდა ყოფილიყო 1861 წლის 19 თებერვლის დებულება[98].

1859 წლამდე შეძენილ მიწებზე საბუთების განხილვის უარყოფა ქართველი გლეხისათვის მიწების ყიდვისა და პირად საკუთრებაში მათი დამტკიცების ოდითგანვე მიღებული უფლების უარყოფას, ფეხქვეშ გათელვასა და ათიათასობით მიწის ნასყიდობის ბარათებზე უფლებების ჩამორთმევას მოასწავებდა.

ამრიგად, „უმრავლესობის“ პოზიცია კომენტარს არ საჭიროებს.

---

[96] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 861, ფურც. 3.

[97] ი ქ ვ ე.

[98] ი ქ ვ ე.

იგი საადგილმამულო-სადავო საქმეების განხილვის დროს მემამულეთა ინტერესებიდან გამოდიოდა და ამიტომაცაა, რომ მათ მოთხოვნებსაც აშკარა ტენდენციურობის კვალი ატყვია.

შედარებით ობიექტური იყო „უმცირესობის" პოზიცია, რომლის ამოსავალსაც „უმრავლესობის" შეხედულებათა კრიტიკა წარმოადგენდა. მათი აზრით, მართალია, ვახტანგის კანონები მიუთითებდა, რომ „ყველაფერი ყმის მებატონისაა", მაგრამ ეს უფლება გლეხების მიერ ნასყიდობით შეძენილ მიწებზე არ უნდა გავრცელებულიყო, რადგანაც ადათ-ჩვეულება ამის უფლებას არ იძლეოდა. „რამდენადაც ძველია დოკუმენტი მიწების ნასყიდობის შესახებ, — აღნიშნავდნენ ისინი, — იმდენად უფრო მტკიცეა მისი უფლება მიწაზე". საკრებულოს წევრთა ამ ჯგუფს საჩივრების აღძვრის უფლების განსაზღვრა „ათწლიანი ხანდაზმულობის" საბუთებით აშკარა უკანონობად მიაჩნდა. საქართველოში გლეხობა უძრავ ქონებას უძველესი დროიდან ყიდულობდა, აფორმებდა თავისი და არა მემამულის სახელზე. რუსეთის პრაქტიკის გადმოტანა, სადაც მიწების შესყიდვის უფლება გლეხებს მხოლოდ 1843 წლის 3 მარტის კანონით მიეცათ, „უმცირესობას" დაუშვებლად მიაჩნდა.

საგლეხო საქმეების საკრებულოს უკანასკნელ სხდომაზე „უმრავლესობის" მკაცრი კრიტიკით და გლეხთა ინტერესების დაცვით გამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე. იგი მოითხოვდა, დღის წესრიგიდან მოეხსნათ საჩივრების აღძვრის „ათი წლის" ვადით შემოფარგვლის საკითხი, როგორც კანონიერების ელემენტარული ნორმების დარღვევა.

ამრიგად, როგორც დავრწმუნდით, საადგილმამულო-სადავო საკითხების განხილვის წესების შემუშავების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი: ერთნი, მემარჯვენე პოზიციაზე იდგნენ, მეორენი — შედარებით ობიექტურზე. ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის დავა-პაექრობას დასასრული არ უჩანდა და საკითხის გადაჭრა ყოვლად დაუშვებლად ჭიანურდებოდა.

მთავრობა ანგარიშს უწევდა შექმნილ ვითარებას, ვერ ბედავდა „უმრავლესობისა" და მის მომხრეთა მოსაზრების გაზიარებას, წარმოდგენილ ბარათების განხილვაზე უარის თქმას, რადგანაც ყოველივე ამას შეიძლებოდა მდგომარეობა კიდევ უფრო გაემწვავებინა. ამავე დროს ერიდებოდა თავადაზნაურობასაც.

კავკასიის ხელისუფლებამ, მოვლენების შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით, გუბერნატორებს, საგლეხო საქმეების საკრებულოებს და სამომრიგებლო დაწესებულებებს მითითება მისცა არ

შემოფარგლულიყვნენ „სადავო მიწის შესყიდვის ათწლიანი ხანდაზმულობით“[99]. ასე რომ, მთავრობა გლეხების მიერ სადავო მიწებზე საჩივრების აღძვრის უფლებებს ქრონოლოგიურად არ შემოფარგლავდა. პირიქით, იგი შესაძლებლობას აძლევდა მათ აღეძრათ საჩივარი მიწის თაობაზე იმისდა მიუხედავად, თუ როდის იყო იგი შეძენილი. სამომრიგებლო დაწესებულებები და სასამართლო ორგანოები მოვალე იყვნენ მიეღოთ ისინი და განეხილათ.

მთავრობამ კარგად იცოდა, რომ „ათწლიანი ვადის“ უარყოფა საჩივრების მოზღვავებას გამოიწვევდა. ამიტომ მან დაუშვა სხვადასხვა განმარტებები, რომლებიც ზღუდავდნენ გლეხთა აღნიშნულ უფლებას და ფაქტიურად ამ სახის საბუთების განხილვას უარყოფდნენ. იმისათვის, რომ შეეჩერებინა ან შეეფერხებინა გლეხები მიწისათვის წარმოებულ ბრძოლაში, ხელისუფლება სხვადასხვა მაქინაციებს მიმართავდა.

სადავო საქმეების გარჩევის დროს მომრიგებელ-შუამავლები ვალდებული იყვნენ შეეთანხმებინათ მოდავე მხარეები. მაგრამ როცა ეს ვერ ხერხდებოდა, მაშინ ისინი მიწაზე საკუთრების დამამტკიცებელ წერილობით საბუთებს პირველ რიგში გლეხებისაგან მოითხოვდნენ. საქმეს კიდევ უფრო ის ართულებდა, რომ გლეხი ვალდებული იყო მომრიგებელ-შუამავლისთვის მიწის ნასყიდობის საბუთის დედანი წარედგინა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტიც კი ნათლად მეტყველებს იმ ტენდენციურობაზე, რომელსაც ხელისუფლება სადავო მიწებზე აღძრული საჩივრების გარჩევის დროს იჩენდა.

მემამულეთა მხარდაჭერასა და აშკარა ტენდენციურობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მეორე გარემოებაც. ოფიციალურად დადგენილი წესით მომრიგებელ-შუამავალი ვალდებული იყო სადავო საკითხის ირგელივ წარმოდგენილი ქართული წარმომავლობის საბუთები რუსულად ეთარგმნა და მხოლოდ ამის შემდეგ გაეგზავნა „საქმე“ გუბერნიის საკრებულოში საბოლოო სანქციისათვის. ყოველივე ეს აშკარად უწყობდა ხელს საკითხის წლობით გაჭიანურებას.

მართალია, იურიდიულად გლეხებს არც ათი წლის წინათ შეძენილ მიწებზე ეკრძალებოდათ დავა-საჩივრების აღძვრა, მაგრამ მისი მიღების წინასწარ პირობად მთავრობამ გამოაცხადა, რომ გლეხების მიერ წარმოდგენილი მიწის ნასყიდობის ბარათები 1817 წლის 12 აპრილის განკარგულების თანახმად სათანადო ორგანოების მიერ უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული. გლეხები თუ ასეთ საბუთებს ვერ წარ-

---

[99] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 23.

უდგენდნენ შუამავალს, მაშინ ისინი სადავო მიწებზე ყოველგვარ უფლებებს კარგავდნენ და ეს ნაკვეთები მექანიკურად მემამულეთა ხელში გადადიოდა.

ცხადია, მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ მიწებზე საკუთრების ამსახველი საბუთები გლეხობის უმრავლესობას არ გააჩნდა, ხოლო ვისაც იგი ჰქონდა, ისიც შეუმოწმებელი და იურიდიულ უფლებას მოკლებული იყო.

მემამულეებსა და გლეხებს შორის საადგილმამულო დავის დროს მთავრობის მიერ ასეთი წინასწარი პირობების წამოყენება სამართლიანობის ნორმების უხეში დარღვევა იყო. მემამულეთა ბოროტმოქმედება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. მიწაზე საკუთრების ძიების უფლების მოსპობის მიზნით ისინი გლეხებს ხშირად ართმევდნენ ნასყიდობის ბარათებს და ანადგურებდნენ მას.

ხელისუფლება გლეხების მიერ წარმოდგენილ საბუთებს ხშირად არ იღებდა იმ მოტივით, რომ სასამართლოებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე წარმოებდა, ისინი კი ქართულად იყო შედგენილი. ზოგჯერ თარჯიმნის მიერ არაზუსტად თარგმნილი დოკუმენტი სასამართლოსათვის გაურკვეველი რჩებოდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა რამდენიმე ყალბი დოკუმენტი, რამაც საბაბი მისცა მემამულეებს ლაპარაკი დაეწყოთ, საერთოდ, მიწების ნასყიდობის ბარათების სიყალბეზე. დოკუმენტებში ზუსტად არ იყო განსაზღვრული სადავო მამულების ადგილმდებარეობა, ფართობი და საზღვრები, რის გამოც საჭირო ხდებოდა ადგილზე მისვლა და ნაკვეთების შემოწმება. ზოგიერთ დოკუმენტში არ იყო აღნიშნული მისი შედგენის დრო და ადგილი, არ ჰქონდა ხელმოწერა.

ცალკეულ შემთხვევებში გლეხები ახერხებდნენ სადავო მიწებზე საკუთრების ამსახველი, ყოველმხრივ გაფორმებული დოკუმენტების წარმოდგენას, მაგრამ სასურველ შედეგს კი მაინც ვერ აღწევდნენ, მემამულეები არ ცნობდნენ გლეხობის მიერ წარმოდგენილი მიწების ნასყიდობის ბარათებს, უარყოფდნენ იმ არგუმენტებს, რომლითაც მომჩივნები ცდილობდნენ მიწაზე თავისი უფლებების დამტკიცებას[100]. გარდა ამისა, საქმეს ისიც ართულებდა, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უმაღლეს საგუბერნიო დაწესებულებაში ხდებოდა, სადაც მემამულეებს მხარდამჭერი ჰყავდათ „ერთი მხრივ საიმედო შემადგენლობით და მეორე მხრივ უმაღლესი ხელისუფლებით — მეფისნაცვ-

---

[100] სსსა, ფ. 416, ანაწ. 3, საქ. 297, ფურც. 4, საქ. 375, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 391, ფურც. 6.

ლის სახით"[101]. ყველაფერი კეთდებოდა ისე, რომ არ შელახულიყო მემამულეთა ინტერესები.

ათეული წლები გრძელდებოდა სასამართლოებში მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა. მამის დაწყებულ საქმეს შვილიც ვერ ამთავრებდა. ერთი სიტყვით, კანონიერი გზით გლეხს სამართლის საძიებელი კარები გამოკეტილი ჰქონდა, სასამართლოს მოღვაწეობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

სადავო მიწების შესახებ საჩივრებისა და საბუთების მიღების მსგავსად საკრებულოს წევრებს შორის ცხარე კამათი გამოიწვია აგრეთვე განსახილველი საქმეების ვადების დადგენამ.

საკრებულოს წევრთა ერთი ნაწილი მოითხოვდა, რომ მიწების ნასყიდობის საქმეების განხილვა სიგელების შედგენისათვის დაეკავშირებინათ. ეს მოსაზრება უარყვეს იმ მოტივით, რომ იგი ხელს შეუშლიდა რეფორმის წარმატებით გატარებას — საწესდებო სიგელების დროულად შედგენას.

1866 წლის 19 მარტს საგლეხო საქმეების ქუთაისის გუბერნიის საკრებულოს თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა ამავე დაწესებულების წევრებს — ხომ არ იქნება უკეთესი საგლეხო რეფორმის სწრაფად და წარმატებით გადაჭრისათვის გლეხების მიერ უძრავ ქონებაზე აღძრული საჩივრების განხილვაზე ამ ეტაპზე უარი ეთქვათ და აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი საბუთები სიგელების შემოწმების დროს განეხილათ[102]. ქუთაისის გუბერნატორის ეს წინადადება მიღებულ იქნა. მომჩივან მხარეებს უკან დაუბრუნდათ საკუთრების ბარათები.

აღნიშნულმა ღონისძიებამ გლეხების აღშფოთება გამოიწვია. ხელისუფლება იძულებული გახდა მომრიგებელ-შუამავლებისათვის მიეცა რჩევა არ დალოდებოდნენ სიგელების შედგენას და მიღებისთანავე განეხილათ საჩივრები. ამ საკითხის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, გლეხების მიერ ერთდროულად წარმოდგენილი უამრავი საბუთების ასე მოკლე დროში განხილვა ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა. მეორეც, თვითონ მემამულეები იყვნენ ასეთი საბუთების გარჩევისა და გლეხობასთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგი.

გლეხების მიერ წარმოდგენილი მიწის ნასყიდობის ბარათებისადმი მემამულე-მებატონეთა ამგვარ დამოკიდებულებას არ შეიძლებოდა

---

[101] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 893, ფურც. 8.

[102] ი ქ ვ ე, საქ. 892, ფურც. 15.

გარკვეული გავლენა არ მოეხდინა საერთო მდგომარეობაზე, კერძოდ, სიგელების შედგენის მსვლელობაზე.

მთავრობა იძულებული შეიქნა სადავო მიწებზე გლეხების მიერ წარმოდგენილი საბუთების დროულად განხილვას დათანხმებოდა, მაგრამ შემდეგ უკვე აღარ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მემამულეებისათვის და ამიტომ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება უარყო.

საგლეხო რეფორმის დროულად და წარმატებით განხორციელებისათვის მიზანშეწონილად იქნა ცნობილი: სადავო ნაკვეთები მემამულეებს სიგელებში სანადელო მიწების სახით შეეტანათ, საგანგებოდ შედგენილ ოქმში აღენიშნათ ორივე მხარის დასაბუთებანი და ბოლოს მთლიანად გაფორმებული საქმე გასარჩევად გადაეგზავნათ საკრებულოში. გადაწყდა აგრეთვე, რომ მემამულეს ჩამორთმეოდა ხელწერილი, რათა თუ მიწა გლეხის საკუთრებად იქნებოდა ცნობილი, მაშინ მას დაუბრუნებდნენ აღნიშნულ ნაკვეთს და გაანთავისუფლებდნენ იმ ნაკვეთზე დაწესებული ღალა-კულუხის გადასახადისაგან.

მთავრობის ამ დადგენილებამ, რომელიც მიმართული იყო სოფლად აგრარული მოძრაობის შესანელებლად, მოვლენათა მსვლელობაზე თავისებური გავლენა მაინც მოახდინა. ხელისუფლებამ დასახულ მიზანს მიაღწია. მან გლეხობის გარკვეულ ნაწილში სადავო მიწების მიღების ერთგვარი ილუზია შექმნა. ამას ნათლად მოწმობს გორის მაზრაში მცხოვრებ გ. ცალქალამანიძის მაგალითი. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ უკანასკნელსა და მის ყმებს შორის სიგელების შედგენის დროს დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. საქმე იმაში იყო, რომ ცალქალამანიძემ გლეხებს ნადელში მიუზომა მათი კუთვნილი მიწები, რამაც გლეხკაცობის საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. გლეხებმა შედგენილ სიგელებს ხელი არ მოაწერეს. ამ უთანხმოების თავიდან აცილების მიზნით, მომრიგებელ-შუამავალმა გამოიყენა მთავრობის ზემოთ მოხსენებული დადგენილება. შეადგინა ოქმი, რომელშიც აღინიშნა ორივე მხარის დასაბუთებანი. საკმარისი გახდა ამგვარი ფორმალური ცერემონიალის ჩატარება, რომ გლეხებს ხელი აეღოთ ბრძოლაზე და სიგელებზე ხელი მოეწერათ[103].

ამრიგად, მართალია, გულუბრყვილოდ განწყობილი გლეხების მცირე ნაწილის საბრძოლო შემართებაზე ამ დადგენილებამ გარკვეული გავლენა იქონია, შეარყია მისი საბრძოლო განწყობა, მაგრამ გლეხთა უდიდესმა ნაწილმა უმალვე აუღო ალღო მთავრობის მანევრირებას.

---

[103] სსსა, ფ. 31, ანაწ. 3, საქ. 20235, ფურც. 1.

არ ირწმუნა ეს დემაგოგიური ღონისძიება და თავის განწყობილება აშკარა პროტესტით გამოხატა.

აღნიშნული ღონისძიება მხოლოდ მებატონეთა ინტერესებიდან გამოდიოდა, რასაც კარგად გრძნობდნენ მთავრობის ორგანოებიც. სადგილმამულო დავის ამ გზით გადაჭრა ეჩოთირებოდათ თვით ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. „მართალია, ეს ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით სამართლიანად, მაგრამ იგი გამოწვეულია ხოლოდ პრაქტიკული აუცილებლობით"[104], — წერდა მეფისნაცვალი კავკასიაში.

ისმის კითხვა, მაინც რა „პრაქტიკულმა აუცილებლობამ" განაპირობა საგლეხო მიწების მემამულეებისათვის გადაცემა? ფაქტია, მთავრობას ამ ღონისძიების გატარების დროს მხოლოდ მემამულეთა ინტერესები ამოძრავებდა და სხვა არაფერი.

მართალია, დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „თუ სადავო მიწები, რომლებიც ნადელებში მიუზომეს, გლეხების საკუთრებაში აღმოჩნდება უნდა დაუბრუნდეს მათ და ამოღებულ იქნეს ნადელების შემადგენლობიდან", მაგრამ ფაქტიურად სულ სხვა რამ ხდებოდა. მთავრობის მითითების ეს პუნქტი აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იშვიათად იყო, რომ ავრარული ბრძოლა, რომელიც უპირატესად გლეხების მიერ აღძრულ საჩივრებში გამოიხატებოდა, მათივე გამარჯვებით დამთავრებულიყო. იგი ყოველთვის მემამულეთა სასარგებლოდ წყდებოდა. თითზე თუ ჩამოითვლებოდა იმ გლეხების რიცხვი, რომლებსაც ბატონყმობის დროს შესყიდული მიწები საკუთრებად დაუმტკიცდათ. 1869 წელს თბილისის გუბერნიაში მომრიგებელ-შუამავლებმა განიხილეს 164 ნასყიდობის სიგელი: აქედან, გლეხების საკუთრებაში აღიარეს 36 სიგელით გათვალისწინებული მიწები[105], 1875 წელს 18 სიგელით, ხოლო 1877 წელს კი 5 სიგელით განკუთვნილი მიწები[106].

სულ სხვა მიმართულებით წარიმართა მოვლენები ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მებატონეებმა გლეხებს მათი კუთვნილი მიწები, თითქმის მასობრივად, ნადელებში მიუთვალეს. ამით აიხსნება აქ მიწების ნასყიდობის საბუთების გლეხების მიერ შედარებით დიდი რაოდენობით წარმოდგენა. ვიდრე ამას თბილისის გუბერნიაში ჰქონდა ადგილი. აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობის დადგენილების საფუძველზე გლეხების ერთმა ნაწილმა, თუ მაინც შეძლო დაებრუნებინა სიგელში

---

[104] სსსა, ფ. 31, ანაწ. 3, საქ. 20235, ფურც. 1.

[105] სსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 8980 ბ, ფურც. 83.

[106] ი ქ ვ ე, ანაწ. 3, საქ. 8995, ბ. ფურც. 14, იხ. აგრეთვე საქ. 9006 ბ. ფ. 55.

შეტანილი მის მიერ ნაყიდი მიწები. ქუთაისის გუბერნიაში ჩვენი ნასალების მიხედვით ასეთ შემთხვევებს ვერ ვხვდებით.

გაუთავებელი დავა-საჩივრებითა და სასამართლო პროცესებით თავმობეზრებულმა გლეხებმა რამდენადმე დაჰკარგეს მიწების თავიანთ საკუთრებაში დატოვების იმედი. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ხელმეორედ შეესყიდათ ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს შეძენილი და ამჯერად მემამულეთა მიერ სადავოდ გამხდარი მიწის ნაკვეთები. თავის მხრივ, მემამულეებიც ერიდებოდნენ ზედმეტი რისკის გაწევას. ისინი ამჯობინებდნენ შედარებით დაბალ ფასებში დაეთმოთ იგი გლეხებისათვის. მიწების ხელმეორედ გაყიდვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში[107].

1876 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში 8 ათასმა კომლმა დროებითვალდებულმა გლეხმა ხელი აიღო საადგილმამულო დავაზე და ხელმეორედ შეიძინა ასი ათასი ქცევა მიწა, რისთვისაც დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთი გადაიხადა[108]. ასეთი გზით შეწყვეტილი იქნა საადგილმამულო დავა 30 ათასი დოკუმენტის გარშემო[109].

აღნიშნულ პერიოდში სოფლად ათიათასობით უღარიბესი, უმიწაწყლო გლეხი იყო, რომლებსაც არამცთუ მიწების შეძენის, არამედ იმ ბეგარა-ვალდებულებათა გადახდის საშუალებაც კი არ გააჩნდათ, რომელსაც მათ სახელმწიფო აწერდა. ასეთი გლეხები მიწის საკუთარი ფონდის შექმნას ცდილობდნენ არა ფულით, არამედ ბრძოლით.

ხელისუფლებას ესმოდა, რომ საადგილმამულო დავას დროებით ვალდებულ გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობის კიდევ ნეტი გამწვავება მოჰქონდა.

ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ მოდავე მხარეები ახერხებდნენ შეთანხმებას სადავო მიწების ნადელებად მიკუთვნის საკითხში, მაგრამ ასეთი შეთანხმება მეფისნაცვალსაც კი არ მიაჩნდა სოფლად კლასებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის სრულ გარანტიად.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც საადგილმამულო ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა, საგლეხო დაწესებულებანი, რომლებიც ვალდებული იყვნენ წესრიგი დაეცვათ ნასყიდობის საბუთების განხილვის დროს, პირიქით იქცეოდნენ — ამ საბუთების განხილვას ნადელთა გამოსყიდვის საქმეს უკავშირებდნენ.

მაშინ, როდესაც მიწების დიდი რაოდენობა სადავოდ იყო გამხდარი, ნასყიდობის საბუთების გარჩევის გაჭიანურება, მისი საგამომს-

---

107 სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 391, ფურც. 1.

108 სსსა, ფ. 416, ანაწ. 3, საქ. 297, საქ. 375, ფურც. 7.

109 ი ბ ვ ე, საქ. 375, ფურც. 7.

ყიდვო ოპერაციებთან დაკავშირება, რომელიც ხელი ტემპით მიმდინარეობდა, გლეხებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ამრიგად, სადავო მიწების საჩივრების განხილვის ხელოვნურად გაზვიადება კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც აუტანელ პირობებში ჩავარდნილი მშრომელი გლეხობის მდგომარეობას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საადგილმამულო დავა იმდენად გამწვავდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა კვლავ თვალთმაქცობაზე წასულიყო. გადაწყდა შეემუშავებინათ განსაკუთრებული ცირკულარი[110]. 1876 წელს გამოვიდა ბრძანებულება საადგილმამულო-სადავო საქმეების გარჩევის წესების შედგენის შესახებ[111]. საგლეხო საქმეების მთავარი კომიტეტის, სოფლის საქმეების მომწყობი და აგრეთვე კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულმა თათბირმა 1873 წლის 22 მაისს განიხილა 1876 წლის 11 ნოემბრის კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველის მიმართვა მეფისნაცვლისადმი, „ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში გლეხების მიერ ბატონყმობის დროს შეძენილი უძრავი ქონების საკუთრებად ძიების გარჩევის შესახებ“.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც გლეხებს ევალებოდათ მათ ხელთ არსებული მიწების ნასყიდობის საბუთები მომრიგებელ-შუამავლისათვის წარედგინათ არაუგვიანეს 1881 წლის 1 იანვრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნასყიდობა ფიქტიურად იქნებოდა ცნობილი. ამ ვადის გასვლის შემდეგ იკრძალებოდა ყოველგვარი საქმეების მიღება. თავის მხრივ მომრიგებელ-შუამავალი ვალდებული იყო მხოლოდ ის წარმოდგენილი საბუთები განეხილა, რომელშიც სადავო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა იქნებოდა აღნიშნული[112].

გაერთიანებული თათბირის მიერ სადავო საკითხების განხილვისათვის ახალი წესების შემუშავება აგრარული ურთიერთობის გამწვავებაზე მიგვითითებს.

ამრიგად, ხელისუფლება ცდილობდა გლეხებში შეექმნა საადგილმამულო-სადავო საქმეების მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთგვარი რწმენა, მაგრამ პირიქით ხდებოდა — მემამულეები თავიანთი ძალმომრეობით გლეხობას რევოლუციური ბრძოლისაკენ უბიძგებდნენ.

---

[110] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, дел. 201, лл. 1—10.

[111] იქვე, дел. 200; л. 15, см. ф. 1149, оп. 10, дел. 17, л. 18.

[112] ЦГИА, ф. 31, анаф. 1, саф. 1124, фурц. 4—5; ЦГИА, фонди 416, анаф. 3, саф. 375, фф. 23—24.

თავი III

გლეხობა ტყეების, საძოვრებისა და ადგილ-მამულის გამიჯვნისათვის ბრძოლაში

§ 1. გლეხობის ბრძოლა ტყეებისათვის

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით ტყეებით სარგებლობის საკითხი ადათ-ჩვეულების მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, „ადათით კი, — როგორც ქუთაისის გუბერნატორი აღნიშნავდა, — გლეხები განუსაზღვრელად სარგებლობდნენ არა მარტო საკუთარი, არამედ საერთო ტყეებითაც"[1]. ტყით სარგებლობას მეზობელი მეზობელს არ უშლიდა; ყველა, დიდი თუ პატარა თავისუფლად სარგებლობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ. მაშინ მოდავე და მოცილე არავინ ჩანდა[2], მაგრამ რეფორმის შემდეგ მემამულეთა ლტოლვა თავისუფალი და საგლეხო ტყეების ხელში ჩასაგდებად თანდათან გაიზარდა.

მართალია, საწესდებო სიგელების უმრავლესობაში აღნიშნული იყო, რომ გლეხებს უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ საერთო ადგილებით, რომლებშიც ტყეებიც იგულისხმებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. სიგელების შედგენისა და მათზე ხელმოწერის შემდეგ წარმოდგენილ პირობებს არც ერთი მხარე არ იცავდა.

მემამულეთა დიდი ნაწილი სრულიად უკანონოდ, თვითნებურად ცდილობდა საერთო სარგებლობაში არსებული ტყის მასივების ხელში ჩაგდებასა და მასზე გარკვეული გადასახადების დაწესებას[3]. „თავადაზნაურობამ მოინდომა გლეხების თავიდან მოშორება, — წერდა ე. ნინოშვილი, — და საერთო სარგებლობაში არსებული ტყეების მითვისება"[4]. მათ შეძლეს კიდეც ამის მიღწევა და მაღალი ბაჟების დაწესება.

---

[1] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 83—84.

[2] ე. ნინოშვილი, თხზ., ტ. 1, 1950, გვ. 235.

[3] Я. Медведев, Отношение гос. крестьян, Зак. края к казенным лесам, 1898 г., Тиф. стр. 319 — 353, 357—384.

[4] ე. ნინოშვილი, თხზ., ტ. 1, 1950, გვ. 235.

მემამულეებს ტყით სარგებლობის პირობები ზოგჯერ სიგელებში შეჰქონდათ, მაგრამ, საერთოდ, დებულების ძალით იგი შეიძლებოდა მასში არც შეტანილიყო; მემამულესა და გლეხს შორის იდებოდა დამატებითი შეთანხმება და იგი დასამტკიცებლად ეგზავნებოდა მომრიგებელ-შუამავალს.

სოფლის მშრომელებმა დიდი რაოდენობის საერთო სარგებლობის მიწები დაკარგეს, ეს იყო ძირითადად სახნავ-სათესად და საძოვრად უვარგისი მიწები, ტყეები და სანადირო ადგილები[5]. დროთა ვითარებაში მემამულეებმა ხელთ იგდეს ეს ნაკვეთები და არავის უშვებდნენ შიგ. ქუთაისის გუბერნატორი აღნიშნავდა: „მემამულეები გლეხებს არ უშვებენ ტყეებში საშეშე, საშენი და სხვა სახის მასალის გამოსატანად"[6], ხოლო 500 კომლი დროებითვალდებული გლეხი კი ზუგდიდიდან იწერებოდა: „შეშას და წკნელს, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით რეფორმამდე ეხლა არ გვაძლევენ"[7].

ბაღდათის, კიკნაველეთის, ზეგანის, ზეკარის (ქუთაისის მაზრა) და სხვა სოფლების დროებითვალდებული გლეხები: კიკნაველიძეები, რობაქიძეები, გოქსაძეები, გოგოლაძეები, ჭელიძეები, დარსაველიძეები, ნერგაძეები და სხვები ქუთაისის გუბერნატორს ატყობინებდნენ: „აქამდე ტყეებში უფასოდ ვქრიდით ხეებს, ეხლა თითო ურემ შეშაზე გვახდევინებენ... 50 კაპიკს"[8], ხოლო 1868 წლის 18 მარტს ზერეთელი და შუხუთელი (ოზურგეთის მაზრა) გლეხები ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოსადმი გაგზავნილ საჩივარში აღნიშნავდნენ: „მემამულეებს ჩვენთვის არ მოუციათ ტყეები. ამ ადგილებით ვსარგებლობდით უძველესი დროიდან, ამიტომ არ ვართ ვალდებული ვიხადოთ შეშის, წკნელისა თუ სხვა სახის მასალებისა და საერთოდ ტყეებით სარგებლობისათვის გადასახადები"[9].

ბაყების გადიდებაზე[10] მიუთითებდნენ სოფ. ზენის, ჯაპის, შაქარის (ზუგდიდის მაზრა) დროებითვალდებული გლეხები (64 კომლი): ზარანდიები, ქაჯაიები, ადამიები, წიქვაიები, ნადარაიები, ახალაიები და სხვ.[11].

ანალოგიური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მაზ-

---

[5] სსსა, ფ. 220, ანაწ. I, საქ. 883, ფურც. 93.
[6] ი ქ ვ ე .
[7] ი ქ ვ ე, საქ. 124, ფურც. 6.
[8] ქუთაისის სსა, ფ. 32, ანაწ. 1, საქ. 345, ფურც.
[9] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 12, ფურც. 1.
[10] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1434, ფურც. 5.
[11] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 74, ფურც. 7.

რებშიც. აქ მემამულეებმა გლეხებს აუკრძალეს არა მარტო მათ საკუთრებაში არსებული, არამედ სახელმწიფო ტყეებით სარგებლობაც კი.

მიითვისეს რა რეფორმამდე საერთო სარგებლობაში არსებული ტყეები, მემამულეებმა მათ ხელშეუხლებლობის მიზნით მცველები დაუყენეს[12], რომლებმაც ხელი მიჰყვეს მეჭრთამეობასა და გამოძალვას.

საქალაქო ცხოვრების ზრდამ, რკინიგზების გაყვანამ, არნახულად ასწია ტყის ფასი, გლეხების მიერ ტყით სარგებლობა მას შემდეგ უფრო გართულდა, როცა ხე-ტყემ სასაქონლო ღირებულება მიიღო. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მიერ 1871 წლიდან მითვისებულ უზარმაზარ მამულში ტყეს 45 ათას დესეტინაზე მეტი ფართობი ეჭირა. ამ მამულში გაშენებული იყო 23 სოფელი. აქ დასახლებული 700 კომლი ჩაითვალა „ბორჯომის მამულის" ტერიტორიაზე „დროებით მცხოვრებ" გლეხებად, რომლებიც ამიერიდან მთლიანად „ბორჯომის მამულის" მმართველობის ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი. უკანასკნელს შეეძლო ნებისმიერ დროს აეყარა ისინი სამოსახლოდან[13].

ტყეებზე ბაჟების მომატება უარყოფით გავლენას ახდენდა გლეხურ მეურნეობაზე. სოფ. კონდოლის (გორის მაზრა) გლეხები თბილისის გუბერნატორს სწერდნენ: „ნადგურდება ვენახები, ეს ერთადერთი წყარო ჩვენი არსებობისა, რადგან სარი მეტად გაძვირდა და შეძლება კი არ მოგვეძებნება შევიძინოთ ეს ვენახისათვის უსაჭიროესი მასალა"[14]. მეფისნაცვლის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „გლეხების ხელით დარგული მისსავე ეზოში გაზრდილი კაკლის ხეც კი იბეგრებოდა"[15].

ოსეთის უბნის სოფლებში: ანდარეთში, ტელემანში, თხინვალში, ოხრისში, მარმაზეთში და ა. შ. მემამულეები — მარი და დავით ერისთავები შეეცადნენ სიგელების შედგენისას სულ აეკრძალათ გლეხებისათვის საერთო ტყეებით სარგებლობის უფლება, მაგრამ როდესაც წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაშინ თავიანთი გადაწყვეტილება შეცვალეს და მოითხოვეს ყოველ კომლს 7 მან. და 50 კაპ. გადაეხადა[16]. გარ-

---

[12] Я. Медведев, დასახ. ნაშრომი, გვ. 357—364, იხ. აგრეთვე სსსა, ფ. 48, საქ 186, საქ. 1337; „დროება" 1867. № 34; 1883. №№ 219, 156.

[13] სსსა, ფ. 353, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 3.

[14] „მოამბე", 1897, № 5, გვ. 33; იხ. აგრეთვე იმავე ჟურნალის 1904 წლის № 11, გვ. 107.

[16] Всеподданнейшая Записка по управлению Кавказским краем генерал-адютанта Графа Воронцова - Дашкова. 1907 г. стр. 59—60.

[16] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1434, ფურც. 2.

და ამისა, მემამულეები ერთი მხრივ, მოითხოვდნენ, რომ საკომლოდან ოჯახების ცალკე გამოყოფის შემთხვევაში მათთვის მიზომილი ტყის ფართობის მოცულობა არ შეცვლილიყო, ხოლო მეორე მხრივ, გლეხურ კომლთა ზრდის პროპორციულად გადასახადების რაოდენობაც გადიდებულიყო. ასეთ პირობებს გლეხები არ დათანხმდნენ; უარს ამბობდნენ მემამულეებთან მოლაპარაკებაზე, მოითხოვდნენ „ნება მიცემოდათ ძველებურად, ბაჟების გარეშე ესარგებლათ ტყეებით და საფარეხ ადგილებით“[17]. რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდებოდა. მთის ზონის 24 სოფელში ბრძოლამ მემამულეებსა და გლეხებს შორის ტყეებით სარგებლობის საკითხზე მწვავე ხასიათი მიიღო. ასე რომ მათ შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა[18], ხოლო 35 სოფელში კი ფორმალურად მაინც მიაღწიეს შეთანხმებას. აქ 470 კომლმა დროებითვალდებულმა გლეხმა 1531 დესეტინა ანუ კომლზე საშუალოდ 3,23 დესეტინა ტყე მიიღო. თითოეული კომლი ვალდებული იყო მემამულესათვის 50 კაპიკიდან 5 მანეთამდე გადაეხადა. მიუხედავად შეთანხმებისა, გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების დაფარვაზე.

ამრიგად, მემამულეებმა ხელისუფლების მხარდაჭერით დაარღვიეს დებულების ის პუნქტი, რომელიც ტყეებით სარგებლობის საკითხს ეხებოდა, მიითვისეს საერთო სარგებლობაში არსებული ადგილები, რომლებზედაც გლეხთა უფლებები შეუზღუდავი უნდა ყოფილიყო და მაღალი გადასახადები დააწესეს მასზე.

რეფორმის პირველი დღიდანვე ხელისუფლება დიდ წინააღმდეგობას მოელოდა. ჯერ კიდევ 1865 წელს ქუთაისის გუბერნატორი წერდა, რომ აუცილებლად თავს იჩენდა დავა იმ ტყეებისათვის, რომლებიც მემამულეებისა და გლეხების საერთო სარგებლობაში ითვლებოდა. მაგრამ ამის შესახებ გლეხებს სათანადო დოკუმენტები არ გააჩნდათ[19].

იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ამ მხრივ მოსალოდნელი საშიშროება, ხელისუფლება იძულებული გახდა ეს საკითხი საგლეხო საქმეების საკრებულოს სპეციალურ სხდომაზე მსჯელობის საგნად გაეხადა. მომრიგებელ-შუამავლებს დაევალათ წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი, ხოლო ამავე საკრებულოს წევრები — გურამიშვილი და ბამაცაშვილი — არსებული მდგომარეობის შესასწავლად და მასალების შესაგროვებლად ოსეთის უბანში გაიგზავნენ, სადაც კლასობრივი ბრძოლა უფრო მეტად იყო გამწვავებული, ვიდრე საქართველოს სხვა

---

[17] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 289, ფურც. 104—108.

[18] ი ქ ვ ე.

[19] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 39—40.

რაიონებში. სათანადო მუშაობის შემდეგ მათ ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს საკრებულოს.

გურამიშვილი მოითხოვდა, რომ ადგილმდებარეობისა და ხარისხის განურჩევლად ტყეებზე ერთნაირი ბაჟები დაწესებულიყო. მისი აზრით ეს გაადვილებდა კონტროლს გადასახადების აკრეფის დროს და გლეხობაშიც უთანხმოებას არ გამოიწვევდა. მამაცაშვილი კი სულ სხვა მოსაზრებაზე იდგა: იგი მოითხოვდა გადასახადების ოდენობის ტყის ხარისხის მიხედვით განსაზღვრას. „შეიძლება ეს ერთგვარად მოუხერხებელი იყოს კონტროლისათვის, — აღნიშნავდა იგი, — მაგრამ, სამაგიეროდ, ხელსაყრელი იქნება გლეხებისათვის...“[20].

გურამიშვილის პროექტი მიუღებელი იყო, რადგანაც ყოველგვარი ხარისხის ტყეებზე ერთიანი სატარიფო გადასახადების დაწესება კიდევ უფრო გაამწვავებდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას. რაც შეეხება მამაცაშვილის პროექტს, იგი შედარებით მისაღებად გამოიყურებოდა. მას მხარს უჭერდა საკრებულოს წევრი დ. ყიფიანი.

ტყეების საკითხი ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. საგანგებო სხდომაზე ისეთი მწვავე და უკომპრომისო კამათი გაიმართა, რომ საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა. მთელი მასალები განსახილველად მეფისნაცვალს გადაეგზავნა[21].

1868 წლის 4 აპრილს ეს საკითხი კვლავ დაისვა განსახილველად მეფისნაცვალთან არსებულ გლეხთა მოწყობის კომიტეტში. თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულო წინადადებას იძლეოდა მიეღოთ მამაცაშვილის პროექტი, ხოლო ქუთაისის გუბერნიის საკრებულოს წარმომადგენელი კი, მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის გამწვავების გამო, მოითხოვდა: ტყეები უწინდებურად საგლეხო საზოგადოებათა მფლობელობაში დარჩენილიყო და შემოესაზღვრათ მისი სარგებლობის სფერო[22].

დავა ვერც მთავარსამმართველოში გადაწყდა. საქმეები უკან დაეგზავნათ სათანადო საკრებულოებს და მიეთითათ თვით განესაზღვრათ გადასახადების რაოდენობა. ამავე დროს მიეცათ რჩევა, თბილისის გუბერნიაში ტყეებით სარგებლობისათვის თითოეულ გლეხურ კომლზე დაწესებულიყო 3 მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი 1 — 2 მანეთამდე.

---

[20] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 289, ფურც. 12.

[21] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 63—64.

[22] იქვე, საქ. 879, ფურც. 50.

ამრიგად, ტყეებით სარგებლობის წესების შემუშავება და მასზე განსაზღვრული საბაჟო ტარიფის დადგენა დიდხანს გაგრძელდა. შეიქმნა პროექტები, წარმოიშვა მოსაზრებანი. საკითხი ერთი ინსტანციიდან მეორეში გადადიოდა, საქმეს კი დასასრული არ უჩანდა, ტყის მასივებისათვის დავა გრძელდებოდა და თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობდა. არ იყო სოფელი, სადაც მემამულესა და გლეხებს შორის უთანხმოებას არ ჰქონოდა ადგილი, ზოგან იგი შეიარაღებულ ბრძოლამდეც კი მიდიოდა.

ცხრილი 8

მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა-უთანხმოებანი ტყეებით სარგებლობის საკითხზე გორისა და თელავის მაზრებში 1871 — 1881 წწ.

მაზრების დასახელება	1871	1872	1873	1874	1875	1876	1877	1878	1879	1880	1881
გორის მაზრა	164	121	130	116	315	243	333	272	278	171	102
თელავის „	179	177	197	342	854	497	503	363	407	265	196

მოტანილი მასალა უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

ჯერ ერთი, ტყეებისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 70-იანი წლების მეორე ნახევარში. მეორე, თბილისის გუბერნიაში ტყის მასივისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავედ მაინც თელავის მაზრაში იჩინა თავი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ აქ ტყეებს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც გლეხური მეურნეობის ძირითად წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა. ცხადია, ამის თქმა გორის მაზრაზე არ შეიძლება, რადგანაც აქ წამყვანი ადგილი უკვე მეცხოველეობას ეჭირა.

გლეხთა მღელვარებამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო სიღნაღის მაზრაში. 1873 წელს აქაურ დროებითვალდებულ გლეხებს და მემამულეებს შორის ტყეების საკითხზე უთანხმოების 224 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო მომდევნო 1874 წელს კი 550-ზე მეტ შემთხვევას. აქედან 342 შემთხვევა შეშით სარგებლობის აკრძალვასთან ყოფილა დაკავშირებული, ხოლო 207 — ხე-ტყის მასალაზე მაღალი ფასის დაწესებასთან[23]. 1890 წლის ცნობით, თბილისის გუბერნიაში ტყეების საკითხებზე დავა-საჩივრების 767 შემთხვევას ჰქონდა ადგილი[24].

---

[23] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 788, ფურც. 10—12.

[24] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 121, ед. хр. 5013, л. 275; იხ. აგრეთვე ф. 1284, оп. 223, дел. 193, лл. 14—159.

ტყეებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრად მიმდინარეობდა საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მებაღეობა-მევენახეობა წარმოადგენდა. იგი ზოგჯერ იმდენად მწვავე ხასიათს ატარებდა, რომ მის ჩასაქრობად სოფლებში მაღალი ჩინის მოხელეების, გუბერნატორის ანდა ვიცე-გუბერნატორის ჩასვლა გამხდარა საჭირო. ასე მაგალითად, 1872 წელს ყვარელში[25] მემამულე ჭავჭავაძეებსა და (საბუთებში მემამულის სახელი არ იხსენიება) გლეხებს შორის ბრძოლას საშიშ ხასიათი მიუღია. სამწუხაროდ, არსებული მასალა არ იძლევა საშუალებას დეტალურად ვიმსჯელოთ ამ მღელვარების მამოძრავებელ ძალებსა და კონკრეტულ მიზეზებზე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: მემამულეებს ტყეებზე მომეტებული ბაჟები მოუთხოვიათ, რაზედაც გლეხებს უარი განუცხადებიათ. ადგილობრივი ორგანოების ყოველგვარი ცდა, მოერიგებინათ მოდავე მხარეები, უშედეგოდ დამთავრებულა.

ყვარელის ამბები საკმაოდ გახმაურებულა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის მოგვარებისათვის" ხელი მოუკიდია თვითონ თბილისის გუბერნატორს, ივი ადგილზე ჩასულა საქმის შესასწავლად და იქ შვიდი დღე დარჩენილა. როგორც ჩანს, გუბერნატორის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი გამოუღია[26].

თუ გავითვალისწინებთ, რომ გუბერნატორი სხვა შემთხვევაში ადგილზე მხოლოდ უკიდურესი დაძაბულობის დროს ჩადიოდა და ისიც მცირე ხნით, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს გლეხთა ეს მღელვარება სერიოზული ხასიათის გამოსვლად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამ ამბებმა მეფისნაცვლამდეც მიაღწია.

ტყეებით უფასოდ, ან შემცირებული გადასახადებით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში სხვადასხვა კატეგორიის გლეხები ერთიანდებოდნენ, იღებდნენ ფიცს, რაც მათი გაგებით ერთგულების, ერთმანეთისადმი ნდობისა და ერთობლიობის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

1874 წელს ციციშვილის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები ქარელში[27], მასობრივ და მწვავე ხასიათს ატარებდა. იგი 16-ზე მეტ სოფელს მოედო და მონაწილეობდა დროებითვალდებული, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხთა 319 კომლი.

1873 წელს ციციშვილებმა ტყეებზე მაღალი ბაჟები დააწესეს: 1

---

[25] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 634, ფურც. 4.

[26] იქვე, ფურც. 5.

[27] იქვე.

საქენ შეშაზე — 3 მან., მუხის ერთ მორზე — 1 მან., ერთ ურემ წნელ-ზე — 50 კაპ. გარდა ამისა. თითოეული ქომლიდან ყოველწლიურად მოითხოვდნენ 16 მანეთს[28], ეს მაშინ, როცა აქამდე ამ ტყეებით გლეხები თავისუფლად სარგებლობდნენ.

სოფლის მშრომელთა შორის გაჩნდნენ თავკაცები: დროებითვალდებული გლეხები გიო და გლახა საზანდარიშვილები, თედო ქვრივიშვილი და სხვები. ისინი მოუწოდებდნენ გლეხებს ერთობლივად დარაზმულიყვნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, წინააღმდეგ შემთხვევაში „სახლების დანგრევითა და განადგურებით“ იმუქრებოდნენ.

სოფლად გაწეულმა აგიტაციამ დადებითი შედეგი გამოიღო. გლეხების დიდი ჯგუფი მიეჭრა მომრიგებელ-შუამავალთან და კატეგორიულად განუცხადა: „საერთო ტყის მასივების იმ წესით სარგებლობა. რომელსაც მემამულე გვთავაზობს, ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, ამაზედ არასოდეს არ დავეთანხმებით“[29].

ვერც დაპირებამ გაჭრა და ვერც მუქარამ, 300-მდე გლეხი ბორჯომში მეფისნაცვალთან გაემგზავრა სამართლის საძებრად.

მღელვარების მოთავეებს მკაცრად გაუსწორდა ხელისუფლება. ისინი დააპატიმრეს. საქმეს არც ამან უშველა. ბრძოლა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. გლეხები იარაღით ხელში შედიოდნენ ტყეებში. 1878 წელს სარდიონ ციციშვილი გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა: „გლეხები აშკარა წინააღმდეგობას მიწევენ, რომელიც შეიძლება სისხლისღვრით დამთავრდესო“[30].

გლეხები თავს ესხმოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ ტყის მცველებს, ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს, რაც კი მათ წინ აღუდგებოდათ. სოფ. ხოვლედან (გორის მაზრა) სოფიო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა: „ჩემს კუთვნილ ტყეში ავკეთში შეცვივდნენ გლეხები, ცემეს ტყის მცველს, წაართვეს დამუშავებული მასალა და დაიტაცეს... ამის შემდეგ გლეხები მომიხდნენ სახლში, მაშინ როცა მე არ ვიყავი, ცემეს ჩემს მოურავს, დაანგრიეს ყველაფერი რაც ხელთ მოხვდათ და შემდეგ მიიმალნენ“[31].

ტყის მასივებისათვის ბრძოლამ თიანეთის მაზრაშიც მწვავე ხასიათი მიიღო. აქ გლეხებისადმი არაადამიანური და უსულგულო დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ ჩოლოყაშვილები. XIX საუკუნის 70-იან წლებიდან სოფ. ჩობანოსა და ხაიშოში (თიანეთის მაზრა) მცხოვრებ

---

[28] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 884, ფურც. 5.

[29] იქვე.

[30] იქვე, საქ. 436, ფურც 1—2.

[31] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 223, ფურც. 3.

დროებითვალდებულ გლეხებსა და მემამულეებს შორის ბრძოლა ხან მინელდებოდა, ხან კი ახალი ძალით იფეთქებდა. გლეხთა საპროტესტო მოძრაობის მიუხედავად, 80-იანი წლების დამდეგს ჩოლოყაშვილებმა ტყეს მცველები დაუყენეს, მაღალი ბაჟების გარეშე არავის უშვებდნენ მასში.

90-იანი წლების დამდეგს ბრძოლა ახალი ძალით გაიშალა. გლეხებმა ბაჟებზე უარი განაცხადეს. ტყეებში პირუტყვი შერეკეს და მიგაჩეხვას მიჰყვეს ხელი, ისინი გაჰყვიროდნენ: ჩოლოყაშვილებს ტყეებით სარგებლობისათვის არაფერს არ გადავუხდითო. უფრო მეტიც, მოთმინებიდან გამოსულნი იმუქრებოდნენ: თუ თავად ჩოლოყაშვილებიდან რომელიმე გამოჩნდება სოფელში, საქმე უსისხლოდ არ დამთავრდებაო[32].

გლეხებმა არა მარტო უარი განაცხადეს ბაჟებზე, არამედ მემამულეებს ტყეებით სარგებლობაც კი აუკრძალეს. ისინი გაბედულად აცხადებდნენ: ჩოლოყაშვილებს არავითარ შემთხვევაში ტყეებში არ შევუშვებთო[33].

მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო შეიარაღებული შეჯახება. ამას პირველ რიგში მაზრის უფროსი გრძნობდა. 1891 წლის 12 აგვისტოს იგი ჩობანოსა და ხაიშოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გუბერნიის მმართველობას მოახსენებდა: ჩოლოყაშვილების ტყეებში შესვლის შემთხვევაში ვშიშობ არ მოხდეს რაიმე დიდი დანაშაულიო[34].

ამრიგად, ერთიმეორის პირისპირ დადგნენ მემამულე ჩოლოყაშვილები და სოფ. ხაიშოსა და ჩობანოს გლეხები. პირველნი მოითხოვდნენ ტყეებით უფასოდ სარგებლობას, მეორენი კი პირიქით. არც ერთი მხარე არ აპირებდა უკან დახევას.

მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილებისა და „წესრიგის დამყარების" მიზნით ხელისუფლებამ მღელვარების ადგილებში სპეციალური შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. „მე იძულებული ვარ, — წერდა მაზრის უფროსი, — განსაკუთრებული რაზმი, რომელიც ამ სოფლებში (ხაიშოსა და ჩობანოში, — მ. ა.) იმყოფება სულ ბზადყოფნაში ვიყოლიო"[35].

ასეთი დაძაბულობის მიუხედავად ჩოლოყაშვილები მაინც არ ცხრებოდნენ. მათი განკარგულების თანახმად, დაიჭირეს ტყეებში გაშ-

---

[32] სსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 3018, ფურც. 7.
[33] იქვე.
[34] იქვე, ფურც. 9.
[35] იქვე.

ულბული საქონელი და დააპატიმრეს მწყემსები. ეს ბრძოლის დაწყების სიგნალი გახდა. გლეხები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი დაედევნა მემამულე აბელ ჩოლოყაშვილს, მეორე კი იმ თანამოძმეთა გასანთავისუფლებლად დაიძრა, რომელნიც მემამულის ვანკარგულებით დააპატიმრეს.

გლეხებმა სროლა აუტეხეს მემამულეს, მაგრამ იგი რაღაც სასწაულებრივად გადარჩა. აჯანყებულებმა ჩოლოყაშვილი დააპატიმრეს და გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს[36].

შექმნილი მდგომარეობით შეშინებული მემამულე იძულებული გახდა გლეხებისათვის ტყეებით უფასოდ სარგებლობის პირობა მიეცა, რის შედეგადაც იგი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს.

ტყეებიდან განთავისუფლებულმა ჩოლოყაშვილმა უმალვე უარყო თავისი დანაპირები და აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად ბაშველი ძალები გამოიძახა. იგი მაზრის უფროსს სთხოვდა: „დაუყოვნებლივ აღკვეთილიყო ძალმომრეობა, მუქარა. დაცულიყო მისი პირადი უშიშროება, აკრძალოდათ გლეხებს ტყეებით სარგებლობა"[37].

მაზრის უფროსი დამსჯელი რაზმით გაეშურა ჩოლოყაშვილის დასახმარებლად[38]. შეიარაღებული ძალების გამოჩენამ ვერ გატეხა სოფლის მშრომელთა საბრძოლო შემართება: „ჩობანოელმა გლეხებმა მამაკაცებმა და ქალებმა, — წერდა მაზრის უფროსი, — ნაჯახებით, ჯეტებით, ქვებით შეიარაღებულებმა დიდი წინააღმდეგობა გამიწიეს. ცემეს ჩაფარს, დაჭრეს ტყის მცველი". თვით მეფის მოხელეთა სიტყვებით: „შეუძლებელი იყო აღწერა იმ ამბებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 აგვისტოს"[39].

გადაწყდა, მკაცრად გასწორებოდნენ აჯანყების მოთავეებს. გაიცა განკარგულება „მთავარ დამნაშავეთა" დაპატიმრების შესახებ. მაზრის უფროსი წერდა: თუ დამნაშავენი დაუსჯელი დარჩებიან, მაშინ სხვებიც განდევნიან თავიანთ მემამულეებსო[40].

დააპატიმრეს იასე თინიბეგაშვილი, გიორგი ბარაზიკაშვილი, ანდრია ხვედელაური, ბესო უბელაური და მეტეხის ციხეში გადაგზავნეს.

გლეხობის წინააღმდეგობის გატეხვისა და დაშინების მიზნით მთავრობამ გაავრცელა ხმები, რომ სოფ. ხაიშოსა და ჩობანოს გლეხებს ყარსის მხარეში გადაასახლებენო. ამგვარმა ხმებმა, მუქარამ და აჯან-

---

[36] სსსა, ფ. 17, ანაწ. 2. საქ. 3018, ფურც. 8.
[37] იქვე ფურც. 10.
[38] იქვე
[39] იქვე
[40] იქვე, ფურც. 4.

ყების მოთავეთა დაპატიმრებამ გარკვეული შედეგი გამოიღო. გლეხების წინააღმდეგობა გატყდა. მათ დადეს პირობა, რომ მსგავს საქციელს აღარ გაიმეორებდნენ.

ტყეებისათვის ბრძოლამ თავისი გამოძახილი დასავლეთ საქართველოშიც პოვა. სერიოზულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, ბაღდათში, ხონში, (დღევანდელი წულუკიძე) და სხვა სოფლებში.

იმ მასობრივი და ხშირი გამოსვლებიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დროს, ყურადღებას იპყრობს 1880 წლის გლეხთა მღელვარება სოფ. ძეძილეთში[41]. მასში მონაწილეობდნენ როგორც დროებითვალდებული, ისე სახელმწიფო გლეხები. იგი მიმართული იყო მემამულე ლორთქიფანიძის წინააღმდეგ, რომელმაც მიიკერძოვა საერთო სარგებლობაში არსებული ტყეები და მასზე მაღალი საბაჟო განაკვეთები დააწესა. გლეხებმა ერთმანეთს შეფიცეს არავითარ შემთხვევაში არ დაეხიათ უკან და თვითნებურად შეიჭრნენ ტყეებში. პოზიციის განმტკიცების შემდეგ მათ კატეგორიულად აუკრძალეს მემამულეებს ამ ადგილებით სარგებლობა.

ძეძილეთის ამბებმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში შეშფოთება გამოიწვია. მაზრის უფროსმა ეს ამბავი დიდი მოვლენის ნიშნად მიიჩნია და ამიტომ მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტა. იგი პოლიციის ბოქაულისადმი გაგზავნილ ბრძანებაში აღნიშნავდა: „თუ გლეხები კვლავ გააგრძელებენ წინააღმდეგობას, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯეთ“[42].

კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო 1881 — 1889 წლებში გლეხთა მოძრაობამ შორაპნის მაზრაში. 1889 წელს მემამულე აბაშიძეებმა სვირში მცხოვრებ 900 კომლ დროებითვალდებულ გლეხს აუკრძალა ტყით სარგებლობა, რამაც ამ უკანასკნელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მოთმინებიდან გამოსული გლეხები ტყეებში შეიჭრნენ. იწყეს მისი გაჩეხვა. შეჯახება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. მოჰკლეს აბაშიძის ერთი მოურავი, ხოლო მეორე კი სასიკვდილოდ დაჭრეს[43].

1890 წლის მღელვარებას ადგილი ჰქონდა ლანჩხუთში. აქაური მემამულეები — ეორდანიები საკმაოდ დიდი რაოდენობის სახნავ-სათეს მიწებსა და ტყეებს ფლობდნენ. აღნიშნულის მიუხედავად მათ საგლეხო ტყეების ხელში ჩაგდებაც მოინდომეს. სასამართლოში საჩივარი აღძრეს და საქმის თავის სასარგებლოდ დამთავრება მოახერხეს.

---

[41] სსსა, ფ. 58, საქ. 309, ფურ. 1—5.

[42] ი ქ ვ ე , ფურც. 4.

[43] გაზ. „ივერია“, 1889, № 55.

ციღეს აღმასრულებელი ფურცელი, მოიყვანეს ბოქაული და ტყიდან თავისი ნაწილის მიზომვას შეუდგნენ. მთელი სოფელი აღსდგა ყორდანიების წინააღმდეგ. კეტებით შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს სოფლის კანცელარიას და სიკვდილით დაემუქრნენ როგორც მემამულეს, ასევე ბოქაულს. საქმეში მაზრის უფროსი ჩაერია, მაგრამ ამაოდ, გლეხები მტკიცედ იდგნენ თავის მოთხოვნებზე[44].

ხშირად არა მარტო გლეხები და მემამულეები უპირისპირდებოდნენ ერთიმეორეს, არამედ თვითონ თავადები და აზნაურებიც. პირველნი საკუთრებად ჩემულობდნენ მთელ ტყეს, მეორენი კი ამტკიცებდნენ: თითოეული თავადის ოჯახს იმდენი წილი აქვს ტყეში, რამდენიც თითოეული აზნაურის ოჯახსო.

გაბატონებულ კლასის შიგნით ბრძოლა სასამართლოს ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ იგი მაინც საყურადღებო მომენტად უნდა ჩაითვალოს.

ცნობილია, რომ იმ კლასობრივ ბრძოლაში, რომელსაც რეფორმის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი, მემამულეები გლეხების წინააღმდეგ სხვადასხვა მაქინაციებს მიმართავდნენ. პირველ რიგში ცდილობდნენ უკმაყოფილება ჩამოეგდოთ თვით გლეხებს შორის, დაეპირისპირებინათ ისინი ერთიმეორესათვის და ამით ხელსაყრელი პოზიციები შეექმნათ თავიანთი პოლიტიკის განსახორციელებლად. მემამულეები არიგებდნენ თავიანთ დროებითვალდებულ გლეხებს, რომ მათთან ერთად ებრძოლათ სხვა მონაწილეების წინააღმდეგ და მათი განდევნის შემდეგ საერთო მფლობელობაში დაეტოვებინათ, ან თანაბრად გაეყოთ ტყე. ამასვე ეუბნებოდნენ აზნაურები თავიანთ ნაყმევებს. ამასვე ჩასჩიჩინებდა ხაზინა და ეკლესია თავიანთ საუწყებო გლეხებს.

მემამულეებს, ხაზინას თუ ეკლესიას გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნდოდა მოკავშირედ ისევ გლეხობა გაეხადა. ამას დაპირებებით, მოტყუებით და სხვა მეთოდებით რიგ შემთხვევაში კიდეც აღწევდნენ. გლეხი კაცი, რომელიც დღეს მემამულემ მოისყიდა, ხვალ ულუკმაპუროდ რჩებოდა. გამარჯვების უზრუნველყოფის შემდეგ მემამულე მას უბაჟოდ ერთ ღერ წკნელსაც არ აჭრევინებდა.

ზემოაღნიშნულის გარდა, გლეხთა საყურადღებო მღელვარებას ჰქონდა ადგილი 1865 წელს ბაღდათში, 1869 წელს კინკნალეთში. ზეგანში, ზეკარში, აჯამეთში, ხრეისში, სიმონეთში (ქუთაისის მაზრა)[45]; 1867 წელს — ვეჯინში, საბუეში, ჩალაუბანში, ვაჩნაძიანში (თელავის

---

[44] გაზ. „ივერია", 1892, № 53.

[45] ქუთაისის სსა, ფ. 176, საქ. 264, ფურც. 2—9; საქ. 182, ფურც. 1—5.

მაზრა)[46]: 1870 წელს — ქსოვრისში, ყვავილში, გუდარეხში, გუდამაყარში, კოდ-სწყაროში, ველურში, ყინვალში, ზემობოლში, ფრეზერში, ლამისყანაში, (დუშეთის მაზრა)[47]: 1874 წელს — ქარელში, კეხიჯვარში, სანებლეში, აგარაში, ყინწვისში, სამწვერისში, წრომში, მონოლეთში, 1876 წელს ტინისხიდში, ორთევში, კავთისხევში (გორის მაზრა)[48] და სხვ. სოფლებში. გლეხთა ამ გამოსვლების ჩასაქრობად ხელისუფლებას უმეტეს შემთხვევაში შეიარაღებული რაზმების გაგზავნა დაჭირდა.

ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა მღელვარების მოთავეებს: აჭარიმებდა, აპატიმრებდა, ასახლებდა მშობლიური სოფლებიდან და ამ გზით ცდილობდა გლეხების დამორჩილებას, მაგრამ ვერავითარმა რეპრესიამ ვერ გატეხა რევოლუციურად განწყობილი გლეხობის საბრძოლო შემართება, ისინი აცხადებდნენ: თავს დავიხოცავთ და ჩვენს სარჩოს ხელიდან ვერ გავუშვებთო[49]. უფრო მეტიც, გლეხები გაბედულად მიმართავდნენ ხელისუფლებას: „თუ გინდათ თითო-თითოობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას პირიდან მაინც ვერ გამოვიღებთო"[50]. ასეთი განცხადება მათს მაღალ საბრძოლო განწყობილებასა და ბრძოლისუნარიანობაზე მიგვითითებს.

§ 2. გლეხების ბრძოლა საძოვარი ადგილებისათვის

საძოვარი ადგილებისათვის ბრძოლა აგრარული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. საძოვრებს ქართველი გლეხის მეურნეობაში ნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის. სადაც მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო. საძოვრებად იყენებდნენ როგორც მინდვრებს, ისე ტყეებს. ბატონყმობის გაუქმებამდე მებატონეებსა და გლეხებს შორის საძოვარი ადგილებით სარგებლობის საკითხს, ტყეების მსგავსად, ტრადიციულად დაძკვიდრებული ადათი განსაზღვრავდა. რეფორმის შემდეგ ნადელებში საძოვარი ადგილები არ შეუტანიათ. დებულებამ მისი სარგებლობის წესი სრულიად უცვლელი დატოვა. ეს გულისხმობდა იმას, რომ იგი

---

[46] სსსა. ფ. 57. ანაწ. 1, საქ. 884, ფურც. 4—5.

[47] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 359, ფურც. 1; საქ. 657, ფურც. 2; საქ. 1468, ფურც. 3; საქ. 1038, ფურც. 1; საქ. 2219, ფურც. 2; ფ. 48, საქ. 231, ფურც. 12.

[48] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 884; ფურც. 4—5; ფ. 48, საქ. 1434, 1772, 2174, 1179, 231.

[49] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი , თხზ. ტ., 1, 1950, გვ. 84.

[50] ი ქ ვ ე .

უნდა დამყარებოდა საადათო სამართალს. ასეთ პირობებში საჭირო იყო ამ უკანასკნელის ნორმების გარკვევა, ამაზე კი არავინ ფიქრობდა.

მაშინაც კი, როდესაც ფაქტიურად თითქმის გარკვეული იყო საძოვარი ადგილებით სარგებლობის წესები, ადგილი ჰქონდა დავა-უთანხმოებას დროებით-ვალდებულ გლეხებსა და მემამულეებს შორის. საადავო საკითხების გარჩევისას მომრიგებელ-შუამავალს უნდა ეხელმძღვანელა საადათო სამართლით, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსაკუთრებული ადათ-წესები მოქმედებდა და მათი შეუსწავლელობის გამო შეუძლებელი იყო სწორი დადგენილების გამოტანა. ჩვეულებრივ, საქმე ძლიერის სასარგებლოდ წყდებოდა.

დებულება უკრძალავდა მემამულეებს გლეხთა ინტერესების შელახვას, მაგრამ იგივე კანონი უფლებას აძლევდა მათ შეემცირებინათ საძოვრები, მოეხნათ იგი, მოეწყოთ საკუთარი მეურნეობა. ასეთი წინააღმდეგობრივი კანონის პირობებში გლეხთა ინტერესები ხშირად ილახებოდა. მემამულეები არცთუ ისე იშვიათად ხნავდნენ საძოვრებს, რაც ძირს უთხრიდა გლეხების მეურნეობას. ნორმალურ პირობებში კი შეზღუდული იყო გლეხების მიერ საძოვრებით სარგებლობის სფერო. მათ არ ჰქონდათ საძოვრებზე ფარეხის მოწყობის უფლება, უამისოდ კი მომთაბარე მეცხოველეობის განვითარება შეუძლებელი ხდებოდა.

თუ რეფორმამდე საძოვარი ადგილები საერთო იყო, რეფორმის შემდეგ მემამულეებმა გლეხებს აუკრძალეს მისი გამოყენება, შემოფარგლეს ივი და მასზე მაღალი ბაჟები დააწესეს. 1871 წლის 9 ივნისს ზუგდიდის სასოფლო საზოგადოების მიერ მეფისნაცვლის სახელზე შედგენილ საჩივარში ვკითხულობთ: „თუ საწესდებო სიგელების შედგენამდე გვყავდა საქონელი, ვაძოვებდით და ამისათვის არაფერს არ ვიხდიდით... ეხლა კი მინგრელსკი საძოვარი და საფარეხე ადგილებისათვის თხოულობს გადასახადებს, რაც გვიჭირს“[51].

მემამულეები სარგებლობდნენ რა საძოვრების საკუთრებით, აიძულებდნენ გლეხებს ამ ადგილებით სარგებლობის საფასურში მემამულის კარზე სხვადასხვა სამუშაო შეესრულებიათ[52].

საძოვრებით სარგებლობის საერთო წესების უქონლობა დიდ არევ-დარევას იწვევდა. კანონის ამ არსებითი ნაკლის უშუალო შედეგი იყო შეტაკებანი გლეხებსა და მემამულეებს შორის, გაუთავებელი დავა-საჩივრები, ერთი სიტყვით, იგი ხშირად კლასობრივი ბრძოლის საფუძველს წარმოადგენდა.

---

[51] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 124, ფურც. 5.

[52] გაზ. „დროება“, 1883, № 158.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საძოვრებით სარგებლობის წესების შემუშავების საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ხელისუფლებას აინტერესებდა გაეგო რამდენად მოსახერხებელი იყო საძოვრების ნორმების განსაზღვრა, რომელიც დროებითვალდებულ გლეხებს უნდა ბიეღოთ და რა თანხა უნდა გადაეხადათ მათ ამისათვის.

1868 წლის აპრილში კავკასიის მეფისნაცვალი თბილისის გუბერნატორს სწერდა შეესწავლა გუბერნიაში საძოვრების საკითხი და თავისი მოსაზრება მოეხსენებინა მისთვის. გუბერნატორი კი საგლეხო საქმეების საკრებულოს წევრებს და მაზრის მომრიგებელ-შუამავლებს სთხოვდა მიეწოდებინათ ცნობები აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

საკრებულოს წევრთა დიდმა ნაწილმა: გურამიშვილმა, ლიუბომირსკიმ, პანჩენკომ, აკიმოვმა, აგრეთვე გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთისა და სხვა ძაზრების მომრიგებელ-შუამავლებმა თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინეს გუბერნატორს. აღსანიშნავია, რომ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი.

მამაცაშვილი, ლიუბომირსკი, პანჩენკო და სხვები მოითხოვდნენ, რომ მემამულეებისა და გლეხების მიწების გამიჯვნამდე საძოვრები საერთო სარგებლობაში დატოვებულიყო. ეს საძოვრებითა და საფარეხე ადგილებით ძველებური წესის მიხედვით სარგებლობას ნიშნავდა.

მამაცაშვილის აზრით, თუ მემამულე მიწების გამიჯვნას და საძოვრების გამოყოფას მოისურვებდა, მას ეს საკითხი მომრიგებელ-შუამავალთან უნდა გადაეწყვიტა, ხოლო მათი ფაქტიური გამოყოფა სახნავ-სათესი მიწების გამიჯვნის დროს უნდა მომხდარიყო. მომრიგებელ-შუამავალი ვალდებული იყო მიწისმზომელის და გლეხების მხრივ გამოყოფილი კეთილსინდისიერი მოწმის თანდასწრებით დაეთვალიერებინა საძოვრები, გაეყო იგი მემამულეებსა და გლეხებს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, დაეწესებინა სათანადო გადასახადები და შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა საგლეხო საქმეების საკრებულოსათვის.

რაც შეეხება ლიუბომირსკის, იგი აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ სინათლე იქნეს შეტანილი საძოვრებით სარგებლობის საკითხში და თავიდან ავიცილოთ ის დიდი გაუგებრობანი, რომლის საფუძველზედაც ხშირად წარმოებს მწვავე ბრძოლები, პირველ რიგში საჭიროა დავადგინოთ რა იგულისხმება საძოვარი ადგილების გაგების ქვეშ“[53]. მისი აზრით, საძოვრებად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საკარმიდამო ნაკვეთის ირგვლივ მდებარე ბილიკები. საძოვარ ადგილებად უნდა ჩა-

---

[53] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 369, ფურც. 15.

თელილიყო ის თავისუფალი მასივები, რომელზედაც გაშვებული იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამით ლიუბომირსკი გუბერნიის მმართველობის აზრს გამოხატავდა. იგი მემამულეებსა და გლეხებს შორის საძოვრების გადანაწილების წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ მოითხოვდა გადასახადების გაწერის დროს მთავარი ყურადღება მიქცეოდა იმას თუ რამდენად იყო დაცილებული საძოვრები საცხოვრებელი ადგილიდან.

ლიუბომირსკი გლეხისათვის მისაცემი საძოვარი ადგილის ნორმად 500-დან 1000-მდე კვ. საჟ. მიიჩნევდა[54].

გურამიშვილისა და მის თანამოაზრეთა განცხადებით კი, გუბერნიაში მამულების არსებული დაქსაქსულობის პირობებში წინა პლანზე მიწების გადაზომვა-გადამიჯვნა უნდა წამოწეულიყო, ხოლო შემდეგ კი საძოვრებით სარგებლობის საკითხი. მათი წინადადებით დროებითვალდებულ გლეხს ამ ადგილებით სარგებლობისათვის გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. გურამიშვილის მომხრენი ვახტანგ VI-ის კანონებს ეყრდნობოდნენ და იმოწმებდნენ „დასტურლამალს", რომელშიც ნათქვამია „საფარეხე ადგილებისათვის დიდი სოფელი იხდის (სანახიროს) ხარს, საშუალო მოზვერს, ხოლო პატარა სოფელი კი ცხვარს. გარდა ამისა თითოეული კომლი ვალდებულია ყოველწლიურად, ან ორ წელიწადში ერთხელ გადაიხადოს ორი შაური, ე. ი. 10 კაპ."[55].

საკრებულოს წევრთა ეს ჯგუფი მომხრე იყო, რომ გლეხებს ცალკე გამოყოფოდა საძოვრები. ისინი საძოვრად ნადელში მიღებული სახნავ-სათესი ფართობის $^1/_3$-დან $^1/_5$-ი ნაწილის მიცემას მოითხოვდნენ[56].

იყო სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც ხშირად საქართველოს ამა თუ იმ კუთხის თავისებურებებიდან გამომდინარეობდნენ. თელავისა და სიღნაღის მაზრების მომრიგებელ-შუამავლები მოითხოვდნენ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. დუშეთის, თბილისის, გორის მაზრის წარმომადგენლები საძოვრების ნადელებში შეტანის, მისი საბატონო და საგლეხო ნაწილებად დაყოფის წინააღმდეგი იყვნენ, რადგანაც დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავლის სამართლიანი მითითების თანახმად ძნელი იქნებოდა საძოვრების საზღვრების დაცვა. ხშირად გლეხების საქონელი სხვის მამულებში გადავიდოდა, რაც მემამულეებსა და გლეხებს შორის გაუთავებელ დავასა და შეჯახებებს გამოიწვევდა. მას გლეხების საქონლისათვის ცალკე საძოვრების გამოყოფა შეუძლებლად მიაჩნდა, ამიტომ იგი მოითხოვდა ეს ნაკვეთები ტრადი-

---

[54] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 369, ფურც. 15.

[55] ი ქ ე ე.

[56] ი ქ ე ე.

ციის მიხედვით საერთო სარგებლობაში დარჩენილიყო. ამ აზრს იზიარებდა თბილისის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი და მოხსენებით ბარათში წერდა: „საფარეხე ადგილები და საძოვრები ყოველგვარი ცვლილებების გარეშე უნდა დარჩეს საერთო სარგებლობაში, როგორც დღემდე იყო“[57].

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სულ სხვა მოსაზრებას გამოთქვამდა გორის მაზრის მომრიგებელი-შუამავალი. იმის გამო, რომ მაზრაში საძოვრებისათვის ცალკე ადგილები გამოყოფილი არ იყო, მას საძოვრების ფართობის განსაზღვრა შეუძლებლად მიაჩნდა და გადასახადების ზუსტად დადგენას მოითხოვდა, რათა ბატონყმობის დროს საძოვრებისათვის ნატურის სახით დაწესებული გადასახადები გლეხს ამიერიდან ფულის სახით გადაეხადა.

იმ სოფლებში, სადაც საძოვრები ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული, გლეხებს უფლება ჰქონდათ მემამულეების საქონელთან ერთად თავიანთიც ეძოვებინათ, ხოლო თუ სოფლის სახნავი და საძოვარი მიწები მემამულეებს და გლეხებს შორის გაყოფილი იყო, მაშინ საძოვრებში ამ უკანასკნელთა საქონლის შეშვება შეთანხმების გარეშე აკრძალულად უნდა გამოცხადებულიყო. გლეხებს უფლება ჰქონდათ საერთო საძოვრებზე სხვა სოფლის პირუტყვი ეძოვებინათ იმ პირობით თუ ისინი სპეციალურ გადასახადებს გადაიხდიდნენ, რომელიც წელიწადში ორჯერ — 15 ოქტომბრისა და 15 მაისისათვის უნდა აკრეფილიყო.

თავის მხრივ, თბილისის გუბერნატორი მხარს უჭერდა საძოვრების გადანაწილებას და მათზე გადასახადების დაწესებას. იგი მოითხოვდა: დროებითვალდებული გლეხი, თუ ნადელში მიიღებდა იმდენ მიწას, რამდენიც საკარმიდამოსთან ერთად თითოეულ კომლზე 1800 კვ. საჟ. შეადგენდა, მაშინ მას უარი უნდა ეთქვა საერთო საძოვრებით სარგებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიწა აღნიშნულ ნორმაზე ნაკლები იქნებოდა, მემამულე ვალდებული იყო საძოვრების ანგარიშში გლეხებისათვის ნადელის ერთი მეხუთედი სარწყავი და ერთი მესამედი ურწყავი მიწის ნაკვეთი მიეცა.

საძოვრებით სარგებლობის საკითხი საკამათო გახდა დასავლეთ საქართველოშიც. თავიანთი მოსაზრებანი წარმოადგინეს ამ მხარის მომრიგებელ-შუამავლებმა, რის საფუძველზეც უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის გამო ქუთაისის გუბერნატორმა გლეხებისაგან მოითხოვა ამ ადგილებით სარგებლობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში

---

[57] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 369, ფურც. 15.

გადაეხადათ გადასახადი, თუ სხვის საქონელს აძოვებდნენ[58]. ამით გუბერნატორს სურდა მცირეოდენი დათმობით თავიდან აეცილებინა გლეხთა მღელვარება.

1870 წელს საძოვრებით სარგებლობის საკითხით დაინტერესდა კავკასიის კომიტეტი, რაც მხოლოდ მომრიგებელ-შუამავლების, გუბერნატორებისა და საგლეხო საკრებულოს წევრთა მოსაზრებების შეგროვებით ამოიწურა. იმავე წელს სცადეს საერთო კანონის შემუშავება, მაგრამ ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია. ეს არც გასაკვირია, რაღგანაც „აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გუბერნიის საკრებულოს წევრებს შორის ადგილი ჰქონდა უთანხმოებას, თითოეული მათგანი მტკიცედ იდგა თავის მოსაზრებაზე"[59].

საძოვრებით სარგებლობის საკითხის გადაჭრა თანდათანობით უფრო რთული შეიქმნა. 1882 წელს მთავრობამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც საგლეხო საქმეთა საკრებულოებს დაევალათ დაეცვათ გლეხები მემამულეთა ძალმომრეობისაგან[60]. ეს იყო ფორმალური დადგენილება. ფაქტიურად გლეხების ინტერესებს არავინ არ იცავდა, პირიქით, მაშინ, როდესაც ხელისუფლების ორგანოები წესების ირგვლივ კამათობდნენ — მემამულეებმა საძოვრები მიითვისეს და მათზე მაღალი ბაქები დააწესეს. საბალახო იჯარის გადასახადს ჩვეულებრივ პირუტყვის რაოდენობიდან ანგარიშობდნენ და არა საძოვრის ფართობის მიხედვით.

1860 — 1870 წლებში „საბალახო გადასახდელს" თითქმის მთლიანად ნატურით იხდიდნენ. 1870-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც მასობრივად დაიწყო ფულად გადასახადებზე გადასვლა, ზაფხულის (იალაღზე) საძოვრებზე იჯარის ქირა მსხვილფეხა პირუტყვზე 5 კაპიკიდან სამ აბაზამდე გაიზარდა, ხოლო ზამთრის საძოვრებზე — 2 კაპიკიდან 1 აბაზამდე. ყველაზე მაღალ გადასახადს სიღნაღის მაზრის გლეხები იხდიდნენ, აქ ერთი სული მსხვილფეხა საქონლის შენახვა 1—2 მან. ჯდებოდა.

საძოვრების ხელში ჩაგდებით მემამულეებმა გლეხები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს. ამას თვითონ თბილისის გუბერნატორიც კი ვერ მალავდა და 1875 წელს, თავის მოხსენებით ბარათში წერდა „მემამულეებთან მუდმივი შეჯახება და უზარმაზარი ჯარიმები, რასაც გლეხებს ახდევინებდნენ მემამულის კუთვნილ საძოვრებზე პირუტყვის შემთხვევით გადასვლის გამო, აიძულებდა მათ იჯარით აეღოთ ეს ად-

---

58 სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 879, ფურც. 50.

59 С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тб, 1922, стр. 218.

60 იქვე, გვ. 218—221.

გილები"[61]. მართალია, ზოგჯერ გლეხები, სადაც ამის შესაძლებლობა ჰქონდათ, იჯარით იღებდნენ საძოვრებს, მაგრამ პირობები იმდენად აუტანელი იყო, რომ ისინი ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ.

საძოვრებზე დაწესებული გადასახადები ყოველწლიურად იზრდებოდა. გლეხები უჩიოდნენ მემამულეებს ორმაგი, სამმაგი ფასის გადახდევინების გამო. ს. მაჩაბლის გადმოცემით „გორის მაზრაში ზოგიერთმა სოფელმა საბალახოებისათვის გადასახადის შეუჩერებელი მატების შედეგად ერთხანობით უარი თქვა კიდევაც ამ საბალახოთი სარგებლობაზე"[62]. იმ გარემოებამ, რომ დებულებაში საძოვრების გადასახადი განსაზღვრული არ იყო, მრავალი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ნიადაგზე არა მარტო საჩივრებს, არამედ ხშირად შეიარაღებულ ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი.

გორის მაზრის მთის ზონაში რეფორმის პირველ დღიდანვე სადავო გახდა გლეხებისათვის გამოსაყოფი საძოვრების ფართობის დადგენა. მემამულეები ცდილობდნენ თავიანთ ნაყმევებისათვის რაც შეიძლება მცირე და უვარგისი ადგილები გამოეყოთ.

დიდი დავის შემდეგ მთის ზონის 26 სოფელში მცხოვრებმა 277 დროებითვალდებულმა გლეხურმა კომლმა 616 დესეტინა, ე. ი. კომლზე 2.23 დესეტინა საძოვარი მიიღო. გორის მაზრის 35 სოფელში დიდი გაჭირვებით მოხერხდა მემამულეებსა და გლეხებს შორის შეთანხმება, აქ მცხოვრებ 470 კომლს, 1333 დესეტინა ანუ საშუალოდ კომლზე 2,83 დესეტინა საძოვარი ხვდა წილად.

მაჩაბლები, ციციშვილები, ერისთავები, ფალავანდიშვილები და სხვები მოითხოვდნენ გადასახადები საძოვრებზე მიწის ხარისხის მიხედვით დაეწესებინათ. თითოეულ კომლს ევალებოდა 50 კაპიკიდან — 4 მანეთამდე გადაეხადა.

ამრიგად, მთის ზონის გლეხებს შორის საძოვრები სხვადასხვა მოცულობით განაწილდა და მათზე გაწერილი გადასახადებიც შესაბამისად განისაზღვრა.

მართალია, ოსეთის უბნის ზოგიერთ სოფლებში მემამულეებსა და გლეხებს შორის შეთანხმება მოხერხდა, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი ისინი არ ემორჩილებოდნენ მებატონეებს, არ იხდიდნენ გადასახადებს და სხვ.

საძოვრებით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადებზე უარი განაცხადეს: სოფ. ქურთის, წირქვალის, ყანჩავეთის, ბოლის, იკოთის,

---

[61] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1638, ფურც. 13.

[62] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян за 1885—1887 гг. т. VI, ч. I, стр. 198.

ბეჟანიანთკარის. ახმაჯის, ოძისის[63] (1866 წ.), საბის (1878 წ.), ორჩონის (1880 წ.)[64], ახალქალაქის (გორის მაზრა)[65] და სხვ. სოფლის გლეხებმა.

საძოვრებისათვის ბრძოლა განსაკუთრებული სიმწვავით გაიშალა მეცხოველეობის რაიონებში. გლეხები უბრძოლველად არ თმობდნენ არც ერთ მტკაველ მიწას.

კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო საძოვრებში პირუტყვის უნებართვოდ შერეკვა. 1867 წლის 10 მაისს დუშეთის მაზრიდან მემამულე ქუმსიაშვილი ჩიოდა: „გლეხები შეთანხმების გარეშე უშვებენ პირუტყვს ჩემს კუთვნილ საძოვრებზე, რითაც დიდ ზარალს მაყენებენ"[66].

1872 წლის 18 ოქტომბერს გლეხთა მოძრაობით დაშინებული მემამულეები დუშეთის მაზრიდან იწერებოდნენ: „მიუხედავად სპეციალური დადგენილებისა ჩვენს საკუთრებაში არსებული საძოვარი ადგილებით გლეხების მიერ თვითნებურად სარგებლობის კატეგორიულად აკრძალვისა, ისინი მაინც იჭრებიან წინადუშეთის მამულებში, ერეკებიან საქონელს და აძოვებენ მას"[67], ხოლო კობიანთკარიდან კი კობიაშვილები გლეხებს უჩიოდნენ, რომ „ისინი (გლეხები, — **მ. ა.**) ჩვენი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, მიუხედავად არაერთხელ აკრძალვისა, მაინც აძოვებენ საქონელს სოფ. მლაშეს საძოვრებზე, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის"[68].

გლეხთა იმ გამოსვლებიდან, რომლებსაც ამ დროს ჰქონდა ადგილი დუშეთის მაზრაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1871 წელს მუხრან ბატონის გლეხების ბრძოლა[69].

გლეხებს ჭალისთავის საძოვრები თავისად მიაჩნდათ, მემამულეებს კი პირიქით; მათ გლეხებს სასტიკად აუკრძალეს ამ საძოვრებით განსაკუთრებული გამოსაღების გადახდის გარეშე სარგებლობის უფლება.

1869 წლის 17 ოქტომბერს საქმე განიხილა დუშეთის მოსამართლემ და იგი მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს გადაწყვეტილებას გლეხები არ დაეთანხმნენ და თვითნებურად შერეკეს პირუტყვი საძოვრებში. საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. მემამულეებისა და მოხელეთა ცდა გაერეკათ გლეხები საძოვრებიდან,

---

[63] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 100—205.
[64] ი ქ ვ ე , ფურც. 205.
[65] ი ქ ვ ე , ფურც. 1.
[66] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 571, ფურც. 5.
[67] ი ქ ვ ე, ანაწ. 3, საქ. 4577, ფურც. 1.
[68] ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. 1071. ფურც. 1.
[69] ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. 1613, ფურც. 42—49.

უშედეგოდ დამთავრდა. როცა სხვა ვერაფერს გახდნენ, მემამულეებმა დაიჭირეს გლეხების პირუტყვი და მეთვალყურე მიუჩინეს. ამან კიდევ უფრო აღაშფოთა გლეხობა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ პირუტყვის დაბრუნებას, მაგრამ ამ ცდამაც შედეგი ვერ გამოიღო. გლეხებმა გადაწყვიტეს ძალისათვის მიემართათ, შეშინებული მუხრან ბატონი გაიქცა. გლეხობა უკან დაედევნა. ბეწვზე გადარჩენილი მემამულე სადღაც მიიმალა. აღშფოთებული გლეხების რისხვა მუხრან ბატონის მოურავს დაატყდა თავს. იგი გლეხებმა შეიპყრეს და კეტებით სცემეს, განდევნეს მეთვალყურენი და პირუტყვი კვლავ საბალახოში შერეკეს. ამ მღელვარებაში მონაწილეობას ღებულობდა მუხრან ბატონის ყველა დროებითვალდებული გლეხი.

გლეხების ამ გამოსვლას თან მოჰყვა რეპრესიები. მღელვარების ბოთავეები — ლუკა კარიაული, ხუტა მჭედლიშვილი, ივანე კონცოლაშვილი შეიპყრეს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს[70].

აღნიშნულის გარდა, დუშეთის მაზრაში საძოვრების თაობაზე გლეხთა საყურადღებო მღელვარებებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე გრემისხევში[71], ახატანში[72], სიონში, წინადუშეთში, ზემო ბოლში, წილკანში[73] და ა. შ.

მართალია, მემამულეებსა და გლეხებს შორის წარმოშობილი უთანხმოება ფართო მასშტაბის გამოსვლებში არ გადაზრდილა, მაგრამ ნან მაინც გარკვეული გავლენა მოახდინა საერთო ვითარებაზე, კერძოდ, მოამზადა ნიადაგი ახალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მწვავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი საძოვრებისათვის სიღნაღის და თელავის მაზრებში. აქაც, ისე როგორც დუშეთისა და გორის მაზრებში, საძოვრებს გლეხურ მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც მებაღეობა-მევენახეობასთან ერთად ამ მაზრების მოსახლეობა მეცხოველეობასაც მისდევდა. მტრულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები და მათი დროებითვალდებული გლეხები. მემამულეებმა მიიჩემეს საერთო სარგებლობაში არსებული საძოვრები, გლეხები კი მას არ თმობდნენ. ბრძოლა საძოვრებისათვის ათეული წლობით გაგრძელდა. გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე გადაიხრებოდა ხოლმე.

1867 წელს სოფელ ვეჯინში (სიღნაღის მაზრა) გლეხებსა და მემამულე ანდრონიკაშვილს შორის დაწყებული ბრძოლა საძოვარი ად-

---

[70] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 1693, ფურც. 42—49.

[71] ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. 38, ფურც. 1—2.

[72] ი ქ ვ ე, საქ. 442, ფურც. 1.

[73] ი ქ ვ ე, საქ. 369, ფურც. 1—2.

გილებისათვის 80-იან წლებშიც გაგრძელდა. 1867 წელს ალაზანგაღმა-ღლეხთა ბრძოლას ერთგვარი შედეგი მოჰყვა — მემამულეებმა რო-გორც ტყეებზე, ისე საძოვრებზე გადასახადები შეამცირეს, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა. 70-იანი წლების დასაწყისიდან მემამულეები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ. ამჯერად მათ სავსებით აუკრძალეს გლე-ხებს საძოვრებით სარგებლობის უფლება[74].

1883 წ. 9 ივნისს სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავალი თბილი-სის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სწერდა; „მემამულეს არ სურს გლეხების საქონელმა უფასოდ ძოვოს საძოვრებზე, ხოლო გლე-ხებს კი არ სურთ გადასახადის გადახდა, ისინი საქონელს სხვა მემა-მულეთა მინდვრებში ერეკებიან, რის გამოც, ხშირად ეს უკანასკნელ-ნი აკავებენ გლეხების საქონელს და არ უბრუნებენ სანამ ჯარიმას არ გადაიხდიან და ზარალს არ აუნაზღაურებენ“[75].

საძოვრებისათვის ბრძოლამ ასევე მასობრივი ხასიათი მიიღო და-სავლეთ საქართველოში. აქაც, ისე როგორც თბილისის გუბერნიაში, იშვიათი როდი იყო შეიარაღებული ბრძოლის შემთხვევები.

1871 წლის 22 ოქტომბერს სოფელ მარანიდან (ქუთაისის მაზრა) დროებითვალდებულ გლეხთა 60 კომლის სახელით ნიკოლოზ ვაჩეიშვი-ლი და ათანასე კვირკველია წერდნენ: „ჩვენ, მარნის საზოგადოების მცხოვრებნი გლეხნი ვართ შევიწროებული, აზნაურნი ნანეიშვილები არ გვიშვებენ პირუტყვის საძოვრად და მის გამო გვეხოცება შიმშილით პირუტყვი ჩვენი და ვართ დიდ ზარალსა და შრომას მათ-მიერ უდიერი მოქმედებით“[76]. ასეთივე შინაარსისა იყო შორაპნის, რაჭის, ზუგდიდისა და სხვა მაზრის გლეხთა თხოვნები.

1875 წლის 7 ივლისს სოფელ გუბში (ქუთაისის მაზრა) მემამულე-ებსა და გლეხებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ქუთაისის და-სავლეთით სოფელ მაღლაკის მცხოვრებნი უმეტესად გლეხები იყვნენ, იშვიათად აზნაურებიც. თავადები ხედავდნენ, რომ გლეხებს სოფლის მახლობლად მდებარე საძოვრების გარეშე ცხოვრება არ შეეძლოთ. ყოვე-ლი გლეხი თითოეულ პირუტყვზე წელიწადში ექვსიდან ათ შაურამდე იხდიდა. გლეხებმა შემთხვევით იპოვეს ძველი დროის საბუთი, რო-შელშიც აღნიშნული იყო, რომ ეს საძოვრები გლეხებს ეკუთვნოდათ. ამიტომ მათ ამ ადგილებით სარგებლობა დაიწყეს. შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი, მემამულეები გლეხებს მისცვივდნენ და ჩხუბი აუტეხეს. მალე მემამულეებსა და გლეხებს შორის თავი იჩინა დავამ. „თუ სასა-

---

[74] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 430, ფურც. 1—3.

[75] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 103, ფურც. 4—5.

[76] ი ქ ვ ე

მართლომ ეს ადგილები გლეხებს არ დაარჩინა, — წერდა „დროება“,— გლეხები სწორედ იძულებული იქნებიან, რომ ამ სოფლიდან აიყარონ და სადმე სხვაგან დასახლდნენ, რადგან პირუტყვს კარზედ ვერ გამოუშვებენ და გამოჯავრებული თავადები ადრინდელ გადასახადებს არ დასჯერდებიან“[77].

1879 წლის აგვისტოში გლეხთა მღელვარებამ იფეთქა აგრეთვე სოფელ ძიმითში (ოზურგეთის მაზრა). მოსახლეობა აღსდგა მემამულე გუგუნავების წინააღმდეგ. გუგუნავებმა გლეხებს წაართვეს საძოვრები, აუკრძალეს იქ პირუტყვის გაშვება და მაღალი ბაჟები დააწესეს; მდგომარეობა დაიძაბა. გლეხებმა უარი განაცხადეს ყოველგვარ ბაჟებზე და ძალით შეიჭრნენ მემამულის მიერ დაკავებულ მიწებზე. მემამულეთა თავნებობა იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ თვით მმართველობის ორგანოებიც კი იძულებული შეიქმნენ მიეთითებინათ მათთვის.

ამრიგად, მართალია, რეფორმის შემდეგ საძოვრებით სარგებლობის საკითხის მოგვარება ადათ-ტრადიციის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მომხდარა, ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც რეფორმამდე იყო. მემამულეებმა ხელთ იგდეს საძოვრები და მათზე მაღალი ბაჟები დააწესეს, რამაც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მართალია, მთავრობის ორგანოებმა ერთგვარი ინტერესი გამოიჩინეს საძოვრების საკითხების მოგვარებისადმი, მაგრამ მათ მიერ შემუშავებული კანონპროექტი აშკარად ტენდენციური იყო და მემამულეთა ინტერესებს იცავდა. იგი არამცთუ ხელს უწყობდა სოფლად აგრარული წინააღმდეგობის მოსპობას, არამედ კიდევ უფრო ამწვავებდა მას. საძოვრების საკითხი XIX საუკუნის 60 — 90-იან წლებში აგრარული ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო. გლეხები კატეგორიულად მოითხოვდნენ საძოვრებით უფასოდ სარგებლობას და ამ უფლების მოპოვებისათვის შეიარაღებულ ბრძოლებსაც კი არ ერიდებოდნენ.

§ 3. ბრძოლა ადგილ-მამულის გამიჯვნის გარშემო

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოში ადგილ-მამულების დიდი ნაწილი გაუმიჯნავი იყო[78]. მემამულეთა მიწებს სხვა უწყებათა მიწებისაგან რაიმე განმასხვავებელი ნიშნები არ გააჩნდათ,

---

[77] გაზ. „დროება“, 1875, № 1.

[78] ვ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. 11, 1956, გვ. 520—538.

ერთმანეთში იყენენ გაითქვეფილი საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო გლეხები, ადგილი ჰქონდა მიწების დიდ დაქსაქსულობას. იმდენად დაუდგენელი იყო საბატონო და საგლეხო მამულების საზღვრები, რომ ზოგჯერ გაურკვეველი რჩებოდა თვით თავად-აზნაურთა მიწების ფარგლებიც კი. ეს გარემოება ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ მიწები მემამულეთა საგვარეულო მფლობელობაში იმყოფებოდა[79].

ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს სწორედ მამულების გაუმიჯნაობა წარმოადგენდა. მიწის მფლობელი დაინტერესებული არ იყო მამულში რაიმე სიახლის შეტანით, რადგანაც მან არ იცოდა საბოლოოდ ვის დარჩებოდა მოსავალი.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამულების გამიჯვნას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, ეს კარგად ესმოდათ მეფის მოხელეებსაც. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხებით დაინტერესებული სტარიცკი და ბარანოვსკი ჯერ კიდევ 1859 წელს მეფისნაცვალს ბარიატინსკის სწერდნენ მამულების გაუმიჯნაობის უარყოფით გავლენის შესახებ, რომელსაც იგი ქვეყნის განვითარებაზე ახდენდა. ისინი შენიშნავდნენ, რომ საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული დაბნეულობის გამო; „მიწათმფლობელებს ვერ გადაუწყვეტიათ გასწიონ რაიმე განსაკუთრებული შრომა და ვერც კაპიტალს აბანდებენ... რის გამოც მამულები პირველყოფილ მდგომარეობაში რჩება“[80]. იგივე აზრია გამოთქმული 70-იან წლებში შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში. მასში ვკითხულობთ: „მიწების გაუმიჯნაობა, მასზე საკუთრების უფლების გაურკვევლობა, ეჭვი და ურწმუნობა მიწის მფლობელობაზე, შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზია. საჭიროა მამულის მეპატრონე დარწმუნებული იყოს თავის უფლებებში. მიწა მოითხოვს ხანგრძლივ შრომას, რწმენას საკუთრების უფლებაში, მაშინ შრომის ნაყოფიერებაც ამაღლდება“[81]. ამავე საბუთის მეორე ადგილას კი, სადაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე, ნათქვამია: „მიზეზი, რომელიც ძირითადად ხელს უშლის გუბერნიის კლიმატური პირობების შესაფერისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მის წინსვლას, მიწების გაუმიჯნობაა“[82].

---

[79] З. Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века. 1966. стр. 10—21.

[80] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Т.XII. стр. 44—48; იხ. აგრეთვე გაზ. „კავკაზი“, 1848 წ. № 2.

[81] ЦГИАЛ, ф. 1263, алф. I, оп. 80, дел. 4586, л. 188.

[82] იქვე

საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული გაურკვეველობის დამღუპველ გავლენაზე მიუთითებდა საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილიც. დ. ყიფიანი 1848 წელს აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ მემამულეს შეეძლოს მეწარმეობის ახალი დარგების დანერგვა, ან ძველის გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკუთრების საზღვრების გარკვევა“[83].

მამულთა გაუმიჯნაობის უარყოფით გავლენაზე წერდა ი. ჭავჭავაძე. მას მიაჩნდა, რომ საზღვრების უცოდინარობა იწვევს მიწების დაკარგვის შიშს და ამიტომ არავის არ მიუწევს გული მის გაუმჯობესებაზე. „ხანდისხან ზოგიერთ მემამულეთა მამულის კეთებისათვის გული არ შესტკივათ, — წერდა ილია, — რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ გაუკეთებელ მამულს უფრო ცოტა მოდავე ეტანება, გაკეთებულს კი გამოუტყვრებოდა ერთი ღონიერი ვინმე, ან ფულით, ან წოდებით და თვითონაც ყმად დაისახლებდა, არამცთუ მამულს გაიტანდა“[84].

მამულის გამიჯვნის საკითხზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. მათში გამოთქმულია გულისტკივილი და დასმულია საკითხი მისი მოგვარების შესახებ. „მამულის პატრონებს სრულებით ხალისი არა აქვთ, რომ რიგიანად მოუარონ, შეიმუშაონ, და გაანოყიერონ ის მამულები, რომელსაც, მართალია, დღეს ფლობენ, მაგრამ რომელიც ხვალ შეიძლება სხვა რომელიმე მოდავემ ჩამოართვას და დაისაკუთროს, — ვკითხულობთ „დროებაში“, — ეს მდგომარეობა არის, ვიმეორებ სხვათაშორის მიზეზი, ჩვენის მეურნეობის დაცემისა, ჩვენი საუკეთესო სახნავსათესი ადგილების გავერანებისა და უყურადღებოდ დაგდებისა“[85].

მამულების გაუმიჯნაობა, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს უშლიდა და აფერხებდა რეფორმის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას. „საწესდებო სიგელების შედგენის ნელი ტემპი, — წერდა თბილისის გუბერნატორი, — აიხსნება გაუმიჯნავი მამულების დიდი რაოდენობით“[86].

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოთხოვნილება მიწაზე მკვეთრად გაიზარდა, მასობრივად დაიწყო მიწების მიჩემება, ძალმომრეობით დასაკუთრება. მემამულეები ცდილობდნენ სახაზინო ანდა მათი გლეხების კუთვნილი მამულების მისაკუთრებას. მათ ეს შეძლეს კიდეც. საადგილმამულო დავა იმდენად გამწვავდა, რომ

---

[83] გაზ. „კავკაზი“, 1848 წ. № 2.
[84] ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 2.
[85] „დროება“, 1877, № 29.
[86] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 5.

საქმე ხშირად შეტაკებამდე მიდიოდა. „მიწაზე უფლებების გაურკვევლობა, — წერდა კავკასიის მეფისნაცვალი, — ითვლება დავა-საჩივრების, თვითნებობის, მიწების ძალად მითვისების წყაროდ, რომელსაც თან ახლავს მოსახლეობისათვის როგორც დროის, ისე ფულის დანაკარგები. იგი ხშირად თავდება მოდავე მხარეების ურთიერთშეჯახებით, დაჭრით და მკვლელობით“[87].

XIX საუკუნის 60 — 70-იან წლებში ადგილ-მამულების დიდი ნაწილი სადავო შეიქმნა. „მთელ საქართველოში ოცი მამული არ იპოვება, — აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, — რომ მოდავე არ ჰყავდეს, სრულიად უდავო იყოს“. მისი გადმოცემით მამულების გაუმიჯნელობის გამო დავამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ერთიმეორის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ არა მარტო მემამულეები და გლეხები, არამედ ძმა ძმის მტერიც გახდა და ბიძაშვილი ბიძაშვილისა[88]. ამავეს აღნიშნავს ივ. მაჩაბელიც. იგი წერდა: „არ იქნა და არ მოეღო ბოლო ჩვენში მიწა-წყლის საქმეს... ისე კვირა როგორ გავა, რომ სახლიკაცი სახლიკაცს, სოფელი სოფელს, მებატონეები გლეხებს და ბევრჯერ თოფიარაღით ერთმანეთს არ დაერივნენო, თავპირი არ დაჩეხონ და კიღევ არ მოჰკლან რამდენიმე კაცი“[89]. ამასვე ადასტურებს სხვა მასალებიც[90].

სამართლის ძიება და სადავო მიწებზე თავისი უფლებების აღდგენა ძვირად დაუჯდა გლეხობას. მოუქნელად და ტენდენციურად მოქმედებდნენ სასამართლოს ორგანოები: „პაპის დაწყებულ საქმეს შვილიშვილის დროს გადაწყვეტდნენ ხოლმე“. დაიკარგა სამართლისადმი ნდობა.

ხელისუფლებას აშინებდა ეს გარემოება. ამიტომ იგი სიტყვით აღიარებდა მამულების გამიჯვნის მნიშვნელობას, პრაქტიკულად კი თითქმის სრულ უმოქმედობას იჩენდა.

სულ სხვა პოზიციაზე იდგა საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, იგი მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა საადგილმამულო საზღვრების გაურკვევლობას, ხელი მოეკიდათ მამულების გადამიჯვნისათვის. მას მიჯნების დადგენა სოფლად აგრარული ბრძოლის შენელებისა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად მიაჩნდა.

---

[87] ЦГИАЛ, ф. 1263, алф. 1, дело 4586, л. 199.

[88] ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 2.

[89] გაზ. „დროება“, 1883,

[90] გაზ. „კავკაზი“, 1848, № 2; იხ. აგრეთვე И. Клинген, «Среди патриархов земледелия,» 1898 г., СПБ, стр. 30—31.

ამრიგად, ხელისუფლება ხედავდა თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენდა მამულების გაუმიჯნაობა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაზე, მაგრამ იგი რაიმე რადიკალური ღონისძიებების განხორციელებაზე მაინც თავს იკავებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართებით როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგ ფაქტიურად ბევრი არაფერი გაკეთებულა, მაინც გატარდა ზოგიერთი ღონისძიება[91]. უმართებულო იქნებოდა ზოგადად მაინც არ შეეხებოდით იმ ცალკეულ ღონისძიებებს, რომლებიც მამულების გამიჯვნას ერთგვარად ეხმაურებოდნენ. ჯერ კიდევ 1817 წელს ერმოლოვმა რუსეთიდან მოიწვია მიწისმზომელები, რომლებსაც სახაზინო და კერძო მამულების აზომვა და მიჯნათა დადგენა დაევალა. 1829 წელს გენერალი პასკევიჩი სამიჯნაო კანტორის დაარსებას თხოულობდა, ხოლო 1857 — 1858 წლებში ბარიატინსკი წერდა, რომ არ შეიძლება არც მმართველობის გამარტივება, არც ქვეყნის მწარმოებლური ძალების გამოცოცხლება, ამიერკავკასიის კეთილმოწყობის მთავარ ამოცანად თუ გამიჯვნა არ მივიჩნიეთო[92]. 1846 წელს თბილისში სამიჯნაო (მეყორღნეთა) სკოლა დაარსდა, განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ ჩანდა. 1861 წლის 20 ივნისს კავკასიის მმართველობამ სპეციალური დადგენილება მიიღო ამიერკავკასიაში მიწების გამიჯვნის შესახებ, მასში ნათქვამი იყო: „იმ მიზნით, რომ გარკვეულ იქნეს საადგილმამულო მფლობელობათა საზღვრები, გამიჯვნა დროულად უნდა დაიწყოს და გადაწყდეს ამ საკითხზე წამომდგარი დავები. აღინიშნოს ფორმალური სამიჯნაო ნიშნები და მფლობელებს მიეცეთ კანონიერი სამიჯნო აქტები"[93].

დებულების თანახმად დაარსდა ამიერკავკასიის სამიჯნაო, თბილისის (მოქმედება დაიწყო 1862 წლიდან) და ქუთაისის (1886 წლიდან) საგუბერნიო პალატები. პალატას ევალებოდა ზუსტად გაემიჯნა მამულები და სათანადო საბუთი გაეცა[94]. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდიდა მიწაზე დავის აღკვეთას.

სამიჯნაო პალატის შექმნას კმაყოფილებით შეხვდა მოწინავე ქართული საზოგადოება. ი. ჭავჭავაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ერთი დიდი და ფრიად სასარგებლო საქმეთაგანი არის დაწყება ჩვე-

---

[91] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 520—521; იხილეთ აგრეთვე მისივე, «Сельское хозяйство и аграрные отношения,» т. I, стр. 421—431.

[92] АСКАК, Т. XII, 1319, 1328.

[93] Д. Николас, «Сборник законов и распоряжений по размежеванию Зак. Края,» Тиф., 1910, стр. 28.

[94] იქვე, გვ. 265—280.

ნი ქვეყნის გამიჯნავებისა. მიწების გამიჯვნის შემდეგ რამდენი საწყალი დაჩაგრული კაცი, ქვრივ-ოხერი ან ობოლი გაიხარებს, როცა მიეცემა ღონისძიება, რომ უშიშრად ამოჩიჩქნოს თავისი საკუთარი მიწა. ამას გარდა რამდენს კაცს დარჩება თავები გაუტეხელი, რომელიც თუ არ გატეხილა, უთუოდ უნდა გატეხილიყო მოდავეთაგან ან ხვალ, ან ხვალზევითა. რამდენი კამეჩი, ძროხა ყურებდაუჭრელი და კუდმოუკვეთელი საძოვრიდამ დაუბრუნდება პატრონს, როცა თავისი მამულის მიჯნები ეტყვიან, რომ ჩვენ ვართ ჩვენი ზურგი, თუ ვინმე წამოგედაოს, ჩვენ უშენოდაც ვეტყვით რომ ჩვენი მფლობელი მარტო შენა-ხარ"[95].

1862 წელს დაიწყო მიწების გამიჯვნა თბილისის გუბერნიაში, მაგრამ იგი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა[96]. „ორმოცი წელიწადია, — წერდა „კვალის" კორესპონდენტი, — რაც ჩვენში ადგილმამულთა გამიჯვნა დაიწყო, მაგრამ დიდი ვერაფერი გაკეთებულა"[97]. გამიჯვნის საქმეს პირველ რიგში ხელს უშლიდა გამმიჯნავი კომისიების მოუქნელი მუშაობა და საქმისადმი ტენდენციური მიდგომა. თბილისის გუბერნატორი ადგილმამულთა გამიჯვნის ხელშემშლელ მიზეზებს შორის ასახელებდა „მიზანშეუწონელ პროცესუალურ წესებს და რაც მთავარია, მომსახურე პერსონალის ნაკლებობას". იგი მოითხოვდა „ა. გადაისინჯოს გადამიჯვნის ამჯერად არსებული წესები, ბ. გაიზარდოს და გაძლიერდეს მომსახურე პერსონალის რაოდენობა"[98].

1862 — 1872 წლებში, ე. ი. ათი წლის განმავლობაში თბილისის გუბერნიაში, 3.500.000 დესეტინა მიწიდან გაიმიჯნა სულ 1.225.210 დესეტინა, ე. ი. დაახლოებით ერთი მესამედი. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე — 1.800.000 დესეტინა მიწიდან გამიჯნული იყო მხოლოდ 275.030 დესეტინა[99].

V რეფორმის გატარების პროცესში მიწების გამიჯვნის წარმატებით განხორციელებას ხელს უშლიდა დებულების ზოგიერთი მუხლი. მიწების გამიჯვნის საკითხის დაყენების უფლება გლეხს არ ჰქონდა. ეს საქმე მთლიანად მებატონეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, რაც გზას უხსნიდა მათ ყოველგვარი ბოროტმოქმედებისაკენ[100].

---

[95] ჟურნ. „საქართველოს მოამბე", 1860, № 2.

[96] Сборник статистических сведений ...о землевл... в Зак. кр., 1899 г., стр. 31.

[97] გაზ. „კვალი", 1901, № 14.

[98] ЦГИАЛ, ф. 1263, алф. 1, дел. 4586 лл. 129—130; იხ. აგრეთვე „დროება", 1877, № 29.

[99] ЦГИАЛ ф. 1263, алф. 1, дел. 4586, лл. 129—130.

[100] სსსა, ფ. 31 ანაწ. 1, საქ. 4 ფურც. 32.

ხელისუფლების ორგანოები, მომრიგებელ-შუამავლები, სიგელების სწრაფად გაფორმების მიზნით ცდილობდნენ გლეხებისათვის (ნადელების სახით) გაუმიჯნავი მიწები მიეცათ. ასეთ სიგელებზე გაკეთებულია შენიშვნა: „გლეხს ნადელში მიწა ეძლევა გამიჯვნამდეო", საქმე იმაშია, რომ გამიჯვნის ვადა არ იყო გარკვეული, ამისათვის საჭირო იყო მემამულის და გლეხის შეთანხმება მომრიგებელ-შუამავალთან მოწმის თანდასწრებით[101].

გლეხები უარს ამბობდნენ გაუმიჯნავი მიწების ნადელებში მიზომვაზე. მემამულეები კი ცდილობდნენ პირიქით, გლეხებს გამიჯვნამდე მოეწერათ ხელი სიგელებზე. მემამულეებს მხარს უჭერდა სახელმწიფო.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისის გუბერნატორმა არაერთი მითითება მისცა მომრიგებელ-შუამავლებს საწესდებო სიგელების შედგენისას იმ მუხლების დაცვაზე, რომლებიც გაუმიჯნავი მამულებიდან ნადელების გამოყოფას შეეხებოდა[102].

ნადელებში მიღებულ მიწებს, გამიჯვნის დროს გლეხები კარგავდნენ, მას მემამულეები იტაცებდნენ. სანადელო გაუმიჯნავი მიწები თუ საბატონო აღმოჩნდებოდა, დებულება უფლებას აძლევდა მებატონეებს, რომ გაესახლებინათ გლეხები. ამრიგად, გამიჯვნისას მემამულეები ინარჩუნებდნენ ყველა იმ უპირატესობას, რასაც მათ რეფორმა ანიჭებდა. ეს ეხებოდა ნადელების მიცემისას ნაკვეთების შეცვლას და სხვ.

სიგელების შედგენის დროს ის მიწები, რომლებიც საგლეხო იყო, მემამულეებმა ჯერ კიდევ გამიჯვნამდე მიისაკუთრეს იმ პირობით, რომ თუ გლეხი დაამტკიცებდა თავის უფლებებს ამ მიწებზე, უკანვე დაუბრუნებდნენ. მემამულეები ტკბილი სიტყვებითა და დაპირებებით ახერხებდნენ მიწების მითვისებას, პირდებოდნენ გლეხებს საკითხის გარკვევა გადადებულიყო მიწების გამიჯვნამდე. სადავო საკითხების მოგვარებას კი ბოლო არ უჩანდა.

ნაცვლად იმისა, რომ მიწების დაჩქარებით გადამიჯვნისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს სოფლად არსებული გამწვავებული წოდებრივი ურთიერთობა მოეგვარებინა, იგი სხვა ფაქტორებთან ერთად 60—90-იან წლებში აგრარული ბრძოლის გაღრმავების ერთ-ერთი წყარო გახდა.

სანადელო მიწა, რომელზედაც გლეხმა შრომა გასწია, სასუქებით გაამდიდრა და მაღალნაყოფიერი გახადა გადამიჯვნისას მემამულის სა-

---

[101] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 4, ფურც. 22.

[102] იქვე.

კუთრება ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ დროებითვალდებული გლეხები ხშირად უარს აცხადებდნენ მიწების გადამიჯვნაზე.

იყო შემთხვევები, როდესაც თავად-აზნაურები განზრახ აგვიანებდნენ მამულების გამიჯვნას, ელოდებოდნენ მიწების დამუშავებას. ხოლო ამის შემდეგ კი მოითხოვდნენ საგლეხო და საბატონო მიწების საზღვრების დადგენას. გიორგი და ელიზბარ ერისთავებმა დროებითვალდებულ ას კომლ გლეხს ნადელებში მიუზომეს 10 დღიური სახნავ-სათესი მიწა თითოეულს, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც დაინახეს გლეხების მიერ გაუმჯობესებული მიწის ნაკვეთები, მომრიგებელ-შუამავალსა და მიწისმზომელთან შეთანხმებით მოითხოვეს მისი გადამიჯვნა, სამაგიეროდ, მათ გლეხებს გამოუყვეს სხვა გაცილებით მწირი ადგილები. მემამულეების ასეთი საქციელით აღშფოთებული გლეხები აცხადებდნენ: „დაგვიტოვეთ სარგებლიანობაში ის მიწები, რომლებიც გამოგვეყო საწესდებო სიგელებით. ეს მამულები ჩვენ გავანოყიერეთ, მას მოვახმარეთ ჩვენი უკანასკნელი შესაძლებლობა და იგი არის ჩვენი არსებობის საშუალება“[103].

დავა ერისთავებსა და გლეხებს შორის თითქმის ოთხ წელიწადს გაგრძელდა; საქმეს კი დასასრული არ უჩანდა და თვით მეფისნაცვალმდეც მიაღწია, მაგრამ ყოველივე ეს მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

საგლეხო რეფორმის გამოცხადებიდან 16 წელიწადი ისე გავიდა, რომ ქიზნისელ მემამულეს გრიგოლ ერისთავს ერთხელაც „არ გახსენებია“, რომ მან გლეხებს ნადელებში გაუმიჯნავი მიწები მიუზომა. იგი მოთმინებით ელოდებოდა მოვლენათა შემდგომ მსვლელობას. როდესაც დაინახა, რომ გლეხებმა მის მიერ მიზომილ მიწებზე მაღალი მოსავალი მიიღეს, მაშინ „მოაგონდა“ დებულებით მინიჭებული უფლება და 1880 წლის ოქტომბერში მოითხოვა მამულების გადამიჯვნა. „გლეხები უარს ამბობდნენ ამაზე და თითოეული მათგანი გამოთქვამდა მემამულის საწინააღმდეგო მოსაზრებას“[104].

დებულების 42-ე მუხლის თანახმად, დროებითვალდებული გლეხები მემამულისაგან უნდა გამიჯნულიყვნენ. სასურველად იყო მიჩნეული, რომ მათ ერთ ადგილას აერჩიათ სანადელო ნაკვეთები, ხოლო დანარჩენი მიწები კი მემამულისათვის დაეტოვებინათ. ეს უკანასკნელნი ფართოდ იყენებდნენ ზემოაღნიშნულ უფლებას და გლეხებს ასახლებდნენ იმ მიწებიდან, რომელიც მათ ათეული წლობით ეკავათ. ამ მიწების ნაცვლად აძლევდნენ სრულიად მოუსავლიან, ურწყავ ადგი-

---

[103] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 330, ფურც. 4.

[104] ი ქ ვ ე , საქ. 258, ფურც. 1.

ლებს. აღნიშნულ გარემოებას არ შეიძლებოდა სოფლად გლეხთა სა-პროტესტო მოძრაობა არ გამოეწვია.

მიწების გადამიჯვნასთან დაკავშირებით გლეხთა მღელვარებას ადგილი ჰქონდა 1866 წელს სოფელ წყნეთში (თბილისის მაზრა). მემამულეებმა გლეხებს ჩამოართვეს ნოყიერი მიწები და მათ ნაცვლად უვარგისი ნაკვეთები მიუზომეს. პროტესტის ნიშნად გლეხებმა უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ სიგელებზე და ადრე დაკავებული მიწების უკან დაბრუნება მოითხოვეს. წყნეთელი გლეხების დამშვიდება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულა აგიტატორ გლეხთა ჯგუფმა — ყაზარ გელუკაშვილის, პეტრე ასიტაშვილის, გაბრიელ გეგუნაშვილისა და სხვათა შემადგენლობით. მღელვარების ადგილზე მთავრობამ გაგზავნა საგლეხო საქმეების თბილისის გუბერნიის საკრებულოს წევრი — „ნადვორნი სოვეტნიკი" ბოროზდინი. მისი ცდა „დაეწყნარებინა" გლეხები, უშედეგოდ დამთავრდა. მთელი სოფელი თბილისში ჩამოვიდა და აქ ეძიებდა სამართალს. ასე მასობრივად გლეხთა ჩამოსვლა თბილისში თავისთავად პროტესტის გაბედული ფორმა იყო. ხელისუფლებამ გადაჭრით გაილაშქრა „ურჩი" გლეხების წინააღმდეგ, ისინი პოლიციამ გარეკა[105].

მემამულეები ზოგჯერ მოითხოვდნენ ერთხელ გამიჯნული და გლეხების მიერ მოვლილი მიწების ხელმეორედ გამიჯვნას. მემამულეთა მიზანი ერთი იყო — გლეხის შრომით განაშენიანებული მიწების ხელში ჩაგდება, მისი მიტაცება. „ახლანდელი მიწათა გადამიჯვნა, — წერდა „კვალი", — ერთი მხრით თუ დიდი ხნით სადავო ადგილებს სასამართლო წესით უდავოდ ხდის, მეორე მხრით დიდი ხნით უდავო ადგილებს სადავოდ ხდის. ...ჩვენში მიჯნაობის დროს თითქოს ჩვეულებრივად გადაიქცა დავის განცხადება იმისთანა მამულზედ, რომელზედაც არავითარი ფაქტიური უფლება არა აქვს მოდავეს"[106].

1869 წელს ერისთავებმა დაჟინებით მოითხოვეს მამულების ხელმეორედ გადამიჯვნა, თითქოს „გლეხებზე მიზომილი სანადელო მიწების რაოდენობის შესამოწმებლად[107]. გლეხებმა იცოდნენ, თუ რა მიზანს ისახავდა ეს მოთხოვნა და კატეგორიული უარი განაცხადეს მასზე. წინააღმდეგობამ აიძულა მემამულეები უარი ეთქვათ თავიანთ გადაწყვეტილებაზე.

მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას მამულების გადამიჯვნასთან და-

---

[105] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 258, ფურც. 2.

[106] გაზ. „კვალი", 1901, № 14, ამ საკითხზე მდიდარი მასალებია მოთავსებული აგრეთვე „ცნობის ფურცელში", 1904., № 22, 23.

[107] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 258, ფურც. 1—4.

კავშირებული ხარჯები, რომელსაც თითქმის ყოველთვის გლეხებს ახდევინებდნენ. ისინი ვალდებული იყვნენ შეენახათ გამმიჯნავი კომისიის წევრები. „გვიჭირს მიწის გამმიჯვნელთა შენახვა, — იწერებოდნენ გლეხები წყნეთიდან, — ორი წლის განმავლობაში ჩვენ მათ სასარგებლოდ ვიხდიდით წლიურად 80 მანეთსო“[108].

მთელ რიგ სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებასთან ერთად გამიჯვნის დროს გაძლიერდა მექრთამეობა, რაც ხელს უშლიდა გამიჯვნის საქმის წარმატებით დამთავრებას. მემამულეები ახერხებდნენ გამმიჯვნელთა მოქრთამვას და საქმეს ყოველთვის თავის სასარგებლოდ წყვეტდნენ.

გამიჯვნასთან დაკავშირებული გადასახადები, კომისიის წევრების შენახვა და სხვა ათასნაირი ხარჯები კიდევ უფრო ავიწროებდა ბედკრულ გლეხობას.

ისედაც მძიმე პირობებში მყოფი გლეხობა გამიჯვნის დროს ხშირად ხელს კიდებდა იარაღს. შეიარაღებულ გამოსვლას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, სოფელ სარვანში (ბორჩალოს მაზრა)[109]. იგი საყურადღებო და მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში გლეხების ფართო მასა მონაწილეობდა.

1874 წელს სარვანში გენერალ-ლეიტენანტ მუხრან ბატონის მამულში მუშაობა დაიწყო გამმიჯვნავმა კომისიამ. ის მიწები, რომლის გადაზომვაც წარმოებდა, ძველთაგანვე გლეხების საკუთრებას წარმადგენდა. მამულების გამიჯვნის შესახებ ცნობა სასწრაფოდ მოეფინა მთელ სოფელს. კეტებით და ხანჯლებით შეიარაღებული 70 გლეხი გამოცხადდა ადგილზე და მოითხოვა, რომ კომისიას მუშაობა შეეწყვიტა. ალყა შემოარტყეს მიწისმზომელს. რჩევა-დარიგებას, რომ გლეხები დაშლილიყვნენ, შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, მიწისმზომელი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამუშაო და გაქცეულიყო.

მეორე დღეს მიწისმზომელი, დამხმარე მუშებით, ბოქაულის და ორი მოხელის თანხლებით კვლავ გამოცხადდა სამუშაოს გასაგრძელებლად. ამჯერად მათ ორასამდე შეიარაღებული კაცი დაესხა თავს და მოითხოვეს, ხელი აეღოთ მიწების გადაზომაზე. გლეხები ამტკიცებდნენ, რომ მიწის ნაკვეთები, რომელთა წართმევას მემამულე აპირებდა, მათ სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, რაზედაც დამადასტურებელი წერილობითი საბუთებიც წარმოადგინეს. მემამულემ ყურად არ

---

108 სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 258, ფურც. 2.

109 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23. дел. 16, л. 80.

ილო ძათი მტკიცება, მაშინ მოთმინებადაკარგულმა გლეხებმა ქვები და კეტები დაუშინეს მოხელეებს.

ეს ამბავი ცნობილი გახდა გუბერნატორისათვის. უმალვე გაიცა განკარგულება დამნაშავეთა სასტიკად დასჯის შესახებ. დაპატიმრებულ იქნა 31 კაცი, მათ საბრალმდებლო დასკვნაში ეკითხულობთ: „გლეხებმა არა მარტო არ შეასრულეს მიწის მზომელის კანონიერი მოთხოვნა, არამედ ალყა შემოარტყეს მას და აიძულეს იგი შეეწყვიტა მუშაობა. გლეხების ამ მოქმედებას თან ახლდა მუქარა და არეულობა“[110]. დაპატიმრებულ გლეხებს სხვადასხვა სასჯელი შეუფარდეს.

არც ამის შემდეგ შეუწყვეტია სოფელ სარვანის გლეხობას საადგილმამულო დავა. 80-იან წლებში მან ახალი ძალით იფეთქა[111].

1882 წლის ბოლოს გლეხთა საყურადღებო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი აგუბეაში, გუდავასა და აფხაზეთის სხვა სოფლებში. გლეხებმა უარი განაცხადეს მიწისმზომელი კომისიის განკარგულებათა შესრულებაზე. ამ მღელვარების მოთავეები გაასახლეს აფხაზეთიდან[112].

1883 წელს გამმიჯნავი კომისია სოფელ გალში მემამულე მარღანიასა და მისი გლეხების მიწების გამიჯვნას შეუდგა[113]. კომისია შეეცადა გლეხებისათვის სახნავ-სათესი მიწებისა და ტყეების ჩამორთმევის მიზნით საბატონო და საგლეხო მიწების გამომყოფი საზღვრები მდინარე თხერემმალის იქეთ გადაეტანა.

გლეხებმა საჩივრით მიმართეს ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ როცა პასუხი ვერ მიიღეს, მემამულეებს გაუგზავნეს დეპუტაცია დუტუ და მუსუ მესხიების შემადგენლობით და მოსთხოვეს ხელი აეღოთ საგლეხო მიწების მითვისებაზე. მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ დარჩა. 24 აპრილს, ღამით, გლეხები შეიარაღებულნი მიუხტნენ მემამულეს და მოსთხოვეს უარი ეთქვა იმ მიწებზე, რომლებიც რეფორმამდე გლეხებს ეკავათ. შეშინებულმა მემამულემ რჩევა-დარიგებითა და ხვეწნა-მუდარით შეძლო გლეხების ერთი ნაწილის დაწყნარება. მეორე ნაწილი ძალით შეიჭრა კომისიის მიერ გამოყოფილ მიწებზე და მოსპო გამმიჯნავი ნიშნები. გლეხთა ამგვარი მოქმედების გამო მთავრობამ რადიკალურ ზომებს მიმართა. 1883 წლის 29აპრილს სოხუმის განყოფილე-

---

[110] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, дел.. 16, л. 85.

[111] სსსა, ფ. 26, ანაწ. 6, წიგნ. 2, საქ. 1.

[112] სსსა, ფ. 545, ანაწ. 2, საქ. 2742, ფურც. 21.

[113] სსსა, ფ. 545, საქ. 2742, ფურც. 10. დაწვრილებით 1883 და 1884 წლებში გალის გლეხთა გამოსვლების შესახებ იხილეთ ი. ანთელავა რეფორმის შემდეგ დროინდელი აფხაზეთში აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (1870—1883 წლები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 4, 1949.

ბის უფროსი არაკინი კავკასიის სამხედრო სახალხო სამმართველოს დეპეშით ატყობინებდა: „საადგილმამულო ურთიერთობა მწვავდება, არის შემთხვევები თვითნებობისა გალის საზოგადოებაში. ბრბომ გაანადგურა გამმიჯნავი ნიშნები, ღობე; იმუქრებიან არ დაუშვან მემამულეები უწესობის შესაწყვეტად შეიძლება საჭირო გახდეს ჯარების ჩაყენება. გთხოვთ ნებართვას, რომ ჩემი შეხედულებისამებრ გადავაადგილო ასეული, მივიღო ზომები"[114], მართლაც. მალე ჯარის ნაწილებიც გამოჩნდნენ გენერალ არაკინის მეთაურობით.

მღელვარების მოთავეები — გულა და ხუხუ შონიები, ივანე ლოლუა და ბიჭია მიქავა დააპატიმრეს.

საინტერესოა ერთი გარემოება. როდესაც ამ მღელვარების საქმის გარჩევა დაიწყო, მემამულის მსახურებმა უარი თქვეს მოწმედ დადგომაზე. მათ განაცხადეს, რომ არაფერი იცოდნენ მომხდარი ამბის შესახებ.

მთავრობა, ერთი მხრივ, ცდილობდა ზემოქმედების საშუალებით საბოლოოდ აღეკვეთა გლეხობაში საბრძოლო სულისკვეთება, მეორე მხრივ, მიწის მფლობელებს მიუთითებდა, რომ მეტი ლოიალობა გამოეჩინათ გლეხებისადმი.

იმავე 1883 წლის 14 ივნისს სოფ. ბარგებში, ოტობაიასა და ნაბაკევში გლეხები წინ აღუდგნენ მიწისმზომელ პესკოვს და შეაჩერეს გადამიჯვნა. ეს სამუშაო გაგრძელდა ოჩამჩირის ოლქის უფროსის მალინოვსკის საქმეში ჩარევის შემდეგ[115].

ამრიგად, მიწების გამიჯვნასთან დაკავშირებულმა საადგილმამულო დავამ XIX საუკუნის 60 — 90-იან წლებში მწვავე ხასიათი მიიღო. მთავრობის ეს ღონისძიება, რომელსაც თითქოს უნდა შეენელებინა აგრარული ბრძოლა, მემამულეებმა და მეფის მოხელეებმა ხელის მოთბობის ერთ-ერთ საშუალებად გაიხადეს. მემამულეები შეეცადნენ საგლეხო მიწების სათავისოდ მითვლას, რამაც სოფლის მშრომელთა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. გლეხები მოითხოვდნენ მამულების მიჯნების დადგენასა და ერთხელ გამიჯნული მიწების საზღვრების მტკიცედ დაცვას. ისინი იბრძოდნენ მემამულეების იმ თვითნებობის წინააღმდეგ, რომლებიც გამიჯნულ მამულთა ხელმეორედ გადამიჯვნას და ამ გზით გლეხის მიერ განაშენიანებული მიწების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად.

---

[114] სსსა, ფ. 545. ანაწ. 1, საქ. 2742, ფურც. 10.

[115] სსსა, ფ. 545, საქ. 2722, ფურც. 22—32; იხ. აგრეთვე Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России и его историческое значение, Сух., 1969, стр. 233—234.

თავი IV

საქართველოს გლეხობის ბრძოლა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკისა და სოფლის აღგილობრივ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ

§ 1. საქართველოს გლეხობის ბრძოლა ბეგარა-გადასახადებისა და ნადელების გამოსყიდვის წესების წინააღმდეგ

კლასობრივი ბრძოლის იმ მრავალსახეობათა შორის, რომელსაც სოფლის მშრომელები მიმართავდნენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ბეგარა-გადასახადებზე უარისთქმას ეკუთვნის. მართალია, ამ შემთხვევაში გლეხობას იარაღისათვის ჯერ კიდევ არ მოეკიდა ხელი, მაგრამ გადასახადებზე უარის თქმაც თავისთავად გაბედულ პროტესტს წარმოადგენდა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ხელთ გვაქვს დღემდე უცნობი ზოგიერთი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შედარებით ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს სოფელში კლასთა ბრძოლის საერთო სურათზე, რაც პირველყოვლისა ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმით გამოიხატებოდა.

მომრიგებელ-შუამავლები თუ მაზრის უფროსები ყოველი წლის ბოლოს საგლეხო საქმეების მიმდინარეობის შესახებ, ანგარიშს გზავნიდნენ ზემდგომ ინსტანციებში, რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულითაა ასახული ჩვენთვის საინტერესო საკითხი. ზოგ დოკუმენტს, მართალია, აშკარა ტენდენციურობის კვალი ატყვია, მაგრამ ეს მასალები მაინც საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან, რათა ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ საქმის ნამდვილ ვითარებაზე[1].

---

[1] 1869 წელს სიღნაღისა და თელავის მაზრებიდან მომრიგებელ-შუამავლები საგლეხო საქმეების საკრებულოს წერდნენ, რომ მათ საგანგიო განყოფილებაში გლეხებსა და მემამულეებს შორის სადავო საქმე არ ყოფილა, ყველაფერი ნებაყოფლობით გვარდებაო. სხვადასხვა ფონდებში დაცული მასალების გაცნობა საშუალებას გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ შუამავლების ზემოაღნიშნულ განცხადებაში. ჩანს, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრებში ამ დროს მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთ საწინააღმდეგო საჩივრების 750 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმის ყველაზე მეტ შემთხვევა 60-იანი წლების მეორე ნახევარსა და 70-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ჩვენ მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით 1867 წელს გორის მაზრაში აღნიშნული საკითხის გამო ურჩობის 3969 შემთხვევაა აღრიცხული. 1871 წელს იგი 2724-მდე შემცირებულა, ხოლო 1879 წელს კი რეგისტრირებულია მხოლოდ 400 შემთხვევა.

1/ ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმას განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. 1866 წელს ქუთაისის გუბერნატორის ცნობით, მემამულეებსა და გლეხებს შორის 5489 ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივარი აღძრულა[2]. აქედან უმარვლესობა ბეგარა-გადასახადების გადაუხდელობაზე მოდიოდა.

ის ფაქტი, რომ ამ სახის ბრძოლებითა და მისი მასობრიობით სხვა პერიოდის გლეხთა მოძრაობისაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოფორმის გატარების პერიოდი შეეთხვევითი არ არის და მას თავისი მიზეზი გააჩნდა.

დებულების ძალით საწესდებო სიგელების შედეგნის პროცესში, რომელიც „გარდამავალ პერიოდად" იწოდებოდა, მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობა ძირითადად ბატონყმური ნორმების შენარჩუნებით ხასიათდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დროებითვალდებული გლეხი მოვალე იყო ყველა ის გადასახადი, რომელიც ბატონყმობის დროს ჰქონდა შეწერილი, ახლაც უკლებლივ გადაეხადა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა და ამასთანავე შრომითი ბეგარაც მოეხადა.

გლეხს ევალებოდა ძველი წესის თანახმად მიეცა მემამულისათვის შინაყმა. მემამულეები დებულებით მინიჭებულ ამ უფლებებს ფართოდ იყენებდნენ. ისინი შინაყმის ნაცვლად გლეხებისაგან მოითხოვდნენ, თავიანთ მამულებში კვირაში ორ-სამი დღე უსასყიდლოდ ემუშავათ. ეს იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ თვით ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოც კი, იძულებული გახდა თავის დადგენილებაში აღენიშნა: „მემამულეებს არა აქვთ უფლება გლეხებისაგან მოითხოვონ შინაყმის ნაცვლად შრომითი ბეგარა, არაუმეტეს კვირაში ერთი სამუშაო დღისა"[3].

საკრებულო მიუთითებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გლეხი თავის კომლიდან შინაყმას ვერ მისცემდა მემამულეს და არც სამუშაოზე გაეიდოდა, იგი ვალდებული იყო თითოეულ გაცდენილ დღეზე გარკვეული თანხა გადაეხადა. ზემოთ მოტანილ დოკუმენტს, რომელიც წარ-

---

[2] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 692, ფურც. 38.

[3] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 308, ფურც. 34.

მოადგენს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს მიწერილობას მომრიგებელ-შუამავლებისადმი, თან ერთვის უწყისი, რომელშიც მოცემულია, ფულადი ღირებულება იმ გაცდენილი სამუშაო დღისა, რომელიც შინამოსამსახურეს უნდა შეესრულებინა მებატონის კარზე[4].

გლეხები ხშირად უარს ამბობდნენ არა მარტო სამუშაოდ გასვლაზე, არამედ მის ფულად ანაზღაურებაზეც.

გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო შინაყმებისა და მოჯალაბეთა მოძრაობამ. დებულებით ისინი ჯერ კიდევ ორი წლის განმავლობაში ძველ მდგომარეობაში რჩებოდნენ, რამაც მათი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შინაყმები თვითნებურად ტოვებდნენ მემამულეთა კარ-მიდამოს, გარბოდნენ, იმალებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოეშორებინათ ბატონყმობის უღელი.

1867 წელს მემამულეებსა და გლეხებს შორის გაუთავებელმა დავამ იძულებული გახადა ხელისუფლება შინაყმები ბატონყმობისაგან გაეთავისუფლებინა.

ეს ღონისძიება მთავრობამ უდიდეს ფაქტად მიიჩნია. ქუთაისის საგუბერნატორი აღნიშნავდა: გლეხებისათვის იწყება „ახალი ცხოვრება"-ო, იგი ურჩევდა შინაყმებს „ელოცათ მეფისათვის", მორჩილნი ყოფილიყვნენ და „კვლავ შეთანხმებოდნენ თავიანთ მებატონეებს". „შედით მათთან, — მოუწოდებდა იგი გლეხებს, — კეთილნებითა შეთანხმებითა შინა გარნა ნუ შეუდგებით ანგარების მოყვარეობასა მოთხოვნილებათა შინა აღნადგინებისა (ქირისა) იქმენით ზომიერნი. ვითარც ბრძანებს ღმერთი და სინდისი. გახსოვდეთ, როდესაც მოითხოვთ მომეტებულსა ფასსა შრომისასა, მაშინ არა ყოველთვის მოიპოვებთ მას და თქვენთვისავე საშუალება გაზრდისა იქნება უფრო ძვირი, მაშასადამე უზომო, მოთხოვნილებათა თქვენივე იმოქმედებთ თქვენ თავისსავე სავნებლად"[5].

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში, ყმა გლეხები ვალდებული იყვნენ „ნადობის" სახით კვირაში ორი, ან სამი დღე მებატონის მამულში ემუშავათ. ასეთი წესი არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ იგი აქ ბეგარის სახელით იყო ცნობილი. მებატონეს უფლება ჰქონდა მთელი წლის სამუშაო დღეების ის რაოდენობა, რომელიც გლეხს მებატონის

---

[4] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 892, ფურც. 38.

[5] ი ბ ე ე , ფურც. 52.

კარზე უნდა ემუშავა, ერთად გამოეყენებინა და ამ ხნის განმავლობაში იგი სავსებით მოეწყვიტა საკუთარი მეურნეობისათვისაც. ბატონყმობის დროს ამას მემამულეები ჩვეულებრივ მაშინ აკეთებდნენ, როცა მუშაობის სეზონი იყო. ეს ფაქტი არაერთხელ ყოფილა დავის საგანი. იგივე სურათი გვაქვს გარდამავალ პერიოდშიც.

მართალია, ადგილობრივი დებულების მე-6 პუნქტში განსაზღვრულია გლეხის მიერ ჩასატარებელი სამუშაო-საბეგრო დღეების საერთო რაოდენობა, დადგენილია მანძილი, რომლის ფარგლებშიც მემამულეს შეეძლო დაესაქმებინა გლეხი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ უკანასკნელს წლის რომელ დროს რამდენი სამუშაო დღე უნდა გამოეყო მებატონის მეურნეობისათვის.

✓ მემამულეები თავიანთი შეხედულებისამებრ იყენებდნენ გლეხის შრომას, უპირატესად გაზაფხულ-შემოდგომაზე, როცა სამუშაო სეზონი იყო. ბუნებრივია, ამ დროს გლეხს თავის მეურნეობისთვისაც უნდა მიეხედა, რის საშუალებაც მას უკვე აღარ გააჩნდა.

დებულება აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეებს უფლებას აძლევდა, 20 კმ. ფარგლებში გაეგზავნათ დროებითვალდებული გლეხები თავიანთი ურმით, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ წესს არავინ არ იცავდა და მემამულის თვითნებობის შედეგად იგი უხეშად ირღვეოდა.

საბეგარო შრომის დღეების განაწილება, მისი ნორმებისა და ფარგლების დადგენის საკითხი ხშირად ხდებოდა სოციალური ანტაგონიზმის საფუძველი. მემამულეებსა და გლეხებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოწესრიგების მიზნით, მთავრობამ გადაწყვიტა იგი სპეციალური მსჯელობის საგნად გაეხადა.

დადგინდა, რომ თითოეულ გლეხურ კომლზე გათვალისწინებული საბეგრო დღეები წლის ოთხი დროის მიხედვით თანაბრად გაყოფილიყო. ხელისუფლებას ესმოდა, რომ ეს ღონისძიება სავსებით საკმარისი არ იქნებოდა მებრძოლი მხარეების ურთიერთობის მოსაგვარებლად და ამიტომ დამატებით მიუთითებდა, რომ თუ გლეხები მემამულის კარზე გათვალისწინებულ სამუშაო დროის ნორმას არ შეასრულებდნენ, მაშინ ვალდებული იქნებოდნენ თითოეულ გაცდენილ დღეზე მემამულისათვის გარკვეული ფულადი გადასახადი გადაეხადათ[6]. ამ უკანასკნელის რაოდენობა კი იმისდა მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ გლეხის სამუშაო ძალა მემამულის მეურნეობაში როდის იყო უფრო საჭირო. მაგალითად, 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე გლეხს თითოეულ გაცდენილ სამუშაო დღეზე უნდა გადაეხადა 20 კაპ.; 1 მარტიდან — 1

---

[6] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 20.

ივნისამდე — 30 კაპ.; 1 ივნისიდან — 1 სექტემბრამდე — 50 კაპ.; 1 სექტემბრიდან — 1 დეკემბრამდე — 40 კაპ.; ხოლო თუ გლეხი ვალდებული იყო თავის ხარ-ურმით გასულიყო სამუშაოდ, ასეთ გაცდენილ დღეზე წლის ყველა დროს იგი 1 მან. იხდიდა.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულომაც. აქაური გლეხი ვალდებული იყო გარდამავალ პერიოდში მემამულის სასარგებლოდ წლიურად 52 დღე ემუშავა. განისაზღვრა საბატონო მამულში გლეხის დასაქმების ფარგლები, იგი ათ კილომეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, თუ მემამულე ამ მანძილს იქით გაგზავნიდა გლეხს, მაშინ იგი ვალდებული იყო მისთვის შრომის საფასური აენაზღაურებინა. საკრებულო მემამულეებს უკრძალავდა სამუშაო დღეების საერთო რაოდენობის ერთად გამოყენებას. ამიტომაც იგი წლის ყველა დროზე გაანაწილა. ამ საკითხზე მიღებული სპეციალური გადაწყვეტილება ცირკულარული წესით დაურიგდა გუბერნიის ყველა მაზრის მომრიგებელ-შუამავალს[7].

ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ცირკულარებით შეაჩერებდა კლასობრივ ბრძოლას სოფლად, მაგრამ მოვლენები საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. მემამულეთა თავგასულობა ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. ისინი მოითხოვდნენ გლეხების მიერ საბეგრო სამუშაოს უსიტყვოდ შესრულებას, არ ერიდებოდნენ ძალადობის არავითარ საშუალებას[8].

დროებითვალდებული გლეხები მოვალენი იყვნენ შრომითი ბეგარა არა მარტო მემამულის, არამედ სახელმწიფოს წინაშეც მოეხადათ. თბილისის გუბერნატორის ანგარიშიდან ჩანს, რომ 1891 წელს მარტო თბილისის მაზრის გლეხობას 5.000 ურემი და 15 ათასი კაცი გამოუყვანია ბეგარაზე სამუშაოდ. გორის მაზრას — 3200 ურემი და 6800 კაცი, ხოლო ქუთაისის გუბერნიას კი 1893 წელს—28.944 ურემი, 17.147 ცხენი და 177.874 კაცი; მათ მიერ გაწეული შორმის ფულადი ღირებულება 177.941 მან. შეადგენდა[9]. სახელმწიფო ბეგარას ყველა კატეგორიის გლეხი ასრულებდა.

შრომითი ბეგარა უარყოფით გავლენას ახდენდა გლეხურ მეურნეობაზე. იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როდესაც გლეხების ერთი ნაწილი საგზაო თუ სატრანსპორტო ბეგარაზე გასვლის გამო ვეღარ ართმევდა თავს საკუთარი მეურნეობის მოწესრიგებას. საგარეჯოელი გლეხები ჩიოდნენ, რომ „ამ ერთ თვეში ექვსჯერ გაგვრეკეს ბეგარაზე:

---

[7] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 892, ფურც. 38.

[8] ЦГИАЛ, ф. 1236, оп. 121, дел. 5013, лл. 125—126.

[9] ქუთაისის სსა, ფ. 130, ანაწ. 1, საქ. 163ბ, ფურც. 42—43.

აპრილის 24 დღესა 13 ურემი. მაისის 14-სა ქუდზედ კაცი, მაისის 15 დღესა — 13 ურემი, 19 მაისს 22 ურემი, 10 მაისს 12 ურემი, 2 ივნისს 48 უღელი ხარი. ვეღარც სიმინდები დავხანით, ვეღარც ანეულები საჩერმისოდ. მერმისთვის მოხნული და დათესილი რომ არ გვექნება რაღა მოვმკით?"[10].

გლეხების მძიმე მდგომარეობას ვერც მთავრობის მოხელეები მალავდნენ. მაგალითად, თბილისის გუბერნატორი წერდა: „ზოგიერთ მაზრაში გლეხებს ძალიან დიდი რაოდენობით გამოყავთ ხარ-ურემი. სახელმწიფო ბეგარა მოსახლეობას ხშირად ხანგრძლივი დროით წყვეტს საკუთარ სამუშაოს"[11].

მემამულეთა და სახელმწიფოს ასეთ ძალმომრეობას არ შეიძლება მასების პროტესტი არ გამოეწვია.

გლეხებს, რომლებსაც მემამულეებმა თუ სახელმწიფომ ეკონომიური არსებობის ყოველვვარი საფუძველი გამოაცალეს, მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ უარი ეთქვათ შრომით ბეგარაზე და ძალმომრეობის შემთხვევაში იარაღისათვის მოეკიდათ ხელი.

ამრიგად, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი თავად-აზნაურობა და დროებითვალდებული გლეხები.

სურამელი მემამულე ჰიდირბეგაშვილი 1874 წ. 15 აგვისტოს გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა, რომ „დროებითვალდებულ გლეხთა ურჩობის გამო, რაც სამუშაოზე უარის თქმაში გამოიხატა, მოსავალი აუღებელი მრჩება... მოსალოდნელია შეიარაღებული შეჯახება"[12]. გლეხთა ურჩობით შეშინებული გ. ერისთავი 1875 წ. 22 ივნისს მაზრის უფროსს სწერდა: „როდესაც დროებითვალდებულ გლეხებს სათიბად გამოსვლა ვთხოვე, გლეხებმა არა მარტო უარი განაცხადეს სამუშაოს შესრულებაზე, არამედ უხეშად მიპასუხეს და ამით შეურაცხმყვესო"[13]

1876 წ. 18 ივნისს ტყვიავიდან მემამულეები იწერებოდნენ: „გლეხებმა უარი განაცხადეს რა საბეგარო სამუშაოს შესრულებაზე, დაიწყეს უშვერის ლექსით ლანძღვა — გინებაო": უფრო მეტიც, კეტებით შეიარაღებული თავს დაესხნენ მემამულეებს[14]. ფლაველები (გორის მაზრა) მოსაკლავად მიუხტნენ მემამულეს, რადგანაც იგი გლეხებისაგან ბეგარაზე სამუშაოდ გასვლას მოითხოვდა. ამავე მიზეზით იფეთქ-

---

[11] ЦГИАЛ, ф. 1236, оп. 121, дел. 5013, лл. 125—126.
[12] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 225, ფურც. 8.
[13] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 173.
[14] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1884, ფურც. 4-6

გლეხთა მღელვარეობამ ბერბუკში[15], ხიდისთავში. მსხლებში[16], ახალჯვარში, ალიანში (გორის მაზრა)[17]. კარდანახში, ზიარში (სიღნაღის მაზრა) და სხვ. სოფლებში.

გლეხობა უარს ამბობდა აგრეთვე სახელმწიფო ბეგარაზეც. 1882 წლის 13 ოქტომბერს გერგეთელმა (გორის მაზრა) გლეხებმა უარი განაცხადეს ურმების გამოყვანაზე; მთავრობის ცდა, გაეტეხათ გლეხების წინააღმდეგობა, უშედეგო გამოდგა. „მეორე დღეს, — აღნიშნავდა მამასახლისი, — გაგზავნილი მოხელეები და ჩაფრები კვლავ „ცარიელები დაბრუნდნენ". მამასახლისის მოწმობით „გერგეთელები არაერთხელ გამოსულან სახელმწიფო სამსახურის წინააღმდეგ", „ისინი ყოველ სახელმწიფო საქმეზედ უჯიათები აირანო"[18].

ამრიგად, საბეგარო შრომა რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელ გლეხობას, რის გამოც ისინი პროტესტის ნიშნად მტკიცე უარს აცხადებდნენ მემამულისათვის სასარგებლო შრომაზე. გლეხის ამგვარ მოქმედებას გაუთავებელი დავა-საჩივრები, ხოლო ხშირად შეიარაღებული შეჯახებაც მოსდევდა.

* * *

დაირხა თუ არა ხმა ბატონყმობის გაუქმების შესახებ, გლეხობამ მასობრივად აიღო ხელი გადასახადების გაღებაზე. 1864 — 1865 წლებში ვერ შეხვდებოდით ვერც ერთ დროებითვალდებულ გლეხს, რომელსაც ბატონყმობისდროინდელი გადასახადები არ ჰქონოდა დარჩენილი. ეს გარემოება ხელისუფლებისათვის იმთავითვე იყო ცნობილი და ამიტომაც მან ადგილობრივ დებულებაში შეიტანა ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მემამულეებს ნება ეძლეოდათ რეფორმის გამოცხადების შემდეგ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ნაყმევებისაგან ამოექაჩათ დარჩენილი გადასახადები. იქვე ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მათ ეკრძალებოდათ ამ უფლებით სარგებლობა. მემამულეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აეძულებინათ გლეხები წინა წლების დარჩენილი გადასახადები დაეფარათ.

გლეხებზე შეწერილი ყოველგვარი გადასახადების დროულად და ორგანიზებულად აკრეფის მიზნით მეფის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა. ჯერ კიდევ 1865 წლის 14 იანვარს თბილი-

---

[15] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1992, ფურც. 1.
[16] ი ქ ვ ე .
[17] ი ქ ვ ე , საქ. 192, ფურც. 2.
[18] სსსა, ფ. 133, ანაწ. 2, საქ. 2391, ფურც. 5.

სის გუბერნატორმა სპეციალური მიმართვები დაუგზავნა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ-შუამავლებს. იგი მოითხოვდა მათგან წარედგინათ თავიანთი მოსაზრებანი საგადასახადო ვადების დადგენის შესახებ.

1865 წლის 27 იანვარს თელავის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი აღნიშნული მიმართვის პასუხად გუბერნატორს სწერდა: „ვასრულებ რა თქვენს 14 ამა თვის მოწერილობას, ბაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მე ყველაზე მოხერხებულ დროდ მიმაჩნია კულუხი შეტანილ იქნას 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე... ღალა 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე...“[19].

ასეთივე მოსაზრებანი წარმოუდგინეს გუბერნატორს სიღნაღისა და თბილისის მაზრების მომრიგებელ-შუამავლებმა.

სავალდებულო გადასახადებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულომაც. 1866 წლის 20 ივლისს საკრებულოს სხდომის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა ორი საკითხი: 1. რა სახის გადასახადები უქმდებოდა ადგილობრივი დებულების გამოცხადების შემდეგ და 2. შეიძლებოდა თუ არა ბატონყმობის დროიდან დარჩენილი გადასახადების ამოღება 1866 წლისათვის[20].

აღნიშნულმა საკითხებმა სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბოლოს საკრებულო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გლეხები გარდამავალ პერიოდში უნდა განთავისუფლებულიყვნენ ისეთი პირადი ვალდებულებისაგან, როგორიც იყო — „საქვრივო“, „საჩექმო“, „გასამყრელო“, „საქორწილო“, „შესაწირი“, „საბაზიერო“ და სხვ.

წინა წლებიდან დარჩენილი საადგილმამულო გადასახადების შესახებ კი საკრებულომ დაადგინა, რომ იგი დაუყოვნებლივ ყოფილიყო აკრეფილი, არ ეპატიებინათ გლეხებისათვის მათი გადაუხდელობა, რადგანაც მეფის მოხელეთა აზრით, თუ არ იქნებოდა ამოღებული ბატონყმობისდროინდელი დარჩენილი გადასახადები ეს მემამულეებისათვის არსებობის საშუალების წართმევასა და აქედან გამომდინარე თვით საგლეხო კანონმდებლობის არსის დარღვევას ნიშნავდა; კანონმდებლობისა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა არა მემამულეთა შეზღუდვა გარდამავალ პერიოდში, არამედ მათი მდგომარეობის შემსუბუქება[21].

---

[19] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 20.
[20] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 892, ფურც. 17.
[21] ი ქ ვე , ფურც. 40.

1866 წლის 14 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც 31 დეკემბერს ცირკულარული წესით დაეგზავნათ მაზრის უფროსებს.

იმ მიზნით რომ თავი დაეზღვია უთანხმოებისა და დავა-საჩივრებისაგან, ხელისუფლებამ, დაადგინა ნატურალური და ფულადი გადასახადების გადახდის ზუსტი დრო[22].

ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ გაეთავისუფლებინათ გლეხები ბატონყმობის დროიდან შემორჩენილ გადასახადებიდან, ზემდგომმა ორგანოებმა მსჯელობის საგნად გახადეს, თუ რა გზები უნდა გამოენახათ მათი ამოღებისათვის. მართალია, ნატურალურ გამოსაღებთა ვადები თითქოს განისაზღვრა, მაგრამ ამ ვადების დაცვა არც ისე იოლი გამოდგა.

მემამულეებსა და გლეხებს შორის ძირითადად დიდი დავა გამოიწვია ღალა-კულუხის გადახდის ვადებმა. პირველნი მოითხოვდნენ ყურძენზე შეწერილი კულუხი, რომელიც მოსავლის მესამედს შეადგენდა, გლეხებს გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში სუფთა ღვინის სახით გადაეხადათ; მეორენი კი პირიქით, წინადადებას იძლეოდნენ, რომ იგი ტკბილის სახით ადრე შემოდგომაზე გადახდილიყო. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ მათ აკრძალული ჰქონდათ მოსავლის გაყიდვა სანამ მემამულის ვალს არ გაისტუმრებდნენ. ცხადია, თუ მემამულე ღვინოს კულუხის სახით ზამთარში მიიღებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხს მემამულის გასტუმრებამდე, ე. ი. ზამთრამდე, ვერ უნდა გაეყიდა თავისი მოსავალი.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა აიძულებდა გლეხს მოსავლის მიღებისთანავე მისი ნაწილი ფულად ექცია — გაეყიდა იგი და ამით დაეკმაყოფილებინა ოჯახის მოთხოვნილებანი. მაგრამ თუ მემამულეები ზამთრისათვის მოითხოვდნენ ღვინოს, ეს გლეხს საკუთარ შრომით მოყვანილი მოსავლის საჭიროებისდამიხედვით გამოყენების საშუალებას უსპობდა.

გლეხობა წინ აღუდგა მემამულეთა იმ მძარცველურ პოლიტიკას, რომელსაც ისინი რეფორმის შემდგომდროინდელ პერიოდში მიმართავდნენ სოფლად. საბეგრო შრომასთან ერთად, განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ გლეხობას ნატურალური გადასახადები. ამიტომაც იყო, რომ გლეხთა მოძრაობაც პირველ რიგში სწორედ მის წინააღმდეგ წარიმართა. „გლეხების უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი, ,— წერდა თელავის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი, — ვენა-

---

[22] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 892, ფურც. 40, ქუთაისის სსა, ფ. 183. საქ. 11, ფურც. 11.

ხის და სახნავ-სათესი მიწის მოსავლიდან მემამულის მიერ მეოთხედის მოთხოვნა არისო"[23] ამასვე ადასტურებს დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი. „ნატურალურ გადასახადებს, — აღნიშნავს იგი, გლეხები არ იხდიან... მათ არ მიაჩნიათ სწორად მემამულეთა მოთხოვნები, უარს ამბობენ მოსავლის ნაწილზე"[24]. ხოლო თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი კი 1869 წელს წერდა, რომ თითქმის ყველა საჩივარი ნატურალურ გადასახადებთან არის დაკავშირებულიო"[25].

ნატურალური გადასახადების ამოღების საკითხთან დაკავშირებულ მთელ რიგ სიძნელეებზე მიუთითებდა ი. ჭავჭავაძეც. „მეოთხედის ამოღება, — წერდა იგი, — დაკავშირებული იყო გარდუვალ კონტროლთან და ამ კონტროლის გამწევ საიმედო პირთა მთელი შტატის ყოლასთან, რაც პრაქტიკულად დიდ სიძნელეებს წარმოშობდა, ხოლო მეორისათვის ნამუშავარის დროზე აუღებლობის რეალურ საშიშროებასთან"[26].

ბრძოლა ნატურალური გადასახადების წინააღმდეგ შემოდგომით მძაფრ ხასიათს ღებულობდა. განსაკუთრებით მოსავლის აღების დროს ადგილობრივ საგლეხო დაწესებულებებში შემოდიოდა უამრავი საჩივრები, როგორც მემამულეთა, ისე გლეხების მხრიდან. პირველნი აღნიშნავდნენ გლეხების ურჩობას, ნატურალურ გადასახადებზე უარისთქმას, მეორენი კი — პირველთა თვითნებობასა და ძალმომრეობას[27].

დროებითვალდებულ გლეხებს დებულების თანახმად, არ ჰქონდათ უფლება ჭირნახული დაებინავებინათ, სანამ მემამულე თავის წილს არ მიიღებდა. მოსავლის მეოთხედის გახსაზღვრა ადგილზე, მინდვრადვე ხდებოდა, რაც მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მეშამულეები, რომლებსაც ნაკლებად აწუხებდათ დროებითვალდებულ გლეხთა მდგომარეობა, აგვიანებდნენ თავიანთი წარმომადგენლის გამოგზავნას ღალის მისაღებად. გლეხის მიერ მოწეული სარჩო-საბადებელი კი ღია ცის ქვეშ უამინდობის გამო ლპებოდა.

ამ ნიადაგზე გლეხთა მნიშვნელოვან მღელვარებებს ჰქონდა ადგილი გორის, სიღნაღის, თელავის, დუშეთის, ქუთაისის, რაჭისა და სამეგრელოს მაზრებში.

ქვეშელი, არწევნელი, ზაქარიელი და სხვ. სოფლების დროებითვალდებული გლეხები გორის მაზრის უფროსს სწერდნენ: „გვადგია

---

[23] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 499, ფურც. 317.
[24] ი ქ ვ ე , ფურც. 42—43.
[25] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 883, ფურც. 42—43.
[26] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, 1956, გვ. 10—11.
[27] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 391, ფურც. 35.

დიდი შეჭირვება ჩვენი მებატონეებისაგან... მეოთხედზედ მიედივართ და ვეხვეწებით: მობრძანდით, დაგვითვალეთ და თქვენი წილი მიირთვით, ვიდრემდის ყველანი არ მიზიდავენ და ჩვენსა ქვეყნის საქონელი არ გაანახევრებს მანამდე თავისი არ მიაქვს"[28].

მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა მწვავე ხასიათს ატარებდა არა მარტო ღალა-კულუხის თავის დროზე. წაუღებლობის, მოსავლის მესამედის, ან მეოთხედის განსაზღვრის გამო, არამედ მისი ადგილზედ მიტანის ირგვლივაც, სოფლების — ელტურის, ქლივანის, საბუისა და დისილინის გლეხობამ მემამულე ერისთავებსა და ამილახვრებს კატეგორიული უარი განუცხადა მოსავლის საბატონო ნაწილის შინ მიტანაზე. სოფელ დადიანეთიდან, კონო ერისთავის დროებითვალდებული გლეხები აცხადებდნენ: ჩვენ არ ძალგვიძს მეოთხედის, ან მესამედის მიცემა და მიტანაო. ამასვე ჩიოდნენ უკანა უბნის, კარის, ბაბუციანთკარის, ვაგაანთ კარის (გორის მაზრა), ვეჯინის კარდანახის (სიღნაღის მაზრა) და სხვ. სოფლების დროებითვალდებული გლეხები[29].

სადავო იყო საწყაოს საკითხიც. მემამულეები ცდილობდნენ გაედიდებინათ მისი მოცულობა. ღალის წყვას მოითხოვდნენ 3-ფუთიანი კოდით, რომელიც მოცულობით საგრძნობლად აღემატებოდა დებულებით გათვალისწინებულ საწყაოს, გლეხები კი პირიქით, იბრძოდნენ საწყაოს ძველი ერთეულის შენარჩუნებისათვის.

ქართლ-კახეთის გლეხები ზოგ შემთხვევაში მოითხოვდნენ ღალა-კულუხის შემცირებას, რადგანაც, მათი მტკიცებით, ურწყავი მიწები ეკავათ და ამიტომ გადასახადებიც ამ მიწებზე დაწესებული ნორმების მიხედვით უნდა გადაეხადათ[30].

გლეხები ხშირად მოითხოვდნენ არამცთუ გადასახადების შემცირებას, არამედ საერთოდ უარსაც კი ამბობდნენ მის დაფარვაზე და შეიარაღებულ ბრძოლაში ებმებოდნენ მემამულეებისა და მისი დამცველი მეფის მოხელეების წინააღმდეგ.

სოფლის მშრომელები წინ აღუდგნენ დებულების იმ პუნქტის ცხოვრებაში განხორციელებას, რომელიც მათ ავალებდა ორი წლის განმავლობაში გადაეხადათ წინა წლების დარჩენილი გადასახადები. მემამულეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ მთავრობის ეს წყალობა და რადაც არ უნდა დაჯდომოდათ დარჩენილი გადასახადები ამოექაჩათ.

---

[28] სსსა, ფ. 31, ანაწ. 3, საქ. 26048, ფურც. 9.
[29] ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. 287, ფურც. 1, 9, 164, 165.
[30] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 169, ფურც. 6.

აღნიშნულ საფუძველზე აღმოცენებულმა ბრძოლამ საგლეხო რეფორმის განხორციელების პირველ დღეებიდანვე მძაფრი ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში ძირითადად დროებითვალდებული გლეხები მონაწილეობდნენ. დღე არ იყო ისეთი, რომ მემამულესა და გლეხს შორის რაიმე ინციდენტს არ ჰქონოდა ადგილი. „ამ საკითხებზე ყოველდღე შემოდის ხუთი საჩივარი",—წერდა გორის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი[31]. არ იყო სოფელი, სადაც ხსენებულ საკითხს შეხლა-შემოხლა არ გამოეწვია.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით შეშინებული სოლომონ ციციშვილი თბილისის გუბერნატორს სწერდა: „გლეხთ მანიფესტი გაიგეს ვითამც აღარ გარდახდებოდეთ წარსული წლების გარდასახადი. ამისათვის მიყვეს უარი და არ მომცეს ჩემი სამსახური"[32].

1865 წელს მარტო გორის მაზრის 298 სოფლის დროებითვალდებულმა გლეხმა აღიმაღლა ხმა წინა წლების გადასახადების წინააღმდეგ. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1866 წელს დუშეთის მაზრის 197, თელავის 85 და სიღნაღის მაზრის 92 სოფელში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ცნობები ასახავენ მხოლოდ სოფლების რაოდენობას, სადაც ათასობით გლეხური კომლი ცხოვრობდა, მაშინ გასაგებია, თუ რაოდენ ფართო ხასიათს ატარებდა გლეხთა მოძრაობა ამ დროს.

დებულებით, ნაყმევ გლეხებს ევალებოდათ ორი წლის განმავლობაში, არა მარტო დაეფარათ წინა წლების დარჩენილი გადასახადები, არამედ კვლავინდებურად გაეღოთ ყველა ის გადასახადი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), რომელსაც ისინი ბატონყმობის დროს იხდიდნენ. „1864 წ. 13 ოქტომბერს გამოცხადებული უმაღლესი მანიფესტით,— ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, — თბილისის გუბერნიის გლეხები ყმობიდან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ორი წლის განმავლობაში დარჩენილიყვნენ წინანდელ მდგომარეობაში და ეხადათ მემამულეებისათვის ყველა ის გადასახადები, რასაც აქამდე იხდიდნენ". მემამულეები ფართოდ იყენებდნენ ამ უფლებას, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა სოფლის მშრომელთა დამორჩილება.

1865 წლის 29 ოქტომბერს მემამულე კონო ერისთავი თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ჩემს დროებითვალდებულ გლეხებს არაერთხელ მოვთხოვე, რომ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ უარი გამომიცხადესო[33]. ასეთი შემთხვევები ერთეულები როდი იყო.

---

[31] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 29.
[32] ი ქ ვ ე, საქ. 429, ფურც. 16.
[33] ი ქ ვ ე, საქ. 28, ფურც. 29.

დებულების გამოცხადებამ კი არ შეანელა აგრარული მოძრაობა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა იგი. „გლეხები შეიქმნენ უმეტეს ამაყნი და მოურიდებელნი, -- წერდნენ ფავლენიშვილები. -- რითაც მისცეს მათზე დაყენებულს უფლებით მრავალი შეწუხება და მათ მებატონეთ უსიამოვნო შემთხვევები"[34]. ამასვე მიუთითებდნენ ციციშვილები[35]. 1865 წლის 29 ოქტომბერს კონო ერისთავი თბილისის გუბერნატორს ორლოვსკის მოახსენებდა: „გლეხები კატეგორიულად უარს აცხადებენ მათზე გაწერილ გადასახადებზე"[36]. ხოლო 1866 წ. 18 ნოემბერს ქართველ გლეხთა ურჩობით შეშინებული სოლომონ ციციშვილი კი გუბერნატორს ატყობინებდა: „ჩემ მორჩილებიდან გამოვიდნენ დროებითვალდებული გლეხები. 1865 წლიდან გარკვეული მიზეზების გამო უარს ამბობენ ყოველგვარ გადასახადებზეო"[37].

რეფორმის შემდეგ გლეხთა მოძრაობის გაძლიერების ფაქტს კიდევ უფრო ნათლად გადმოგვცემს გორის მაზრის უფროსი. იგი 1866 წელს თბილისის გუბერნატორს სწერდა: გლეხები მანიფესტის გამოცხადების პირველ დღიდანვე მემამულეებს მტრობენო[38].

ამრიგად, ბატონყმობისდროიდან შემორჩენილი გადასახადების დაფარვის კანონმდებლობით დაშვებამ, სხვა საკითხებთან ერთად, გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა სოფლად მშრომელ გლეხობაზე, აამაღლა მისი შემართება თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რეფორმის შემდეგდროინდელი პირველი წლები მწვავე ბრძოლებით აღინიშნა ოსეთის უბანში. აქაური გლეხები განიცდიდნენ სახნავსათესი მიწების ნაკლებობას, არ ჰქონდათ საძოვრები, ტყეები და სხვ. მართალია, საგადასახადო სისტემა საქართველოს ყველა სოფელში თავისებურ ხასიათს ატარებდა. მემამულეები ყველგან თავიანთი შეხედულებისამებრ ტენდენციურ მიმართულებას აძლევდნენ მას, მაგრამ იგი განსაკუთრებით მძიმე პირობებს უქმნიდა გლეხობას მთის ზონაში. გადასახადების გაწერის დროს მემამულეებს არავითარი კანონმდებლობა არ ზღუდავდა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რომელიც ადათით იყო დაწესებული.

რეფორმამდელ მთის ზონაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაჩაბლების, ერისთავების, ჯამბაკურ-ორბელიანების, ფავლენი-

---

[34] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 31, ფურც. 54.
[35] ი ქ ვ ე , საქ. 30, ფურც. 32.
[36] ი ქ ვ ე , საქ. 28, ფურც. 29.
[37] ი ქ ვ ე , საქ. 30, ფურც. 33.
[38] იქვე.

შვილების, ამილახვრების, ციციშვილების და სხვათა ყმების გამოსვლები.

არ დარჩენილა არც ერთი მემამულე, რომელთა წინააღმდეგ გლეხობას არა მარტო უბრალო პროტესტი, არამედ იარაღით ხელში არ გამოეცხადებინოს ბრძოლა. აქ ანტაგონიზმს ღრმა სოციალური ფესვები ჰქონდა, გლეხობა უარს აცხადებდა როგორც ბატონყმობისდროინდელ, ისე „გარდამავალი პერიოდის“ და სიგელებით გათვალისწინებული გადასახადების დაფარვაზე. 1865 წელს გრიგოლ ერისთავი საგლეხო საქმეების საკრებულოს ატყობინებდა: „ჩემი დროებითვალდებული გლეხნი მცხოვრებნი საბოლოკეში, გვიდისში, ინაურში, ელტურაში, დვილულში და სხვა სოფლებში უარს მეუბნებიან გადასახადებზე“[39]. ხოლო დავით ნიკოლოზის ძე ციციშვილი, კი მაზრის უფროსს აცნობებდა რა ზემო ხვედურეთში მცხოვრებ დროებითვალდებულ ლომიძეების ურჩობას, წერდა: „10 სექტემბერს, როდესაც შევუდექი გადასახადების აკრეფას, გლეხებმა გამიწიეს აშკარა წინააღმდეგობა, რომელიც სისხლის ღვრით დამთავრდა“[40].

მემამულეებსა და გლეხებს შორის ბეგარა-გადასახადების საკითხზე წარმოშობილი ინციდენტი ხშირად ჩვეულებრივი დავის ფარგლებს სცილდებოდა და ხელჩართულ შეტაკებამდე მიდოდა.

მემამულე ერისთავებსა და სოფელ ჯართისხევის (გორის მაზრა) დროებითვალდებულ გლეხებს შორის 1866 წელს წამოჭრილმა დავამ აშკარად შეიარაღებული ბრძოლის ხასიათი მიიღო. გლეხებმა შეწყვეტეს სანადელო გადასახადების გაღება. საქმეში ჩაერია მაზრის უფროსი. გამოიძახეს ურჩი გლეხები. მათ ცალ-ცალკე დაადებინეს პირობა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ მემამულეს, მაგრამ ამ ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა. მიუხედავად ამისა გლეხები მტკიცედ ამბობდნენ უარს გადასახადებზე.

„წესრიგის“ დამყარების მიზნით სოფელში გაიგზავნა „კოლეგსკი სეკრეტარი“ ჩივაძე. მან ადგილზე ჩასვლისთანავე განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ დაეფარათ გლეხებს დავალიანება, მაგრამ ჩინოვნიკ ჩივაძის განკარგულება გლეხებმა ყურად არ იღეს. „მათ (ჯართისხევეელებმა, — მ. ა.) წარმომადგენლები გაგზავნეს ჭურთის მცხოვრებლებთან, რომ ერისთავის ყველა დროებითვალდებული გლეხი ერთსულოვნად გამოსულიყო, შეკრებილიყო ჯართისხევში რათა ერთიანი წინააღმდეგობა გაეწიათ ხელისუფლებისათვის“[41].

---

[39] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 29.
[40] სსსა, ფ. 48, ანაწ. 2, საქ. 2179, ფურც. 122.
[41] სსსა, ფ. 31 ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 189, იხ. აგრეთვე „საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962, გვ. 134.

მეორე დღეს, ე. ი. 3 ივნისს, ჩივაძის განკარგულებით გლეხებს წაართვეს მსხვილფეხა პირუტყვი. ამან კიდეე უფრო აღაშფოთა გლეხები. კეტებით შეიარაღებული 50 ჭურთელი და ჯართისხეველი გლეხი ქუჩაში ჩაუსაფრდა ჩივაძეს. როდესაც იგი გამოჩნდა ყვირილით დაესხნენ თავს და განუცხადეს, რომ ეკლესიაში მიღებული ფიცის თანახმად, სანამ ცოცხალი არიან საქონლის წაყვანის უფლებას არავის მისცემდნენ. ამასთანავე დასძნედნენ, რომ საერობო ხელისუფლების მიერ მისჯილ გადასახადს ერისთავების სასარგებლოდ არ გადაიხდიდნენ[42].

1867 წლის 7 ივნისს მაზრის უფროსი გუბერნატორს სწერდა: „დავინახე რა ჯართისხეველებისა და ჭურთელების ასეთი ურჩობა მე ვუბრძანე გლეხებს დაშლილიყვნენ და წასულიყვნენ სახლებში, მაგრამ მათ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს"[43].

ჭურთელი და ჯართისხეველი გლეხების გამოსვლა წინასწარ მომზადებული ჩანს. ამაზედ მეტყველებს შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, გლეხები ფიცს ღებულობდნენ ერთად ებრძოლათ მემამულეთა წინააღმდეგ და მეორეც, იმისათვის, რომ ეს გამოსვლა უფრო ძლიერი ყოფილიყო მათ თავიანთი წარმომადგენლებიც კი გაგზავნეს სხვა სოფლებში მემამულეების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქადაგებლად.

1867 წლის გლეხთა გამოსვლამ ჯართისხევში იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მაზრის უფროსი, იძულებული გამხდარა მომრიგებელ-შუამავლისა და საკრებულოს წევრის გურამიშვილის თანხლებით ადგილზე ჩასულიყო შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად.

გლეხობის ძლიერმა საპროტესტო მოძრაობამ აიძულა მემამულე დავით ერისთავი ერთგვარ დათმობაზე წასულიყო, შეემცირებინა გადასახადები.

მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა დებულების გამოცხადების შემდეგდროინდელი პირველი წლები კახეთის სოფლებშიც.

1868 წლის აგვისტოში სოფელ შალაურში (თელავის მაზრა) მაჭავარიანების წინააღმდეგ გამოვიდნენ დროებითვალდებული გლეხები. მემამულემ საჩივრით მიმართა მომრიგებელ-შუამავალს. 22 აგვისტოს ადგილზე ჩავიდა მამასახლისი, სოფლის მოსამართლე და გზირი. მეფის მოხელეებმა მოსავლის ასაღებად გასულ წიგნაძეებს ღალა მოსთხოვეს:

---

[42] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 189.

[43] ი ქ ვ ე .

ბლეხებმა კატეგორიული უარი განაცხადეს[44]. ხელისუფლების წარმომადგენელთა განკარგულებით გამოყვეს მაჭავარიანისათვის მისაცემი ძნები. ამ ამბავმა გლეხები აღაშფოთა. შეიარაღებული გლეხები მისცვივდნენ მემამულეს და სცემეს, მისთვის განკუთვნილი და გადაწყობილი ძნები კი უკანვე წაიღეს, თანაც განაცხადეს „ვინც ჩვენ ხელს ნოგვაკარებს აქვე ადგილზე მოვკლავთო[45].

საჭირო გახდა გადამჭრელი ზომების მიღება. ურჩობის მოთაველები — საბა ვაშაკიძე, გაბრიელ, სტეფანე, გიგლა, ისაკი, ბეთო, შაქრო, იაკობ, სიმონ, დიმიტრი წიგნაძეები დააპატიმრეს. თითოეულ მათგანს ათითო წლით პატიმრობა მიესაჯა.

როგორც ნაშრომის წინა თავში აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის სიგელების შედგენა ძირითადად დამთავრდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა. პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა, რომ ბრძოლა თანდათანობით მწვავე ხასიათს მიიღებდა, ეს გარემოება მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადლივ დაადასტურა.

თავდაპირველად უმალვე გამოირკვა, რომ გლეხების დიდი ნაწილისათვის არ იყო ცნობილი სიგელით გათვალისწინებული პირობები. ამით სარგებლობდნენ მემამულეები და მოტყუების გზით გლეხებს თავიანთ სასარგებლოდ შედგენილ სიგელებზე აწერინებდნენ ხელს. როცა გლეხობა მემამულეების განზარხვას მიხვდა, მათ უარი განაცხადეს სიგელით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე. მემამულეთა ცდა თავიანთი „იურიდული სიმართლე" შეცდომაში შეყვანილი გლეხების სიგელებზე ხელმოწერით დაედასტურებინათ, მარცხით დამთავრდა. გლეხები მთელის პირდაპირობით ამხილებდნენ მემამულეთა თვალთმაქცობას.

ბრძოლამ შეუპოვარი ხასიათი მიიღო. ვერავითარმა ძალდატანებამ ვერ გატეხა გლეხობის წინააღმდეგობა. აღნიშნული გარემოებით გამწარებული გორის მაზრის მემამულეები ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში განცხადებას განცხადებაზე აგზავნიდნენ „საწესდებო სიგელების შედგენის მიუხედავად დროებითვალდებული გლეხები თავიანთ პირობას არ ასრულებენ[46] — იწერებოდნენ ამილახვრები. იგივე აზრია გამოთქმული დავით მაჩაბელის მიერ 1873 წლის 15 ივნისს შედგენილ

---

[44] სსსა, ფ. 116, ანაწ. 1, საქ. 131, ფურც. 10. იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორია ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 1962 წ. გვ. 134.

[45] სსსა, ფ. 116, ანაწ. 1, საქ. 131, ფურც. 15.

[46] იქვე, საქ. 138 ფურც. 5.

საჩივარში, მასში ეკითხულობთ: „შუაცხვირელი გლეხები უარს ამბობენ სიგელით გათვალისწინებულ გადასახადებზე. კეტებით გამოდიან ჩემს წინააღმდეგ. ეს სხვას არაფერს არ ნიშნავს გარდა იმისა, რომ მათ სურთ საგანგებო თავდასხმა მოაწყონ ჩემს მოსაკლავად, ამგვარ მკვლელობებს ესოდენ ხშირი ხასიათი აქვს გორის მაზრაში"[47].

თუ რაოდენ მწვავე ხასიათი მიიღო გლეხთა მოძრაობამ სოფლად ამას მოწმობს აგრეთვე 1872 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებული თბილისის გუბერნატორის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წერია: „სოფელ გორგაშენის გლეხები... წინააღმდეგობას უწევენ მემამულეს და მოუწოდებენ სხვა სოფლის გლეხებსაც მათ მაგალითს მიბაძონ"[48]. 1874 წელს გარეჯვარელი ამილახვრები აღნიშნავდნენ „გლეხები არ იხდიან პურის, სიმინდის, ქერის, ღვინის, თივისა და სხვა სახის გადასახადებსო"[49].

ამრიგად, საწესდებო სიგელების შედგენამ, რომელსაც ერთგვარი გარკვეულობა უნდა შეეტანა მემამულისა და დროებითვალდებული გლეხის ურთიერთობაში, არამცთუ შეანელა კლასობრივი ბრძოლა, არამედ კიდეც უფრო გაამწვავა იგი. გლეხებმა დაინახეს, რომ სიგელებში შეტანილი პირობები კარგს არაფერს უქადდა მათ და ამიტომაც ერთხმად აღიმაღლეს ხმა ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ.

გლეხები არამცთუ უარს აცხადებდნენ სიგელებით გათვალისწინებული მოსავლის ნაწილის გადახდაზე, არამედ იმისათვის, რომ მემამულეებს მათი შრომის ნაყოფით არ ესარგებლათ. დემონსტრაციულად ანადგურებდნენ მოსავალს. აღნიშნულის გამო ერისთავები ჩიოდნენ: „გლეხები არამცთუ იხდიან გადასახადებს ჩემს მამულიდან მიღებულ ნადელებზე, არამედ ერთიანად აჩანაგებენ მთელ მოსავალს"[50]. ასეთივე შინაარსისაა ამილახვრების, მაჩაბლების, ციციშვილების, ანდრონიკაშვილების და სხვ. საჩივრები.

გლეხები არაფერს არ ერიდებოდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად. ისინი სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მემამულეებს. „გლეხებმა უფლება მისცეს თავს უადგილო და აღმაშფოთებელი ხასიათის გამოთქმებისა" — ატყობინებდა გორის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს 1875 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში.

ნატურალური გადასახადების ირგვლივ გამოწვეულმა კლასობრივ-

---

[47] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 466, ფურც. 22.
[48] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 53.
[49] ი ქ ვ ე, საქ. 392, ფურც. 95.
[50] ი ქ ვ ე, საქ. 473 ფურც. 3.

მა ბრძოლამ დასავლეთ საქართველოშიც იფეთქა. მემამულე გერონტი წულუკიძის მიერ საგლეხო საქმეების საკრებულოში აღძრულ საჩივარში ვკითხულობთ: „...დროებითვალდებულ ყმებთა ჩემთა მცხოვრებთ ჩხარის უჩასტკაშიევ სოფ. სიქთარუას... ცხადაძეთ წაბაძეს რა სხვათა ვალდებულთ განაცხადეს ჩვეულებრივ სამსახურზედ უარი" (ხაზი ჩვენია, — მ. ა.)[51].

მოტანილი დოკუმენტი კომენტარს არ საჭიროებს. იგი ნათლად მეტყველებს გლეხთა მასობრივ მოძრაობაზე ქუთაისის გუბერნიაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფ. საზანოს, კაცხის, საქარის, ჭალატყის, ზავრეთის, ტყემლიან ვაკის, რგანის და მორძგვეთის გლეხთა მღელვარება (შორაპნის მაზრა), რომელიც მემამულე აბაშიძეების წინააღმდეგ იყო მიმართული[52].

ზემოაღნიშნული სოფლის გლეხები თავიანთი საპროტესტო გამოსვლებით ჯერ კიდევ სიგელების შედგენის დროს ვამოირჩეოდნენ[53]. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც მემამულეებმა სიგელებით გათვალისწინებული ვადასახადების ანაზღაურება მოითხოვეს. 1883 წელს სოფ. მორძგვეთის დროებითვალდებულ გლეხთა 74 კომლი აშკარა ბრძოლის გზას დაადგა. მღელვარების მოთავეებმა დავით ღვალაძემ, გოგია, კასიანე და იორდანე კაპანაძეებმა სოფლის ეკლესიის ეზოში მოუყარეს თავი გლეხობას. სიტყვაში გამოსულები მოუწოდებდნენ დამსწრეთ წინააღმდეგობა გაეწიათ მემამულისათვის, უარი განეცხადებინათ ბეგარა-გადასახადების გადახდაზე. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ ეკლესიაში და ფიცს დებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ თავიანთი ინტერესების დასაცავად. შეკრებილთა უმრავლესობა სიკვდილით ემუქრებოდა მათ, ვინც ფიცის დადებაზე უარს იტყოდა.

მომრიგებელი შუამავალი და მემამულე აბაშიძე (საბუთებში მემამულის სახელი მოხსენებული არ არის) სოფელ მორძგვეთში გაეშურ-

---

[51] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 813, ფურც. 2.

[52] ქუთაისის სსა, ფ. 32, ანაწ. 2, საქ. 2472.

[53] შორაპნის მაზრის სოფლების — საზანოს, კაცხის, საქარის, ჭალატყის, ზავრეთი ტყემლიან ვაკის, რგანის და მორძგვეთის გლეხები ჯერ საეკლესიო, შემდეგ კი სახელმწიფო კატეგორიას ეკუთვნოდნენ. მემამულე აბაშიძეებმა აღძრეს საქმე მათი დროებითვალდებულთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ. დიდი დავის შემდეგ — 1886 წელს საქმე აბაშიძეების სასარგებლოდ დასრულდა. დაიწყო სიგელების შედგენა, რამაც გლეხობის წინააღმდეგობა გამოიწვია. მაგრამ ადგილზე ჩავიდა ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულობის წევრი პოლკოვნიკი პრინცი და შეძლო სიგელების შედგენა და გლეხთა წინააღმდეგობის გატეხვა.

ნენ გლეხების დასაშოშმინებლად, მაგრამ მათ სოფელში ისეთი სიტუაცია დახვდათ, რომ იძულებული გახდნენ გაპარულიყვნენ.

მღელვარების ადგილზე კვლავ ჩავიდა მომრიგებელ-შუამავალი. ამჯერად მისი ტონი უფრო კატეგორიული და მკაცრი იყო. მან შეკრიბა გლეხები და გააფრთხილა: „უკეთესი იქნება, — აღნიშნავდა იგი, — ნებაყოფლობით თუ დათანხმდებით გადასახადების დაფარვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალა იქნება გამოყენებული“[54].

ვერც ამან გაჭრა. პირიქით, თუ აქამდე გლეხები მხოლოდ მუქარას ჯერდებოდნენ, ახლა შეტევაზე გადავიდნენ, თავს დაეხსნენ მომრიგებელ-შუამავალს, წაართვეს ჩანთა, ამოუყარეს სიგელები და დაწვეს, შემდეგ კი ყვირილითა და ქვების სროლით გააძევეს სოფლიდან.

ამ ამბავმა ქუთაისის გუბერნიის მმართველობისა და თვით მეფისნაცვლის ყურამდეც კი მიაღწია. ქუთაისის გენერალ-გუბენრატორმა მორძგვეთელების სამაგალითო დასჯა მოითხოვა. მისი განკარგულებით სოფელში „ეგზეკუცია ჩააყენეს; ხოლო დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები კი დააპატიმრეს“[55].

მორძგვეთის გარდა ნატურალური გადასახადების გამო დროებითვალდებულ გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე 1871 წელს ზორგაშენში[56], ატოცში[57], ხვედურეთში,[58] ბრილში, ლამისყანაში, კასპში, კარალეთში[59] (გორის მაზრა), კუმისში, მარაბდაში (თბილისის მაზრა); შალაურში, ზეგანში (სიღნაღის მაზრა), ნაფარეულში, შილდაში, ბრეშში, ალტაში (თელავის მაზრა), 1872 წელს — მეჯვრისხევში, გარეჯვარში (გორის მაზრა), კურდღელაურში (სიღნაღის მაზრა)[60]; 1875 წელს —ფცაში, 1880 წელს — თხინვალში, ანდარეთში, ბეკმარში. 1881 წელს — ხვედურეთში, 1882 წელს — გერგეთში 1882 წელს — ხურამში, გორის თავში (გორის მაზრა) და მთელ რიგ სხვა სოფლებში.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა ჩარეულიყო ამ საქმეში. 1875—1876 წლებში კავკასიის კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლითაც ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა განსაკუთრებული სიმტკიცე გამოეჩინათ დარჩენილი გადასახადების ამოსაღებად. საჭიროების შემთხვევაში არ დარიდებოდნენ მკაცრ ზომებსაც კი[61].

---

[54] ქუთაისის სსსა, ფ. 32, ანაწ. 2, საქ. 2472, ფურც. 5.
[55] იქვე, ფურც. 5.
[56] სსსა, ფ. 31 ანაწ. 1, საქ. 947, ფურც. 1.
[57] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 44, ფურც. 8.
[58] იქვე.
[59] იქვე, ფურც. 4.
[60] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 17, ფურც. 17.
[61] ЦГИАЛ, ф. 1291, оп. 37, дел. 90, л. 18.

მიწით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადები უარყოფით გავლენას ახდენდა გლეხური მეურნეობის შრომის ნაყოფიერებაზე. როგორც ცნობილია, გლეხი ვალდებული იყო ღალა-კულუხის სახით მემამულისათვის მოსავლის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ერთი მეოთხედი მიეცა. ღალა-კულუხის სახით შეწერილი მოსავლის ნაწილის გაღება დიდ ტვირთად აწვა გლეხს. იგი ნაკლებად იყო დაინტერესებული თავისი მეურნეობის გაუმჯობესებით, რაც ძირს სცემდა პროდუქტიულობას. ღალა-კულუხის გაღების უარყოფით გავლენას სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე არც ცარიზმის ოფიციალური ორგანოები მალავდნენ. აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართოთ ფაქტებს. „კავკასიის კომიტეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ „არსებული ნატურალური გადასახადი უსამართლოა, რადგანაც იგი დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე და იცვლება მოსავლის მიხედვით"[62]. სრული სიმართლეა, რადგანაც რაც მეტ მოსავალს მიიღებდა გლეხი მით უფრო მეტი რაოდენობით იხდიდა იგი მემამულის მიწით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადს.

მოსავლის ერთი მეოთხედის მემამულისათვის ჩაბარების უარყოფით გავლენას მიუთითებს ილია ჭავჭავაძე. მისი აზრით, იგი დამღუპველად მოქმედებდა მწარმოებელ კლასზე, ხალისს ართმევდა მას გაეუმჯობესებინა მეურნეობა, გაედიდებინა შრომის ნაყოფიერება და გაეზარდა მოსავლიანობა. „ეკონომიურის მხრივ, — წერდა ილია, — წილყრას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ მაინცდამაინც მავნებელი შედეგი მოსდევს, რადგანაც აქ შრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად სხვასაც წილი უდევს, გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგაშომეტებითი მხნეობა, შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებად მუშაობს. მაშასადამე, შრომა გლეხისა იმდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამდენადაც ეს შესაძლოა. ეს ერთი. მეორე — მიწის განაყოფიერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ, რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს"[63].

ნატურალური გადასახადების ბატონობის პირობებში ძალზე ძნელდებოდა მოსავლის მესამედის, თუ მეოთხედის განსაზღვრა, უკმაყოფილებას იწვევდა მისი ანაზღაურებაც.

შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე ისიც, რომ ხშირად მოსავლის მეოთხედის ნაცვლად გლეხს მესამედს აწერდნენ.

---

[62] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 21, дел. 216, л. 2; ф. 1265. оп. 1, дел. 218, л. 2.
[63] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, 1956, გვ. 10—11.

ნატურალური გადასახადების ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლის გამწვავებამ ხელისუფლება აიძულა რაიმე ეღონა. მდგომარეობიდან გამოსავალს ი. ჭავჭავაძე „გადაჭრილი“ გადასახადების დაწესებაში ხედავდა. ამ ღონისძიებების განხორციელებას ილიას სიტყვებით „ის სიკეთე მაინც მოსდევდა, რომ გლეხს ცოტად თუ ბევრად ხელს უწყობდა „მამულის გაკეთებისათვის“ ხარჯი გაეწია, უფრო ხალისიანად ემუშავა, მეტი მხნეობა და მეცადინეობა გამოეჩინა. და ეს იმიტომ, რომ აქ „მომატებულის ხარჯისა და შორმის მონაგები“ მთლიანად გლეხისა იყო. „გადაკვეთილს ღალას კი, — წერდა ილია, — ის სიკეთე მაინც მოსდევს, რომ ბევრია თუ ცოტა გლეხსა ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მომეტებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულიად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის განაწილებისა. აქ შრომა ცოტად თუ ბევრად თავისუფალია და რამდენადაც თავისუფალია, იმდენად ყოველად შემძლებელიც არის“[64].

მთავრობას სერიოზულად აფიქრებდა შექმნილი მდგომარეობა და გამოსავალს ნატურალურიდან ფულად გადასახადებზე გადასვლაში ხედავდა; მაგრამ ეს პროცესი მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ანგარიში უნდა გაწეოდა გლეხის შესაძლებლობას, ადგილობრივ ბაზრებზე გლეხური წარმოების პროდუქციის საქონლად გადაქცევას და მის მიმოქცევას, მიწის ნაყოფიერებას, მასზე გაწერილი ღალა-კულუხის ოდენობას და სხვ.

ნატურალურ გადასახადებიდან ფულადზე გადაყვანა ამ დროისათვის უსათუოდ დადებითი მოვლენა იყო.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30 — 40-იან წლებში საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათან ფეხს იკიდებდა წარმოების კაპიტალისტური წესი, მნიშვნელოვნად ვითარდებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, იზრდებოდა ფულზე მოთხოვნილება, ქართველი მემამულეები, რომელთა შემოსავლის წყაროს ყმა გლეხების შრომა წარმოადგენდა, შეეცადნენ გლეხებზე გაწერილი ნატურალური გადასახადები ფულადით შეეცვალათ; ეს ღონისძიება შედარებით პროგრესული იყო, რადგანაც ფულად გადასახადებს არ შეეძლო შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა.

მართალია, ფულად გადასახადებზე გადასვლა ჩვენში ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე დაიწყო, მაგრამ მე-19 საუკუნის 70-იან

---

[64] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, 1956, გვ. 19.

წლებშიც კი ეს პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. გაძნელდა მოსავლის მეოთხედის შესატყვისი ფულადი გამოსაღების დადგენა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავრობას გაუჭირდა ნატურალური გადასახადების შესატყვისი მასშტაბით ფულზე გადატანა.

მემამულეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რაოდენობის ფულადი გადასახადების დაწესებას მოითხოვდნენ. 1873 წლის 26 იანვარს სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი გუბერნატორს ატყობინებდა: „ფულადი გადასახადები, ნატურალურის მაგივრად, ერთ დღიურ სახნავ მიწაზე ურწყავ ადგილებში, რომელიც არ გამოირჩევა განსაკუთრებული სინოყიერით, არ უნდა აღემატებოდეს 1 მან. 80 კაპ."[65] სამაგიეროდ, ოსეთის უბანში გლეხები მოითხოვდნენ სათიბ-საძოვარი ადგილებით სარგებლობისათვის ფულადი გადასახადის განსაზღვრას 1 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით. მემამულეები კი პირიქით-გაცილებით მეტს. ამიტომ მათ შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. დუშეთის მაზრის II განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი მაზრის უფროსს სწერდა: „გლეხთა არცერთი კომლი არ დაეთანხმა ნატურალური გადასახადების გაზრდილი ფულადი გადასახადებით შეცვლას"[66].

მემამულეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ფულადი გადასახადების დაწესებას, გლეხები კი, თავიანთ მხრივ, გზას უღობავდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლების მიერ ნატურალურიდან გაზრდილ ფულად გადასახადზე გადასვლას. როგორც სოფლების — ზოდეხის, ცხრაძმისა და დაბაკნეთის (გორის მაზრა) მომრიგებელ-შუამავალი იწერებოდა: „გლეხები კატეგორიულ უარს აცხადებენ გაზრდილ ფულად გადასახადებზე"[67]. წინასოფლის, ბოგინის, მაციანთკარის და სხვ. სოფლების გლეხებმა უარი განაცხადეს ნატურალურის ფულადი გადასახადებით შეცვლაზე და წარმომადგენლები გაგზავნეს თბილისში ზემდგომ ორგანოებთან მოსალაპარაკებლად[68].

ნატურალურიდან ფულად გადასახადებზე გადასვლასთან დაკავშირებულ სიძნელეებსა და სირთულეზე მიუთითებდა თბილისის გუბერნატორიც. „გლეხების მძიმე მდგომარეობის გამო გაძნელდა ფულად გადასახადებზე გადასვლა"[69]. ამიტომ იგი მოითხოვდა ჯერჯერობით „კვლავ ძალაში დარჩენილიყო ნატურალური გამოსაღები"[70].

---

[65] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 733, ფურც. 10—11.
[66] იქვე, საქ. 499, ფურც. 47.
[67] იქვე, საქ. 287, ფურც. 94—95.
[68] იქვე, ფურც. 95.
[69] იქვე.
[70] იქვე.

1870 წელს თბილისის მაზრის I განყოფილებაში 400 კომლზე მეტმა გლეხმა განაცხადა უარი გაზრდილ ფულად გადასახადებზე, 1871 წელს ახალციხის მაზრაში კი — 275 გლეხმა. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები გაჩაღდა გორის მაზრის მთის ზონაში. აქ 1871 წელს 1447 კომლი გამოვიდა გაზრდილი ფულადი გადასახადების წინააღმდეგ, სიღნაღის მაზრაში — 984, ხოლო 1873 წელს კი 1073 კომლი. გორის მაზრის II განყოფილებაში 1872 წელს მემამულეებსა და გლეხებს შორის ფულად გადასახადებზე უკმაყოფილებისა და დავის 1737 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2159 კომლმა[71]

დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის გადასახადების გადახდისუნარიანობის დაქვეითების გამო, ფულად გადასახადებზე უარისთქმასა და ამის შედეგად წარმოშობილი კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეზე კარგად მეტყველებს გლეხებზე დარჩენილი გადასახადები.

1874 წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობაზე დარჩენილი გადასახადების რაოდენობა შეადგენდა 20 768 მანეთს, 1876 წელს — 23.657 მანეთს, 1878 წელს კი მან 116.896 მანეთს მიაღწია[72]. თუ თბილისის გუბერნიაში დარჩენილი გადასახადები 1881 წელს 205.476 მანეთს შეადგენდა, 1882 წლისათვის იგი 276.848 მანეთამდე გაიზარდა[73].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დარჩენილი გადასახადების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ეს ფაქტი კი კლასობრივი ბრძოლის თავისებური გამოვლინებაა.

ზოგიერთ სოფელში გლეხები სულ არ იხდიდნენ ფულად გადასახადებს, ზოგში კი დარჩენილი გადასახადები საგრძნობლად აღემატებოდა ახლად გაწერილს. მაგალითად, ქვემო არწევის გლეხებზე 1882 წელს გაწერილი იყო 83 მან., ხოლო იმავე გლეხების წინა წლებში დარჩენილი გადასახადები კი 1042 მანეთს შეადგენდა, ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი გორის მაზრის სხვა 123 სოფელში[74].

ეხებოდა რა გლეხების მხრივ გადასახადების დაფარვის უნარიანობის დაქვეითებას, თბილისის გუბერნატორი 1881 წელს წერდა: „ყოველწლიურად იზრდება წინააღმდეგობა გადასახადების აკრეფის საკითხზე“[75]. გუბერნატორის ეს მოხსენება იმპერატორთან მოხვდა. ამ

---

[71] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 733, ფურც. 8—9.
[72] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 308, ფურც. 55.
[73] ЦГИАЛ ф. 1284, оп. 223, дело 47, л. 4.
[74] სსსა, ფ. 48, ანაწ. 2, საქ. 2022, ფურც. 1—25.
[75] ЦГИАЛ ф. 1284, оп. 223, дел. 47, л. 27.

უკანასკნელს მოხსენების ზემოთ ციტირებულ ნაწილისათვის ხაზი გაუსვამს და წაუწერია, რომ: შინაგან საქმეთა მინისტრს წერილში აღბრული საკითხისათვის ყურადღება მიექცია[76].

მთავრობა მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფის საქმეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და მზად იყო ყოველგვარი ზომები მიეღო მის მოსაგვარებლად. თბილისის გუბერნატორი 1880 წელს მაზრის უფროსებს სწერდა, რომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ წარედგინათ მისთვის ცნობები გადასახადების დაფარვის მიმდინარეობის შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლები არაფერს არ ერიდებოდნენ, მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალებიც კი გამოეყენებინათ[77]. ეს ფაქტი ნათლად მიგვითითებს, რომ სოფლად აღმოცენებული გლეხთა მოძრაობა საკმაოდ საშიშ ხასიათს ატარებდა.

ამრიგად, ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლის შედეგად მოთხოვნილება ფულზე გაიზარდა. „გლეხს ფული... უნდა ეშოვნა რადაც უნდა დაჯდომოდა: გადასახადთა შესატანადაც, რომელიც ასე გაადიდა კეთილმყოფელმა რეფორმამ, მიწის იჯარით აღებისთვისაც, საფაბრიკო მრეწველობის იმ მცირეოდენი პროდუქტების საყიდლადაც, რომლებმაც თანდათან განდევნეს გლეხის შინნაწარმი პროდუქტები, პურის საყიდლადაც და სხვ."[78].

აღნიშნულ პერიოდში სოფლად ფულადი გადასახადების გვერდით ნურიდიულ ძალას ინარჩუნებდა აგრეთვე ნატურალური გამოსაღებიც. ამიტომ ქართველი გლეხი იძულებული იყო ებრძოლა როგორც ერთი, ისე მეორე სახის გადასახადის წინააღმდეგ.

* * *

1868 წლის 14 აგვისტოს კავკასიის მთავარსამმართველოს უფროსმა ბარონ ნიკოლაიმ ხელი მოაწერა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ნადელების გამოსყიდვის განაწესს. იგი შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: პირველი შეეხებოდა გლეხების მიერ მთავრობისაგან მიღებული სესხის საშუალებით სანადელო მიწების შესყიდვას, ხოლო მეორე — მესაკუთრე გლეხების უფლება-მოვალეობათა საკითხებს.

განაწესის პირველ განყოფილებაში მოცემული იყო ნადელების შესყიდვის ზოგადი დებულებანი. კერძოდ, „ნაკაზის" მეორე პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა: „გლეხებს, რომლებიც გამოვიდნენ ბატონყმუ-

---

[76] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 71, дел. 4259, л. 255.
[77] სსსა, ფ. 48, ანაწ. 2, საქ. 2223, ფურც. 15.
[78] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 4, გვ. 519.

რი დამოკიდებულებიდან თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში, შეეძლიანთ შეიძინონ მათთვის გამოყოფილი ნადელები: სამოსახლო, საბაღე, სავენახე, სახნავ-სათესი მიწა და სხვ.“ ამ პუნქტს მოსდევდა მესამე მუხლი, რომელიც ნადელების შესყიდვის საქმეს მთლიანად მემამულეზე დამოკიდებულს ხდიდა. სახელდობრ, გლეხს არ შეეძლო ნადელის შესყიდვა, თუ მემამულის თანხმობა არ ექნებოდა.

ნადელების შესყიდვა ხდებოდა როგორც ცალკე გლეხური კომლების, ისე მთელი ამხანაგობის, ან სასოფლო საზოგადოების მიერ. გლეხს შეეძლო შეეძინა როგორც მთლიანი, ისე შემცირებული ნადელი. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ორმხრივი შეთანხმება. თუმცა აქაც საბოლოო სიტყვა მემამულეს ეკუთვნოდა. 37-ე მუხლში პირდაპირ აღნიშნული იყო: „თუ გლეხს აქვს სურვილი შეისყიდოს მთლიანი ნადელი, მაგრამ მემამულე ამის წინააღმდეგია, ამ უკანასკნელს შეუძლია თავის სურვილისამებრ გლეხს მისცეს სანადელო მიწის ნაწილი“.

მეორე მხრივ, წესდება განმარტავდა: „თუ ნადელების შესყიდვა ხდება მემამულეთა ცალმხრივი მოთხოვნით, მაშინ მემამულე ჯერდება მხოლოდ მთავრობის სესხს, ხოლო დანარჩენი შესატანისაგან გლეხი თავისუფლდება“.

დებულების ძალით მემამულეს შეეძლო მოეთხოვა დროებითვალდებული გლეხისათვის ნადელის აუცილებლად შესყიდვა. წესებში ნათქვამი იყო, რომ თუ ნადელის შესყიდვა მემამულის ცალმხრივი მოთხოვნით ხდება, გლეხებს შეუძლიათ უარი თქვან სავენახე და სამოსახლო მიწების შესყიდვაზე და დაიტოვონ იგი მუდმივ სარგებლობაში. აქვე მოცემული იყო განმარტება, რომ „თუ დროებითვალდებული გლეხი ნადელის შესყიდვაზე უარს იტყვის, ამ შემთხვევაში აქამდე მის მიერ დაკავებული მიწა, მართალია, მისივე სარგებლობაში დარჩება, მაგრამ ვალდებული იქნება დაკავებული მიწის სარგებლობისათვის მემამულეს გადასახადი აძლიოს“. ეს პუნქტი გლეხს კვლავ მემამულესთან მიჯაჭვულსა და მუდმივად დროებითვალდებულს ხდიდა.

ამრიგად, ნადელების გამოსყიდვის წესების ძირითადი მუხლები მებატონეთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მათ სასარგებლოდ მოქმედებდა.

ნადელების გამოსყიდვა შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა. ამ მიზნით ფორმდებოდა სპეციალური ხელშეკრულება, სადაც უნდა აღნიშნულიყო: მემამულის გვარი, სახელი, მამის სახელი, გუბერნიის, მაზრის, სოფლის საზოგადოების დასახელება, კომლთა რაოდენობა, სანადელო მიწების საზღვრებისა და მასზე დაწესებული გადასახადების ჩვენებით. გადასახადებში შეტანილი ცვლილებები, მათი საფუძველი,

გლეხები ნადელს სრულად იძენდნენ თუ შემცირებული სახით და ა. შ.

ცალკეული ვალდებულებანი, რომლებსაც მოპირდაპირე მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კისრულობდნენ. შეიძლება განსაზღვრულიყო განსაკუთრებული ხელშეკრულებით, ანდა პირდაპირ შეტანილიყო საგამოსყიდვო შეთანხმებაში.

შეთანხმებას ხელს აწერდნენ ორივე მხრის წარმომადგენლები. შემდეგ მას ამოწმებდა მომრიგებელ-შუამავალი და 3—6 კეთილსინდისიერი მოწმე მეზობელი მამულებიდან.

შეთანხმების დადების შემდეგ მომრიგებელ-შუამავალი ადგილზე ამოწმებდა გამოსასყიდ ნაკვეთს, მემამულესა და გლეხებს შორის დადებულ გარიგებას — რამდენად ურთიერთგაგების საფუძველზე მოხდა შეთანხმება. მაშინ, როცა სანადელო მიწების შესყიდვა მემამულეთა მოთხოვნით ხდებოდა, მომრიგებელ-შუამავალი ამ მოთხოვნას უგზავნიდა საგლეხო საზოგადოებას, რომელიც ვალდებული იყო განეხილა იგი ყრილობაზე და დასკვნა შუამავლისათვის ეცნობებინა. ამის შემდეგ ბასალები მიდიოდა საგლეხო საქმეების საკრებულოში. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერს არ ნიშნავდა. თავის მხრივ, საკრებულო აგზავნიდა შეკითხვებს ყველა საკრედიტო დაწესებულებაში იმის დასადგენად, ირიცხებოდა თუ არა რაიმე ვალი აღნიშნულ მამულზე, დაბოლოს, მთელი ეს მასალა იგზავნებოდა მთავარ საგამომსყიდვო დაწესებულებაში, რის საფუძველზედაც ხდებოდა გამოსასყიდი სესხის დაშვება. რაც შეეხება თვითონ სესხის გამოყოფის საკითხს, იგი შემდეგნაირად ფორმდებოდა: პირველ რიგში მასალები მიდიოდა კავკასიის სახაზინო პალატაში, ხოლო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ცნობა ქვეყნდებოდა გაზეთ „კავკაზში“ ყველა კრედიტორის საყურადღებოდ.

იმ თანხიდან, რომელიც ნადელების გამოსყიდვისათვის იყო გამოყოფილი, პირველ რიგში ის ვალები უნდა დაფარულიყო, რომლებიც მემამულეს ჰქონდა აღებული. ზოგჯერ ეს ვალები დაშვებულ სესხს საგრძნობლად აღემატებოდა. ასეთ შემთხვევაში განსხვავებული თანხა მთლიანად მემამულეს ეწერებოდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისათვის სათავადაზნაურო მიწების დიდი ნაწილი დაგირავებული აღმოჩნდა. გადაწყდა, ასეთ მამულებზე „საგანგიოს“ მეთვალყურეობის დაწესება. მემამულეები ვალდებული იყვნენ დაგირავებული მამულის მთელი შემოსავალი ვალის დასაფარავად გამოეყენებინათ. მათ ეკრძალებოდათ ამ მიწების გლეხებისათვის ნადელებში მიცემა, მაგრამ სხვადასხვა გზით ისინი მაინც ახერხებდნენ ასეთი მიწების გლეხებისათვის მიზომვას.

ცხადია, გლეხებს არ აინტერესებდათ სადავო მამულების ნადე-

ლებად მიზომვა, მემამულეებს კი — პირიქით. მათი ამგვარი მოქმედება გასაგებია. ჯერ ერთი „საგანგიოში“ დაგირავებული მიწები მათთვის თითქმის დაკარგულად ითვლებოდა, რადგანაც მათში სესხის სახით ერთხელ უკვე მიღებული ჰქონდათ გარკვეული თანხა, ნადელებში მიზომვით ისინი ფაქტიურად გლეხებზე მეორედ ყიდდნენ მას და ამასთანავე ფაქტიურად ხელუხლებლად ინარჩუნებდნენ თავიანთ მამულს. მემამულეთა ამგვარი მოქმედება გლეხობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ამაზე აშკარად მეტყველებს საჩივრები ქართლის, კახეთისა და იმერეთის სოფლებიდან[79].

მემამულეები სესხს ღებულობდნენ არა გლეხებისათვის ფაქტიურად მიცემული სანადელო მიწების ოდენობის შესაბამისად, არამედ სიგელში აღნიშნული ფართობის მიხედვით. ეს ორი გარემოება კი აშკარად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. გლეხის მიერ მიღებული ნადელის რაოდენობა სიგელში აღნიშნული მიწების მოცულობას არასდროს არ ემთხვეოდა.

ამრიგად, მემამულეთა თვალთმაქცობის შედეგად გლეხი სანადელო ღალა-კულუხს მის მიერ ფაქტიურად დაკავებულ მიწაზე კი არ იხდიდა, არამედ ხშირად მემამულის მფლობელობაში მყოფ ნაკვეთებზედაც (რომლებიც სიგელებში გლეხებზე იყო გაფორმებული). საქმე ის არის, რომ ამავე დროს გლეხი სესხსა და მის პროცენტებსაც შესატყვისად გადიდებული რაოდენობით იხდიდა, ვიდრე ეს დაკავებული სანადელო მიწაზე ეკუთვნოდა.

მთავრობის მიერ გამოსყიდვით შეთანხმების დამტკიცების შემდეგ ყველა წინანდელი საადგილმამულო ვალდებულებანი მემამულეებსა და გლეხებს შორის წყდებოდა და ეს უკანასკნელი მესაკუთრეთა კატეგორიას ღებულობდნენ.

ნადელების გამოსყიდვის საქმეების ხელმძღვანელობა ცენტრალურ გამოსყიდვით დაწესებულებას ევალებოდა, რომელიც ტერიტორიულად პეტერბურგში იმყოფებოდა, ხოლო ადგილებზე მას გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოები განაგებდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ განეხილათ და დაემტკიცებინათ ნადელების გამოსყიდვის შეთანხმებები და შემდეგ კი მთავარი გამოსყიდვის დაწესებულებისათვის წარედგინათ სესხის დასამტკიცებლად. საკრებულოები ვალდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ შეთანხმებაში დაცული პირობების ზუსტად და დროულად შესრულებისათვის, წარედგინათ

---

[79] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 398, ფურც. 57.

ინგარიშები სათანადო ორგანოებში გამოსყიდვის ძიმდინარეობის შესახებ და სხვ.

„ნაკაზში“ გარკვეული ადგილი ეჭირა მესაკუთრე გლეხთა უფლება-მოვალეობის საკითხებს. ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, გლეხების მიერ გამოსყიდული მიწების გაყიდვა პირველი 9 წლის განმავლობაში იკრძალებოდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი, გლეხს ამის უფლება ექ-ლეოდა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საგლეხო საკრებულოს ნებართვა ექნებოდა. ეს პირობა არა მარტო აძნელებდა ასეთი მიწების გაყიდვას, არამედ, საერთოდ, შეუძლებელსაც ხდიდა მას. ამავე დროს სახელმწიფო სესხის დაფარვამდე გლეხის მიერ გამოსყიდული მიწის დაგირავება არ შეიძლებოდა.

განსაკუთრებული მეთვალყურეობა წესდებოდა გამოსასყიდი სესხის ამოღებაზე. წესების თანახმად, სხვა გადასახადების გასტუმრებამდე, გლეხი ვალდებული იყო პირველ რიგში მთავრობის სესხი დაეფარა. პირველი შესატანი უნდა გადახდილიყო 1 იანვრიდან 1 მაისამდე, ხოლო მეორე კი — 1 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე, წესები ამ საქმის ხელმძღვანელობას გუბერნატორებს ავალებდა.

„ნაკაზის“ ის ნაწილი, სადაც სესხზეა საუბარი, აშკარად მეტყველებს, რომ ხელისუფლება, ნადელების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, სოფლის მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილებას მოელოდა; ამიტომაც იყო, რომ მან „ნაკაზში“ წინასწარ შეიტანა მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც „ურჩი“ გლეხების დამორჩილებასა და მათი წინააღმდეგობის გატეხვას ითვალისწინებდა. მთავრობა ვარაუდობდა ზემოქმედების ყოველგვარი საშუალებების გამოყენებას, მათ შორის რჩევა-დარიგებას, გარე სამუშაოზე იძულებით გაგზავნას, გამომუშავებული თანხით სახელმწიფო სესხის დაფარვას, ნადელების ჩამორთმევას, მისი საჯარო ვაჭრობით გაყიდვას[80], მთელი ქონების კონფისკაციას, დაბოლოს, „ურჩი გლეხების“ დაპატიმრებასაც კი[81].

ასეთია გამოსყიდვითი „ნაკაზის“ ძირითადი დებულებანი, რომლებიც ბურჟუაზიული ხასიათისა და შინაარსის იყო. ნადელების გამოსყიდვით უქმდებოდა დროებითვალდებულება — ბატონყმობის ეს გადმონაშთი, მაგრამ მისი გატარების მეთოდები აშკარად ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებდა.

ნადელების შესყიდვისას ძირითად ფაქტორს უპირველეს ყოვლისა მიწის ღირებულების განსაზღვრა შეადგენდა. იგი წარმოადგენდა სა-

---

[80] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1105, ფურც. 416—419.

[81] ი ქ ვ ე, საქ. 1046, ფურც. 14—15.

ფუძველს დროებითვალდებულ გლეხსა და მემამულეს შორის ახალი ურთიერთობის დასამყარებლად. მემამულეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მაღალ ფასებში მიეყიდათ ნადელები გლეხებისათვის, გლეხები კი — პირიქით. მოსალოდნელი გაურკვევლობისა და ამ საკითხთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულ იქნა ნადელების გამოსასყიდი თანხის განსაზღვრის საგანგებო წესები. „სანადელო მიწის გამოსასყიდელი ფასის გამოანგარიშება ხდებოდა შემდეგნაირად: წლიური ღალა, რომელსაც მემამულე ყმისაგან ღებულობდა, იანგარიშებოდა, როგორც კაპიტალიდან მიღებული 6%-იანი სარგებელი, ე. ი. ხდებოდა ღალის (წლიური ფულადი გადასახადის) კაპიტალიზაცია 6 პროცენტიანი ინტერესის საფუძველზე, მაგ., თუ ღალა უდრიდა 6 მანეთს, მისი კაპიტალიზაცია შეადგენდა 100 მანეთს. სწორედ ეს კაპიტალიზებული თანხა შეადგენდა ნადელის გასოსასყიდელ შეფასებას“[82]. მაგალითად თუ ღალა განისაზღვრებოდა 15 მანეთით და ნადელის უმაღლესი ზომა იყო 4 დესეტინა მაშინ გვექნება ასეთი შეფარდება — 100 : 6 = X 15 =

$$= \frac{100 \times 15}{6} = \frac{1500}{6} = 250 \text{ მან.}$$

იმისათვის, რომ მივიღოთ ერთი დესეტინა ნადელის ღირებულება, საჭიროა 250 მან. : 4 = 62 მან. და ა. შ.

ერთი სიტყვით, ამ პრინციპით ხდებოდა სანადელო მიწის ღირებულების განსაზღვრა. წესები ითვალისწინებდა აგრეთვე გლეხებისათვის სახელმწიფო სესხის მიცემას. რუსეთის შიდა გუბერნიებში სესხის რაოდენობა შეადგენდა ნადელის მთელი ღირებულების 80%-ს, დანარჩენ 20%-ს კი გლეხები იხდიდნენ.

საქართველოში სესხით სარგებლობის განსხვავებული წესები არსებობდა. გამოსასყიდი თანხა დგინდებოდა მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აქ სესხის რაოდენობა შეადგენდა არა 80%-ს, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, არამედ იგი წინასწარ იყო განსაზღვრული. ჩვენში, იმ გლეხებისათვის, რომლებიც ღალას ფულით იხდიდნენ, მთავრობის სესხი დღიურ სახნავზე (0,5 დესეტინა) გამოიანგარიშებოდა მთელი ნადელის გამოსასყიდად გაითვალისწინებული სესხის მაქსიმუმიდან, რაც 350 მანეთს შეადგენდა, ხოლო ვინც ნატურით იხდიდა, მათთვის დაწესებული იყო მთავრობის სესხი პირველი კატეგორიის დღიური სახნავ-სათესი მიწაზე 20 მანე-

---

[82] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი , კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 37.

თი, მეორეზე —10 მანეთი, ხოლო მთლიანად სანადელო მიწაზე არაუმეტეს 250 მანეთისა.

როგორც აღვნიშნეთ ღალის ნატურით გადახდის პირობებში გლეხს მთავრობის მხოლოდ მინიმალური სესხით სარგებლობა შეეძლო. მაგალითად, გორის მაზრაში, დესეტინა მიწა ღირდა 158 მანეთი[83]. მაშასადამე 5 დესეტინა ნადელის გამოსასყიდად გლეხს უნდა გადაეხადა 158×5 ანუ 790 მან. მაშინ, როდესაც მთავრობისაგან მას შეეძლო სესხად მიეღო 250 მანეთი, რადგანაც ღალა ნატურით გაიღებოდა (ნატურალურ ღალის პირობებში კი მთავრობის სესხი შეადგენდა 250 მანეთს), ე. ი. გორის მაზრაში გლეხს სანადელო მიწის გამოსასყიდად უნდა დაემატებინა 790—250 ანუ 540 მანეთი.

ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაში. აქ ნადელების გამოსასყიდად მთავრობის სესხის მაქსიმუმად გათვალისწინებული იყო 250 მანეთი ფულადი და 180 მანეთი ღალის ნატურით გადახდის პირობებში. ერთი დესეტინა მიწის ფასი კი 297 მანეთით განისაზღვრებოდა. 4,5 დესეტინა, უმაღლესი სანადელო მიწისათვის, გლეხს უნდა გადაეხადა 297×4,5 ანუ 1.336 მან. 50 კაპ. მაშინ, როდესაც სესხის სახით იგი მხოლოდ 180 მანეთს ღებულობდა. ამრიგად, სანადელო მიწის გამოსასყიდად მას უნდა დაემატებინა 1156 მან. 50 კაპ.

სანადელო მიწებზე ფასების მაღალი განაკვეთების გამო, გლეხების დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა მის გამოსყიდვას და ათეული წლების განმავლობაში დროებითვალდებულთა კატეგორიაში რჩებოდა. მენამულეები ამას ანგარიშს არ უწევდნენ და ყოველწლიურად ადიდებდნენ ღალა-კულუხის რაოდენობას. 16 წლის ღალა-კულუხის ჯამი ოფიციალურად დაწესებული ნადელის გამოსასყიდ ფასს უდრიდა. უფრო მოგვიანებით ქართველი გლეხები მოითხოვდნენ მათ მიერ გაღებული ღალა-კულუხი ნადელების ღირებულებაში ჩათვლოდათ, მაგრამ მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო.

გლეხები ვალდებული იყვნენ მთავრობის მიერ დაშვებული სესხი 49 წლის განმავლობაში თავისი სარგებლით დაებრუნებინათ ხაზინისათვის. მთავარ გამოსყიდვით დაწესებულებას წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული თუ რას შეადგენდა კვარტალური გადასახადი, იგი ფიქსირებული იყო საწესდებო სიგელსა და გამოსყიდვით შეთანხმებაში. საარ-

---

[83] С. А. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, Одесса, 1912 г., т. I, стр. 425.

ქვევ მასალების შესწავლა-გაანალიზება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენდა ეს სესხი და რა მიზანს ისახავდა მთავრობა მისი გაცემით.

ამით ხელისუფლება ერთდროულად სამი საქმის მოგვარებას ფიქრობდა: ჯერ ერთი — მოეგო მემამულეთა გული; მეორე — შეექმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ იგი ეხმარებოდა გლეხებს მათი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ბოლოს, რაც მთავარია, მიეღო მაქსიმალური მოგება.

იმ რთულ და დახლართულ ოპერაციებში, რომელიც მეფის მოხელეთა ბიუროკრატიულმა აპარატმა შეიმუშავა, საქმე ყოველთვის მემამულეებისა და ხაზინის სასარგებლოდ წყვეტდა.

გლეხობას მთავრობის სესხის დაფარვა ერთიორად და უფრო მეტად უჯდებოდა. სოფელ ახტალაში (თელავის მაზრა) სიმონ მგალობლიშვილის ნაყმევმა დათრა ფიცხელაურმა ნადელის სახის 759 საჟენი საკარმიდამო ნაკვეთი და 10 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა შეისყიდა. ამისათვის მან 49 წლის ვადით საკარმიდამო ნაკვეთზე სესხად მიიღო 50 მანეთი, ხოლო სახნავ-სათესზე — 300 მან., სულ 350 მანეთი. დროებითვალდებულ გლეხს წლიურად უნდა შეეტანა 21 მან. იგი ვალდებული იყო 49 წლის განმავლობაში ეხადა 49×21 ანუ 1.029 მან., ე. ი. 3-ჯერ მეტი.

როგორც ვხედავთ, ნადელების გამოსასყიდი სესხი რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით ჩვენში ძალზე უმნიშვნელო იყო.

ნადელების შესყიდვის მდგომარეობა

გუბერნიების დასახელება	ჯერ ერთი სამტერფილ გლეხთა ნადელი (ლ.)	მათი სანადელო მიწების ფასი (დესეტინაში)	მთავრობის დასარებით ნადელ-შესყიდულ გლეხთა რიცხვი (ათ ლეგლობით)	მათ მიერ შესყიდული მიწების ფართობი (დესეტინა)
თბილისის	14.235	55.263	3.768	16.416
ქუთაისის	57.070	207.523	—	—

ქართველ გლეხებს სესხის დაფარვა ძალზე ძვირი უჯდებოდათ. ამიტომ მშრომელი გლეხობის ერთი ნაწილი (უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში) ამჯობინებდა უარი ეთქვა სესხის აღებაზე და საკუთარი სა-

შუალებით შეესყიდა სანადელო მიწა, ხოლო მეორე ნაწილი კი, უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში, იძულებული იყო დათანხმებოდა სესხის აღების კაბალურ პირობებს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მთავრობის დახმარების გარეშე შესყიდული სანადელო მიწების საერთო რაოდენობის შედარება გვიჩვენებს: (იხ. ცხრ. 9.) ჯერ-ერთი, თბილისის გუბერნიაში გლეხობის შედარებით მცირე ნაწილი ახერხებდა საკუთარ სახსრებით ნადელების გამოსყიდვას. მაშინ როცა ქუთაისის გუბერნიაში დროებითვალდებულ გლეხთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა უარს ამბობდა მთავრობის დახმარებაზე და საკუთარი დანაზოგით ყიდულობდა ნადელს.

მეორე, ნადელების გამოსყიდვის პროცესი თბილისის გუბერნიასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით წასულა წინ ქუთაისის გუბერნიაში. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ თბილისის გუბერნიაში წლიურად ნადელების გამოსყიდვას საშუალოდ 114 კომლი ახერხებდა, ქუთაისის გუბერნიაში ასეთ კომლთა რაოდენობა 884-ია, ე. ი. თითქმის რვაჯერ მეტი.

1865 წლიდან 1904 წლამდე თბილისის გუბერნიაში 14.235 დროებითვალდებული გლეხური კომლიდან 4.342 კომლმა შეისყიდა მიწა, მიწაშეუსყიდველი დარჩა 9.983 კომლი, ე. ი. 70,5%.

სხვა სურათია ქუთაისის გუბერნიაში. აქ 57.070 დროებითვალდებული გლეხური კომლიდან 33.597 კომლმა შეისყიდა მიწა. მიწაშეუსყიდველი დარჩა 23.473 კომლი, ე. ი. 41,2%. ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხებზე მიზომი-

ცხრილი 9

საქართველოში 1865—1904 წ.[84]

მთავრობის სესხის რაოდენობა (მან.-ობით)	მთავრობის დახმარებით შესყიდ. ნადელთა რაოდ. (კომლობით)	ამ მიერ შესყიდული მიწების ფართობი (დესეტინა)	ამაზე დახარჯული ფული თანხის (მან.-ობით)	მიწაშეუსყიდველ-ნელ გლეხთა რაოდენობა	შეუსყიდველი მიწების ფართობა (დესეტინა)
835.906	574	1.314	—	10.467	38.847
—	33.597	144.041	7.178.265	23.473	63.482

[84] ი. ანთელავა, ვ. გუჩუა, საქართველოში სოციალური ურთიერთობის ნარკვევები, 1967; გვ. 7, ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., 1965, გვ. 102.

ლი 207.523 დესეტინა მიწიდან მთავრობის დახმარების გარეშე შესყიდულ იქნა 144.041 დესეტინა მიწა, რაზეც დაიხარჯა 7.178.285 მანეთი, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობის დახმარებით გლეხებმა შეისყიდეს 16.416 დესეტინა და რისთვისაც საჭირო შეიქნა მთავრობისაგან 835.906 მანეთის სესხად აღება.

აქვე საჭიროა გავარკვიოთ, თუ რატომ იყო, რომ მთავრობის დახმარების გარეშე ნადელების შესყიდვა დასავლეთ საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე აღმოსავლეთში?

გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწის ფონდის ნაკლებობამ, ძალლმა საიჯარო განაკვეთებმა და ბოლოს ქვეყნის ამ მხარეში სასაქონლო ურთიერთობის შედარებით სწრაფი განვითარების შედეგად გლეხების მიერ ფულის დაგროვებამ, განაპირობა დასავლეთ საქართველოში ნადელების შესყიდვის შედარებით მაღალი ტემპი.

საერთოდ ნადელების გამოსყიდვის პროცესი საქართველოში ნელა მიმდინარეობდა. ეს მოვლენა კი შემთხვევითი არ იყო. მას თავისი მიზეზები გააჩნდა:

1. ძირითადი და მთავარი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა ნადელების გამოსყიდვის სწრაფად წარმართვას ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა წარმოადგენდა. კერძოდ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის დაბალმა დონემ გარკვეული დაღი დაასვა ამ პროცესს.

2. გლეხებმა კარგად გაიგეს, თუ რას ნიშნავდა მთავრობის „დახმარება". დაინახეს, რომ გამოსასყიდ ხელშეკრულებას არსებითი ცვლილებები არ შეჰქონდა მათ მდგომარეობაში. მართალია, ისინი თავისუფლდებოდნენ მემამულეებისათვის ღალა-კულუხის გადახდის ვალდებულებისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ხაზინის მოვალეები ხდებოდნენ. მიღებული სესხისა და მისი სარგებლის დასაფარავად გლეხებს ყოველწლიურად უნდა გაეღოთ იმაზე მეტი, რასაც ადრე ნადელებით სარგებლობისათვის მემამულეებს უხდიდნენ. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სესხის დაფარვამდე გამოსყიდული მიწის ნაკვეთებზე მათი უფლებები შეზღუდული რჩებოდა, არ შეეძლოთ მიწის გაყიდვა, დაგირავება და სხვ. ამ მიზეზების გამო, აღმოსავლეთ საქართველოში დროებითვალდებულ გლეხთა დიდი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი სახსრები, უარს აცხადებდა მთავრობის დახმარებით ნადელის გამოსყიდვაზე და ფაქტიურად მუდმივი ვალდებულის მდგომარეობაში ვარდებოდა. მთავრობის დახმარებაზე უარს აცხადებდნენ დასავლეთ საქართველოშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ საკუთარი სახსრებით ცდილობდნენ ნადელების შესყიდვას.

3. მამულების დიდი ნაწილი დაგირავებულ-დავალიანებული იყო

„პრიკაზში“. თბილისის გუბერნიის 1.200 გამოსყიდვითი შეთანხმებიდან, რაც ჩვენ შევისწავლეთ, 980 მამული აღმოჩნდა დაგირავებული. დავალიანება. იმდენად დიდი იყო, რომ მთავრობის მიერ გაღებული სესხი მთლიანად მაინც ვერ ფარავდა მას. ბუნებრივია, ასეთი მემამულეები ნაკლებ ინტერესს გამოიჩენდნენ ნადელების გამოსყიდვისადმი. მათ ერჩივნათ, გლეხები დროებითვალდებულებაში დარჩენილიყვნენ. ამით ისინი უზრუნველყოფილი იქნებოდნენ თავისუფალი მუშახელით და ყოველწლიური შემოსავლით ღალა-კულუხის სახით.

მართალია მემამულეთა ერთი ნაწილი წინააღმდეგი იყო გლეხების მიერ ნადელების შესყიდვისა, მაგრამ მეორე ნაწილი დაჟინებით მიმართავდა მთავრობის ორგანოებს, ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინათ გლეხებზე სანადელო მიწების გამოსყიდვაში. ერთ მაზრაში მემამულეები დაინტერესებული იყვნენ, რაც შეიძლება ჩქარა დადებულიყო გამოსყიდვის შეთანხმება, სხვა მაზრებში კი პირიქით—ამას ისინი თავის საზარალოდ მიიჩნევდნენ. იმ რაიონებში, სადაც მიწა ძვირად ფასობდა, მემამულეები ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო გამოსყიდვა; იქ კი, სადაც მიწა ნაკლები ღირდა—ისინი ამაზე არ ზრუნავდნენ. მწირი მიწების რაიონებში გამოსყიდვითი შეთანხმება მიმდინარეობდა მემამულეთა მოთხოვნით, ნოყიერ მიწებზე კი — პირიქით.

4. ნადელების შესყიდვის წესების სირთულე ხელს უშლიდა საქმის წარმატებით დამთავრებას. გამოსყიდვითი ხელშეკრულებანი არ განიხილებოდა და არ მტკიცდებოდა საგუბერნიო საკრებულოში. გლეხები ეჭვს გამოთქვამდნენ, მათ მიერ მიწების შესყიდვა კანონიერად დამტკიცდებოდა თუ არა.

5. საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული დაბნეულობა, საზღვრების დაუდგენლობა, მიწების გაუმიჯნაობა, მემამულეებსა და გლეხებს შორის მიწის საკითხზე დავა-საჩივრები იყო ნადელების შესყიდვის ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი.

6. გამოსყიდვის საქმეს ხელს უშლიდა აგრეთვე საწესდებო სიგელებში არსებული არეულობა. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც სამეგრელოში ნადელების გამოსყიდვის მიმდინარეობასა და მის ხელშემშლელ მიზეზებს ეხება, ვკითხულობთ: „მთელი მამულის საწესდებო სიგელები შედგენილი აღმოჩნდა არადამაკმაყოფილებლად და არ შეესაბამება გლეხების მიწით სარგებლობის იმ მდგომარეობას, რომელიც სინამდვილეში არსებობს“[85].

7. მთავრობის წრეებში სჭარბობდა იმ დროს გაბატონებული

---

[85] ЦГИАЛ ф. 537, оп. 8, дел. 9476, лл. 4—5.

თვალსაზრისი გლეხების მესაკუთრეებად გადაქცევის. შეუძლებლობის შესახებ. 1883 წელს ამიერკავკასიის მთავარმართებელი სპეციალურ ბარათში საჭიროდ მიიჩნევდა გამოსასყიდ ოპერაციებთან დაკავშირებით ანგარიში გაწეოდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ თავისებურებას[86]. ერთ-ერთი თავისებურება კი, მისი აზრით, ის იყო, რომ აქაურ მემამულეთა დიდი უმრავლესობა არ ეწეოდა საკუთარ მეურნეობას. მათი არსებობის ძირითად წყაროს ის ღალა-კულუხი წარმოადგენდა, რომელსაც სანადელო მიწებიდან ღებულობდნენ. თუ გლეხები შეძლებდნენ ნადელების გამოსყიდვას და მემამულეები ღალა-კულუხის ნაცვლად ნადელების შესასყიდ ღირებულებას მიიღებდნენ, ამით ისინი ფაქტიურად დაკარგავდნენ არსებობის წყაროს, რადგანაც მიღებულ ფულს ჩქარა გაფლანგავდნენ და ეს წოდება სახელმწიფოს ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა. ამასთან, კავკასიის მთავარმართებლის შეხედულებით გლეხების მიერ მიწების შესყიდვა გამოიწვევდა შეძენილ მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვებას, ამას კი შეიძლებოდა გლეხთა მთელი მასის მიერ ქონების დაკარგვა და მისი ცალკეულ პირთა ხელში თავმოყრა გამოეწვია. მთავარმართებელი ამ აზრს ავრცელებდა არა მარტო დროებითვალდებულ, არამედ სახელმწიფო გლეხებზედაც. იგი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო გლეხებს არ მისცემოდათ ნადელების ყიდვა-გაყიდვის ნება. მიწაზე საკუთრების უფლება უნდა დარჩენოდა სახელმწიფოს. ხაზინისათვის, მისი აზრით, არ იყო ხელსაყრელი დაეკარგა საადგილმამულო გადასახადების თანდათანობით აკრეფის უფლება. ეს კი — თუ გლეხებს მესაკუთრეთა უფლება მიეცემოდათ, ცხადია, შეუძლებელი გახდებოდა[87].

მთავრობა შიშობდა, რომ გლეხს მესაკუთრედ გახდომის შემთხვევაში მიწის გაყიდვის უფლებაც მიეცემოდა, რაც დააჩქარებდა პროლეტარიატის რიგების ზრდას.

8. ნადელების შესყიდვის წარმატებით განხორციელებას ხელს უშლიდა დებულების ზოგიერთი პუნქტი, რომლის თანახმად გლეხს არ შეეძლო ნადელების შესყიდვა მემამულის თანხმობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში გაბატონებული კლასი ფართოდ იყენებდა ზემოთ მინიშნებულ უფლებას და უარს ეუბნებოდა გლეხს მიწების შესყიდვაზე.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნადელების შესყიდვის მიმდინარეობის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ამით დაინტერესდნენ მთავრობის ორგანოებიც.

---

[86] ЦГИАЛ ф.537. оп. 8 дел. 9476, лл. 4—5,

[87] ი ქ ვ ე .

1879 წლის 22 მაისს საგლეხო საქმეების მომწყობმა მთავარმა კომიტეტმა და კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა მეფისნაცვლის წინადადება: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მემამულეებთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით მთავრობის დახმარების გარეშე გლეხების მიერ ნადელების საკუთრებად შეძენის, ხელშეკრულების განხილვისა და დამტკიცების წესების შესახებ.

გაერთიანებული სხდომის ჟურნალში ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქუთაისისა და ნაწილობრივ თბილისის გუბერნიების გლეხებს შორის შეიმჩნევა მისწრაფება შეიძინონ ნადელები მემამულეებთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით მთავრობის დახმარების გარეშე. მარტო იმერეთის მაზრებში ქუთაისის გუბერნიის ყმური მოსახლეობის ერთი მესამედი უკვე გადავიდა მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში, მთავრობის დახმარების გარეშე გადაიხადა საკუთარი საშუალებებიდან 1 მილიონ მანეთზე მეტი. ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად წავიდოდა, აღნიშნულია ამ დოკუმენტში, რომ ამ ხელშეკრულებათა გაფორმების გზაზე დაბრკოლებები არ ყოფილიყო.

მართალია, მთავრობამ გაატარა ზოგიერთი ღონისძიება, მაგრამ ნადელთა გამოსყიდვის საქმეში არსებითი გარდატეხის შეტანა მაინც ვერ შეძლო[68].

1888 წლის ანგარიშში თბილისის გუბერნატორი აუცილებლად მიიჩნევდა ნადელთა სავალდებულო გამოსყიდვის დაწესებას. მან შუამდგომლობაც კი აღძრა მთავრობის წინაშე, რომ დროებითვალდებული გლეხები 1892 წლის 1 იანვრიდან ნატურალურ და ფულადი ღალიდან გამოსასყიდ გადასახადებზე გადაყვანილიყვნენ, ჩაერიცხათ ისინი მესაკუთრეთა კატეგორიაში, საზღაური თავადაზნაურობას ხაზინისაგან მიეღო, რასაც 49 წლის განმავლობაში სარგებლითურთ (5%) გლეხები დაფარავდნენ. ამასთან ერთად, გუბერნატორი მოითხოვდა სესხის ოდენობის გაზრდას 100%-ით, მის გავრცელებას ბაღ-ვენახებზე. სავალდებულო გამოსყიდვის კანონი უნდა შეხებოდა გუბერნიის სომხურ და აზერბაიჯანულ რაიონებსაც, იქაც უნდა დაეშვათ მთავრობის სესხი[69]. თბილისის გუბერნატორის ეს პროექტი უარყოფილ იქნა უმაღლესი მთავრობის მიერ, რის გამოც ნადელების გამოსყიდვა ამის შემდეგაც ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ნადელების გამოსყიდვის საქ-

---

[68] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი , აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890 1917 წწ., 1961, გვ. 108.

[69] ი ქ ვ ე , გვ. 118.

მე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. გამოირკვა, რომ ეს პროცესი ჩვენში მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. ქართველი გლეხობის ბრძოლამ ნადელების გამოსყიდვის წინააღმდეგ მასობრივი და ერთობ მწვავე ხასიათი მიიღო.

გლეხების ერთი ნაწილი „გამოსყიდვის წესების" წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უარს აცხადებდა ნადელებზე, მეორე კი მთავრობის მიერ მიცემული სესხის დაფარვაზე.

საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, მთავარ მოვლენას გარიგების სიგელების შედგენა წარმოადგენდა. მართალია, ამით დასრულდა რეფორმის პირველი ეტაპი, მაგრამ მისი ცხოვრებაში განხორციელება კი მომავლის საქმეს წარმოადგენდა.

გლეხებმა არ იცოდნენ რა შედეგი მოჰყვებოდა სიგელების შედგენას. როცა დღის წესრიგში დადგა ნადელების გამოსყიდვის საკითხი, ყველაფერი ნათელი გახდა. გამოვლინდა, რაოდენ ფორმალურად იყო შედგენილი სიგელები, რა სიყალბე და ბოროტება ჰქონდათ ჩადენილი მომრიგებელ-შუამავლებს. ფაქტიურად, როგორც ცხოვრებამ დაამტკიცა, მემამულეებსა და გლეხებს შორის დადებულ გარიგების სიგელებს ისედაც გართულებულ საადგილმამულო ურთიერთობაში სინათლის ნაცვლად, უფრო მეტი არევ-დარევა და ქაოსი შეჰქონდა. მშრომელი გლეხობა სულ უფრო ხშირად აცხადებდა უარს სიგელებში დაცული პირობების პრაქტიკულ განხორციელებაზე. „...გლეხი გარბოდა თავისი ნადელიდან, რა წამსაც კი დაინახავდა გასაქცევ ადგილს, ოღონ მეტი — მზად იყო თავი გ ა მ ო ე ყ ი დ ა ნადელისაგან, აძლევდა ფულს იმას, ვინც დათანხმდებოდა მისგან მიეღო ნადელი, რომლის გადასახდელიც მის შემოსავალს აღემატებოდა"[90].

ნადელების გამოსყიდვის წესების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ დროებითვალდებული გლეხების ბრძოლამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი აღმოსავლეთ საქართველოში მიიღო. აქაურ გლეხთა დიდი ნაწილი პროტესტის ნიშნად არ იხდიდა სახელმწიფო სესხს, რომელიც მას ნადელის გამოსასყიდად მისცეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თელავის, სიღნაღის, გორისა და თბილისის მაზრები. გლეხების დიდი უმრავლესობა ეკონომიურად იმდენად გაღატაკებული იყო, რომ არ შეეძლო ნადელების შესასყიდი თანხის გადახდა და ხშირად უარს ამბობდნენ სანადელო მიწაზე, რომელიც მათ საარსებო საშუალებას წარმოადგენდა, წერდნენ ათეულობით და ასეულობით საჩივარს სხვადასხვა ინსტანციებში, მო-

[90] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 520.

ითხოვდნენ სანადელო გადასახადებისაგან განთავისუფლებას, ან სხვა მიწებზე გადასახლებას, 1871 წლის 17 მარტს სოფელ ახალშენის (სიღნაღის მაზრა) დროებითვალდებული გლეხები იტყობინებოდნენ: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, დროებითვალდებულნი გლეხნი სოფ. ახალშენისა, რომელნიცა ვცხოვრობთ მამულსა ზედა მცირეწლოვანი ძიხეილ და გიორგი გიჟიმყრელები, გიორგი ბერიაშვილი, სვიმონ პაპაშვილი, იორდანე კეჟერაშვილი, ბერო ჩეჩუკაშვილი, დიმიტრი გიდელიშვილი, მახარე ნადირაშვილი და სხვები გაძლევთ ამ პასუხს მიროვი პოსრედნიკს... სიღნაღის უეზდნისა მასზედ, რომელ ჩვენ უარს ვყავთ ნებაყოფლობითი შესყიდვაზე მოცემულს ჩვენზედ უსტავნის გრამოტით ნადელში სამოსახლოსა და მინდვრის მამულზედ, მისთვის, რომ ჩვენ არა გვაქვს ღონისძიება ვაძლიოთ ხაზინას შესახვედრი ჩვენდა მისაცემი ფული"[91]. „საბუის მცხოვრებლებმა, — იტყობინებოდა მომრიგებელ-შუამავალი, — ...არ მოისურვეს მემამულისაგან სანადელო მიწების მიღება და უარი განაცხადეს მის გამოსყიდვაზე"[92]. ასეთივე ცნობები მოდიოდა სიღნაღის, თბილისის, დუშეთისა და სხვა მაზრებიდან.

ნადელების შესასყიდი სესხის ამოღება განსაკუთრებით ჭირდა თელავისა და სიღნაღის მაზრებში. თავისი ურჩობით გამოირჩეოდნენ, ზეგანის, კოლაკის, ფხოველის, ბაკურციხის, მელაანის, ზიარის, წინანდალის, ნაფარეულის, ჩალაუბნის, ახატელის, კარდანახის[93], გრემის. შინდის, მუკუზანის (თელავის მაზრა), ჩობანოს, ორხევის, ქვემო თიანეთის, ბახტრიონის, ახმეტის, მატაანის (თიანეთის მაზრა), ვარიანის, ქვემო და ზემო არწევის, ფლავის, სკრის, რუისის, საწირეთისა (გორის მაზრა) და სხვა სოფლის გლეხები

ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში 1882 წელს ნადელების ვამოსასყიდი თანხების გადახდაზე უარი განუცხადებია 838 კომლს.

საგლეხო საქმეების თბილისის გუბერნიის საკრებულო 1882 წლის 21 ივნისს ამავე საკრებულოს წევრებს ლიუბომირსკისა და ჭავჭავაძეს ავალებდა ადგილზე შეესწავლათ მდგომარეობა და მოეხსენებინათ იგი საკრებულოსათვის.

მეფის მოხელეებიც კი, რომლებიც თავიანთი დამოკიდებულებით გლეხთა საკითხისადმი აშკარად ტენდენციური იყვნენ, იძულებული

---

[91] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 566, ფურც. 26.

[92] ი ქ ვ ე , ფურც. 49.

[93] 1871 წლისათვის სოფ. კარდანახში მცხოვრებ გლეხებზე ითელებოდა დავალიანება 117 მან. სოფ. ზეგანში მცხ. 25 კომლზე კი 1539 მან. და ა. შ. სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1105, ფურც. 121.

გახდნენ ეღიარებიხათ ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა იქაური გლეხობა რეფორმის შემდეგ.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ როგორ იზრდებოდა გლეხთა წინააღმდეგობა ნადელების შესყიდვის ირგვლივ, მოვიტანთ ერთ საგულისხმო ცნობას. 1878 წელს თბილისის გუბერნიაში გამოსასყიდი გადასახადი უნდა შემოსულიყო 17.759 მან., ფაქტიურად შემოვიდა 1.534 მანეთი. დავალიანების სახით დარჩა 16.225 მანეთი.

მოტანილი ცნობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გლეხთა საპროტესტო მოძრაობა ნადელების შესყიდვის ირგვლივ ყოველწლიურად ძლიერდებოდა და გლეხთა სულ უფრო ფართო მასებს მოიცავდა.

1871 წელს ნაფარეულელი გლეხები ერთობლივად აღსდგნენ ნადელების გამოსასყიდი წესების წინააღმდეგ. მათ დასამორჩილებლად გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, სოფლად ეგზეკუცია ჩააყენეს.

აღწერდნენ რა თავიანთ მძიმე მდგომარეობას, გლეხები აღნიშნავდნენ: „ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით, აწ გვყვანან ჩაყენებული ეკზეკუცია სოფელში და გვატანენ ძალას... არ ძალგვიძს ფულის გადახდა ხაზინისა და მებატონის სასარგებლოდ მოუსავლიანობისა და სიღარიბის გამო“.[94] გლეხები დაჟინებით მოითხოვდნენ ეგზეკუციის მოხსნას, აირჩიეს წარმომადგენლები, მისცეს რწმუნება, რომ მათი სახელით ემოქმედათ ყველა ინსტანციაში, საჩივრით მიმართეს თბილისის გუბერნატორს. ამ უკანასკნელმა გლეხების თხოვნა თელავის მაზრის უფროს გადაუგზავნა. ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები მალავდნენ გლეხთა ამ მღელვარების წინააღმდეგ მათ მიერ მიღებულ ზომებს და აღნიშნავდნენ, რომ „სოფელ ნაფარეულში არავითარი ეკზეკუცია არ ყოფილაო“[95]. როგორც ჩანს, თვით მაზრის ხელმძღვანელობაც უსამართლოდ თვლიდა ასეთი მკაცრი ზომების მიღებას და ცალავდა მას.

ასევე საყურადღებო მღელვარებას ჰქონდა ადგილი ზეგანში (სიღნაღის მაზრა). 1878 წელს გლეხებმა უარი განაცხადეს გამოსასყიდი თანხების დაფარვაზე და მოითხოვეს სხვა მიწებზე გადასახლება. სოფელში გაიგზავნა ჩაფრები, ჩააყენეს ეგზეკუცია[96]. აღნიშნულის მიუხედავად, გლეხების წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხეს. ხირბილაშვილები, ჩოგოლაშვილები და სხვები მედგრად გამოდიოდნენ ხელისუფლების კანონმდებლობის წინააღმდეგ.

---

[94] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 452, ფურც. 25—26.
[95] იქვე, საქ. 1105, ფურც. 418—419.
[96] იქვე.

ნადელების შესყიდვის საქმე შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ საფუძველზე აღმოცენებულ გლეხთა მოძრაობას აქაც ჰქონდა ადგილი.

1876 წელს სოფელ უხუთში (ქუთაისის მაზრა) გლეხებმა — ეგნატე ვაშაყმაძემ, მაქსიმე ხურციძემ და სხვებმა უარი განაცხადეს სანადელო მიწების შესყიდვაზე და მოითხოვეს საწესდებო სიგელების გაუქმება[97].

მწვავე ბრძოლებით მიმდინარეობდა ნადელების გამოსყიდვა სამეგრელოში. განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდნენ მინგრელსკების დროებითვალდებული გლეხები, მათ უარი განაცხადეს სიგელებით მიზომილ სანადელე მიწების გამოსყიდვაზე.

რეფორმისადმი ასეთი დამოკიდებულება მოვლენათა შემდგომი გართულების მომასწავებელი იყო. ამას ყველაზე კარგად თვითონ მემამულეები გრძნობდნენ. კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გაღრმავებისა და გართულების შიშით შეპყრობილმა მინგრელსკებმა რამდენჯერმე მიმართეს ხელისუფლებას, რომ ამ უკანასკნელს მიეღო ზომები რათა დროებითვალდებულ გლეხებს დროზე შეესყიდათ სანადელო მიწები. მემამულეებს კარგად ესმოდათ, რომ ასეთი ზემოქმედება ნაკლებ გავლენას მოახდენდა, რადგანაც მათთვის ნათელი იყო, რომ გლეხებს ძალა არ შესწევდათ ნადელები გამოესყიდათ. ამიტომ ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით მინგრელსკები წინადადებას იძლეოდნენ. გლეხებისათვის სანადელოდ მიზომილი მიწების მთლიანი ღირებულება მთავრობას გადაეხადა მათთვის, შემდეგ კი სახელმწიფოს გლეხობისაგან ამოეღო ეს თანხა. მემამულეთა აზრით ეს იქნებოდა სოფლად გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობის ერთადერთი საიმედო გარანტია.

მინგრელსკების ასეთი წინადადების არსი გასაგებია. ამით მათ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა უნდოდათ. ჯერ ერთი, ერთბაშად მიეღოთ ნადელების ღირებულება, მეორე — თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე.

სახელმწიფო უძლური აღმოჩნდა, ანგარიში გაეწია მინგრელსკების თხოვნისათვის. ურთიერთობა მემამულეებსა და გლეხებს შორის თანდათან უფრო დაიძაბა. ამას ნათლად გრძნობდნენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებიც.

ამრიგად, გლეხების ბრძოლამ სანადელო მიწების შესასყიდად გაცემული სესხის დაფარვის წინააღმდეგ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ზოგჯერ იგი იმდენად შემაშფოთებელი იყო, რომ მმართვე-

---

[97] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1046, ფურც. 14—15.

ლობა სულ უფრო მკაცრ ზომებს მიმართავდა. თბილისის სახელმწიფო პალატიდან გუბერნატორს სწერდნენ: „სახელმწიფო პალატა უმორჩილესად გთხოვთ თქვენს განკარგულებას იმ კანონიერ ღონისძიებათა გატარების შესახებ, რომელიც ეხება გამოსასყიდი თანხების შეუფერხებლად და უშეღავათოდ ამოღებას. შემდეგისათვის გაეცით განკარგულება თავის დროზე იქნას შეტანილი ეს გადასახადები, რომ არ დარჩეს დავალიანება არცერთ კომლზე"[98].

მართალია, სახაზინო პალატა, თბილისის გუბერნატორი და სხვები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამოეღოთ ნარჩენი გადასახადები, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება მაინც მთელი რიგი სიძნელეების გადალახვით ხდებოდა.

1877 წლის 30 ნოემბერს სენატმა საგანგებო სხდომაზე სპეციალური დადგენილება მიიღო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ნარჩენი გადასახადების ამოღებას ეხებოდა. იგი გადაეგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს. ეს უკანასკნელი 1878 წლის 27 იანვარს თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებს სწერდა: „წინადადება მიეცეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოებს, ნადელების გამოსასყიდი ნარჩენი გადასახადების ამოღების თაობაზე ღონისძიებათა გატარებისას იხელმძღვანელონ შემდეგი პუნქტებით: 1. ნაკაზის 122-ე სტატიის თანახმად, თუ ყოველგვარი ცდა გლეხებიდან სახელმწიფო სესხის ამოღებისა უშედეგოდ დამთავრდა, მოვალე გლეხთა მიწები უნდა გაიცეს იჯარით და ამოღებული თანხით დაიფაროს ვალი. 2. თუ ორი წლის იჯარა ვერ ფარავს ვალს, მაშინ კიდევ უნდა გაგრძელდეს საიჯარო ვადა ვალის საბოლოო დაფარვამდე"[99].

ფაქტიურად, მთავრობის მიერ გატარებული ეს ღონისძიებანი „ურჩი" გადამხდელი გლეხებისათვის სანადელო მიწების ჩამორთმევას ნიშნავდა. ისედაც გაჭირვებული და გაძვალტყავებული გლეხი, რომელიც წელზე ფეხს იდგამდა და მიღებული სანადელო მიწის დამუშავებით მინიმალურადაც კი ვერ ახერხებდა ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ამ ღონისძიების გატარების შემდეგ, უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდებოდა. ბევრი მათგანი უმიწოდ რჩებოდა და იძულებული ხდებოდა ქალაქისათვის მიეშურებინა და დღიური შემოსავლით ერჩინა თავი.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში შემონახულია მასალები, რომლებიც „ურჩი" გლეხების სანადელო მიწების იჯარით გაცემის მცდელობაზე მეტყველებს.

---

[98] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1105, ფურც. 111.

[99] ი ქ ვ ე , ფურც. 3—4.

როგორც ცნობილია, მიწა საქართველოში ძვირად ფასობდა. ქართველი გლეხი თითქმის ყოველთვის საჯარო მიწის მაძიებელი იყო და იგი ხშირად იძულებული ხდებოდა იჯარის ძალზე მძიმე პირობებზეც კი დათანხმებოდა მემამულეს ოღონდაც კი მიწა მიეღო. მიუხედავად ამისა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მთავრობის მიერ „ურჩი" გლეხების სანადელო მიწების იჯარით გაცემის განცხადებას, რომელიმე თანამემამულე გამოხმაურებოდა და მისი დამუშავების სურვილი გამოეთქვა. უფრო მეტიც, გლეხობა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა მიწას შესაძენად, უარს აცხადებდა იმ გლეხების მიწების შესყიდვაზე, რომლებმაც ვერ დაფარეს სახელმწიფო სესხი და მთავრობა ამ მიწებს საჯარო ვაჭრობით და შემცირებულ ფასებში სთავაზობდა მყიდველებს.

„ურჩ" გადამხდელ გლეხთა მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა არც ისე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა, მარტო სიღნაღისა და თელავის მაზრებში 1879 — 1880 წლებში 125 გლეხურ მამულზე გამოცხადდა საჯარო ვაჭრობა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გაყიდულა. გლეხები უარს ამბობდნენ, გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულეთა მიწების შესყიდვაზე და ამით სოლიდარობას უცხადებდნენ მათ.

ამრიგად, საქართველოს გლეხების ბრძოლა ნადელების შესყიდვის მახინჯი მხარეების წინააღმდეგ სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი XIX საუკუნის 70 — 80-იან წლებში მიიღო. დროებითვალდებული გლეხები ერთ შემთხვევაში უარს ამბობდნენ ნადელების შესყიდვაზე, მეორე შემთხვევაში მთავრობის სესხის მიღებასა ანდა მის დაფარვაზე, ხოლო მესამე შემთხვევაში კი ტოვებდნენ სანადელო მიწებს, გარბოდნენ და ა. შ. რეფორმის გატარების შემდეგ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გულდასმითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ თავისი რევოლუციურობით გამოირჩეოდნენ დროებითვალდებული გლეხები, მათი ბრძოლა უფრო სისტემატურ ხასიათს ატარებდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ რაიმე ღონისძიებას გლეხების თავისებური პროტესტი არ გამოეწვია. დროებითვალდებულ გლეხთა ბრძოლის მიზეზები ძირითადად საადგილმამულო ურთიერთობიდან გამომდინარეობდა. გლეხობა იბრძოდა აგრარული საკითხების სამართლიან საწყისებზე გადაჭრისათვის. რეფორმის განხორციელების შემდეგ გაჩაღებული მწვავე აგრარული ბრძოლა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების უზრუნველყოფის ამოცანები მთელი სიცხადით აყენებდა დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმების საკითხს.

§ 2. გლეხობის ბრძოლა მოიჯარადრეების, ჩარჩ-ვაჭრების, მევახშეების და სოფლის სხვა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი გლეხობა იძულებული იყო ეძია საარსებო საშუალებანი. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფართოდ მიმართავდა სესხის აღებას.

სესხის გამცემი უპირატესად მდიდარი გლეხები, ვაჭრები და მევახშეები იყვნენ. „ფულიანი გლეხები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თავისი თემის წევრებს თავის მემამულეებზედ მეტად ავიწროვებდნენ და ძარცვავდნენ“[100].

XIX საუკუნის 60 — 90-იან წლებში მევახშეების, ჩარჩ-ვაჭრებისა და სოფლის სხვა ბობოლების მიერ მშრომელი გლეხობის ექსპლოატაციამ, ძარცვა-გლეჯამ არნახული მასშტაბი მიიღო. ეს გარემოება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ გადასახადების კომუტაციის პირობებში ფულზე მოთხოვნილება გაიზარდა.

ღარიბი გლეხები, რომლებიც ყოველდღიური შრომითა და იჯარით აღებული მიწით მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებდნენ იძულებული ხდებოდნენ სესხის ასაღებად მევახშეებს, ჩარჩ-ვაჭრებს მიდგომოდნენ, ეს უკანასკნელნი კი გლეხთა ექსპლოატაციას კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

გადიოდა წლები, გლეხი ვალს ვერ იხდიდა, ვალს ვალი ემატებოდა და ბოლოს გლეხის მოსავალი, რომელზედაც იგი მთელ თავის იმედებს ამყარებდა ვაჭრის ან მდიდარი გლეხის ოჯახში აღმოჩნდებოდა.

შემოდგომაზე, მოსავლის აღების დროს, გლეხებს თავს ეხვეოდნენ „კრედიტორები“. ყოველივე ამას არ შეიძლება არ გამოეწვია სოფლის ღარიბი გლეხების აღშფოთება, კიდევ უფრო არ გაემწვავებინა კლასობრივი ანტაგონიზმი. ღარიბი გლეხები ებრძოდნენ სოფლის ბურჟუაზიას — კულაკებს, ვაჭარ-მევახშეებს. ისინი ხშირად უარს ამბობდნენ აღებული სესხის დაფარვაზე.

სოფლად კლასთა ბრძოლის შენელებისა და მევახშეებისაგან გლეხების ერთგვარად დაცვის მიზნით შეიქმნა ე. წ. სასოფლო ბანკები. მათ მოვალეობას შეადგენდა გლეხებისათვის ხელსაყრელი, ხელმისაწვდომი კრედიტის მიცემა. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები მოწოდებული იყვნენ ეხსნათ გლეხობა მევახშეებისაგან. სასოფლო ბანკების შექმნას მიესალმებოდა XIX საუკუნის 70 — 80-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია.

რასაკვირველია, გლეხობისათვის სასოფლო ბანკების შექმნა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა

[100] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 6, გვ. 47.

მევახშის მიერ აღებულ სესხზე გლეხებს ორ-სამჯერ მეტი პროცენტი უნდა გადაეხადათ. სასოფლო ბანკები ერთგვარ კოოპერატიულ გაერთიანებას წარმოადგენდნენ და მათ ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა მევახშეებსა და გლეხებს შორის მიმდინარე მწვავე კლასობრივი ბრძოლის შენელება.

როგორც აღვნიშნეთ, რეფორმის შემდეგ გლეხობის დიდი ნაწილი მცირე ნადელებსამარა ან სრულიად უმიწოდ დარჩა. ასეთი გლეხების ერთი ნაწილი ქალაქს მიეშურებოდა, ყიდდა თავის სამუშაო ძალას როგორც საქონელს და თავს ირჩენდა. მათ სოფელთან კავშირი ჯერ კიდევ სავსებით არ ჰქონდათ გაწყვეტილი. გაღატაკებული გლეხები ავსებდნენ პროლეტარიატის რიგებს და მათი რევოლუციური იდეები ქალაქიდან სოფლად მიჰქონდათ. უმიწაწყლო გლეხთა მეორე ნაწილი ადგილზე რჩებოდა.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, დიდძალი გადასახადები, მოსავლიანობა და სხვ., გლეხობის ამ ნაწილს მთლიანად მდიდრების, მოიჯარადრეებისა და ვაჭარ-მევახშეების კაბალაში აქცევდა.

შექმნილ მდგომარეობაში მემამულეები კვლავაც უზრუნველყოფილი იყვნენ მუშახელით; ისინი ახერხებდნენ თავიანთი მეურნეობის ძველებურად წარმართვას და პატრონობას.

კულაკები, მოიჯარადრეები, ვაჭარ-მევახშენი ზოგჯერ თვით გლეხობის წრიდან გამოდიოდნენ, ისინი თავიანთ კლასობრივ „მოძმეებს" მოწყდნენ და გამდიდრების გზას დაადგნენ. კულაკებმა სრულიად დაივიწყეს იმ კლასის ინტერესები, რომლიდანაც თვითონ იყვნენ გამოსული და სოფელს მჩაგვრელებად მოევლინენ.

გლეხობის უდიდესი ნაწილი, რომელიც რეფორმამ მცირე ნაკვეთების ამარა ან სრულიად უმიწოდ დატოვა, იძულებული იყო მიწა იჯარით აეღო და უკიდურეს საიჯარო პირობებსაც კი დათანხმებოდა.

საქართველოში მიწის იჯარით გამცემი ყველა წოდებასა და სოციალურ ფენაში მოიძებნებოდა, მაგრამ ისინი მეტწილად მაინც თავადაზნაურობა, მამულიანი ვაჭრები და კულაკები იყვნენ, იჯარით ამღებნი კი უფრო ხშირად ღარიბი გლეხები.

რეფორმის შემდეგ მემამულეების წინაშე დადგა არჩევანი: ან შეეძინათ მუშა-პირუტყვი, სამიწათმოქმედო იარაღი და მეურნეობა დაქირავებულ შრომის საფუძველზე ეწარმოებინათ ანდა მიწები იჯარით ღროებითვალდებულ გლეხებისათვის მიეცათ. საქმის ასეთნაირი წარმართვა მემამულეებს უზრუნველყოფდა რენტითა და საჭიროების შემ-

ოხვევაში მუშახელით. მემამულეებმა მეურნეობის წარმართვის ეს უკანასკნელი გზა აირჩიეს[101].

არსებობდა იჯარის ორი ფორმა — გრძელვადიანი და მოკლევადიანი; პირველი გრძელდებოდა ერთი-ორი, მეორე კი სამი და მეტი წელი. მიწის დამქირავებელი ყოველთვის ცდილობდა აეღო გრძელვადიანი იჯარა, მეპატრონეს კი ეს ნაკლებად აწყობდა. მოკლევადიანი იჯარის დროს მოიჯარე არ ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. ნისი პირობები გაცილებით მძიმე იყო. მიწათმოქმედებაზე განსაკუთრებით დამღუპველად მოქმედებდა მოკლევადიანი (ერთწლიანი) იჯარა, რაც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. მოკლევადიანი იჯარა საშუალებას აძლევდა მიწის მფლობელს ხელშეკრულების ყოველი განახლებისას თავის სასარგებლოდ შეეცვალა იჯარის პირობები.

ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე უვადო იჯარის ფორმა—მიწის სანაშენოდ დაჭერის ჩვეულება. იგი გულისხმობდა, რომ გლეხი მემამულისაგან იღებდა მიწის გარკვეულ ნაკვეთს, იდებოდა პირობა, რომლის თანახმად გლეხი ამ ნაკვეთზე აშენებდა ვენახს, მოსავალი კი მემამულესა და გლეხს შორის სანახევროდ ნაწილდებოდა. ადათი უშვებდა ასეთი ვენახების შუაზე გაყოფას, რომლის ერთ ნახევარზე საკუთრების უფლებას იძენდა გლეხი, ხოლო მეორეზე კი მემამულე. მემამულეები არ ეთანხმებოდნენ ვენახებით გაშენებული ნაკვეთების ასეთ გაყოფას. მათ სურდათ შეენარჩუნებინათ ვენახების შემოსავლის ნახევარი და მუქთი მუშახელი.

საქართველოში საიჯარო ქირის დაფარვა შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტით ხდებოდა. მემამულეები, რომლებსაც არ გააჩნდათ კაპიტალი, სამიწათმოქმედო ინვენტარი და მუშა პირუტყვი, იყენებდნენ რა მონოპოლიას მიწაზე, საკუთარი მეურნეობის წარმართვის მიზნით მიწის ერთ ნაწილს იჯარით აძლევდნენ და ამით უზრუნველყოფდნენ თავის მამულს მუშა ხელით. ასეთ მიწათმფლობელთა სურვილით გლეხები საიჯარო ქირას ფარავდნენ მემამულის მიწაზე მუშაობით, ანუ როგორც ლენინი ამბობდა, შრომამიგებით. იგი გლეხობისათვის მძიმე ტვირთი იყო, მემამულეებისათვის კი ხელსაყრელი. მოიჯარეები მოითხოვდნენ ამ სახის იჯარის ფულადით შეცვლას, მემამულეები კი. პირიქით—ცდილობდნენ გაეზარდათ და გაედიდებინათ მისი მასშტაბი, ამ საფუძველზე მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა ხშირი მოვლენა იყო.

---

[101] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობა საქართველოში 1890—1917 წწ., 1965, გვ. 42.

საიჯარო ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტ ხვედრით წონას ინარჩუნებდა პროდუქტადი რენტა. შეიმჩნეოდა ფულად რენტაზე გადასვლის ტენდენცია. მკვლევარ ალ. ბენდიანიშვილის მიერ გამოვლინებულ მასალებით აღმოსავლეთ საქართველოში მემამულეები მიწების დაახლოებით ერთ მესამედს სცემდნენ ფულადი იჯარით, ხოლო ორ მესამედს მოსავლის წილზე პროდუქტადი იჯარით[102].

საქართველოში საიჯარო ქირა თანდათან იზრდებოდა, ვენახი და კარგი საბნავი მიწა თითქმის ყველგან სანახევროდ გაიცემოდა, ხოლო ნაკლებად ნოყიერი მიწები მესამედად და მეოთხედად.

ზოგჯერ საიჯარო მიწებზე მოთხოვნილება დიდი იყო. ერთ ნაკვეთს რამდენიმე მთხოვნელი ჰყავდა. მემამულე ამით სარგებლობდა და მიწას იმას აძლევდა, ვინც მოსავლის ნახევარს ქრთამსაც წაუმატებდა. ეს უკანასკნელი ზოგ სოფელში ერთ მანეთს შეადგენდა, ზოგან კი ორ მანეთამდე აღწევდა.

ხშირად გლეხები საიჯარო მიწების საძიებლად მეზობელ მაზრებში მიდიოდნენ. საიჯარო ქირა ყველა კუთხეში სხვადასხვა იყო, მოიჯარადრენი ზოგჯერ ვალდებული იყვნენ დაწესებული ქირის გარდა მემამულეებისათვის წელიწადში რამდენჯერმე მიერთმიათ ძღვენი.

ერთ შემთხვევაში იჯარა გამოწვეული იყო გაჭირვებით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი მიზნად ისახავდა მეურნეობის გაფართოებას[103]. საქართველოში იჯარის ორივე ფორმა არსებობდა, თუმცა გაჭირვებით გამოწვეული იჯარა ჭარბობდა.

სოფლად გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ახერხებდნენ მიწების დიდი ნაწილის იჯარით აღებას. უმიწო გლეხებს ისღა დარჩენოდათ, მეორადი იჯარისათვის მიემართათ, ან სხვა მაზრებში გადასულიყვნენ. კულაკობის გაჩენამ სოფლად ანტაგონიზმი კიდევ უფრო გააღრმავა.

კულაკები — ბობოლა გლეხები, ხელთ იგდებდნენ სოფლის მთელ სიმდიდრეს, ეკონომიურად იმორჩილებდნენ თანასოფლელებს და მათ მძიმე პირობებში აყენებდნენ. ასეთი მდიდარი გლეხობის ტიპიური წარმომადგენელი იყო, მაგალითად, ლისის სასოფლო საზოგადოების ყოფილი მამასახლისი ემირ ოგანეზოვი[104]. მან „თანამოძმეთა“ ძარცვაგლეჯვით საკმაოდ დიდ თანხას მოუყარა თავი და თანასოფლელ გლეხებს დაუპირისპირდა. განდიდების დაუშრეტელი წყურვილი, დაუოკებელი სწრაფვა გამდიდრებისაკენ, ოგანეზოვს ყოველგვარ სიბილწისა და ბოროტმოქმედებისაკენ უბიძგებდა. იგი არაფრის წინაშე უკან

---

[102] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
[103] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 218.
[104] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1447, ფურც. 1—5.

არ იხევდა, ე. ოგანეზოვმა შეიძინა ცხვრის დიდი ფარა, რომელსაც მოურიდებლად უშვებდა ღარიბი გლეხების ნათესებში. სიმდიდრით გალაღებულ ოგანეზოვს არაფერი არ აშინებდა, მის მხარეზე იყო კანონი და სამართალი.

სოფ. ლისის მიწები უმთავრესად მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა და მათ გლეხები იჯარით იღებდნენ, მას შემდეგ რაც სოფლად ოგანეზოვი გამოჩნდა, მან ხელთ იგდო ლისში მდებარე სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, გლეხები კი თითქმის ულუკმაპუროდ დარჩნენ.

მართალია, ოგანეზოვი ფლობდა გამოსყიდულ 5 დესეტინა სანადელო მიწას, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას და იჯარით იღებდა ელენე ბაგრატიონის, თავად ალექსანდრე და პეტრე ბებუთოვებისაგან 405 დესეტინა მიწას. ასეთი მდიდარი გლეხები წარმოადგენდნენ სოფლის ბურჟუაზიულ-ექსპლოატატორულ ელემენტებს. მდიდარი გლეხები, რომელთა ხელში მიწის დიდი ნაკვეთები იყო მოქცეული, ბუნებრივია, დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

ბობოლა გლეხების ასეთ მოქმედებას არ შეიძლება სოფლის ექსპლოატატორული ფენის საპროტესტო მოძრაობა არ გამოეწვია. მაგალითად, 1872 წელს გორის მაზრის მარტო მეორე განყოფილებაში მდიდარ და ღარიბ გლეხებს შორის ურთიერთბრძოლის 52 შემთხვევა აღირიცხა.

იჯარის პირობების თაობაზე მწვავე ბრძოლა გაიშალა მემამულეებსა და გლეხებს შორის. მიწათმფლობელნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მიეღოთ, აწესებდნენ მაღალ საიჯარო ნორმებს, ხოლო გლეხები ჯერ უარს ამბობდნენ ამაზე, ცდილობდნენ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობის შექმნას, მაგრამ შემდეგ იძულებული ხდებოდნენ მემამულის მიერ შეთავაზებული მძიმე პირობებს დათანხმებოდნენ.

მართალია, შეთანხმება იდებოდა ამ ორ მოპირდაპირე მხარეს შორის, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობის საიმედო გარანტია. მოვლენები ახლებურად ვითარდებოდა, მაშინ, როცა დღის წესრიგში დგებოდა საიჯარო პირობების რეალიზაცია. გლეხები ხშირად კოლექტიურ პროტესტს აცხადებდნენ მიწის მფლობელის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე, მოითხოვდნენ საიჯარო ქირის შემცირებას ან საერთოდ უარს ამბობდნენ მასზე. გლეხების ამგვარი მოქმედება მემამულეებს აიძულებდა ზოგჯერ გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ, მაგრამ ხშირად ხდებოდა პირიქით; მემამულეები ცდილობდნენ „ურჩი“ გლეხებისათვის ჩამოერთმიათ მათზე იჯარით გაცემული მიწები და სხვებზე უფრო ხელსაყრელ პირობებში გაეცათ. გლეხი, რომელსაც არაფერი

არ გააჩნდა, გარდა თავისი სამუშაო ძალისა და იჯარით აღებული იმ მცირე ნაკვეთისა, რომელზედაც ამყარებდა მთელ თავის იმედებს, ვერ ურიგდებოდა მიწათმფლობელის ასეთ მოქმედებას და წინააღმდეგობას უწევდა მას.

ამ საფუძველზე გაშლილი ბრძოლის საუკეთესო მაგალითია მემამულე მუხრანელის და მისი მოიჯარე გლეხების ურთიერთობა. 1884 წელს მემამულეს გლეხებისათვის მიწები იჯარით მიუცია. მოიჯარეებს მოსავლის აღების დროს საიჯარო პირობების შესრულებაზე უარი განუცხადებიათ. მემამულეს გადაუწყვეტია გლეხებისათვის მიწის ჩამორთმევა და სხვებზე უფრო ხელსაყრელ პირობებში გაცემა, რასაც გლეხების სასტიკი წინააღმდეგობა გამოუწვევია. გლეხებს არ დაუშვიათ ახალი მოიჯარეები, უგინებიათ, უცემიათ და სიკვდილით დამუქრებიან მემამულეს. კიდევ მეტიც, მემამულისათვის შეუთვლიათ: „ყელს გამოვჭრით ყველას, ვინც შეეცდება ამ მიწების წართმევას". „გლეხები იარაღით ხელში, გინებითა და „ვაშას" ძახილით თავს დაესხნენ ჩემს მეხრეებს"[105], წერდა ალექსანდრე მუხრანელი.

მომრიგებელ-შუამავლის ცდა, დაეშინებინა გლეხები, უშედეგოდ დამთავრდა. „გლეხები იმდენად თავშეუკავებელნი და მოურიდებელნი არიან, — იწერებოდა მემამულე, — რომ ვერიდები სოფელში გაელას"[106].

ფართო ბრძოლები გაიშალა მიწის იჯარაზე სამეგრელოში, გურიაში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

XIX საუკუნის 80 — 90-იან წლებში განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები გაჩაღდა ხიზნებსა და მიწათმფლობელებს შორის. მიწის საიჯარო ფასების აწევასთან დაკავშირებით მემამულეებისათვის ხიზნური ურთიერთობა ხელსაყრელი არ აღმოჩნდა. მემამულეები დაჟინებით უარყოფდნენ ხიზნების მიერ მიწათსარგებლობის უვადობის პრინციპს. გადაყავდათ ისინი მოიჯარადრეებად, თავს ახვევდნენ მათ 5—10 წლიან საიჯარო ხელშეკრულებას. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ცდილობდნენ გაესახლებინათ ხიზნები ბამაპაპური ადგილებიდან, რათა მიწები სხვებზე უფრო ხელსაყრელ პირობებში გაეცათ. ამ გარემოებამ კი ხიზნების მასობრივი მოძრაობა გამოიწვია. ხიზნებისა და მემამულეების ურთიერთობის საკითხი არაერთხელ გახდა მთავრობის ორგანოებში მსჯელობის საგანი. 1876 წლის 12 ივნისს გადაწყდა შეეგროვებინათ მასალები ხიზნების შესახებ. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მემამუ-

---

105 სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1897, ფურც. 399.

106 ი ქ ვ ე

ლეებსა და ხიზნებს შორის საღავო საქმეები ამოღებულ იქნა სასამართლოს კომპეტენციიდან და იგი დაექვემდებარა საგლეხო საქმეების ადგილობრივ დაწესებულებებს. ეს კი ხიზნების ცალკე კატეგორიად აღიარებას ნიშნავდა.

ხიზნებისა და მემამულეების ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა მოსაზრებანი. თავადაზნაურთა უმრავლესობა არ უარყოფდა ხიზნების არსებობის ფაქტს, უმცირესობა კი ხიზნებს მოიჯარადრეებად თვლიდა და გადაჭრით მოითხოვდა მათთვის ნადელების მიცემას. ზოგი მემამულე მიზანშეწონილად თვლიდა ხიზნებს მისცემოდათ თავისუფალი სახაზინო მიწები, ან სესხი მემამულეთა მიწის საკუთრებაში შესასყიდად.

1891 წელს გამოქვეყნდა დებულება, რომლის ძალით ხიზნებად ითვლებოდნენ ის გლეხები, რომლებიც 1891 წლამდე დასახლდნენ მემამულეთა მიწებზე და მიწითსარგებლობის თაობაზე არ ჰქონდათ დადებული ვადიანი საიჯარო წერილობითი ხელშეკრულებანი[107].

მემამულეს უფლება მიეცა აეყარა ხიზანი, მაგრამ ამის შესახებ იგი ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა. ამასთან, მემამულე ვალდებული იყო გადაეხადა ხიზნისათვის ის ხარჯები, რაც გაწეული ჰქონდა მას მიწის გაუმჯობესების განაშენიანებისათვის. გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში კი მემამულეს საზღაური ორმაგად უნდა გადაეხადა. თუ ხიზანი მიწას თავის სურვილით დატოვებდა, მაშინ ხიზნის მთელი საკუთრება მემამულეს რჩებოდა.

კანონი მემამულეთა თვითნებობას კვლავ ფართო ასპარეზს უთმობდა. მემამულეებმა მიიღეს რენტის გადიდებისა და ხიზნების აყრის იურიდიული უფლება.

მემამულეები ცდილობდნენ ხიზნები მოიჯარადრეებად გადაექციათ. ამას ისინი აღწევდნენ როგორც მიწებზე ხიზნების უფლებების უარყოფით, ისე მათი მოკლევადიან მოიჯარადრეებად გადაქცევის გზით.

მემამულეები მასობრივად წერდნენ განცხადებებს ხიზნების გასახლების შესახებ. ხიზნები კი უარს ამბობდნენ როგორც აყრა-გადასახლებაზე, ისე საიჯარო ხელშეკრულებაზე, გორის მაზრის მეორე განყოფილებაში, მაგალითად, 1877 წელს ამ ნიადაგზე მემამულეებსა და ხიზნებს შორის ბრძოლის 57 შემთხვევაა რეგისტრირებული.

ხიზნების საყურადღებო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ბორჯომის მამულში, რომელიც 1872 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორემ თავის ძმას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს აჩუქა[108]. აღნიშნულ

[107] ი. ანთელავა, ე. გუჩუა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 141.

[108] ЦГИАЛ. ф. 1291. оп 514. дело 1826.

ბამულში ცხოვრობდა 166 კომლი ხიზანი, რომელნიც ხელისუფლებამ მოიჯარადრეებად გამოაცხადა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული დავა ბორჯომის მამულის მმართველობასა და ხიზნებს შორის 90-იან წლებში შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა[109]. იარაღით ხელში გამოვიდნენ გვერდისუბნის, წითელი საყდრის, ვაშლოვანის, ხვთისშობლის და სხვა სოფლის გლეხები.

1875 წელს მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა მემამულეებსა და ჯავის უბანში მცხოვრებ ხიზნებს შორის. მემამულეები ჯერ შეეცადნენ ხიზნებთან დაედოთ საიჯარო ხელშეკრულება, შემდეგ კი მოინდომეს მათი აყრა-გადასახლება[110], რაც ხიზნების წინააღმდეგობას წააწყდა. მღელვარება მოედო ყორნისს, წარბისს, ახტალს, თორბენოულს, ბეკმარს და სხვა სოფლებს.

ხშირად ხიზნები თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ანადგურებდნენ მათ საბლ-კარს. 1881 წელს მემამულე ხერხეულიძეები იწერებოდნენ. რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ხიზნებმა მოჭკლეს სამი, დაჭრეს ორი ხერხეულიძე, სოფლიდან გააძევეს მღედელი. ხერხეულიძეები აცხადებდნენ, რომ სოფელში ჩასვლა გვეშინიოდ[112].

ამრიგად, XIX საუკუნის 80 — 90-იან წლებში მემამულეებსა და ხიზნებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. მემამულეები მოითხოვდნენ ხიზნების მოიჯარადრეებად გადაქცევას. ეს უკანასკნელნი კი არ ეთანხმებოდნენ ამაზე და მათ შორის ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა.

•

მეფის მოხელეთა მრავალრიცხოვანი არმია ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა გლეხთა ჩაგვრა-ექსპლოატაციაში. ხელისუფლების დასაყრდენს სოფლად, მემამულეებთან ერთად, წარმოადგენდა ადმინისტრაცია: მომრიგებელ-შუამავლები. ბოქაულები და სოფლის სხვა წერილი მოხელენი. მართალია, მამასახლისები სოფლის მწერლები თუ სხვა ზოგჯერ გლეხებიკე იყვნენ, მაგრამ ისინი თავის „კლასობრივ მოძმეებს" მოწყდნენ, გამდიდრდნენ და თავის ძალასა და შესაძლებლობას ბემამულეთა ინტერესების დაცვას ანდომებდნენ. ეს მოხელეები იყვნენ

---

[109] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1053, ფურც. 300.

[110] ი ქ ვ ე.

[111] ი ქ ვ ე , საქ. 1253, ფურც. 1.

[112] ი ქ ვ ე , საქ. 1264, ფურც. 5.

გაბატონებული კლასების ინტერესთა ერთგული გამომხატველნი და ამავე დროს ხელისუფლების აგენტურა სოფლად. ისინი არათუ იცავდნენ კანონსა და წესრიგს, არამედ მექრთამეობას, ყალბი საბუთების შედგენას და სხვა ათასგვარ თვითნებობას ეწეოდნენ.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით მამასახლისები გლეხებს თვითონ უნდა აერჩიათ, მაგრამ ფაქტიურად მთავრობას ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში ყოველთვის მისთვის სასურველი პირები გაყავდა. სოფლის მმართველობაში თავმოყრილი მოხელეები შეჩვეული იყვნენ პარაზიტულ ცხოვრებას და ისინი მეფის მთავრობის ერთგულ მსახურთ წარმოადგენდნენ.

მამასახლისების თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. სოფლის ეს წურბელები ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, გადასახადების აკრეფის ან გლეხების სამუშაოზე გაყვანის დროს უკანონო შემოსავლის ახალ-ახალ წყაროს ეძიებდნენ.

მასალებიდან ჩანს, მაგალითად, რომ 1868 წელს დუშეთის მაზრაში ადგილი ჰქონდა სოფლის მოხელეებსა და გლეხებს შორის ინციდენტის 128, ხოლო 1878 წელს კი 225 შემთხვევას. გორის მაზრაში თუ 1868 წელს სოფლის მოხელეებზე თავდასხმის 115 შემთხვევა იყო რეგისტრირებული, 1873 — 1875 წლებში ადგილი ჰქონდა მარტო მამასახლისთა მკვლელობის 572 ცდას. 1890 წლისათვის თბილისის გუბერნიაში აღირიცხა ოფიციალურ პირთა შეურაცხყოფისა და მუქარის 1080 შემთხვევა[113].

გლეხები არა მარტო სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ სოფლის მოხელეებს, არამედ სიცოცხლესაც კი ასალმებდნენ მათ. ამ მხრივ ნიშანდობლივია, მაგალითად, სოფ. ატენის (გორის მაზრა) მამასახლისის საჩივარი, სადაც ვკითხულობთ: „გლეხები თავს დამესხნენ და სიკვდილით მემუქრებიან, ჩემი ოჯახის წევრები შიშით გარეთ ვერ გამოდიან"[114]. მუხრანის მამასახლისი კი წერდა: „ერთერთმა გლეხმა... ჩემზედ იწია საცემრად... დიდი აბიდა მომცა... ცოლი და დედა აღარ შემარჩინა[115].

შეიარაღებული გლეხები თავს ესხმოდნენ სოფლის მოხელეებს ქართლის და კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში. თითქმის დღე არ იყო ისეთი, რომ სოფლის მოხელეებსა და გლეხებს შორის შეხლა-შემოხლას არ ჰქონოდა ადგილი.

---

[113] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 121, дело 5013, л. 275.
[114] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1817, ფურც. 5.
[115] სსსა, ფ. 133, ანაწ. 1, საქ. 638, ფურც. 7.

მამასახლისები და სოფლის სხვა მოხელეები იყვნენ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები, მთავრობის პოლიტიკის გამტარებლები, მემამულეთა ინტერესების დამცველნი, ამიტომაც გლეხთა ბრძოლა სოფლის მოხელეთა წინააღმდეგ მიმართული იყო მთავრობის, პოლიტიკისა და საერთოდ სოციალურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

გლეხთა მასობრივი გამოსვლები ხელისუფლებას მხედველობიდან არ გამორჩენია; მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან აეცდინა შეიარაღებული ინციდენტები და ყოველგვარი ხმაურის გარეშე შემოევლო საქმისათვის, ზოგჯერ ეგი ნშვიდობიანი მოლაპარაკების გზას არჩევდა.

ათასგვარი დაპირებითა და თვალთმაქცობით მეფის მოხელეები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ გლეხები, შეექმნათ ილუზია, რომ მზად არიან აწარმოონ მოლაპარაკება და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები. ამ მიზნით გლეხებისაგან მოითხოვდნენ დელეგაციების გამოყოფას, მაგრამ ამ მოპირდაპირე მხარეების შეხვედრა, თითქმის ყოველთვის უშედეგოდ ან გლეხების წარმომადგენელთა დაპატიმრებით თავდებოდა.

ხშირად, ამა თუ იმ მღელვარების შესახებ ცნობის მიღებისთანავე, მეფისნაცვლის კანცელარი ან გუბერნიის მმართველობა მაზრის, ზოგჯერ კი უბნის უფროსს ავალებდა გამოეყო კომისია ვითომდა „ურჩობის“ მიზეზების გასარკვევად, მემამულეებსა და გლეხებს შორის „ნორმალური“ ურთიერთობის დასამყარებლად. ეს კომისიები საქმის ვითარებას მუდამ ტენდენციურ შეფასებას აძლევდნენ და გლეხობას შორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ. ერთი სიტყვით, მათი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა მოვალეობასაც შეადგენდა სადავო საქმეების გარჩევა, ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს მემამულეებს და ხშირად გადაწყვეტილებანი მათ სასარგებლოდ გამოჰქონდათ. ეს გასაგებიცაა. ამ ორგანოებში მოქცეულნი იყვნენ კაბატონებული კლასის წარმომადგენლები. ფ. ენგელსი ამბობდა: „ვინ დაიფარავდა გლეხებს? სასამართლოებში ბარონები, ხუცები, პატრიარქები ან იურისტები ისხდნენ, მათ მშვენივრად ესმოდათ, რისთვის ეძლეოდათ ჯამაგირი. სახელმწიფოს ყველა ოფიციალური წოდებანი გლეხკაცობის სისხლს სწოვდნენ“[116].

გათავხედებული მეფის მოხელეები აოხრებდნენ სოფლებს, აწამებდნენ ისედაც მრავალტანჯულ და გამრჯე ქართველ გლეხობას, ყოველნაირად ცდილობდნენ გაეტეხათ მისი სულიერი სიმხნევე, ამოეძირ-

---

[116] ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1932, გვ. 41—42.

ეკეთ მასში რევოლუციური განწყობა და ყურმოჭრილ მონად გაეხადათ ისინი. უმიზეზოდ აპატიმრებდნენ „ურჩობის მოთავეებს“, ასახლებდნენ რუსეთის შორეულ გუბერნიებში, შემდეგ ადგენდნენ აქტს, რომელსაც წაუკითხავდნენ ხოლმე გლეხობას და მორჩილების ნიშნად მათ წარმომადგენელს აწერინებდნენ ხელს. ამ აქტში განსაზღვრული იყო ის ბეგარა-ვალდებულებანი, რომლებიც უნდა გადაეხადა გლეხს მემამულის სასარგებლოდ. თუ გლეხობა ასეთი დამკანონებელი აქტის ხელის მოწერაზე უარს იტყოდა, მაშინ მათ ხელისუფლების მთელი რისხვა თავს დაატყდებოდათ. ამიტომ გლეხობა ზოგჯერ უმჯობესად მიიჩნევდა მორჩილების ნიშნად ჯვარი დაესვა აქტზე ანდა მათ რწმუნებულს მოეწერა ხელი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ წინააღმდეგობას ამით ბოლო ეღებოდა. ეს იყო მოჩვენებითი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქარიშხლის წინ დროებითი სიმყუდროვის პერიოდი.

გლეხთა მასობრივი გამოსვლების შედეგად მე-19 საუკუნის 60—90-იან წლებში, ფართო ხასიათი მიიღო სოფლად ეგზეკუციების ჩაყენებამ, — „...მდიდართა კლასის დასაცავად, — წერდა ლენინი, — ქადაგებენ არა მარტო ხუცები, არამედ მის დასაცავად ფეხზე დგება, აგრეთვე მეფის ჰთელი მთავრობა უამრავი მოხელეებით და ჯარისკაცებით“[117]. და მართლაც, მეფის ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალს მოვლენებს, შეიარაღებული ჯარის ნაწილები მზადყოფნაში იმყოფებოდნენ. სამხედრო მინისტრი მილიუტინი, შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, ცინიკურად აცხადებდა: „ჯარების მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში... თუ გლეხები ნამდვილად გაიგებენ მათთვის ბოძებულ თავისუფლების მნიშვნელობას“[118].

სამხედრო მინისტრის ეს განცხადება ფრიად საყურადღებოა. კერძოდ, იგი თვალნათლივ მეტყველებს, რომ მეფის ხელისუფლებას არც ერთი წუთით არ შეეძლო მოედუნებინა სიფხიზლე, რადგანაც რეფორმით უკმაყოფილო გლეხთა მოძრაობა ყოველდღიურად ძლიერდებოდა.

თუ რაოდენ მკაცრად უსწორდებოდა ხელისუფლება გლეხებს და როგორ ერთგულად იცავდა გაბატონებულ კლასს, ეს კარგად ჩანს გორის მაზრის მაგალითიდან, სადაც მარტო 1883 — 1884 წლებში 129 სოფელში იქნა ჩაყენებული ეგზეკუცია[119].

---

117 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 529—530.

118 П. А. Зайончковский. Проведение в жизнь крестьянской реформы 1861 М., 1958 стр. 35.

119 სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 194, ფურც. 545—546.

გლეხებმა კარგად იცოდნენ თუ რას ნიშნავდა კაზაკთა რაზმის „სტუმრობა". მათ ამის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. არაერთხელ აუოხრებია საქართველოს სოფლები ამგვარ ეგზეკუციებს, რომლებსაც თან ახლდა ცეცხლი, მახვილი, შიმშილი, წამება, გაუთავებელი და უთავბოლო ხარჯები.

იმ სოფლების ჩამოთვლა, სადაც ეგზეკუციები იქნა ჩაყენებული თითქმის შეუძლებელია. შეიარაღებული რაზმების სოფლებში დაბანაკება დაკავშირებული იყო დიდ მატერიალურ ხარჯებთან, რაც ძირს უთხრიდა ისედაც გაჩანაგებულ გლეხურ მეურნეობას. 1865 წელს კაზაკთა „სტუმრობით" შეწუხებული ნახიდელი (გორის მაზრა) გლეხები ჩიოდნენ: 10 ცხენოსანი კაზაკი რამდენიმე დღე ცხოვრობდა ჩვენს სოფელში, რაც დიდი ხარჯი დაგვიჯდა[120]. ორთუბნელი გლეხები კი იტყობინებოდნენ: „ჩამოგვიყენეს ეგზეკუცია, კაზაკები ჭამენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ. ხელიდან გვეცლება საარსებო საშუალება, რომელიც ჩვენ მიერ შეძენილი იყო დიდი შრომითა და გარჯით ოჯახის გამოსაკვებად"[121].

✓ რეფორმის შემდგომ პერიოდში სოფლად გაჩაღებულმა კლასთა ბრძოლის სიმძაფრემ ჩააფიქრა მეფის ხელისუფლება და აიძულა იგი მის გამომწვევ მიზეზებზე ეფიქრა[122]. ერთ-ერთი რუსი მოხელე პირდაპირ მიუთითებდა: მემამულეებისადმი მტრული განწყობა თანდათან იზრდება და ამის მიზეზი დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის არსებობა არისო. ხოლო თბილისის გუბერნატორი კი უკეთებდა რა ანალიზს გუბერნიაში კლასობრივ ანტაგონიზმის გამწვავების მიზეზებს, წერდა: „გლეხები ვერ ხედავენ მემამულეებთან ურთიერთობის უახლოეს და მათთვის სასურველ დასასრულს"[123].

მეფის მთავრობა აშკარად ცდებოდა როდესაც ფიქრობდა, რომ შეიარაღებული ძალებით საბოლოოდ გატეხდა გლეხობის წინააღმდეგობას. მართალია, ზოგჯერ იგი ამას ახერხებდა, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობის საიმედო გარანტია, რადგანაც იქ, სადაც სისხლი იღვრებოდა, სადაც მოძალადე ასობით უდანაშაულო ადამიანს აპატიმრებდა და ხიშტით ამყარებდა თავის ძალაუფლებას, მშვიდობაზე ლაპარაკიც

---

[120] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 5—6.
[121] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1542, ფურც. 11.
[122] სსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 3438, ფურც. 8.
[123] ი ქ ვ ე.

კი ზედმეტი იყო. გლეხთა დროებითი მორჩილება, რომელიც თან სდევდა ეგზეკუციების ჩაყენებას სოფლად და სხვ. მოჩვენებითი იყო. მემამულეებისა და მათი ინტერესების დამცველი მეფის მოხელეების ყოველგვარი ასეთი მოქმედება აორკეცებდა მშრომელი გლეხობის სიძულვილსა და აღშფოთებას არსებული წყობილების მიმართ. მაშინ, როდესაც საქმეში ერეოდა იარაღი, ბრძოლის ერთ ფორმას მეორე ცვლიდა.

თავი V

გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი

§ 1. რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში

განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინური ეტაპის მეორე პერიოდი საქართველოში 1874 — 1881 წლებს მოიცავს. იგი გამოირჩევა კლასობრივი ბრძოლის სიღრმითა და სიმწვავით. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის შიგნით შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია.

რევოლუციური სიტუაციის საკითხი ყოველთვის იყო და დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება. ამით აიხსნება ის ინტერესი, რომელსაც თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება რევოლუციური სიტუაციის არსის გარკვევისათვის იჩენს. ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები. საბჭოთა ისტორიულ და ფილოსოფიურ რუსულ ლიტერატურაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რევოლუციური სიტუაციის პრობლემის შესწავლას.

როგორც ცნობილია, ლენინიზმი რევოლუციურ სიტუაციას მოვლენათა განვითარების პროცესში განიხილავს. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ობიექტურ ანუ საერთო რევოლუციურ სიტუაციას, უშუალო რევოლუციური სიტუაციისაგან. ამ უკანასკნელს ახასიათებს როგორც „უშუალო ბრძოლების ფორმას", რევოლუციური ვითარების ერთ საფეხურს — მის შემადგენელ ნაწილს.

საერთო ანუ ობიექტური რევოლუციური სიტუაციის ცნების ქვეშ ვ. ი. ლენინი გულისხმობდა ისეთ ვითარებას, როდესაც ნამდვილად არსებობდა რევოლუციის დაწყების სათანადო პირობები, მაგრამ იგი ყოველთვის მაინც არ გადაიზრდებოდა რევოლუციაში. ასეთ სიტუაციად მას მე-19 საუკუნის 50 — 60-იანი წლების მიჯნასა და 70-იანი წლების მიწურულში შექმნილი ვითარება მიაჩნდა.

ახასიათებდა რა რევოლუციურ სიტუაციას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა მის სამ ძირითად ნიშანზე: „1) შეუძლებლობა გაბატონებულ კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა: «ზედაფენების» ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება, რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ «ქვედა ფენებს არ უნდოდეთ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ» ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება, ისინი „მშვიდობიან“ ეპოქაში მშვიდად აძარცვინებდნენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ი ს ე თ ვ ი თ ო ნ «ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი» იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას[1].

ისმის კითხვა, რევოლუციური სიტუაციის ლენინური დახასიათება შეეფარდება თუ არა მე-19 საუკუნის 70 — 80-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში შექმნილ ვითარებას? როგორი იყო „ზედაფენების“ და „ქვედაფენების“ მდგომარეობა? რა დონეზე იდგა კლასობრივი ანტაგონიზმი?

გამოვდივართ რა ვ. ი. ლენინის მიერ რევოლუციური სიტაციის საერთო გაგებიდან, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში შეიქმნა საერთო, ანუ ობიექტური რევოლუციური სიტუაცია, რომელიც რევოლუციაში არ გადაზრდილა.

ამ პერიოდის საქართველოს სოფელში შექმნილი რევოლუციური სიტუაცია შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, მას თავისი მიზეზები გააჩნდა. რევოლუციური სიტუაციის ნიშნების გადმოცემისას ვ. ი. ლენინი მიუთითებს: „ქვედა ფენების“ მდგომარეობის გაუარესებაზე. ეს ნიშანი ლენინის მიერ გადმოცემულია ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ დებულებაში: პირველი, „ჩაგრული კლასების გაჭირვება და უბედურება გამწვავებულია ჩვეულებრივზე მეტად“ და მეორე „მათ („ქვედა ფენებს“, — მ. ა.) არ სურთ იცხოვრონ ძველებურად“.

ორივე ამ დებულებაში ლაპარაკია მასების მდგომარეობის გაუარესებასა და აქედან გამომდინარე მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 248.

მართლაც, საქართველოს მშრომელი გლეხობის მდგომარეობა 1864 — 1871 წლების რეფორმებმა კი არ გააუმჯობესა, არამედ კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი გახადა. მან დატოვა ბატონყმობის ისეთი გადმონაშთი, როგორიც იყო დროებითვალდებულების ინსტიტუტი. იგი საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების, ბორკილი გახდა, რის გამოც დღის წესრიგში სულ უფრო მთელი სიმძაფრით დგებოდა მისი მოსპობის აუცილებლობის საკითხი.

რეფორმის განხორციელების შედეგად გლეხებმა დიდძალი მიწები დაკარგეს. მცირემიწიანი ან უმიწო გლეხების ვეებერთელა არმიის გაჩენა, მათი მდგომარეობის გაუარესების მაუწყებელი იყო და, რასაკვირველია, სოფლად სოციალური ანტაგონიზმის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

რეფორმის შემდეგ სწრაფად იჭრება და ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ფართოვდება ვაჭრობა, იზრდება მოთხოვნილება ფულზე, ამიტომაც მემამულენი ცდილობენ ნატურალური გადასახადები ფულადით შეცვალონ. გლეხების მდგომარეობა თანდათან მძიმე და აუტანელი გახდა. მემამულეები აძლიერებენ დროებითვალდებულ გლეხთა ექსპლოატაციას. არ გამართლდა გლეხების იმედები, რომ თითქოს რეფორმიდან 9 წლის გასვლის შემდეგ მიწებს უსასყიდლოდ მიიღებდნენ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობა არ გამოეწვია.

ამრიგად, რევოლუციური სიტუაციის იმ ნიშანს, რაც მშრომელი მასების მდგომარეობის „ჩვეულებრივზე მეტად“ გაუარესებას გულისხმობდა მე-19 საუკუნის 70-იან წლების საქართველოში ამკარად ჰქონდა ადგილი. ამაზე მიუთითებს ის მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც უხვადაა შემონახული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სიძველეთსაცავებში.

რევოლუციური სიტუაციის ლენინური ფორმულირების მესამე ნიშნის გარკვევისას ლაპარაკია „ზედაფენების“ მოქმედებით გამოწვეულ ხალხთა მასების ისტორიულ გამოსვლებზე, რომლებიც კრიზისის ვითარებას ქმნიან.

ვ. ი. ლენინი რევოლუციური სიტუაციის იმ ნიშნის დახასიათებისას, რომელიც „მასების აქტივობის მნიშვნელოვან ამაღლებას“ ეხება, არსად არ ლაპარაკობს მხოლოდ დიდ და მსხვილ რევოლუციურ გამოსვლებზე, მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვებზე, აჯანყებებზე და ა. შ. მას მხედველობაში აქვს საერთო უკმაყოფილების ზრდა.

1874 წლიდან საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება. მართალია, ამ პერიოდში მშრომელი გლეხობა კვლავ ძველი ფორმით—საჩივრებით, გაქცევა-გახიზვნით, აყრა-გადასახლებით, ნატურალურ თუ ფულად გადასახადებზე უარის თქმით აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ აღნიშნული პერიოდიდან კლასობრივი ბრძოლის ძირითად ფორმად გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი გადაიქცა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ეტაპის გლეხთა მოძრაობა თავის განვითარების კულმინაციურ წერტილს 1873 — 1878 წლებში აღწევს. მასობრივი მღელვარებები შეიარაღებულ აჯანყებებში გადადის. ეს კი კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმა იყო.

თუ რეფორმის პირველ წლებში ძირითად რევოლუციურ ძალას მხოლოდ დროებითვალდებული გლეხები წარმოადგენდნენ, ახლა ამ ბრძოლაში ჩაება სოფლის მშრომელთა ყველა კატეგორია. ასე მაგალითად, 1873 — 1876 წლებში სამეგრელოში ოთხჯერ აჯანყდნენ დროებითვალდებული გლეხები, 1875 — 1876 წლებში სვანეთის გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო მთელმა მოსახლეობამ, ხოლო 1873 წელს კახეთის აჯანყებაში სახელმწიფო გლეხებთან ერთად მონაწილეობდნენ დროებითვალდებული გლეხებიც.

მე-19 საუკუნის 70-იან წლების გლეხთა ზემოთჩამოთვლილი აჯანყებანი ძირითადად სოციალური უსამართლობის საფუძველზე იყო აღმოცენებული, თუმცა მათი დაწყების საბაბი სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ასე თუ ისე, საბოლოო ჯამში, ეს აჯანყებები ერთ მიზანს ემსახურებოდა — ბატონყმობის ნაშთების ლიკვიდაციას სოფლად.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მასების აქტივობა „ჩვეულებრივზე მეტად“ ძლიერდება. სოფლად გაჩაღებული კლასთა ბრძოლის ცალკეული მომენტების ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის რევოლუციური სიტუაციის ლენინური განსაზღვრების ამ ნიშნის არსებობას ჩვენში.

თუ ამას დავუმატებთ იმ მასობრივ გამოსვლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, რაჭისა და სამეგრელოს სოფლებში, მაშინ ნათელი გახდება, თუ რაოდენ მწვავე ხასიათს ატარებდა კლასობრივი ანტაგონიზმი XIX საუკუნის 70-იან წლებში.

რევოლუციური სიტუაციის ნიშნად ვ. ი. ლენინი ასახელებს აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის აღმავლობას, „მასების აქტივობის“ გაძლიერების შედეგად გამოწვეულ ზედაფენების კრიზისს, ეს ის მომენტია, როდესაც ხელისუფლება იძულებულია დათმობაზე წავიდეს და ზოგიერთი მისთვის არასახარბიელო ღონისძიებები განახორციე-

ლოს. სულ უფრო მზარდი რევოლუციური მოძრაობა უძლურს ხდის გაბატონებულ კლასს „უცვლელი სახით შეინარჩუნოს თავისი ბატონობა“. ამ შემთხვევაში ის ცვლილებები, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს, წარმოადგენს არა მთავრობის ზრუნვის, არამედ რევოლუციური ბრძოლის შედეგს.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში შექმნილმა რევოლუციურმა სიტუაციამ აიძულა ხელისუფლება ზოგიერთ ცვლილებაზე ეფიქრა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რევოლუციური სიტუაციის ლენინური განმარტების ის სამი ნიშანი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სავსებით შეეფარდება მე-19 საუკუნის 70 — 80-იან წლების მიჯნაზე საქართველოში შექმნილ ვითარებას. ამ პერიოდის მასალების შესწავლა უფლებას გვაძლევს დავუშვათ რევოლუციური სიტუაციის არსებობა ჩვენშიც. საქართველოში შექმნილი ვითარება რუსეთის იმპერიაში ამ დროს არსებული საერთო-რევოლუციური სიტუაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ორგანულად ერწყმოდა არსებული წყობილების წინააღმდეგ იმ გმირულ ბრძოლებს, რომელსაც XIX საუკუნის 70 — 80-იან წლებში რუსეთის მშრომელები და რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია ეწეოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინი რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მასების აქტივობის ზრდას მიიჩნევდა, რაც სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასთა ბრძოლის აღმავლობას გულისხმობდა.

ამ მხრივ კი საქართველოს, ისე როგორც მე-19 საუკუნის 50 — 60-იან წლებში, 70-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის დროსაც, განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამიტომ რევოლუციური სიტუაციის ამ ნიშანს ჩვენ უფრო დეტალურად შევეხებით, შევეცდებით ავხსნათ ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ამ დროის გლეხთა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობა და განვსაზღვროთ ქართველი ხალხოსნების როლი მე-19 საუკუნის 70-იანი წლების გლეხთა აჯანყებების საქმეში.

§ 2. „9 წლიანი ვადის“ შესახებ ხმების გავრცელება და მისი გავლენა 70-იანი წლების გლეხთა მოძრაობაზე

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპის მეორე პერიოდის გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასა და საერთოდ სოფლის მშრომელ-

თა საბრძოლო სულისკვეთებაზე უდიდესი გავლენა იქონია ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ საბატონო გადასახადებიდან განთავისუფლებისა და დროებითვალდებულ გლეხობისათვის მათ სარგებლობაში არსებული სანადელო მიწების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხმების გავრცელებამ.

ისმის კითხვა ჰქონდა თუ არა გლეხობას 9 წლის შემდეგ სანადელო მიწების უსასყიდლოდ მიღების რეალური საფუძველი?

1869 წელს გამოვიდა დადგენილება ნადელების შესყიდვის წესებზე. მისი ერთ-ერთი პუნქტი უფლებას აძლევდა დროებითვალდებულ გლეხებს ბატონყმობის გაუქმებიდან ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უარი განეცხადებინათ ნადელებზე, წასულიყვნენ და ჩასახლებულიყვნენ სხვა ადგილებში. მართალია, ყოველივე ეს სიტყვასიტყვით იყო ჩაწერილი „ნაკაზში", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ გლეხს, მართლაც, შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოქცეულიყო, ამისათვის საჭირო იყო მემამულესთან შეთანხმება. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის გუბერნატორი წერდა: „....დებულების გამოქვეყნებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ სასოფლო საზოგადოებიდან გამოსვლა. ან ნადელის სარგებლობაზე უარისთქმა, იმ პირობების დარღვევა, რომელიც მემამულის და გლეხის შეთანხმებითაა სიგელში შეტანილი, არ შეიძლება, თუ არ იქნა ორივე მხარის თანხმობა კანონის ფარგლებში"[2].

გამოდის, რომ 9 წლის შემდეგაც სანადელო მიწის მიტოვება მაინც მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული. „ნაკაზის" ეს პუნქტი გლეხობამ თავისებურად გაიგო. „გამოსყიდვითი ოპერაციის „ნაკაზის" გამოქვეყნებასთან ერთად გლეხობამდე შეცვლილი სახით მოაღწია რუსეთის შიდა გუბერნიებში აღძრულმა საკითხმა განთავისუფლებიდან პირველი 9 წლის გასვლის შემდეგ გლეხების მიერ ნადელებით სარგებლობაზე უარისთქმის და საზოგადოებიდან თავისუფლად გამოსვლის უფლების შესახებ. მხოლოდ ამან დაბადა გლეხებში იმედი, რომ 9 წლის გასვლის შემდეგ სანადელო მიწები გადავა მათ სრულ საკუთრებაში მემამულისათვის ყოველგვარი გამოსაღების გადახდის გარეშე"[3].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნადელების უსასყიდლოდ მიღებაზე ხმები გამოსყიდვითი „ნაკაზის" გამოქვეყნებისთანავე გავრცელდა და მთელ საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო. მისი გავრცელების საფუძველს თვით გლეხობის მძიმე მდგომარეობა წარმოადგენ-

---

[2] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 951, ფურც. 78.

[3] იქვე, ფურც. 79.

და. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „გლეხები ისე გაიტანჯნენ ყოველ-გვარი ძარცვა-გლეჯვით, ჩაგვრითა და წამებით, რომ არ შეეძლოთ თუნდაც ერთი წუთით არ დაეჯერებინათ ბნელი ხმები მეფის მოწყალების შესახებ"[4].

ეს ხმები 9-წლიანი ვადის შესახებ საქართველოს ყველა კუთხეში სხვადასხვა სახით გავრცელდა. კახეთის გლეხობას სჯეროდა, რომ ის, ვინც ბატონყმობის გაუქმებიდან ამ ხნის განმავლობაში წესიერად მოემსახურებოდა მემამულეს და უსიტყვოდ გადაიხდიდა გადასახადებს, უსასყიდლოდ მიიღებდა სანადელო სახნავ-სათეს და საბაღე მიწებს. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, თითქოს ამგვარი ხმების გავრცელების წყარო ბრძოლის შენელების სურვილიდან მომდინარეობდა, თითქოს იგი ერთგვარ მოწოდებას წარმოადგენდა გლეხობისადმი, რომ ხელი აეღოთ მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე, რათა სამაგიეროდ 9 წლის შემდეგ თავისუფლება და მიწები მიეღოთ. ჩვენს ხელთ არის გურჯაანელ გლეხთა საჩივარი, სადაც სწორედ ამ საკითხზეა ლაპარაკი: „და თუ ისე იქნება, — აღნიშნავდნენ ისინი, — როგორც ზოგიერთი გლეხი კაცნიც დააჯერეს, რომ ცხრა წლის განმავლობაში ვინც მისცემს მიწის მოსავლიდამ მებატონეს მეოთხედს, იმის შემდეგ ვენახიცა და სახნავი მიწებიც გლეხს დარჩება საკუთრებად, მოგვეცით ამაზე ბრძანება და მაშინ დიდის კმაყოფილებით თანახმანი შევიქნებითო"[5].

ეს დოკუმენტი ფრიად საყურადღებოა, ჯერ ერთი, როგორც ჩანს, კახეთის სხვა სოფლებშიც ყოფილა 9-წლიანი ვადის შესახებ გავრცელებული ხმები და აქაურ გლეხებზე მას გარკვეული გავლენაც მოუხდენია. მეორე, გლეხობამ სავსებით მაინც არ ირწმუნა მისი ჭეშმარიტება და მმართველობას ამ ბრძანების დაშვება მოსთხოვა. „თუ ბრძანებას არ მივიღებთ, — ამბობდნენ გლეხები, — მაშინ ჩვენ ვერ შევძლებთ, რომ ვენახის შემოსავლიდან კულუხი მეოთხედი ვაძლიოთ და ვერც სახნავი მიწიდამ კოდის პურის მეოთხედი მემამულეს"[6].

9-წლიანი ვადის გასვლის მოახლოვებასთან დაკავშირებით გლეხობა თანდათან უფრო მტკიცედ მოითხოვდა „ნაკაზის" ზემოაღნიშნული პუნქტის პრაქტიკულად განხორციელებას. მთავრობამ კარგად იცოდა რომ გლეხები ნამდვილად დააყენებდნენ საკითხს ნადელების უსასყიდლოდ მიღებაზე, და თუ იგი მას ვერ განახორციელებდა, მოსალოდნელ უსიამოვნებას თავიდან ვერ აიცილებდა. აბიტომ იგი თავიდანვე ფიზიზლად დადგა თავადაზნაურთა კლასობრივი ინტერესების

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 529.
[5] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 951, ფურც. 72.
[6] ი ქ ვ ე .

დაცვის სადარაჯოზე და წინასწარი პროფილაქტიკური ზომების გახორციელებას შეუდგა. პირველ რიგში სპეციალური მიმართვები დაეგზავნა ყველას, მათ შორის თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებსაც, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინათ.

1874 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი გუბერნატორებს ატყობინებდა, რომ მოეხსენებინათ მისთვის თუ რა მდგომარეობა არსებობდა ადგილებზე ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ[7].

გუბერნიის მმართველობამ სოფლებში გაგზავნა საკრებულოს წევრები, გამოსყიდვითი ოპერაციის საქმეთა უფროსი, მომრიგებელ-შუამავალები და სხვ. მათ მიეცათ მითითება, რომ ადგილებზე ფართო ასსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაეტარებინათ ამ ხმების გასაფახტავად.

„9-წლიანი ვადის" შესახებ ხმები რომ რეალურ საფუძველს ძოკლებული იყო, ეს ნათელი გახდა მე-19 საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში. გამოირკვა, რომ გლეხობა ძველებურ მდგომარეობაში რჩებოდა და მათზე არავინ ფიქრობდა, ნადელების უსასყიდლოდ მიცემა არავის არ მოსვლია აზრად, ეს მხოლოდ თვით გლეხების ფანტაზიის ნაყოფი იყო. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა თავისებური დაღი არ დაესვა გლეხთა მოძრაობაზე და იგი უშუალო მიზეზი არ გამხდარიყო არა მარტო მასობრივი მღელვარებებისა, არამედ შეიარაღებული აჯანყებისა.

ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შესახებ გავრცელებული ხმების პირველი ვარიანტი თუ დროებითვალდებულ გლეხს სანადელო მიწას უსასყიდლოდ აძლევდა, მეორე ვარიანტით ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გლეხს თითქოს შეეძლო დაეტოვებინა საცხოვრებელი და სადაც მოისურვებდა იქ დასახლებულიყო. 1875 წლის 13 აპრილს „დროების" კორესპონდენტი ოზურგეთიდან იწერებოდა: „გლეხებს ჰგონიათ, რომ შეუძლიათ მხოლოდ აიყარხონ და მოსცილდნენ თავის მებატონეებს"[8].

დარხეული ხმების არც ერთი ვერსია არ გამართლდა. გლეხებმა დაინახეს, რომ მათ უსასყიდლოდ ნადელებს არავინ აძლევდათ, დარწმუნდნენ იმაშიც, რომ თავისუფლად აყრა-გადასახლების ვერსიაც სიმართლეს იყო მოკლებული. ამიტომ მათ უმჯობესად მიიჩნიეს საკუთარი ძალებით, შეიარაღებული აჯანყებების საშუალებით, მიეღწიათ სიმართლისათვის.

მთავრობისა და მემამულეების ერთობლივმა მოქმედებამ ვერ შეა-

---

[7] სსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 951, ფურც. 72.
[8] გაზ. „დროება", 1875, № 44, გვ. 2.

ჩერა გლეხები, მათმა ერთმა ნაწილმა ქალაქს მიაშურა, ხოლო მეორემ კი სხვა სოფლებს შეაფარა თავი.

ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ საბატონო გადასახადებიდან განთავისუფლებისა და დროებითვალდებული გლეხებისათვის მათ სარგებლობაში არსებული სანადელო მიწების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხმების გავრცელებამ მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში სოფლის მშრომელი მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთებაზე გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა.

§ 3. რევოლუციურ-ხალხოსნური აგიტაცია მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში

რევოლუციური სიტუაცია ფართო მცნებაა და მარტო გლეხთა მოძრაობას არ გულისხმობს. იგი სოფლად კლასობრივი ანტაგონიზმის გაძლიერებასთან ერთად სხვა მომენტებსაც მოიცავს. კერძოდ, იდეოლოგიურ ბრძოლას და სხვ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება, რეფორმის მძარცველური ხასიათი, ქართველი გლეხის ძძიმე ძდგომარეობა, მისი გაუმჯობესების გზების ძიების საკითხები რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის მსჯელობის საგანი გახდა. ამ ძხრივ განსაკუთრებული ადგილი XIX საუკუნის 70-იანი წლების ხალხოსნებს უჭირავთ, რომლებიც მშრომელი გლეხობის იხტერსებს გამოხატავდნენ და მისი იდეოლოგები იყვნენ, მოღვაწეობის ასპარეზად მათ სოფელი აირჩიეს, ძირითად რევოლუციურ ძალად გლეხობა აღიარეს და მთავარ მიზნად არსებული წყობილების დამხობა გამოცხადეს[9].

ქართველმა რევოლუციონერ-ხალხოსნებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბატონყმობის გადმონაშთებს. ისიხი ცდილობდხენ ექსპლოატატორული კლასებისა და ჩინოვნიკურ-ბურჟუაზიული ხელისუ-

---

[9] ზ. შველიძე, რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1960; ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, 1967; Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль по второй половине XIX века, том I—II; ბ. რატიანი, ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი", 1960, № 3—8, 10, 11; В. Бахтадзе „Очерки по истории Грузинской Общественно-экономической мысли (60—90 годы XIX столетья), Тб., 1960.

[illegible]

სებას.

ქართველ ხალხისანთა დიდ ნაწილს განათლება რუსეთის უძაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუს ხალხთა ორგანიზაციების საქმიანობაში. ამიტომაც იყო, რომ მრავალი მათგანი დააპატიმრეს და შორეულ მხარეში გადაასახლეს. ცარიზმს ეშინოდა კავკასიელი რევოლუციონერების, იგი თვალყურს ადევნებდა, რომ საშშობლოში დაბრუნების შემდეგაც ძათ კვლავ არ შეექმნათ საიდუმლო წრეები და ორგანიზაციები, არ განეგრძოთ რევოლუციური პროპაგანდა. 1865 წელს დიდი ძთავარი იწერებოდა: „ფრთხილად უნდა ვიყოთ და თვალყური ვადევნოთ ყველა საეჭვო პირს"[10].

მიუხედავად ამისა, საქართველოში ხალხოსხურძა პროპაგახდაძ მასობრივი ხასიათი მიიღო. XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ჩნდება საიდუმლო წრეები თბილისის სასულიერო სემინარიასა და გიმნაზიებში. მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობა მოიპოვეს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ჩერნიშევსკის, გერცენის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, და სხვათა პროგრესულმა შეხედულებებმა.

აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი ხალხოსნები, როგორიც იყვნენ: ჯაბადარი, ისიდორე ქიქოძე, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ (მიშო) ყიფიანი, შიო დავითაძვილი, ანტონ ფურცელაძე, რომან ფავლენიშვილი და მრავალი სხვ. ქართველმა ხალხოსნებმა, თავიანთი რუსი თანამოაზრეების მსგავსად, ძგზხებარე რევოლუციური მოღვაწეობა გააჩაღეს.

ფართო საბგიტაციო მუშაობა გაიშალა კახეთის სოფლებში. აქ არსებული ხალხოსნური ჯგუფებიდან ყველაზე ძლიერს საბუეს წრე წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ედგნენ სოფიო და იორამ ჯორჯაძეები[11].

კახეთის სხვა სოფლებშიც არსებობდა პატარ-პატარა ხალხოსნური ორგანიზაციები, რომელთა ძირითად ძალას სოფლის მოსწავლეები შედგენდნენ. ასეთების რიცხვს განეკუთვნებოდნენ ნიკოლოზ ძრევლიშვილი სოფელ კარდანახში, ივანე როსტომაშვილი ენისელში, ალექსანდრე ცხვედაძე. საგარეჯოში[12]. იოსებ გულისაშვილი სოფელ გიორგი-

---

[10] თბილისი 1500 წლისაა, საიუბილეო კრებული, გვ. 99.

[11] სსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 20, ფურც. 112—113.

[12] ი ქ ვ ე , ფურც. 335.

წმინდაში, შიო შიუკაშვილი, ილიკო ჩერქეზიშვილი, კონსტანტინე ნაცვლიშვილი— სიღნაღის მაზრაში[13]. მაყაშვილი[14] და ჭიჭიხაძე თელავის მაზრაში. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაეძყარებინათ კავშირი მოსწავლე ახალგაზრდობასა და გლეხობასთან; არ უშინდებოდნენ საფრთხეს, რევოლუციური შემართებითა და თავდადებით პირად მაგალითს აძლევდნენ სოფლის მოსახლეობას. ამ ძრიკ გამოირჩეოდა მაყაშვილი. მას რუსეთიდან რევოლუციური წიგნებითა და ბროშურებით სავსე ჩემოდანი ჩამოუტანია[15] და კახეთის სოფლებში გაუვრცელებია[16]. ჟანდარმერიას მხედველობიდან არ გამორჩენია მისი მოღვაწეობა და ამიტომ მასზე განსაკუთრებული მეთვალყურეობაც დაუწესებიათ[17]. 1876 წლის 2 ივლისს თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის მოადგილე დუშეთის მაზრის უფროსს ატყობინებდა: „გასული მაისის 10 რიცხვში ვლადიკავკაზის გზით თბილისის ძიმართულებით გაიარა უცნობმა კაცმა, რომელიც ეკუთვნოდა მოსწავლე ახალგაზრდობას. ჩივყვებოდი რა კვალდაკვალ სადგურიდან სადგურამდე... შევნიშნე, რომ ეს პიროვნება მის შეძხვედრ უბრალო ხალხძი. როგორც პრიკაზჩიკებსა და მედუქნეებში, ასევე მოსახლეობის სხვა ფენებში რევოლუციური შინაარსის წიგნებს ავრცელებდა. მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ იგი მოდიოდა პეტერბურგიდან, სადაც სწავლობს ერთ-ერთ სასწავლებელში; მას მამულები აქვს და მშობლები ჰყავს თელავის მაზრაში, ლაპარაკობს ქართულ ენაზე"[18]. ეს უცნობი, რომლის ვინაობასაც ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ვერ ასახელებს, მაყაშვილი იყო.

ამრიგად, მაყაშვილის შესახებ მიკვლეული მასალები მოწმობს, რომ იგი რევოლუციური ორგანიზაციის წევრი ყოფილა, როძელსაც რუსეთიდან შემოჰქონდა აკრძალული ლიტერატურა. მაყაშვილი ცდილობდა დაემყარებინა კავშირი არა მარტო თელავის ძაზრის, არაძეღ ქართლის სოფლებთანაც. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი სპეციალური მითითებით მოქმედებდა ძთელ აღძოსავლეთ საქართველოში.

კახეთის სოფლებში მომუშავე ხალხოსნებიდან ყურადღებას იძსახურებს აგრეთვე საბუის სოფლის ძასწავლებელი ჭიჭიხაძე. იგი ხ'ძი-

---

[13] სსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 120—126.
[14] ი ქ ვ ე, საქ. 62, ფურც. 7.
[15] ი ქ ვ ე, ფურც. 2.
[16] ი ქ ვ ე, ფურც. 2.
[17] ი ქ ვ ე.
[18] ი ქ ვ ე, ფურც. 7.

რად ხედებოდა ადგილობრივ გლეხებს და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა.

იმისათვის, რომ თავიანთი ხმა რაც შეიძლება ფართო მასებისათვის მიეწვდინათ, ხალხოსნური ინტელიგენცია ისეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმასაც კი არ ერიდებოდა, როგორიც იყო პროკლამაციების გავრცელება. 1878 წელს სიღნაღის ქუჩებში გაჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, ჟანდარმერიამ დაიწყო ძიება და ეჭვი სიღხაღელ მასწავლებელ კონსტანტინე ბაღაშვილზე მიიტანა, მაგრამ საბრალდებულო საბუთების სიმცირის გამო სასამართლო ძიება შეწყდა[19].

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ხალხოსნური მოძრაობა ძლიერდება. დასავლეთ საქართველოში. ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა აქტიური მუშაობა გააჩაღა გლეხების საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად[20].

ხალხოსნური მოძრაობა თანდათანობით მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს იგი სამეგრელოს სოფლებში ატარებდა. აქ რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდხენ სოფლის მასწავლებლები და თავადაზნაურობის წრიდან გამოსული მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს გლეხობასთან. „დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, — წერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, — რომ გლეხურ მოსახლეობაში სოფლის მასწავლებლები არიან, ის პირნი, რომელთაც გლეხურ ფენასთან ყველაზე ახლო ურთიერთობა აქვთ“[21].

1876 წელს სენაკის მაზრაში სოფლის მშრომელთა შორის პროპაგანდის საქმეში შემჩნეული იყვნენ მასწავლებლები: ანტონ იოსელიანი, ანთიმოზ ჯუღელი და ნესტორ კანდელაკი, ხოლო ზუგდიდის მაზრაში (სოფ. კოკსა და ხიბულაში) კი ასეთი საქმიანობით გამოირჩეოდნენ ივანე ირემაძე, ანტონ შენგელია, ბათუ აფაქიძე[22], ალექსი გოთუა[23].

ფართო მუშაობა გააჩაღეს ხალხოსნებმა აგრეთვე რაჭის სოფლებში, ასე მაგალითად, პლატონ გაბიჩვაძეს გლეხებს შორის „რევოლუციური აზრის გასავრცელებლად სპეციალურად უმოგზაურია ჩარჯში, ქვანში, სადმელში, ხვანჭკარასა და სხვ. სოფლებში[24].

---

[19] სსსა, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2646, ფურც. 1—4.

[20] ზ. შველიძე, რევოლუციურ ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში თბ., 1960, გვ. 155.

[21] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1614, ფურც. 6.

[22] სსსა, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2646, ფურც. 1—6.

[23] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 241, ფურც. 3.

[24] ა. ქ ი ქ ვ ი ძ ე , საქართველოს ისტორია, XIX—XX სს., ტ. II, 1959, გვ. 83.

ამრიგად, ხალხოსნურმა მოძრაობამ თითქმის ყველა ძაზრაში ჰპოვა განვითარება. სოფლად ერთდროულად ძოღვაწეობდხენ როგორც გლეხი აგიტატორები, ისე ხალხოსნური ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი ერთ და იმავე საქმეს ემსახურებოდნენ და ერთი და იმავე მეთოდით მოქმედებდნენ.

ისმის კითხვა, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი რევოლუციურ ხალხოსნურ ორგანიზაციებს სოფლად მომუშავე იმ გლეხ აგიტატორებთან, რომელთა მოღვაწეობამაც XIX საუკუნის 60 — 70-იან წლებში ესოდენ მასობრივი ხასიათი მიიღო?

სამწუხაროდ, დღესდღეობით სათანადო საბუთების უქონლობის გამო რაიმეს გადაჭრით თქმა აღნიშნული საკითხის შესახებ, ძნელია. მიუხედავად ამისა, ასეთი მოსაზრების წამოყენება უსაფუძვლოდ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს.

ცნობილია, რომ ხალხოსნები ძირითად რევოლუციურ ძალად გლეხობას აღიარებდნენ და თავიანთი მოღვაწეობის ასპარეზად სოფელს მიიჩნევდნენ. სწორედ იქ დაიწყეს მათ რევოლუციური იდეების პროპაგანდა. ცხადია, თავიანთ საქმიანობაში ისინი გლეხობასაც ჩაებამდნენ. ქუთაისის გუბერნატორი 1876 წელს თავის ანგარიშში წერდა: „დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ მოძღვრების (ხალხოსნური. — მ. ა.) მქადაგებელნი გლეხურ მოსახლეობაში არიან ერთი მხრივ სოფლის მასწავლებლები და მეორე მხრივ თვით გლეხების წრიდან გამოსული ცალკეული პირები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან“[25]. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ლაპარაკია სოფლად მომუშავე ხალხოსნურ ინტელიგენციასა და გლეხ-აგიტატორთა ერთობლივ საქმიანობაზე.

ხალხოსნებისა და გლეხ-აგიტატორთა მიერ მასებში ჩატარებული საუბრების თემა ერთმანეთს ემთხვევა. ერთნიც და მეორენიც გლეხების ასამხედრებლად იყენებდნენ 9-წლიანი ვადის შესახებ გავრცელებულ ხმებს, მოუწოდებდნენ სოფლის მშრომელებს უარი გახეცხადებიხათ ბეგარა-გადასახადებზე, უბიძგებდნენ მათ შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

აღსანიშნავია, რომ გლეხ-აგიტატორთა შორის იყვნენ ისეთებიც (ქიქოძე, ბალიაშვილი და სხვები), რომლებსაც საკმაო განათლება გააჩნდათ, სათანადოდ ფლობდნენ რუსულ ენას, შეეძლოთ მოვლენების კრიტიკული შეფასება, გამომუშავებული ჰქონდათ ჟანდარმერიისა და მეფის მოხელეების მეთვალყურეობიდან თავის დაღწევისა და მიმალ-

---

[25] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1814, ფურც. 9.

ვის ჩვევები. ყოველივე ეს მოსაზრებას გლეხ-აგიტატორებისა და ხალხსნების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ საფიქრებელს ხდის.

მართალია, ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას არ იძლევა ვადაჭრით ვამტკიცოთ გლეხ-აგიტატორთა და ხალხსნების საერთო ხელმძღვანელი ცენტრის არსებობა, მაგრამ ზოგიერთი საარქივო დოკუმენტის გულდასმითი შესწავლა-გაანალიზება უფლებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მისი არსებობა გამორიცხული არ არის.

ხალხსნების აგიტაცია მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო. მასში წამყვანი ადგილი ეთმობოდა მეფის ხელისუფლებისა და ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის კრიტიკას, გლეხობა თვალნათლივ ხედავდა თუ როგორ იზრდებოდა ყოველწლიურად სხვადასხვა სახის ღალა-გადასახადები, როგორ უსინდისოდ ითვისებდნენ სახელმწიფო და მემამულეები მათი ოფლით მოწეულ დოვლათს. ხალხსნები სწორედ აღნიშნულ გარემოებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას აგიტაციის დროს. ისინი განუმარტავდნენ მოსახლეობას, რომ საზოგადოება გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. ერთში გაერთიანებულია შეჭლების მქონე მემამულენი, ხოლო მეორეში—ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რომელთა ნაოფლარსაც ითვისებს გაბატონებული კლასი. უფრო მეტიც, ხალხსნები შთააგონებდნენ გლეხობას, რომ მთავარ ექსპლოატატორს თვით სახელმწიფო წარმოადგენდა, მოურიდებლად ამხელდნენ მთავრობის მძარცველურ პოლიტიკას, გლეხობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს: სახელმწიფო კანონით გლეხებს ახდევინებს მრავალ არაპირდაპირ გადასახადებს: მოწმობისათვის. პატენტისათვის და სხვა, — განუმარტავდნენ ხალხსნები სოფლის მშრომელებს — გადასახადების ნორმები ყოველწლიურად დიდდება. მთავრობა იგონებს ახალ-ახალ გადასახადებს... რასაც კი მოიყვანს იგი (გლეხი, — მ. ა.) მიწის დამუშავებით, მკით, ლეწვით, გინდ ისეთი მძიმე მუშაობით, როგორიც არის ხე-ტყის დამზადება და სხვა სამუშაო, ყველა ამას ითვისებენ ხაზინა და მემამულეები, ხალხი კი მშიერ-მწყურვალი რჩება და სიღატაკე სულს უხუთავს მას"[26].

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი ხალხსნების საქმიანობას შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: — „ისინი (ხალხსნები, — მ. ა.) გლეხებს უხსნიან, როძ გაწერილი გადასახადები, რასაც მათ თხოვენ — უკანონოა"[27].

---

[26] დოკუმენტი მოგვაქვს ზ. შველიძის წიგნიდან რევოლუციურ ხალხსნური მოძრაობა საქართველოში, 1960, გვ. 178.

[27] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებები, 1958, გვ. 83.

ზემომოტანილ დოკუმენტებში ნათლადაა ნაჩვენები ნალსოსნეტა. პროპაგანდის მიმართულება და ხასიათი, გლეხების მძიმე და უმწეო მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები.

სოფლად გაშლილ აგიტაციაში ფართო ადგილი ეკავა აგრარულ საკითხს. ხალხოსნები გლეხებს არწმუნებდნენ, რომ მიწა, რომელიც გლეხებს ეკავათ, მათ სრულ საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს და არავის არ უნდა ჰქონდეს მასზე გადასახადების გაწერის უფლება. „ერთხელ ჩემს სოფელში, — წერდა ს. მგალობლიშვილი, — რომლის მოსახლეობას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდი შევეყარე ყველანი, მიტინგი გავმართე, გავუბი საუბარი, მიწა მშრომელი გლეხისაა, მიწის მუშისაა, რომ მეფემ გლეხი უმიწოდ გაათავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიანო, რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალაუფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს“[28].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ხალხოსნების საქმიანობა, რომლებიც სამეგრელოს სოფლებში ეწეოდნენ სააგიტაციო მუშაობას. აქაურ ხალხოსნებს შორის მებრძოლი განწყობილებით გამოირჩეოდნენ: აფაქიძე, ირემაძე, შენგელია, გოთუა და სხვები. აფაქიძე ცნობილი ხალხოსანის მიხეილ ყიფიანის მითითებით წარმართავდა თავის საქმიანობას, ეს უკანასკნელი მას ურჩევდა: „შთააგონე ყველას (გლეხებს — **ვ. ა.**) რომ მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ მათ ეკუთვნით, ვინაიდან იგი ღვთისაგან მოცემულია და არავის არა აქვს მათი შრომით სარგებლობის უფლება“[29].

კიდევ უფრო საინტერესოა ალექსი გოთუას მოღვაწეობა. იგი ძირითადად ზუგდიდის მაზრის სოფელ კირცხის გლეხებს შორის ეწეოდა აგიტაციას. მის შესახებ, 1873 წლის 3 ნოემბერს ძთავარძართებლის სახელზე გაგზავნილ ნიკოლოზ მინგრელსკის საჩივარში, ეკითხულობთ: „ეკვე სამი წელია ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის, სოფელ კირცხის აზნაური ალექსი გოთუა ამხედრებს გლეხებს ჩემს წინააღმდეგ, არწმუნებს მათ კანონის საწინააღმდეგო სხვადასხვა საქმეებში. ყველაფერს ამას აქამდე იგი აკეთებდა ფარულად, ამიტომ მე თავს ვიკავებდი მისი საქმიანობის შესახებ ოფიციალურად მომეხსენებინა რაიმე ადგილობრივი მმართველობისათვის; ეხლა ალექსი გოთუამ საჯაროდ, სოფლის თავყრილობაზე მაზრის უფროსის და მომრიგებელ მუამავალის თანდასწრებით განაცხადა, რომ მე სამეგრელოში არ მეკუთვნის არავითარი უძრავი ქონება, ყველაფერი ის, რაც საწესდებო სიგე-

---

[28] ს. მგალობლიშვილი, მოგონებები, 1958, გვ. 83.
[29] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 240, ფურც. 1.

ლებით ჩემს გლეხებს ნადელებში აქვთ მიღებული არის არა ჩემი, არამედ გლეხების საკუთრება და რომ გლეხები ტყვილა მიხდიან მე სანადელო მიწებზე გადასახადებს"[30].

ამავე დოკუმენტში მინგრელსკი დასძენს: „ალექსი გოთუამ სოფლის თავყრილობაზე განაცხადა, რომ ქუთაისის გუბერხიაში არაფერი საბატონო არ არის, ყველაფერი გლეხებს ეკუთვნითო!"[31].

ალექსი გოთუა სოფლად საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი გლეხების მოსარჩლედ გამოდიოდა, მათ ინტერესებს იცავდა. 1873 წლის 18 იანვარს სოფელ კირცხში დროებითვალდებულ გლეხებსა და მინგრელსკებს შორის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოში საადგილმამულო-სადავო საქმე ირჩეოდა. აქ გოთუა მოგვევლინა გლეხების ინტერესების დამცველად[32]. იგი სოფელ კირცხში ძცხოვრებ ერთ-ერთ დროებითვალდებულ გლეხისადმი გაგზავნილ ბარათში წერდა: „ჩემო მორდუ (გამზრდელო, — მ. ა.) ხახუ! ძოძილოცავს თქვენი საჩივრის საქმე. გაიგეთ მინგრელსკისაგან ღუბერნსკის პრისუტსტვიაში, განჩინება შესდგა, ჩვენებმა ხელი მოაწერეს თქვენდა სასარგებლოდ. მიწები, რომლებიც თქვენ გეკავათ დარჩა თქვენდა საკუთრებად, ხელშეუხებლად ყოველ კაცისა".

ეს ბარათი კომენტარს არ საჭიროებს. იგი ნათლად ძეტყველებს თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდა გოთუა საგლეხო საკითხებისადმი. ზემოაღნიშნულ წერილიდან ყურადღებას იმსახურებს ის ადგილი, სადაც იგი ამბობს: „ჩვენებმა ხელი მოაწერესო". ისმის კითხვა: ვის გულისხმობს „ჩვენების" ქვეშ, თვითონ მუშაობს საგლეხო საქმეების საკრებულოში თუ იქ ვინმესთანაა დაკავშირებული? პირადად მინგრელსკის მტკიცებით, გოთუა თვითონ მუშაობდა „ქუთაისის გუბერნატორთან და ამით პოულობდა მეტ თანაგრძნობას გლეხებს შორის"[33].

ამისათვის, რომ მეტი გამბედაობა შეეტანა ძეძაძულეთა წინააღძდეგ ბრძოლაში, გოთუა გლეხებს არწმუნებდა, რომ „თითქმის ყოველდღე განიხილება მინგრელსკებსა და გლეხებს შორის სადავო საქმეები საოლქო სასამართლოში, მინგრელსკებს ედავება ყველა გლეხი მიწას და მამულსაო"[34].

ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ა. გოთუას რევოლუციურ-ხალხოსნურ ორგანიზაციებთან? ასეთი კავშირი ოფიციალურ სარწმუნო წყა-

---

[30] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 241, ფურც. 3—6.
[31] იქვე, ფურც. 1.
[32] იქვე, ფურც. 5.
[33] იქვე, ფურც. 4.
[34] იქვე, ფურც. 1.

როებიდან არ ჩანს, მაგრამ ამის გამო აღნიშნულ საკითხზე ხელაღებით უარყოფითი პასუხის გაცემაც უმართებულო იქნებოდა, თუ ალექსი გოთუას პროპაგანდისტულ მუშაობას იმ ცნობილი ხალხოსნების მოღვაწეობას შევადარებთ, რომელსაც ისინი სამეგრელოში ეწეოდნენ. დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ბევრი რამაა საერთო. კერძოდ, გოთუას აგიტაცია შინაარსობრივად ზუსტად ემთხვევა აფაქიძის აგიტაციას, ერთიც და მეორეც გლეხებს არწმუნებდა, რომ მიწა მათი სრული საკუთრებაა და ამიტომ მასზე დაწესებული გადასახადები უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო.

აგიტაციის ამგვარი შინაარსობრივი დამთხვევა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გოთუას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხალხოსნურ ორგანიზაციებთან.

XIX საუკუნის 70-იან წლებში მეფის საწინააღმდეგო პროპაგანდამ ფართო ხასიათი მიიღო. ხალხოსნებმა დააყენეს საკითხი „რატომ აწევს ხალხს კისერზე მეფე და მისი მოხელეებიო"[35]. ამით მათ დაანახვეს მშრომელ გლეხობას, რომ მეფე და მისი ერთგული მსახურნი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, ეს იყო ერთგვარი მოწოდება ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო მეფის საწინააღმდეგო აგიტაციამ ქუთაისის გუბერნიის სოფლებში: კორბოულში[36], ამაშუკეთში[37] (შორაპნის მაზრა), ონოლიაში[38] (სენაკის მაზრა) და სხვ.[39], ხარშილაძე, მალაღურიძე, ამაშუკელი, ჩარგეიშვილი, მურუსიძე, გაბუნია და სხვები საქვეყნოდ წარმოთქვამდნენ მეფის საწინააღმდეგო სიტყვებს. ხარშილაძის საბრალდებულო დასკვნაში ნათქვამია: „იგი გლეხებს შორის წარმოსთქვამდა ხელმწიფეზე სალანძღავ სიტყვებს"[40], ხოლო იოსებ გაბუნია კი, როგორც მაზრის უფროსი იტყობინებოდა, „იმპერატორზე ლაპარაკობდა შეურაცხმყოფელად... სხვათაშორის მან თქვა იარაღი რომ მომცა პირველად მეფე იმპერატორს დავხვრეტდიო"[41].

ეწეოდნენ რა მემამულეებისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას, ხალხოსნები გლეხებს მოუწოდებდნენ ქონებრივი უთანასწორობის მოსპობისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლისაკენ.

---

35 სსსა, ფ. 7 ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 40.
36 იქვე, ანაწ. 3 საქ. 2579, ფურც. 1—5.
37 იქვე, საქ. 2659, ფურ. 1.
38 იქვე, საქ. 2653.
39 იქვე, საქ. 559, და საქ. 798.
40 იქვე, საქ. 2579, ფურც. 3.
41 იქვე, საქ. 2653, ფურც. 2.

ჭიჭინაძეზე შედგენილ საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია: „გლეხებთან შეხვედრის დროს იგი ლაპარაკობდა თანასწორუფლებიანობის, ქონების თანაბრად გადანაწილების და სხვათა შესახებ"[42].

ხალხოსნები არა მარტო აკრიტიკებდნენ მეფის ხელისუფლებას და მის მძარცველურ პოლიტიკას, არამედ თვალნათლივ უხატავდნენ აგრეთვე გლეხებს მომავალი საზოგადოების სურათსაც, „მაშინ, როდესაც არ იქნება ხელმწიფე, არ იარსებებს მთავრობა და ძისი კახონები, — ყველანი თანასწორნი იქნებიან. არ იქნება ძალდატანებითი გადასახადი, საზოგადო თანხები, მაშინ ყველაფერი საჭიროებისდაგვარად მოხმარდება ხალხს, მათს საერთო კეთილდღეობას"[43].

ხალხოსნური პროპაგანდა გლეხობისათვის მისაწვდომი და გასაგები იყო. ეს აიხსნებოდა იმით, რომ იგი ასახავდა სოფლად შექმნილ ობიექტურ ვითარებას, ბედკრული გლეხკაცის მდგომარეობას და ძძიმე ეკონომიური ცხოვრების წარმომშობ მიზეზებს.

სააგიტაციო საუბრების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, სხვადასხვა საბაბით, ხშირად იმართებოდა კრებები, რომელიც ზოგჯერ მიტინგის სახეს ღებულობდა. სიტყვით გამოდიოდნენ არა მარტო აგიტატორები, არამედ გლეხებიც კი. ერთ-ერთი ასეთი კრების ჩატარების ცდას ადგილი ჰქონდა 1876 წელს სოფელ მერეთში (გორის მაზრა). ხალხოსნების ინიციატივით მდინარე ლიახვის პირას, ვითომც თევზის დასაჭერად, შეიკრიბნენ მერეთელი გლეხები, სიხაბდვილეში კი მათი თავშეყრის მიზანს კრების ჩატარება წარმოადგენდა. საბდწუხაროდ, ხალხოსნებმა ეს განზრახვა სისრულეში ვერ ბოიყვანეს[44]. ბეკრებილთა შორის შენიშნულ იქნენ უცხო პირებიც. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე, კრება არ ბეგდგარა.

კრებების ჩატარების გარდა, ხალხოსნური ორგანიზაციები ხშირად იწვევდნენ სხდომებს, მართავდნენ თათბირებს, რომლებზედაც განიხილავდნენ გლეხობაში სააგიტაციო მუშაობის მიმდინარეობისა და საერთო აჯანყებისათვის მზადების საკითხებს.

1876 წლის 23 მაისს ხალხოსნებმა თათბირი მოიწვიეს ქუთაისში, ვარლამ გაბიჩვაძის ბინაში. კრებას ესწრებოდნენ მიხეილ ყიფიანი, ილია ბახტაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ანტონ ფურცელაძე და სხვ. თათბირზე ძირითადად გლეხებს შორის პროპაგანდის უკეთ წარბართვის საკითხი იდგა.

---

[42] სსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 162, ფურც. 7.

[43] სსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 40.

[44] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი , მოგონებები, 1958, გვ. 83.

მეორე ასეთი თათბირი გაიმართა იმავე წლის 12 ივნისს, თათბირზე მოხსენებით გამოვიდა პ. გაბიჩვაძე, რომელიც რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდა რაჭის მაზრაში. მისი გახცხადებით რაჭველი გლეხები მზად იყვნენ აჯანყებისათვის[45].

ხალხოსნების მიერ ჩატარებული თათბირებიდან აღსანიშნავია 1876 წლის ივლისის თათბირი, იგი შედგა გურიაში. მისი მოწყობის ინიციატორი იყო ისიდორე ქიქოძე. თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ხალხოსნური ორგანიზაციების წარმომადგენლები: თბილისიდან — ლევან ჩერქეზიშვილი, გორიდან — დათიკო ფურცელაძე, თელავიდან — ილია ჭიჭინაძე და სხვ.

თათბირის მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ გლეხებთან, რომელთა თანდასწრებით (22 ივლისს) ოზურგეთის მაზრის სოფელ ნაგომარის დუქანში ჩატარდა სპეციალური კრება. ორატორების გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აქაც გლეხობა მზად იყო ბრძოლისათვის.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მშრომელ გლეხობას შორის ხალხოსნების აგიტაციამ ფართო ხასიათი ძიიღო. სოფლის მშრომელებში თანდათან მომწიფდა აზრი, იარაღით ხელში დაეცვათ თავიანთი ადამიანური უფლებები, ებრძოლათ ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ, მიწისა და თავისუფლებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელთა გამოსვლებს ქართველი ხალხოსნები რუსეთის გლეხთა მოძრაობის განუყოფელ ნაწილად ძიიჩხევდნენ. საბოლოო გამარჯვების აუცილებელ წინაპირობად ისიხი ცარიზმის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ხალხის ერთიან მოქმედებას თვლიდნენ[46]. ქართველ ხალხოსნებს სჯეროდათ, რომ დღეს თუ არა ხვალ საერთო-სახალხო აჯანყება მთელი რუსეთის მასშტაბით იფეთქებდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გლეხთა გამოსვლებმა აშკარად მძაფრი ხასიათი მიიღო. ხალხოსნები შეეცადნენ რომ მისთვის სწორი მიმართულება მიეცათ და გარკვეულ ჩარჩოებში მოექციათ იგი. ცნობილი ხალხოსანი მ. ქიქოძე თავის ამხანაგებს ატყობინებდა, რომ არ მიემართათ გადამწყვეტი მოქმედებისათვის, არ აეჯანყებინათ ხალხი, რადგან ჯერ ყველაფერი მზად არ იყო მისი აზრით, ქართველი გლეხების გამოსვლა მხოლოდ მაშინ უხდა დაწყებულიყო, როცა მთელი რუსეთის სოფლის მშრომელები აჯახყდე-

---

[45] ა. კ ი ტ ვ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი გვ. 58.
[46] ი ქ ვ ე , გვ. 82.

ბოდნენ და საამისო განკარგულებას ცენტრიდან სამეგრელოც მიიღებდა[47].

ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო ცხობა, რომელიც საქართველოს სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივშია დაცული. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ 1876 წელს, აჯანყების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მიხეილ ყიფიანს მიუწერია ბათუა აფაქიძის მამისათვის, რომ სამეგრელოში გლეხთა აჯანყება შეეჩერებინა, რადგანაც იგი ნაადრევად მიაჩნდა. ამასთანავე, მ. ყიფიანი აფრთხილებდა ადრესატს, პირველი ნიშნის მიცემისთანავე ყველა აჯახყებაძი ჩაბძულიყო[48].

მართალია, ხალხოსნური მოძრაობის ლიდერებს ამ ეტაპზე გლეხების აჯანყება საჭიროდ არ მიაჩნდათ, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ რევოლუციის ქარცეცხლში გახვეული გლეხობის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეფის მთავრობა ფხიზლად ადევნებდა თვალს სოფლად მიმდინარე ამბებს. ცარიზმის დაგეშილ აგენტებს მათი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება მხედველობიდან არ გამოპარვიათ, ისინი ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ სოფლად სააგიტაციო მუშაობის ჩასაშლელად, ძალცრად უსწორდებოდნენ რევოლუციონერ-ხალხოსნებს, აპატიძრებდხეი და რუსეთის შორეულ მხარეებში ასახლებდნენ მათ. ეხებოდა რა სენაკის მაზრაში რევოლუციურ აგიტაციას და მის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს ქუთაისის გუბერნატორი წერდა: „სენაკის მაზრის სამი მასწავლებლი გადაეცა სასამართლოს აკრძალული წიგნების გავრცელებისათვის“[49]. ესენი იყვნენ — ანტონ იოსელიანი, ანთიმოზ ჯუღელი და ნესტორ კანდელაკი.

დაპატიმრებულ იქნენ ზუგდიდის მაზრაში მომუშავე აგიტატორებიც — შენგელია, ირემაძე და გოთუა[50]. მხედველობის გარეშე არც პ. გაბიჩვაძის მოღვაწეობა დარჩენილა. ყოველივე ცნობილი გახდა მაზრის უფროსისათვის და გაბიჩვაძე იძულებული გამხდარა მიმალულიყო.

განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესა ჟანდარმერიამ პეტერბურგიდან ჩამოსულ ახალგაზრდა სტუდენტ მაყაშვილზე. 1876 წელს

---

[47] სსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 34.
[48] ი ქ ვ ე.
[49] ი ქ ვ ე, ანაწ. 3, საქ. 2646, ფურც. 1—6.
[50] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 241, ფურც. 3.

კი იგი დააპატიმრეს არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის[51].

ასევე გამუდმებულ დევნა-შევიწროებას გახიცდიდა საბუის სკოლის მასწავლებელი ჭიჭინაძე, ხელისუფლება ცდილობდა მის განდევნას სოფლიდან და სულ მალე სამსახურიდანაც გაათავისუფლეს, როგორც აღნიშნული სამუშაოსათვის „შეუფერებელი პიროვნება"[52].

მკაცრად გაუსწორდა მთავრობა ხალხოსნური ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლებსაც. ბევრი მათგანი დააპატიმრეს, ხოლო თვით ორგანიზაციები დაარბიეს.

მთავრობის მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა მაიხც ვეო ჩაკლა ხალხოსნური მოძრაობა. იგი ახალ სახეობასა და ფორმაში გადაიზარდა. ხალხოსნებმა გადახედეს რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკას და ზოგიერთ თეორიულ დებულებას. 1877 — 1880 წლებში ძლიერდება „ზემლოვოლიჩესტვური" მიმართულება, რომელიც რუსი ხალხოსნების აშკარა გავლენას განიცდიდა[53].

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართველი ხალხოსნების იდეოლოგია და რევოლუციურ-პრაქტიკული საქმიანობა რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის სრულ ანალოგიას წარმოადგენდა. საქართველოშიც იყვნენ „ზემლოვოლცები", „ნაროდოვოლცები", „ტერორისტები" და „ჩერნოპერედელცები".

ქართველი ხალხოსნების ერთი ჯგუფი, გოლა ჩიტაძის მეთაურობით, ტერორისტული ბრძოლის გზას დაადგა და თავისი რევოლუციური მუშაობაც ამ მიმართულებით წარმართა. ნაროდნიკული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის ხალხში სიარულს წარმატება არ მოჰყოლია, რამაც ერთგვარად დადებითი შედეგი გამოიღო. ხალხოსნები დარწმუნდნენ ამ თეორიის უტოპიურობაში და რადგანაც რევოლუციური მოღვაწეობის სწორ გზას ვერ მიაგნეს, ბრძოლის ძველ მეთოდებზე ხელი აიღეს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით შეეფარგლნენ.

საქართველოს ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც გაზეთ „შრომას" ირგვლივ იყო გარშემოკრებილი ბატონყმური სისტემის გად-

---

51 სსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 162, ფურც. 3.

52 იქვე, ფურც. 7.

53 Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века, и начала XX века, Т. I, 1958 т. II, 1961; მისივე, ქართული რევოლუციური ხალხოსნობა XIX საუკუნის 70-იან წლებში, ჟურნ. „მნათობი", 1958, № 3 და ა. შ.

მონაშთების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას აწარმოებდა[54]. ამავე პოზიციაზე იდგა XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართველი ხალხოსნების მეორე ორგანო ჟურნალი „იმედი"; მისმა თანამშრომელმა ნიკო ხიზანიშვილმა ჟურნალის საშუალებით საქვეყნოდ ამხილა იმდროისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. მან მთელი კატეგორიულობით დააყენა მიწების ხელახლა გადანაწილების საკითხი, ხიზანიშვილის ეს პროგრამა სავსებით „შეესაბამებოდა გლეხთა მოთხოვნილებებს"[55].

ამრიგად, მოტანილი მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ხალხოსნურმა პროპაგანდამ მასობრივი ხასიათი მიიღო[56], გაძლიერდა მთავრობასა და კავკასიის ადმინისტრაციის საწინააღმდეგო გამოსვლები, მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა კრიტიკა. აშკარად იგრძნობოდა, რომ „საეჭვო ადამიანები" არ ისვენებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ აემხედრებინათ მშრომელი გლეხობა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ხალხოსნების აგიტაციას სოფლად უკვალოდ არ ჩაუვლია, მას გარკვეული წარმატებები ჰქონდა.

ხელისუფლება კარგად ხედავდა გლეხობის ძალალი საბრძოლო შემართების, მემამულეებისადმი შეურიგებლობის და იარაღით ხელში თავისი უფლებების დასაცავად გამოსვლის მიზეზებს. საქართველოს გლეხობამ, რუსეთის გლეხობასთან შედარებით უფრო ქმედითად განიცადა ხალხოსნური თეორია და სარწმუნოდ მიიღო იგი; „გლეხურ მოსახლეობას იტაცებს ამ მოძღვრების (ხალხოსნური, — მ. ა.) ის დასკვნები, — წერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, — რომელიც ემთხვევა მათ ახლანდელ ინტერესებს. ისინი ითვისებენ აზრს მიწაზე იმის სრული საკუთრების უფლების შესახებ, ვინც ძას აძუძავებს"[57]. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, ეხებოდა რა საძეგრელოს გლეხთა აჯანყების საქმეში ხალხოსნების როლს, იძპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილებას სწერდა: „მიზეზი მოსახლეობის ასეთი განწყობისა იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ სოფლებში დაღიან ბევრი არასაიმედო პირნი, რომლებიც ეწევიან პროპაგან-

---

[54] მ. სიხარულიძე, გაზ. „შრომას" საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, დისერტაცია ეკონომიურ მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ., 1963.

[55] ე. ჩადუნელი, ჟურნალ „იმედის" საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებები, თბ., 1961.

[56] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1931, ტ. II, გვ. 64.

[57] სსსა, ფ. 5(12), საქ. 3974, ფურც. 2.

ვნენ. ყოველივე ეს ეჭვმიუტანელს ხდის ხალხოსნებსა და სამეგრელოს აჯანყებულ გლეხებს შორის კავშირურთიერთობის არსებობას. მართალია, ხალხოსნური მოძრაობის ლიდერებს ამ ეტაპზე გლეხების აჯანყება საჭიროდ არ მიაჩნდათ და ამიტომაც მოითხოვდნენ მის გადადებას მაგრამ მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ იგი შეუძლებელი აღმოჩნდა.

მოტანილი ფაქტიური მასალა თვალნათლივ ადასტურებს XIX საუკუნის 70-იან წლებში სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის მომზადებაში ხალხოსნების მონაწილეობის ფაქტს.

ხალხოსნების სააგიტაციო მუშაობა, როგორსაც სამეგრელოსა და რაჭაში ჰქონდა ადგილი, სვანეთში არ შეინიშნებოდა. აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა თითქოს სვანეთში მომხდარი გლეხთა აჯანყებები სრულიად დაზღვეული იყო ხალხოსნური მიმდინარეობის გავლენისაგან, სწორი არ იქნება. მართალია, ხალხოსნური მოძრაობა უშუალოდ თვით სვანეთში ისე ფართო მასშტაბით არ იყო გაშლილი, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგრამ არა გვგონია, რომ მეზობლად მდებარე სამეგრელოსა და რაჭაში გაჩაღებულ რევოლუციურ აგიტაციას ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა სვანეთის გლეხთა აჯანყებაზეც.

გლეხთა დიდ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი სვანეთში XIX საუკუნის 70-იან წლებში. სოფლის მშრომელების ბრძოლამ სამართლიანობისათვის აქ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ვლადიკავკაზში შედგა ხალხოსნური წრის სპეციალური სხდომა სვანეთში მომხდარი ამბების განსახილველად. სხდომის გადაწყვეტილებით, აჯანყებულთა დასახმარებლად სვანეთში მივლინებულ იქნა ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე არდასანოვი. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩაუღწევია, ვინაიდან გზაშივე შეუტყვია აჯანყებული სვანების დამარცხების ამბავი და პეტერბურგში გამგზავრებულა.

გლეხთა ძლიერმა აჯანყებამ იფეთქა 1878 წელს კახეთში. მართალია, მის მომზადებაში ხალხოსნების მონაწილეობის პირდაპირ დამადასტურებელ მასალებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ამ დროს კახეთის სოფლებში ხალხოსნური იდეების ფართო აგიტაცია სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქაურ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების მომზადებაში გარკვეული წელილი ხალხოსნებსაც მიუძღვით. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში თელავსა და სიღნაღში საკმაოდ ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაციები არსებობდნენ, მაშინ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო მყარი საფუძველი ექნება.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც. როგორც ცნობილია, 1878 წლისათვის კახეთში მომუშავე ხალხოსნების უმეტესობა უკვე დაპატიმრებული იყო. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამის გამო საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული ხალხოსნების მონაწილეობა აჯანყების მომზადების საქმეში. აღნიშნული გარემოება მაინც უსაფუძვლოს ვერ ხდის ჩვენს მოსაზრებას. კახეთის გლეხთა აჯანყების მიზეზებს ღრმა ფესვები ჰქონდა, იგი ადრიდანვე გამოვლინდა სხვადასხვა სახით. ამიტომაც სავსებით დამაჯერებლად მიგვაჩნია, რომ კახეთის გლეხთა აჯანყების მომზადებას ჯერ კიდევ 1878 წლამდე ჩაუყარეს საფუძველი ხალხოსნებმა.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ხალხოსნების მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან დიდი როლი შეასრულა მშრომელი გლეხობის გამოღვიძებისა და გათვითცნობიერების საქმეში, იგი თავისებურ ელფერს აძლევდა ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობას და განასხვავებდა მას სოფლის მშრომელთა ადრინდელი გამოსვლებისაგან.

ბატონყმობის გაუქმებიდან 9-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ მიწების უსასყიდლოდ მიღებაზე გავრცელებულმა ხმებმა, გლეხობის ექსპლოატაციის გაღრმავებამ, ხალხოსნური აგიტაციის ფართო მასშტაბით გაშლამ, კიდევ უფრო გააძლიერა კლასობრივი მოძრაობა სოფლად. გლეხობამ აქტიურად მიმართა აჯანყებებს, სულ უფრო ძლიერად შეინიშნებოდა სოფლად რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა. იმ აჯანყებათა შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამეგრელოს გლეხთა 1873—1876 წლების აჯანყებას ეკუთვნის.

§ 4. სამეგრელოს გლეხების შეიარაღებული გამოსვლები XIX საუკუნის 70-იან წლებში

XIX საუკნის 70-იან წლებამდე სამეგრელოს გლეხობას რევოლუციური ბრძოლის მდიდარი ტრადიციები გააჩნდა. იგი ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე ჩაება არსებული წყობილების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ 1857 წელს სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ნამდვილ ომს წარმოადგენდა. იგი თავისი მასობრივობითა და ორგანიზებულობით აშკარად გამოირჩეოდა როგორც რეფორმისწინადროინდელ, ისე მისი მომდევნო ხანის გლეხთა გამოსვლებისაგან.

მართალია, გლეხთა ამ გრანდიოზულმა ამბოხებამ საფუძველშივე შეარყია მეურნეობის ბატონყმური სისტემა და დააყენა მისი მოსპობის აუცილებლობის საკითხი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, იგი მარცხით დამთავრდა. სამეგრელოს გლეხებს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. როგორც რეფორმამდელი, ისე რეფორმისშემდგომი წლები სამეგრელოში მებატონეებსა და გლეხებს შორის გამუდმებული ბრძოლებით ხასიათდებოდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აგრარული მოძრაობა ახალი ენერგიით გაიშალა. იგი მიმართული იყო ბატონყმობის ისეთი გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც იყო დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი. იარაღასხმულმა სამეგრელოს გლეხობამ ბრძოლა გამოუცხადა მემამულეებსა და მისი ინტერესების დამცველ სახელმწიფო მმართველობას. გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადებზე, მოითხოვდნენ მიწას, თავისუფლებას, არ ღებულობდნენ სახელმწიფო მოხელეების რჩევა-დარიგებას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების გლეხთა გამოსვლები საქართველოში თავისი მასშტაბითა და მოთხოვნებით აშკარად განსხვავდებოდა 50—60-იანი წლების აჯანყებათაგან. აღნიშნულის მიუხედავად მათ შორის ერთი საერთო ნიშანი-მაინც შეინიშნება, როგორც 70-იანი, ისე 50—60-იანი წლების აჯანყებებს სოციალური მოტივი ედო საფუძვლად.

რეფორმის გატარების დროს გლეხობა ხელისუფლებისაგან მიწისა და თავისუფლების მიღებას ელოდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, მათ იმედი გაუცრუვდათ. 70-იანი წლების დასაწყისიდან გლეხობა კვლავ იმავე მიზნის მისაღწევად იღწვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად პასიური ბრძოლის ფორმები უფრო აქტიურით შეცვალა, რაც გამოწვეული იყო სამეგრელოში მწარმოებელი კლასის მდგომარეობის გაუარესებით.

აგრარულ ბრძოლას 70-იანი წლების სამეგრელოში თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო არა მარტო იმით, რომ დროებითვალდებულ გლეხთა დიდ მასას აერთიანებდა და თითქმის ოთხი წელი გრძელდებოდა, არამედ იმ მხრივაც, რომ მისი უშუალო მიზეზები რეფორმის შედეგებთან იყო დაკავშირებული და ამასთან, მასში ხალხსნების ხელი ერია.

1874 წლის 11 აგვისტოს მეფისნაცვალი კავკასიის კომიტეტს ატყობინებდა: „თავად მინგრელსკის დროებითვალდებული გლეხები ხშირად ებმებიან მემამულეებთან გაუთავებელ და უსაფუძვლო საადგილმამულო დავაში. ზოგჯერ თვითნებურად წყვეტენ მემამულეთა სასარგებლო

გადასახადების საკითხს"[64]. ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1876 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ჩიოდა: „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ზუგდიდის მაზრაში არაერთხელ წარმოშობილა უკმაყოფილება გლეხების მხრივ მემამულეთა წინააღმდეგ"[65].

იმ ხშირი და მასობრივი აჯანყებებიდან, რომლის შესახებაც კავკასიის მეფისნაცვალი და ქუთაისის გუბერნატორი მიუთითებდნენ, ყურადღებას იპყრობს 1873 წლის მღელვარება სოფელ ზუგდიდსა და კირცხში (ზუგდიდის მაზრა)[66]; მართალია, იგი თავისი მასშტაბით ბევრად ჩამოუვარდებოდა ისეთ მნიშვნელოვან გამოსვლებს, როგორსაც 1874—1876 წლებში სამეგრელოში, 1875—1876 წლებში სვანეთში და 1878 წელს კახეთში ჰქონდა ადგილი, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიაში მაინც მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

1873 წელს სამეგრელოს გლეხთა მღელვარების მიზეზი თავადაზნაურთა მამულების გადამიჯვნა გახდა. მემამულეები შეეცადნენ საუკეთესო მიწები თავისთვის მიეთვალათ, ხოლო მწირი და უვარგისი კი გლეხებისათვის მიეზომათ. ამ გარემოებამ გლეხობის აღშფოთება და შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია.

აღნიშნული აჯანყების მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულა ალექსი გოთუამ, ეხებოდა რა სოფელ კირცხში მცხოვრებ დროებითვალდებულ გლეხთა მოძრაობის საკითხს მემამულე მინგრელსკი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „გოთუას ქადაგებამ გამოიწვია ის, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში ჩემმა დროებითვალდებულ გლეხებმა სოფ. კირცხში (ზუგდიდის მაზრა) შეაჩერეს მიწისმზომელის მუშაობა და განუცხადეს — თუ თავს არ დაანებებ მიზომვას, ადგილზე მოგკლავთო[67].

გლეხობის ურჩობით განრისხებული ნიკოლოზ მინგრელსკი განაგრძნობდა: „ჩემი დროებითვალდებული გლეხები, არ მიხდიან, არავითარ გადასახადებს. ეხლახან ბრბო გამოცხადდა მაზრის უფროსთან და მოითხოვა უკან დაებრუნებინათ წინა წლებში გადახდილი გადასახადები"[68]. თვითონ მეფისნაცვალი კი აღნიშნავდა: „მოვიდა ჩემამდე ხმები, რომ თავად მინგრელსკის კუთვნილი რამდენიმე სოფლის გლეხები

---

[64] ЦГИАЛ, ф. 1218, дел. 240, ფურც. 4—6.
[65] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 74, ფურც. 3.
[66] ი ქ ვ ე, საქ. 241, ფურც. 2.
[67] ი ქ ვ ე.
[68] ი ქ ვ ე.

ეარს ამბობენ საწესდებო სიგელებით გათვალისწინებულ გადასახადებზე"[69].

ზუგდიდსა და კირცხში დაწყებულმა მღელვარებამ ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში დიდი მითქმა-მოთქმა და შიში გამოიწვია. 1873 წლის 3 ნოემბერს მთავარსამმართველოს უფროსი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სწერდა: „გუბერნიის მმართველობამ გლეხების დასამშვიდებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყოველგვარი, ჯერ მშვიდობიანი, წარუმატებლობის შემთხვევაში კი მკაცრი ზომებიც კი"[70].

მაშინ, როდესაც მთელ საქართველოში გლეხთა მღელვარება თახდათან დაძაბულ ხასიათს ღებულობდა, ზუგდიდში მცხოვრები 600 კომლი დროებითვალდებული გლეხის აშკარა ურჩობა, მართლაც, საშიში იყო. ერთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა და შეიძლებოდა შეიარაღებული აჯანყების ცეცხლი დანთებულიყო. ეს კარგად იცოდა გუბერნიის მმართველობამ, კერძოდ, კი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა. ამიტომაც იყო, რომ იგი განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდა ამ საქმეს. 1873 წლის 20 სექტემბერს გუბერნატორი თვითონ ჩავიდა ზუგდიდში, მიიღო კირცხის, ზუგდიდის და სხვა სოფლების დროებითვალდებულ გლეხთა დელეგაცია, და ასეთი სიტყვებით მიმართა მათ: „ნუ აჰყვებით ნურავითარ ცთუნებას, რომლებიც ბატონყმობიდან გლეხთა განთავისუფლების დებულებას არ შეეფარდებიან... ამგვარი მოქმედება მცდარია, წინააღმდეგობის გაწევა კარგს არაფერს მოიტანს, უსიტყვოდ დაემორჩილეთ მემამულეებს"[71].

გუბერნატორის ეს სიტყვები გლეხობამ ყურად არ იღო: „ჩემმა განცხადებამ და საუბარმა, — წერდა გუბერნატორი, — გლეხებში დიდი ექვი გამოიწვია. ასეთი განწყობა ზუგდიდის საზოგადოებაში (600 კომლი), მაიძულებს, მართლაც, რომ ფხიზლად ვიყო. მომავალში გადასახადების აკრეფის დროს მოსალოდნელია გლეხთა წინააღმდეგობა"[72].

გენერალ-გუბერნატორი დარწმუნდა, რომ სამეგრელოში გლეხთა მღელვარება სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა არა მარტო ამ მაზრისათვის, არამედ მთელი გუბერნიისათვის. ამიტომაც მან სასწრაფოდ გაგზავნა ზუგდიდში ჟანდარმერიის შტაბიდან ოფიცერი ტიცი.

ხელისუფლების ცდა, აღმოეჩინა დამნაშავე, ვინც გლეხებს ბრძოლისაკენ უბიძგებდა, უშედეგო გამოდგა. აღნიშნულის მიუხედავად,

---

[69] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 241, ფურც. 3.
[70] ЦГИАЛ ф. 1218, оп. 19, дел. 240, лл. 4—5.
[71] სსსა, ფ. 220, ანაწ. 1, საქ. 241, ფურც. 16.
[72] იქვე, ფურც. 16.

გუბერნატორის ბრძანებით მაინც დააპატიმრეს სამი გლეხი, მთავრობის მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად სამეგრელოს გლეხთა ეს წინააღმდეგობა მარცხით დამთავრდა. მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში ურთიერთობა მინგრელსკისა და სოფლის მშრომელთა შორის იმდენად დაიძაბა, რომ მოსალოდნელი იყო 1857 წლის გახმეორება. ამ სოციალურ ბრძოლას არ შეიძლება ზემოქმედება არ მოეხდინა როგორც მემამულეებზე, ისე მმართველ წრეებზე.

სხვადასხვა ფორმით გამოხატული გლეხთა აღშფოთება ხან ერთ, ხან მეორე სოფელში იჩენდა თავს. მემამულეები და მეფის ჯოხელები მობილიზებული იყვნენ. შეიარაღებული ნაწილები კი სამეგრელოს სოფლების ხშირ და არასასურველ სტუმრებს წარმოადგენდნენ.

1873 წელს, კირცხისა და ზუგდიდის ზემოაღნიშნულ ძღელვარეებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, სამეგრელოს სოფლებში ახალმა ამბოხებამ იფეთქა. ამჯერად 1874 წლის აპრილში სოფელ კოკში, ლიაში, ხიბულასა, (ზუგდიდის მაზრა) და ნოსირში (სენაკის მაზრა) ბრძოლის გზას დაადგნენ მემამულე ნიკოლოზ მინგრელსკისა და კონსტანტინე დადიანის დროებითვალდებული გლეხები[73]. მართალია, როგორც კოკსა და ლიაში, ასევე ხიბულაში აჯანყება თითქმის ერთდროულად დაიწყო, მაგრამ ისინი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვნენ. მათ შორის არსებულ კავშირზე ჯერჯერობით რაიმე სარწმუნო მასალა არ მოიპოვება.

სოფელ კოკის გლეხები ადრიდანვე გამოირჩეოდნენ მაღალი საბრძოლო განწყობით. ისინი რეფორმის განხორციელების პირველი დღიდანვე ჩაებნენ მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ბრძოლა თავდაპირველად საწესდებო სიგელებით დაწესებულ ბეგარა-გადასახადებზე უარისთქმაში გამოიხატებოდა[74]. 1874 წლისათვის წინა წლებიდან დარჩენილი გადასახადები იმდენად დიდ თანხას შეადგენდა, რომ დროებითვალდებულმა გლეხებმა ვერ შეძლეს მისი დაფარვა[75]. გადიოდა წლები, ვალს ვალი ემატებოდა. თუ აქამდე მემამულეები ჯერ კიდევ მაინც ერიდებოდნენ გადამწყვეტ იერიშს, 1874 წლისათვის მათ სინდისზე სულ აიღეს ხელი და ძალას მიმართეს[76]. გლეხების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ისინი ან უხდა დამორჩილებოდნენ მემამულეებს და უსიტყვოდ შეესრულებინათ მათი

---

[73] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дело 87, лл. 1—5.
[74] იქვე, ფურც. 2.
[75] იქვე, ფურც. 3.
[76] იქვე

ყოველი მოთხოვნა, ანდა იარაღისათვის უნდა მოეკიდათ ხელი და ებრძოლათ თავიანთი ადამიანური უფლებების დასაცავად. გლეხობამ ეს მეორე — უთანასწორო ბრძოლის გზა აირჩია.

მემამულეთა ყოველგვარი ცდა — საკუთარი ძალებით ამოეღოთ წინა წლებიდან დარჩენილი გადასახადები—უშედეგოდ დამთავრდა. შონიები, რომლებიც გლეხთა ამ მღელვარების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ კვლავ განაგრძობდნენ ურჩობას და უარს აცხადებდნენ გადასახადებზე. შეშინებული მემამულეები დახმარებისათვის ხელისუფლებას მიმართავდნენ[77]. მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის მოგვარებას ხელი მოჰკიდა მთავრობამ. საქმე იმით დაიწყო, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა წინადადება მისცა, ზუგდიდის მაზრის უფროსს, ურჩი გლეხების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები ძიეღო. ამ უკანასკნელმა კი იქ ბოქაული ქავთარაძე გაგზავნა 40 კაცისაგან შემდგარი სპეციალური რაზმით[78]. მას საგანგებო დავალება მიეცა აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ სამოქმედოდ. 11 აპრილს კაზაკთა რაზმმა პირველი იერიში სოფელ ლიაზე მიიტანა. შეშინებული გლეხები სახლებში ჩაიკეტნენ. კაზაკებმა ძალას მიმართეს და სოფელი ააოხრეს. მათი ამგვარი მოქმედებით აღშფოთებული გლეხობა იძულებული გახდა თოფ-იარაღისათვის მოეკიდა ხელი.

კაზაკები ასეთ დახვედრას არ მოელოდნენ. მათ უკან დაიხიეს და საიმედო პოზიციები დაიკავეს. ამრიგად, ბეგარა-გადასახადების გადაუხდელობის გამო გლეხებსა და მემამულეების ინტერესების დამცველი ხელისუფლების გასამხედროებულ რაზმს შორის დაწყებული შეჯახება ძალე შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. კაზაკები ახალ ზღუდეებზე გამაგრდნენ, თავის მხრივ, გლეხობამაც მოწინავე პოზიციები დაიკავა. მდგომარეობამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. სოფელ ლიაში თოფის პირველი გასროლა ელვის სისწრაფით მოედო მთელ სამეგრელოს. შეშფოთდა ხელისუფლებაც. მან მომხდარი ამბავი დიდი ბრძოლის დაწყებად მიიჩნია.

სამეგრელოს მშრომელ გლეხობას მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. წინაპართა საგმირო საქმეები თაობიდან-თაობას გადაეცემოდა და აღაფრთოვანებდა მათ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ 1857 წლის გლეხთა ამბოხების გმირები. ამიტომ აქ ყოველთვის მოსალოდნელი იყო ახალი აფეთქება.

---

[77] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дело 87, л. 5.

[78] იქვე

შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს. მისი განკარგულებით სოფელ ლიაში ძოქძედი რაზმის დასახმარებლად დამატებით კიდევ 60 კაზაკი გაიგზავნა. უთანასწორო ბრძოლა კაზაკებისა და შეიარაღებული რაზმის გამარჯვებით დამთავრდა. გლეხობამ სარჩო-საბადებელი სახელდახელოდ გადამალა და ტყეებს შეაფარა თავი[79].

ლიაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კაზაკთა რაზმი სოფელ კოკის შეესია. ცემა-ტყეპამ, მუქარამ და რეპრესიებმა გასტეხა გლეხების წინააღმდეგობა. შეიარაღებულმა რაზმმა შიშის ზარი დასცა მთელ სოფელს და აიძულა მოსახლეობა დაეფარა გადასახადები[80].

მემამულეთა თავხედობის შედეგად მოთმინებიდან გამოსული გლეხობის მიერ ლიასა და კოკში დანთებული აჯანყების ცეცხლი სამეგრელოს სხვა სოფლებსაც მოედო.

იმავე 1874 წლის აპრილში აჯანყებამ იფეთქა ხიბულაში[81]. ამ აჯანყებას სათავეში ედგნენ ქორაიები. როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც გლეხთა ამბოხების მიზეზს მშრომელთა უმიწაწყლო სოციალური ჩაგვრა წარმოადგენდა. მემამულე კონსტანტინე დადიანი რეფორმის შემდეგაც დროებითვალდებულ გლეხთა სრულ ბატონ-პატრონად თვლიდა თავს. იგი თვითნებურად აწესებდა სხვადასხვა გადასახადებს; გაძარცულ და ილაჯგაწყვეტილ, ადამიანურ უფლებებს მოკლებულ გლეხებს არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ დაეკმაყოფილებინათ თავხედი მემამულის მოთხოვნები. თავდაპირველად გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადებზე. მემამულის ძალადობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ადგილობრივი პოლიციის ძალით გლეხების დამორჩილება შეუძლებელი აღმოჩნდა. თანდათან ნათელი გახდა, რომ წლების განმავლობაში დამკვიდრებული ყრუ ანტაგონიზმი, ორ ერთმანეთს დაპირისპირებულ კლასს შორის, საბოლოოდ ბრძოლის უფრო აქტიურ ფორმაში — შეიარაღებულ აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო.

სოფელ ხიბულაში დაწყებულ გლეხთა ამ აჯანყებას ლიასა და კოკის ამბოხებათა საერთო ფონზე უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა ენიჭებოდა. მართალია, ზემოაღნიშნულ აჯანყებულ ამ სამ სოფელს შორის კავშირი არ ყოფილა, მაგრამ ერთ მაზრაში გლეხთა აჯანყების რამდენიმე კერის არსებობას შეუძლებელია მთავრობის სერიოზული შეშფოთება არ გამოეწვია.

---

[79] ЦГИАМ, ф. III отд. 3 экспед., дело 87, л. 87.
[80] იქვე.
[81] იქვე, აგრეთვე გაზ. „დროება", 1875, № 18.

იმ დროს, როდესაც კოკსა და ლიაში ასამდე შეიარაღებული კაზაკი ქავთარაძის მეთაურობით არბევდა და აწიოკებდა მშრომელი ხალხის სახლ-კარს, გლეხთა გამოსვლებით შეშინებულმა კონსტანტინე დადიანმა თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს დახმარებისათვის, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის განკარგულებით სოფელ ხიბულაში გაგზავნილ იქნა საეგზეკუციო რაზმი ბოქაულ დგებუაძის მეთაურობით[82].

ამრიგად, სამეგრელოს აჯანყებულ სოფლებში ერთდროულად ორი დამსჯელი რაზმი მოქმედებდა, კოკსა და ლიაში — ქავთარაძის, ხოლო ხიბულაში — დგებუაძის მეთაურობით.

როგორც ჩანს, ხიბულელი გლეხები აჯანყებისათვის მზადებას ადრევე შესდგომიან. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამბოხება თავიდან ბოლომდე წინაზრახულ ხასიათს ატარებდა.

თუ სოფელ ლიასა და კოკში 1874 წლის აპრილში გლეხები ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად მოქმედებდნენ, ამას სოფელ ხიბულაში ადგილი არ ჰქონია. მთელი სოფლის გლეხობა მოძალადეებს, წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით, მომზადებული და ორგანიზებული დახვდა. აჯანყებული გლეხები მომარაგებული იყვნენ არა მარტო ქვებით და კეტებით, არამედ ცეცხლმსროლელი იარაღითაც.

მემამულე კონსტანტინე დადიანმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა დგებუაძის მეთაურობით მოვლინებულ კაზაკთა რაზმი, გლეხებს მოსთხოვა უსიტყვოდ გადაეხადათ როგორც დარჩენილი, ისე მიმდინარე წლის გადასახადები. შეიარაღებული რაზმის მუქარა საკმარისი არ აღმოჩნდა ამხედრებული სამეგრელოს გლეხების საბრძოლო სულისკვეთების გასატეხად.

მეფის ხელისუფლება მზად იყო უმკაცრესი ზომების მიღებით დაემორჩილებინა აჯანყებული გლეხობა, მაგრამ ვითარების შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით ამ ეტაპზე იგი მაინც ცდილობდა შედარებით ნაკლები მსხვერპლის გაღებით დაემყარებინა „წესრიგი“.

რაზმის მეთაურმა (დგებუაძემ) განკარგულება გასცა თავი მოეყარათ გლეხებისათვის. მაგრამ როდესაც სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, მოითხოვა ძალით მოერეკათ ისინი, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა პირადად შეხვედროდა და გასაუბრებოდა მათ[83]. ამით ისარგებლეს კა-

---

[82] ЦГИАМ, ф. III отдел. 3 экспед., дел. 87, лл. 2—5; იხ. აგრეთვე ССССР, ф. 5, анаw. 3, საქ. 7226, ფურც. 2.

[83] ЦГИАМ, ф. III отдел. 3 экспед. дел. 37, л. 5,

ზაკებმა და იერიშზე გადავიდნენ. ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ სოფლის მშვიდობიან მოსახლეობას, იტაცებდნენ მათ სარჩო-საბადებელს. დაძაბულობამ იმატა. გლეხები ჯერ კიდევ ითმენდნენ, მაგრამ როდესაც მთავრობის მოქმედებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, იარაღს მოჰკიდეს ხელი და გადაწყვიტეს მოძალადეთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ[84].

გლეხებმა ქვები დაუშინეს კაზაკებს, მაგრამ მალე იძულებული გაბდნენ თოფებიც გამოეყენებინათ. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. გლეხები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ ყოველმხრივ უკეთესად შეიარაღებულ კაზაკთა შეტევას, ცხადია ვერ გაუძლებდნენ, ამიტომ გაიფანტნენ და მიიმალნენ.

აღნიშნულ ბრძოლაში გლეხებმა მოკლულთა სახით ორი კაცი დაკარგეს. რამდენიმე დაიჭრა (დაჭრილთა რაოდენობის შესახებ საარქივო მასალებში ცნობებს ვერ მივაკვლიეთ), ხოლო კაზაკებს მოუკლეს ერთი კაცი და ორი კი მსუბუქად დაუჭრეს[85].

აჯანყებულ სოფელში დამატებით კაზაკთა ახალი დამხმარე ჯგუფი გაიგზავნა ზუგდიდის მაზრის უფროსის მეთაურობით. თავდაპირველად ამ უკანასკნელმა, ისე როგორც ეს საერთოდ მეფის მოხელეებს ჩვეოდათ, გლეხებს მოთხოვა ხელი აეღოთ შეიარაღებულ ბრძოლაზე. მაგრამ იმ გლეხების ლიტონი სიტყვებით დამშვიდება, რომელთა წინააღმდეგაც მთავრობამ იარაღი გამოიყენა და მსხვერპლიც შეიწირა, არც თუ ისე ადვილი იყო. გლეხობა კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და თავდასხმით იმუქრებოდა, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ აჯახყებულ სოფელში და მის ირგვლივ თავი მოეყარა მთავრობის მრავალრიცხოვან რაზმს, კერძოდ აქ იყო ჩასაფრებული ბოქაული დგებუაძე რამდენიმე ათეული კაზაკით, მაზრის უფროსი თავისი მებრძოლებით და სხვ. ბუნებრივია, ძალთა ასეთი თანაფარდობის ვითარებაში ბრძოლა შეუძლებელი იყო, წინააღმდეგობის გაწევა ათეული პატიოსანი მშრომელი გლეხის უმიზნოდ შეწირვას გამოიწვევდა. გლეხობამ უმჯობესად სცნო უკან დაეხია, აჯანყების მონაწილენი მიიმალნენ, ამით ისარგებლეს მემამულეებმა და სოფელში დარჩენილი ქალები აიძულეს გადასახადები დაეფარათ. გუბერნატორი, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თვითონ ეწვია ამხედრებულ სოფლებს. 1874 წელს იგი წერდა: „...ძე პირადად გავემგზავრე ზუგდიდის მაზრაში და ურჩი გლეხებს საზოგადოებათა შეკრებაზე, ავუხსენი მათი მოქმედების უკანონობა, ის სამწუ-

---

[84] ЦГИАЛ, ф. 1265, оп 19, дело 140; ф. 1268, оп. 21, дел. 146, л. 6:
[85] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, дел. 146, л. 6.

ხარო შედეგები, რომლებიც მსგავს შემთხვევებში შეიძლება მოჰყვეს ასეთ წინააღმდეგობას და ურჩობას. აუცილებლად მივიჩნიე ადგილზე მიმეღო მკაცრი ზომები გადასახადების ამოსაღებად და რამდენიმე საზოგადოებაში ჩამეყენებია კაზაკებისაგან შემდგარი ეგზეკუცია"[86].

მეფის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა 1873 — 1874 წლების გლეხთა აჯანყების მონაწილეებს. ამბოხების მეთაურები ივანე ირემაძე, ანტონ შენგელია და ალექსი გოთუა დააპატიმრეს და ოთხ-ოთხი წლით ხარკოვის გუბერნიაში გადაასახლეს[87].

როგორც ირკვევა, ივანე ირემაძე დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სოფლის მშრომელებში. იგი საკმაოდ განათლებული კაცის სახელით ყოფილა ცნობილი; კარგად ფლობდა რუსულ ენას. მას საკუთარი შენიშვნები ჰქონია შემუშავებული დებულების შესახებ. ყოველივე ამასთან ერთად, ივანე ირემაძე შეუდრეკელი ნებისყოფითაც ყოფილა დაჯილდოებული. გადასახლებასა და სხვა ათასგვარ რეპრესიებს ვერ გაუტეხავს მისი მებრძოლი სული. იგი ერთხელ ციხიდანაც კი გაქცეულა, მაგრამ ჟანდარმერიის დაგეშილ აგენტებს მალე ისევ დაუპატიმრებიათ. 1880 წლის 18 ოქტომბერს იგი ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა[88].

1874 წლის აჯანყება მარცხით დამთავრდა. დადიანებმა გაადიდეს გადასახადები სანადელო მიწებზე; მაღალი ბაჟები დააწესეს იმ ნაკვეთებზეც კი, რომელიც გლეხების საკუთრებას შეადგენდა. მემამულეთა ასეთი მოქმედების შედეგად 1875 წელს ნოსირში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებას. ნოსირელი გლეხები თავდაპირველად საეკლესიო წოდებას ეკუთვნოდნენ და მათ მიწაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს ნაკვეთები იმდენად მცირე იყო, რომ მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მათ ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილებას. გლეხებმა გადაწყვიტეს იჯარით აეღოთ მდ. ტეხურის ნაპირას მდებარე დადიანის მიწები. მემამულეებმა საიჯარო პირობები გაავრცელეს იმ მიწებზედაც რომლებიც გლეხების საკუთრებას შეადგენდა. დადიანების ამგვარმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში. მათ უარი განაცხადეს დადიანისეულ მიწებზე, რომლებიც იჯარით ჰქონდათ აღებული.

1872 წლიდან ბრძოლა მემამულე დადიანებსა და ნოსირელ გლეხებს შორის ახალ ფაზაში შევიდა. მემამულემ ამჯერად სახელმწიფო მრხელეები მოიშველია და საიჯარო გადასახადების დაკანონებას შეე-

---

[86] სსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 226, ფურც. 1.

[87] ი ქ ვ ე, საქ. 3553, ფურც. 12—13.

[88] ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. ფურც. 39.

ცადა. 1874 წელს მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწემ დავა დადიანების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ნოსირელებმა საქმე საოლქო სასამართლოში გადაიტანეს, მაგრამ ვერც აქ გახდნენ რაიმეს. ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით გათამამებული მემამულეები ახლა იმას ცდილობენ, რომ მოსავალი ძალით წაერთმიათ გლეხებისათვის. ასეთი საქციელით აღშფოთებულმა სოფლის მშრომელებმა მემამულის კაცები ყანაში არ შეუშვეს. მაშინ დადიანმა მოიწვია ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეები და მათი დახმარებით შეეცადა განზრახვის სისრულეში მოყვანას. გლეხკაცობას მშვიდობიანი გზით ეწადა მოძალადეების თავიდან ჩამოშორება, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ ტკბილი სიტყვით ვერაფერს გახდებოდნენ, კეტებით დაერივნენ მათ და ყანებიდან გარეკეს, მოსავალი კი ღამე ჩუმად აიღეს[89].

ამრიგად, 1873 — 1874 წლებში სამეგრელოს მშრომელი გლეხობა სამჯერ გამოვიდა მემამულე დადიანების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჯერ კირცხსა და ზუგდიდში, შემდეგ ხიბულასა და ლიაში, ბოლოს კი ნოსირში. სამწუხაროდ, ყველა ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა, გლეხებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა, ისეთი უკან დახევა, რომელსაც უახლოეს მომავალში შეიარაღებული აჯანყების ახალი აღმავლობა უნდა მოჰყოლოდა. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ქვეყნის ამ კუთხეში მოსალოდნელი იყო გლეხთა დიდი ამბოხება. ამიტომაც იყო, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა რეპრესიებით შეეჩერებინა მზარდი მოძრაობა, დააპატიმრა და სამშობლოს ფარგლებს გარეთ გადაასახლა ზოგიერთი საეკლესიო პირი. მაგრამ ამით მან მაინც ვერ შეძლო კლასობრივი ბრძოლის შეჩერება. სამეგრელოში ახალი ამბები დატრიალდა, რომელმაც არა მარტო მაზრის და გუბერნიის, არამედ კავკასიის და მთელი იმპერიის ხელისუფლების ყურადღებაც კი მიიპყრო. ეს იყო სამეგრელოს გლეხთა 1876 წლის ივნისის ძლიერი აჯანყება.

* *

1876 წლის თებერვალში სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წელიწადი შესრულდა. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელდა ხმები დროებითვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმებისა და სანადელო მიწების გლეხთა საკუთრებაში გადაცემაზე. ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე, ცერძოდ, 1876 წელს კავკასიის მეფისნაცვალი წერდა:

---

[89] გაზ. „თბილისის მოამბე", № 20, 1876.

„9-წლიანი ვადის შესახებ გავრცელებული ყალბი ხმების გამო მოსალოდნელია სამეგრელოს გლეხების არეულობა"[90].

იგივე აზრს უფრო მკვეთრად გამოთქვამდა მთავარმართებელი. XIX საუკუნის 70-იან წლებში სამეგრელოში წოდებრივ ურთიერთობის გამწვავების შესახებ წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში იგი აღნიშნავდა: „დებულების გამოქვეყნებიდან 9-წლიანი ვადის გასვლის გამო, გლეხებს შორის გავრცელდა ხმები სანადელო მიწების მათ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. გლეხები აცხადებენ, რომ ამის შემდეგ არ არიან ვალდებულნი მემამულეებს უახლონ გადასახადები. ამგვარი მოქმედება უსათუოდ გამოიწვევს უკმაყოფილებას და დაპირისპირებას მემამულეებსა და გლეხებს შორის"[91].

საქმე იმაშია, რომ ამ ხმების გავრცელება თავისთავად იმ აუტანელი ეკონომიური პირობების შედეგი იყო, რომელშიც სამეგრელოს მშრომელი გლეხობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდა, ასეთ ვითარებაში ზემოთ აღნიშნული ხმების გავრცელება, რომელიც გლეხების სანუკვარი ოცნებიდან გამომდინარეობდა, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა აჯანყების დაწყებისათვის.

მართლაც ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ, ე. ი. 1876 წელს, სამეგრელოში თავდაპირველად გრიგოლ დადიანის კუთვნილ სოფლებში — ლიასა და ფახულანში —დაიწყო გლეხთა გამოსვლები, რომელიც მალე თითქმის მთელ კუთხეს მოედო. ეხებოდა რა გლეხთა ამ აჯანყების წარმოშობის მიზეზებს გაზეთი „თბილისის მოამბე" წერდა: „ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრიდან გვწერენ, რომ იქაურ გლეხთა შორის ატყდა რაღაც გაუგებრობა სანადელო მიწებიდან მოსავლის ერთი მეოთხედის აკრეფის გამო. ეს საქმე, რომელიც დიდი ხანია საყოველთაო ყურადღებას იქცევს, ემყარება შემდეგს: გლეხები ამტკიცებენ რომ მათთვის ნადელების სახით მიცემული მიწები მათს საკუთრებას შეადგენს და ამის დასამტკიცებლად მომრიგებელ მოსამართლესთან სათანადო საბუთები მიაქვთ... ამ საბუთების განხილვა, როგორც უკვე ამას ვწერდით, — გადაიდო იმ იმედით, რომ გლეხები ნებაყოფლობით მოურიგდებიან მემამულეებს ამ ძველ მიწების გამოსყიდვის თაობაზე. რაც შეეხება მოსავლის ერთი მეოთხედის აღებას იმ მიწების ანგარიშში, რომელიც გლეხებს ნადელებათ მიეცათ ეს ხშირად იწვევდა გლეხების მხრივ აშკარა წინააღმდეგობას."[92].

---

[90] სსსა, ფ. 545, ანაწ. 1, საქ. 1401, ფურც. 1.
[91] ЦГИАЛ, ф. 1265, оп. 19, дел. 140, л. 45.
[92] „თბილისის მოამბე", 1878, № 127.

/ 1876 წლის აჯანყება თითქმის შვიდი თვე გაგრძელდა. პირველ ეტაპზე მემამულეებსა და გლეხებს შორის წინააღმდეგობას აშკარა ხასიათი არ მიუღია. გლეხების ბრძოლა უპირატესად ურჩობაში გამოიხატებოდა, ისინი უარს ამბობდნენ გადასახადებზე და აცხადებდნენ, რომ სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც ნადელებში მიიღეს, მათ სრულ საკუთრებას წარმოადგენდა.

ლიასა და ფახულანში დაწყებული ბრძოლა მალე მეზობელ სოფლებსაც მოედო. რაც დრო გადიოდა იგი თანდათან ფართოვდებოდა, და ძლიერდებოდა. გლეხობის უფრო მეტი ნაწილი ებმებოდა მასში. გლეხთა ამ გამოსვლებმა კულმინაციურ წერტილს 1876 წლის 17 ივნისს მიაღწია, როდესაც მეფის ჯარებსა და აჯანყებულ გლეხებს შორის აღგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლას. ამის შემდეგ აჯანყება დაღმავალი ხაზით წავიდა. გლეხებს ძალა არ ეყოთ ბრძოლის გასაგრძელებლად და შემდგომ წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს.

ოდითგანვე სიჯიუტით სახელგანთქმული დადიანები ამჯერად ისე შეაშფოთა გლეხთა აჯანყებამ, რომ იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. ის გადასახადებიც კი შეამცირეს, რომლებიც მათ გლეხებისაგან დებულებით ერგებოდათ. მაგრამ ამგვარი დათმობა საკმარისი არ აღმოჩნდა. საქმეში მომრიგებელი შუამავალი, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს წევრები და თვით გუბერნატორიც კი ჩაერევნენ. ხელისუფლების წარმომადგენლების ყოველგვარი ცდა დაყვავების, დარწმუნებისა და მუქარის საშუალებით გაეტეხათ გლეხების წინააღმდეგობა, უშედეგოდ დამთავრდა.

მღელვარებამ, რომელიც ლიასა და ფახულინში დაიწყო, სულ ბოკლე ხანში თითქმის მთელი ზუგდიდის მაზრა მოიცვა. როგორც სიძლიერით, ისე თავისი მასშტაბით და ორგანიზებულობით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა სამეგრელოში მანამდე მომხდარი აჯანყებებისაგან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გლეხებს სათანადო დასკვნები ჰქონდათ გამოტანილი 1872 — 1874 წლების აჯანყებათა შედეგებიდან და გაცილებით უკეთესად იყვნენ მომზადებული ბრძოლისათვის. ამას მოწმობს აჯანყებულ გლეხთა გეგმიური მოქმედება. მათ წინასწარ ჰქონდათ განზრახული, რაც შეიძლება მეტი გლეხობა ჩაებათ აჯანყებაში, ამისათვის ისინი აღჭურვილი იყვნენ საგანგებო საყვირებით, ცეცხლმსროლი იარაღით. აჯანყებულებმა თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს მეზობელ სოფლებში და ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ აქაურ გლეხებს. „სპეციალური ნიშნებით, — წერდა მეფისნაცვლის მოადგილე თავის მოხსენებაში — აჯანყებულმა გლეხებმა მეზობელ სოფლებ-

თან იწყეს მოლაპარაკება, რომ ერთობლივად გაეწიათ წინააღმდეგობა... თითქოსდა მთავრობის უსამართლო მოთხოვნილებისათვის"[93].

მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ კაზაკთა რაზმი გაგზავნა. ᲗᲐᲗ გლეხებს საყვირები წაართვეს და სამი მათგანი დააპატიჟრეს. ბრძოლის ამ ეტაპზე ეს საკმარისი აღმოჩნდა — აჯანყებულნი დაიშალნენ. მაგრამ ეს აჯანყების საბოლოო დამარცხებას მაინც არ ხიშხავდა.

სოფელ ლიას ირგვლივ აჯანყების ახალი კერა წარმოიშვა. მეამბოხეთა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა. იგი ათობით სოფელს ძოედო. ასეთ ვითარებაში ის საეგზეკუციო რაზმი, რომელიც მაზრის უფროსის განკარგულებით სოფელ ლიაში გაიგზავნა, საკმარისი არ აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ, ფაქტიურად, იქ დაბანაკებული რაზმი აჯანყებული სოფლებით იყო ალყაშემორტყმული. გადაწყდა, საეგზეკუციოდ რაზმის იმ სოფლებში გადაყვანა, სადაც მისი უშიშროება შედარებით უზრუნველყოფილი იქნებოდა.

საჭირო გახდა დამატებით მაშველი რაზმის გამოთხოვა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა.

სამეგრელოში გაგზავნილი შეიარაღებული ძალების საერთო ხელმძღვანელობა მეფისნაცვლის საბჭოს წევრს თავად ჯორჯაძეს ჰქონდა ღავალებული. მთავარმართებლობის მითითების თანახმად, მას პირველ რიგში „რაც შეიძლება უფრო მეტად დარწმუნებისა და შთაგონების მეთოდით უნდა ემოქმედა". მაგრამ ეს არ გამორიცხავდა საჭიროების შემთხვევაში აჯანყებულ გლეხთა მიმართ სხვა უფრო რადიკალური ზომების მიღებას. „რეკომენდირებული მეთოდი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნას. როგორც სხვა უფრო მკვეთრი ღონისძიების განხორციელებაზე უარისთქმა, — წერდა კავკასიის მეფისნაცვალი პეტერბურგში გასაგზავნ მოხსენებით ბარათში, — მე პირდაპირ მივუთითე ჯორჯაძეს თუ დარწმუნების მეთოდით ვერაფერს გახდებოდა აუცილებლივ მიეღო მკაცრი ზომები, გამოეყენებინა თვით იარაღიც. კი"[94].

რასაკვირველია, კავკასიის მეფისნაცვლის მიერ ჯორჯაძისათვის ასეთი მითითების მიცემა შემთხვევითი არ იყო. ხელისუფლება კარგად იყო ინფორმირებული სამეგრელოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და შიშობდა მოვლენათა შემდგომ მსვლელობას საქმე კიდევ უფრო არ გაერთულებინა. 15 ივნისისათვის ჯორჯაძე უკვე ზუგდიდის მაზრაშია, აქ მასთან ერთად ჩავიდა ქუთაისის გუბერნატორიც.

---

[93] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, дел. 141, л. 15.

[94] იქვე, 17—18.

ამრიგად, შექმნილი ვითარებით შეშფოთებულმა მთავრობამ სამეგრელოში თავი მოუყარა ხუთ ასეულს. იგი საგულდაგულოდ ემზადებოდა გლეხების წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის დასაწყებად. თავის მხრივ არც გლეხები იჩენდნენ უმოქმედობას, მათ შეიმუშავეს მეზობელ სოფლებსა და სენაკის მაზრასთან კავშირის დამყარების კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით აჯანყებული გლეხები სამ ჯგუფად გაიყვნენ. ერთ ჯგუფს სენაკის მაზრაში გადასვლა და იქაური გლეხების მიმხრობა დაევალა, ხოლო დანარჩენ ორ ჯგუფს სხვადასხვა სოფლებში აგიტაციის გაწევა მიენდო[95].

ხელისუფლებამ უმალვე ამოიცნო აჯანყებულთა განზრახვა და დეტალურად გამიზნული ოპერატიული გეგმა შეიმუშავა. პირველ რიგში, საშიშად იქნა მიჩნეული სენაკის მაზრისაკენ მიმავალი გლეხთა რაზმი. თუ ეს ჯგუფი შეძლებდა მეზობელ მაზრაში გადასვლას, აქაური გლეხები უყოყმანოდ დაადგებოდნენ ბრძოლის გზას. ამის შემდეგ კი შეიძლებოდა მთელ სამეგრელოს სახალხო აჯანყების ცეცხლი ფოსდებოდა. ამიტომ მთავრობამ განსაკუთრებული მეთვალყურეობა სწორედ ამ რაზმზე დააწესა.

მალე ჯორჯაძის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ე. წ. „მფრინავი რაზმი" (ცარიზმის ერთგული მოხელის — პოდპოლკოვნიკ პრინცის მეთაურობით), რომელსაც დაევალა გზა გადაეღობა სენაკის მაზრაში მიმავალ აჯანყებულ გლეხებისათვის. ჯორჯაძისავე განკარგულებით სოფლის მოსახლეობას პირად საკუთრებაში მყოფი ცხენები ჩამოერთვათ და დროებით აღნიშნული რაზმის წევრებს გადაეცათ.

გარდა ზემოაღნიშნული შეიარაღებული ძალებისა, მთავრობამ გადაწყვიტა აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან შემდგარი 50-კაციანი რაზმიც გამოეყვანა, მაგრამ შემდეგში ამ განზრახვაზე ხელი აიღო რადგან ამ ღონისძიების განხორციელებას შეიძლებოდა საქმე უფრო გაერთულებინა[96].

„მფრინავმა რაზმმა" პირველი იერიში ზემო სამეგრელოს სოფლებზე მიიტანა და აჯანყებულ გლეხთა ჯგუფს სოფელ ლეწურწუმეს მახლობლად დაეწია.

ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, რომ გლეხები ძალიან ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, დამბაჩები და თოფები მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა, უმრავლესობას კი ქვები და კეტები ეჭირათ ხელში.

---

[95] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, дел. 141, л. 17—18.
[96] იქვე, ფურც. 20.

სამხედრო საქმეებში გამოუცდელ და ცუდად შეიარაღებულ აჯანყებულ გლეხობას მეფის ხელისუფლების რეგულარული ჯარის ნაწილებისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა გაუძნელდა. აღნიშნულის მიუხედავად, თავისუფლებისათვის ამხედრებული გლეხობის დამორჩილება არც ისე ადვილი გამოდგა. გლეხების წინააღმდეგ ბრძოლებში დახელოვნებულმა მეფის მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ზოგჯერ ძალის ნაცვლად უებარ საშუალებად პროვოკაციულ შანტაჟზე წასვლა ითვლებოდა.

ამჯერადაც ასე მოიქცნენ. პოდპოლკოვნიკმა პრინცმა ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად შუაკაცები გაგზავნა. იგი აჯანყებულებს დიდ შეღავათს პირდებოდა. გულუბრყვილო გლეხები ენდვნენ პრინცის დაპირებას და ჯარები თავისუფლად შეუშვეს სოფელში. ამით ისარგებლეს მეფის ხელისუფლების რეგულარული ჯარის ნაწილებმა და პრინცის განკარგულებით 99 კაცი დააპატიმრეს[97].

მართალია, ლეწურწუმეში თავმოყრილი აჯანყებული გლეხები მოტყუების გზით შედარებით ადვილად დაიმორჩილეს, მაგრამ სამეგრელოს გლეხთა საერთო მღელვარების ამავე ხერხით ჩაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ლეწურწუმესთან მომხდარი ამბები ელვის სისწრაფით მოედო სამეგრელოს. პრინცის თვალთმაქცობამ კიდევ უფრო ძლიერი საბრძოლო სულისკვეთებით განაწყო გლეხობა.

ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ აჯანყებულთა ერთი ნაწილის დაპატიმრება ზემოქმედებას მოახდენდა სხვებზე, გლეხობის გარკვეული ნაწილი ხელს აიღებდა ბრძოლაზე. და უსიტყვოდ დაემორჩილებოდა მთავრობის განკარგულებას, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა, ხელისუფლება სასტიკად მოტყუვდა, მოვლენები სულ სხვაგვარად გახვითარდა. ლეწურწუმეს ამბები ერთგვარი სიგნალი გახდა სამეგრელოს სხვა სოფლებში აჯანყების დასაწყებად. პოდპოლკოვნიკ პრინცის თვალთმაქცობით აღშფოთებულ გლეხთა ცხენოსანი რაზმები ლეწურწუმელ თანამოძმეთა დასახმარებლად დაიძრნენ[98]. ისინი პირდაპირ მთავრობის ჯარის განლაგებაში შეიჭრნენ და დაპატიმრებულ მეამბოხეთა განთავისუფლება მოითხოვეს. ხელისუფლების წარმომადგენელთა ცდა— შთაეგონებინათ გლეხებისათვის დაშლილიყვნენ, უშედეგოდ დამთავრდა. აჯანყებულნი მტკიცედ იდგნენ თავიანთ პოზიციებზე. დამსჯელი რაზმის მეთაური პრინციც არ აპირებდა დათმობაზე წასვლას და აჯანყებულებისაგან დაჟინებით მოითხოვდა იარაღის დაყრას. დაიწყო

---

[97] ЦГИАЛ, ф, 1268, оц. 21, дел. 141, л. 19.

[98] იქვე.

მოლაპარაკება, რომელიც 5 საათი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საქმე რამდენჯერმე კინაღამ შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. მოლაპარაკების პროცესში გლეხებს თავი შეუდრეკელად ეჭირათ. ისინი ხმამაღლა იმუქრებოდნენ: „მოგკლავთ ყველას... გამოგღადრით ყელს და თქვენ სისხლს დავლევთო“. თავის მხრივ, პოდპოლკოვნიკი პრინციც ხშირად მიმართავდა დაშინების პოლიტიკას. მან მოლაპარაკების დროს შვიდჯერ უბრძანა ჯარებს თოფები დაემიზნებინათ აჯანყებულთათვის მაგრამ გლეხების წინააღმდეგობა ვერც ამით გატეხეს. მდგომარეობა უწინდებურად დაიძაბა.

17 ივნისს, მზის ჩასვლისას, რაზმებად დაწყობილმა გლეხებმა ბუკის ცემით, ვაშას ძახილითა და თრფის სროლით იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარებზე[99]. ამ უკანასკნელთ აჯანყებულნი ახლოს მიუშვეს, შემდეგ კი პრინცის ბრძანებით ტყვიები დაუშინეს. ამ შეტაკებაში ხელისუფლებამ არტილერიაც გამოიყენა[100]. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს რეგულარული ჯარების ზალპს და დიდი მსხვერპლით უკან დაიხიეს.

სოფელ ლეწურწუმესთან მომხდარი ბრძოლის შესახებ მეფისნაცვლის მოადგილე წერდა: „პირველ სროლაზე ბრბომ სროლითვე უპასუხა, მაგრამ მეორე გასროლის შემდეგ გლეხობა სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა. ადგილზე დატოვა 19 მოკლული... გარდა ამისა დაჭრილი აღმოჩნდა 30 კაცი, რომელთაგან დაახლოებით ერთი მესამედი შემდეგში გარდაიცვალა“[101].

გლეხთა აჯანყების პირველი ეტაპი ლეწურწუმესთან დამარცხებით დამთავრდა. გლეხებსა და მთავრობის ჯარებს შორის მომხდარი შეიარაღებული შეჯახების შემდეგ აჯანყების მეორე — დაღმავლობის ეტაპი იწყება.

მართალია, ლეწურწუმესთან აჯანყებულები დამარცხდნენ, მაგრამ პრინციპმა მათი მთლიანი დამორჩილება ვერ შეძლო. მეამბოხეთა ცალკეული ჯგუფები წინააღმდეგობას უწევდნენ რეგულარულ ჯარს მდგომარეობის შემდგომი ცვალებადობის თავიდან აცილების მიზნით. მთავრობამ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა და აჯანყებულთა გულის მოსაგებად შეტაკების დროს დაპატიმრებული 99 გლეხი გაანთავისუფლა. ამასთანავე, ჯარის ნაწილებს მიუთითა კირცხისაკენ დაეხიათ და იქ „ძლიერი და საიმედო პოზიციები დაეკავებინათ[102].

---

[99] სსსა, ფ. 5, ანაწ. 2, საქ. 3974, ფურც. 4.
[100] გაზ. „თბილისის მოამბე“, № 161, 1876.
[101] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, дел. 141, л. 21.
[102] სსსა, ფ. 5, ანაწ. 2, საქ. 3974, ფურც. 4.

როცა აჯანყების ქარიშხალი ერთგვარად ჩადგა, ჯორჯაძემ, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ აჯანყებულ გლეხთა დაწყნარება-დამშვიდების მიზნით დაპატიმრებული მეამბოხენიც კი გაანთავისუფლა, ამჯერად უკვე მრისხანე სიტყვით მიმართა გლეხებს. უფრო მეტიც — მისი განკარგულებით აჯანყების 14 მოთავე დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. კავკასიის ხელისუფლებას აშინებდა, სამეგრელოს ამბები არ გახმაურებულიყო. ამიტომ მრავალი დამნაშავის საქმე სასამართლოს არ გადასცეს, ზოგიერთ მათგანს მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს.

1876 წლის აჯანყებაში ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის ორი მესამედი და სენაკ-ლეჩხუმის მაზრების ზოგიერთი სოფლები იღებდნენ მონაწილეობას[103].

აჯანყების ძირითადი კერის სხვა კუთხეებთან იზოლირების მიზნით, ხელისუფლებამ სპეციალური ღონისძიებანი განახორციელა. 17 ივნისს ზუგდიდის მაზრაში, დამატებით ერთი ქვეითი ბატალიონი, კავკასიის მსროლელი ლეგიონი და ცხენოსანთა ერთი ასეული გაიგზავნა. ჯარის დიდი ნაწილი სენაკისა და ზუგდიდის საზღვრებზე განლაგდა. მათ ევალებოდათ ფხიზლად ედევნებინათ თვალყური „აჯანყებულ გლეხთა მოქმედებისათვის... და არ მიეცათ საშუალება, რომ აჯანყება სხვა მაზრაში გადაზრდილიყო"[104].

დამარცხების მიუხედავად სამეგრელოს გლეხთა 1876 წლის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში. ქუთაისის ყანდარმერიის სამმართველოს უფროსი მას ასეთნაირ შეფასებას აძლევდა: „ზუგდიდის მაზრის გლეხთა ამბოხებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი გუბერნიის გლეხობაზე და, რომ სათანადო ღონისძიება არ ყოფილიყო მიღებული, შეიძლება იგი, მთელ გუბერნიას მოდებოდა"[105].

ცნობას სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შესახებ მთავრობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მადლობა გამოუცხადა დამსჯელი ექსპედიციის ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს.

1879 წლის 14 მარტს, ე. ი. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების თითქმის სამი წლის შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვლის საიდუმლო საბჭოს წევრი — ჯორჯაძე მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს თხოვ-

---

[103] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дел. 87, л. 21.

[104] იქვე.

[105] იქვე.

და ოფიციალურ პირთა დაჯილდოებას, რომელთაც „დამსახურება“ მიუძღოდათ 1876 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში. იგი წერდა: „როცა აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ჯარის ნაწილებს, მაშინ პრინცმა განკარგულება გასცა ესროლათ გლეხებისათვის... ამ გაბედულმა და საზრიანმა ღონისძიებამ იმდენად შეაშინა უწესრიგობის მომხრენი, რომ ვერავინ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა და ყველა უსიტყვოდ დაგვმორჩილდა“[106].

ჯორჯაძე პრინცის „დამსახურებად და საგმირო საქმედ“ იმას თვლიდა, რომ ამ უკანასკნელმა ტყვია დაუშინა აჯანყებულ გლეხებს. იგი მოითხოვდა ლეწერწუმესთან გამართულ ბრძოლაში „თავის გამოჩენისათვის“ პრინცს კიდევ ერთი ჩინი მომატებოდა. ჯილდოებზე იყვნენ წარდგენილი აგრეთვე მსროლელთა ასეულის მეთაური — პოლკოვნიკი ტოლსტოი, ალექსანდროპოლის პოლკის მეორე ბატალიონის მეთაური — პოლკოვნიკი გურჯი, მაიორები: ბეერა და ქორქაშვილი, ფლიგელ ადიუტანტი — თავადი ნიკოლოზ მინგრელსკი. განსაკუთრებით დიდად გაუღიმა ბედმა ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს თავად დადიანს. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში „მამაცობის“ გამოჩენისათვის იგი ოზურგეთის მაზრის უფროსად დაუწინაურებიათ[107].

გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, ჯორჯაძეს 150-დან 170 მანეთამდე ფულად ჯილდოზე წარუდგენია აგრეთვე ადგილობრივი აზნაურები ვასილ ქუთელია, ბახვა შენგელია და სიკო ჭუბაბრია. მისივე წარდგინებით სამი მებრძოლისათვის მიუციათ წარჩინების ნიშანი, ქუთაისის ცხენოსანი პოლკის წევრები დაუჯილდოებიათ ფულადი სახსრებით, ხოლო მსროლელი ბატალიონის ოფიცრებს, ალექსანდროპოლისა და ქუთაისის ცხენოსანთა პოლკს, გურიის ფეხოსანთა ასეულს, გლეხთა ამ აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის იმპერატორის მადლობა დაუმსახურებიათ[108].

გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეთა მიმართ ასეთი დიდი ყურადღება იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობას ამით სურდა წაეხალისებინა ოფიცრობა და ჯარის ნაწილები, რათა მსგავსი ამბოხების განმეორების შემთხვევაში კვლავ ერთგულად დაეცვათ მემამულეთა ინტერესები.

თავადმა ჯორჯაძემ, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი

---

106 სსსა, ფ. 5, ანაწ. 3, საქ. 4684, ფურც. 7.

107 ი ქ ვ ე.

108 ი ქ ვ ე.

სამმართველოს მიერ სპეციალური უფლებებით იყო აღჭურვილი. პირველ რიგში, აიძულა დამარცხებული გლეხები მემამულე გრიგოლ დადიანისათვის უკლებლივ მიეცათ როგორც წინა წლების დარჩენილი, ისე ახლად შეწერილი გადასახადები. დამსჯელი ექსპედიციის „პირნათლად“ ჩატარების შემდეგ მან ჯარების დიდი ნაწილი სამეგრელოს სოფლებში ჩააყენა, ხოლო თვითონ დაბა ზუგდიდში დაბრუნდა, აქედან კი ქუთაისს წავიდა.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ხელისუფლებას აზრადაც კი არ მოსვლია ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც გლეხთა მდგომარეობას ოდნავ მაინც გააუმჯობესებდა, პირიქით — აჯანყების ლიკვიდაციისა და სათანადო გამოძიების შემდეგ, კერძოდ, 1876 წლის შემოდგომაზე მან დაამტკიცა სპეციალური დებულება, რომლის მიხედვითაც დროებითვალდებული გლეხები კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩავარდნენ. აღნიშნული დებულების თანახმად, დროებითვალდებულ გლეხებს ევალებოდათ: 1. ყოფილი მებატონისათვის ყოველი ქცევა სახნავ-სათესი მიწიდან ეძლიათ მიღებული მოსავლიდან მარცვლეულის და ღვინის მეოთხედი ნაწილი, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთითა და ტყით სარგებლობისათვის ფულადი გამოსაღები. 2. დადგენილ იქნა ვადები, რომლებიც უნდა დაეცვა გლეხს ყოფილი მებატონისათვის ნატურალური ან ფულადი გამოსაღების გადახდის დროს.

ლიისა და ფახულინის საზოგადოებებში, საიდანაც დაიწყო აჯანყება, გლეხები ვალდებული იყვნენ დამატებით, 51-ე მუხლის თანახმად, მებატონეების სასარგებლოდ შეწერილი გადასახადები შემდეგ ვადებში დაეფარათ:

„1. საკარმიდამო გადასახადი 1 — 15 იანვრამდე, 2. ღვინის — მისი დაწურვიდან ერთი თვის განმავლობაში, 3. სიმინდი: ა) ფუჩეჩით — მოსავლის აღებისას, ბ) დაცეხვილი — 15 ნოემბრამდე, 4. ღომი — 15 ნოემბრამდე, 5. ფეტვი — 1 ოქტომბრამდე, 6. ჭერი: ა) მოსავლის აღების დროს, ბ) გარჩეული — 1 აგვისტომდე. 7. თამბაქო და ბამბა — მოსავლის აღებიდან 1 კვირის განმავლობაში. 8. ყოველგვარი ხილეული — მოკრეფიდან 1 კვირის განმავლობაში. 9. ცერცვი და ლობიო — აღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

დასასრულ ნათქვამი იყო, რომ 9-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით დროებითვალდებულთა მესაკუთრეებად გახდომა სამეგრელოს გლეხებს სრულებით არ ეხებაო[109].

———

[109] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экпед., дел. 87, л. 22.

დამატებითი დებულების მიხედვით სამეგრელოს გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამ გარემოებამ აიძულა ისინი კვლავ აჯანყებისათვის მიემართათ. მართალია, 70-იანი წლების შემდეგ ისეთი დიდი მასშტაბის გლეხთა მღელვარებები, როგორსაც ადგილი ჰქონდა ლეწურწუმეში აღარ მომხდარა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ სამეგრელოს გლეხებმა ხელი აიღეს ბრძოლაზე. 80-იან წლებში სამეგრელოს სოფლებში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა[110]. გლეხები დაჟინებით მოითხოვდნენ მემამულეთა მიერ მიტაცებული მიწების უკან დაბრუნებას. ეს ბრძოლა ხან მინელდებოდა, ხან კი ძლიერდებოდა და აშკარად შეიარაღებული შეტაკების ხასიათს ღებულობდა. მემამულეები და ხელისუფლება ერთობლივი მოქმედებით ძლივს ახერხებდნენ გლეხების შეჩერებას.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მიეჩქმალა, მაგრამ ეს გამოსვლები იმ დროს ევროპაში საკმაოდ გახმაურდა. გაზეთმა „თბილისის მოამბემ“ თავის ფურცლებზე მოათავსა შვეიცარიიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელშიც აღწერილია თუ რა სენსაცია მოახდინა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ამბებმა უცხოეთში: „დიდი სენსაცია გამოიწვია აქ (ე. ი. უცხოეთში) კავკასიის ამბების შესახებ... ვენის გაზეთებში გამოქვეყნებულმა ცნობებმა, სადაც მოთხრობილი იყო 80.000 სომხისა და ქართველის აჯანყებაზე, ამბოხებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი მთავრობის ჯარისათვის მიყენებულ დარტყმაზე...“[111] და სხვ.

ამრიგად, სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები 70-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. სამეგრელოს 1873 — 1876 წლების შეიარაღებული აჯანყება რეფორმისშემდგომდროინდელი საქართველოს აგრარული მოძრაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე და კოლორიტული ეპიზოდი და ნაკადია.

§ 5. სვანეთის გლეხთა 1875 — 1876 წლების შეიარაღებული აჯანყება*

ქართველი ხალხი, როგორც ცნობილია, სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ერთდროულად განიცდიდა. ქართველი გლეხობის ბრძოლამ

---

[110] სსსა, ფ. 12, ანაწ. 12, საქ. 82, ფურც. 1—10.

[111] გაზ. „თბილისის მოამბე“, № 181, 1876.

* მოცემული პარაგრაფი, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, წიგნში შემოკლებულია. შემოკლებისას გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ სვანეთის გლეხთა

ემამულეებისა და ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მწვავე ხასიათი მიიღო. გლეხთა შეიარაღებული ბრძოლის საერთო მსვლელობაში სვანეთის გლეხთა 1875 — 1876 წლების აჯანყებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მეფის მთავრობა სვანეთში საგლეხო რეფორმის გატარებას განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდა. ბატონყმობის ინსტიტუტი 1867 წელს გაუქმდა სადადიანო (ქვემო სვანეთი) და 1871 წელს სადადეშქელიანო (ბალსქვემო) სვანეთში.

სადადეშქელიანო სვანეთში საგლეხო რეფორმის განსხვავებული, შედარებით თანმიმდევრული ხასიათი ჰქონდა[112]. გლეხების განთავისუფლება აქ, საქართველოს ბართან შედარებით, უფრო შეღავათიან პირობებში მოხდა.

საგლეხო რეფორმა თავისუფალ სვანეთს არ შეხებია, „რადგან აქაური გლეხობა რეფორმამდე დიდი ხნით ადრე მიწის მესაკუთრე იყო და თავისუფალი ბატონყმური ექსპლოატაციისაგან. ადმინისტრაციის ცალკეული განკარგულებებით მოისპო ტრადიციით შემორჩენილი მცირე, შეიძლება ითქვას, სიმბოლური ვალდებულებანი და აიკრძალა შინაყმების ყიდვა-გაყიდვა, რომელიც თავის დროზე პრაქტიკაში შემოვიდა მეზობელი (ბატონყმური) რაიონების გავლენით“[113].

* * *

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალს ზემო სვანეთში ფართოდ გავრცელდა ხმები გლეხთა მიწების აზომვის, ახალი გადასახადების შეწერისა და სვანი ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის შესახებ. სოფლებში ხმა დადიოდა, რომ ფულადი გადასახადი გაწერილი იქნებოდა არა მარტო მიწებზე, არამედ ყველა შინაურ საქონელზე. ასეთი გადასახადები ხელისუფლებას საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჰქონდა შემოღებული და სრულიად არ იყო გამორიცხული, რომ მთავრობა მსგავს ღონისძიებას

---

187 —1876 წლების აჯანყება, ისევე როგორც XIX საუკუნის 70-იანი წლების სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, სამეცნიერო ნაშრომებში შედარებით რელიეფურადაა გაშუქებული (იხ. ა. ჩარკვიანი, სვანეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი), 1967, გვ. 169—223; გ. გულბანი, ეს იყო მთაში, 1965 და სხვ.

112 ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ. 1965, გვ. 9—10.

113 ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი, 1967, გვ. 104.

ქვეყნის ამ მხარეშიც განახორციელებდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ სვანეთის ბოქაულმა გლეხებს სპეციალური ბლანკები დაურიგა, სადაც კომლობის მიხედვით უნდა ჩაწერილიყო გლეხთა საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა. ბუნებრივია, მთავრობის ამ ღონისძიებამ გლეხებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმის გასარკვევად ყოველი საზოგადოებიდან ბოქაულთან გაიგზავნა თავკაცები. ისინი შეშფოთებული ეკითხებოდნენ სვანეთის ბოქაულს იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების გატარება, პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე და არაფრისმთქმელი იყო: „ასეთია მთავრობის განკარგულება, ალბათ ასე არის საჭირო". ბოქაულის გაურკვეველი პასუხი კიდევ უფრო აძლიერებდა მოსახლეობის შიშს ახალი გადასახადების შემოღების გამო.

რეფორმის გატარების შემდეგ ქვემო სვანეთში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას შეუძლებელი იყო თავისუფალ სვანეთზე გავლენა არ მოეხდინა. როგორც ცნობილია, თავისუფალი სვანეთი სადადეშქელიანო სვანეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა და მასში შვიდი საზოგადოება შედიოდა: ლენჯერის, მულახის, მესტიის, ლატალის, კალას, იფარის და უშგულის. აქაური მოსახლეობის საერთო რაოდენობა შვიდი ათას კომლამდე აღწევდა. მეფის მოხელეთა თვითნებობა, როგორც ყველგან, აქაც შეუზღუდავი იყო.

საქართველოს ამ მაღალმთიან მხარეში, სადაც მიწის ნაკლებობა განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობოდა, ახალი რეჟიმის შედეგად გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ახალი გადასახადების შეწერა, მოსახლეობის ადათ-ჩვეულებების აბუჩად აგდება, მეფის მოხელეთა თვითნებობა გახდა მიზეზი 1875 — 1876 წლებში სვანეთის გლეხთა იმ დიდი აჯანყებისა, რომელმაც ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა იმდროინდელ ქართულ და რუსულ მოწინავე საზოგადოებაში.

1875 — 1876 წლების სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება ორ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში (1875 წლის მაისიდან ამავე წლის ზაფხულის დამლევამდე) აჯანყებაში მონაწილეობდა ბალსზემო სვანეთის მთელი მოსახლეობა, მეორეში (1876 წლის ივლისიდან აგვისტომდე) ძირითად ძალას ხალდელი გლეხები წარმოადგენდნენ. აჯანყების დაწყებისას თავისუფალ სვანეთში ჯარების შეყვანა მიზნად ისახავდა გლეხებზე ზემოქმედებას, 1876 წლის ივლისიდან კი მოსახლეობის დასჯას[114].

---

[114] ა. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

ზემო სვანეთში მიწების აზომვა პირველად 1875 წლის ივნისში სოფელ ლატალში დაიწყო. ამ ღონისძიებას გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები მოჰყვა, რომელიც მალე მთელ ზემო სვანეთის — უშგულის, კალის, იფარის, მულახის, მესტიის, ლენჯერის საზოგადოებებს მოედო. გლეხების ერთი ნაწილი ავტორიტეტული პირების მითითებით სოფლიდან სოფელში დადიოდა და სვანეთში მოსახლეობას ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმამ დადებითი შედეგი გამოიღო. ჩატარდა ცალკეულ საზოგადოებათა ყრილობები, რომლებზედაც ხელისუფალთა თვითნებობით აღშფოთებული გლეხობა ფიცს სდებდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ საერთო საქმისათვის[115]. მოძრაობამ თანდათან მძაფრი ხასიათი მიიღო. 1875 წელს მაისში შედგა კალის საზოგადოების ანუ ხევის ყრილობა, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. აქ გლეხობამ მიიღო ფიცი, რომ არ ეღალატათ საერთო საქმისათვის, ბოლომდე, თანამიმდევრულად ებრძოლათ ხელისუფლებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

სვანეთში გლეხთა მოძრაობა მიმართული იყო მეფის ხელისუფლების იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი გადასახადების შემოღებას, სხვა მიზნები აჯანყებულებს არ ჰქონიათ: „ჩვენ ხომ იმას არ ვეუბნებით მთავრობას, რომ თქვენს ხელში ყოფნა არ გვინდაო, — განაცხადა ხევის ყრილობაზე ყ. შერვაშიძემ, — ამის თქმა შეგვეძლო პირველად, როდესაც მტერი და მოყვარე ყველა რუსების ხელში გადასვლას გვირჩევდა, მაგრამ არ გვითქვამს უარი... ჩვენში ხმა დადის რომ მათი (მიწების, — მ. ა.) დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ კი სიცოცხლის პირი არა გვაქვს და მუდამ წვალებას ის გვირჩევნია ერთ დღეს გავთავდეთ“[116].

გლეხობამ ჯერ კიდევ სავსებით არ ირწმუნა გავრცელებული ხმების ჭეშმარიტება მთავრობის მიერ ახალი გადასახადების დაწესების შესახებ და სიმართლის დადგენას შეეცადა: „ჯერ უნდა შევიტყოთ რაშია საქმე, — ამბობდა ყაზბულათ შერვაშიძე, — მოვახსენოთ მთავრობას, ისე როგორც დღეს ვამბობთ და მის პასუხს მოვუცადოთ“[117].

ამავე მოსაზრებას იცავდა მეორე ორატორი გუნდარუ ფარჯიანიც, იგი გლეხობას მოთმინებას ურჩევდა და აღნიშნავდა, რომ ჯერჯერობით ასეთი მღელვარება უადგილოაო[118].

---

115 ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, აღ. რობაქიძის შესაელითა და რედაქციით, 1964, გვ. 175.

116 იქვე, გვ. 176.

117 იქვე.

118 იქვე.

ხევის ყრილობაზე გამოსულ ორატორთა სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ გლეხთა მოძრაობის წინამძღოლები ბრძოლის ამ ეტაპზე შეიარაღებულ აჯანყებას ნაჩქარევად თვლიდნენ და ხალხს მოთმინებისაკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ისინი საერთოდ უარყოფდნენ შეიარაღებულ აჯანყებას; პირიქით, საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის შეწირვასაც კი მოითხოვდნენ თითოეული გლეხისაგან.

სვანეთის გლეხთა აჯანყების წინამძღოლთა სიფრთხილეს თავისი სერიოზული გასამართლებელი საფუძველი გააჩნდა. მათ კარგად იცოდნენ საქართველოს სხვა მხარეებში მომხდარ აჯანყებათა შედეგები და იქიდან გამომდინარე საჭირო დასკვნებსაც აკეთებდნენ. ასე მაგალითად, ყასბულათ შერვაშიძე საგანგებოდ აფრთხილებდა გლეხებს, თავიანთ მოქმედებაში მეტი სიდინჯე გამოეჩინათ, ვინაიდან თუ ასე არ მოვიქცევით ჩვენც ისეთივე საქმე მოგვივა, როგორც აფხაზებსო[119].

სოფ. კალაში მოწყობილი სახევო ყრილობის დამთავრების შემდეგ აჯანყებულთა ერთი ჯგუფი ქუთაისიდან სვანეთში შემოსასვლელი გზების გამაგრებას შეუდგა, რომ მეფის რეგულარულ ჯარს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დახმარების საშუალება არ ჰქონოდა, დანარჩენები კი ბეჩოსაკენ გაემართნენ იქ დაბანაკებული მთავრობის მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმის განსაიარაღებლად.

ბეჩოს სამხედრო რაზმის უფროსმა მაიორმა ლეუსმა სვანეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ უმალვე ლეჩხუმის მაზრის უფროსს — გრინევსკის და ქუთაისის გუბერნატორს მალაფეევს აცნობა. ამ უკანასკნელმა კი კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენა: „22 ივნისს ლეჩხუმის მაზრის უფროსისაგან მივიღე ახალი ცნობა, რომლის თანახმადაც სვანეთში გადაუწყვეტიათ არ დაემორჩილონ მთავრობის არავითარ განკარგულებას და დაუბრუნდნენ თვითმმართველობის ისეთ წესებს, რომელიც არსებობდა იქ 1869 წლამდე"[120], ხოლო 1875 წლის 2 ივლისს კი მეფისნაცვალს დამატებით ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „...სვანები ემუქრებიან ბეჩოს ადგილობრივ რაზმს... მათ გაიფუჭეს ხიდები და გზები. არც იქით უშვებენ ვინმეს და არც აქეთ"[121].

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მალაფეევმა განკარგულება გასცა გუბერნიაში მყოფი სამხედრო ნაწილებიდან დამსჯელი ექსპედიცია შეედგინათ სვანეთში გასაგზავნად, ხოლო კავკასიის მეფისნაცვალ-

---

[119] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ- ეთნოგრაფიული წერილები. ალ. რობაქიძის შესავლითა და რედაქციით, 1964, გვ. 175.
[120] ЦГИАМ, ф. III отд. 3 экспед., дел. 87, л. 24.
[121] სსსა, ფ. 416, ანაწ. 3, საქ. 387, ფურც. 12.

მა ბეჩოში მყოფი ჯარის ნაწილის გასაძლიერებლად ოსეთიდან სვანეთში 270 კაცისაგან შემდგარი ადგილობრივი მილიციის ასეული გადაისროლა. ამავე დროს ამავე მილიციის 400-ზე მეტმა მოლაშქრემ სვანეთის საზღვრებზე საყარაულო პოსტები დაიკავეს.

გენერალ-გუბერნატორ მალაფეევის განკარგულებით ქუთაისში მალე შეიქმნა ძლიერი დამსჯელი ექსპედიცია, მასში შედიოდა: 161-ე ქვეითი პოლკი, მილიციის ორი ქვეითი ასეული, ცხენოსანთა ორი ასეული, ერთი საარტილერიო ბატარეია, ერთი მესანგრეთა რაზმი, გარდა ამისა, ყაბარდოსა და ყარაჩაელ ხელისუფალთ ებრძანათ შეედგინათ ორი რაზმი და სვანეთს ჩრდილოეთიდან დასხმოდნენ თავს.

მეფის ხელისუფლება სწრაფად მოქმედებდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ცნობა სვანეთში გლეხთა მოძრაობის დაწყების შესახებ 3 ივლისს მიიღო და 8 ივლისს, ე. ი. ხუთი დღის შემდეგ უკვე ყველაფერი მზად იყო. იმავე დღესვე დაიძრა სვანეთისაკენ საექსპედიციო კორპუსი გენერალ-მაიორ ციტოვიჩის მეთაურობით. 10 ივლისს კორპუსი უკვე ლეჩხუმში იყო ჩასული.

ხელისუფლების ოპერატიულობა მარტო საექსპედიციო კორპუსის გაგზავნაში როდი გამოიხატებოდა. მალაფეევის დავალებით ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი სოფელ ლუჯიში ავიდა სვანეთში მომხდარი ამბების შესატყობად. აქ მან მოლაპარაკება გამართა აჯანყებულებთან. გრინევსკიმ წინადადება მისცა სვანებს ვიცე-გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად ათი კაცი გამოეგზავნათ. ყველასათვის მოულოდნელად 13 ივლისს მასთან გამოცხადდა ბალსზემო სვანეთის დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძის მეთაურობით. გრინევსკიმ წინადადება მისცა შერვაშიძეს ზემოქმედება მოეხდინა აჯანყებულ სვანებზე, შთაეგონებინა მათთვის ხელი აეღოთ ბრძოლაზე, მაგრამ მაზრის უფროსის რჩევა-დარიგებას შედეგი არ მოჰყოლია. ამის შემდეგ გრინევსკის — მაზრის უფროსს აჯანყებული სვანების დელეგაცია 14 ივლისს ცაგერში გუბერნატორისათვის წარუდგენია.

აჯანყებულთა წარმომადგენლებსა და გუბერნატორს შორის ცაგერში შემდგარი შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ მალაფეევს გადაუწყვეტია სვანეთში გაჰყოლოდა დელეგაციას და ადგილზე გაეგრძელებინა მოლაპარაკება. 15 ივლისს ქვეითი ჯარისა და გურიის რაზმის თანხლებით იგი ცაგერიდან გასულა და იმავე დღეს ლენტეხში ჩასულა, შემდეგ გზა ლატფარის უღელტეხილის მიმართულებით გაუგრძელებია და ბოლოს სოფელ ჩოლურში შეჩერებულა.

გლეხებს უმალვე შეუტყვიათ გუბერნატორის გამგზავრება და ლატფარისა და ბალის უღელტეხილების გამაგრებას შესდგომიან. აქ მათ

ყარაულები დაუყენებიათ, ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოპარვიათ გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოწრთობილ მეფის ერთგულ მოხელეებს. 17 ივლისს, მალაფეევის ბრძანებით, აჯანყებულ სოფლებში გამგზავრებულა ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი თავადაზნაურთა (20 კაცის) თანხლებით. ისინი სოფელ ლალხორს მაშინ მიდგომიან, როდესაც აჯანყებულ გლეხებს ყრილობა ჰქონიათ. თავდაპირველად გლეხებს მათთვის სოფელში შეშვებაზე უარი განუცხადებიათ, მაგრამ შემდეგ ნებართვა მიუციათ. გრინევსკი გამცილებელ ნიკარაძეს თავის ნათესავთან მიუყვანია, თვითონ კი ყრილობაზე წასულა;

მართალია, გლეხებმა გრინევსკისა და მის თანმხლებ პირებს სოფელში შესვლის ნება მისცეს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ მათ ხელი აიღეს ბრძოლაზე. ორი ათასი აჯანყებული ერთსულოვნად მოითხოვდა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას და გრინევსკისთან ერთად მისი თანმხლები პირების ამოწყვეტას. სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით მათ გრინევსკის შეუთვალეს, რომ სოფელს გასცლოდა. პირველ ხანებში გრინევსკი სოფლიდან წასვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა, მაგრამ როდესაც მისკენ მიმავალი შეიარაღებული გლეხების რაზმი დაინახა, იძულებული გახდა აჯანყებულთა წინადადებას უსიტყვოდ დამორჩილებოდა.

ხელისუფლება აშკარად ხედავდა, რომ გლეხებთან მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ ამ მიმართულებით ცდას მაინც ხელს არ აკლებდა. ამიტომაც იყო, რომ 19 ივლისს. მალაფეევი და გენერალი კიტოვიჩი მცირეოდენი რაზმით კალის საზოგადოების სოფელ დაგბერში შევიდნენ. აქ მათ 2000-მდე შეიარაღებული სვანი დახვდათ. მალაფეევმა აჯანყებულებს ურჩია ხელი აეღოთ ბრძოლაზე. მალაფეევის წინადადება გლეხობამ არ მიიღო, მაგრამ როდესაც რეგულარული ჯარის სიჭარბეში დარწმუნდნენ, წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედეს და გაიფანტნენ.

აჯანყებულთა დამორჩილების შემდეგ მთავრობის ჯარი სოფელ ბეჩოსაკენ დაიძრა. აქ მალაფეევმა ბოქაულისაგან მიიღო აჯანყების მოთავეთა სია, რომელშიც თავდაპირველად 36 კაცი შედიოდა, გამოძიების შემდეგ კი 16[122]. „დამნაშავეთა“ დაპატიმრება გაძნელდა. მაგრამ თენგიზ დადეშქელიანმა და სხვა ადგილობრივმა მოხელეებმა მაინც შეძლეს, მოტყუების გზით 12 კაცი ბეჩოში ჩამოეყვანათ და მთავრო-

---

[122] ალ. კოჭლაშვილი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში, დოკუმენტების პუბლიკაცია, „საისტორიო მოამბე“, № 1, 1945, გვ. 150—152.

ბისათვის ჩაებარებინათ. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ მოთავეს, მათი ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები არ ცხრებოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ აჯანყებული სვანების ეს ოთხი მოთავე, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, დაეპატიმრებინათ. ამ მიზნის მისაღწევად რეგულარული ჯარი ლატალის საზოგადოებისაკენ დაიძრა, იქ მცხოვრები ერთ-ერთი მოთავის ედავ გირგვლიანის დასაპყრობად. როდესაც დამსჯელი ექსპედიცია სოფელს მიადგა, მალაფეევმა გლეხებთან მოლაპარაკება გამართა და გირგვლიანის გაცემა მოითხოვა. ედავ გირგვლიანი, კოზა და პიკა გირგვლიანებთან ერთად, კოშკში ჩაიკეტა. ჯარმა არტილერიის ცეცხლი დაუშინა კოშკებში გამაგრებულთ; ამით სურდა თავზარი დაეცათ აჯანყებული სვანეთისათვის და გაეტეხათ მისი წინააღმდეგობა.

რეგულარული ჯარის მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ ცეცხლის გახსნა გლეხებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა, ისინი ადრევე იყვნენ შეიარაღებული თოფებით და მომზდურთ თავიანთი ძალა დაუპირისპირეს. ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო. ყუმბარების დაშენის შედეგად რამდენიმე კოშკი დაზიანდა. მიუხედავად ამისა, აჯანყებულები იარაღს არ ყრიდნენ. ამის შემდეგ ჯარმა ბარბაროსულ ხერხს მიმართა; საღამო ხანს მალაფეევის განკარგულებით ჯარიკაცებმა კოშკების ირგვლივ ფიჩხი შემოაწყვეს და ცეცხლი წაუკიდეს. ხანძარი იქვე ახლოს მდებარე სახლებსაც მოედო. კოშკში გაჩერება შეუძლებელი გახდა, ნახევრად დამწვარი გირგვილიანი იძულებული გახდა დანებებულიყო. ამ ბრძოლაში რეგულარული ჯარიდან შვიდი კაცი დაიჭრა, ხოლო გლეხებიდან ორი, აქედან ერთ-ერთი მათგანი ქალი იყო[123].

ხელისუფლებამ დაინახა, რომ გლეხების წინააღმდეგობის გატეხა არც ისე ადვილი იყო, შეიძლებოდა აჯანყებულთ უფრო მეტი ზარალი მიეყენებინათ ჯარისათვის. ამ სისხლიანი აქტის შემდეგ, მთავრობამ ხელი აიღო დანარჩენი მოთავეების ძალით შეპყრობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, მათი ტყვედ ჩაგდება მალაფეევს მოსვენებას არ აძლევდა. მან დაავალა ლეჩხუმის მაზრის უფროსსა და სვანეთის ბოქაულს, რათა ყოველგვარი ღონე ეხმარათ დანარჩენი სამი მოთავის დასაპატიმრებლად.

გადაწყდა, აჯანყების მოთავეები ადმინისტრაციული წესით რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაესახლებინათ. 1875 წლის 21 ოქ-

---

[123] სსსა ფ. ანაწ. 2, საქ. 2489, ფურც. 44; შეად. ЦГИАМ., ф. III отд,. 3 экспед., дел. 79, л. 28.

ტომბერს კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულების თანახმად აღნიშ-ნული გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

სვანეთის გლეხთა 1875 წლის აჯანყებამ შეაშფოთა ხელისუფლება. იმპერატორმა, როდესაც კავკასიის ჯარის მოთავარსარდლის მიხეილის დეპეშა მიიღო იმის შესახებ, რომ სვანების ყველა ჯგუფი დაშლილია. უწესრიგობათა მოთავეები დაპატიმრებულია და საქმე მშვიდობიანად დამთავრდა, დეპეშას თავისი ხელით მიაწერა „მადლობა ღმერთს[124]".

ასე დასრულდა სვანეთის გლეხთა მოძრაობის პირველი პერიოდი. თუ აჯანყების პირველი პერიოდი ხელისუფლებამ შედარებით იოლად ჩააქრო, მეორე პერიოდის შესახებ ამას ვერ ვიტყვით, ხელისუფლებას მისი ჩაქრობისათვის ნამდვილი სისხლისმღვრელი ომის გადახდა მოუხდა.

* *

სვანეთის გლეხთა მოძრაობა 1875 წლის ზაფხულის სისხლიანი ეპიზოდით არ დასრულებულა. მართალია, მთავრობამ მოახერხა ზემოაღნიშნული აჯანყების ჩახშობა და მღელვარების მოთავეთა დიდი ნაწილის დასჯა, მაგრამ მან მშრომელი მოსახლეობის გულში დანთებული აჯანყების ხანძრის საბოლოოდ ჩაქრობა მაინც ვერ შეძლო. ეს არც გასაკვირია, რადგანაც არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც საფუძვლად დაედო სვანეთის გლეხთა ამბოხებას. გლეხობა კვლავ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში დარჩა.

1875 წლის ზაფხულში აჯანყების სამი ხელმძღვანელის დაპატიმრების მიზნით, ქუთაისის გუბერნატორი განკარგულებას განკარგულებაზე უგზავნიდა ლეჩხუმის მაზრის უფროსს და სვანეთის ბოქაულს.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა საბოლოოდ გაეტეხა სვანების წინააღმდეგობა, აჯანყების მოთავეთა დაპატიმრებით დაეშინებინა მოსახლეობა. მაზრის უფროსმა გრინევსკიმ და მაიორმა ლეუსმა შეიარაღებული ჯარის ნაწილებით პირველი იერიში კალის საზოგადოების სოფელ ხალდეზე მიიტანეს, სადაც აჯანყების ორი მოთავე ცხოვრობდა.

კალის საზოგადოებისაკენ მიმავალმა გრინევსკიმ გზად სოფელ ბულახში შეიარა მესამე „დამნაშავის" შესაპყრობად. მაგრამ ამ უკანასკნელმა გენერლის განზრახვა წინასწარ შეიტყო და მიიმალა.

---

[124] ალ. კოჭლავაშვილის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 134.

31 ივლისს ჯარი კალაში შევიდა. საღამოს ხანს გაიმართა სამხედრო თათბირი, რომელსაც გრინევსკის გარდა, ბეჩოს ადგილობრივი რაზმის მეთაური მაიორი ლეუსი, სვანეთის ბოქაული მიქელაძე და სხვ. ოფიციალური პირები დაესწრნენ. თათბირზე გადაწყდა, რომ პირველი იერიში აჯანყების მოთავეებზე გურმაჩ გასვიანსა და ჩარგიზ ჯოხაძეზე მიეტანათ, მაგრამ არც მათი ხელში ჩაგდება აღმოჩნდა ადვილი.

გლეხებზე დაუოკებელი შურისძიებით შეპყრობილი გრინევსკი და ლეუსი მზად იყვნენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებაზე წასულიყვნენ, ოღონდ კი აჯანყების მოთავეები ხელში ჩაეგდოთ.

1 აგვისტოს დამსჯელი რაზმი სოფელ კალიდან ხალდეში გადავიდა. გრინევსკიმ განკარგულება გასცა პორუჩიკ კვინიხიძეს (პირველი ოცეულის თანხლებით) ხალდეს მარცხენა მხარის მდებარეობა შეესწავლა. ხოლო მაიორ ლეუსს კი მეორე ოცეულით სოფლის მარჯვენა მხარის დათვალიერება დაევალა. საბრძოლო გეგმის წინასწარი მოხაზვის შემდეგ, გრინევსკიმ ხალდელებს შუაკაცის პირით შეუთვალა ემხილებინათ გურმაჩ გასვიანისა და ჩარგიზ ჯოხაძის ადგილსამყოფელი, რომელთაც ბრალად ედებოდათ 1875 წლის ზაფხულში მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელობა. გლეხებმა ადრე დაპატიმრებულთა მაგალითიდან კარგად იცოდნენ, რა მოელოდათ აღნიშნულ პირებს თუ მათ მთავრობა ხელში ჩაიგდებდა. ამიტომ თანასოფლელთა გაცემაზე გრინევსკის უარი შეუთვალეს. შუაკაცებმა ვერც პირადად გასვიანი და ჯოხაძე დაითანხმეს თავიანთი ნებით წარმდგარიყვნენ ხელისუფლების წინაშე. შუაკაცების რჩევა-დარიგებას მათ შემდეგი პასუხი გასცეს: იქ სიკვდილს აქ სიკვდილი გვირჩევნიანო[125].

მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ გრინევსკიმ ხალდეში ჯარით შესვლა და აჯანყების მოთავეთა ძალით დაპატიმრება გადაწყვიტა.

გრინევსკის განკარგულებით ხალდეს ალყა შემოარტყეს. უქმად არც აჯანყებულნი ყოფილან. სახლების სახურავებზე ასული მაცნენი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს რეგულარული ჯარის მოძრაობას. ბრძოლის დაწყების წინ გრინევსკის სოფლის მკვიდრთათვის მოლაპარაკების დაწყება შეუთვლია, მაგრამ მათ ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ. გლეხების ერთსულოვნებით მოთმინებიდან გამოსული გრინევსკის ჯარისათვის იერიშზე გადასვლა უბრძანებია.

ბრძოლის დაწყების შეტყობისთანავე სურსათ-სანოვაგითა და ტყვიაწამლით მომარაგებული აჯანყებულები კოშკებში გამაგრებულან. მათ

---

125 გაზ. „ივერია", 1892, № 137.

გადაწყვეტილი ჰქონიათ იარაღი მხოლოდ მაშინ გამოეყენებინათ, როცა მთავრობის ჯარი სროლას ასტეხდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილებულნი მოთმინებით დალოდებიან მოვლენების შემდგომ განვითარებას.

მაიორი ლეუსი ჯარით სოფელში შევიდა. გლეხებმა იგი როგორც სტუმარი, ისე მიიღეს. სვანური ადათის თანახმად და პატივისცემის ნიშნად სტუმრის შესახვედრად და ცხენის ჩამოსართმევად ორი მოხუცი — გეგი და გიე გასვიანები გაემართნენ.

ლეუსმა თვალი მოჰკრა თუ არა მისკენ მომავალ მოხუცთ „სალდათებს უბრძანა ხიშტზე აეგოთ ორივენი, თითო ხალდეშელს ოთხ-ოთხი სალდათი მიუჩინა, ერთი უცბად ააგეს ხიშტზე, მეორე კი გაიქცა, მას გამოეკიდა ოთხი სალდათი; შეატყო თუ არა, რომ ეს ესაა მკლავენო, იშიშვლა ხანჯალი, სამი სალდათი მოჰკლა და მეოთხემ კი თვით ის მოჰკლა“[126].

მეფის მოხელეების მიერ შედგენილ საქმეშიც კი, რომლებშიც აშკარად იგრძნობა მთელი ბრალდების გლეხებზე გადატანის ცდა, ზემოაღნიშნული სისხლიანი ეპიზოდი ობიექტური სიმართლითაა აღწერილი.

გეგი და გიე გასვიანების მკვლელობა შეიარაღებული ბრძოლის დაწყების საბაბი გახდა. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს რეგულარულ ჯარს. მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა. გრინევსკი, მისი თანმხლები ოფიცრები და მთლიანად ჯარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. აჯანყებულთა რისხვით საქციელწამბდარი ჯარისკაცები პანიკამ მოიცვა. ბევრ მათგანს გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა[127].

ჯარისკაცების შიში უსაფუძვლო არ გამოდგა. აჯანყებულებმა კოშკებიდან მათ ტყვიები და ქვები დაუშინეს. შეტაკების დროს ხალდელებმა მაიორ ლეუსის გარდა კიდევ ორი მხედარი მოჰკლეს — ლიუბლინსკი და ივანოვი, დაჭრეს 9 კაცი, მათ შორის ბოქაული მიქელაძე და უნტერ-ოფიცერი ტიშჩენკო. ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა.

გრინევსკი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა და იძულებული გახდა მცირე ჯგუფით ხალდე დაეტოვებინა და სხვა სოფელში ერთი ოჯახისათვის შეეფარებინა თავი. ღამით ხალდელები თავს დაესხნენ იმ სახლს, სადაც მაზრის უფროსთან ერთად მისი თანმხლები ოფიცრობა იმალებოდა და მუსრი გაავლეს მას. განსაცდელს მხოლოდ მამასახლისი გადარჩა, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ამ თავდასხ-

---

[126] გ. ნიკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

[127] სსსა, ფ. 1085, საქ. 21, ფურც. 58, იხ. აგრეთვე ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед. дел. 87, л. 34—35.

ბის მოთავეები ხიშტით განგმირული გეგი და გიერგის ძმა ბუღა და მათი ნათესავი ჩოფა გასვიამწები იყვნენ.

ხალდეს ამბები მალე გახმაურდა. მთავრობამ სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა. 2 აგვისტოს ხალდეს მილიციის რაზმი მოადგა ტარას ახვლედიანისა და თავად გარდაფხაძის მეთაურობით. მალე მათ სვანეთის ბოქაულის მოადგილე თენგიზ დადეშქელიანიც შეუერთდა. მილიციელთა გაძლიერებული მეორე რაზმით, სოფელ ბეჩოდანაც გადმოისროლეს ჯარის ნაწილები. ამრიგად, ხალდესთან თავი მოიყარა როგორც სვანეთში განლაგებულმა ჯარის ნაწილებმა, ისე ადგილობრივი მილიციის რამდენიმე რაზმმა.

მართალია, აჯანყების ცეცხლი მარტო სოფელ ხალდეში გიზგიზებდა, მაგრამ იგი თანდათან ისეთ საშიშ სახეს ღებულობდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო მთელ სვანეთს მოსდებოდა. აი რას წერდა ამის შესახებ პორუჩიკი კვინიხიძე: „მართალია, ერთი სოფელი—ხალდე აჯანყდა, მაგრამ საფრთხე სხვაგანაცაა მოსალოდნელიო“[128]. ამიტომ იგი განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენასთან ერთად სოფელ ბეჩოში ყარაულთა რაზმის გაძლიერებას მოითხოვდა, რადგანაც იქ იარაღისა და თოფისწამლის საწყობები იმყოფებოდა[129].

ხელისუფლებამ გადაწყვიტა აჯანყებულთა სოფელი „აღეგავათ პირისაგან მიწისა“. 1876 წლის 6 აგვისტოს დამსჯელი ექსპედიციის მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, „განზრახული მაქვს ხალდე მოვსპო“[130].

განსაკუთრებული რაზმის უფროსი ციტოვიჩი წინასწარ დაუკავშირდა ქუთაისის გუბერნატორს სვანეთში გასაგზავნი სამხედრო ნაწილის მოქმედების თაობაზე და წინადადება მისცა იმჟამად უკვე სვანეთში განლაგებულ ალექსანდროპოლის ორი ასეულისა და გურიის ქვეითი მილიციის საერთო მეთაურს თავად წულუკიძეს ზედმეტი საჭურველი დაეტოვებინა ჩოლურში, ამასთანავე იქვე მოეწყო ლაზარეთი და მხოლოდ ამის შემდეგ განეგრძო გზა კალისაკენ, სადაც უსაფრთხო ადგილას გაეჩინა ბანაკი, ალყაში მოექცია სოფ. ხალდე და იქედან არც ერთი კაცი არ გაეშვა[131].

ზემოაღნიშნული სამხედრო ნაწილებს გარდა, სვანეთში გაიგზავნა აგრეთვე დამატებითი ჯარი: ქვეითი მილიციის ორი რაზმი, რომლებიც 17 აგვისტოს შეურთდნენ წულუკიძის მოწინავე ნაწილს, 12 აგ-

---

128 სსსა, ფ. 1085, ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 59.

129 ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дел. 87, л. 35.

130 ალ. ქორქლაშვილი, დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 136.

131 „დროება“, 1876, № 93.

ვისტოს ქუთაისიდან მათ დასახმარებლად გავიდა აგრეთვე დამსჯელი ჯარების უფროსი 39-ე საარტილერიო ბრიგადის სამთო ბატარეიის ოცეულით, სარაკეტო მესანგრეთა რაზმებითა და ალექსანდრეპოლის 169-ე პოლკის 4 ასეულით. მათ 15 აგვისტოს ღამე სოფელ მურში გაათენეს, ხოლო 18 აგვისტოს კი ჩოლურში ჩავიდნენ.

ხალდელებმა იცოდნენ, რომ მომხდარი ამბის გამო ხელისუფლება მათ სასტიკად გაუსწორდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ[132].

სოფელ ხალდეს კარგი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. როგორც გაზ. „„დროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „სოფელი (ხალდე, — მ. ა.) ერთს მიუდგომელს ალაგას არის ხეობაში, კოშკები მერცხლის ბუდესავით კლდეზეა მიმაგრებული: ერთის მხრით ისეთი კლდეა, რომლის გადალახვა თვითონ სვანებს არ შეუძლიათ, მეორეს მხრივ მდინარე, რომელზედაც ვიწრო ხიდია გადებული“[133].

მთავრობის ჯარის გასამკლავებლად ხალდეს კოშკებში 70-ზე მეტი კარგად შეიარაღებული მებრძოლი იყო ჩასაფრებული. როდესაც გენერალმა ციტოვიჩმა დაინახა, რომ სოფელი კარგად იყო გამაგრებული და გლეხებიც საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი, გადაწყვიტა, რომ ამბოხებულები ტყბილი სიტყვით გამოეტყუებინა კოშკებიდან. გლეხები არ დაენდვნენ მეფის ჯალათის დაპირებებს და მტკიცედ განაცხადეს: ისევ აქვე მოვკვდეთ ის გვირჩევნიაო[134].

ხალდელებისაგან იარაღის დაყრაზე უარის მიღებისთანავე გენერალი ციტოვიჩი იერიშის დაწყებისათვის მზადებას შეუდგა. 19 აგვისტოს ჯარებმა დაიკავეს სოფლის მახლობლად მდებარე სტრატეგიული პუნქტი „მიჯვრიში“. იმავე დღეს დაიწყო საარტილერიო კანონადა, მაგრამ შორიდან ნასროლი ყუმბარები ან მიზანში ვერ ხვდებოდა ან ვერაფერს აკლებდა მტკიცედ ნაგებ სვანურ კოშკებს. 21 აგვისტოს ციტოვიჩის ბრძანებით ქვემეხებმა ჯგუფურად დაუშინეს ყუმბარები თითოეულ კოშკს. ვერც ამან გამოიღო სასურველი შედეგი. 23 აგვისტოს ციტოვიჩმა გასცა განკარგულება ჯარი სოფელს მიახლოვებოდა და მისთვის ოთხივე მხრიდან ალყა შემოერტყა. ამავე დროს, კოშკებისათვის ყუმბარების დასაშენად არტილერიაც მოწინავე პოზიციებზე გადაიტანეს. ხალდელებმა ისარგებლეს მტრის არტილერიის კოშკებთან მიახლოებით და მათთვის დამახასიათებელი სიზუსტით დაუშინეს ტყვიები

---

[132] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дел. 87, лл. 34—35.
[133] გაზ. „დროება“, 1876, № 8.
[134] ი ქ ვ ე.

ქვემეხების მომსახურე პერსონალს. მცირე დროის მონაკვეთში მრავალი არტილერისტი გამოიყვანეს მწყობრიდან. ყოველივე ამან აიძულა ციტოვიჩი, არტილერია კვლავ უკან დაეწია და ბოლოს ხელიც აეღო საარტილერიო ბრძოლაზე, 23 აგვისტოს ქვეითმა ჯარმა და კავალერიამ ყოველი მხრიდან იწყო სოფელზე იერიში, მაგრამ გლეხებმა აიძულეს ისინი დიდი ზარალით უკან დაეხიათ. ბრძოლა არ წყდებოდა. მიუხედავად ამისა, ჯარმა ერთი კოშკის აღებაც ვერ შეძლო. მოთმინებიდან გამოსულმა გენერალმა 26 აგვისტოს შეკრიბა სამხედრო საბჭო, რომელზედაც მრისხანე სიტყვა წარმოთქვა და გადაჭრით მოსთხოვა ოფიცრებს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ სოფელი აეღოთ. თათბირმა დაადგინა სოფელში ჯარის ღამით შეყვანა, რათა გათენებამდე დაეწყოთ პირდაპირი იერიში კოშკებზე.

მართალია, ხალდელი გლეხობა თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ მთავრობის ჯარებთან საბოლოო გამკლავება მაინც არ შეეძლოთ. ერთი ბუჭა ხალდელებს მარტო უხდებოდათ ბრძოლა მრავალრიცხოვან და მაღალ დონეზე შეიარაღებულ დამსჯელ კორპუსთან. სხვა სოფლების გლეხობა სდუმდა. მათ ვერ შეძლეს გმირულად მებრძოლი ხალდელებისათვის მხარდაჭერა, რათა აჯანყებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცათ. მთელ სვანეთში იგრძნობოდა არაორგანიზებულობა, დაბნეულობა, ძალთა დაქსაქსულობა.

ალყაშემორტყმულმა აჯანყებულებმა უიმედო ბრძოლის შეწყვეტა და სოფლის დატოვება გადაწყვიტეს. ღამით, როდესაც ჯარები სოფელში შევიდნენ, წინააღმდეგობა არავის გაუწევია. დილით გამოირკვა, რომ კოშკები დაცარიელებულიყო, როგორც ჩანს, აჯანყებულები საიდუმლო ბილიკებით გაპარულიყვნენ[135].

სოფელი ყველა ბრძოლისუნარიანმა მამაკაცმა დატოვა. კოშკებში მხოლოდ 9 მოხუცი დარჩენილიყო. მათ მთის ბილიკებზე სიარული აღარ შეეძლოთ; ციტოვიჩის მოთხოვნაზე — დანებებულიყვნენ, მოხუცებმა უარი განაცხადეს. ისინი კოშკებში ჩაიკეტნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში ტყვიას უშენდნენ ჯარისკაცებს. ციტოვიჩის ბრძანებით მესანგრეებმა ნაღმებით ააფეთქეს კოშკები, რომელთა ნანგრევებშიც მოხუცი სვანები ცოცხლად დაიმარხნენ[136].

ხალდეს დატოვების შემდეგ გლეხთა ერთი ჯგუფი მახლობელ მთაზე გამაგრდა. მათ შესაპყრობად „მფრინავი რაზმი" გაიგზავნა თენგიზ დადეშქელიანის მეთაურობით. პირისპირ შეტაკების დროს აჯანყებუ-

---

[135] ЦГИАМ, ф. III отд., 3 экспед., дел. 7, л. 39—40.

[136] იქვე, ფურც. 40.

ლებმა რამდენიმე ჯარისკაცი მოკლეს და დაჭრეს. დადეშქელიანი იძულებული გახდა უკან დაეხია, აჯანყებულებმა უფრო საიმედო პოზიციებზე გადაინაცვლეს.

ამის შემდეგ გენერალმა ციტოვიჩმა შეუძლებლად მიიჩნია მთებში გაქცეული მეამბოხეთა დევნა და უკან დაბრუნება ამჯობინა. სოფლიდან წამოსვლის წინ რეგულარული ჯარის ნაწილებმა ხალდე მთლიანად დაანგრიეს. კოშკები და საცხოვრებელი სახლები ნაღმებით ააფეთქეს. ამის შემდეგ ციტოვიჩი ჯართან ერთად, ქუთაისში დაბრუნდა. მან თან ჩამოიყვანა ტყვედ ჩავარდნილი 9 სვანი, რომლებიც თავადმა გარდაფხაძეებმა მოტყუებით ჩაუგდეს ხელში მთავრობას. სულ დაპატიმრებულ იქნა 22 კაცი, აქედან ზოგი ნებით ჩაბარდათ.

ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები მოითხოვდნენ აჯანყების მოთავე სვანების მკაცრად დასჯას, რადგანაც, როგორც ისინი აღნიშნავდნენ, „თუ ეს საქმე უყურადღებოდ იქნებოდა დატოვებული, ამის შემდეგ არავის ადგილობრივ მომსახურე პირთაგან არ შეეძლება, წავიდეს სოფელში 50-კაციანი რაზმის გარეშეო“[137].

კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით ქუთაისში შეიქმნა სამხედრო-საველე სასამართლო, ბრალდებულ სვანების საქმის განსახილველად. აჯანყების მონაწილეთა ბედი ხელისუფლებას წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ სასამართლო პროცესი ნაჩქარევად ჩატარდა.

გლეხების გამოსვლამ სასამართლო პროცესზე დამსწრე საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თვით სამხედრო პროკურორიც კი იძულებული იყო დადეშქელიანისათვის რამდენიმე ისეთი შეკითხვა მიეცა. რომელიც ამ უკანასკნელს პასუხისგებაში მიცემას უქადდა. მაგრამ იგი მოსამართლეებმა იხსნა. სასამართლომ სპეციალურ, დახურულ სხდომაზე აღნიშნა, რომ დადეშქელიანების მსგავსნი გარეცვეულ დასაყრდენს წარმოადგენენ სვანეთში მეფის მთავრობის პოლიტიკის გასატარებლად; ამიტომ, აუკრძალეს პროკურორს თავად დადეშქელიანისათვის შემდეგში ისეთი შეკითხვების მიცემა, რომელიც ბრალდებული გლეხების დასჯის საქმეს უშუალოდ არ შეეხებოდა.

მეფის მთავრობამ აჯანყების მოთავეებზე სასტიკად იძია შური. ერთ ნაწილს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ხოლო მეორე ნაწილი რუსეთის ცივ მხარეებში სხვადასხვა ვადით გადაასახლა.

---

[137] სსსა, ფ. 1085, ანაწ. 1, საქ. 21, ფურც. 19.

ეს განაჩენი ზოგიერთი ცვლილებითა და ერთგვარი შერბილებით, 1877 წლის 8 იანვარს დაამტკიცა კავკასიის არმიის მთავარსარდალმა.

მეფის მთავრობამ არც ამჯერად დატოვა უყურადღებოდ თავისი ერთგული ხელქვეითები, რომლებმაც „თავი გამოიჩინეს“ აჯანყების ჩაქრობაში და ისინი დააჯილდოვა.

ამრიგად, სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მარცხით დამთავრდა, ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა აჯანყების მოთავეებს. ეს იყო გლეხთა სტიქიური აჯანყება, რომელსაც არავითარი წინასწარ-შემუშავებული სტრატეგიული გეგმა არ გააჩნდა. აღნიშნულის მიუხედავად, სვანეთის გლეხთა ამ აჯანყებას ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი მიმართული იყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ*.

§ 6. კახეთის გლეხთა 1878 წლის შეიარაღებული აჯანყება

1864 წლის რეფორმის განხორციელების შედეგად კახეთის სოფლის მშრომელები, იმერეთ-სამეგრელოსა და სვანეთის გლეხობის მსგავსად, აუტანელ პირობებში ჩავარდნენ. სახნავ-სათესი ძიწების დიდი ნაწილი მემამულეებმა დაისაკუთრეს, გლეხები კი ფაქტიურად კვლავ ბატონყმურ პირობებში დარჩნენ. მაგალითად, სოფელ ვეჯინში ერთ დესეტინაზე ნაკლები სახნავი მიწა 147 დროებითვალდებულ საგლეხო კომლს ანუ ამ სოფელში მცხოვრებთა 38 პროცენტს ჰქონდა, ერთ დესეტინაზე ნაკლები — 71 კომლს, ანუ 18 პროცენტს, ხოლო სხვასთან ერთად (საზიაროდ) ამუშავებდა მიწას — 171 კომლი, ანუ 44 პროცენტი[138].

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ის გარემოება, რომ მათ უმრავლესობას არ ჰყავ-

---

* 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს ადგილი ჰქონდა აფხაზეთის გლეხთა ანტიცარისტულ გამოსვლას. ამ აჯანყების ხასიათი მსვლელობა და შედეგი გაშუქებულია გ. ძიძარიას და შ. მეგრელიძის ნაშრომებში. წინამდებარე წიგნში კ მან, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ასახვა ვერ ჰპოვა. (იხ. Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России и его историческое значения, Сух. 1960, стр., 222—223; Очерки истории Абхазской АССР, т. I, стр. 216., Ш. Мегрелидзе, Вопросы Зак. в истории Русско-Турецкой войны в 1877—1878 гг. Тб., 1969.

[138] გ. ხაჯაპურიძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკ., 1932, გვ. 141.

და მუშა საქონელი. მივმართოთ კვლავ ფაქტებს: სიღნაღის მაზრაში ისეთი გლეხური მეურნეობის რიცხვი, რომლებსაც სულ არ მოეპოვებოდათ საერთოდ საქონელი მთელი მოსახლეობის 41,2%-ს უდრიდა, ხოლო მათი რაოდენობა, რომლებსაც გამწევი ანუ მუშა საქონელი არ ჰყავდათ 48,6%-ს; ამასთანავე, მაზრის მთელი მუშა და არამუშა საქონლის 39% თავმოყრილი იყო ერთი მუჯა შეძლებული გლეხობის — კულაკობის ხელში, რომელიც მოსახლეობის საერთო რაოდენობის ბოლოდ 6,1%-ს შეადგენდა[139].

მშრომელი გლეხობის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია 1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა. არმიაში გაწვეულთა უმრავლესობა სოფლის მშრომელები იყვნენ, რომლებიც მოწყდნენ მშობლიურ კერას, ოჯახს. ომმა გამოიწვია კოლოსალური ხარჯები, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ხალხთა ფართო მასებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ თურქეთთან ომი რუსეთს 1.020.570.498 მანეთი დაუჯდა. ომში მშრომელი მოსახლეობის გაწვევამ, საფინანსო სიძნელეებმა, ფასების ზრდამ, სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი გახადა, რამაც თავისი ასახვა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ახალ აღმავლობაში ჰოვა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველო ერთ-ერთ საომარ ასპარეზად გადაიქცა. ამ გარემოებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ქვეყნის სახალხო მეურნეობას. როგორც ცნობილია, კავკასიის ფრონტებზე წარმოებული ბრძოლების სიმძიმე ჩაგრულთა უფართოეს მასებს დააწვა. გარდა იმისა, რომ ათასობით ქართველი მოლაშქრე რუსი მეომრების მხარდამხარ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ღვრიდა სისხლს, ზურგში მყოფი ქართველი მშრომელები მთელი შესაძლებლობით ეხმარებოდნენ რუს-ქართველთა ჯარებს საომარი წარმატების მოპოვებაში. ხელისუფლების განკარგულებით მოქმედი არმიის საჭიროებისათვის პროდუქტებისა და საჭურვლის გადასაზიდად, გზების შესაკეთებლად და სხვა სამუშაოთა შესასრულებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასობით გლეხი გამოდიოდა.

გარდა ომით გამოწვეული სიძნელეებისა, კახეთის გლეხობას მოსვენება არ ჰქონდა თურქების მიერ წაქეზებული ჭარ-ბელაქნელი ლეკების შემოსევითაც, მათი გამუდმებული თავდასხმებისაგან შევიწროებულ გლეხობას საშუალება არ ჰქონდა საკუთარ მეურნეობაზე ეზრუნა. სიღნაღზე ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს ლეკები ლაგოდეხში შეჭრილან და მთელი თამბაქოს პლანტაციები გაუნადგურებიათ.

---

139 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკ., 1932, გვ. 142.

XIX საუკუნის 70-იან წლებში კახეთში არსებული ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთებისა და გლეხთა დიფერენციაციის გამო ფართო მასების გაღატაკების შედეგად სოფლად შექმნილ მძიმე მდგომარეობას ზედ ერთვოდა აგრეთვე ვაჭარ-მევახშეებისა და ადგილობრივი მოხელეების თვითნებობა. სხვადასხვა თანამდებობებზე მოკალათებული ჩინოვნიკები, სოფლის მამასახლისები, ჩარჩ-ვაჭრები და მემამულეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გლეხობის ექსპლოატაციაში.

ყოველმხრივ შევიწროებულ კახეთის სოფლებში შიმშილი და სიღატაკე მძვინვარებდა. „ამ უკანასკნელ წლებში შიმშილმა ისეთი გაჭირვება აჩვენა ხალხს, — წერდა „სასოფლო გაზეთის“ კორესპონდენტი, — რომ კარდაკარ მოსიარულე ქიზიყელ მათხოვარ გლეხებს ქალაქის ქუჩებში ხშირად ეხვდებითო“[140].

მიწების ნაკლებობას, ვაჭარ-მევახშეებისა და სოფლის მოხელეების თვითნებობას ემატებოდა აგრეთვე ის მრავალი ბეგარა-ვალდებულებანი, რომელიც კახეთის გლეხობას უნდა გაეღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, 1878 წელს სიღნაღის მაზრაში გლეხთა აჯანყების ცეცხლმა იფეთქა. მართალია, ამ ამბოხებას რუსეთ-თურქეთის ომის დროს გლეხობის ჯარში გაწვევა ედო საფუძვლად, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ქართველი ხალხი თითქოს ამ ომს პროტესტით შეხვდა.

1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს ქართველი ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი თვალსაზრისით უდგებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა ამ ომში და საქართველო კვლავ დაიბრუნებდა უკან თურქეთის მიერ ადრე მიტაცებულ საკუთარ მიწა-წყალს. ამიტომაც იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომმა დიდი პატრიოტული მოძრაობა გამოიწვია ქართველ ხალხში. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: თურქეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ჯარში გაწვევა 1876 წლის დეკემბერში დაიწყო. მობილიზაციის პირველ დღეს ნაცვლად ათასი კაცისა, გასაწვევ პუნქტში სამი ათასი მოხალისე გამოცხადდა[141].

მთელ ქართველ ხალხთან ერთად, რუსეთ-თურქეთის ომს აქტიურად გამოეხმაურა კახეთის მოსახლეობაც. 1877 წლის 19 აპრილს კახეთის თავად-აზნაურობა სიღნაღის მაზრის სოფელ ველისციხეში შეკრებილა. 24 აპრილს მათ გამოუტანიათ ბაირაღები და დიდძალი ხალხის თანდასწრებით პარაკლისი გადაუხდიათ.

პარაკლისზე პატრიოტული სიტყვა წარმოუთქვამს მღვდელ სამსონ

---

140 „სასოფლო გაზეთი“, 1875, № 2.

141 И. Макаев, Историческая записка I. Гурийское дружини ввонни 1877—1878 гг., Тиф., 1913, стр.8.

კოპაძეს. მას განუცხადებია: „დღეს რუსეთს ებრძვის ის მტერი, რომელიც სწოვდა საქართველოს სისხლს, ეს ეს მტერია. რომელიც სთესავდა ღვარძლსა და შუღლს შვილსა და მამას შუა, ძმებსა და მეზობლებს შუა, მეფეთა და ყმათა შუა... ეს ის მტერია, რომლის ხელშიც ღღესაც კვნესის ძველი ერუშეთი, აჭარა თავისი ქართველებით, დარწმუნებული ვარ ჩვენი ქართველი კაცი მათი დახსნისათვის თავს შესწირავს და არ დაიშურებს თავისი სისხლის დანთხევას"[142].

კოპაძის ეს სიტყვები აშკარად გამოხატავს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ამ ომისადმი. და თუ მაინც ამ პერიოდში გლეხთა აჯანყებას ჰქონდა ადგილი, ეს მიმართული იყო არა ომში მონაწილეობის, არამედ ჯარში გაწვევის იმ ახალი წესების წინააღმდეგ, რომელიც ხალხისათვის სრულიად უცხო იყო. „გვითხარით რამდენ კაცს ითხოვთ ჩვენგან და მზად ვართ მოგცეთ ორჯერ და სამჯერ მეტიც, თანაც სულ დარჩეული ბიჭები, მაგრამ არა კენჭისყრით"[143], — გაიძახოდნენ გლეხები. უფრო მეტიც, ისინი სამაზრო ხელისუფლებას თხოვდნენ: „მოგვეცით საშუალება ავიღოთ მოსავალი, შევძლოთ გადასახადების დაფარვა და შემდეგ არამცთუ გამოვიყვანთ ჩვენს ურმებს სამუშაოდ, არამედ სათითაოდ წავალთ სამშობლოსა და მეფის დასაცავად"[144].

მთელი კახეთის გლეხობა ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა ერთხმად გაიძახოდა: „ჩვენ მზადა ვართ ვემსახუროთ მეფეს, ყველა თანახმაა გავყვეთ თქვენ მიერ ნაჩვენებ გზას, მაგრამ კენჭისყრით მილიციონერებს ვერ მოგცემთ... ვიმსახურებთ ისე, როგორც მსახურობდნენ ჩვენი მამები და პაპები"[145].

ამრიგად, კახეთის გლეხობა წინააღმდეგი იყო არა რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობისა, არამედ იმ უსამართლობისა, რომელსაც მეფის მოხელეები ჯარში გაწვევის მიზეზებით სჩადიოდნენ. მათი თვალთმაქცობა განსაკუთრებით აშკარა გახდა 1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით სახალხო რაზმეულების ფორმირება დაიწყო. გლეხები ხედავდნენ, რომ მეფის მოხელეებს უნდოდათ ჯარში გაწვევა თავიანთი საკუთარი ხელის მოსათბობად გამოეყენებინათ: „ჩვენ, — აცხადებდნენ ისინი, — ღარიბები ვართ, ამიტომ ვერ შევძელით მიგვეცა ქრთამი პოლიციისა და სოფლის თანამდებობის პირთათვის, ამი-

---

[142] „იერია", 1877, № 11.
[143] გაზ. „დროება", 1878, № 14.
[144] გაზ. „ობზორი", 1878, № 32.
[145] ი ქ ვ ე.

ტომ წაგვართვეს ურემი, ხარი, კამეჩები. ეხლაც თხოულობენ, რომ წავიდეთ სალაშქროდ, მდიდრები კი, რომლებმაც მოახერხეს ქრთამის გაღება, გაანთავისუფლეს, როგორც ურმების გაყვანისა, აგრეთვე სამხედრო ბეგარისაგან"[146].

სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, სატრანსპორტო საშუალებათა გაუთავებელი დაბეგვრა, სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ხელისუფალთა შეუზღუდველი თვითნებობა — აი რამ აიძულა ქიზიყის (ისედაც აუტანელ ეკონომიურ გაჭირვებაში ჩავარნდილი) მოსახლეობა იარაღი აეღოთ ხელში[147].

სანამ უშუალოდ კახეთის გლეხთა მოძრაობის ისტორიაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ გლეხთა რომელი კატეგორია მონაწილეობდა მასში და ვის წინააღმდეგ იყო იგი მიმართული.

მართალია, დღემდე ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები კახეთის დროებითვალდებულ გლეხების ამ აჯანყებაში მონაწილეობაზე ერთი შეხედვით თითქმის არაფერს გვამცნობენ, მაგრამ მათი გულდასმით შესწავლა-გაანალიზების შედეგად ზოგიერთი საკითხის გარკვევა მაინც შესაძლებელი ხდება.

1. აჯანყებული გლეხები აცხადებდნენ: მემამულეებს არ მივცემთ ღალაში მოსავლის მეოთხედსო. როგორც ცნობილია, სახელმწიფო გლეხებს მემამულეების წინაშე არავითარი ვალდებულება არ ჰქონდათ დაკისრებული. ამიტომ, ბუნებრივია, ზემოაღნიშნული პროტესტი მხოლოდ დროებითვალდებულ გლეხებს შეეძლოთ გამოეთქვათ.

2. აჯანყებული გლეხები არბევდნენ ზოგიერთი მემამულის სახლკარს, ემუქრებოდნენ თავადაზნაურობას და სხვ.[148]. სახელმწიფო გლეხები ნაკლებად დაუპირისპირდებოდნენ თავადაზნაურობას. მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლას და მათ მიმართ ანგარიშის გასწორებას, პირველ რიგში, დროებითვალდებული გლეხები შეეცდებოდნენ.

3. საარქივო მასალები მოწმობს, რომ აჯანყება ძირითადად მოედო კახეთის 6 სოფელს: ანაგას, ბოდბისხევს, ვაქირს, ბაკურციხეს, ზემო და ქვემო მაჩხაანს, სადაც სულ 2253 კომლი სახელმწიფო გლეხი ცხოვრობდა, ფაქტიურად კი ვიცით, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 5000 კომლმა. რაც ერთი-ორად და უფრო მეტად აღემატება ამ სოფლებში დასახლებულ სახელმწიფო გლეხთა საერთო რაოდენობას. ვფიქრობთ,

---

[146] „ივერია", 1878, № 23.

[147] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა , ვ. გ უ ჩ უ ა , საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1967, გვ. 118—119.

[148] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

დანარჩენ ნაწილს, რაც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა (დაახლოებით 50%) დროებითვალდებული გლეხები შეადგენდნენ.

4. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საარქივო საბუთებში მოხსენებულ ზემოთ აღნიშნულ 6 სოფელში მხოლოდ სახელმწიფო გლეხები ცხოვრობდნენ, ცხადია, 1878 წლის აჯანყებაში მონაწილეობა უნდა მიეღო სხვა სოფლებსაც, რომლებიც დასახლებული იყვნენ დროებითვალდებული გლეხებით.

5. მაშინ, როდესაც აჯანყებული გლეხები თავს დაესხნენ ვაჩნაძის სახლს და ალყა შემოარტყეს მას, თვით სახლის პატრონი მიიჩნიეს თავად-აზნაურობის წინამძღოლად და სცემეს. თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიმართ ასეთი სიძულვილისა და შურისძიების გრძნობის გამომჟღავნება ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო იმ კატეგორიის გლეხებისაგან, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ მემამულეებთან და მათთან მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდნენ. ვფიქრობთ, ანგარიშის გასასწორებლად ასეთი ნაბიჯის გადადგმა, პირველ რიგში, დროებითვალდებულ გლეხებს შეეძლოთ.

ყოველივე ამის შემდეგ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც სახელმწიფო, ისე დროებითვალდებული გლეხები. ისინი ერთობლივად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გლეხთა ეს აჯანყება მიმართული იყო როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მამასახლისებისა და ვაჭარ-მევახშეების, ისე მემამულეების წინააღმდეგ.

მართალია, აჯანყების საბაბად ჯარში გაწვევის საკითხი გახდა, მაგრამ მის საფუძველს ძირითადად სოციალური უსამართლობა წარმოადგენდა. აჯანყების მეორე ეტაპზე გლეხობის მიერ ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება უმალვე მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზარდა.

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის 1878 წლის გლეხთა აჯანყების საბაბი კავკასიის ხელისუფლების ის განკარგულება გახდა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად სიღნაღის მაზრიდან ახალგაზრდობის მილიციაში გაწვევა უნდა მომხდარიყო. ამ განკარგულებით მილიციაში გაწვევა ხდებოდა არა ძველებური წესით, როდესაც სოფლის საზოგადოება თავისი შეხედულებით არჩევდა მილიციაში გასაწვევ პირებს, არამედ კენჭისყრით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ცენტრალურ გუბერნიაში მოსახლეობის ჯარისკაცებად გაწვევის დროს; იკრძალებოდა დაქირავებით შემცვლელის გაგზავნა. აღნიშნული განკარგულების სისრულეში მოყვანის მიზნით სიღნაღის მაზრის

უფროსმა ტიზენჰაუზენმა დაავალა სოფლის მამასახლისებს, რომ შედგომოდნენ 19 — 30 წლის მამაკაცთა სიების შედგენას.

მილიციაში გაწვევის მზადებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გავრცელდა ხმები თითქოს მთავრობას ახალგაზრდები მილიციაში კი არ მიჰყავდა, არამედ ჯარში. ასეთ ხმებს განსაკუთრებით სარწმუნოს ხდიდა ის გარემოება, რომ მილიციაში გაწვეულს ტანსაცმელი სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა. ასეთი წესი კი იმ დროს, მარტო ჯარში არსებობდა.

რადგანაც მაშინ საქართველოში სამხედრო ბეგარა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, ხმების გავრცელებამ ახალგაზრდობის „სალდათებად" გაწვევის შესახებ, ძლიერ ააღელვა ქიზიყის მოსახლეობა.

კახეთის გლეხობამ კარგად იცოდა რას ნიშნავდა 6-წლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური. იგი შიშის ზარს სცემდა მათ. ადგილობრივმა ვაჭრებმა მილიციაში გაწვევის საკითხი პროვოკაციულად გამოიყენეს და შეეცადნენ გაავრცელებინათ ხმები, თითქოს ეს სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღებას ნიშნავდა. ამით მათ უნდოდათ უკმაყოფილება გამოეწვიათ კახელ გლეხებში, გაეღვიძებინათ მათში აჯანყების ცეცხლი, რათა ხელისუფლება იძულებული გამხდარიყო გაეუქმებინა განკარგულება მილიციაში გაწვევაზე. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ სიღნაღელი ჩარჩ-ვაჭრებიც განთავისუფლდებოდნენ ამ მობილიზაციისაგან. ამრიგად, მათ სურდათ გლეხები გამოეყენებინათ, როგორც ბრმა იარაღი.

1878 წლის მაისის ბოლოს სიღნაღის მაზრის გლეხებმა — ქვემო და ზემო მაჩხაანში, ანაგაში, ვაქირში, კარდანახში, ბაკურციხეში და სხვა სოფლებში მუშაობას თავი მიანებეს და ჯგუფ-ჯგუფად შეკრება დაიწყეს. მათ ერთხმად დაადგინეს, რომ არ გაეშვათ თანასოფლელები „სალდათებად".

მილიციაში გასაწვევთა კენჭისყრა დანიშნული იყო 5 ივნისისათვის. წინა დღეს გლეხები სოფელ ზემო მაჩხაანში შეიკრიბნენ. მათ გამოიძახეს სოფლის მამასახლისი ბოსტოღანაშვილი და მილიციაში გასაწვევთა სიები მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით დაემუქრნენ. შეშინებულმა მამასახლისმა განაცხადა, რომ მასთან მხოლოდ სიების ასლი ინახებოდა, რაც შეეხება დედანს, იგი მაზრის უფროსს აქვსო ჩაბარებული. ასეთმა პასუხმა აღაშფოთა გლეხები. ისინი მამასახლისს მისცვივდნენ და სცემეს[149].

მაჩხაანის გლეხთა მღელვარების ამბავი მალე ცნობილი გახდა

---

[149] გაზ. „ივერია", 1878, № 46.

მაზრის უფროსისათვის. ამ უკანასკნელმა გლეხების დასამშვიდებლად აჯანყებულ სოფელში ჩაფრების თანხლებით სიღნაღის ბოქაულის თანაშემწე ჯანშიევი გაგზავნა. იგი ადგილზე მისვლისთანავე შეეცადა ზემოქმედება მოეხდინა გლეხებზე. ტკბილსა და მუქარის სიტყვებს არ იშურებდა, მაგრამ ამ გზით მაინც ვერ შეძლო ხალხის დაწყნარება. მის დაპირებებს გლეხები უნდობლად მოეკიდნენ. მღელვარებამ იმატა. მოთმინებიდან გამოსული გლეხები მტკიცედ აცხადებდნენ: „არ მოგცემთ მილიციონერებს სალდათებათო"[150].

მაჩხაანის გლეხთა მოძრაობას პირველი სოფელ საქობოს გლეხობა გამოეხმაურა. მათ 40-მდე წარმომადგენელი გაგზავნეს ბოდბისხევში და გლეხებს მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ ამ ბრძოლაში. თავშეყრის ადგილად სოფელი ანაგა აირჩიეს და გადაწყვიტეს შეერთებული ძალით წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობისათვის, ჯანშიევი სიღნაღში გაწბილებული დაბრუნდა. მან შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ აცნობა ტიზენჰაუზენს. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რომ კენჭისყრა სამხედრო ძალის დახმარებით ჩაეტარებინა. მაზრის უფროსს თავის განკარგულებაში ჩაფრებს გარდა სხვა ძალა არ ჰყავდა. მან საჭიროდ ჩათვალა ალაზნის ჯარების სარდლის გენერალ-მაიორ სოსიკო ორბელიანისათვის კაზაკთა რაზმი ეთხოვა. ეს უკანასკნელი კი ამ დროს სტუმრად თავად რევაზ ვაჩნაძესთან იმყოფებოდა, ბაკურციხეში. ტიზენჰაუზენმა გადაწყვიტა პირადად ბლებოდა გენერალს მოსალაპარაკებლად.

სიღნაღიდან ბაკურციხემდე ათი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა შემდეგი სოფლები — ვაქირი, ანაგა და კარდანახი. ტიზენჰაუზენს აშინებდა გლეხთა მოძრაობის სწრაფი ზრდა, მან გადაწყვიტა შეემოწმებინა სამშვიდობო იყო თუ არა დანიშნულ ადგილამდე მისასვლელი გზა.

5 ივნისს, დილაადრიან თარჯიმნის, ჩაფრისა და თავად ლევან ანდრონიკაშვილის თანხლებით ტიზენჰაუზენი გზას გაუდგა. მოულოდნელად სოფელ ანაგასთან მას ვაქირელმა, მაჩხაანელმა და საქობოელმა გლეხებმა გზა გადაუღობეს და განუცხადეს: „სალდათებს წილის ყრით არ მოგცემთო, მაგრამ თუ ხელმწიფე ბრძანებს, ყველანი გამოვალთ სამშობლოს დასაცავად"[151]. მაზრის უფროსი ყოველმხრივ შეეცადა დაემშვიდებინა გლეხები. იგი მათ არწმუნებდა, რომ გაწვევა ხდებოდა მილიციაში და არა ჯარში, ხოლო რაც შეეხება კენჭისყრას, ეს თითქოს

---

[150] გაზ. „ივერია", 1878, № 46.
[151] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, дел. 111, л. 4.

მათ სასარგებლოდ კეთდებოდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მამასახლისების ბოროტმოქმედება[152]. მაზრის უფროსის რჩევამ თავდაპირველად თითქოს გაჭრა, მაგრამ ამ დროს გაისმა დედაკაცების ყვირილი: „არ შეიძლება, არ მოგცემთ სალდათებს"[153]. გლეხების ერთმა ნაწილმა პირდაპირ მაზრის უფროსისაკენ წაიწია და მილიციაში გასაწვევთა სიები მოსთხოვა. მაზრის უფროსის დაცვას მამასახლისი მჭედლიშვილი შეეცადა. გლეხები ახლა მას მივარდნენ, ააძვრეს კისერზე ჩამოკიდებული თანამდებობის აღმნიშვნელი ჯვარი და სცემეს. ამით ისარგებლა ტიზენჰაუზენმა და ეტლით ბაკურციხისაკენ გაიქცა.

მაზრის უფროსი პირდაპირ ვაჩნაძის სახლს მიადგა. აქ სტუმრად იმყოფებოდნენ: გენერალი ს. ორბელიანი, პოლკოვნიკი კოლაკუცკი, ინჟინერი ლუკრეცკი, მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწეები: ხოსროევი და დრაგომირეცკი, თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე გუდიმ ლევოვიჩი და გენერალ-მაიორი კურილო[154].

გაქცეულ ტიზენჰაუზენს ვაჩნაძის სახლამდის კვალდაკვალ მიჰყვა 5000-მდე აჯანყებული. ტიზენჰაუზენი და გენერალი ორბელიანი შეთანხმდნენ, თუქურმიშაში დაბანაკებული ჯარიდან 100 კაზაკი გამოეძახათ გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გენერალმა ორბელიანმა ვაჩნაძის მზარეულს ლეონტი ქადანიძეს დეპეშა გაატანა სიღნაღში მმართველობისათვის გადასაცემად, მაგრამ შიკრიკი აჯანყებულებმა შეიპყრეს და დეპეშა ჩამოართვეს[155].

ტიზენჰაუზენისა და გენერალ ორბელიანის საქციელმა კიდევ უფრო აღაშფოთა გლეხობა. ისინი კეტებითა და ხანჯლებით შეიარაღებული შეიჭრნენ ვაჩნაძეების სახლში. მათ რევაზ ვაჩნაძე, თავადი ილია აბხაზი, მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე ხოსროევი გადაეღობნენ წინ და წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ, მაგრამ ამაოდ. გლეხები თავისას არ იშლიდნენ. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ: „მოგვეცით მაზრის ნაჩალნიკი, ჯანშიევი, თომაშვილი და სხვანი; ვითომ ჩვენ- არ ვიცით, რომ კომისიაში ეს პირები არიან დანიშნულები? ჩვენ გვყვლე-

---

[152] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, дел., III, л. 9.

[153] ი ქ ვ ე.

[154] ი ქ ვ ე.

[155] ი. ავაზაშვილი, კახეთი 1830—70-იან წლებში და გლეხთა აჯანყება ქიზიყში 1878წ., საკანდიდატო დისერტაცია, თსუ, 1953, გვ. 235., იხ. მისივე 1878 წლის ქიზიყის გლეხთა აჯანყების საკითხისათვის (საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეც. განყოფილების „მოამბე" № 5 1963 წ. გვ. 112—113).

ფენ, გვძარცვავენ ისინი. მოგვეცით სიები, წილის ყრით არ მოგცემთ მილიციელებს"[156].

საქმე თანდათან გართულდა. ბოლოს და ბოლოს გენერალი ორბელიანი იძულებული გახდა განემარტა აჯანყებულთათვის, რომ მილიციაში გაწვევა მეფისნაცვლის განკარგულებით ხდებოდა და თუ მათ რაიმე პრეტენზიები გააჩნდათ, მისთვის მიემართათ. ასეთი რჩევა-დარიგების მიუხედავად გლეხები მაინც არ დაშლილან. ისინი სულ უფრო და უფრო მტკიცედ გაჰყვიროდნენ: „ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვემსახურებით ხელმწიფეს, ყველგან წავალთ, სადაც წაგვიყვანენ, მაგრამ წილის ყრით მილიციელების არჩევა კი არ გვინდა"[157]. გულზე მიხუტებული ჩვილბავშვიანი ქალები გაიძახოდნენ: „სად არის სამართალი, ამდენი მოთმინება აღარ შეიძლება, ერთხელ გაჩენილები ერთხელ უნდა დავიხოცოთ. ესენიც (პატარა ბავშვები) კი არიან ჩაწერილნი, მაგრამ ესენი აბა რა სალდათები იქნებიანო; ცოცხალი თავით მილიციას სალდათებს არ მივცემთო"[158].

ამ აჯანყებაში ქალებმა დიდი როლი შეასრულეს. ისინი არ ეპუებოდნენ მეფის მოხელეებს. მაშინ როდესაც გენერალ ორბელიანის რჩევამ თითქმის გაჭრა და ხალხი დაშლას აპირებდა, ამ დროს ქალები მამაკაცებს მიუბრუნდნენ და შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „თქვენ რა კაცები ხართ, მოიხადეთ თქვენი ქუდები და მოგვეცით ჩვენ, დედაკაცებს"[159]. მარტო ამას როდი დასჯერდნენ — ტანსაცმელი შემოიხიეს და ვაჩნაძის სახლის ფანჯრებს ქვები დაუშინეს. ბოლოს ერთმა ქალმა ნიშანი მისცა და ხალხი იმ ოთახში შეცვივდა, სადაც მაზრის უფროსი ტიზენჰაუზენი იმყოფებოდა და მილიციაში გასაწვევთა სიების წართმევას შეეცადა.

მაზრის უფროსმა გადაწყვიტა ტკბილი სიტყვით, დაეწყნარებინა აჯანყებული გლეხები, იგი არწმუნებდა მათ: ეს საქმე ჩემს ხელთ არის, შემიძლია სულ მოვსპო. თქვენივე ხელით ქაღალდს გავგზავნი მაზრის სამმართველოში, იქ ჩემი თანაშემწეა და ნამდვილ სიებს უკან დაგიბრუნებთო[160]. აჯანყებულებმა თითქოს დაუჯერეს ტიზენჰაუზენს, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთმა ქალმა დაიძახა: „...ეს ცვატყუებს, უნდა გაგვეპაროსო". მაშინ ხალხი მიუხტა ტიზენჰაუზენს, გამოგლიჯეს ქაღალდი და განაცხადეს — ეს კი არ გვინდა, თვით სიები მო-

---

156 ი. ა ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ი. კახეთი 1830 — 70-იან წლებში და გლეხთა აჯანყება ქიზიყში 1878წ., საკანდიდატო დისერტაცია, თსუ, 1953, გვ., 236;

157 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

158 ი ქ ვ ე , გვ. 23.

159 ი ქ ვ ე .

160 გაზ. „დროება", 1879 წ., № 10.

გვეცინო. ამის შემდეგ აჯანყებულნი ორბელიანის პორტფელს მივარდნენ, როცა იქაც ვერაფერი იპოვეს, მაზრის უფროსი ეზოში ჩაიყვანეს და ცემა დაუწყეს. ტიზენჰაუზენი აჯანყებულებს ეხვეწებოდა: სიღნაღში წამიყვანეთ და ჩემის ხელით მოგცემთ სიებსო. მისი ხვეწნა-მუდარა შეისმინეს და გლეხების ერთმა ჯგუფმა იგი სიღნაღში წაიყვანა[161].

ამჯერად მშვიდობით გადარჩენილ მაზრის უფროსს გლეხებისათვის მიცემული პირობის შესრულებაზე არც კი უფიქრია, მან სასწრაფოდ აცნობა გუბერნიის ხელმძღვანელობას მაზრაში დაწყებული მღელვარება და დახმარება სთხოვა მას.

აჯანყებულთა მეორე ჯგუფმა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს იასაშვილს (ანდრონიკაშვილს) დაუწყო ძებნა. ამ დროს მათ წინ შემოხვდათ გენერალი ორბელიანი, ეს არის ჩვენი დამღუპველიო[162] შესძახეს გლეხებმა და საცემად მისცვივდნენ. ჩანს, აჯანყებულებს გენერალი ორბელიანი შეცდომით მაზრის მარშალ ზაქარია ანდრონიკაშვილი ეგონათ, რომელზედაც ხალხი უკიდურესად იყო აღშფოთებული. ვაჩნაძის სახლის დარბევის შემდეგ თავიანთ სოფლებში დაბრუნებულმა გლეხებმა, ხელი მიჰყვეს მამასახლისების, ვაჭრებისა და სხვათა დასჯას. ისინი სოფელ კარდანახში თავს დაესხნენ მამასახლის—გიორგი სამადაშვილის სახლს, ჩაულეწეს ფანჯრის მინები, გადახადეს სახურავი და კრამიტები დაამტვრიეს.

ასე მოიქცნენ გლეხები სხვა სოფლებშიც; მათ მთლიანად დაუნგრიეს სახლი აგრეთვე ანაგის მამასახლისს სისონა მჭედლიშვილს, წაიღეს ყველაფერი რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. დაარბიეს სანდრო ჭრელაშვილის დუქანი, რომელსაც მილიციაში გასაწვევთა სიების შედგენა ბრალდებოდა; გაძარცვეს ვაჭირის მამასახლისის მოსე ათაბეგოვისა და საქობის მამასახლისის დიმიტრი ფხოველაშვილის სახლები და ა. შ.

ამით დამთავრდა სიღნაღის მაზრის სოფლებში 1878 წლის 5 ივნისის გლეხთა აჯანყებით გამოწვეული ამბები.

როგორც კი მიიღო ცნობა კახეთში გლეხთა მოძრაობის დაწყების შესახებ, თბილისის გუბერნატორი შეიარაღებული რაზმით მაშინვე სიღნაღისაკენ გაემგზავრა, ადგილზე ჩასვლისთანავე მან განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ აჯანყების მოთავეები. მართლაც, შეპყრობილ იქნა რამდენიმე ათეული კაცი.

კახეთის გლეხთა მოძრაობა ფართოდ გახმაურდა. მისი დაფარვა შეუძლებელი შეიქმნა. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადა-

---

[161] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, дело 111, лл. 3—4.

[162] გაზ. „დროება", 1879, № 10.

წყვეტა ყოველივე მოეხსენებინათ პირადად იმპერატორისათვის. კახეთის გლეხთა აჯანყება სერიოზულ მოვლენად იქნა მიჩნეული. აღნიშნული გამოსვლების შესახებ მეფისნაცვლის მიერ კავკასიის კომიტეტისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი იმპერატორს წარედგინა. იმავე წლის 28 ივნისს პირველ განყოფილებიდან იტყობინებოდნენ, რომ ეს დოკუმენტი პირადად განიხილა ხელმწიფე იმპერატორმა და სათანადო რეზოლუციით კავკასიის კომიტეტს გადაუგზავნა მასში მოყვანილი ფაქტების დასაზუსტებლად და საგანგებო ზომების მისაღებად.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, იმპერატორს საქმის საბოლოო შესწავლა და გამოკვლევა კავკასიის კომიტეტისათვის დაუვალებია. ამ უკანასკნელს კი იმპერატორის რეზოლუციის შესრულების მიზნით კახეთში კომისია გაუგზავნია სენატორ სტარიცკის მეთაურობით[163].

1878 წლის 4 ივლისს კავკასიის კომიტეტს თავის სხდომაზე კახეთის გლეხთა აჯანყების საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად უნდა გაეხადა, მაგრამ იგი გრაფი იგნატიევის (კომიტეტის თავმჯდომარე) წინადადებით კახეთში გაგზავნილი კომისიის მიერ მასალების ჩამოტანამდე დროებით გადაუდვიათ.

1878 წლის 3 ოქტომბერს სტარიცკის მიერ წარმოდგენილი ვრცელი მოხსენებითი ბარათი[164] განხილულ იქნა კავკასიის კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მარტო თავადაზნაურობა შედიოდა, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ქართველმა ხალხმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ იგი არასოდეს არ გამოსულა მილიციაში გაწვევის წინააღმდეგ. კავკასიის კომიტეტმა, სენატორ სტარიცკის მოხსენების საფუძველზე, მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ „ქართული მილიციის პირველი შეკრება საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, 1877 წელს, თვით საზოგადოების მიერ წარმატებით განხორციელდა"[165].

ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია კახეთის გლეხებისათვის, ნაწილობრივ მაინც ეღიარებინა ამ აჯანყების ობიექტური მიზეზები და თავის დადგენილებაში აღენიშნა: „კომიტეტს არ შეუძლია არ გამოთქვას მწუხარება იმის გამო, რომ კენჭისყრის წესების შემოღება, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად გლეხთა ამ აჯანყების მთავარი მიზეზი გახდა. კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მისი აღმატებულების კავკასიის ჯარების მთა-

---

[163] ЦГИАЛ, ф. 1208, оп. 23, дел. 22, л. 8.
[164] იქვე.
[165] იქვე, ფურც. 9.

ეარსარდლობის ყურადღება მიიქციოს, ზემოაღნიშნულ გარემოებაზე. ამავე დროს იგი მიზანშეწონილად თელის, რომ იმ პირებს, ვინც მიცემულნი არიან პასუხისგებაში, შესაძლებლობის ფარგლებში მიეცეთ შეწყნარება"[166].

კომიტეტის სხდომის ამ ჩანაწერს 13 ოქტომბრის თარიღით თვით იმპერატორის ხელით მიწერილი აქვს რეზოლუცია: „აღსრულდეს"[167]

კახეთის 1878 წლის აჯანყების მოთავეებად ცნობილი იქნა 22 კაცი, რომლებიც ხელისუფლებამ მაშინვე დააპატიმრა. ამ 22 კაცში შედიოდნენ: სოფელ ანაგიდან—დიმიტრი გიორგის ძე კუდაშვილი, თომა სიმონის ძე მირიანაშვილი, გეგენა გიორგის ძე ალხანაშვილი, ილია სიმონის ძე ნალბანდიშვილი, ილია დავითის ძე მჭედლიშვილი, ილია ზაქარიას ძე ნალბანდიშვილი და სესია სიმონის ძე მეკუდიშვილი, სოფ. ვაქირიდან იასე ზაქარიას ძე ნარეკლიშვილი, გეგენა დავითის ძე სვიმონიშვილი, გაბრო მიხეილის ძე კასხიძე, ილია სოლომონის ძე კვირიკაშვილი, მელანია იოსების ასული ხელაშვილი, კეკე ლაზარეს ასული დავითაშვილი; სოფ. კარდანახიდან—საბედა აბრამის ასული გულხადარიშვილი, გიორგი თევდორეს ძე შიოშვილი; სოფ. მაშნაარიდან—ჯანდიერ ნინიას ძე სიფრაშვილი; სოფ. საქობოდან — ივანე ლონგინოზის ძე ბაყაშვილი, ილია მირიანაშვილი, გეგენა დარჩიაშვილი, გეგენა სვიმონიშვილი, ზაზიკა გონებაშვილი, გიორგი შიოშვილი და სხვები. მათ საბრალმდებლო დასკვნაში ვკითხულობთ: „ისინი ძალადობის მაგალითს უჩვენებდნენ სხვებს, პირველნი შეცვივდნენ თავად ვაჩნაძის სახლში სოფ. ბაკურციხეში და სცემეს როგორც მაზრის უფროსს, აგრეთვე სხვა პირებს"[168].

კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით აღნიშნული საქმე განსახილველად სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა.

ამრიგად, პეტერბურგის სამეფო კარზე სიღნაღის გლეხთა აჯანყებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია. საქმეში ჩაერივნენ იუსტიციისა და სამხედრო მინისტრები, კავკასიის კომიტეტი, გენერალ-გუბერნატორი და სხვ.

ხელისუფლებამ, რომლისთვისაც გლეხთა ინტერესების დაცვა სრულიად უცხო იყო, თითქოს ანგარიში გაუწია ქვეყნად შექმნილ მდგომარეობას და ერთი შეხედვით ვითომც ლმობიერება გამოიჩინა

---

[166] ЦГИАЛ. ф. 1206, оп. 23. д. 22, л. 8.
[167] იქვე.
[168] იქვე, ფურც. 18.

მთავარ დამნაშავეთა მიმართ. მოვლენათა მსვლელობამ დაგვანახა, რომ ყოველივე ეს აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აი რას სწერდა (1878 წლის 9 ოქტომბერს) მეფისნაცვალი მიხეილი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს: „გთხოვთ დეპეშით შემატყობინოთ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო კომიტეტმა სიღნაღის არეულობასთან დაკავშირებით". ერთი დღის შემდეგ, 10 ოქტომბრით დათარიღებულ დეპეშაში, თავის მხრივ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე გრაფი იგნატიევი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა: „საქმე სიღნაღის არეულობის შესახებ განხილულ იქნა კავკასიის კომიტეტში. კომიტეტის დავალებით ეხლა თქვენ გეძლევათ უფლება აჯანყების მონაწილე პასუხისგებაში მიცემულთა მიმართ აღძრათ შეწყნარება"[169].

1878 წლის ნოემბერში მეფისნაცვალი თხოვნით მიმართავს იმპერატორს: „პასუხისგებაში მიცემული გლეხები თხოულობენ შეწყნარებას, აღნიშნავენ ცოლების, დედებისა და შვილების მძიმე მდგომარეობას და დებენ ფიცს, რომ იქნებიან თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უერთგულესნი.

ჩემი მხრივ უნდა მოგახსენოთ, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირთა დანაშაული არ აღემატება მდელ იმ მოსახლეობის დანაშაულს, რომლებიც ამ არეულობაში მონაწილეობდნენ. ეს იყო შედეგი არა წინასწარ მოფიქრებული, გამიზნული მოქმედებისა, არამედ უბედური შემთხვევისა, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო ომისდროინდელი სიძნელეებით, განსაკუთრებით კი იმ დიდი გავლენით, რომელიც გლეხებზე ცოლებმა და დედებმა იქონია... რადგანაც აშინებდათ მათ ქმრებისა და შვილების მილიციაში წაყვანა"[170]. შემდეგ მთავარმართებელი მოითხოვდა, დამნაშავე გლეხებისათვის სასჯელის შემსუბუქებას:" თუ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ინებებს სასამართლოში მიცემულ პირთა შეწყნარებას, ხომ არ იქნებოდა უკეთესი, ამის შესახებ თქვენი მოწყალება გლეხებს გამოცხადებოდა ჩემი ქალიშვილის ანასტასია მიხეილის ასულის დაქორწინების დღეს, რადგანაც ეს დღე შემდეგ იქნება ყველასათვის მოსაგონარი თქვენი გულკეთილობისა თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რადგანაც თქვენ მათ აჩუქეთ სიცოცხლე და ბედნიერება"[171].

მეფისნაცვლის ეს შუამდგომლობა აჯანყების მოთავე გლეხთა პატიების შესახებ როგორც იმპერატორს, ისე იუსტიციისა და სამხედრო მინისტრებსაც გაეგზავნათ.

---

[169] ЦГИАЛ, ф. 1206, оп.23, д. 22. л. 8.
[170] იქვე.
[171] იქვე.

ჩვენთვის უცნობია თუ რა შედეგები მოჰყვა გლეხების თხოვნასა და კავკასიის მთავარმართებლის შუამდგომლობას პატიმართა პატიებების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია; ყოველივე ის, რასაც ხელისუფლების ეს ოფიციალური პირები—იმპერატორიდან დაწყებული, გრაფ იგნატიევისა და კავკასიის მეფისნაცვლის ჩათვლით—აკეთებდნენ, აშკარად მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში აჯანყების მოთავეთა დასჯის შემსუბუქებაზე არავინ ფიქრობდა, პირიქით, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ხელისუფლება მათ მკაცრად გაუსწორდა.

პასუხისგებაში მიცემულ 22 კაციდან სასამართლომ დამნაშავედ სცნო 11, აქედან 9 მამაკაცი და ორი ქალი, რომლებსაც 3-დან 15 წლამდე საკატორღო მუშაობა მიესაჯათ.

ამრიგად, კახეთის გლეხთა 1878 წლის აჯანყებას სოციალური ჩაგერა ედო საფუძვლად. ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეების, ჩარჩ-ვაჭრებისა და მემამულეთა თვითნებობა იყო ამ აჯანყების მიზეზი და ამდენად გლეხების აღშფოთებაც მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. რაც შეეხება სამხედრო სამსახურში გაწვევის ახალი წესების შემოღებას იგი წარმოადგენს ერთ-ერთი იმ მომენტთაგანს, რომელმაც დააჩქარა გლეხთა ეს აჯანყება და მისი დაწყების უშუალო საბაბი გახდა. მართალია კახეთის გლეხთა ამ აჯანყებას ფართო მასშტაბი არ მიუღია და იგი ჩქარა იქნა ლიკვიდირებული, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი საყურადღებო მოვლენა იყო. მან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ჩვენში XIX საუკუნის 70-იან წლების მიწურულში რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებასა და გაღრმავებას[172].

---

172 იმავე 1878 წელს გლეხთა საყურადღებო აჯანყებას ჰქონდა ადგილი ახალქალაქის მაზრაში, რომლის საბაბიც ჯარში გაწვევის ახალი წესების შემოღება გახდა. სამწუხაროდ გლეხთა ამ აჯანყებაზე მიკელეული მასალები იმდენად მცირეა, რომ ჯერჯერობით შეიძლება მივუთითოთ მასზე, მხოლოდ, როგორც მომხდარ ისტორიულ ფაქტზე. (იხ. ЦГИАЛ. ф. 1263, оп. 121, дел. 4333. ЛЛ. 468—470)

თავი VI

მემამულეებზე თავდასხმები და გლეხთა ბრძოლის სხვა ფორმები

განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინური ეტაპის მესამე პერიოდში, რომელიც 1881—1895 წლებს მოიცავს, იცვლება გლეხთა მოძრაობის ფორმები. ეს ის პერიოდია, როდესაც ხალხოსნურმა პროპაგანდამ მარცხი განიცადა, შეიცვალა მისი მოქმედების ტაქტიკა. ამ დროს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ დიდი პოტენციალური ძალის მქონე მუშათა კლასი. შემოჭრას და გავრცელებას იწყებს რევოლუციურ-მარქსისტული იდეები, იქმნება სოციალ-დემოკრატიული წრეები; ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პირველმა მარქსისტულმა ორგანიზაციამ—მესამე ღასმა. თანდათან მზადდება პირობები შეგნებული, მიზანდასახული ბრძოლებისათვის.

რევოლუციური სიტუაცია, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა, ვერ გადაიზარდა რევოლუციაში. 1881 წლის მარტში ნაროდოვოლცების მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას სასტიკი და ხანგრძლივი რეაქცია მოჰყვა.

ხელისუფლება ცდილობდა ძირშივე მოესპო გლეხთა თუნდაც მცირედი წინააღმდეგობის ყოველგვარი გამოვლინება. მეფის მოხელეები მახვილით ხელში დაძრწოდნენ. მთელი დატვირთვით მუშაობდა ყველა საიდუმლო სააგენტო. მეფის ხელისუფლება აძლიერებდა რეპრესიებს, შიშის ზარს სცემდა გლეხებს. პატიმრებით აივსო საპყრობილეები, ურჩობაში შემჩნეულნი საკატორღო სამუშაოებზე—ციმბირის ჯურღმულებში გაგზავნეს[1]. ბევრ მათგანზე კი განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესეს[2].

---

[1] სსსა, ფ. 5, საქ. 4252, 4835, 4947, 5715, 5745, 5928, 6338; ფ. 8 საქ. 2329, 2464, 2720, 2941, 2975, 2443; ფ. 26, საქ. 2106, 3973, 3974, 3975 და ა. შ.

[2] ЦГИАЛ, ф. 1405, оп. 530, дел. 12, 33, 51, 55, 60, 65, 68, 69, 93, 117, 227, 451, 459, 641, 649, 642, 648, 730, 731; 760, 781, 801, 832, 833, 887, 911, 912, 936, 937, 957, 958 და ა. შ.

თუ როგორი სისასტიკით მძვინვარებდა რეაქცია, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: 1881 წლისათვის თბილისის გუბერნიაში აღიძრა 21.877 საქმე. ამავე წელს პასუხისგებაში მიცემული იქნა 30.718 კაცი[3], ხოლო 1886 წელს—13. 948, რომელთაგან 8 ათასი კაცი მსხვილ დამნაშავედ უცვნიათ და სანიმუშოდ დაუსჯიათ[4].

ანალოგიური მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაში. აქ 1893 წლის ცნობებით პასუხისგებაში მიცემულთა რაოდენობამ 22. 652 კაცს მიაღწია[5], ეს ფაქტი მრავლისმთქმელია. იგი აშკარად მიგვითითებს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მკაცრ რეპრესიებზე, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს შექმნილი რევოლუციური სიტუაციით იყო განპირობებული. რეაქციის პერიოდში კლასობრივი ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ შეიცვალა მისი ფორმები. თუ გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში შეიარაღებული აჯანყების ტალღამ გადაუარა საქართველოს სოფლებს, 80-იან წლებში უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობს ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიც იყო მემამულეებზე თავდასხმები, მათი ქონების განადგურება, ძარცვა-მკვლელობა და სხვ.

აღნიშნულ „დანაშაულთა" დიდი რაოდენობა გლეხებზე მოდიოდა. ეს ფაქტი თავისთავად ნიშანდობლივია, იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფ დემოკრატიზაციასა და მისი კლასობრივი შემადგენლობის მკვეთრ ცვლილებაზე მიგვითითებს.

იმ „დანაშაულობებს" რომლებსაც გლეხები ჩადიოდნენ სხვადასხვა მიზეზი ედო საფუძვლად. ერთ შემთხვევაში მხოლოდ შურისძიების გრძნობა იყო წარმმართველი, მეორეში კი—გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობასა და საარსებო საშუალებათა გზების ძიებას მიჰყავდა გლეხები აქამდე.

XIX საუკუნის 70—90-იან წლებში მემამულეებზე თავდასხმებმა ხშირი ხასიათი მიიღო. ასეთი შემთხვევების დროს ზოგჯერ გლეხები იტაცებდნენ მემამულეთა ქონებას, ხშირად კი ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლ-კარს, წვავდნენ და ანადგურებდნენ მოსავალს, რათა ზარალი მიეყენებინათ მათთვის; გლეხთა საბრძოლო შემართება ურყევი იყო, ისინი არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ, მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი გასწორებოდნენ მემამულეებს.

განსაკუთრებით გახშირდა წინასწარმოფიქრებული ხანძრის შემთხვევები. 1875 წელს თბილისის გუბერნიაში მემამულეთა სახლ-კარის

---

[3] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, дел. 7, л. 6.

[4] სსსა, ფ. 17, ანაწ. 3, საქ. 8747, ფურც. 1—20.

[5] ქუთაისის სსსა, ფ. 130, საქ. 63, ფურც. 47.

გადაწვის 150 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. 1883 წელს— 145-ს, ხოლო 1890 წელს—კი 90-ს[6].

1883 წლის 21 ივნისს გორის მაზრის უფროსი ჩიოდა: მემამულეთა სახლ-კარის გადაწვამ მასობრივი ხასიათი მიიღოო[7]. იგივე მდგომარეობაზე მიგვითითებს კარდანახის (სიღნაღის მაზრა) სასოფლო საზოგადოების კრების ჩანაწერებიც. მასში ვკითხულობთ: „ერთობ სოფელი კარდანახი მოვიდა დიდ შეწუხებაში, შიშში და აღრეულობაში. ამა სოფელში მეტისმეტად გახშირებისაგან ამ ბოლო დროს დაწვისა სახლ-კარის, ვენახების, სხვადასხვა სასოფლო შენობებისა“[8]. ხოლო სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოსადმი გაგზავნილ ცნობაში მიუთითებდა „კარდანახში ხანძრისაგან დაიწვა ილია აფხაზის სამეურნეო ნაგებობა, რომელიც მემამულის სიტყვით სამი ათასი მანეთი ღირდა. ხანძრის გაჩენაში შემჩნეული არიან ადგილობრივი მცხოვრებნი კაკო ტურიაშვილი და იოსებ ჩალატაშვილი, რომლებიც აყვანილნი არიან პატიმრობაში“[9].

გლეხებმა არაერთხელ ააოხრეს მემამულე მუხრან ბატონის კარმიდამო ჯერ 1892, შემდეგ კი 1894 წლებში. პირველად ზარალი შეადგენდა რვა ათას. ხოლო მეორედ კი ათას მანეთს. საგამომძიებლო კომისია, რომელიც თბილისის გუბერნატორის ბრძანებით გამოიყო, იძულებული გახდა აღენიშნა, რომ გლეხების ამგვარი მოქმედების მიზეზი სოფლის მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობებში უნდა ვეძიოთ. მართალია, კომისია აღიარებდა გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობას, მაგრამ მაინც მოითხოვდა, რომ ის რვა ათასი მანეთის ზარალი, რომელიც მემამულემ განიცადა, ამ სოფლის საზოგადოებას გადაეხადა. კომისიის აზრით, ასეთი ზომების გატარება ხელს შეუწყობდა მთავარ დამნაშავეთა აღმოჩენას[10].

მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა-აოხრებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სოფელ ორთუბანში (ვორის მაზრა). აქ დროებითვალდებული გლეხები თავს დაესხნენ და ცეცხლი წაუკიდეს ამირინდო ციციშვილის სახლ-კარს, შემდეგ კი ტყეებს შეაფარეს თავი. ააოხრეს მაჩაბლების, ამილახვრების, ფალავანდიშვილების, ერისთავებისა და დიასამიძის მამულები. 1886 წელს კასპში გადაწვეს გ. ერისთავის ფილაქნების ქარ-

---

[6] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 121. д. 5031, л. 275; ф. 1284, оп. 223, д. 131 лл. 14—159.

[7] ცსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 24, ფურც. 33.

[8] ცსსა, ფ. 31, ანაწ. 1, საქ. 1038, ფურც. 2.

[9] იქვე, ფურც. 1.

[10] Вермишев, Очерки хозяйство И. К. Багратион Мухранского, Тб., 1890 г., стр. 44.

ხანა, სოფელ წიწმატიანში (სიღნაღის მაზრა) კი ანდრონიკაშვილის სახლ-კარი და ა. შ.

მემამულეთა სახლ-კარის დარბევა-განადგურების ხშირ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოშიც. ააოხრეს და დაარბიეს მიქელაძეების სახლ-კარი კულაშში, ჩიჯავაძეებისა—ვანში, ჯაფარიძეებისა—რაჭაში და სხვ.

1886 წელს სოფელ მუხურში (შორაპნის მაზრა) დროებითვალდებულმა გაბრიჩიძეებმა და არაბიძეებმა ჯერ უარი განაცხადეს გადასახადებზე, შემდეგ კი, როგორც ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მისცეს თავს უფლება დაეწვათ მემამულის დამხმარე ნაგებობანი და ბოლოს ცეცხლი წაუკიდეს მის საცხოვრებელ სახლს"[11].

სოფელ მუხურში შექმნილმა მდგომარეობამ მმართველობა სერიოზულად შეაშფოთა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გაიგზავნა პოლკოვნიკი პრინცი. როგორც გამოძიებით გამოირკვა, გლეხები თურმე სისტემატურად ესხმოდნენ თავს ზუბალაშვილს. 1882 წელს ორჯერ დაუწვავთ მისი სახლი, 1885 წელს გაუძარცვავთ მისივე ხე-ტყის ქარხანა, ხოლო 1886 წელს შეკრილან ზუბალაშვილის საძინებელ ოთახში, მაგრამ იგი სიკვდილისაგან რაღაც შემთხვევით გადარჩენილა. ბოლოს და ბოლოს შექმნილმა მდგომარეობამ ზუბალაშვილი აიძულა მიეტოვებინა სოფელი და თბილისისათვის შეეფარებინა თავი.

მართალია, პოლკოვნიკი პრინცი ყველა ამ ამბის ჩამდენად დროებით ვალდებულ გაბრიჩაძეებს თვლიდა, მაგრამ პირდაპირი, მამხილებელი მასალები მათ დასასჯელად მაინც ვერ შეაგროვა. მიუხედავად ამისა, პრინცს „ამ საქმის უყურადღებოდ და დამნაშავეთა დაუსჯელად დატოვება შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან იგი შეიძლება ცუდი მაგალითი გამხდარიყო სხვებისათვის"[12].

ამრიგად, მემამულეთა სახლ-კარის გადაწვამ, ძარცვამ, მკვლელობამ ფართო ხასიათი მიიღო. თითქმის დღე არ გავიდოდა ისე, რომ ასეთ ფაქტებს არ ჰქონოდა ადგილი. გორის მაზრის უფროსი იწერებოდა: „ქურდობა, ძარცვა, ძალადობა, ფიზიკური შეურაცხყოფა, მემამულეთა მოსავლის მიტაცება ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა"[13].

გორის მაზრის უფროსის ნათქვამს ნათლად ადასტურებს თბილი-

---

[11] სსსა, ფ. 32, ანაწ. 2, საქ. 2472, ფურც. 21—22.

[12] იქვე.

[13] სსსა, ფ. 48, ანაწ. 2, საქ. 2042. ფურც. 33.

სის გუბერნიაში 1877—1890 წლებში მომხდარ „დანაშაულობათა“ ამსახველი ქვემოთ მოყვანილი ცხრილი[14].

ცხრილი 10

№№	ბრძოლის სახე	1877	1883	1890
1	მკვლელობა	62	107	414
2	დაკრა	82	121	230
3	ქურდობა-აკლება	12	178	743

ცხრილიდან ჩანს, რომ 80—90-იან წლებში კლასობრივი ბრძოლის ფორმები შეიცვალა, იგი უპირატესად მემამულეებზე გლეხების შეიარაღებულ თავდასხმებში გამოიხატებოდა. აღნიშნული გარემოება სოფლის მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს.

1880 წელს სოფელ ბრეთში (გორის მაზრა) მოუკლავთ მემამულე გიგო ავალიშვილი, იმავე წელს გლეხები თავს დასხმიან მემამულეებს: ამილახვრებს, შალიკაშვილებს, მაჩაბლებს და სხვ. ეს თავდასხმები მიზნად ისახავდა მემამულეების მთელი ოჯახით—ცოლ-შვილით ამოწყვეტას[15]. „დღეს 18 ოქტომბერს სოფ. ქურთაში,—იწერებოდნენ გორის მაზრიდან,—პაველე ბასილაშვილმა დახოცა ტატო მაჩაბლის ცოლ-შვილი და თვითონ მიიმალა“[16]

ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი კახეთის სოფლებში. 1880 წელს სიღნაღის მაზრაში ღროებითვალდებული გლეხები ტურიაშვილები და ფრიდონაშვილები თავს დაესხნენ მემამულე აფხაზს და მძიმე ჭრილობა მიაყენეს მას[17]. ღროებითვალდებულმა გლეხებმა სასიკვდილოდ სცემეს აგრეთვე მემამულეებს—ანდუყაფარ ფალავანდიშვილს, ჩერქეზიშვილს, ნატალია ხიმშიაშვილს და სხვ.

ეხებოდა რა მემამულეებზე გლეხების თავდასხმის გაძლიერებას, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა „იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევები ერთეული არ არის, მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენი ვერ უზ-

---

[14] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, с. Петербург, 1900, стр. 84; ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 124, л. 67.

[15] სსსა, ფ. 48 ანაწ. 1, საქ. 1942, ფურც. 26.

[16] ი ქ ვ ე. 1387, ფურც. 53.

[17] სსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3529, ფურც. 2.

რუნველყოფს მემამულეებს გლეხების მხრიდან ახალი თავდასხმების საშიშროებისაგან. უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციოთ, იშუამდგომლოთ მხარის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რომ გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც იჩენენ ძალადობას და უსწორდებიან მემამულეებს, მიღებულ იქნას მკაცრი ადმინისტრაციული ზომები"[18].

მართალია, კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მოითხოვდა გლეხების დაშინებას, მათ მკაცრ დასჯას და ამით გლეხთა მოძრაობის შეჩერებას, მაგრამ ამაოდ, ამ სახის ბრძოლამ მთელი საქართველო მოიცვა.

მემამულეებისა და ხელისუფლების ძალმომრეობით, ცხოვრების ძნიმე პირობებით თავმოძულებული გლეხები სტოვებდნენ სახლ-კარს, გაურბოდნენ უსამართლობას და ტყეს აფარებდნენ თავს, მეფის მოხელეები ტყეში გასულ, იარაღასხმულ მებრძოლ გლეხებს „ყაჩაღებს" უწოდებდნენ. გლეხების მიერ მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა, მკვლელობა, ტყეებში უიარაღოდ გასვლა შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, მას სოციალური უსამართლობა ედო საფუძვლად.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში გლეხების ყაჩაღად გასვლის უამრავ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. გ. თუმანოვი, რომელიც მთავარმართებლობის კანცელარიაში მუშაობდა და კარგად იყო ჩახედული იმდროის მომხდარ ამბებში წერდა:" იმ ფაქტორებს შორის, რომელიც იწვევს დანაშაულს, პირველი ადგილი ეკუთვნის ხალხთა მასების მძიმე მდგომარეობას"[19].

მართლაცდა, ყოველმხრივ უფლებააყრილ, ეკონომიურად დაბეჩავებულ და საარსებო საშუალებას მოკლებულ მშრომელ გლეხს სხვა რაღა დარჩენოდა თუ არა ის, რომ იარაღისათვის მოეკიდა ხელი და ებრძოლა თავისი ადამიანური უფლებების დასაცავად. იარაღასხმული გლეხები ტერორისტული ბრძოლის გზას ადგებოდნენ. მოულოდნელი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ მემამულეებს და მეფის მოხელეებს, ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს. ამით ისინი სამაგიროს უხდიდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს, რომლებმაც აიძულეს იგამრჯე. შრომისმოყვარე ქართველი გლეხები მიეტოვებინათ მშობლიური კუთხე, ცოლ-შვილი, იარაღი აეღოთ ხელში და ტყისათვის შეეფარებინათ თავი.

სოციალურად დაჩაგრული, ეკონომიურად შევიწროებული ქარ-

---

[18] სსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 3529, ფურც. 1.

[19] Г. Туманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

თელი გლეხობის ბრძოლის იმ ფორმამ, რომელსაც ოფიციალური პრესა „ყაჩაღობას“ უწოდებდა. მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ტყეში გასული გლეხები, ანუ როგორც გურიაში უწოდებდნენ— ფირალები-პატიოსანი, უკიდურესად გაჭირვებული სოფლის მშრომელები იყვნენ. მათი გამოჩენა შიშის ზარს გვრიდა გაბატონებულ კლასს; ფირალები ინდივიდუალურად, ხან კი ჯგუფურად მოქმედებდნენ. მათ ჰყავდათ თავიანთი ხელმძღვანელები, ზოგჯერ კი სხვადასხვა ადგილებში მოქმედი გლეხთა რაზმები ერთიანდებოდნენ.

1873 წელს ცხინვალის უბნის ყორნისის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მემამულეების უკმაყოფილო დროებითვალდებულ გლეხთა ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით. მასში შედიოდნენ ბასიშვილი, ტობეშვილი და სხვ[20]. ისინი ყორნისსა და ჯავის ტყეებში გავიდნენ და იწყეს მემამულეებზე თავდასხმები.

1878 წელს დროებითვალდებული ორჯონიკიძეები თავს დაესხნენ და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს აზნაური ნემსაძე, შემდეგ იარაღი აისხეს და ტყეებს შეაფარეს თავი. ხელისუფლებამ ისინი დააპატიმრა და ორი-ორი წლით სამარის გუბერნიაში გადაასახლა.

„ახალქალაქის მაზრაში გამოჩნდა მთელი დასი ავაზაკებისა, — წერდა „ნოვოე ობოზრენიე“, — ხალხი ამბობს, რომ უთუოდ ქერიმაა ამ ახლად შედგენილი დასის მოთავეო“[21].

1888 წელს ბორჩალოს მაზრაში მოქმედებდა რაზმი, რომელსაც კატორღიდან გამოქცეული ასან-აღა სულთანოვი ხელმძღვანელობდა. იგი თავს ესხმოდა მემამულეებს და შიშის ზარს სცემდა მათ[22].

1889 წლის 28 ივნისს „ყაჩაღები“ ანანურის მახლობლად თავს დაესხნენ ფოსტას და გაძარცვეს იგი. ჯგუფს მეთაურობდა ხიდო ხანიკაშვილი. იმავე 1889 წელს სურამის ტყეებში პოლიციამ აღმოაჩინა გლეხების ახალი ჯგუფი. გამოირკვა, რომ გლეხების ამ ჯგუფსაც ფოსტის გაძარცვა ჰქონდა განზრახული.

აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი მოქმედებით სახელი გაითქვა ტატე ჯიოშვილმა, სანდრო ხუბულურმა, ტატე წულუკიძემ და ალექსანდრე ხასიშვილმა[23]. ჯიოშვილი პირველად 1884 წელს შეიპყ-

---

[20] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, дел. 6. лл. 1—15.

[21] „ნოვოე ობოზრენიე“, 1886, № 145.

[22] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 22, д. 172, лл. 1—10.

[23] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 71, дел. 4259, л. 155; სსსა, ფ. 17, ანაწ. 2 საქ. 308 იხ. აგრეთვე „საისტორიო მოამბე“, 1958, № 3.

ყრეს და 5 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. განთავისუფლების შემდეგ იგი გორში ზეზემანის სახერხ ქარხანაში იწყებს მუშაობას, მემამულეები განაგრძობდნენ მის დევნას. ჯიოშვილი ბრძოლის გზას დაადგა. იგი მარტოდმარტო მოქმედებდა, მაგრამ მალე მის ირგვლივ შემოიკრიბა თაეგანწირული გლეხების მთელი ჯგუფი.

ჯიოშვილის ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო დროებითვალდებული გლეხი სანდრო ხუბულური. მემამულემ ააოხრა და გაანადგურა მისი სახლ-კარი, ოჯახის წევრები სხვადასხვა ადგილებში გადაიხვეწნენ ლუკმაპურის საშოვნელად. ანალოგიური იყო ხასიაშვილის ცხოვრების გზაც. და, აი, ისინი—ტატე ჯიოშვილი, სანდრო ხუბულური და ლექსა ხასიშვილი შექმნილმა მდგომარეობამ მტკიცედ დააკავშირა ერთმანეთს.

1891 წელს, თებერვლის დამდეგს ჯიოშვილის ჯგუფი ჯავის ხეობაში თავს დაესხა ანდრია მეტრეველს. 4 მაისს მათ სურამში დაარბიეს ალექსანდრე ფავლენიშვილისა და სარდიონ რატიშვილის კარმიდამო. სურამში ყოფნისას ჯიოშვილის ჯგუფი შეეცადა კავშირი დაემყარებინა იმერეთის გლეხებთან. ამ მიზნით დასავლეთ საქართველოში შუაკაცად გაუგზავნიათ სოფელ ყველეთის მცხოვრები სოლო შუბითიძე[24].

ხელისუფლების მიერ ყოველდღიური დევნის შედეგად ჯიოშვილი თავისი რაზმით ციციშვილების ტყეებში გადასულა. 25 მაისს იგი თავს დასხმია ატენის სასოფლო საზოგადოების მღვდელს ედილას, ხოლო 31 მაისს—მემამულე თავრაზოვს. ამის შემდეგ ჯგუფი დუშეთის მაზრაში გადასულა. 1891 წლის 7 ივნისს ჯიოშვილს აუოხრებია დვალიანთკარის მამასახლისის და სოფლის ბობოლას გიორგი დვალიშვილის სახლ-კარი. 9 ივნისს სოფელ ბეთში თავს დასხმია ს. ბეგალიშვილს. 10 ივნისს ჯიოშვილის ჯგუფი მეჯვრისხევშია. აქედან იგი 3 ივლისს—დუშეთში გადასულა და ელოშვილის სახლი გაუძარცვავს[25]. ივლისის შუა რიცხვებში ჯიოშვილმა პირი გორის მაზრისაკენ იბრუნა და თითქმის ყველა სოფელი შემოიარა. თავს დაესხა აგიბეგაშვილს, მიქაძეს, ბატირიშვილს, მაჩაბელს და სხვ. მემამულეები პანიკამ მოიცვა.

ჯიოშვილისა და მისი რაზმის წევრების სახელები პოპულარული გახდა ქართლის სოფლებში. მათ შესახებ ლეგენდებიც კი შეითხზა. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ გლეხობა მხარს უჭერდა ჯიოშვილს

---

[24] სსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 3018; [illegible]ის. აგრეთვე „საისტორიო მოამბე" № 9, 1958.

[25] ი ბ ე ვ.

და ძის ჯგუფს. მალე ჯიოშვილის ჯგუფს ჯაველი სანიკიშვილი და ვლადიკავკაველი დოვზიევი შეუერთდნენ.

მთავრობა შეუდგა „ყაჩაღების“ დევნისა და შეპყრობის ოპერატიული გეგმის შემუშავებას. სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენეს. ამ ღონისძიებამ თავის მხრივ კიდევ უფრო გაამწვავა გლეხების წინააღმდეგობა. დაიწყო მასობრივი საჩივრები. ერთ-ერთ მათგანში ჯავის გლეხები თბილისის გუბერნატორს წერდნენ, პოლიციელები და მოხელეები ძალზე გვავიწროვებენო[26].

ხანგრძლივი დევნის შემდეგ 1891 წლის 14 ივლისს სანდრო ხუბულური, ტატე ჯიოშვილი და ალექსი ხასიშვილი შეიპყრეს და გორის ციხეში მოათავსეს. მეფის მიხელეები ცდილობდნენ სამაგალითოდ დაესაჯათ ბრალდებულნი, რათა ამით სხვა გლეხებიც დაეშინებინათ.

1892 წლის თებერვალში თბილისის სამხედრო-საოლქო სასამართლო შეუდგა ჯიოშვილისა და მისი ჯგუფის წევრების საქმის განხილვას. დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო ოფიციალური ბრალმდებლები, არამედ 45 მოწმე მემამულეების, მღვდლების, ოფიცრების, თავადებისა და პოლიციის თანამშრომელთა სახით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა: სანდრო ხუბულურს და ტატე ჯიოშვილს ჩამოხრჩობა მიესაჯათ. სასამართლოს გადაწყვეტილებით განაჩენის აღსრულება საჯაროდ უნდა მომხდარიყო რათა ზემოქმედება მოეხდინა გლეხობაზე.

1892 წლის 13 თებერვალს სანდრო ხუბულური და ტატე ჯიოშვილი ჩამოსახრჩობად გაიყვანეს. დიდი მწერალი მაქსიმ გორკი, რომელიც დასჯის ამ ცერემონიალს ესწრებოდა, შემდეგში ტატე ჯიოშვილის შესახებ წერდა: მის „შავგვრემან, თითქმის შავ სახეზე უფრო მეტად დაქანცულობა და მოწყენილობა მოჩანდა, ვიდრე შიში მომავლის წინაშე“[27].

ხელისუფლება შეცდა. მკაცრმა სასჯელმა, რომელმაც სახრჩობელაზე აიყვანა ორი რიგითი გლეხი, ვერ დააშინა სოფლის მშრომლები. პირიქით, ამან უფრო გააღვივა სიძულვილი და შურისძიების გრძნობა არსებული წყობილებისადმი.

„ყაჩაღობამ“ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიიღო. გაზეთი „დროება“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში წერდა: „ქურდობა და ავაზაკობა ჩვენში სამურზაყანოში, აფხაზეთში...

---

26 სსსა, ფ. 17, საქ. ანაწ. 2, 3018, ფურც. 18.

27 М. Горький, Бандиты на Кавказе, газ. Нижегородский листок, № 327. იხ. აგრეთვე „საისტორიო მოამბე“ 1956, № 8,

თანდათან მატულობს, ადმინისტრაცია ხმარობს ღონისძიებას... მაგრამ ვერას არგებს.. თვითონ ხალხი ფარავს და მალავს მათ"[28].

იგივე გაზეთი შემდეგ ნომერში დასძენდა: „ზუგდიდიდან გვწერენ: ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ მოისპო ქურდობა და ავაზაკობა. ამას წინათ მაგალითად ზუგდიდში, ნაშუადღევის პირველ საათზე ყაჩაღმა ლაკირბაიამ შუაქალაქიდან მოიტაცა ცხენები და გაიქცა"[29].

თავიანთი მამაცობით სახელი გაითქვა იმერეთისა და სამეგრელოს გლეხებმა: დვალიშვილმა, ადეიშვილმა, კვარაცხელიამ, ლაკერბაიამ და სხვ. აღნიშნული პირები თავისი პატიოსანი შრომით არჩენდნენ საკუთარ ოჯახს. მაგრამ მშვიდსა და ნორმალურ ცხოვრებაზე ხელი სოციალურმა უკუღმართობამ ააღებინათ. სიღარიბემ და მემამულეთა თვითნებობამ აიძულა ისინი იარაღით გასწორებოდნენ მტარვალებს და ტყისათვის შეეფარებინათ თავი.

გურიაში სიმართლისათვის მებრძოლი ფირალების სახელით ცნობილი იყვნენ: გოგია ლომჯარია, დათუნა სურგულაძე, სისონა დარჩია (ე. ნინოშვილის მოთხრობის „სიმონას" მთავარი გმირი, სიმონას პროტოტიპი), დ. მიქელაშვილი, ს. დოლიძე და სხვ[30]. თუ რაოდენ გავრცელებული იყო გურიაში ფირალობა ამას მოწმობს 1882 წლის აპრილში გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილი ცნობა, „სოფ. მაკვანეთში, — იუწყებოდა კორესპონდენტი,—35 ავაზაკი აღმოაჩინა მთავრობამ"[31].

თავგასულ მემამულეთა და მეფის მოხელეთა მკვლელობამ გურიაში ფართო ხასიათი მიიღო. 1881 წლის ნოემბერში მოკლეს ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ანტონ ნაკაშიძე, 1882 წელს— ჯალათი კაპიტანი დგებუაძე, მოურავი ჩიკაშუა, გაძარცვეს მსხვილი ვაჭარი თუმანოვი, წაართვეს ქონება გურიის ეპისკოპოსს. ასეთივე ბედი ეწვიათ შეძლებულ გლეხებს, მედუქნეებს. „გურიაში,—წერდა გაზეთ „დროების" კორესპონდენტი, — დადგა „შავი დღეები, — არცერთ მემამულეს, არცერთ შეძლებულ გლეხს არ შეეძლო მშვიდად ძილი".

1882 წელს ამავე გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ: „კაცის კვლა, სახლების წვა და ტეხა-ქურდობა, ცარცვა და სხვა ავაზაკობა დღითიდღე ვრცელდება ჩვენში. ერთი დღე არ გაივლის ისე, რომ

---

[28] გაზ. „დროება", 1870 , № 190.
[29] გაზ. „დროება", 1882, № 185.
[30] იქვე, № 190.
[31] იქვე.

ან ვინმე არ მოჰკლან ან არ გაცარცვონ და ან სახლი არ დაუწვან. მთელი გურია აივსო ავაზაკებით. კაცს არ შეუძლია ორი-სამი ვერსის სიშორეზე წავიდეს თავისუფლად. არც დღე, არც ღამე კაცი არ არის მოსვენებაში. ქურდობამ და ავაზაკობამ მიიღო საშიში სახე"[32].

გურული ფირალი გოგია ლომჯარია დროებით ვალდებული გლეხი ყოფილა. მემამულეს მისთვის ქურდობა დაუბრალებია. მაზრის უფროსის თანაშემწეს ანტონ ნაკაშიძეს მხარი დაუჭერია ამ ცილისწამებისათვის. ლომჯარიას 1881 წელს მოუკლავს ნაკაშიძე და ფირალად გაჭრილა, „ლომჯარია მკვლელი თავად ანტონ ნაკაშიძისა, — იუწყებოდა გაზეთი „დროება", — არის ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც როგორც ამბობენ ბევრი იმედები ჰქონდა ცხოვრებაში. იმას ჰყავს ცოლ-შვილი, მოხუცებული დედა. უმეტესი ნაწილი თავისი ცხოვრებისა გაუტარებია გარეთ ვაჭრობაში, ქალაქებში. მაშასადამე მას არ უნდა ჰქონდეს ის მიდრეკილება, გავრცელებული იმ სოფლელ ახალგაზრდებს შორის, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესულან ოჯახობის წრეში და რომელთა ოცნებაც არის რომელიმე ვაჟკაცური საქმე, გმირული მოქმედება. ვამბობ, ლომჯარია იმ წრეს არ ეკუთვნის, ის იყო ერთობ წინდახედული ახალგაზრდა სოფლის გლეხი. ამგვარ კაცის გატაცება, ისე რომ მან დასტოვოს ცოლშვილი, ოჯახი, ვაჭრობა და კეთილგანწყობილება მეზობლებისა... შეუძლებელია უბრალო მიზეზების გამო"[33].

ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ აგრეთვე ფირალები დათუა სურგულაძე და ნიკოლოზ მეხუზლა.

ეს უკანასკნელი გურიანთელი დროებითვალდებული გლეხი ყოფილა. მას სხვადასხვა ხელობა გამოუცვლია. უმუშავია ვაჭართან „პრიკაზჩიკად", მუშად მანთაშევის ქარხანაში, ერთ დროს კონტრაბანდისტობისათვისაც მიუყვია ხელი. ბოლოს იგი სოფელში დასახლებულა, მაგრამ გაჭირვებისათვის მაინც ვერ დაუღწევია თავი. მემამულეთა ცილისწამების გამო მეხუზლა დაუპატიმრებიათ; სულ მალე ციხიდან გაქცეულა და ფირალად გასულა ტყეში.

ამავე ხანებში გურიაში კარგად იყო ცნობილი სისონა დარჩიას სახელი. მას მემამულე იასე გურიელთან მოსვლია უკმაყოფილება და იძულებული გამხდარა ტყისათვის შეეფარებინა თავი. სისონა რამ-

---

[32] გაზ. „დროება", 1882, № 190.
[33] გაზ. „დროება", 1882, № 75.

.დენჯერმე ყოფილა დაჭერილი, მაგრამ ყოველთვის მოუხერხებია გაქცევა.

ხალხი განსაკუთრებით პატივს სცემდა დათა მიქელაშვილს. იგი თავს ესხმოდა მდიდარ ვაჭრებს, მღვდლებს და მემამულეებს. უბრალო ხალხს კი, რითაც შეეძლო იმით ეხმარებოდა.

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, გურიის ცნობილი ფირალები პატიოსანი მშრომელი გლეხები ყოფილან, რომლებიც მძიმე სოციალური ჩაგვრის გამო იძულებული გამხდარან იარაღი აეღოთ ხელში. დათუნია სურგულაძის, ლომჯარიას, გიორგი ჭყონიას, დათა მიქელაშვილის, მამაიაშვილის, ღლონტის, გიგინეიშვილის, შევარდნაძისა და სხვების სახელები თავზარსა სცემდა ადგილობრივ სელსიუფლებასა და თავადაზნაურობას.

ტყეში გასული ფირალების მიზანს უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა წარმოადგენდა. ისინი უაღრესი პოპულარობით სარგებლობდნენ სოფლის მშრომელ მოსახლეობაში. სოფელი ინახავდა და მფარველობას უწევდა მათ.

ამრიგად, ფირალები ერთეულები როდი იყვნენ. მათ გვერდში ედგათ სოფლის მთელი მოსახლეობა. გლეხობა მზად იყო ყოველთვის გაეწოდებინათ ტყეში გასული თანამემამულეებისათვის დახმარების ხელი და იარაღითაც კი გამოსულიყვნენ მათ დასაცავად. ამაში იყო მათი ძალა. „ყოველი გლეხის ოჯახში, — წერდა გაზეთი „დროება“, — მზად იყვნენ მიეღოთ, ღამე გაეთევებინათ, ევახშებინათ თუ რომელიმე ყაჩაღი მივიდოდა მათ სახლში“.

მთავრობა ხშირად ვერ ახერხებდა ფირალების ხელში ჩაგდებას, მაგალითად, „ხელისუფლებამ ვერ შეძლო დათუნია სურგულაძის დაპატიმრება, რადგანაც მისთვის ყველგან მზად იყო ღამის გასათევი სახლი, საჭმელი და ყოველივე რაც დასჭირდებოდა“[34].

1881—1882 წლებში, როდესაც გურიაში ფირალობა, მემამულეთა მკვლელობა და სხვა სახის ბრძოლები ესოდენ გახშირდა, მეზობელ ქობულეთის რაიონში გლეხთა დიდი მღელვარება დაიწყო. გურული ფირალები გ. ლომჯარია, გ. ჭყონია და სხვები აჭარაში გადავიდნენ და სათავეში ჩაუდგნენ აქაურ გლეხებს ადგილობრივი მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მკაცრი ღონისძიებები მიიღო ფირალობის აღსაკვეთად. სასტიკად მოქმედებდნენ გურიის სოფლებში მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილი საეგზეკუციო რაზმები, მაგრამ რო-

---

[34] გაზ. „დროება“, 1882, № 66.

გორც გაზეთი „დროება“ იუწყებოდა „ავაზაკების“ დაჭერა ვერც ღონით და ვერც ხერხით ვერ შესძლო ბ. დადიანმა და მისმა პოლიციამ. ამის გამო მან ჩააყენა სხვადასხვა გლეხების ოჯახებში მილიციონერები, რომელნიც ავიწროვებდნენ მოსახლეობას“[35]. ჩამოყალიბდა ე. წ. საეროობო დარაჯთა რაზმი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან, შედგებოდა. 1887 წლიდან კი მთავრობამ ახალ ზომებს მიმართა. თითოეულ სასოფლო საზოგადოებიდან ირჩევდნენ ე. წ. „ხევისთავებს“, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ „ყაჩაღებისათვის“ და დახმარებოდნენ მთავრობას მათ დევნაში. მაგრამ არც ამ ზომებმა გამოიღო სასურველი შედეგი. იმ მიზნით, რომ ტყეში გაქცეული გლეხები, რომელნიც მთავრობამ „ყაჩაღად“ მონათლა, თავისით დანებებოდა ხელისუფლებას, მათ ნათესავებს, მეზობლებს და აბლობლებს მასობრივად ასახლებდნენ ციმბირში. მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი პირადად ეწვია გურიას და თავისი თვალით ნახა „ის უნუგეშო მდგომარეობა რომელშიც იმყოფებოდა ოზურგეთის მაზრა, სადაც რომ არაფერი ვთქვათ მასობრივ აგრარულ დანაშაულებებზე, გამუდმებით მეორდებოდა ცემა-ტყეპა, მკვლელობა და სხვა სახის დანაშაულობანი“, წერდა გაზეთი „კავკაზი“ 1882 წელს.

იმ მიზნით, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი გურიაში უფრო ოპერატიული ყოფილიყო, ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნატორის ნაცვლად დროებით ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს დაექვემდებარა, რომელიც ამის შემდეგ პოლიტიკურ ზედამხედველობას უწევდა როგორც გურიას, ისე მის ნეზობელ ქობულეთს, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ ოზურგეთელი ტყედ გასული გლეხები[36]. გურიაში გაიგზავნა კაზაკთა პოლკის ორი ასული და ბათუმში განლაგებული ფეხოსანი ნაწილები.

გურიაში, შექმნილი მდგომარეობის მიზეზების შესასწავლად, ჩავიდა სპეციალური კომისია გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ლევაშოვის მეთაურობით.

ბათუმის სამხედრო გუბერნატორს თითქმის განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. „ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ნება აქვს, — ნათქვამია მთავარმართებელ დონდუკოვ—კორსაკოვის ანგარიშში,— იმ შემთხვევაში, როცა მაზრაში მყოფი გარკვეული პირები მოსახლეობაზე ცუდ გავლენას მოახდენენ და ხელს შეუწყობენ მოსახლეობის აღელვებას, გამოითხოვოს ნებართვა მთავარმართებლისაგან ადმინის-

---

[35] გაზ. „დროება“, 1882, № 180.
[36] გაზ. „კავკ ზი“, 1882, № 208.

ტრაციული წესით, მათი მაზრიდან, ანდა კავკასიის საზღვრებიდან განდევნის შესახებ. მასვე ნება ეძლევა აგრეთვე ასეთ პირთა საქმეები სამოქალაქო სასამართლოდან გადასცეს პირდაპირ სამხედრო სასამართლოს"[37].

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას: 14 აგვისტოდან დაიწყო გურიის შემოვლა.

გენერალმა სმეკალოვმა სპეციალური მოწოდებით მიმართა გურიის მოსახლეობას. სმეკალოვი სასოფლო საზოგადოებიდან მოითხოვდა მკვლელობასა და სხვა უწესრიგობაში შემჩნეული გლეხების გაცემას, რათა მკაცრად დაესაჯა ისინი, გაესახლებინა მაზრიდან[38]. მაგრამ სოფლის მოსახლეობა ამ მოთხოვნას დუმილით შეხვდა.

გურიას მოედვნენ დამსჯელი რაზმები, გაძლიერებულ ეგზეკუციებს აყენებდნენ სოფლებში, რაც ძვირად უჯდებოდა გლეხობას. „ორი როტა სალდათი მთელი ორი კვირის განმავლობაში იყო ჩაყენებული, — წერდა გაზეთი „დროება" 1882 წელს, — და მან სრულებით გააწყალა სოფელი, საცა კარგი ძროხა, ხბო, ინდაური თუ სხვა რამე მოეწონებოდათ მიირთმევდნენ, ქვევრები სულ დაამტვრიეს და დალიეს ღვინო"[39]. დამსჯელი ექსპედიციები— ეგზეკუციები ცალკეულ სოფლებში მთელი წლობით რჩებოდნენ. რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც გაჭირვებული გლეხკაცობის მდგომარეობას. მაგალითად, სოფელ ლიხაურში ერთ წელიწადზე მეტ ხანს იყო დაბანაკებული ასზე მეტი ჯარისკაცი.

აჯამებდა რა იმ ზარალს, რაც ოზურგეთის მაზრის მოსახლეობას მოუვიდა, გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი 1892 წელს წერდა: „ორი წლის განმავლობაში ეგრეთწოდებული „სტრაჟის" შესანახად კომლზე 15 კაპიკს იღებდნენ. გურიაში 15.000 კომლი ითვლება და მაშასადამე ეგ „სტრაჟა", რომელსაც თითქმის არაფერი გაუკეთებია 4500 მანეთი დასჯდომია გურიას. ამას გარდა ფოსტის გაძარცვისათვის გადახდა 600 მანეთი, სხვადასხვა გაძარცულთა სასარგებლოდ—1300 მანეთი.; ოთხ საზოგადოებას—ლიხაურისას, აკეთისას, ჯუმათისას და ლანჩხუთისას „ეგზეკუცია" ჩაუყენეს. თითოეულ საზოგადოებას დაუჯდა არანაკლებ 3000 მანეთისა—ესეც 12 ათასი მანეთი, ახლა ის მოცდენა და ზარალიც წარმოიდგინეთ და ივარაუდეთ, რომ თითქმის ყოველ ცისმარე

---

[37] გაზ. „კავკაზი", 1882, № 238.

[38] ი ქ ვ ე

[39] გაზ. „დროება", 1882, № 77.

დღეს „კანცელარიაზე“ ერეკებოდნენ ხალხს „ყრილობაა, ფირალების დაჭერის შესახებ უნდა მოვილაპარაკოთო“ და ადვილად შეგიძლიათ დაინახოთ ილაჯგაწყვეტა ჩვენი ხალხისა... აღარა აქვს საზღვარი ჩვენს ტანჯვას! ხოლო ის კი საეჭვო არ არის, რომ ასეთ სიმკაცრეთა უსაზღ-ერობა, რომელსამე ღარიბ-ღატაკ გოგიელას მოთმინებას საზღვარს დასდებს და ერთ მშვენიერ დღეს ისიც ფირალთა სიაში ჩაეწერება“[40].

ხელისუფლების მიერ მკაცრი ზომების განხორციელების შედგად დააპატიმრეს ასობით გლეხი. მათ შორის გამოჩენილი ფირალები: დ. ვანიძე, ბოლქვაძე, დათუნაშვილი და სხვ.

ასეთივე მკაცრი ღონისძიებები განხორციელდა თბილისის გუბერნიის ყაჩაღების წინააღმდეგ, გადიდდა პოლიციელთა რაოდენობა, საყარაულო პოსტები და სხვ. 1872 წლის 23 თებერვალს თბილისის გუბერნატორის განკარგულებით გორის მაზრაში შეიქმნა თავადაზნაურთა რაზმი, დაარსდა საყარაულო პუნქტები.

1872 წლის 6 ნოემბერს გორის მაზრის უფროსი ცხინვალის პოლიციის ბოქაულს სწერდა: „კატეგორიულად აეკრძალა იარაღის ტარება გლეხებისათვის როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ვინცარ დაემორჩილებოდა ამ ბრძანებას მკაცრად დაესაჯათ“[41], მაგრამ ვერც ამგვარმა გამაფრთხილებელმა ღონისძიებამ გასჭრა.

გორის მაზრის უფროსს მიეცა სპეციალური მითითება გაედიდებინა პოლიციის მსახურთა რაოდენობა, მაზრაში არსებული ბოროტმოქმედთა ლიკვიდაციისათვის[42]. მართლაც, პოლიციამ გორის მაზრაში გააძლიერა თავისი მოქმედება, სოფლებში ჩაყენებულ იქნა ეგზეკუციები, გამოცხადდა გაქცეულ გლეხთა ძიება[43]. შემჩნეულ პირებს აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ. „ყაჩაღების“, როგორც მათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უწოდებდნენ, მოძებნას და დაპატიმრებას მთავრობა არცთუ ისე იოლად ახერხებდა.

„ყაჩაღების“ წინააღმდეგ ბრძოლა რომ უფრო ოპერატიული ყოფილიყო, მთავრობამ სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართა. კიდევ უფრო გააფართოვა მაზრის უფროსების უფლება-მოვალეობანი. ზოგიერთ მათგანს ნება მიეცა ტყეში გასული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა მაზრაში განლაგებული ჯარის ნაწილები.

კავკასიის მთავარმმართველს სპეციალური ცირკულარი დაუგზავ-

---

[40] გაზ. „ივერია“, 1892, № 40.
[41] სსსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქ. 1387, ფურც. 64.
[42] , ი ქ ე ე, საქ. 1510, ფურც. 15.
[43] ი ქ ე ე, საქ. 1542 ფურც. 44.

ნია. მასში ეკითხულობთ:“ 1. ყაჩაღისაგან ამა თუ იმ პირისათვის მიკუთვნებული ზარალის ანაზღაურება დაევალოს იმ სასოფლო საზოგადოებას, სადაც ის პირი ცხოვრობს. 2. მაზრის უფროსებს მიეცეთ ნებადართვა ერთ-ერთ დროებით დააპატიმრონ ყველა არაკეთილსაიმედო პირი, რომელნიც ასე თუ ისე ეხმარებიან ყაჩაღებს, ღამეს ათევინებენ, ან იციან მათი ადგილსამყოფელი. იმ შემთხვევაში, თუ შეატყობინებს ყაჩაღის ადგილსამყოფელს, გასცემს მას და სხვა, მაზრის უფროსი ვალდებულია მაშინვე ვაათავისუფლოს იგი. 3. ყაჩაღებთან რაიმე დამოკიდებულების მქონე პირები გასახლებული იქნენ გუბერნიიდან“[44].

მკაცრი ზომების მიუხედავად „ყაჩაღობის“ აღმოფხვრა საქართველოს სოფელში მაინც არ მოხერხდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1899 წელს მეფის მთავრობამ შეადგინა სპეციალური კომისია გენერალ-ლეიტენანტ ფრეზერის ხელმძღვანელობით, რომელსაც „ყაჩაღობის“ გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება დაევალა.

მთავრობის მიერ გატარებული მკაცრი ზომები მიუხედავად, სოფლის მშრომელი მასების მიერ „ყაჩაღების“ მიმართ თანაგრძნობის წყალობით ბრძოლის ეს ფორმა თანდათან ფართოვდებოდა. მართალია, ძას განცალკევებული, ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მაინც შიშის ზარს სცემდა მემამულეებს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ფირალობის წინააღმდეგ ბრძოლაში, არ ერიდებოდა შანტაჟს, მოსყიდვას, მუქარას და სხვ., მაგრამ გლეხთა მოძრაობის ეს ფორმა, რაც დრო გადიოდა თანდათან ძლიერდებოდა. ფირალების ერთი ნაწილი 1905—1907 წლების რევოლუციის დროს წითელი რაზმების მეთაურებად იქცნენ.

* * *

როგორც დავინახეთ, რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში გლეხები არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტს სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ. ისინი კარგად ხედავდნენ თავიანთ მძიმე მდგომარეობას. ეს იყო სწორედ მათი რევოლუციური გამოსვლების ობიექტური მიზეზი. მაგრამ ისმის კითხვა, ესმოდათ თუ არა მათ, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, ჰქონდათ თუ არა შეგნებული „იმ გაჭირვებისა და უბედურების“ გამომწვევი მიზეზები, რომლებმაც ისინი ბრძოლის გზა-

---

[44] სსსა, ფ. 58 ,ანაწ. 1, საქ. 379, ფურც. 12.

ზე დააყენა. ეს ფაქტი, რომ „მათ (ჩაგრულ კლასებს. მ. ა.) არ სურ-დათ ეცხოვრათ ძველებურად", არა მარტო იმ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან გამომდინარეობდა, რომელშიაც ისინი აღმოჩნდნენ, არაბედ ამ მდგომარეობამდე მისვლის შეგნებიდანაც.

საქართველოს ინტელიგენციას არაერთხელ დაუსვამს საკითხი და ჩაფიქრებულა სოფლად გაშლილი კლასობრივი ბრძოლის მიზეზებზე და პასუხიც უპოვია. ბატონყმობის გადმონაშთების არსებობა იყო ის ძირითადი ფაქტორი, რაც განსაზღვრავდა ამ პერიოდის საქართველოს გლეხთა მოძრაობას.

მაშინ როდესაც მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში იბრძოდა, საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა კალმით ხელში, სოლიდარობა გამოუცხადა გლეხკაცობას და მასთან ერთად ფართო ბრძოლა გააჩაღა იმ მტაცებლური რეფორმის წინააღმდეგ, რომლის გამოც გლეხკაცობის მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა, და რამაც თავის მხრივ სოფლის მწარმოებლური კლასის რევოლუციური ბრძოლის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

მკაცრი ცენზურული პირობები, რომელიც ბატონობდა ჩვენში, განსაკუთრებით კი 70 -იან წლებში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის დროს, ხელს უშლიდა მოწინავე ადამიანებს პრესის ფურცლებზე აესახათ კლასობრივი ბრძოლის საკითხები, სრული შესაძლებლობით გამოქომაგებოდნენ ბედკრულ გლეხობას, მხარი დაეჭირათ მისთვის იმ სამართლიან ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ ძველმულეებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. მეფის ცენზურა კრძალავდა დემოკრატიული შინაარსის და გლეხთა მოძრაობის ამსახველი ცნობების გამოქვეყნებას. 1876 წელს, როდესაც სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, ს. მესხი წერდა: „გაზეთებში ამაზედ (გლეხთა აჯანყებაზე, — მ. ა.) ვერ ნახავ, ბრძანებაა არაფერი დაბეჭდონ"[45]. ხოლო მეორე წერილში, რომელიც სვანეთის ამბებს ეხება, ნათქვამია: ამის შესახებ „გაზეთებში არაფრის თქმის უფლება არა გვაქვს"[46].

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გლეხთა აჯანყებების შესახებ ხმები არ გახმაურებულიყო, ცდილობდა საიდუმლოდ შეენახა იგი, რათა მას გავლენა არ მოეხდინა სოფლის მოსახლეობის ფართო მასებზე. მაგალითად, სვანეთის აჯანყების დროს მთავრობა შეეცადა სვანეთსა და ლეჩხუმში არც ერთი უცხო პირი არ შეეშვა, თვით კორესპონდენტებიც კი.

---

[45] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 222.

[46] ი ქ ვ ე.

მთელი დატვირთვით მუშაობდა ცენზურა, ცდილობდა არ გაპარვოდა ისეთი წერილები, სადაც რევოლუციური იდეები იქნებოდა გატარებული. ასე მაგალითად, ცენზორს 1876 წლის შემოდგომაზე საჯიჯგნად გაუხდია „თბილისის მოამბეში" გამოსაქვეყნებელი სტატია „თბილისი, 17 სექტემბერი" და რამდენიმე დღეს იგი თავისი უწყების მაგიდაში ჩაუგდია; უშინჯია, უზომია, წითელი ფანქრით უჯირითნია მის ფურცლებზე (მაგალითად, ყველგან, სადაც რედაქცია წერდა აჯანყებულ სვან გლეხთა დატყვევებაზე, ბოლო სიტყვა ცენზორს წითელი მელნით „დაპატიმრებით" შეუცვლია) მაგრამ სტატია არც ამ სახით (უკვე სავსებით გამოშიგნული, უსულო და უფერული) გაუშვია დასაბეჭდად. თავის დაზღვევის მიზნით, იგი ახლა მეფისნაცვლისათვის გადაუგზავნია განსახილველად. ამ უკანასკნელს კი შემოწმების შემდეგ ზედ დაუწერია „აიკრძალოს"[47].

მართალია, იმ დროს უმკაცრეს საცენზურო პირობებში ჟურნალ-გაზეთებში გლეხთა მოძრაობის საკითხებზე წერა სასტიკად აკრძალული და თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობა მაინც ახერხებდა გაეპარებინა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები, რომლებიც საქართველოს სოფლებში აგრარული ბრძოლის გამწვავებას ეხებოდა. მას სამსჯავროზე გამოჰქონდა მეფის ხელისუფლების დანაშაულებრივი მოქმედებანი.

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ ამხილა რეფორმის ნამდვილი სახე. მისი შეზღუდულობა; იგი მკითხველებს განუმარტავდა სოფლად გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმის სოციალურ საფუძვლებს.

მომავალზე ფიქრი, გლეხური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელებისათვის ბრძოლა, სოციალური უთანასწორობის ლიკვიდაციისაკენ სწრაფვა, წარმოების ძირითადი საშუალების — მიწის გლეხებისათვის გადაცემა XIX საუკუნის 60—90-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციის პირველი საზრუნავი იყო და მათ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენდა იმ თავდადებულ ბრძოლაში რომელსაც აწარმოებდნენ ისინი ექსპლოატატორული კლასებისა და ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ქართველმა ინტელიგენციამ მთელის პრინციპულობით დააყენა საკითხი იმ გზების გამონახვის შე-

---

[42] ლ. ჩიქოვანი გაზ. „თბილისის მოამბე" (1873—1882). სოციალ-პოლიტიკური პროფილი, 1967, გვ. 105.

სახებ, რომლითაც უნდა მომხდარიყო საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

საგლეხო რეფორმის მკაცრი კრიტიკითა და საქართველოს მშრომელი გლეხობის დაცვით გამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე. მან ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენისა და ოგარევის თხოვნით გაზეთ „კოლოკოლში" დაბეჭდა სტატია „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", სადაც მკაცრად აკრიტიკებდა რეფორმის მტაცებლურ ბუნებას და ამბობდა მას. „კაცმა რომ იკითხოს, — წერდა ნ. ნიკოლაძე, სადღაა აქ ბატონყმობის მოსპობა. ცარიელი სიტყვით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაპარაკოთ, მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა სადაა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება? საკმარისია ოდნავ ჩაეფიქრდეს კაცი თქვენს „კანონმდებლობებს", რომ ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა... ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (საღს აზრს ვინღა დაიძებს) თქვენს ე. წ. რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე. როდესაც ბოლოს მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი. როდესაც... (მას) ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენს რეფორმის შინაარსს"[48]

მძიმე საცენზურო პირობების მიუხედავად ნ. ნიკოლაძე მაინც ახერხებდა გაზეთ „თბილისის მოამბის" ფურცლებზე, რომელსაც თვითონ ედგა სათავეში, გაეშუქებინა გლეხთა მოძრაობის საკითხები. ასე მაგალითად, სპეციალური სტატია მიეძღვნა 1874 წელს გლეხთა აჯანყების საკითხს ნოსირში. მართალია, გაზეთმა ვერ გაბედა თავისი კომენტარების დართვა, სამაგიეროდ, ვრცელი ადგილი დაუთმო იმ სასამართლო სხდომათა ანგარიშს, რომელიც 1875 წლის ნოემბერში ჩატარდა ქ. ფოთში[49].

გაზეთში ერთგვარი კომენტარებით გაშუქებული იყო აგრეთვე 1874 წლის გლეხთა აჯანყების საკითხები სოფ. ხიბულაში.

ნ. ნიკოლაძე მკაცრად აკრიტიკებდა მთავრობის აგრარულ პოლიტიკას. მან სააშკარაოზე გამოიტანა მეფის მთავრობის პოლიტიკის ნამდვილი რაობა, დაანახვა ყველას, რომ მისი ძირითადი არსი მშრომელი გლეხობის მოტყუილებაში მდგომარეობდა[50].

---

[48] ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, 1963, გვ. 273—274.
[49] გაზ. „თბილისის მოამბე", 1876, № 127.
[50] იქვე.

ნ. ნიკოლაძე დაუზოგავად კიცხავდა მეფის მოხელეებს, რომლებიც საადგილმამულო-სადავო საქმეების განხილვის დროს სრულ თვითნებობასა და მოურიდებელ მიკერძოებას იჩენდნენ.

ნ. ნიკოლაძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოში მომხდარი გლეხთა გამოსვლები საქვეყნოდ ცნობილი გაეხადა. დასახული მიზნის სისრულეში მოსაყვანად ნ. ნიკოლაძეს მთელი თავისი ხელოვნებისა და ნიჭის მაქსიმალური გამოყენება დასჭირდა. იგი პროფესიონალი რევოლუციონერისა და კონსპირატიული მოხერხებულობით ცდილობდა სააშკარაოზე გამოეტანა საქართველოში მომხდარი ამბები. ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით, ვითომც უცხოეთის სააგენტოს შეკითხვაზე — მართლა იფეთქა თუ არა აჯანყებამ, კავკასიაში, ნ. ნიკოლაძე „თბილისის მოამბის“ ფურცლებზე აღნიშნავდა, რომ კავკასიაში არავითარი აჯანყება არ მომხდარაო. მაგრამ ამ სიტყვებს შემდეგ მოსდევს სამეგრელოში მომხდარი ფაქტის ზუსტი აღწერა: „რვა სოფლის გლეხობამ, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ საადგილმამულო ურთიერთობით ყოფილ მემამულეებთან, — ვკითხულობთ გაზეთში, — უარი განაცხადეს მათ მოსავლიდან მეოთხედის გადახდაზე. ადმინისტრაციამ ბრძანება გასცა დაეპატიმრებინათ რამდენიმე გლეხი. მაშინ ხალხმა მოიწადინა დაპატიმრებულთა განთავისუფლება, მაგრამ მათ ზარბაზნებიდან ცეცხლი დაუშინეს, გლეხები დაიშალნენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მათი მხრიდან დაეცა რამდენიმე კაცი დაჭრილი და მოკლული. ამ აგრარულ მოძრაობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონია და იგი წმინდა ადგილობრივი მოვლენა იყო“[51].

ამრიგად, საქმით დაინტერესებული მკითხველი ნათლად ამოიცნობს ამ წერილის გამოქვეყნების მიზანს. წერილის შესავალში ნათქვამი სიტყვები, „არავითარი აჯანყება არც კავკასიაში და არც ამიერკავკასიაში არ მომხდარა“, ნ. ნიკოლაძეს იმისათვის დასჭირდა, რომ საშუალება ჰქონოდა განევითარებინა შემდეგში თავისი აზრი სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყების შესახებ და ამით ეცნობებინა ხალხისათვის საქმის ნამდვილი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, აღნიშნულის გარდა ნ. ნიკოლაძემ საზოგადოებრივობას აუწყა, რომ სამეგრელოს გლეხთა აჯანყებანი უკვე ცნობილი გახდა არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მთელ რიგ უცხოეთის ქვეყნებშიც კი. ამ მიზნით ივი იმავე გაზეთის ფურცლებზე თითქოს სხვათაშორის აქვეყნებდა

---

[51] გაზ. „თბილისის მოამბე“, 1876, № 161.

'ვეიცარიიდან (სოფ. ტუნინიდან) მიღებულ კორესპონდენციას, რომელშიც სინამდვილეში აღწერილია თუ რაოდენ დიდი სენსაცია მოახდინა სამეგრელოს გლეხთა აჯანყებამ უცხოეთში[52].

ნ. ნიკოლაძე აქტიურად გამოეხმაურა აგრეთვე სვანეთის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოექვეყნებინა ამ ამბოხების მასალები. მაგრამ ცენზურამ ამის ნება არ მისცა. ნ. ნიკოლაძე გაბედულად, მთელის პირდაპირობით და რეფორმატორული შემართებით შეებრძოლა გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც მეფის ხელისუფლების მიერ „ველური სვანეთისა" და „ცივილიზებულ მოხელეთა" შორის ბრძოლის შესახებ შეთხზულ ყალბ ცნობებს უწევდა პოპულარიზაციას.

ნ. ნიკოლაძეს არც კახეთის გლეხთა აჯანყება გამორჩენია მხედველობიდან[53]. იგი ამ დროს გაზეთ „ობზორში" თანამშრომლობდა. დიდი სიძნელეების მიუხედავად მაინც შეძლო სამხედრო-საველე სასამართლოზე აღნიშნული გაზეთის კორესპონდენტი გაეგზავნა.

ნ. ნიკოლაძე დაინტერესდა იმ საკითხების შესწავლით, რაც განაპირობებდა კლასობრივი ბრძოლის ესოდენ გამწვავებას ჩვენში. მან საგანგებოდ შეისწავლა სამეგრელოს, სვანეთისა და კახეთის გლეხთა აჯანყების მიზეზები[54].

XIX საუკუნის 70-იანი წლების გლეხთა გამოსვლებმა ვერ გადაჭრა მის წინაშე დასახული ამოცანები, გლეხობამ ვერ მიიღო მიწა და თავისუფლება. ის მიზეზები, რამაც განაპირობა გლეხთა ეს სახალხო აჯანყებანი, კვლავ ძალაში რჩებოდა. ეს გარემოება კარგად ესმოდა „თბილისის მოამბეს", ამიტომაც იგი ეხებოდა რა სვანეთის 1875—1876 წლების გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მიზეზებს წერდა, რომ იგივე მიზეზები შეიძლება ამზადებს რამდენიმე მსგავს სიურპრიზს, რომელიც სახელმწიფოს უჯდება დიდ მსხვერპლად და მხარის რეპუტაციის შელახვადო[55].

მართალია, ზემოთ მოყვანილ ციტატაში მომავალი აჯანყება მონათლულია როგორც „სიურპრიზი", მისი შედეგები კი როგორც „რეპუტიციის" გატეხვა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამით საშუალება მიეცეს ავტორს აკრძალულ თემაზე ჩამოაგდოს საუბარი, სინამდვილეში კი სტატიის ქვეტექსტი გვამცნობს, რომ ამით საქმე არ მოთავებუ-

---

[52] გაზ. „თბილისის მოამბე", 1876, № 181.
[53] გაზ. „ობზორი", № 310, 1878.
[54] ლ. ჩიქოვანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 122.
[55] იქვე, გვ. 109.

ლა, სახალხო აჯანყება მომავალში კვლავ განმეორდება. სწორედ ამის გამო ვერ ეღირსა ეს სტატია მზის სინათლეს.

6. ნიკოლაძესთან და სხვა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებთან ერთად გლეხების დასაცავად ხმა აიმაღლა აგრეთვე დ. ერისთავმა. კერძოდ, მან სასტიკად გაილაშქრა რეაქციული პრესისა და სახელდობრ კატკოვის წინააღმდეგ, რომელიც გლეხთა გამოსვლებს საქართველოში უგუნურობის შედეგს უწოდებდა. დ. ერისთავი თავის ცნობილ სტატიაში „სადღესო" („на сегодня") მიუთითებდა, რომ სამეგრელოში, სვანეთსა და საერთოდ კავკასიაში მომხდარი აჯანყებანი მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობის შედეგი იყო[56].

რეფორმის მაბინჯი მხარეების მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ცნობილი მოღვაწე, გამოჩენილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი სერგეი მესხი. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საგლეხო რეფორმა. იგი მოითხოვდა ბატონყმობის გადმონაშთების, პირველ რიგში, დროებითვალდებულთა ინსტიტუტის ლიკვიდაციას, სოფლის მშრომელებისათვის მიწების გადაცემას. ს. მესხმა თავის წერილებში ვრცელი ადგილი დაუთმო XIX საუკუნის 70-იანი წლების გლეხთა აჯანყების საკითხებს. ამ მასალების გულდასმითი გაცნობა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ს. მესხის პოზიცია. იგი სვანეთის გლეხთა აჯანყებას დიდმნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევს, თანაგრძნობითა და სიმპათიითაა განწყობილი მის მიმართ. ს. მესხი პირდაპირ აცხადებს „სისხლის დაღვრა ხანდისახან კარგია ხალხისათვისო[57].

გაზეთი „დროება", რომელიც ერთ დროს ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა თითქმის ყოველდღე ბეჭდავდა გლეხთა მდგომარეობის ამსახველ ცნობებს. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „მოსკოვის უწყებებს" კავკასიის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკის ზისერმანის წერილის გამოქვეყნების გამო, რომელშიც განგაში იყო ატეხილი სვანეთის აჯანყების შესახებ.

„დროებამ" პირდაპირ მიუთითა სვანეთის აჯანყების ნამდვილი მიზეზები. მოხერხებულად, თავშეკავებულად და ამავე დროს საქვეყნოდ ამხილა ის სისასტიკე, რომელიც ცარიზმმა სვანეთის აჯანყების ჩაქრობაში გამოიჩინა.

გლეხთა მოძრაობის გამომწვევ მიზეზებს არაერთხელ შეეხო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი

---

[56] ი. ჩიქოვანი. იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 109

[57] ს. მ ე ს ხ ი , წერილები, გვ. 190.

მედროშე ილია ჭავჭავაძე. იგი მუდამ გვერდში ედგა მშრომელ გლეხობას და მისთვის ჩვეული სიმტკიცით იცავდა მის ინტერესებს[58].

ი. ჭავჭავაძე ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ წყობაზე, სადაც ადგილი არ ექნებოდა მუქთახორობას. იგი კარგად ხედავდა ქონებრივ უთანასწორობას და მის შედეგად წარმოშობილ გამწვაეებულ კლასობრივ ურთიერთობას.

ილიას ისეთი ქმნილებები, როგორიცაა „ოთარაანთ ქვირეი", „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" და სხვ. ხალხში აღვივებდა თავადაზნაურობისადმი სიძულვილს, აშაღლებდა მასების თვითშეგნებას და ხელს უწყობდა რევოლუციური აზრის განვითარებას.

ი. ჭავჭავაძემ მკაცრად, საჯაროდ გააკრიტიკა მთავრობის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმა, დაგმო „მეოთხედობა", მოითხოვა დროებითვალდებულების მოსპობა, დებულების იმ პუნქტის გაუქმება, რომელიც ნადელის გამოსყიდვას მთლიანად მემამულის ნება-სურვილზე დამოკიდებულს ხდიდა. მანვე დააყენა შესყიდულ მიწებზე სათანადო დოკუმენტაციის შედგენის გამარტივების საკითხი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 70—90-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენცია რევოლუციურ პოზიციებზე იდგა. როდესაც სოფლებში სახალხო აჯანყებათა ხანძარმა იფეთქა მან საჭიროდ დაინახა აქტიურად ჩარეულიყო ამბოხებულთა საქმეში, რათა განსაცდელიდან ეხსნა და დაეცვა აჯანყებული გლეხობა.

საქართველოს მებრძოლ გლეხებს აქტიურად დაუჭირა მხარი აკაკი წერეთელმა, იგი არა მარტო თავისი უკვდავი ლექსებით ამხნევებდა ჩაგრულ გლეხკაცობას, არამედ პრაქტიკულ დახმარებასაც უწევდა მათ და არაერთხელ გამოსულა გაბედული პროტესტით გლეხების დასაცავად.

1875 წელს, როცა სვანეთის გლეხობამ გადაწყვიტა იარაღით გასწორებოდა მოძალადეებს, ა. წერეთელმა თავს იდვა აჯანყებულთა დაცვა სასამართლოში და საზოგადოების სახელით მკაცრად გაკიცხა მეფის ის მოხელეები, კანონი და რეჟიმი, რომლებმაც პატიოსანი, მშრომელი გლეხები სისხლისღვრამდე მიიყვანა.

ა. წერეთლის მიერ სვანეთის აჯანყებული გლეხობის დასაცავად წარმოთქმული ეს სიტყვა[59] ფრიად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. მასში მთელი სიცხადით ჩანს ჩვენი დიდი პოეტის დამოკიდე-

---

[58] პ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი თბ., 1954. გვ. 130—230.

[59] ალ. კოჭლავაშვილის პუბლიკაცია, გვ. 189—196.

ბულება გლეხთა აჯანყებისადმი. პოეტი მეფის ინტერესების დამცველ პოსამართლეებს ინკვიზიტორებს ადარებს და უწინასწარმეტყველებს, დადგება დრო როცა თვით ხალხი გამოუტანს მათ განაჩენს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გაშილი კლასობრივი ბრძოლის საკითხებს ფართოდ გამოეხმაურა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გ. წერეთელი. მან 1878 წლის კახეთის გლეხთა აჯანყების საკითხს სპეციალური წერილები უძღვნა, რომელიც დაიბეჭდა გაზეთებში „დროებაში", „გოლოსში" და სხვ.

გ. წერეთელმა განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიჩინა აფხაზეთის 1877 წლის აჯანყებისადმი. „როგორ, ეს ის აფხაზეთია,—წერდა იგი, — რომელიც უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს საუკეთესო ნაწილს შეადგენდა? ოთხი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა თურქების წინააღმდეგ თავისი დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ უკანასკნელ დროს დამშვიდდა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ. დაივიწყა ყოველივე ეს და უჭკუოდ გაუწოდა ხელი თავის საუკუნოვან მტერს" გ. წერეთელი, საკუთარი სამართლიანად, აჯანყების ნამდვილ მიზეზად მოსახლეობის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას მიიჩნევდა. ისე, როგორც ეს მოხდა სამეგრელოსა და სვანეთში: „აფხაზებმა იარაღი აიღეს მას შემდეგ, რაც ჩვენ ისინი ბედის ანაბარად მივატოვეთ, რაც თურქები მოვიდნენ და დაიკავეს მხარე, წაართვეს მათ ქონება და მუქარით აიძულეს ისინი წასულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, რომ არ დაგვეტოვებინა ჩვენ აფხაზები, ისინი არც კი დაფიქრდებოდნენ თურქების წინააღმდეგ წასვლაზედ[60].

გლეხთა მოძრაობის საკითხი ერთერთ ძირითად თემას წარმოადგენდა ე. ნინოშვილის შემოქმედებაში. მწერალი გაბედულად, ნათელ ფერებში გვიხატავდა აგრარული ბრძოლის იმ ფორმას, რომელიც ფირალობის სახელით იყო ცნობილი.

ე. ნინოშვილმა სასტიკად გაილაშქრა ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ყალბი თეორიის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც გურული ფირალები „ხალხთა მძარცველებად" იყვნენ გამოყვანილნი[61].

ე. ნინოშვილი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში კატეგორიული ტონით აცხადებდა: „გურიის გლეხთა საყოველთაო აჯანყების მიზეზი არის არა შთამომავლობით ცუდი ინსტიქტი, არამედ სოციალური და ადმინისტრაციული წესწყობილება[62].

---

[60] газ. «Голос», № 253, 1877.

[61] ე. ნინოშვილი, თხზ. II, 1959, გვ. 260.

[62] იქვე, გვ. 323.

ეხებოდა რა გურიის გლეხების „ყაჩაღად“ გასვლის მიზეზებს ე. ნინოშვილი შემდეგ საგულისხმო აზრს გამოთქვამდა: „ერთი ცხვრისკენ თქვი, მეორე მგლისკენო“ — ამბობს ჩვენებური ანდაზა. ყოველთვის და ყველაფერში რომ ყაჩაღებს ვამტყუნებთ, ვლანძღავთ, ვაგინებთ და დავსტირით მარტო იმის ნასისხლარს და ამას ვახმარებთ ამდენ დროს, რატომ ერთხელ იმ მიზეზებზეცაც არ დავფიქრდებით, რომელნიც ჰბადებენ ყაჩაღობას“[63].

ჩაგრული გლეხობის ერთგული დამცველი ე. ნინოშვილი მთელი ხმით აცხადებდა: „მერე იცით ვინ არიან ეს ფირალები ცოლშვილიანი კაცები, რომელნიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ. აი ასეთი ადამიანი უხილავი, უბედურების გარემოების მიზეზით დღეს სტოვებს ცოლ-შვილს, იღებს თოფს და ნადირივით გარბის ტყეში ფირალდება“[64].

ამრიგად, ე. ნინოშვილმა მთელი პირდაპირობით ამხილა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ყალბი და ანტიხალხური შეხედულებანი, გამოექომაგა თავის ბედკრულ ხალხს. მისი პუბლიცისტური გამოსვლები იყო პროტესტი არსებული წყობილების წინააღმდეგ.

გლეხობის დიდი ნაწილის გაღარიბებასთან დაკავშირებით პროპორციულად იზრდებოდა შეძლებულ გლეხთა ხვედრითი წონაც. ე. ნინოშვილმა თავის ნაწარმოებებში მშვენივრად დაგვიხატა ის სოციალური პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეფორმის შემდეგ სოფლად. ეს იყო ძირითადად ბრძოლა მდიდარ და ღარიბ გლეხობას შორის.

ცნობილია, რომ ე. ნინოშვილი თავისი მოთხრობების სიუჟეტებს რეალური ცხოვრებიდან იღებდა. მისი გმირების პროტოტიპები მისივე მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები იყვნენ[65].

გლეხთა მოძრაობის თავისებური ფორმის—ფირალობის საკითხს საგანგებოდ ეხება მწერალი ნ. ნათაძე (მელანო). მან გამოაქვეყნა შესანიშნავი ნაწარმოები „ბნელო“, რომელშიც ნათლადაა გადმოცემული ბატონყმობისშემდგომი პერიოდის გლეხთა მდგომარეობა და ახსნილია ფირალობის წარმოშობის მიზეზები. ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელმა ალ. წულუკიძემ ნ. ნათაძის „ბნელო“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნა, რომლებმაც „სინამ-

---

[63] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზ. ტ. II, 1959, გვ. 323—324.
[64] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზ. ტ. III, 1935, გვ 26.
[65] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, ტ II, გვ. 220.

დვილით... სიმარტივით და ნათლად „დახატეს“ დიდმნიშვნელოვანი ფაქტი“[66].

XIX საუკუნის 60—90-იანი წლების საქართველოს სოფელში მდიდარ და ღარიბ გლეხობას შორის წარმოებული ბრძოლის სურათები მთელი თავისი დამაჯერებლობით აქვს ასახული აგრეთვე ს. მგალობლიშვილს. მან ისაკა ბღუნძელაშვილისა და ფიდუა ეშმაკურაშვილის ტიპების შექმნით დაგვიხატა რეფორმის შემდეგდროინდელი პერიოდის მდიდარი გლეხის სახეები. მათ შესახებ ს. მგალობლიშვილი ღარიბ გლეხს ათქმევინებს“: ფიდუა და ისაკა გლეხების ყველაფით არიან გამდიდრებულნი და მაშინ, როცა სხვა გლეხებს წლითი წლობამდის არ ყოფნით თავისი ჭირნახული ფიდო და ისაკა კიდევაც ყიდიან ზედმეტ ნოსავალს და სახლკარსა და საქონელს უმატებენ“.

სოფრომ მგალობლიშვილი მარტო მდიდარი გლეხის ტიპის შექმნით როდი კმაყოფილდება, იგი გვიჩვენებს თვით ამ ერთი კლასის გლეხებს შორის გაშლილ ბრძოლასაც. მდიდრების მოქმედებით აღშფოთებული ღარიბი გლეხები ერთმანეთს ურჩევენ:“ სახლის კარები შეუკრათ (მდიდრებს, — მ. ა.) მეზობლად ნუ გავატარებთ. გუთანში ხარს ნუ შეუბამთ, მუშად ნუ გავყვებით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჭირსა და ლხინში ნუ მივხედავთ. რა არის ვითომ ნუ ყოფილან ეგენი სოფელში ისე ვიანგარიშოთ“. მდიდარ და ღარიბ გლეხებს შორის ბრძოლის საკითხებს სოფრომ მგალობლიშვილი კი ასე გადმოგვცემს „ამოირჩიეს ექვსი კაცი (ღარიბებმა, — მ. ა.) სამი ზემოუბნელებმა, ცეცო და პაფო და სამიც ქვემოდან და მიანდეს მტარველების დასჯა, რითაც იყო გლეხკაცობა უმთვარო ღამეში თავს დაესხა ფიდუას და ისაკას და კეტებით სცემს ისინი“[67].

მდიდარსა და ღარიბ გლეხობას შორის არსებული ანტაგონიზმი ასახული აქვს აგრეთვე შ. არაგვისპირელს. რეალისტური მხატვრული ტიპების შექმნით მან მკითხველის თვალწინ გააცოცხლა გლეხთა მოძრაობის სურათები, თავისი შემოქმედებით შ. არაგვისპირელი მშრომელ გლეხობაში რევოლუციურ სულისკვეთებას ნერგავდა.

საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი არა მარტო ჩვენი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველოს მშრომელი გლეხობის რევოლუციური მოძრაობის ამსახველ სტატიებს, არამედ უცხოეთის პრესაშიც ბეჭდავდნენ იმავე შინაარსის წერილებს. საქართველოში გლეხთა მოძრა-

---

[66] აღ. წულუკიძე, თხზ., გვ. 11.

[67] ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, 1951, გვ. 384.

ობის საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე—დემოკრატიული ნაწილი. სანიმუშოდ მოვიტანთ ასეთ მაგალითს:

სტუდენტი კონსტანტინე ბაქრაძე, რომელიც პეტერბურგში სწავლობდა, საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ლიდერს, ეგნატე იოსელიანს სწერდა, რომ სვანეთსა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შესახებ ცნობები რაც შეიძლება სწრაფად გაეგზავნა მისთვის, რადგან სამეგრელოს ამბებს, როგორც იგი ამბობდა „ვპერიოდის" თანამშრომლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს[68].

მეორე წერილში უცნობი ავტორი მიხეილ ყიფიანისადმი 1876 წლის აგვისტოში გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ პეტერბურგში სამეგრელოს გლეხთა მოძრაობისადმი ინტერესი დიდი იყო. ამასთანავე წერილის ავტორი ურჩევდა მიხეილ ყიფიანს, რომ ამის შესახებ „ვპერიოდის" რედაქციაში „მაგარი სტატია" გაეგზავნა.

რუსულმა ორკვირეულმა ჟურნალმა „ვპერიოდმა" სპეციალური სტატიები მიუძღვნა სამეგრელოსა და სვანეთის გლეხთა აჯანყების საკითხებს; ეს ფაქტი თავისთავად მიგვითითებს იმ სიმპათიებზე, რომელსაც რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია იჩენდა საქართველოს მიმართ.

მეფის ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებულმა ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა საქართველოში მომხდარი გლეხთა აჯანყების საკითხები საქვეყნოდ ცნობილი გახადა. ამით მან გლეხთა მოძრაობას მეტი ფასი და რეზონანსი მისცა. ეს გარემოება გლეხობას შეტ ენერგიასა და გამბედაობას მატებდა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, რეფორმის შემდგომდროინდელ პერიოდში გლეხთა კლასობრივი ბრძოლის სურათები თავიანთ პუბლიცისტურ წერილებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ფართოდ ასახა იმ დროის მოწინავე ინტელიგენციამ. მან ამხილა და სააშკარაოზე გამოიტანა აგრარული ბრძოლის წარმოშობის მიზეზები და მაღალი პრინციპულობით დაიცვა გლეხების ინტერესები. ზემოაღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა რევოლუციურად განწყობილ გლეხობასთან ერთად შექმნა ერთი მთლიანი დემოკრატიული ფრონტი არსებული წყობილების წინააღმდეგ.

---

[68] სსსა, ფ. 7, ანაწ. 2, საქ. 2506, ფურც. 27.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ 1865—1895 წლების გლეხთა გამოსვლებს ზოგჯერ თან სდევდა ხელისუფლების მხრიდან ზოგიერთი დათმობები, საბოლოო ჯამში ყველა ისინი მაინც მარცხით დამთავრდა. აღნიშნული გარემოება შემთხვევითი არ ყოფილა. მას თავისი მიზეზები გააჩნდა.

რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში გლეხთა გამოსვლები ატარებდა ლოკალურ, დაქუცმაცებულ, სტიქიურ ხასიათს. გლეხებს არ წამოუყენებიათ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. ეს გასაგებიცაა. მათ არ ჰქონდათ ნათელი პოლიტიკური შეგნება. „გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა, გარკვეული ნათელი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წესწყობილების შეცვლისა“[69]. საქართველოს გლეხთა მოძრაობა ყოველგვარი წინასწარი პროგრამის გარეშე მიმდინარეობდა. გლეხებს არ გააჩნდათ სამოქმედო გეგმა, არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

არ არსებობდა რევოლუციური საზოგადოებრივი ძალა, რომელიც შეძლებდა ჩადგომოდა სათავეში გლეხთა მოძრაობას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული კლასი, რომელსაც შეეძლებოდა გლეხთა მოძრაობისათვის მიეცა პოლიტიკური მიმართულება. გლეხთა აჯანყება შეიძლება გამარჯვებით დამთავრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაკავშირებულია მუშათა აჯანყებასთან. გლეხთა აჯანყებანი ჩააქრეს, რადგან სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან. ვ. ი. ლენინს გამარჯვების ერთერთ ძირითად პირობად პროლეტარიატის და გლეხობის მჭიდრო კავშირი მიაჩნდა. „წვრილ გლეხობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავი დააღწიოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრას თუ იგი მუშათა მოძრაობას მიემხრობა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — დაეხმარება მას სოციალისტური წყობილებისათვის ბრძოლაში, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა (ფაბრიკების, ქარხნების, მანქანებისა და სხვ.) საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევისათვის ბრძოლაში“[70].

———

[69] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 529.
[70] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 520.

გლეხები ბოლომდე თანმიმდევრული არ იყვნენ. საკმარისი იყო მცირედი დათმობა და ისინი ბრძოლას წყვეტდნენ. არ იყო პარტია, რომელიც წაუძღვებოდა გლეხობას და გარკვეულ მიმართულებას მისცემდა მის ბრძოლას, შეაკავშირებდა ექსპლოატირებულ კლასებს და დარაზმავდა მათ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხელისუფლება და მემამულეები ერთად გამოდიოდნენ გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ხელში იყო შეიარაღებული ძალა, რომელსაც გლეხებმა თითქმის ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს. გლეხობის ბრძოლამ უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად, შედეგი ვერ გამოიღო. მეფის მთავრობამ ისინი გამოაცხადა მეამბოხეებად და მძარცველებად. მათ წინააღმდეგ იგზავნებოდა შეიარაღებული რაზმები და ზოგჯერ ჯარიც კი. საბოლოო ჯამში გლეხები დაამარცხეს, ბევრი მათგანი მხეცურად გაროზგეს ან მოკლეს.

ვ. ი. ლენინი გლეხობაში დიდ რევოლუციურ ძალას ხედავდა და მას თვლიდა მუშათა კლასის პირველ მოკავშირედ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინს პირველ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა გლეხობაში პოლიტიკური შეგნების შეტანა, მათი დარაზმვა და წაყვანა გადამწყვეტ იერიშზე. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ჩვენს წინაშე დგას დიადი ამოცანა დავრაზმოთ ყველა ეს არმია, დავრაზმოთ ისე, რომ შეგვეძლოს არა მხოლოდ წუთიერ მღელვარებათა მოწყობა, არა მხოლოდ შემთხვევითი, დაქსაქსული (და ამიტომაც არა საშიშარი) იერიშების მიტანა მტერზე, არამედ შეგვეძლოს მისი დევნა შეუდრეკელი, შეუპოვარი და გამობრძმედილი ბრძოლით მთელ ხაზზე, შეგვეძლოს თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან, სადაც კი ის თესავს ჩაგვრას და იმკის სიძულვილს, და განა ასეთი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ გლეხობის მრავალმილიონიან მასაში არ შევიტანეთ კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური შეგნების თესლი“[71].

მიუხედავად იმისა, რომ 1865—1895 წლების გლეხთა გამოსვლები მარცხით დამთავრდა, გლეხთა ამ მოძრაობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მან აიძულა ხელისუფლება ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო; მეორე — იგი ქმნიდა საქართველოს მშრომელი გლეხობის ბრძოლის მდიდარ ტრადიციებს და წარმოადგენდა იმ რევოლუციური მოძრაობის წყალუხვი მდინარის შენაკადს, რომელიც მოედინებოდა რუსეთში გასული საუკუნის 60—90-იან წლებში.

---

[71] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 526—527.

ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოში გლეხთა განუწყვეტელმა მღელვარებებმა ხელი შეუწყვეს 1905—1907 წლების რევოლუციის წინამძღვრების მომზადებას.

მოკლე დასკვნები

საქართველოში ბატონყმობა 1864 — 1871 წლების რეფორმით გაუქმდა, ხელისუფლებამ, რამდენადაც მას ეს შეეძლო, ქართველი თავადაზნაურობის ინტერესები არ შელახა, მნიშვნელოვნად შეუნარჩუნა ბატონყმობისდროინდელი პრივილეგიები, შემორჩა ფეოდალიზმის მრავალგვარი გადმონაშთები, პირველ რიგში დროებითვალდებულთა ინსტიტუტი.

გლეხობა რეფორმის შედეგად უფრო მძიმე ეკონომიურ პირობებში აღმოჩნდა, ვიდრე იგი მანამდე იყო. დებულების ძალით მთელი მიწები მებატონეთა საკუთრებედ იქნა აღიარებული. გლეხებს მუდმივ სარგებლობაში (რეფორმამდელთან შედარებით) მხოლოდ შემცირებული ნადელები მიეცათ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავადაზნაურობამ მიწის ფეოდალური საკუთრების შენარჩუნების ბაზაზე, ბატონყმობის გაუქმების შედეგად მეტ-ნაკლები ზომით შეინარჩუნა გარეეკონომიური იძულების უფლება, რასაც მაქსიმალურად იყენებდნენ მემამულეები. მიწის ფონდის შემცირებით მემამულეთა შემოსავალიც შემცირდა, მაგრამ ისინი დანაკარგს ღალა-კულუხის მაღალი განაკვეთებით ინაზღაურებდნენ. ღალა-კულუხი კვლავ ფეოდალური ვალდებულების ხასიათს ატარებდა. რეფორმის შემდეგ საქართველოს მშრომელ გლეხობაზე გაწერილი ბეგარა-ვალდებულებანი და სხვა გადასახადები დროებითვალდებულ გლეხებს (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბატონყმობისაგან მის იურიდიულ თავისუფლებას) თავისი მდგომარეობით ძალზე აახლოვებდა ყმაგლეხობასთან.

საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში რეფორმის შემდეგ წარმოების კაპიტალისტური წესი სწრაფად იჭრებოდა და მტკიცდებოდა. ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთის კაპიტალმა, რომელიც კავკასიასაც აქცევდა ბურჟუაზიული განვითარების სფეროში. საქართველოში კაპიტალიზმი ვითარდებოდა ბა-

ტონყმური გადმონაშთების არსებობის პირობებში — პრუსიული გზით.

კაპიტალიზმის განვითარებამ და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდამ თავადაზნაურული (წოდებრივი) მფლობელობა მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვნად შეარყია. თავადაზნაურობა ყიდდა თავის მამულებს, მყიდველები კი იყვნენ გლეხობის ზედაფენის წარმომადგენლები, ვაჭრები, მევახშეები, მრეწველები და სხვ.

რეფორმის შემდგომდროინდელი პერიოდის საქართველოში კლასობრივი დიფერენციაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლად, ერთი მხრივ, მდიდარი ბობოლა გლეხების ფენა წარმოშვა, ხოლო, მეორე მხრივ, ქონებრივი დიფერენციაცია სწრაფი ტემპით წავიდა როგორც მიწათმოქმედების, ისე მეცხოველეობის რაიონებში. ქონებრივ-სოციალური დიფერენციაციის შედეგად სოფლად გაჩნდა უმიწაწყლო გლეხთა დიდი არმია, რომლის ერთი ნაწილი თავს ქალაქებს აფარებდა და ყოველდღიური ლუკმაპურის ძიებაში სული ხდებოდა, ხოლო მეორე ნაწილი იძულებული იყო მიწაისევ მემამულისაგან აეღო იჯარით. ამ დროისათვის იჯარის ორი ფორმა არსებობდა, ერთი მეურნეობის გაფართოებისათვის, მეორე კი გაჭირვებით გამოწვეული იჯარა.

მემამულეებმა რეფორმის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს გლეხკაცობის ჩაგვრა-ექსპლოატაცია. 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით ნადელების გამოსყიდვამდე ყმები დროებითვალდებულთა დამოკიდებულებაში მოექცნენ. მათ მიეცათ მიწის გარკვეული ნაკვეთი (ნადელი), რისთვისაც უნდა ეხადათ რეფორმით დაწესებული გადასახადები. აღნიშნული ურთიერთობა ფორმდებოდა საწესდებო სიგელებით, რომლებიც გლეხთა დროებითვალდებულობითი ურთიერთობის იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენდა. სიგელების შედგენის წესებში აშკარად გამოიხატა რეფორმის ხასიათი. მისი ყოველი პუნქტი (ზოგი პირდაპირ, ზოგი შენიღბულად) მემამულეთა ინტერესებს იცავდა. საწესდებო სიგელებში ყველაფერი როდი იყო განსაზღვრული. დიდი უფლებები ენიჭებოდა ტრადიციისა და ადათ-ჩვეულებების საფუძველზე მხარეების ნებაყოფლობით შეთანხმებას. სიგელების შედგენის ირგვლივ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ხელისუფლება აშკარად მოელოდა, ამიტომ მან მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებანი გაატარა. მომრიგებელ-შუამავლებს და მაზრის უფროსებს საგანგებო მითითება მიეცათ, რომ ყველაფერი გაეკეთე-

ბინათ გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობის გამწვავების თავიდან ასაცილებლად: ურჩობის მოთავეები და დებულების საწინააღმდეგო აგიტაციაში შემჩნეული გლეხები, საწესდებო სიგელების შედგენამდე, სოფლიდან სასწრაფოდ გაესახლებინათ რუსეთის შიდა გუბერნიებში. საგლეხო საქმეთა საკრებულოებში გამოძახებულ იქნენ მომრიგებელ-შუამავლები და მათი კანდიდატები, მიეცათ ინსტრუქტაჟი და საგანგებო დავალებით გაიგზავნენ სოფლებში, იქვე გაიგზავნენ მიწისმზომლებიც. სიგელების შედგენის მიმდინარეობის საკითხი არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი, როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოში. გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა საქმის წარმატებით დამთავრებისათვის. სიგელების შედგენის ყოველგვარი ვადა ამოიწურა, საქმეს კი ბოლო არ უჩანდა. 1867 წლიდან მომრიგებელ-შუამავლებს უფლება მიეცათ გლეხებისა და მემამულეების დასწრების გარეშე შეედგინათ სიგელები. ამიერიდან ეს საქმე აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, კიდეკ უფრო აირია ისედაც აბნეული საადგილმამულო ურთიერთობა. სიგელების შედგენა საქართველოში ორი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იგი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვერ მოესწრო მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში და დიდხანს გაგრძელდა. ეს გარემოება შემთხვევითი არ ყოფილა, მას თავისი მიზეზებიც გააჩნდა. ჯერ ერთი, მებატონეებმა გლეხების მიერ ერთხელ ნაყიდი მიწები სადავოდ გახადეს, რამაც რეფორმის გატარების დროს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო: საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული არევ-დარევა მნიშვნელოვნად აფერხებდა სიგელების შედგენას, მეორე, თვითონ მემამულეები, ბატონყმური ურთიერთობის გახანგრძლივების მიზნით, ხელს უშლიდნენ სიგელების შედგენას; მესამე, მოუქნელად და მოუხერხებლად მოქმედებდნენ მომრიგებელ-შუამავლები; მეოთხე, საქმეს ართულებდა საქართველოს ბატონყმური ერთიერთობის თავისებურებანი და ბოლოს მეხუთე, გლეხები უარს ამბობდნენ დებულების ზოგიერთი პუნქტის ცხოვრებაში გატარებაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სოფლად მშრომელი გლეხობის გამოფხიზლებისა და დებულების ხასიათის გამოაშკარავების საქმეში დიდი როლი შეასრულა აგიტატორ გლეხთა მოღვაწეობამ.

საქართველოს სოფელში სიგელების შედგენის პროცესში დებულების საწინააღმდეგო აგიტაციამ ფართო ხასიათი მიიღო. აგიტატორმა გლეხებმა თითქმის ყველა სოფელში გააჩაღეს მუშაობა. მათი მოქმედების არე მეტნაკლებად მშობლიური სოფლით შემოიფარგლე-

ბოდა, თუმცა ეხვდებით არა მარტო აგიტატორთა ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლას, არამედ დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მათი წასვლის შემთხვევებს. აგიტატორთა მოღვაწეობის მიზანი იყო გლეხობის დარაზმვა მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აგიტატორთა ერთ ნაწილს სოფლად ამგვარი მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნდა. აგიტატორები გლეხებს რეფორმის შესახებ სწორ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ, უხსნიდნენ მის მძარცველურ ხასიათს, მოუწოდებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ურჩევდნენ არ დამორჩილებოდნენ მემამულეებს, უარი ეთქვათ სიგელების შედგენა-ხელმოწერასა და მასში წარმოდგენილი პირობების ცხოვრებაში გატარებაზე და სხვ. მრავალრიცხოვანი აგიტატორების ერთმა ნაწილმა იცოდა რუსული ენა, ჰქონდა კრიტიკული შენიშვნები მანიფესტისა და დებულების მიმართ. თავისი შეგნებული ცხოვრებით აგიტატორები პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებულ მებრძოლთა შთაბეჭდილებას ტოვებენ. ისინი სოფლის მკვიდრნი იყვნენ. კარგად იცნობდნენ გლეხების დუხჭირ ცხოვრებას და ერთგულად იცავდნენ მათ ინტერესებს.

მთავრობის ადგილობრივი ორგანოები სოფლად შექმნილ ვითარებას ფხიზლად უთვალთვალებდნენ, თითოეული აგიტატორის მოქმედება აღრიცხვაზე იყო აყვანილი და სათანადო ორგანოებში რეგისტრირებული. ასობით გლეხი დააპატიმრეს და გაასახლეს ციმბირში. რეპრესიებმა ვერ შეაჩერა რევოლუციური აგიტაცია სოფლად. აგიტატორთა საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. დებულების ირგვლივ საქართველოს გლეხობის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო.

სიგელების შედგენის დროს გლეხთა საპროტესტო მოძრაობის ჩვეულებრივი ფორმა იყო საწესდებო სიგელების ხელმოწერაზე უარისქმა. ათასობით გლეხი აღსდგა დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ. გლეხები არა მარტო უარს ამბობდნენ სიგელების ხელმოწერაზე, არამედ ემუქრებოდნენ მემამულეებს, არ ემორჩილებოდნენ მოგზრიგებელ-შუამავლებს და საგლეხო საქმეების საკრებულოდან გაგზავნილ მთავრობის ოფიციალური პირებს. ხელისუფლებას ამ ღონისძიების გატარებისათვის სულ უფრო ხშირად სჭირდებოდა შეიარაღებული ძალების მოშველიება.

სოფლად კლასობრივი ანტაგონიზმი მწვავდებოდა. ეს მასობრივ საჩივრებშიც ვლინდებოდა. მომჩივან მხარეებად გვევლინებოდნენ როგორც გლეხები, ისე მემამულეები. საჩივრები იწერებოდა ცალკეული გლეხების, ზოგჯერ კი გვარის ან მთელი სოფლის მიერ. საჩივ-

რებში გამოხატული პროტესტი ბრძოლის შედარებით პასიური ფორმა იყო, ვიდრე ურჩობა ან ცალკეული გლეხების თუ მთელი საზოგადოების მიერ მემამულეებისადმი ბოიკოტის გამოცხადება. მემამულეებსა და გლეხებს შორის აღძრული ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრები პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს: პირველი უკავშირდება საადგილმამულო ურთიერთობას, მეორე — ურთიერთვალდებულებათა შესრულებას, მესამე — სოფლის მოხელეებს თვითნებობას და მეოთხე — ძირითადად შინაკლასობრივ ანტაგონიზმს გამოხატავს.

მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრები ფართოდაა გაშლილი ჩვენში რეფორმის გატარების (1864—1871) წლებში, 70-იანი წლების მეორე ნახევარში კი იგი რამდენადმე შემცირდა. ის ფაქტი, რომ ამ დროს საქართველოში გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმი სამომრიგებლო დაწესებულებებში აღძრულ მასობრივ დავა-საჩივრების ფარგლებს არ სცილდება და გლეხკაცობა იარაღს არ ჰკიდებს ხელს, აიხსნება არა იმით, რომ ამისთვის ამ დროს სათანადო პირობები არ არსებობდა, არამედ იმით, რომ ქართველი გლეხკაცობა ჯერ კიდევ რეფორმის პირველი დღეებით გამოწვეული სიხარულით იყო შთაგონებული, ამ ღროის შთაბეჭდილებებით და ილუზიებით იკვებებოდა და რეფორმით ნამდვილ თავისუფლებას ელოდებოდა. საჩივრების, როგორც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმის დახასიათებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას თუ ვინ არის მომჩივანი მხარე, მემამულე თუ გლეხი. როცა მემამულეთა ძალადობის გამო გლეხი ჩივის—ამ შემთხვევაში გლეხს კიდევ სჯერა, რომ მემამულეთა თვითნებობის ალაგმვაში მას დაეხმარება ხელისუფლება, ხოლო როცა მემამულე ჩივის გლეხთა ურჩობის გამო და სახელმწიფოს სთხოვს დახმარებას, საქმე გვაქვს გლეხთა მოძრაობის შედარებით განვითარებულ ფორმასთან. ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში მემამულეთა ძალმომრეობას გლეხი ძალით პასუხობს.

რეფორმის გატარების პროცესში ჭარბობს მემამულეთა საჩივრები. თუ გლეხების მიერ აღძრულ საჩივრებს მემამულეთა წინააღმდეგ მივიჩნევთ ბრძოლის შედარებით პასიურ ფორმად, ხოლო მემამულეთა საჩივრებს გლეხების წინააღმდეგ კი ამ უკანასკნელთა კლასობრივი ბრძოლის შედარებით მწვავე გამოვლინებად, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში, კერძოდ, XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარსა და 70-იან წლებში, გლეხები აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ მემამულეთა წინააღმდეგ. ისინი არა მარტო ჩივიან, არამედ უპირატესად ურჩობენ, იტაცებენ მემამულეთა ბეწვებს, არ იხდიან გადასახადებს, თავს ესხმიან მემამულეებს, ანად-

გურებენ მათ სახლ-კარს, გარბიან, იმალებიან და სხვ.

ამრიგად, რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში გლეხთა აღშფოთება სხვადასხვა სახითა და ფორმით ვლინდებოდა. ბრძოლის ჩვეულებრივი ფორმები იყო: საჩივრები, მემამულეთა მიწების მიტაცება, ნატურალურ და ფულად გადასახადებზე უარისთქმა, მემამულეთა მკვლელობა, მათი მეურნეობის განადგურება, გაქცევა-გახიზვნა, „ყაჩაღად" ანუ, როგორც გურიაში უწოდებდნენ, „ფირალად" გასელა და ბოლოს მასობრივი შეიარაღებული აჯანყებები.

გლეხთა მოძრაობას, რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში, წითელ ზოლად გასდევს ბრძოლა მეურნეობის ბატონყმური გადმონაშთების წინააღმდეგ. საქართველოს მშრომელი გლეხების ბრძოლა ძირითადად აგრარულ ხასიათს ატარებდა, გლეხობა თავგამოდებით იბრძოდა მიწის საკუთარი ფონდის შესაქმნელად. ქართველი გლეხობა რეფორმის პირველ დღიდანვე გამოდიოდა დებულების თითქმის ყველა მუხლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ მუხლებისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ რეფორმამდე გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწების ჩამორთმევას. ადგილობრივი დებულება აწესებდა საკომლო მიწის უმაღლეს ნორმას, მინიმუმს კი არ საზღვრავდა. დებულების ძალით საკომლო მიწის უმაღლესი ნორმის დაწესება თავისთავად მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა. მემამულეებმა ფართოდ გამოიყენეს დებულების ეს მუხლი და ისინი გლეხებს შემცირებულ ნადელებს აძლევდნენ. გლეხობა წინ აღუდგა დებულების იმ მუხლის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც მემამულეს უფლებას აძლევდა თავის განკარგულებაში დაეტოვებინა სახნავ-სათესი მიწების საერთო ჯამის ნახევარი, „ჩამონაჭრების" სახით წაეღო დროებითვალდებული გლეხების კუთვნილი მიწა, ან სრულიად უმიწოდ გაენთავისუფლებინა ისინი. მემამულეები წესდების მიერ მინიჭებულ ყველა უფლებებს ფართოდ იყენებდნენ და სრულიად შეუბრალებლად ყრიდნენ გლეხებს ოდითგანვე დაკავებულ ადგილებიდან. ასეთი გლეხების ნაწილმა ქალაქს მიაშურა და იქ პროლტარიატის რიგებს ავსებდა, ნაწილიც სოფლად დარჩა და ბრძოლას განაგრძობდა. საქართველოს სოფელი ბობოქრობდა. სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში მთავრობა ყოველნაირად მხარს უჭერდა მემამულეებს. ამავე დროს ხელისუფლება ცდილობდა გლეხობაში შეექმნა ილუზია, თითქოსდა სოფლად ორ ანტაგონისტურ კლასს შორის გაშლილ აგრარულ, ბრძოლაში ის არც ერთ მხარეს არ ემხრობოდა და ობიექტურობას იჩენდა.

ეს თვალთმაქცობა გლეხობას შეუმჩნეველი არ დარჩენია. რეფორმის პირველი დღიდანვე მწვავედ დაისვა საკითხი იმ წესების შე-

მუშავების შესახებ, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო სადავო-საადგილმამულო საკითხების განხილვა. იგი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა საგლეხო საქმეების საკრებულოთა სხდომებზე. გაჩნდა სხვადასხვა მიმდინარეობანი—„უმრავლესობა“ და „უმცირესობა“. პირველნი მოითხოვდნენ, რომ საადგილმამულო საკითხებზე დავა-საჩივრების უფლება დროით „ათწლიანი ხანდაზმულობით“ შემოფარგლულიყო, მეორენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. მთავრობას ძალიან აშინებდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად და იძულებული გახდა სადავო-საადგილმამულო საჩივრები შეუზღუდველად დაეშვა. ამ კანონს იმდენი შენიშვნები ჰქონდა, რომ ფაქტიურად იგი მთლიანად მემამულეთა ინტერესებს იცავდა. კერძოდ, საადგილმამულო დავის დროს საკუთრების ამსახველ წერილობით დოკუმენტს მხოლოდ გლეხობისაგან მოითხოვდნენ. გარდა ამისა, ასეთი დოკუმენტები 1817 წლის 12 აპრილის დადგენილებით რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო სათანადო ორგანოების მიერ, წინაადმდეგ შემთხვევაში ისინი არ მიიღებოდნენ. ყოველივე ეს კი საადგილმამულო დავაში მემამულეებს გამარჯვების დიდ შანსს ანიჭებდა.

სადავო გახდა აღძრული საჩივრების განხილვის ვადის საკითხიც, მთავრობამ თავდაპირველად გადაწყვიტა დაუყოვნებლივ განეხილა გლეხების მიერ წარმოდგენილი საჩივრები, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მემამულეებისათვის და მათი განხილვა სიგელების შედგენამდე გადაედო. სიგელების შედგენისას, დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, მთავრობამ მიზანშეწონილად სცნო სადავო მიწების როგორც სანადელო ნაკვეთების სიგელებში შეტანა. ოღონდ უნდა შემდგარიყო ოქმი, სადაც აღინიშნებოდა ორივე მხარის დასაბუთებანი და ის გასარჩევად გაიგზავნებოდა საკრებულოში. მემამულეებს კი უნდა ჩამორთმეოდათ ხელწერილი, რომლის ძალითაც გლეხების საკუთრებად ცნობილი მიწა გლეხებსავე უბრუნდებოდათ ისინი თავისუფლდებოდნენ ამ მიწაზე დაწესებული ღალა-კულუბის გადახდისაგან. მთავრობის ამ დადგენილებამ, რომელიც მიმართული იყო სოფლად გაშლილი აგრარული მოძრაობის შენელებისაკენ და წარმოადგენდა ხელისუფლების მორიგ თვალმაქცობას, გარკვეული გავლენა მოახდინა მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე და ამ საქმეში საწადელ შედეგებსაც მიაღწია.

მთავრობა გლეხებს პირდებოდა სადავო საკითხების მოგვარებას. წელი წელს მისდევდა, მთავრობის ერთ ღონისძიებას მეორე ცვლიდა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდებოდა. გლეხობამ ხელისუფლებისადმი ყოველგვარი რწმენა დაკარგა.

გაუთავებელი დავა-საჩივრებით შეკიწროებული გლეხები ზოგჯერ უეჭველად მიიჩნევდნენ ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს შეძენილი და ანჯერად მემამულეების მიერ სადავოდ გამხდარი მიწის ნაკვეთების ხელმეორედ შესყიდვას. თავის მხრივ, მემამულეებიც ერიდებოდნენ ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას და გლეხებს მიწებს შედარებით დაბალ ფასებში უთმობდნენ. მართალია, გლეხების ერთი ნაწილი დაადგა სადავო მიწების შეძენის გზას (ამას აკეთებდა ის, ვისაც საამიაო თანხა გააჩნდა), მაგრამ საქართველოს სოფელში ათიათასობით ულარიბესი—უმიწაწყალო გლეხი იყო, რომელთაც არამცთუ მიწების საკუთრებად შეძენის, არამედ იმ ბეგარა-ვალდებულებების გადახდის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომელსაც მას ხაჯელმწიფო აწერდა. რასაკვირველია, ასეთი გლეხები მიწის საკუთარი ფონდის შეძენას ცდილობდნენ არა ფულით, არამედ ბრძოლით. საქართველოს სოფელი აგრარულ კრიზისს განიცდიდა. როცა გლეხები კანონით ვერ აღწევდნენ სასურველ შედეგებს, ძალას მიმართავდნენ. არ იყო სოფელი, სადაც გლეხკაცს იარაღი არ აეღოს ხელში და ისე არ მისულიყო მემამულის მიწაზე. გლეხები იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს, ზოგჯერაც მოსავლის წართმევის მიზნით თავს ესხმოდნენ მემამულეთა მეურნეობას.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებამ ტყეებით სარგებლობით საქმის მოგვარება ადათ-ჩვეულებაზე დაამყარა. საერთო ადგილებით სარგებლობის საქმეში ტრადიცია არ უნდა დარღვეულიყო. ტყეებით სარგებლობაში რეფორმამდელი წესები უნდა შენარჩუნებულიყო, მაგრამ მემამულეებმა დებულება დაარღვიეს და ტყის დიდი მასივები მითვისეს მასზე მაღალი ბაჟი დააწესეს.

ხელისუფლება რეფორმის გატარების პირველ დღეებიდანვე მოელოდა ტყეებით სარგებლობის საკითხზე სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ამიტომ საერთო წესების შემუშავების საკითხი საგლეხო საქმეების საკრებულოების სპეციალური განხილვის საგანი გახდა. წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა პროექტი, ყველა ისინი აშკარად გამოხატავდნენ მემამულეთა ინტერესებს. საკრებულოებმა ვერ მიიღეს საკანონმდებლო გადაწყვეტილებანი.

ტყეებით სარგებლობის თაობაზე XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული გლეხთა მოძრაობა უფრო და უფრო მწვავე და მასობრივ ხასიათს ატარებდა. გლეხები მოითხოვდნენ ტყეებით უფასოდ სარგებლობას. მაგრამ ამგვარი თხოვნით ვერაფერს აღწევდნენ, ამიტომ ძალადობას ძალითვე პასუხობდნენ, უთანხმდებოდნენ ერთმანეთს და იარაღით ხელში შედიოდნენ ტყეებში. სახაზინო ტყეების გამგებლები გლეხებს უკიდურესად ავიწროვებდნენ. გლეხკაცო-

ბისადმი ასეთი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ ტყისმცველები, რომელთა მოქმედება არაერთხელ გამხდარა მშრომელი გლეხობის ბრძოლის საბაბი. ტყეების საკითხზე ხშირად ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ აჯანყებებსაც. ამ გამოსვლებში მონაწილეობდნენ, როგორც სახელმწიფო და დროებითვალდებული გლეხები, ასევე ხიზნები. ტყეებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა მეცხოველეობისა და მევენახეობის რაიონებში, სადაც მოთხოვნილება ხე-ტყეზე უფრო მეტი იყო. ამ რაიონებში გლეხების ტყისაგან მოწყვეტა ნიშნავდა მეურნეობის შესაბამისი დარგების შეფერხებას.

ტყეების თაობაზე გლეხთა მღელვარებანი განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა ქართლისა და კახეთის სოფლებში. რეფორმის მომდევნო ხანაში სოფლად კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მემამულეები სხვადასხვა მაქინაციებს მიმართავდნენ, ცდილობდნენ უკმაყოფილება ჩამოეგდოთ თვით გლეხობის შიგნით, დაეპირისპირებინათ ისინი ერთმანეთისათვის და ამით ხელსაყრელი პოზიციები შეექმნათ თავისი პოლიტიკის გატარებისათვის, ცალ-ცალკე დაემარცხებინათ ისინი. მემამულეები, ხაზინა თუ ეკლესია ცდილობდა, რომ გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისევ გლეხობის ერთი ნაწილი ჩაება. ამას, გარკვეულ შემთხვევაში, დაპირებებით, მოტყუებითა და სხვა მეთოდებით ახერხებდა კიდეც.

XIX საუკუნის 60—90-იანი წლების საქართველოში საძოვრებისათვის ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა. ის იმდენად ძლიერი იყო, რომ მთავრობის ორგანოები იძულებული გახდნენ ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად გაეხადათ. საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრთა შორის ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას. მემამულეები შეეცადნენ საძოვარ ადგილებზე მაღალი გადასახადები დაეწესებინათ, გლეხები კი ამ ადგილებით უფასოდ სარგებლობას მოითხოვდნენ. ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მეცხოველეობის რაიონებში. მასობრივ დავა-საჩივრებსა და ურჩობასთან ერთად ადგილი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას. ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ არა მარტო მემამულეები და გლეხები, არამედ გლეხები და სახელმწიფო.

მწვავე ხასიათი მიიღო აგრეთვე ბრძოლამ სარწყავი წყლებისათვის. სელისუფლება იძულებული გახდა ეს საქმე სპეციალური კომისიისათვის მიენდო. სარწყავი წყლებით სარგებლობის საერთო წესის— შემუშავებას ბოლო მაინც არ უჩანდა. საძოვრებისა და სარწყავი წყლებისათვის მემამულეებსა და გლეხებს შორის გაშლილი მწვავე ბრძო-

ლა საერთო აგრარული მოძრაობის ერთ-ერთ ნაკადს წარმოადგენდა. გლეხთა მოძრაობა საძოვრების თაობაზე დროის მსვლელობაში უფრო მასობრივ და მწვავე ხასიათს ატარებს.

ადგილ-მამულის საზღვრების უცოდინარობა, გაუთავებელი დავა-საბრძოლ, საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული დაბნეულობა უარყოფით გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერებაზე და სოფლად აგრარული მოძრაობის წყაროს წარმოადგენდა. მთავრობა შეეცადა „გარკვეულობა" შეეტანა საადგილმამულო ურთიერთობაში, დაეჩქარებინა ადგილ-მამულთა გამიჯვნის საქმე. ამ მიზნით პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ რეფორმამდე გადაიდგა, მაგრამ საქართველოში 60-იანი წლებისათვის ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა. შემუშავდა ადგილ-მამულის გამიჯვნის წესები. მისი ძირითადი მუხლები მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდნენ. ჯერ ერთი ადგილმამულის გამიჯვნის მოთხოვნის უფლება მხოლოდ მემამულეს ჰქონდა. იმ მიზნით, რომ არ შეფერხებულიყო დებულების ცხოვრებაში გატარება მთავრობამ გადაწყვიტა საქმის საბოლოო გარჩევამდე გლეხებისათვის ნადელებში მიეზომა გაუმიჯნავი მიწები. ასეთი მიწების გამიჯვნის მოთხოვნის უფლებას მემამულეები ინარჩუნებდნენ. ისინი ფართოდ იყენებდნენ ამ უფლებას და მოთმინებით ელოდებოდნენ ასეთი მიწების გაუმჯობესებას და შემდეგ აყენებდნენ ამ მიწების გადამიჯვნის მოთხოვნას. რაც გლეხობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ადგილ-მამულთა გამიჯვნის დროს მიწისმზომლები და გლეხები ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ. ეს ბრძოლა ხშირად დავა—პოლემიკის ფარგლებს ცილდებოდა და შეიარაღებულ აჯახყებაში გადადიოდა. მწვავე ბრძოლები გაიშალა ქართლისა და აფხაზეთის სოფლებში, სადაც ამ საფუძველზე აღმოცენებული გლეხთა გამოსვლები იმდენად ძლიერი იყო, რომ საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალის გამოყენება.

მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ადგილ-მამულთა გამიჯვნას, არათუ აგვარებდნენ გამწვავებულ საადგილმამულო ურთიერთობას, არამედ აღრმავებდნენ კლასთა ბრძოლას. მემამულეები შეეცადნენ გადამიჯვნის დროს ხელთ ეგდოთ გლეხთა მიწები, რაც ამ უკანასკნელთა სამართლიან შეშფოთებას იწვევდა.

კლასობრივი ბრძოლის იმ მრავალსახეობათა შორის, რომელსაც რეფორმის გატარებისა და მისი მომდევნო ხანის საქართველოს მშრომელი გლეხობა მიმართავდა, ბეგარა-გადასახადებზე უარისთქმას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ შემთხვევაში, მართალია, გლეხ-

კაცობას იარაღისათვის არ მოუკიდია ხელი, მაგრამ ეს ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ შედარებით გაბედულ პროტესტს წარმოადგენდა.

ადგილობრივი დებულებით რეფორმის გამოცხადებიდან 2 წლის განმავლობაში, ანუ გარდამავალ პერიოდში, გლეხები ვალდებული იყვნენ გაეღოთ ყველა ის გადასახადი, რომელსაც რეფორმამდე იხდიდნენ. დებულების ძალით მემამულეთ უფლება ჰქონდათ გლეხებისაგან მოეთხოვათ დაეფარათ რეფორმამდელი გადასახადების დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ამ უფლებას კარგავდნენ.

საქართველოში ყველა გლეხური კომლი დავალიანებული იყო ბატონყმობის დროინდელი გადასახადების ხარჯებით, მემამულეები ყველაფერს აკეთებდნენ დარჩენილი გადასახდების ამოსაღებად, გლეხები კი, პირიქით, ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ამ გადასახადების დაფარვისათვის. საქართველოს სოფელი ამ საფუძველზე აღმოცენებული კლასობრივი ანტაგონიზმის ასპარეზად იქცა, ამ მოტივით იბრძოდნენ: ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, თბილისის მაზრის გლეხები.

ის განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა რეფორმის პირველი ორი წლის განმავლობაში.

ადგილობრივი დებულების გამოცხადებიდან ორი წლის განმავლობაში მემამულეს უფლება ეძლეოდა გლეხებისაგან ძველებურად მოეთხოვა საბეგრო შრომა; იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას ეზრუნა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მან მთავარ სადავო საკითხად გახადა ბეგარა-ვალდებულებათა შესრულების დადგენის ვადები. მართალია, ამ საკითხზე მიიღეს დადგენილება, მაგრამ მისი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა. გლეხები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ საბეგრო შრომაზე.

ბრძოლა მემამულეებსა და გლეხებს შორის ყველგან თავისებურ ხასიათს ატარებდა. თითოეული მაზრის გლეხთა მოთხოვნებში ბევრი რამაა საერთო, ბევრიც სპეციფიური. კახეთისა და ქართლის სოფლებში გლეხები მოითხოვდნენ ღალა-კულუხის ნორმების შეცვლას, დაობდნენ ღალა კულუხის გადახდის ვადებზე. რაც შეეხება დუშეთისა და ოსეთის უბნებს, სადაც მეცხოველეობის რაიონები იყო, ბრძოლა მეტწილად საძოვრების თაობაზე მიმდინარეობდა. იმ რაიონებში, სადაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება სწრაფად წარიმართა (კერძოდ, გორის მაზრის ბარში, ასევე ქუთაისის, შორაპნის მაზრებში) მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლა უპირატესად ფულადი გადასახადების ამოღების გამო მიმდინარეობდა, ხო-

ლო საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ნატურალური მეურნეობა ბა-ბატონობდა—მემამულეები არნახულად ადიდებდნენ ნატურალურ გადასახადებს იმ ვარაუდით, რომ დაეკმაყოფილებინათ თავისი გაზრდილი მოთხოვნილებები. აქ მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლის მიზეზები ნატურალური გადასახადების გადახდას უკავშირდებოდა. გადასახადების ამოღების საკითხებზე განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა შემოდგომაზე, მოსავლის აღების დროს ჩაღდებოდა.

სოფლად გაშლილი ბრძოლის ამგვარმა გამწვავებამ ღალა-კულუხის არსებობის პირობებში, შრომის ნაყოფიერების უკიდურესად დაცემამ დააფიქრა ხელისუფლება. მან გადაწყვიტა ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლა. ეს, მართლაც, პროგრესული მოვლენა იყო. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მასობრივად იწყება ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლა, რასაც თან ახლდა მემამულეების მიერ გადიდებული ფულადი გადასახადების დაწესება. გლეხები უარს ამბობდნენ გადიდებულ ფულად გადასახადებზე. XIX საუკუნის 60—90-იან წლებში ყოველწლიურად იზრდება დავალიანება. ხელისუფლება ესწრაფოდა, რადაც უნდა დაჯდომოდა ამოეღო გადასახადები (სოფლად აგზავნიდა სპეციალურ დამსჯელ რაზმებს, თუმცა გლეხთა დამორჩილება შეუძლებული ხდებოდა). გლეხთა მოძრაობის ისტორიის შესწავლა მოწმობს. რომ ბეგარა-გადასახადებზე უარისთქმა, ურჩობა, ანუ როგორც ლენინი უწოდებდა, გაფიცვა წარმოადგენდა ბრძოლის ეფექტურ საშუალებას, აგრარული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

საქართველოს გლეხობის ბრძოლამ ნადელების შესყიდვის წესების წინააღმდეგ მწვავე ხასიათი მიიღო. არსებული წესების თანახმად, რუსეთში ნადელის შესასყიდად სახელმწიფო გლეხებს სესხად აძლევდა ნადელის ღირებულების 80 პროცენტს, ჩვენში კი დაწესებული იყო სესხის მინიმუმი და მაქსიმუმი, რაც ნადელის ღირებულების მხოლოდ 20—30 პროცენტს შეადგენდა. სახელმწიფოს მიერ ასეთი მცირე სესხის დაწესების გამო გლეხობას ნადელების შესყიდვის საქმის ბოლომდე მიყვანისათვის დიდი თანხის დამატება უხდებოდა. სანადელო მიწებზე ფასების მაღალი განაკვეთების გამო გლეხების დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა მის გამოსყიდვას და ათეული წლობით დროებით ვალდებულთა კატეგორიაში რჩებოდა. მემამულეები კი ყოველწლიურად ადიდებდნენ ღალა-კულუხის ოდენობას.

გლეხკაცობას მთავრობის სესხის დაფარვა ერთიორად და უფრო მეტიც უჯდებოდა, ამიტომ გლეხები უარს ამბობდნენ მასზე და საკუთარი თანხებით ცდილობდნენ ნადელების გამოსყიდვას. ირკვევა, რომ

აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობის დახმარებით გაცილებით მეტი რაოდენობით სანადელო მიწა იქნა გამოსყიდული, ვიდრე დასავლეთში.

საქართველოში ნადელების შესყიდვა, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით, ნელი ტემპით წარიმართა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჩვენში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა შედარებით სუსტად ვითარდებოდა, მთავრობის მიერ გაცემული სესხი უმნიშვნელო იყო, ხოლო დაფარვის პირობები კი ძალზე მძიმე. მამულების დიდი ნაწილი დაგირავებულ-დავალიანებული იყო. ნადელების შესყიდვის რთული წესები, საადგილმამულო ურთიერთობაში არსებული არეულობა თვით მთავრობის პოლიტიკა და სხვ.—აი ის ის ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს ნადელებს გამოსყიდვის ნელი ტემპი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნადელების გამოსყიდვის საქმე სხვადასხვა ტემპით წარიმართა. ნადელების შესყიდვა დასავლეთ საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით წავიდა, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს გარემოება კი განპირობა დასავლეთ საქართველოში მიწის ფონდის შედარებითმა სიმცირემ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უფრო მეტად განვითარებამ და სხვა.

ნადელების გამოსყიდვის წესების წინააღმდეგ დროებითვალდებულ გლეხთა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აღმოსავლეთ საქართველოში მიიღო. აქაური გლეხების ერთი ნაწილი საერთოდ უარს ამბობდა ნადელების შესყიდვაზე, მეორე კი არ იხდიდა სახელმწიფო სესხს. ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა ურჩ გლეხებს, აგზავნიდა გარე სამუშაოზე, უყიდდა მამულებს, ცდილობდა იჯარით გაეცა ურჩი გლეხების სანადელო მიწები, მაგრამ თანამემამულეები სოლიდარობის ნიშნად უარს ამბობდნენ ასეთი მიწების იჯარით აღებაზე, ასევე შესყიდვაზე. მთავრობის ცდა, ამ გზით შეეჩერებინა გლეხთა მზარდი რევოლუციური მოძრაობა, უშედეგოდ მთავრდებოდა. 70—90-იან წლებში ნადელების შესყიდვის ირგვლივ გაშლილი ბრძოლა სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს.

მძიმე ბეგარა-გადასახადები და მემამულეთა ექსპლოატაცია გლეხობას აიძულებდა, ურჩობასთან ერთად, ბრძოლის სხვა მეთოდებისათვისაც მიემართა. ბეგარა-გადასახადების თავიდან აცილების მიზნით გლეხები ხშირად ტოვებდნენ მშობლიურ სოფლებს და ქალაქებს აფარებდნენ თავს. მშობლიური სოფლის მიტოვება და გაქცევა-გახიზვნა კლასობრივი ბრძოლის თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენდა. თავის მხრივ მემამულეებიც არ ზოგავდნენ ძალას და ენერგიას, გაქცეული გლეხები უკან დაებრუნებინათ.

ბატონყმობის გაუქმებამ, კაპიტალიზმის შემოჭრა-განვითარებამ სოფლად არა თუ შეასუსტა ბატონყმობისდროინდელი წინააღმდეგობანი, არამედ წარმოიშვა ახალი კლასობრივი ანტაგონიზმი, ახალი სიძნელეები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა მას არ ძალუძდა. კლასობრივი ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება მშრომელი მოსახლეობის უფართოესი ფენები.

ამ დროს გლეხთა კლასობრივი ბრძოლის თავისებურება განპირობებული იყო შეცვლილი ისტორიული ვითარებით, რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში გლეხთა მოძრაობა გაიშალა კაპიტალიზმის განვითარების ბაზაზე, როცა სოფლად სიმდიდრე თავს იყრიდა მცირერიცხოვან პირთა ხელში.

ყოველივე ეს დაღს ასვამდა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, განსაზღვრავდა მის თავისებურებას, იწვევდა ბრძოლის გამოვლინებისა და განვითარების სპეციფიკურ ფორმებს. საქართველოს მშრომელი გლეხობა ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო ფეოდალიზმის ისეთი დიდი გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც იყო დროებითვალდებულების ინსტიტუტი, არამედ შეუპოვრად ებრძოდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, ვაჭარ-მევახშეებს, კულაკებს, მოიჯარადრეებს და სხვ. ეს უკანასკნელნი, კაპიტალიზმის შემოჭრა-განვითარებასთან ერთად, მჩაგვრელებად მოევლინენ სოფელს. კლასობრივი ბრძოლა საქართველოს სოფელში არათანაბარი სიმძლავრით მიმდინარეობდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სპეციფიურობა, მათი ისტორიული თავისებურებანი, სოციალური ძალების სხვადასხვანაირი თანაფარდობა, მემამულეების მიერ გლეხთა ექსპლოატაციის ხარისხი, ძარცვის მასშტაბი, აგიტატორ-გლეხთა აქტივობა და სხვ. განაპირობებდა კლასობრივი ბრძოლის მრავალსახეობის ეფექტურობას.

მემამულეების, ვაჭარ-მევახშეების, მოიჯარადრეების, კულაკებისა და სხვა ჯურის ექსპლოატატორებთან ერთად, საქართველოს სოფელს მჩაგვრელებად მოევლინენ მეფის მოხელენი: სოფლის მამასახლისი, გზირი, ბოქაული და სხვანი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშრომელთა ჩაგვრა-ძარცვაში. ბუნებრივია, ყოველივე ეს თავის გავლენას ახდენდა გლეხთა მოძრაობაზე.

საქართველოს მშრომელმა გლეხობამ ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსაც, რომლებიც ერთგულად ატარებდნენ მთავრობის პოლიტიკას და წარმოადგენდნენ სოფლის ექსპლოატატორთა ერთგულ დამცველებს. სოფლის მოხელეთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხოფა 60—90-იან წლებში ჩვეულებრივ მოვლე-

ნად იქცა. გლეხები ასევე თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ ვაჭარ-მევახშეთა სახლ-კარს.

მამასახლისთა და სოფლის სხვა მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ მოძრაობასაც წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში მთელ საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ გლეხები განთავისუფლებული იქნებოდნენ საბატონო გადასახადებისაგან, რომ გლეხები უსასყიდლოდ მიიღებდნენ მათ სარგებლობაში არსებულ სანადელო მიწებს და საცხოვრებლად გადაადგილების უფლებასაც მოიპოვებდნენ.

მალე აშკარა გახდა ამ ხმების უსაფუძვლობა, რამაც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

XIX საუკუნის 70-იან წლების საქართველოს გლეხთა მოძრაობის შემზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ხალხოსნებმა, რომლებიც სოფლად გავიდნენ და იქ ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს. ისინი გლეხებს არსებული წყობილებისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ძლიერი იყო ხალხოსნური აგიტაცია საქართველოს ყველა კუთხეში. ხალხოსნები იწვევდნენ კრებებს, გამოდიოდნენ სიტყვებით, ხალხს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ამზადებდნენ. საქართველოს მშრომელმა გლეხობამ ირწმუნა ხალხოსნური აგიტაცია. საქართველოს სოფელი ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა რევოლუციური თესლის გასაღივებლად. ქართველ ხალხოსნებს თავისი ქვეყნის გლეხობის ბრძოლა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდათ და მოითხოვდნენ დალოდებოდნენ მოვლენათა განვითარებას რუსეთში.

მეფის ხელისუფლება ძალას არ ზოგავდა მღელვარე სოფლების დასაშოშმინებლად. ეწყობოდა ეგზეკუციები, სოფლების აოხრება, მღელვარების მოთავეთა დაპატიმრება. კლასთა ბრძოლა მაინც გრძელდებოდა და ის 70-იანი წლების დასასრულს მასობრივ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ასეთი გამწვავება იმის მაუწყებელი იყო, რომ არსებულ სისტემას არ შესწევდა ძალა, და უნარი უზრუნველყო საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება; წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების ბორკილი გახდა, ხელისუფლების პრესტიჟი დაეცა. ზედაფენებმა იწყეს მერყეობა, არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება. თვითმპყრობელური რეჟიმი სრულებით ვერ პასუხობდა ქვეყნის სასიცოცხლო სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნებს. არსებული მდგომარეო-

ბიდან გამოსაეალი გზების ძიებისას ცარიზმი ხშირად მოდიოდა ავან-ტურიზმამდე, რაც იწვევდა „ზედაფენების“ კრიზისის გაძლიერებას და გაღრმავებას (ყირიმის ომი, რუსეთ-თურქეთის ომი და სხვ.).

XIX საუკუნის 70-იან წლების გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები სოციალური ჩაგვრის საფუძველზე იყო აღმოცენებული და მიზნად ისახავდა სოციალური სამართლიანობის დამყარებას. გლეხთა ეს გამოსვლები მნიშვნელოვან ნიშანსვეტს წარმოადგენდა საქართველოში რევოლუციური სიტუაციის მომწიფებაში.

გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ტალღამ გადაუარა საქართველოს სოფელს XIX საუკუნის 70-იან წლებში. მარტო 1873—76 წწ. ოთხჯერ აჯანყდა სამეგრელოს გლეხები, 1875—76 წლებში სვანეთის, 1877 წელს აფხაზეთის, 1878 წელს კახეთის და ახალქალაქის გლეხკაცობა იარაღით ხელში გამოვიდა თავისი უფლებების დასაცავად. XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს მშრომელი გლეხობის შეიარაღებულ აჯანყებებს შორის სამეგრელოს გლეხთა 1873—1876 წლების გამოსვლებს თვალსაჩინო ადგილი უკავია. სამეგრელოს გლეხთა ამ აჯანყების მიზეზები რეფორმის შედეგებს უკავშირდება. მასში ძირითადად მონაწილეობდნენ დროებითვალდებული გლეხები. აჯანყებები მიმართული იყო როგორც ცალკეულ მემამულეთა, ისე საერთოდ ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ.

სამეგრელოს გლეხებიდან 70-იან წლებში ბრძოლის გზას პირველნი დაადგნენ კირცხელი და ზუგდიდელი გლეხები. 1873 წელს დაწყებულმა გლეხთა მოძრაობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ აჯანყების ადგილზე თვითონ გუბერნატორი ჩავიდა. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს. ამ აჯანყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ 1874 წელს კვლავ ბრძოლის გზას დაადგა ნიკოლოზ მინგრელსკისა და კონსტანტინე დაღიანის დროებითვალდებული გლეხები. აჯანყება მოედო სოფლებს კოკსა და ხიბულას. მთავრობის მიერ გატარებული ენერგიული ზომების შემდეგ ეს აჯანყებაც ჩააქრეს. 1876 წელს სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ახალი ენერგიით გაიშალა.

გლეხთა ეს აჯანყება შედარებით უფრო მომზადებული ჩანს. აჯანყებულებს აქვთ იარაღი, მეზობელ სოფლებსა და მაზრის გლეხობასთან წინასწარ აწარმოებენ მოლაპარაკებას ერთობლივ მოქმედებაზე, წარმომადგენლებს გზავნიან სენაკის მაზრაში და იქაურ გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდებენ. ოფიციალური წყაროების აშკარად გადაჭარბებული ცნობებით, აჯანყებაში ოცი ათასი კაცი მონაწილეობდა.

1876 წლის სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყება პირობითად ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი იწყება 1876 წლის

თებერვლიდან და გრძელდება ამავე წლის ივნისამდე. ამ ეტაპზე გლეხები ურჩობენ, უარს ამბობენ გადასახადებზე; მემამულეები მოახლოებულ საფრთხეს გრძნობენ და ადგილობრივი ხელისუფლების რჩევით იძულებული არიან გლეხების მიმართ ზოგიერთ დათმობებზე წავიდნენ შეამცირონ გადასახადები, მაგრამ ამგვარი დათმობა საკმარისი არ აღმოჩნდა გლეხობის დასამშვიდებლად. გლეხთა ამ აჯანყებაში დიდი როლი შეასრულეს ხალხოსნებმა. მათი წარმომადგენლები სამეგრელოს მშრომელ გლეხობას შორის ფართო მუშაობას ეწეოდნენ. 1876 წლის ივნისისათვის, როდესაც დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ხალხოსნები შეეცადნენ გლეხთა აჯანყების შეჩერებას (ამ ეტაპზე აჯანყება ნაადრევად მიაჩნდათ), მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო.

გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1876 წლის ივნისში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. მეფის ხელისუფლებამ სამეგრელოში თავი მოუყარა დიდ ძალებს, რომელსაც სათავეში ედგა მეფის ჯალათი ჯორჯაძე. აჯანყების ადგილზე ჩავიდნენ გურებნიის ადმინისტრაციის ბესვეურები.

1876 წლის ივნისში შეიარაღებულ ჯარის ნაწილებსა და მშრომელ გლეხობას შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ბრძოლის ველზე როგორც გლეხებმა, ასევე ჯარის ნაწილებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ათეული კაცი დაკარგა.

ენერგიული ზომების გატარების შემდეგ აჯანყება ჩაქრობილ იქნა. გლეხები იარაღის ძალით აიძულეს უსიტყვოდ გადაეხადათ ყველა გადასახადი.

სვანეთის გლეხობამ 1875 — 1876 წლებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახალი გადასახადების შემოღება, მოსახლეობის ადათ-წესების აბუჩად აგდება, მთავრობის მოხელეების თვითნებობა თავისუფალი სვანეთის მოსახლეობის დიდ აღშფოთებას იწვევდა და აქაურ გლეხობას იარაღისაკენ უბიძგებდა.

სვანეთის გლეხთა აჯანყებაში ორი პერიოდი გამოიყოფოდა. პირველი 1875 წლის ივნისში იწყება და 1876 წლის ივლისამდე გრძელდება, მეორე პერიოდი კი 1876 წლის ივლისიდან იწყება.

1875 წელს ივნისში მოძრაობა დაიწყო ჯერ მულახის და მესტიის საზოგადოებაში, შემდეგ კი იგი თავისუფალი სვანეთის სხვა სოფლებშიც გავრცელდა. ბრძოლის პირველ ეტაპზე გლეხები ეკლესიებში ღებულობდნენ ფიცს, რომ ბოლომდე ერთგულად ებრძოლათ და არ ეღალატათ საერთო საქმისათვის. იმართებოდა სათემო ყრილობები, ბო-

ლოს სახეო ყრილობა. გამოსული ორატორები გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. გლეხების საბრძოლო შემართება ძალზე მაღალი იყო. აჯანყებული გლეხები დაიძრნენ ბეჩოსაკენ, სადაც დაბანაკებული იყო სამხედრო რაზმი. აჯანყებული სვანების რისხვისაგან ბეჩოს გარნიზონი თენგიზ დადეშქელიანმა იხსნა.

აჯანყებული სვანების წინააღმდეგ დამსჯელი რაზმები გაიგზავნა გენერალ მალაფეევისა და მაიორ ციტოვიჩის მეთაურობით. მათ შეძლეს ჯარების შეყვანა სვანეთში და იქ დაბანაკებულ რაზმთან შეერთება. დაიწყო რეპრესიები. დააპატიმრეს აჯანყების მოთავენი. ააოხრეს და გაანადგურეს სოფლები, არტილერიის ცეცხლი დაუშინეს კოშკებს, რომელთაც გლეხები თავს აფარებდნენ.

სვანეთის მშრომელთა მოძრაობა 1875 წლის სისხლიანი შერკინებით არ დამთავრებულა. მართალია, მთავრობამ შეძლო გამოსვლების ლიკვიდაცია და მოთავეთა დიდი ნაწილის დაპატიმრება, მაგრამ ეს არ იყო სვანეთში მშვიდობის დამყარების საიმედო გარანტია. მან ვერ შეძლო და არც შეეძლო სვანეთის გლეხთა გულში დანთებული რევოლუციური ხანძრის ჩაქრობა.

აჯანყების მეორე ეტაპი იწყება 1876 წლის ივლისიდან, როდესაც ლეჩხუმის ძაბრის უფროსი მილიციის რაზმით ბეჩოში ავიდა და შეეცადა „დამნაშავე" სვანების დაპატიმრებას. ამას მოყვა შეიარაღებული შეჯახება. ბეფის ოხელეებისა და მისი თანმხლები რაზმის განადგურება. აჯანყებულმა სვანებმა მოკლეს მაზრის უფროსი. ხელისუფლებამ ნაჩქარევი და საგანგებოდ აღჭურვილი დამსჯელი სამხედრო ნაწილები გაგზავნა სვანეთში და აიძულა იქაური გლეხები იარაღი დაეყარათ. აჯანყების მოთავეებს ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა.

1875 — 1876 წლებში სვანეთის გლეხთა აჯანყება ერთდროულად სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანეთის აჯანყების დაწყებისა და მიმდინარეობაზე გარკვეულ გავლენას მოახდენდნენ ქართველი ხალხოსნები.

XIX საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებებს შორის კახეთის 1878 წლის გლეხთა აჯანყება უკანასკნელი აკორდი იყო. ის განაპირობა კახეთის სოფლებში რეფორმის შემდეგ შექმნილმა სოციალურმა ვითარებამ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ვაჭარ-შევაჭრეებისა და სოფლის მოხელეთა თვითნებობა ყოველგვარ საზღვრებს გასცდა, აჯანყების საბაბი ჯარში გაწვევის ახალი წესების შემოღება გახდა.

აჯანყების ძირითად ბირთვს სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ. მასში დროებითვალდებული გლეხებიც მონაწილეობდნენ, აჯანყების მეორე ეტაპზე გლეხებმა იარაღი მემამულე-მებატონეებისა და მამასახლისების წინააღმდეგ მიმართეს, დაარბიეს მათი სახლ-კარი, გაანადგურეს მათი მოძრავი თუ უძრავი ქონება, ცემეს მაზრის უფროსს, გენერალ ორბელიანს, მემამულეებს და მეფის სხვა მოხელეებს.

ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა აჯანყებულებს. დააპატიმრეს აჯანყების მოთავეები და ციმბირში გადაასახლეს. კახეთის გლეხთა აჯანყება ფართოდ გახმაურებულ საქმედ იქცა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი ვითარების კვლევა-ძიებას იმ უცილობელ დასკვნამდე მივყავართ, რომ მოცემული ხანის საქართველოში რევოლუციური სიტუაცია არსებობდა. ამ დროს „ჩაგრული კლასების გაჭირვება და უბედურება გამწვავებულია ჩვეულებრივზე უფრო მეტად“, ქვედა ფენებს არ სურთ იცხოვრონ ძველებურად. მართალია, ამ დროს რევოლუციური სიტუაციის ყველა ნიშანი არსებობდა, მაგრამ საბოლოოდ იგი რევოლუციაში მაინც ვერ გადაიზარდა. ვ. ი. ლენინი წერდა: „ვერც ქვედაფენების ჩაგვრა და ვერც ზედაფენების კრიზისი ჯერ კიდევ ვერ შექმნის რევოლუციას, — ეს შექმნის მხოლოდ ქვეყნის ლპობას, — თუ ამ ქვეყანაში არ არის რევოლუციური კლასი, რომელსაც უნარი შესწევს ჩაგვრის პასიური მდგომარეობა გადააქციოს აღშფოთებისა და აჯანყების აქტიურ მდგომარეობად“[1].

მარტო ობიექტური პირობების არსებობამ ვერ განაპირობა XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში რევოლუციური სიტუაციის რევოლუციაში გადაზრდა, რადგანაც არ არსებობდა რევოლუციისათვის საჭირო მეორე კომპონენტი — სუბიექტური პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში 70-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის შემდეგ რეაქცია გაძლიერდა, „ზედაფენები“, გაბატონებული კლასი თავის ბატონობას უცვლელი სახით მაინც ვერ ინარჩუნებს. მთავრობა იძულებული შეიქნა გაეუქმებინა დროებითვალდებულებითი ინსტიტუტი. ჩვენში კი ეს საკითხი, მართალია, 80-იან წლებში დაისვა. მაგრამ მალე დავიწყებას მიეცა და დროებითვალდებულებითი ინსტიტუტი 1912 წლამდე არსებობდა.

70-იან წლებში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის უმაღლესი წერტილი იყო იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობა, რასაც ქვეყნად რეაქციის თარეში მოჰყვა. აპატიმრებდნენ და საპყრობლეებში ჰყრიდნენ ათასობით გლეხს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 256.

შეცვლილი ისტორიული ვითარების შესატყვისად იცვლებოდა ბრძოლის ფორმები; ძლიერდებოდა ძარცვა-ქურდობა, საძულველ მეზამულეებზე თავდასხმები, მათი სახლ-კარის აოხრება და სხვ.

70—80-იან წლების საქართველოში ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო გლეხების „ყაჩაღად“ გასვლა ანუ როგორც გურიაში უწოდებდნენ—გაფირალება. ტყეებში გასული გლეხები ერთეულები როდი იყვნენ. მათ ათასობით გლეხობა უჭერდა მხარს. „ყაჩაღთა“ დიდი უმრავლესობა სოფლის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი იყვნენ გ. ლომჯარია, დ. სურგულაძე, ს. დარჩია (ე. ნინოშვილის მოთხრობა სიმონჯს“ პროტოტიპი) დ. მელიქიშვილი და სხვები. აღმოსავლეთ საქართველოში ასევე მოქმედებდნენ „ყაჩაღთა“ მძლავრი რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ბასიშვილი, ხუბულური, ჯიოშვილი და სხვები. „ყაჩაღები“ შიშის ზარს სცემდნენ მემამულეებს. ტყეში გასული გლეხკაცის ცხოვრება და მისი საბრძოლო მოქმედება არაერთხელ ყოფილა როგორც ხალხური, ისე მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედების წყარო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე მიგვითითებს ჩადენილ დანაშაულობათა საერთო რაოდენობა, რომელიც თადათან იზრდებოდა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო ქურდობამ და ძარცვამ, რაც, რასაკვირველია, სოციალურ მოვლენას წარმოადგენდა. ეკონომიურად დაუძლურებული გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალება, არ ჰქონდა მიწა, არ ჰყავდა პირუტყვი, არ შეეძლო ოჯახის რჩენა, იძულებული იყო არსებობისათვის ბრძოლაში ყოველგვარ საშუალებისათვის მიემართა. სოფლად გაშლილი რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ ხელისუფლება ათას ზომებს მიმართავდა, ეპატიმრებდა გლეხებს და სხვ. მთავრობამ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ოპერატიულად ბრძოლის მიზნით სოფლად მოხელეთა რიცხვი გაადიდა, გააძლიერა სამეთვალყურეო პუნქტები. გურიაში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნატორის ნაცვლად, დროებით ბათუმის-ოლქის სამხედრო გუბერნატორს დაექვემდებარა, დაიგზავნა სპეციალური ცირკულარი გუბერნატორებისათვის „ყაჩაღების“ წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღებაზე. მაზრის უფროსებს მიეცათ მითითება დროებით დაეპატიმრებინათ ყველა არაკეთილსაიმედო პირი, რომლებიც ასე თუ ისე ეხმარებოდნენ „ყაჩაღებს“. მაზრის უფროსებს დაევალათ მთავრობის ეს მითითებანი გაეც-

ნოთ გლეხებისათვის. მიუხედავად მკაცრი ზომებისა გლეხთა მოძრაობა, რომელიც „ყაჩაღობაშიც“ გამოიხატებოდა, მაინც გრძელდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო ხანის გლეხთა მოძრაობის საკითხები ფართოდ ასახა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ. ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ს. მგალობლიშვილი, შ. არაგვისპირელი, ეგნ. ნინოშვილი და სხვები მკაცრი ცენზურული პირობების მიუხედავად, პრესის ფურცლებზე გაბედულად გამოვიდნენ გლეხობის ინტერესების დამცველად.

საქართველოს სოფელში რეფორმის მომდევნო წლებში გლეხთა მოძრაობა პერმანენტულ ხასიათს ატარებდა. იგი ჯერ კიდევ სტიქიური, შეუგნებელი იყო. მართალია, გლეხებს არ დაუყენებიათ პოლიტიკური წყობილების შეცვლის საკითხი, მაგრამ თვით გლეხების მიერ მიწების უსასყიდლოდ მიღებისა და ბეგარა-გადასახადების გაუქმების სტიქიურად დაყენებული მოთხოვნები მაშინ, როდესაც ხელისუფლება და მემამულეები ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდნენ, არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. ექსპლოატაციის მძიმე პირობებში მშრომელი მასების მზრადი უკმაყოფილება სხვას არაფერს ნიშნავდა თუ არა მასების სურვილს, ცდას, „ქვედა ფენების“ ბრძოლას შეცვლილიყო არსებული წყობილება აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზედა ფენები“ თავისი რეაქციული პოლიტიკით ბიძგს აძლევდნენ მასების რევოლუციური აქტივობის ზრდას.

რევოლუციურ ბრძოლებში ახალი ძალების, მათ შორის მუშათა კლასის ჩაბმამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კლასობრივი ბრძოლის მასშტაბები და სოციალურ მოძრაობათა ფარგლები.

გლეხები მამაცურად გამოდიოდნენ ბრძოლაში, მაგრამ სუსტად ორგანიზებული და იდეურად არასაკმაოდ მომზადებული იყვნენ.

XIX საუკუნის 60 — 90-იანი წლების კლასობრივი ბრძოლები ახალი გრანდიოზული ბრძოლების მაუწყებელი გახდნენ, მათ შეეძლოთ გამოეწვიათ ძირფესვიანი საზოგადოებრივი გარდაქმნები.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს მშრომელებში სწრაფად იკიდებდა ფეხს მარქსისტული იდეები, კიდევ უფრო ძლიერდებოდა გლეხთა მოძრაობა, მან განსაკუთრებული მასობრივი, ორგანიზებული და შეგნებული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც სოფლის მშრომელთა ბრძოლას სათავეში ჩაუდგა პარტია. იგი დროულად განაზოგადებდა კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებას და მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე წარმართავდა მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითად დარტყმას ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ საერთო დემოკრატიული მიზნების მისაღწევად პარტია ხელ-

ძღვანელბოდა ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ სოციალისტური რევოლუციისაკენ გზა გადის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ეთელ ისტორიულ ხანაზე.

გლეხების მრავალსაუკუნოვან ბრძოლას განსაკუთრებული სიძლიერე და მნიშვნელობა მიეცა მაშინ, როცა მის წარმმართველ ძალად მოგვევლინა მუშათა კლასი. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა, გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი და დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე დაამყარა სოციალისტური წყობა. ასრულდა მშრომელი გლეხების მრავალსაუკუნოვანი ოცნება, მან მიიღო მიწა და სრული თავისუფლება.

შემოკლებანი

ССДЗТКГ — свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, под ред. Е. Кондратенко, 1893 г,

МИЭБГКЗК — материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края. т.т. I—VII, Тиф. 1885 — 1887 г. г.

АКАК — акты собранные Кавказской археографической комиссией.

ЦГИАЛ — центральный государственный исторический архив в Ленинграде.

ЦГИАМ — центральный государственный исторический архив в Москве.

სსსა — საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ქსსა — ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თ ა ვ ი I

საგლეხო რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში 18

თ ა ვ ი II

საქართველოს გლეხობა ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ 46

§ 1. საწესდებო სიგელების შედგენა . . 46

§ 2. დებულების საწინააღმდეგო აგიტაციის გაძლიერება სოფლად 51

§ 3. დავა-საჩივრები, როგორც კლასობრივი ბრძოლის ფორმა 73

§ 4. სადავო-საადგილმამულო საქმეების განხილვის წესები და სხვადასხვა მოსაზრებანი 89

თ ა ვ ი III

გლეხობა ტყეების, საძოვრებისა და ადგილ-მამულის გამიჯვნისათვის ბრძოლაში 100

§ 1. გლეხობის ბრძოლა ტყეებისათვის . . . 100

§ 2. გლეხობის ბრძოლა საძოვარი ადგილებისათვის 112

§ 3. ბრძოლა ადგილ-მამულის გამიჯვნის გარშემო 122

თ ა ვ ი IV

საქართველოს გლეხობის ბრძოლა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკისა და სოფლის ადგილობრივ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ . . 134

§ 1. საქართველოს გლეხობის ბრძოლა ბეგარა-გადასახადებისა და ნადელების გამოსყიდვის წესების წინააღმდეგ 134

§ 2. გლეხობის ბრძოლა მოიჯარადრეების, ჩარჩ-ეაკრების, მევახშეების და სოფლის სხვა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ 176

თ ა ვ ი V

გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი 189

§ 1. რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში . . . 189

§ 2. „9-წლიანი ვადის“ შესახებ ხმების გავრცელება და მისი გავლენა 70-იანი წლების გლეხთა მოძრაობაზე 193

§ 3. რევოლუციურ-ხალხსნური აგიტაცია მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში 197

§ 4. სამეგრელოს გლეხების შეიარაღებული გამოსვლები XIX საუკუნის 70-იან წლებში 213

§ 5. სვანეთის გლეხთა 1875—1876 წლების შეიარაღებული აჯანყება 233

§ 6. კახეთის გლეხთა 1878 წლის შეიარაღებული აჯანყება 248

თ ა ვ ი VI

შემამულეებზე თავდასხმები და გლეხთა ბრძოლის სხვა ფორმები 263

მოკლე დასკვნები 292

შემოკლებანი 314

რედაქტორი ო. კასრაძე
მხატვარი ნ. ლაფაჩი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ჯ. რთველიაშვილი
კორექტორი მ. ერისთავი
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 21/III.70 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI.70 წ.; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 19,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,11; ტირაჟი 1000; უე 01404; ფასი 1 მან. 52 კაპ. შეკვეთა 1342

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
. თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა
თბილისი, 60, კუტუზოვის 15

Типография Академии наук ГССР,
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15